

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ქველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტოგამია



„მეცნიერება“
თბილისი
1990

ქრესტომათიაში შეტანილია ძველი აღმოსავლეთის თითქმის ყველა ძირითადი რეგიონიდან (შუამდინარეთი, ეგვიპტე, მცირე აზია, ირანი, ინდოეთი) მომდინარე ტექსტების თარგმანები. ტექსტები ქართულად თარგმნილია დედანთა ენიდან — შუმერულიდან, აქადურიდან (ასურულ-ბაბილონურიდან), ძველი ეგვიპტურიდან, ხეთურიდან, ლუვიური (ხეთური) იეროგლიფურიდან, ხურიტულიდან, ურარტულიდან, ძველი სპარსულიდან, ძველი ინდურიდან, ძველი ბერძნულიდან. ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, ლიტერატურულ-მითოლოგიური შინაარსის ტექსტები ძვ. წ. III—I ათასწლეულების დროინდელია. მათი დიდი ნაწილი ქართულად ითარგმნება პირველად.

განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტთათვის, ასპირანტებისა და ძველი აღმოსავლეთით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ხ ი დ ა შ ე ლ ო
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გ ვ ა ხ ა რ ი ა

წინასიტყვაობა

პირველად ქართულ ენაზე ქვეყნდება საკმაოდ იშვიათი ქრესტომათია — მასში წარმოდგენილია ძვ. წ. III—I ათასწლეულების დროინდელი სრულიად სხვადასხვა შინაარსის ტექსტთა თარგმანები: ყველაზე „ხანდაზმული“ ამ ტექსტთაგან თითქმის ოთხი ათას ხუთას წელს ითვლის, ყველაზე „ახალგაზრდა“ — ორი ათას ხუთასი წლისაა. ამგვარი ქრესტომათიის მომზადება ადგილობრივი ძალებით ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩვენში მხოლოდ ოცნებად ითვლებოდა. მაგრამ 50-იანი წლებიდან ჩვენს რესპუბლიკაში ძველადმოსავლური ფილოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგებში მეცნიერული მუშაობის გაფართოებამ, რაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს აკად. გ. წერეთელმა და აკად. გ. მელიქიშვილმა, სრულიად შეცვალა საქმის ვითარება: წარმოიქმნა მყარი ნიადაგი სათანადო ადგილობრივი მეცნიერული კადრების მომზადებისათვის. სწორედ ამ მუშაობის შედეგია ის, რომ წინამდებარე ქრესტომათია მხოლოდ ადგილობრივ მეცნიერთა ძალებით მომზადდა.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში თარგმნიან სხვადასხვა ძველადმოსავლური ენიდან: შუმერულიდან და აქადურიდან (ასურულ-ბაბილონურიდან), ძველი ეგვიპტურიდან, ხეთურიდან და ლუვიური (ხეთური) იეროგლიფურიდან, ხურიტულიდან და ურარტულიდან, ძველი სპარსულიდან და ძველი ინდურიდან. ითარგმნება ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, რელიგიურ-ფილოსოფიური თუ ლიტერატურული (განსაკუთრებით, მითოლოგიური) შინაარსის ტექსტები. წინამდებარე ქრესტომათია სწორედ ამ ენებიდან ნათარგმნი დოკუმენტებისაგან შედგება.

ასევე ქართველ მეცნიერთა ძალებითა და რუდუნების შედეგად 1988 წელს აკად. გ. მელიქიშვილის რედაქტორობით გამოქვეყნდა დამხმარე სახელმძღვანელო — „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“ (მეორე გამოცემა). სწორედ ამ სახელმძღვანელოს არსებობამ (პირველი გამოცემა — 1971 წ.) განაპირობა ქრესტომათიის შექმნაც, რომლის ინიციატორიც აკად. გ. მელიქიშვილია. ქრესტომათიის დახმარებით უმაღლეს სასწავლებელთა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები თუ ასპირანტები ისევე როგორც ძველი აღმოსავ-

ლეთის ისტორიით დაინტერესებულნი, შეძლებენ უშუალოდ გაეცნონ თარგმნილ პირველწყაროებს, რომელთა წყალობით მეცნიერები აღადგენენ ძველი აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნის ისტორიას. ქრესტომათია დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს სასემინარო მუშაობაშიც.

ქრესტომათია აგებულია რეგიონალურ, თანაც პრობლემურ-თემატურ პრინციპზე. ასურელ-ბაბილონელთა, ძველ ეგვიპტელთა, ხეთების, ხურიტებისა და ურარტელთა, ძველ სპარსთა და ძველ ინდოელთა ისტორიის საკვანძო საკითხები შექმდება მეტად შინაარსიანი პირველწყაროების ცნობებით. ტექსტები ქრესტომათიაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. ყოველ ტექსტს თან ახლავს მოკლე ცნობები დოკუმენტის შედგენის დროის, ზოგჯერ შემდგენლის, ტექსტის გამოქვეყნებისა და სხვათა შესახებ. უმეტესწილად თარგმანები მთლიანადაა მოცემული, ზოგჯერ — შემოკლებით.

ქრესტომათიის პირველი ნაწილი ეთმობა ძველი შუამდინარეთიდან მომდინარე ტექსტებს, რომლებიც თარგმნეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ზ. კიკნაძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ჯ. შარაშენიძემ, ნ. მარტიროსოვამ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ასტახიშვილმა. აქვეა ბერძნული წყაროების ცნობები ბაბილონის შესახებ (თარგმნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. რცხილაძემ).

ამის შემდეგ მკითხველს შეუძლია გაეცნოს ძველი ეგვიპტურიდან თარგმნილ ტექსტებს (ყველა მათგანი თარგმნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ხვედელიძემ), რომლებიც ქართულად პირველად ქვეყნდება. ძველი ეგვიპტური ტექსტების შემდეგ განხილულია ჰეროდოტეს ცნობები ძველი ეგვიპტის შესახებ (ბერძნულიდან თარგმნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. ყაუხჩიშვილმა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ინაძემ).

მომდევნო ნაწილი ეხება ძველ მცირე აზიას, საიდანაც მომდინარე ტექსტები თარგმნილია აქადური ენის ძველი ასურული დიალექტიდან (თარგმნა პ. რამიშვილმა), ხეთურიდან (თარგმნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვრ. გიორგაძემ, ნ. ბენდუქიძემ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ტატიშვილმა), ლუვიური (ხეთური) იეროგლიფურიდან (თარგმნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ხაზარაძემ). აქვეა მოცემული ბიბლიაში დაცული ცნობები ხეთების შესახებ (შეადგინა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ე. დო-

ჩანაშვილმა). ძველადმოსავლური ტექსტების უმეტესი ნაწილი ქართულად ითარგმნება პირველად.

ქრესტომათიის მომდევნო ნაწილი ეძღვნება ხური-მითანისა და ურარტუს სამეფოთა ისტორიის ამსახველ ტექსტებს. ხურიტულ ენაზე არსებული წარწერები თარგმნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ნოზაძემ, ხოლო აქადური ტექსტები ნუზი-არაფხას არქივიდან — ე. ასტახიშვილმა. ყველა ურარტული ტექსტის თარგმანი შეასრულა აკად. გ. მელიქიშვილმა.


ძველი ირანი ქრესტომათიაში წარმოდგენილია ძველ სპარსულ ენაზე შედგენილი ტექსტებით, რომლებიც თარგმნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. სახოკიამ. ბერძნული წყაროების ცნობები ძველი ირანის ისტორიის შესახებ თარგმნეს თ. ყაუხჩიშვილმა და მ. ინაძემ.

ქრესტომათია მთავრდება ძველი ინდური ტექსტების თარგმანებით (თარგმნეს მ. ანდრონიკაშვილმა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ალექსიძემ).

მთარგმნელები შეეცადნენ შესაძლებლობის მიხედვით ზუსტად გადმოეცათ ამა თუ იმ ტექსტის შინაარსი, შეენარჩუნებინათ პირველწყაროს სტილისტური თავისებურებანი ისე, რომ არ დაარღვეულიყო ქართული ენის ნორმები. ამითაა გამოწვეული, რომ რიგ შემთხვევაში მთარგმნელები მიმართავენ გარკვეულ არქაიზაციას, ზოგჯერ — სტილიზაციასაც.

ტექსტები დასათაურებულია მთარგმნელთა მიერ. დოკუმენტის დაზიანებული ადგილები აღდგენილია კვადრატული ფრჩხილებით. სათანადო კომენტარი ტექსტს ერთვის ბოლოში. სამწუხაროდ, ქრესტომათიის შეზღუდული მოცულობის გამო არ მოხერხდა საკუთარ სახელთა საძიებლის, ზომა-წონის ერთეულების ცხრილის და სხვა დამხმარე ცნობარის დართვა.

„ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია“ პირველი ცდაა ქართულად ამ ხასიათის ნაშრომის შექმნისა. იგი დაზღვეული არ იქნება შეცდომებისაგან, უზუსტობათაგან, რასაც თვით მთარგმნელებიც გრძნობენ. ქრესტომათიის შემდგენლები დიდი მადლობით მიიღებენ მკითხველთა შენიშვნებს და გაითვალისწინებენ მათ ქრესტომათიის მეორე გამოცემაზე მუშაობისას.



კარი პირველი

მედიის უზამდინარეთი

ძველი უზამდინარეთის საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების აღსადგენად დღეისათვის მეცნიერებას მოეპოვება საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარი წერილობითი მასალა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების ამსახველი მეფეთა მრავალრიცხოვანი წარწერები. მათი პირველი ნიმუშები გამოჩენას იწყებენ ძვ. წ. XXVI-II—XXVII საუკუნეებიდან, როცა ძველი უზამდინარეთი ჯერ კიდევ დაფარული იყო მცირე პოლიტიკური წარმონაქმნებით, რომელთაგან გამოირჩეოდნენ ქალაქების — ერილუს, ქიშის, ურუქის, ურისა და შურუფაქის — მეთაურობით შექმნილი გაერთიანებები.

განსაკუთრებით მრავლდება და უფრო ვრცელი შინაარსისა ხდება შემდგომი ეპოქის დროინდელი მეფეთა წარწერები, რომლებიც ეკუთვნის XXV—XXIV საუკუნეებში ქალაქ ლაგაშის მეთაურობით შექმნილ საკმაოდ ვრცელი პოლიტიკური გაერთიანების ძლიერ მმართველებს.

აქადის დინასტიის ხანაში (XXIV—XXIII სს.), როცა ერთ მთელად შეკრული უზამდინარეთის სათავეში სემიტური წარმომავლობის მქონე სარგონიდების დინასტია მოექცა, ერთბაშად ფართოვდება ისტორიული ხასიათის წყაროების თემატიკა. მათში მოთხრობილია არა მარტო უზამდინარეთის გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლებზე, არამედ მეზობელი ქვეყნების დალაშქვრა-შემომტკიცებისათვის ჩატარებული სამხედრო ოპერაციების შესახებაც.

ურის III დინასტიის ეპოქაშიაც (XXII—XXI სს.), საკმაოდ ფართო იყო უზამდინარეთის უმერული იმპერიის განმტკიცება-გაფართოებისათვის გამოიხსნული პოლიტიკური აქციების მასშტაბები, მაგრამ ამ ხანიდან ფრაგმენტულად მოღწეული მეფეთა წარწერები ამის შესახებ თითქმის დუმან.

წმინდა ისტორიული ხასიათის ჩანაწერების მოწოდებით არ გვანებივრებენ გარეშე მტრების შემოსევების შედეგად დასუსტებული შუმერული სახელმწიფოს ნანგრევებზე XX—XIX საუკუნეების მანძილზე აღმოცენებული მცირე პოლიტიკური ერთეულების მმართველებიც. შედარებით გამოცოცხლდა მეფეთა სახელით წარწერების შედგენის პრაქტიკა ძველბაბილონური ეპოქის (XX—XVIII სს.) მეორე ნახევარში, როცა შუამდინარეთის მიწაზე კვლავ იქმნება დიდი იმპერია ბაბილონის მეფის სამურაბის ზეობის ხანაში (1792—1750 წწ.).

შუამდინარეთის უძველესი სახელმწიფოების საზოგადოებრივი ცხოვრების აღსადგენად უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული ხასიათის დოკუმენტებს, რომელთაგან გამოირჩევა საკანონმდებლო ძეგლები, დაწყებული ურის III დინასტიის პირველი მეფის ურნამუს სახელით შედგენილი კანონთა წიგნითა და დამთავრებული ბაბილონის მეფის სამურაბის უმნიშვნელოვანესი კანონების კრებით. ამ ხასიათის ძეგლებს გვერდში უდგანან მრავალრიცხოვანი იურიდიული საბუთები.

ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების წარმოსაჩენად შეუცვლელი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ხასიათის დოკუმენტების მონაცემებს. ამგვარი საბუთების შედგენა შუმერებმა ჯერ კიდევ XXX—XXIX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყეს. მათი ინტენსიური წარმოება შურუფაქის ეპოქიდან (XXVIII ს.) იწყება. მომდევნო ეპოქებშიაც, რა თქმა უნდა, არ წყდება მათი შედგენა, ხოლო ურის III დინასტიის ხანაში, როცა შუმერის ძლიერი მეფეების აქტიური მოღვაწეობის შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით იქმნება ცენტრალიზებული სახელმწიფო მეურნეობა, სამეურნეო-საანგარიშო ხასიათის საბუთების შედგენა შუმერის საბუხჰალტრო პრაქტიკის ყოველდღიურ მოვლენად იქცა. ამ ეპოქიდან მოღწეული ათიათასობით საბუთი უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების შინაგანი სტრუქტურის, შრომის ექსპლუატაციის ხასიათისა თუ მუშათა შრომის ანაზღაურების სისტემის თავისებურებათა შესახებ.

შუმერებისა და შუამდინარეთელი სემიტების მიერ თავიანთი არსებობის ზანგრძლივი დროის მანძილზე წარმოებული უზარმაზარი წერილობითი მასალის ყველა ძირითადი ჯგუფიდან გარკვეული შიზანდასახულობით შერჩეული და აქ წარმოდგენილი ნიმუშები, ვფიქრობთ, საკმაოდ ნათელ სურათს შეუქმნის მკითხველს კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ხალხების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ.

1. ისტორიული შინაარსის დოკუმენტები

ა) ენთემენას კონუსის ტექსტი

დოკუმენტი წარმოადგენს პირველ ისტორიულ ჩანაწერს. მასში გაბმითაა მოთხრობილი შუმერის ორი მთავარი ქალაქის — ლაგაშისა და უმას — მმართველებს შორის სასაზღვრო ნაყოფიერი ველის გუედენას ხელში ჩასაგდებად წარმოებული ბრძოლების თითქმის ერთსაუკუნოვანი ისტორია. ჩვენამდე მოღწეულია XXIV ს. II ნახევრით დათარიღებული ტექსტის ორი, ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავებული, ვარიანტი. წინამდებარე თარგმანში ორივე მათგანის მონაცემებია ასახული.

თარგმნისას გამოყენებულ იქნა შემდეგი გამოცემები. Sarzec E. De Découvertes en Chaldée, II. Partie épigraphique, Paris, 1912. ტაბ. XLVII; Nies J. B., Keiser C. E., Historical, Religious—and Grammatical Texts and Antiquities, New-Haven, 1920, გვ. 5—12; Sellberger E., Corpus des inscriptions „royales“ présargeniques de Lagas, Genève, 1956, გვ. 37—39⁶ (თარგმანა ჟ. შარაშენიძემ).

I. ღვთაება ენლილმა¹, ქვეყნიერების მეუფემ, ღვთაებების მამამ, თავისი ურყევი სიტყვით ღვთაება ნინგირსუსა² (და) ღვთაება შარას³ დაუდგინა თავთავისი საზღვრები⁴, (ხოლო) მესილიმმა, ქიშის მეფემ, თავისი ღვთაების სათრანას⁵ თანხმობით მიუზღომა მათ მიწები (და თან) სამანიც ჩააგლო⁶. მაგრამ უშმა, უმას მმართველმა, (ღვთაებების) განჩინება (და ადამიანების) სიტყვიერი (შეთანხმება) დაარღვია, (სასაზღვრო) სტელა მოთხარა (და) ლაგაშის ველებზე შეიჭრა. (მაშინ) ნინგირსუმ, ენლილის გმირთავმირმა, (ენლილის) ჰეშმარიტი სიტყვით (გამხნევებულმა) უმაელებს ბრძოლა გაუმართა⁷. ენლილისავე რჩევით (მან უმაელებს) დიდი ბადე⁸ ესროლა; (მტრის) ძვლები მიწის მტკვერს (შეურია და) გროვად დაყარა აქა-იქ.

II. (ბრძოლის დამთავრების შემდეგ) ეანათუმმა, ლაგაშის მმართველმა, ლაგაშის (ახლანდელი) მმართველის ენთემენას პაპამ, უმას მმართველ ენაქალთან (ხელახლა) დაადგინა საზღვარი: ნუნის არხიდან (სასაზღვრო) თხრილი გაავლო გუედენას (ველამდე. უმაელების მიერ მიტაცებული) ნინგირსუს მინდორი უმას მხრიდან 220 გარდუს (სიგრძეზე) ჩამოჭრა. სამეფო მინდორი⁹ (კი) მას არ აუღია, (როგორც იყო, ისე) დატოვა. (სასაზღვრო) თხრილზე წარწერიანი სტელა (აღმართა და) მესილიმის (ძველი) სტელაც თავის ადგილზე დააყენა. უმას (კუთვნილი) ველი (ეანათუმს) არ მიუტაცნია. მან იქ, ნამსუნ-დაქიგარას (დასახლებაში) აავო: ნინგირსუს მიწაყრილი (და) ღვთა-

ებების ენლილის, ნინზარსაგის¹⁰, ნინგირსუსა (და) უთუს¹¹ სალო-
ცავები.

III. (გარდა ამისა ენათუმმა ყოველ უმაელს) გამოსაღებად
დაუწესა თითო გურუ (მარცვალი) ნანშესა¹² (და) ნინგირსუს (კუთ-
ვნილი იმ) ქერის ასანაზლაურებლად, (რაც უმაელებმა) შექამეს.
(გუედენას მიტაცების პერიოდში). აღებულ (იქნებოდა სულ) 14400
დიდი გურუ (მარცვალი), მაგრამ ეს მარცვალი არ იქნა გადახდილი.
(უფრო მეტიც): ურლუმამ, უმას მმართველმა, მოუწყვიტა წყალი
ნინგირსუსა (და) ნანშეს სასაზღვრო თხრილებს¹³, მათი სტელები
მოთხარა (და) ცეცხლს მისცა, ნამუნდაქიგარაში აგებული ღვთაე-
ბათა სალოცავები (კი) დააქცია (და) უცხო ქვეყნების (დახმარებით
გაძლიერებულმა) ნინგირსუს სასაზღვრო თხრილი გადმოლახა.

ლაგაშის მმართველი ენათუმმა შეებრძოლა (მას) ნინგირსუს
მინდგრებისა (და) ყანების (ტერიტორიაზე მდებარე) უგივას მინ-
დორზე.

IV. ენთემენამ, ენათუმის საყვარელმა შვილმა, დაამარცხა
იგი. ურლუმმა გაიქცა, (ხოლო მისი ჯარი ენთემენამ თვით) უმაში
განადგურა. მტრის რჩეული 60-კაციანი რაზმი (კი) ლუმაგირუნ-
თას არხის ნაპირას მოსპო. (ურლუმას) ხალხის გვამები ველებში მი-
მოფანტა (ფრინველ-მხეცთა საჯიჯნად, ხოლო) მათი ძვლები მიწის
მტვერს (შეურია და) გროვებად დაყარა ხუთ (სხვადასხვა) ადგი-
ლას...

ამ დროს იღმა, ზაბალამის დასახლების მთავარმა ქურუმმა,
ძლევა მოსილად განვლო (მთელი მხარე) გირსუდან უმამდე, თავი
უმას მმართველად გამოაცხადა (და) წყალი მოუწყვიტა ნინგირსუსა-
(და) ნანშეს სასაზღვრო თხრილებს, ნინგირსუს მიწაყრილსა (და)
მდინარე ტიგროსამდე გადაჭიმულ გირსუს (არხთა) ნაპირების (გას-
წვრივ მდებარე მიწებს), ნამუნდაქიგარაში (აგებულ) ენლილის, ენ-
ქისა¹⁴ (და) ნინზარსაგის (სალოცავებს); ლაგაშისათვის სარგო (ხარ-
კიდან კი) მხოლოდ 10 გურუ მარცვალი გადაიხადა.

V. ენთემენამ, ლაგაშის მმართველმა, რამდენჯერმე მიუგზავნა
ილს მოსალაპარაკებლად თავისი ხალხი, (მაგრამ) იღმა, უმას მმარ-
თველმა, მინდორ-ყანების მიმტაცებელმა (და) ბოროტების მქადა-
გებელმა, განაცხადა: „ნინგირსუს სასაზღვრო თხრილი (და) ნანშეს
სასაზღვრო თხრილი ჩემია!“. (ნათქვამს) ესეც დაუმატა: „ანთასურა-
დან (მოკიდებული, ვიდრე) დიმგალაბზუს ტაძრამდე (მდებარე მი-
წებიც) მე უნდა მეკუთვნოდეს“. (მაგრამ) ენლილმა (და) ნინზარსაგ-
მა არ მისცეს ამის (განხორციელების საშუალება).

ენთემენამ, ლაგაშის მმართველმა, ნინგირსუს მიერ გამორჩეულ-
მა, ენლილის, ნინგირსუსა (და) ნანშეს ქემმარტი სიტყვის შესა-

ზამისად გაიყვანა (სასაზღვრო) არხი მდინარე ტიგროსიდან ნუნის არხამდე; ნამუნდაქიგარას (ყელის) საძირკველი (კი) ქვით ააშენა; თავისი საყვარელი მეუფის ნინგირსუსათვის (და) თავისი საყვარელი დედოფლის ნანშესათვის ეს ადგილები ისევ უკან დაიბრუნა¹⁵.

VI. ენთემენა, ლაგაშის მმართველი, ენლილისაგან სკიპტრაბოძებული, ენქისაგან სიბრძნეშთანერგილი, ნანშეს მიერ გულში (სიყვარულით) ხსენებული, ნინგირსუსაგან (ხელდასხმული), დიდებული მმართველი, ღვთაებათა სიტყვის შემსმენელი! მისმა (მცველმა) ღვთაებამ შულუთულამ დაე, ილოცოს ნინგირსუსა (და) ნანშეს წინაშე ენთემენას ხანგრძლივი სიცოცხლისათვის.

თუ ვინმე უმადან (ოდესმე) გადმოლაზავს ნინგირსუსა (და) ნანშეს სასაზღვრო თხრილებს (ლაგაშის კუთვნილი) ყანებისა (და) მინდვრების ძალით მისატაცებლად, — უმას მოქალაქე იქნება ის თუ სხვა უცხო ქვეყნელი — დაე, განგმიროს იგი ენლილმა, (დაე) ნინგირსუმ დიდი ბადე ესროლოს მას (და დათრგუნოს იგი) თავისი ძლიერი ხელ-ფეხით, (დაე, რისხვით) აღსდგეს მის წინააღმდეგ საკუთარი ქალაქის მოსახლეობა (და) დაამბოს იგი თავდაღმა მისსავე ქალაქში.

1 შუმერული პანთეონის უმაღლესი ღვთაება, ჰაერის მეუფე.

2 დამუშავებული მინდვრებისა და არხების მფარველი ღვთაება; თავიანთსცემდნენ ქალაქ ლაგაშში, ითვლებოდა ამ ქალაქის მეუფედ.

3 ქალაქ უმას მფარველი ღვთაება, ითვლებოდა ბრძოლის ღმერთად.

4 იგულისხმება ამ ღვთაებების სამეუფო ქალაქებისათვის საზღვრების დადგენა.

5 ითვლებოდა სამართლიანობის მფარველ ერთ-ერთ ღვთაებად.

6 როგორც ჩანს, მესილიმის მმართველობის დროს (XVII ს:) უმა და ლაგაში ქალაქ ჭიშის მეფეს ემორჩილებოდა.

7 ტექსტის ავტორის სურს საქმე ისე წარმოადგინოს, რომ უმაელების წინააღმდეგ ლაგაშელთა ბრძოლა თვით ღვთაება ნინგირსუს ბრძოლა იყო.

8 პრისხანე ღვთაებრივი საბრძოლო იარაღი, იკონოგრაფიულად მას ღვთაების ხელში ჩვეულებრივ ბადედ გამოსახავდნენ.

9 იგულისხმება გუედენას ველის ის ნაწილი, რომელიც ქალაქ უმას ეკუთვნოდა.

10 შუმერული პანთეონის დედა ღვთაება.

11 მზის ღვთაება.

12 ლაგაშის მფარველი ღვთაება. ითვლებოდა ნინგირსუს დად, იყო სიზმრის და წინასწარმეტყველების ღვთაება.

13 ყველაფერი, რაც ქალაქ ლაგაშს ეკუთვნოდა, ოფიციალურად გამოცხადებული იყო ამ ქალაქის მფარველი ღვთაებების ნინგირსუსა და ნანშეს საკუთრებად.

14 ენქი მიაჩნდათ სიბრძნის ღვთაებად.

15 ენთემენამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი დათმობის ფასად უმასთან საქმე დაზავებით დაამთავრა.

უმას მმართველის ლუგალზაგესის ეს წარწერა მისი სახელით შედგენილ წარწერათა შორის ერთადერთი, შედარებით ვრცელი ტექსტია, რომელშიაც შეჯამებული სახითაა გადმოცემული სამხრეთ შუამდინარეთის გაერთიანებისათვის ლუგალზაგესის მიერ ჩატარებული ღონისძიებების ძირითადი შედეგები.

თარგმანი ეყრდნობა შემდეგ გამოცემებს: Hilprecht H. V., Old Babylonian Inscriptions Chiefly from Nippur, 12, Philadelphia, 1896, № 87; Thureau-Dangin F., Die sumerischen und akkadischen Königsinschriften, Leipzig, 1907, გვ. 152—157 (თარგმნა ქ. შარაშენიძემ).

ლუგალზაგესს, ქალაქ ურუქის მეფეს¹, ქვეყნის² მეფეს, ღვთაება ანმა³ მოწყალე თვალთ გადმოხედა, (ხოლო) ქვეყნიერების მეუფემ ღვთაება ენლილმა მეფობა უბოძა მას... (ლუგალზაგესმა) თავისი ძლიერებით დაამხო ქვეყნები და აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ყველას ქედი მოახრევეინა. ქვემო ზღვიდან ზემო ზღვამდე⁴ ტიგროსისა და ეფრატის გასწვრივ გზა გაკაფა. ღვთაება ენლილმა (მას) ქვემო ზღვიდან ზემო ზღვამდე მბრძანებლობა დაუმეკიდრა... (ამაჟამად მთელი) ქვეყანა სიმშვიდეში ცხოვრობს (და მინდვრები) ირწყვება უხვი წყლით... ქალაქი ურუქი მხიარულად გაბრწყინდა, ქალაქმა ურმა (კი) ჭარივით აღიმალა თავი ცისაქენ. ღვთაება უთუს საყვარელი ქალაქი⁵ უხვი წყლით ირწყვება, (ხოლო) ღვთაება შარას საყვარელი ქალაქი უმა მომეტებული ძალით აღზევდა...

ლუგალზაგესმა, ურუქის მეფემ, ქვეყნის მეფემ ღვთაება ენლილს ნიფურში (ეს ვაზა) შესწირა (და) იგი წმინდა წყლით განბანა, (ზედ) წააწერა: „ქვეყნიერების მეუფეო ღვთაებაო ენლილ! ჩემი ნათქვამი მოახსენე შენს საყვარელ მამას ღვთაება ანს: დაე, მან გამიხანგრძლივოს სიცოცხლე, სიმშვიდე უბოძოს ჩემს ქვეყანას; მომცეს მე ბალახსავით უთვალავი ჭარი, მოწყალე თვალთ გადმოხედოს ჩემს ქვეყანას (და) კეთილი ბედი მომიზღოს მე... დაე, თავისი გადაწყვეტილება (ამის შესახებ) არასოდეს შეცვალოს მან“.

ღვთაებაო ენლილ! შენი საყვარელი მეფე (ლუგალზაგესი) თავისი სიცოცხლისათვის გიძღვნის (ამ ვაზას).

1 როგორც ჩანს, ტექსტი შედგენილია იმ დროს, როცა უმას მმართველის ტიტულის მქონე ლუგალზაგესმა, დაიმორჩილა რა ქალაქი ურუქი, „ქვეყნის მეფის“ ტიტულთან ერთად მიიღო „ურუქის მეფის“ ტიტულიც.

2 იგულისხმება სამხრეთი შუამდინარეთი — შუმერის ქვეყანა.

3 ანი ითვლებოდა შუმერული პანთეონის უმაღლეს და უპირველეს ღვთაებად.

4 იგულისხმება სპარსეთის ყურე და ხმელთაშუა ზღვა.

5 იგულისხმება ქალაქი სიფარი, სადაც თავყვანს სცემდნენ მზის ღვთაება უთუს.

შუამდინარეთის პირველი გაერთიანება და მის საფუძველზე ვრცელი იმპერიის შექმნა უკავშირდება სემიტური წარმომავლობის მქონე პიროვნებას, ქალაქ აქადში აღზევებული მეფის შარუქინ-სარგონ დიდის სახელს. XXIV ს. II ნახევრით დათარიღებული ეს ტექსტი ლაკონურად, მაგრამ საკმაოდ ამომწურავად მოგვითხრობს სარგონის მეთაურობით წარმოებული საომარი ოპერაციებისა და გაერთიანებული ქვეყნის ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერების შესახებ.

ტექსტის თარგმანი ეყრდნობა შემდეგ გამოცემას: Hirsch H., Die Inschriften der Könige von Agade, „Archiv für Orientforschung“, 20 (1963), გვ. 34—38 (თარგმნა ჯ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე მ).

შარუქინმა, აქადის მეფემ, ღვთაება ინანას! [...], სამყაროს მეფემ, ღვთაება ანის ქურუმმა, ქვეყნების მეფემ, ღვთაება ენლილის (მიერ ხელდასხმულმა) მმართველმა ქალაქი ურუქი დაამარცხა და მისი კედელი დაანგრია. ურუქთან ბრძოლის დროს მან იარაღით მოიპოვა ზემოური ქვეყნებიც. ლუგალზაგესი, ურუქის მეფე, ბრძოლაში დაატყვევა (და) ქედზე ჯაჭვდადებული ღვთაება ენლილის (ტადრის) ჭიშკართან მიიყვანა³. შარუქინმა, აქადის მეფემ, ქალაქ ურთან ბრძოლის (შემდეგ) ქალაქი მარი დაამარცხა და მისი კედელი დაანგრია. ქალაქი ენინმარიც დაამარცხა და მისი კედელი დაანგრია. მისი ქვეყანა [.....] და (სხვა ქვეყნებიც) ქალაქ ლაგაშიდან ზღვამდე⁴ დაამარცხა. თავისი მახვილი ზღვაში განბანა. ქალაქი უმა ბრძოლაში დაამარცხა და დააქცია, მისი კედელი (კი) დაანგრია.

შარუქინს, ქვეყნების მეფეს, ენლილმა, (რომელმაც) ტოლი მეტოქე არ გაუჩინა მას, მისცა ზემო და ქვემო ზღვები. იმის შემდეგ, რაც (ხალხებზე) ქვემო ზღვიდან (მოკიდებული) აქადის მოქალაქეების (ჩათვლით) მმართველობა დაამყარა, ქვეყნების მეფის — შარუქინის წინაშე (მორჩილად) დადგნენ მარი და ელამი. შარუქინმა, ქვეყნების მეფემ, ქალაქი ქიში ისევ თავის ადგილზე დაადგინა (და) ხალხით დაასახლა...

შარუქინი, სამყაროს მეფე, 54 ბრძოლის გამარჯვებით გადამხდელი, ზღვათა სანაპიროებამდე (ქალაქთა) კედლების დამანგრეველი. (მის დროს) მელუზას, მაგანისა (და) დილმუნის⁵ გემები აქადის ნავთსაყუდელში უშვებენ ღუზას. მეფე შარუქინმა ქალაქ დუდულში ღვთაება დაგანის⁶ წინაშე ფიცი დადო და (მისადმი) ლოცვა აღავლინა, რადგანაც მან მისცა მას ზემოური ქვეყნები — მარი, იარმუთა (და) ებლან⁷ კედრის ტყემდე და ვერცხლის (მადნების) მთებამდე. (ასეთია)

შარუქინი, მეფე, (რომელსაც) ენლილმა ტოლი მეტოქე არ გაუჩინა: 5400 კაცი ყოველდღე მის წინაშე ჭამს პურს⁸.

ვინც ეს წარწერა გადაშალოს მისი (შარუქინის) სახელის წაშლის მიზნით, (დაე), ენლილმა მისი საბსენებელი ამოაგდოს.

1 ინანა, აქადურად იშთარი, ათვლებოდა აისისა და დაისის განმასახიერებელ ღვთაებად, ცხოველთა მეუფედ და სიყვარულის მფარველ ქალღმერთად.

2 სიტყ. „ქიშის მეფე“. აქადის დინასტიის ხანაში ეს ტერმინი იხმარებოდა „სამყაროს მეფის“ შინაარსით.

3 როგორც ჩანს, ლუგალზაგესი გამარჯვებულმა მეტოქემ სიკვდილით დასაჯა.

4 ივულისხმება იმდროინდელი ტერმინოლოგიით „ქვემო ზღვა“ — ღვებანდელი სპარსეთის ყურე.

5 ეს ქვეყნები მდებარეობდა სპარსეთის ყურის სანაპიროებზე.

7 სემიტური ტომების ღვთაება ითვლებოდა მარცვლელის მფარველად.

8 ებლა მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთ სირიაში, თანამედროვე თელ მარდისის ადგილას.

8 ამ შემთხვევაში უნდა ივულისხმებოდეს მეფის მუდმივი ჯარი.

დ) რიმუშის წარწერა

რიმუშის რამდენიმე მსგავსი შინაარსის მქონე წარწერებიდან შერჩეული ეს ტექსტი (XXIV ს. ბოლო წლები) მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა ხშირი სადამსჯელო ოპერაციების ჩატარება უბდებოდა სარგონის მემკვიდრეს მამის მიერ შექმნილი დიდი, მაგრამ შინაგანად არამტკიცე იმპერიის მთლიანობის შესანარჩუნებლად.

თარგმნისას გამოყენებულია გამოცემა: Hirsch H. დასახ. ნაშრ., გვ. 52 შმდ. (თარგმნა ქ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე მ).

რიმუშმა, სამყაროს მეფემ, სამართლიანმა, (რომელსაც) ღვთაება ენლილმა მისცა მეფობა, ბრძოლა შუმერზე ძლევამოსილად (განასრულა): 8742 კაცი გაულიტა, (ხოლო) [...] დაატყვევა... ქაქუგი, ქალაქ ურის მეფე, დაატყვევა; მისი (ქვეშევრდომი) მმართველებიც დაატყვევა და [...]; მათი ფესვები ქვემო ზღვამდე ამოაგდო და 5700 კაცი შუმერის ქალაქებიდან წამოიყვანა. მათი სამხედრო ბანაკები მოშალა და მათი ქალაქები დააქცია და მათი კედლები დაანგრია. ამის შემდეგ, უკან დაბრუნებისას, ქალაქი ქაზალუ აჯანყდა. მან დააქცია იგი... ქაზალუში 12051 კაცი გაულიტა, 5862 (კი) — დაატყვევა. ქაზალუს მმართველი აშარიდი დაატყვევა, მისი (ქალაქის) კედელი დაანგრია. სულ: 54016 კაცი — ზოგი დახოცილი, ზოგი დატყვევებული, ზოგიც მამაკაცი, რომლებიც, — (ამბობს რიმუში), — სამხედრო ბანაკში ამოველიტე, [...], (ზოგიც) ღვთაება შამაშსა და ღვთაება ამალს შეეწირე. ეს ყველაფერი სწორია! ამ ლაშქრობის დროს მან (რიმუშმა) თავისი ქანდაკება დაამზადა და ღვთაება ენლილს, მის შემწეს, შესწირა.

ვინც ეს წარწერა გადაშალოს, ენლილმა და შამაშმა მოსპოს იგი და მისი სახსენებელი ამოაგდოს.

ვ) ამონაწერები ნარამსუენის წარწერებიდან

ნარამსუენის სახელით შედგენილი წარწერებიდან ამოკრებილი ადგილები (XXIII ს. I ნახ.) ისტორიული თხრობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. მოყვანილი ტექსტი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გუთიების შემოსევის წინა პერიოდის დროინდელი შუამდინარეთის იმპერიის პოლიტიკური სიძლიერის შესახებ.

თარგმანი ეყრდნობა შემდეგ გამოცემას: Hirsch H., დასახ. ნაშრ., გვ. 72—78. (თარგმნა ჟ. შარაშენიძე მ).

(ნარამსუენმა) დიორიტისაგან თავისი ქანდაკება დაამზადა და ღვთაება სუენს¹ მიუძღვნა. ღვთაებრივმა² ნარამსუენმა, ძლიერმა, ქვეყნიერების ოთხივე მხარის მეფემ³ დაიმორჩილა ელამის ქვეყანა. მთლიანად ქალაქ ბარახსამდე და სუბართუს ქვეყანა⁴ შორეული კედრის ტყემდე (და) ქალაქ თალზათამდე. გზა, (რომელიც) მეფეთაგან არავის გაუვლია, გაიარა აქადის მეფემ, ღვთაებრივმა ნარამსუენმა, (რომელსაც) ღვთაება იშთარმა ტოლი მეტოქე არ გაუჩინა. სუბართუს ქვეყნისა და მაღალმთიანეთის მმართველებმა ყველაფერი, (რაც საჭირო იყო) ლაშქრობისათვის, მის წინაშე მოიტანეს.

ღვთაება ნერგალმა⁵ ღვთაებრივ ნარამსუენს, ძლიერს, ბილიკი გაუყვალა და ღვთაება დაგანის ძლიერი იარაღით არმანი და ებლა დაამარცხებინა; ამანი, კედრის ტყე და ზემო ზღვა უბოძა მას. რიშადადი, მეფე არმანისა, ხელში ჩააგდებინა.

1 მთვარის ღვთაება.

2 შუამდინარეთულ მეფეთაგან სიცოცხლეშივე პირველად ნარამსუენი გამოაცხადეს ღვთაებად.

3 „ოთხივე მხარის მეფის“ ტიტული პირველად ნარამსუენმა მიისაკუთრა.

4 ასე ეძახდნენ შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ მიწა-წყალს.

5 ქვესენელის ღვთაება.

ვ) ურის III დინასტიის მეფეთა ზეობის ფლუგის მიხედვით შედგენილი დათარიღების ფორმულაჰი

წლის რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის მიხედვით დათარიღების პრაქტიკა შუამდინარეთის ისტორიაში პირველად XXIV ს. დასაწყისიდან გვხვდება. ურის III დინასტიის ეპოქაში (XXII—XXI სს.) კი ამ მეთოდმა საკმაოდ დახვეწილი და ჩამოყალიბებული სახე მიიღო: მთელი ქრონოლოგია გამართულია მეფეთა ზეობის წლების მიხედვით.

მაგრამ წლების სახელდებისათვის ჩვეულებრივ წლის საყურადღებო მოვლენა გამოიყენებოდა.

დათარიღების ფორმულების თარგმანები შესრულებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: Hilprecht H. V., Old Babylonian Inscriptions Chiefly from Nippur, 12. Philadelphia, 1895, № 127; Clay A. T., Miscellaneous Inscriptions in the Yale Babylonian Collection, New Haven, 1915, № 26; Schneider N., Die Zeitbestimmungen der Wirtschaftsurkunden von U^r III, Roma, 1936, გვ. 10—39 (თარგმნა ქ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე მ).

შ უ ლ გ ი ს მ ე ფ ო ბ ი ს წ ლ ე ბ ი (შ ე რ ჩ ე ვ ი თ)
წ ლ ე ბ ი :

1-ლი: წელი, (როცა) ღვთაებრივი შულგი გამეფდა.

მე-6: წელი, (როცა) მეუფის „მთის სახლი“ აიგო.

22-ე: წელი, (როცა) ქარახსი იქნა დალაშქრული.

23-ე: წელი, (როცა) სიმურუმი იქნა დალაშქრული.

24-ე: წელი, (როცა) სიმურუმი მეორედ იქნა დალაშქრული.

25-ე: წელი, (როცა) ხარში იქნა დალაშქრული.

26-ე: წელი, (როცა) ხელდასხმულ იქნა ერიდუს უფროსი ქურუმი.

28-ე: წელი, (როცა) მეფის ქალიშვილი ცოლად შეირთო ანშანის მმართველმა.

29-ე: წელი, (როცა) მეორეჯერ იქნა დალაშქრული ქარახარი.

30-ე: წელი, (როცა) მესამეჯერ იქნა დალაშქრული სიმურუმი.

31-ე: მომდევნო (წელი) იმ წლისა, (როცა) მესამეჯერ იქნა დალაშქრული სიმურუმი.

32-ე: ა) შემდგომი წელი სიმურუმის მესამეჯერ დალაშქრის მომდევნო წლისა. ბ) წელი, (როცა) ანშანი იქნა დალაშქრული.

33-ე: მომდევნო (წელი) იმ წლისა, (როცა) ანშანი იქნა დალაშქრული.

37-ე: წელი, (როცა) ღვთაებრივმა შულგამ, ურის მეფემ, ქვეყნიერების ოთხივე მხარის მეფემ, ფუზრიშდაგანის ტაძარი ააგო.

მე-40: წელი, (როცა) შაშრუმქი იქნა დალაშქრული.

ა მ ა რ ს უ ე ნ ა ს მ ე ფ ო ბ ი ს წ ლ ე ბ ი

1-ლი: წელი, (როცა) ღვთაებრივი ამარსუენა გამეფდა.

მე-2: წელი, (როცა) მეფემ, ღვთაებრივმა ამარსუენამ ურბილუმში დალაშქრა.

მე-6: წელი, (როცა) ღვთაებრივმა ამარსუენამ შაშრუმში დალაშქრა.

მე-7: წელი, (როცა) ხუხუნური იქნა დალაშქრული.

შუსუენას მეფობის წლები

- 1-ლი: წელი, (როცა) ღვთაებრივი შუსუენა გამეფდა.
მე-3: წელი, (როცა) სიმანუმი იქნა დალაშქრული.
მე-4 წელი, (როცა) ურის მეფემ, ღვთაებრივმა შუსუენამ დასაველეთის კედელი ააშენა.
მე-7: წელი, (როცა) ზაბშალის ქვეყანა იქნა დალაშქრული.
მე-9: წელი, (როცა) ურის მეფემ, ღვთაებრივმა შუსუენამ ქალაქ უმას (მფარველი) ღვთაების შარას ტაძარი ააშენა.

იბისუენას მეფობის წლები

- 1-ლი: წელი, (როცა) ღვთაებრივი იბისუენა გამეფდა.
მე-2: წელი, (როცა) ქალაქ ურუქის (მფარველი) ღვთაების უფროსი ქურუმი იქნა ხელდასხმული.
მე-3: წელი, (როცა) ურის მეფემ, ღვთაებრივმა იბისუენამ სიმურუმი დალაშქრა.
მე-4: მომდევნო (წელი) იმ წლისა, (როცა) სიმურუმი იქნა დალაშქრული.

II. იურიდიული შინაარსის დოკუმენტები

ქვემოთ მოყვანილი III ათასწლეულის II ნახევრის დროინდელი შემერული და აქადურენოვანი იურიდიული საბუთების თარგმანები წარმოადგენს კანონთა კრებულებს, მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ არსებულ ხელშეკრულებებსა და კერძო პირთა განკარგულებაში სხვადასხვა გზით მოხვედრილი მონების საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების შემცველ დოკუმენტებს.

1) კანონთა კრებულები

ხამურაბის კანონები

ბაბილონის II დინასტიის მეფის ხამურაბის კანონთა კრებული შეიქმნა ძვ. წ. XVI-II ს. შუა წლებში; აღმოჩენილ იქნა 1901—1902 წწ. ძველი სუზას გათხრების დროს. ძეგლის ენაა აქადური ენის ძველბაბილონური დიალექტი.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემებიდან: ლურსმული ტექსტი Bergmann E. Codex Hammurabi. Textus primigenius, ed. tertia, Roma, 1953; ტრანსლიტერაცია Codex Hammurabi. Transscriptic et versio latina (A. Deimel),

ed. tertia, denuo retractata auctoribus A. Pohl S. J.—R. Follet S. J. Romae, 1958. გამოყენებულია Driver G. R. and Miles J. C. The Babylonian laws. Oxford. 1955—1956, vol. I—II.; Хрестоматия по истории древнего Востока, часть 1, под редакцией акад. М. А. Коростовцева, д. и. Н. И. с. Качнельсона, проф. В. И. Кузнецина, М., „Высшая школа“, 1980. აქლურიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ.

§ 1. უკეთუ კაცმა¹ კაცი დაასმინა, მკვლელობა დააბრალა და ვერ დაუმტკიცა, მისი დამსმენელი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 2. უკეთუ კაცმა კაცს ჯადოქრობა დააბრალა და ვერ დაუმტკიცა. ის, ვისაც ჯადოქრობა დაბრადა, მდინარესთან უნდა მივიდეს, მდინარეში უნდა შევიდეს და თუ იგი მდინარემ დაიჭირა, მისი დამსმენელი მის სახლს წაიღებს. თუ ეს კაცი მდინარემ გაწმიდა და იგი გადარჩა, ვინც მას ჯადოქრობა დააბრალა, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ვინც მდინარეში შევიდა, თავისი დამსმენელის სახლს წაიღებს.

§ 3. უკეთუ კაცი სასამართლოში დანაშაულის მოწმედ გამოვიდა და თავისი ნათქვამი ვერ დაამტკიცა, თუკი ეს სიცოცხლის საქმეა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 4. უკეთუ ხორბლის ანდა ვერცხლის საქმეზე გამოვიდა მოწმედ. ამ საქმის სასჯელი უნდა დაეკისროს.

§ 5. უკეთუ მოსამართლემ სამართალი განსაჯა, განაჩენი გამოიტანა. ბეჭედი დასვა, ხოლო შემდგომ ამისა სამართალი შეცვალა, ამ მოსამართლეს სამართლის შეცვლაში ამხელენ: ამ საქმის სასჯელს თორმეტმაგად გადაიხდის და საკრებულოში თავისი სამოსამართლეო სავარძლიდან გადააყენებენ. უკან ველარ დაბრუნდება და მოსამართლეებთან ერთად სასამართლოში ველარ დაჯდება.

§ 6. უკეთუ კაცმა ღმერთის ანდა სასახლის ქონება მოიპარა, ეს კაცი უნდა მოკვდეს, და ვინც ნაპარევი მისი ხელიდან მიიღო, ისიც უნდა მოკვდეს.

§ 7. უკეთუ კაცმა ანდა ვერცხლი, ანდა ოქრო, ანდა მონა, ანდა მონაქალი, ანდა ხარი, ანდა ცხვარი. ანდა ვირი, ანდა სხვა რამ კაცის შვილისაგან ან კაცის მონისაგან მოწმეების ან საბუთის გარეშე იყიდა ან შესანაბად მიიბარა, ეს კაცი ქურდია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 8. უკეთუ კაცმა ანდა ხარი, ანდა ცხვარი, ანდა ღორი, ანდა ნავი მოიპარა, თუ ეს საქონელი ტაძრის ან სასახლისაა, ოცდაათმაგად უნდა ზლოს; თუ მუშქენისაააა, ერთი-ათად უნდა ზლოს. თუკი ქურდს გადასაბდელად არაფერი აბადია, სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 9. უკეთუ კაცს რამე დაეკარგა. დანაკარგი სხვა ვინმეს უნახა ხელში, ის კაცი კი, ვისაც დანაკარგი ჰქვია, უნახავს. იტყვის: „გამყი-

დველმა მომყიდა, მოწმეების თანდასწრებით ვიყიდეო“, ხოლო დანაკარგის პატრონი იტყვის: „ჩემი დანაკარგის მცნობელ მოწმეებს მოვიყვანო“, მყიდველმა უნდა მოიყვანოს გამყიდველი და მოწმეები, რომელთა თანდასწრებითაც იყიდა; ასევე დანაკარგის პატრონმაც უნდა მოიყვანოს თავის დანაკარგის მცნობელი მოწმეები. მოსამართლენი მათ საქმეს გამოიძიებენ, სყიდვა-გაყიდვის მოწმეებმა და დანაკარგის მცნობელმა მოწმეებმა თავიანთი ცოდნა ღმერთის წინაშე უნდა აღიარონ და თუ გამყიდველი ქურდად ჩაითვლება, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. დანაკარგის პატრონი თავის დანაკარგს დაიბრუნებს, ხოლო მყიდველი თავის მიერ მიწონილ ვერცხლს გამყიდველის სახლიდან წაიღებს.

§ 10. უკეთუ მყიდველი გამყიდველსა და სყიდვა-გაყიდვის დამსწრე მოწმეებს ვერ მოიყვანს, ხოლო დანაკარგის პატრონი დანაკარგის ნივთის მცნობელ მოწმეებს მოიყვანს, მყიდველი ქურდია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს. დანაკარგის პატრონი თავის დანაკარგს დაიბრუნებს.

§ 11. უკეთუ დანაკარგის ნივთის პატრონი დანაკარგის მცნობელ მოწმეებს ვერ მოიყვანს, ცრუ არის, ცილი დაუწამებია, და სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 12. უკეთუ გამყიდველი მკვდარია³, მყიდველმა ამ საქმის სასარჩლო გამყიდველის სახლიდან ხუთმაგად უნდა ამოიგოს.

§ 13. უკეთუ ამ კაცის მოწმეები ახლოს არ არიან, მოსამართლეებმა ექვსი თვის ვადა უნდა დაუნიშონონ. თუკი ექვს თვეშიც ვერ მოიყვანს მოწმეებს, ეს კაცი ცრუ არის და ამ საქმის სასჯელი უნდა დაედოს.

§ 14. უკეთუ კაცმა კაცის უსაკო შვილი მოიპარა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 15. უკეთუ კაცმა სასახლის მონა, ანდა სასახლის მონაქალი, ანდა მუშქენის მონა, ანდა მუშქენის მონაქალი კარიბჭიდან გაიყვანა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 16. უკეთუ კაცმა სასახლის ან მუშქენის მონა თავის სახლში დამალა და გზირის ძახილზე არ გამოიყვანა, სახლის პატრონი უნდა მოკვდეს.

§ 17. უკეთუ კაცმა გაპარული მონა ანდა მონაქალი ქალაქგარეთ დაიჭირა და პატრონს მიჰგვარა, მონის პატრონმა 2 სიკლი⁴ ვერცხლი უნდა მისცეს.

§ 18. უკეთუ მონა თავის პატრონს არ გააცხადებს, სასახლეში უნდა მოიყვანოს, მისი საქმე უნდა გაირკვეს და იგი პატრონს დაუბრუნდეს.

§ 19. უკეთუ ეს მონა თავის სახლში დააკავა და მონა უნახეს, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 20. უკეთუ მონა მის დამპყერს ხელიდან გაექცა, ამ კაცმა მონის პატრონს ღმერთი უნდა დაუფიცოს და გამართლდება.

§ 21. უკეთუ კაცმა სახლში შესაპარავად ხვრელი გათხარა, ამ ხვრელის წინ უნდა მოკლან და ჩამოჰკიდონ.

§ 22. უკეთუ კაცმა მძარცველობა ჩაიდინა და შეიპყრეს, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 23. უკეთუ მძარცველნი ვერ შეიპყრეს, გაძარცულმა კაცმა თავისი დანაკარგი ღმერთის წინაშე უნდა გამოაცხადოს და თემი და უხუცესი⁵, რომლის მიწაზე ან საზღვრებშიც მძარცველობა მოხდა, დანაკარგს უზღავენ.

§ 24. უკეთუ მოკვდა ვინმე [ძარცვისას], თემმა და უხუცესმა მის სახლს 1 მინა⁶ ვერცხლი უნდა მიუწონონ.

§ 25. უკეთუ ვინმეს სახლში ცეცხლი გაჩნდა და ჩასაქრობად მისულმა კაცმა სახლის პატრონის ჰურჭელს თვალი დაადგა, და სახლის პატრონის ჰურჭელი წაიღო, ეს კაცი ცეცხლში უნდა ჩააგდონ.

§ 26. უკეთუ რედუ ანდა ბაირი⁷, რომელსაც სამეფო ლაშქარში გასვლა ებრძანა, არ გავიდა ან ქირისკაცი დაიქირავა და თავის ნაცვლად გაგზავნა, ეს რედუ ანდა ბაირი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ნაქირავეები კაცი მის სახლს წაიღებს.

§ 27. უკეთუ სამეფო ციხე-სიმაგრიდან ტყვედ წაყვანილი რედუ ანდა ბაირი, რომლის მიწა⁸ და ბალი სამსახურის გასაწევად სხვას გადასცეს, უკან დაბრუნდება და თავის თემს⁹ მიაღწევს, მიწა და ბალი უნდა დაუბრუნონ და მან კვლავინდებურად უნდა გასწიოს თავისი სამსახური.

§ 28. უკეთუ რედუ ანდა ბაირი სამეფო ციხე-სიმაგრიდან ტყვედ არის წაყვანილი, ხოლო მის შვილს სამსახურის¹⁰ გაწევა შეუძლია, მიწა და ბალი მას გადაეცეს და მამის ნაცვლად სამსახური უნდა გასწიოს.

§ 29. უკეთუ მისი შვილი უასაკოა და მამის ნაცვლად სამსახურის გაწევა არ შეუძლია, მიწის და ბალის მესამედი ღედამისს გადაეცეს და ღედამისი გაზრდის მას.

§ 30. უკეთუ რედუ ანდა ბაირი თავის მიწას, ბალსა და სახლს სამსახურის [თავიდან აცილების] გამო დააგდებს და გადაიხვეწება, ხოლო მის შემდეგ მიწას, ბალსა და სახლს სხვა ვინმე დაიპყრს და სამი წლის განმავლობაში მის სამსახურს გასწევს, ის კაცი კიდევ რომ დაბრუნდეს და თავისი მიწა. ბალი და სახლი მოითხოვოს, უკან აღარ მიეცემა. ვისაც უჭირავს, სამსახური კვლავაც მან უნდა გასწიოს.

§ 31. უკეთუ ერთ წელს იქნება გადახვეწილი და მერე დაბრუნ-

დება, თავისი მიწა, ბალი და სახლი უკანვე გადაეცეს და თავისი სამსახური კვლავინდებურად გასწიოს.

§ 32. უკეთუ სამეფო ლაშქრობიდან ტყვედ წაყვანილი რედუ ანდა ბაირი თამქარმა¹¹ გამოისყიდა და მის თემს მიაღწევინა, გამოსასყიდელი თვითონ უნდა გადაიხადოს, თუკი მის სახლში გამოსასყიდელი იპოვება; თუკი მის სახლში გამოსასყიდელი არ იპოვება, მისი თემის ტაძრის სახსრით უნდა იქნეს გამოსყიდული; თუკი მისი თემის ტაძარში გამოსასყიდელი არ იპოვება, სასახლემ უნდა გამოისყიდოს. მიწა, ბალი და სახლი გამოსასყიდლის საფასურში არ გაიღება.

§ 33. უკეთუ დუქუმ ანდა ლუფუთუმ¹² დათხოვნილი ჯარისკაცი¹³ იყოლია ან სამეფო ლაშქრობაში სანაცვლოდ ქირის კაცი აიყვანა და განაწესა, ეს დუქუ ანდა ლუფუთუ სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 34. უკეთუ დუქუმ ანდა ლუფუთუმ რედუს საქონელი მიიტვისა, რედუ შეავიწროვა, რედუ გააქირავა, რედუ სამართალში ძლიერს გადასცა, მეფის ნაბოძები საჩუქარი წაართვა, ეს დუქუ გინა ლუფუთუ სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 35. უკეთუ კაცი ხარს, ანდა ცხვარს, რომელიც მეფემ რედუს მისცა, რედუსგან იყიდის, გადახდილი ვერცხლი დაეკარგება.

§ 36. რედუს, ბაირის და მოხარკის¹⁴ მიწა. ბალი და სახლი ვერცხლზე არ გაიყიდება.

§ 37. უკეთუ კაცმა რედუს, ბაირის ანდა მოხარკის მიწა, ბალი, ან სახლი იყიდა, მისი ფირფიტა უნდა დაიმტკერეს¹⁵ და იგი თავის ვერცხლს დაკარგავს. მიწა, ბალი, ან სახლი პატრონს დაუბრუნდება.

§ 38. რედუ, ბაირი, ანდა მოხარკე თავისი სამსახურებელი მიწიდან, ბალიდან ან სახლიდან თავის ცოლს ან ასულს ვერათერს დაუმტკიცებს და ვერც ვალის საფასურად გასცემს.

§ 39. მას შეუძლია დაუმტკიცოს თავის ცოლს ანდა ასულს ან ვალის საფასურად გასცეს რაიმე მხოლოდ იმ მიწიდან. ბალიდან. სახლიდან ან რომელიც ნაყიდი აქვს და მის მფლობელობაშია.

§ 40. ნადითს¹⁶, თამქარს, ან სხვა ვინმე მსახურეულს შეუძლია გაყიდოს თავისი მიწა, ბალი და სახლი. მიწის, ბალისა და სახლის სამსახური მყიდველმა უნდა გასწიოს.

§ 41. უკეთუ კაცმა რედუს, ბაირს, ანდა მოხარკეს, მიწა, ბალი, ან სახლი გაუცვალა და სართიც მისცა, რედუს, ბაირს, ანდა მოხარკეს შეუძლია უკან დაიბრუნოს თავისი მიწა, ბალი, ან სახლი და აღებული სართიც დაიტოვოს.

§ 42. უკეთუ კაცმა დასამუშავებლად მიწა აიღო, მაგრამ მიწაზე ზორბალი არ მოიყვანა, მიწის სამუშაოს შეუსრულებლობაში უნდა

ამხილონ და მან მიწის პატრონს მომიჯნავე მიწის კვალობაზე ხორბალი გადაუხადოს.

§ 43. უკეთუ მიწა არ დაამუშავა და მიაგდო, მიწის პატრონს მომიჯნავე მიწის კვალობაზე მარცვალი უნდა გადაუხადოს. ამასთანავე მიგდებული მიწა უნდა მოხნას, დაფარცხოს და მიწის პატრონს ჩააბაროს.

§ 44. უკეთუ კაცმა სამი წლით ყამირი მიწა გასატეხად აიღო, მაგრამ იზარმაცა, მიწა არ გატეხა, მეოთხე წელს მიწა უნდა მოხნას, დაბაროს. დაფარცხოს და მიწის პატრონს ჩააბაროს. თან თითო ბურზე 10 გური¹⁷ ხორბალი უნდა მიუწონოს.

§ 45. უკეთუ კაცმა მიწათმოქმედს საღალოდ მიწა მისცა და მიწის ღალაც აიღო. ხოლო შემდეგ მიწა ადადმა¹⁸ დატბორა ან წყალდიდობამ წაღეკა, ზარალი მიწათმოქმედისაა.

§ 46. უკეთუ მიწის ღალა არ აუღია ან მიწა სანახევროდ გინა სამესამედოდ ჰქონდა გაცემული. მიწაზე მოწეული ხორბალი მიწათმოქმედმა და მიწის პატრონმა შესაბამისად უნდა გაიყოს.

§ 47. უკეთუ იმის გამო, რომ პირველ წელს თავისი ნამუშევარი ვერ ამოიგო. მიწათმოქმედი იტყვის: „მიწას კვლავ დაეამუშავებო“, მიწის პატრონი ვერ დაუშლის. მიწა ამ მიწათმოქმედმა უნდა დაამუშავოს, მოსავლის აღებისას მიწის პატრონმა ხორბალი ხელშეკრულების მიხედვით წაიღოს.

§ 48. უკეთუ კაცს ვისიმე ვალი მართებს. მიწა კი ადადმა დატბორა ან წყალდიდობამ წაღეკა. ანდა გვალვის გამო მიწაზე ხორბალი არ მოუვიდა, ამ წელს ხორბალი შეუძლია მევალეს არ დაუბრუნოს, ფირფიტა წაშალოს და ამ წლის სარგებელი არ გადაუხადოს.

§ 49. უკეთუ კაცმა თამქარისგან ვერცხლი აიღო, მერე თამქარს სახორბლე ან სასეზამე მიწა მისცა და უთხრა: „მიწა დაამუშავე. მოწეული ხორბალი ან სეზამი აკრიფე და წაიღე“ და ამის შემდეგ მიწათმოქმედი მიწაზე ხორბალს ან სეზამს მოიყვანს, — მოსავლის აღებისას მიწაზე მოწეული ხორბალი ან სეზამი მიწის პატრონმა უნდა აიღოს: ხოლო თამქარს აღებული ვერცხლისა და მისი სარგებლის ანგარიშში ხორბალი გადაუხადოს და მიწის დამუშავებაზე გაწეული ხარჯებიც აუნაზღაუროს.

§ 50. უკეთუ ხორბლის ან სეზამის დამუშავებულ მიწას მისცემს, მიწაზე მოწეული ხორბალი ან სეზამი მხოლოდ მიწის პატრონმა უნდა აიღოს, ხოლო თამქარს ვერცხლი სარგებელითურთ უნდა დაუბრუნოს.

§ 51. უკეთუ გასასტუმრებელი ვერცხლი არა აქვს, აღებული ვერცხლისა და მისი სარგებლის საღირალი ხორბალი ან სეზამი თამქარს სამეფო ნიხრის მიხედვით უნდა გადაუხადოს.

§ 52. უკეთუ მიწათმოქმედი მიწაზე ხორბალს ან სეზამს არ მოიყვანს, თავის ხელშეკრულებას იგი ვერ შეცვლის.

§ 53. უკეთუ კაცმა თავისი მიწის ჯებირის გასამაგრებლად არ იზრუნა, ჯებირი არ გაამაგრა, ჯებირში ხვრელი გაჩნდა და წყალმა მიწები წალეკა, კაცმა, რომლის ჯებირშიც ხვრელი გაჩნდა, განადგურებული ხორბალი უნდა ზღოს.

§ 54. უკეთუ ხორბლის ანაზღაურება არ შეუძლია, ეს კაცი და მისი ქონება ვერცხლზე უნდა გაიყიდოს. ყანის შვილები¹⁹, რომელთა ხორბალი წყალმა წალეკა. ვერცხლს ერთმანეთში გაიყოფენ.

§ 55. უკეთუ კაცმა სარწყავად საკუთარი რუ გაიყვანა, მერე უყურადღებოდ მიაგდო და მეზობლის მიწა წყალს წაალეკინა, ხორბალი მეზობლის მიწის კვლობაზე უნდა მიუწონოს.

§ 56. უკეთუ კაცმა წყალი გაიყვანა და მეზობლის მიწაზე ნამუშევარი წყალს წაალეკინა, თითო ბურზე²⁰ 10 გური ხორბალი უნდა მიუწონოს.

§ 57. უკეთუ მწყემსი ცხვრისთვის ბალახის მოსაძოვებლად ყანის (მიწის) პატრონს არ შეუთანხმდა და ყანის (მიწის) პატრონის უნებართვოდ ცხვარს ყანა (მიწა) მოაძოვებინა, ყანის (მიწის) პატრონი თავის ყანას (მიწას) მომკის, ხოლო მწყემსი, რომილმაც ყანის (მიწის) პატრონის უნებართვოდ ცხვარს ყანა (მიწა) მოაძოვებინა, ყანის (მიწის) პატრონს თითო ბურზე ზედმეტად 20 გურ ხორბალს გადაუხდის.

§ 58. უკეთუ მინდვრიდან ცხვრის ამოსვლის შემდეგ მთელი ფარა ჰიშკართან დაკავდა²¹, მწყემსმა ცხვარი ყანაში (მიწაზე) მიუშვა და ცხვარს ყანა (მიწა) მოაძოვებინა, მწყემსმა მოძოვილი ყანა (მიწა) უნდა დაიცივას და მოსავლის აღებისას ყანის (მიწის) პატრონს თითო ბურზე 60 გური ხორბალი უნდა მიუწონოს.

§ 59. უკეთუ კაცმა სხვის ბაღში ბაღის პატრონის უნებართვოდ ხე მოჭრა, ნახევარი მინა ვერცხლი უნდა მიუთვალოს.

§ 60. უკეთუ კაცმა ბაღის გასაშენებლად მებაღეს მიწა მისცა, მებაღემ ოთხი წლის განმავლობაში უნდა გაზარდოს ბაღი; მეხუთე წელს ბაღის პატრონი და მებაღე [შემოსავალს] თანაბრად გაიყოფენ. ბაღის პატრონს შეუძლია თავისი წილი აიჩიოს და წაიღოს.

§ 61. უკეთუ მებაღემ ბაღის გაშენება არ დაასრულა, ყამირი დატოვა, ყამირი წილად უნდა ჩაუთვალონ.

§ 62. უკეთუ მიწაზე, რომელიც მას მიეცა, ბაღი არ გააშენა, თუკი ეს მიწა სავარგული იყო, გაცდენილი წლების მოსავალი მებაღემ მიწის პატრონს მეზობლის მიწის კვლობაზე უნდა მიუთვალოს, მიწის სამუშაო შეასრულოს და მიწა პატრონს ჩააბაროს.

§ 63. უკეთუ მიწა ყამირი იყო, მიწის სამუშაო უნდა შეასრუ-

ლოს და მიწა მიწის პატრონს უნდა დაუბრუნოს. ამასთანავე წელიწადში თითო ბურიდან 10 გური ხორბალი უნდა მიუთვალოს.

§ 64. უკეთუ კაცი თავის ბაღს დასამტკერავ მებაღეს მისცემს, მებაღემ, ვიდრე ბაღი მის ხელშია, ბაღის მოსავლის ორი მესამედი პატრონს უნდა აძლოს, ერთი მესამედი თვითონ წაიღოს.

§ 65. უკეთუ მებაღემ ბაღს არ მოუარა, მოსავალი შეამცირა, მებაღემ ბაღის მოსავალი მეზობლის ბაღის კვალობაზე უნდა გადაიხადოს.

§ I. უკეთუ კაცი თამქარისგან ვერცხლს ისესხებს და თამქარი გადახდას მოსთხოვს, მას კი გადასახდელი არ ექნება და თამქარს უკვე დამყნობილ ბაღს მისცემს და ეტყვის: „ფინიკი, რაც ბაღში მოიწევა. შენი ვერცხლის ფასში წაიღეო“, თამქარი არ დაეთანხმება, ბაღში მოწეული ფინიკი ბაღის პატრონმა უნდა აიღოს, ხოლო თამქარს ხელშეკრულების თანახმად ვერცხლი და მისი სარგებელი გადაუხადოს. ბაღში მოწეული დანარჩენი ფინიკი ბაღის პატრონს დარჩება.

§ II. უკეთუ კაცს სახლის აშენება სურს და მისი მეზობელი

§ III. უკეთუ კაცი სამსახურებელი სახლის საყიდლად. რომელიც მეზობლის სახლს ეკუთვნის, ხორბალს, ვერცხლს ან სხვა რამ ქონებას გადაიხდის, ყველაფერი რაც გადაიხადა, დაეკარგება. სახლი სახლის პატრონსვე დაუბრუნდება. უკეთუ სახლი სამსახურებელი არ არის. შეუძლია იყიდოს; ამ სახლისთვის ხორბალს, ვერცხლს ან სხვა რამ ქონებას გადაიხდის.

§ IV. უკეთუ კაცმა მეზობლის ყამირი მეზობლის უნებართვოდ გატეხა, სახლს, რომელიც იქ ააშენა. დაკარგავს. მიწა მის პატრონსვე დაუბრუნდება.

§ V. უკეთუ კაცმა კაცს ერთი წლით სახლი მიაჭირავა. მდგმურმა სახლის პატრონს მთელი წლის ქირა გადაუხადა, სახლის პატრონმა კი მდგმურს ვადაზე აღრე გასვლა მოსთხოვა, სახლის პატრონი, იმის გამო, რომ მდგმური ვადაზე აღრე გაასახლა. მდგმურისაგან მიღებულ ვერცხლს დაკარგავს.

§ VI. (დამტკერელია).

§ VII. . . . სახლის პატრონმა დანგრეული სახლი უნდა შეაკეთოს. თუ რამე დაიკარგა, სახლის პატრონმა მდგმურს დანაკარგი უნდა აუნაზღაუროს. თუკი

§ VIII. უკეთუ კაცმა, რომლის მეზობლის სახლი დაინგრა ან რომლის მეზობლის სახლი გაუჟაკრიელდა. დანგრეული სახლის პატრონს უთხრა: „დანგრეული შეაკეთე, შენი სახლიდან გადმომი-

ძვრებიანო“, ანდა გაუჟაცრიელებული სახლის პატრონს უთხრა; „სახლს მოუარე, შენი გაუჟაცრიელებული სახლიდან ჩემს სახლს შემოთხრიანო“ და (მერე) ყველაფერი, რაც გადმოძრომისას დაიკარგა ან შემოთხრისას მოპარეს, გამოაცხადა.....

§ IX—X. (მომტვრეულია)

§ XI. უკეთუ თამქარმა ხორბალი გაასესხა, თითო ვურზე სარგებელში 100 კა ხორბალი უნდა აიღოს, უკეთუ ვერცხლი გაასესხა. თითო სიკლ ვერცხლზე სარგებელში 1/6 სიკლი და 6 მარცვალ²² უნდა აიღოს.

§ XI. უკეთუ კაცს ვალი მართებს და გადასახდელი ვერცხლი არ გააჩნია, მაგრამ ხორბალი კი აქვს, სამეფო ნიხრის თანახმად თამქარმა სარგებელში ხორბალი უნდა აიღოს. თუკი თამქარმა თითო გურ ხორბალზე სარგებელი 100 კა²³ გადაამეტა ანდა თითო სიკლ ვერცხლზე სარგებელი 1/6 სიკლსა და 6 მარცვალს გადაამეტა და აიღო, ყველაფერი რაც გაასესხა, დაეკარგება.

§ XII. უკეთუ თამქარმა ხორბალი ან ვერცხლი გაასესხა. მთელი ხორბლისა ან ვერცხლის სარგებელი მიიღო, მაგრამ ხორბალი ან ვერცხლი არ.....

§ XIII. უკეთუ თამქარმა ხორბალი ან ვერცხლი გაასესხა. თავნი არ მიუღია, მთელი ხორბლის ან ვერცხლის სარგებელი კი მიიღო, მაგრამ მიღებული ხორბალი ან ვერცხლი არ გამოუბარა და ახალი საბუთი არ დაწერა ანდა სარგებელი თავნს დაუმატა, ამ თამქარმა მიღებული ხორბალი ან ვერცხლი ერთიორად უნდა დააბრუნოს.

§ XIV. უკეთუ თამქარმა ხორბალი ან ვერცხლი გაასესხა, გასესხებისას ვერცხლი მსუბუქი საწონით ანდა ხორბალი მცირე საწყაოთი გასცა. ხოლო მიღებისას ვერცხლი მძიმე საწონით ანდა ხორბალი დიდი საწყაოთი მიიღო, ყველაფერი, რაც მიიღო, დაეკარგება.

§ XV. უკეთუ თამქარმა ხორბალი ან ვერცხლი მოწმეებისა ანდა საბუთის გარეშე გაასესხა, ყველაფერი, რაც გაასესხა დაეკარგება.

§ XVI. უკეთუ კაცმა თამქარისგან ხორბალი ან ვერცხლი ისესხა, მაგრამ გასასტუმრებელი ხორბალი ან ვერცხლი არ გააჩნია, სხვა ქონება კი აქვს, ყველაფერი, რაც მის ხელთაა, თამქარს უნდა მიუტანოს და მოწმეების თანდასწრებით მისცეს. თამქარი უარს ვერ იტყვის, უნდა მიიღოს.

§ XVII—XVIII. (მომტვრეულია).

§ XIX. უკეთუ კაცმა კაცს საამხანაგოდ ვერცხლი მისცა. მოგება და ზარალი, რაც კი იქნება, ღმერთის წინაშე თანაბრად უნდა გაიყონ.

§ 100. უკეთუ თამქარმა შამალუს²⁴ სააღებმიცემოდ ვერცხლი მისცა, გზაზე გაისტუმრა, შამალუმ გზაში (მინდობილი ვერცხლი დააბანდა) და სადაც წავიდა, მოგება ნახა, მიღებული ვერცხლის სარგებელი უნდა ჩაიწეროს; (მგზავრობის) დღეებს დაითვლიან და იგი თამქარს ანგარიშს გაუსწორებს.

§ 101. უკეთუ სადაც წავიდა, მოგება ვერ ნახა, აღებული ვერცხლი შამალუმ თამქარს ერთიორად უნდა გადაუხადოს.

§ 102. უკეთუ თამქარმა შამალუს ვერცხლი ხელის გასამართავად მისცა, შამალუმ კი სადაც წავიდა, ზარალი ნახა, თამქარს მხოლოდ ვერცხლის თავნი უნდა დაუბრუნოს.

‡ § 103. უკეთუ ყველაფერი, რაც მოჰქონდა, მგზავრობისას მტერმა დააგდებინა, შამალუმ ღმერთი უნდა დაიფიცოს და გამართლდება.

§ 104. უკეთუ თამქარმა შამალუს ხორბალი ანდა მატყლი, გინა ზეთი, გინა სხვა რამ საქონელი გასასაღებლად მისცა, შამალუმ ვერცხელზე უნდა იანგარიშოს და თამქარს დაუბრუნოს. შამალუ თამქარისთვის მიცემული ვერცხლის საბუთს მიიღებს.

§ 105. უკეთუ შამალუ დაუდევრად მოიქცა და თამქარისთვის მიცემულ ვერცხლში საბუთი არ აიღო, უსაბუთო ვერცხლი ანგარიშში არ ჩაიგდება.

§ 106. უკეთუ შამალუმ თამქარისგან ვერცხლი აიღო, მერე თავის თამქარს პირი უშალა, თამქარმა კი ღმერთისა და მოწმეების წინაშე შამალუს ვერცხლის მიღება დაუმტკიცა, შამალუმ მიღებული ვერცხლი თამქარს სამმაგად უნდა გადაუხადოს.

§ 107. უკეთუ თამქარმა შამალუს რაიმე მიაბარა, შამალუმ მიბარებული უკან დაუბრუნა, თამქარმა კი მიბარებულის დაბრუნება უარყო, ამ შამალუმ ღმერთისა და მოწმეების წინაშე თამქარი უნდა ამხილოს; თამქარმა იმის გამო, რომ თავის შამალუს პირი უშალა, ყველაფერი, რაც დაიბრუნა, შამალუს ექვსმაგად უნდა გადაუხადოს.

§ 108. უკეთუ მიკიტანი ქალი სასმელის საფასურში ხორბალს არ იღებს, ვერცხლს დიდი საწონით იღებს ანდა სასმელის ღირებულებას ხორბლის ღირებულების მიმართ ამცირებს, ეს სირაჯი ქალი უნდა ამხილონ და წყალში გადააგდონ.

§ 109. უკეთუ მიკიტანი ქალი, ვის სახლშიც ბოროტმოქმედნი შეითქენენ, ამ ბოროტმოქმედთ არ შეიპყრობს და სასახლეში არ მიიყვანს, ეს სირაჯი ქალი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

§ 110. უკეთუ ნადითმა ან ქალქურუმმა, რომელიც ტაძრის უბანში არ ცხოვრობს, სამიკიტნო შეალო²⁵ ანდა სასმელისთვის სამიკიტნოში შევიდა, ეს დედაკაცი უნდა დაწვან.

§ 111. უკეთუ მიკიტანმა ქალმა 60 კა ლუდი გაასესხა, მოსავლის დროს 50 კა ხორბალი უნდა აიღოს.

§ 112. უკეთუ გზაზე დამდგარმა კაცმა ვერცხლი, ანდა ოქრო, ანდა პატიოსანი თვლები, ანდა სხვა რამ ხელის ქონება ვინმეს მისცა და სადმე მისატანად გაატანა, ხოლო ამ კაცმა, რაც გაატანეს, თავის ადგილზე არ მიიტანა და მითვისა, ამანათის პატრონმა ამ კაცს უნდა დაუმტკიცოს, რომ რაც გაატანეს, ადგილზე არ მიუტანია და ეს კაცი ყველაფერს, რაც მას მისცეს, ამანათის პატრონს ერთიხუთად გადაუხდის.

§ 113. უკეთუ კაცი, რომელსაც ხორბალი ანდა ვერცხლი ეკუთვნის, ხორბლის პატრონის უნებართვოდ მისი ბელლიდან ან კალოდან ხორბალს წაიღებს, ეს კაცი ხორბლის პატრონის უნებართვოდ ბელლიდან ან კალოდან ხორბლის წაღებაში უნდა ამხილონ და წაღებულ ხორბალს დააბრუნებს, და ყველაფერი, რაც ადრე გაცემული ჰქონდა, დაეკარგება.

§ 114. უკეთუ კაცმა კაცისგან, რომელსაც მისი ხორბალი ანდა ვერცხლი არ მართებს, ნახუთევი დაიხუთა, თითო ნახუთევზე 1/3 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 115. უკეთუ კაცმა, რომელსაც კაცისგან ხორბალი ანდა ვერცხლი ერგება. მისგან ნახუთევი დაიხუთა და ეს ნახუთევი თავისი დამხუთველის სახლში თავისი ბედისწერით მოკვდა²⁸, ეს საქმე ვერ გასაჩივრდება.

§ 116. უკეთუ ნახუთევი თავისი დამხუთველის სახლში ცემით ან ცუდი მოპყრობით მოკვდა, ნახუთევის პატრონმა თავისი მევალე ამხილოს და თუ ნახუთევი კაცის შვილია, მევალის შვილი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. თუ კაცის მონაა, 1/3 მინა ვერცხლი მიუწონოს, გასესხებული კი დაეკარგება.

§ 117. უკეთუ კაცი ვალებში ჩავარდა, თავისი ცოლი, ვაჟი ანდა ასული ვერცხლზე გაჰყიდა ანდა საკაბალოდ მასცა, სამ წელიწადს მათი მყიდველის ანდა მეკაბალის სახლში უნდა იმუშაონ. მეოთხე წელს კი განთავისუფლდებიან.

§ 118. უკეთუ საკაბალოდ მონა ამ მონაქალი მისცა, თამქარს (გადახდა) დაუგვიანა, თამქარი ვერცხლზე გაჰყიდის, ვერ გასაჩივრდება.

§ 119. უკეთუ კაცი ვალებში ჩავარდა და თავისი მონაქალი, რომელმაც მას შვილები უშვა, ვერცხლზე გაჰყიდა, მონაქალის პატრონს შეუძლია თამქარის მოცემული ვერცხლი თამქარს უკანვე მიუწონოს და თავისი მონაქალი დაიხსნას.

§ 120. უკეთუ კაცმა თავისი ხორბალი კაცის სახლში შეინახა, ბელელში დანაკლისი აღმოჩნდა და სახლის პატრონმა კიდობანი გააღო და ხორბალი წაიღო, ანდა სრულიად უარყო, რომ მის სახლში

ზორბალი ინახება, ზორბლის პატრონმა თავისი ზორბალი ღმერთის წინაშე უნდა გამოაცხადოს და სახლის პატრონი მითვისებულ ზორბლის პატრონს ერთიორად გადაუხდის.

§ 121. უკეთუ კაცმა კაცის სახლში ზორბალი შეინახა, ბელლის ქირად თითო გურ მარცვალზე წელიწადში 5 კა ზორბალი უნდა გადაუხადოს.

§ 122. უკეთუ კაცი ვერცხლს, ანდა ოქროს, ანდა სხვა რამ საქონელს შესანახად ვინმეს აბარებს, ყველაფერი, რასაც აბარებს, მოწმეებს უნდა აჩვენონ, ხელშეკრულება გაამზადოს და შესანახად ისე მიაბაროს.

§ 123. უკეთუ მოწმეებისა ან ხელშეკრულების გარეშე მიაბარა შესანახად და სადაც მიაბარა, უარი უთხრეს, ამ საქმეს სარჩელი არ ექნება.

§ 124. უკეთუ კაცმა კაცს ვერცხლის, ანდა ოქროს. ანდა სხვა რამ საქონელი მოწმეების თანდასწრებით შესანახად მიაბარა და შემდეგ უარი უთხრეს, უარყოფელი უნდა ამხილონ და ყველაფერს, რაც უარყო, ერთიორად გადაიხდის.

§ 125. უკეთუ კაცმა შესანახად რაიმე მიაბარა და, სადაც მიაბარა, მიბარებული ნივთები კედლის განგრევისას ან გადაძრობისას 'სახლის პატრონის ნივთებთან ერთად დაიკარგა, სახლის პატრონმა, რომელიც უყურადღებოდ მოიქცა და შესანახად მიბარებულ ნივთები დაკარგა, პატრონს დანაკარგი უნდა შეუფოს და აუნაზღაუროს. სახლის პატრონმა თავისი დანაკარგი თავად ეძებოს, მპარავს წაართვას.

§ 126. უკეთუ კაცს არაფერი დაჰკარგვია და მაინც იტყვის: „რალაც დამეკარგაო“ და თავის უბანს დასწამებს, მისმა უბანმა ღმერთის წინაშე უნდა განაცხადოს, რომ ამ კაცს არაფერი დაჰკარგვია და იგი ყველაფერს. რასაც ითხოვს, ერთიორად გადაუხდის თავის უბანს.

§ 127. უკეთუ კაცმა ქალქურუმს გინა კაცის ცოლს თითი მიუშვირა. მაგრამ ვერ დაამტკიცა, ეს კაცი მოსამართლეთა წინაშე უნდა დააგდონ და ნახევარი თავი გადაპარსონ.

§ 128. უკეთუ კაცმა ცოლი ითხოვა, მაგრამ ხელშეკრულება არ დაუდო, ეს ქალი არ არის ცოლი.

§ 129. უკეთუ კაცის ცოლს სხვა მამაკაცთან მწოლარეს წაუსწრეს. ორივენი უნდა შეკრან და წყალში გადაყარონ. თუკი ცოლის პატრონი თავის ცოლს შეიწყალებს, მაშინ მეფეც შეიწყალებს თავის ქვეშევრდომს²⁷.

§ 130. უკეთუ კაცმა კაცის ცოლზე, რომელმაც მამაკაცი არ იცის და მამის სახლში ცხოვრობს, ძალა იხმარა, გვერდით მიუწვა

და წაუსწრეს, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ქალი კი ვამარ-
თლდება.

§ 131. უკეთუ კაცის ცოლს თავისმა ქმარმა ბრალი დასდო. მაგ-
რამ სხვა მამაკაცთან მწოლიარეს ვერ წაუსწრო, ქალმა ღმერთი უნდა
დაიფიცოს და თავის სახლში დაბრუნდება.

§ 132. უკეთუ კაცის ცოლს სხვა მამაკაცის მიზეზით თითი მიუ-
შვირეს, მაგრამ სხვა მამაკაცთან მწოლიარეს ვერ წაუსწრეს, ეს
ქალი თავისი ქმრის გულსათვის მდინარეში უნდა ჩაიყვინთოს.

§ 133. უკეთუ კაცი ტყვედ ჩავარდა, სახლში სარჩო ებოვება,—
მისმა ცოლმა, ვიდრე ქმარი შინ არაა, თავი უნდა შეინახოს და მეო-
რის სახლში არ უნდა შევიდეს. უკეთუ ამ ქალმა თავი არ შეინახა,
მეორის სახლში შევიდა²⁸, ეს ქალი უნდა ამხილონ და წყალში გა-
დააგდონ.

§ 134. უკეთუ კაცი ტყვედ ჩავარდა, სახლში კი სარჩო არ ებო-
ვება, მის ცოლს შეუძლია მეორის სახლში შევიდეს²⁹, ბრალი არ ექ-
ნება.

§ 135. უკეთუ კაცი ტყვედ ჩავარდა, მის სახლში კი სარჩო არ
იპოვება, მისი ცოლი ქმრის დაბრუნებამდე მეორის სახლში შევიდა
და შეიღებოდა, მერე მისი ქმარი დაბრუნდა და თავის თემს მოა-
ლწია. ეს ქალი პირველი ქმრის სახლში უნდა დაბრუნდეს, შეიღები-
მამასთან დარჩებია.

§ 136. უკეთუ კაცმა თავისი თემი დააგდო და გადაიხვეწა, ამის
შემდეგ მისი ცოლი მეორის სახლში შევიდა. მერე ეს კაცი დაბრუნ-
და და ცოლის წაყვანა მოინდომა, რაკი ამ კაცმა თავისი თემი მოი-
ძულა და გადაიხვეწა, გადახვეწილის ცოლი ქმარს აღარ დაუბრუნ-
დება.

§ 137. უკეთუ კაცმა განიზრახა გაუშვას შუგითი³⁰. რომელმაც
მას შეიღებოდა უშვა ანდა ნადითი, რომელმაც მას შეიღობი შიძენი-
ნა³¹, ამ ქალს მზითვეი უნდა დაუბრუნონ და შეიღობის გასაზრდე-
ლად მიწის. ბალის ან სხვა ქონების ნახევარი უნდა მისცენ. შეიღე-
ბის გაზრდის შემდეგ იმ ქონებიდან, რაც შეიღებისთვის მიეცა,
ერთი მემკვიდრის წილი უნდა გამოუყონ; ქალი მისი გულის ქმარ-
მა წაიყვანოს.

§ 138. უკეთუ კაცმა განიზრახა გაუშვას თავისი პირველი ცოლი,
რომელსაც მისთვის შეიღებოდა არ უშვია. ქალს მისი ურჯადის საფა-
სური ვერცხლი უნდა მისცენ და მამის სახლიდან გამოყოლილი მზი-
თვეიც გაუმრთელონ. მხოლოდ მაშინ შეეძლება მისი გაშვება.

§ 139. უკეთუ ურჯადი არ ყოფილა, ერთი მინა ვერცხლი გა-
შვებისათვის უნდა მისცეს.

§ 140. უკეთუ ის მუშქენია, 1/3 მინა ვერცხლი უნდა მისცეს-

§141. უკეთუ კაცის ცოლი, რომელიც ქმრის სახლში ცხოვრობს, სახლიდან გასვლას ფიქრობს³², ქონებას იუნჯებს, თავის სახლს აჩანაგებს და ქმარს ამცირებს, უნდა ამხილონ და თუკი ქმარი მის გაშვებას იტყვის, შეუძლია გაუშვას, გზისა და გაშვებისა არაფერი მიეცემა. თუკი მისი ქმარი მის გაშვებას არ იტყვის, ქმარს შეუძლია მეორე ქალი მოიყვანოს. ის ქალი კი ქმრის სახლში მონაქალად დარჩება.

§ 142. უკეთუ ქალმა თავისი ქმარი მოიძულა, „არ მომეკარო“, უთხრა, მისი საქმე მის უბანში უნდა გაირჩეს, თუკი იგი თავშენახულია და ცოდვა არ აწევს, მისი ქმარი კი სახლიდან გადის ხოლმე და ძლიერ ამცირებს მას, ამ ქალს ბრალი არ დაედება, თავის მზითვეს წაიღებს და მამის სახლში წავა.

§ 143. უკეთუ ქალი თავშენახული არ არის, სახლიდან გადის ხოლმე. თავის ოჯახს აჩანაგებს, ქმარს ამცირებს, ეს ქალი წყალში უნდა გადააგდონ.

§ 144. უკეთუ კაცმა ნადითი მოიყვანა, ამ ნადითმა თავის ქმარს მონაქალი მისცა, და შვილები შეაძენინა, კაცმა კი შუგითის მოყვანა განიზრახა, ამის ნება არ მიეცემა, შუგითს ვერ მოიყვანს.

§ 145. უკეთუ კაცმა ნადითი მოიყვანა, ნადითმა შვილები გაუჩინა, კაცმა კი შუგითის მოყვანა განიზრახა. — ამ კაცს შეუძლია შუგითი მოიყვანოს და სახლში შემოიყვანოს. ოღონდ შუგითი ნადითს ვერ გაუთანასწორდება.

§ 146. უკეთუ კაცმა ნადითი მოიყვანა, ნადითმა თავის ქმარს მონაქალი მისცა, რომელმაც შვილები შვა, ხოლო შემდგომ ამ ქალმა თავის ქალბატონთან გათანასწორება დააპირა, რაკი მონაქალმა შვილები შვა, ქალბატონი მას ვერცხლზე ვერ გაყიდის. შეუძლია მხოლოდ (მონობის) ნიშანი დაადოს და მონაქალებში ჩათვალოს.

§ 147. უკეთუ შვილები არ უშვია, მის ქალბატონს შეუძლია ვერცხლზე გაყიდოს იგი.

§ 148. უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ცოლს ციება შეეყარა და კაცმა მეორე ცოლის მოყვანა განიზრახა, შეუძლია მოიყვანოს. ოღონდ ციებიანი ცოლი არ უნდა გაუშვას, ქალმა ქმრის აშენებულ სახლში იცხოვროს და ქმარმა სიკვდილამდე არჩინოს იგი.

§ 149. უკეთუ ეს ქალი ქმრის სახლში ცხოვრებას არ მოისურვებს, ქმარმა მამის სახლიდან გამოყოლილი მზითვეი უნდა გაუმრთელოს და ისე გაუშვას.

§ 150. უკეთუ კაცმა თავის ცოლს მიწა, ბალი ან სხვა რამ საქონელი აჩუქა და ბეჭდიანი საბუთიც მისცა, ქმრის შემდეგ შვილები მას ვერ შეეცილებიან. დედა თავის მემკვიდრეობას საყვარელ შვილს მისცემს, სხვას არ მისცემს.

§ 151. უკეთუ ქალმა, რომელიც კაცის სახლში ცხოვრობს, თავისი ქმარი დაავალდებულა და საბუთი მოაცემინა, რომ ქმრის მევალეები მას არ დაიხუთავენ²³, თუკი ამ კაცს ქალის მოყვანამდე ემართა ვალი, მისი მევალეები მის ცოლს ვერ დაიხუთავენ. თუ ამ ქალს, ვიდრე კაცის სახლში შევიდოდა, ვალი ემართა, ქალის მევალეები მის ქმარს ვერ დაიხუთავენ.

§ 152. უკეთუ მას შემდეგ, რაც ქალი კაცის სახლში შევა. ვალს დაიდებენ, თამქარის წინაშე ორივენი აგებენ პასუხს.

§ 153. უკეთუ კაცის ცოლი სხვა მამაკაცის გულისთვის თავის ქმარს მოაკვლევინებს, ეს ქალი მარგილზე უნდა გასვან.

§ 154. უკეთუ კაცმა თავისი ასული შეიცნო, ეს კაცი თუმიდან უნდა გააძევონ.

§ 155. უკეთუ კაცმა თავის ვაჟს საცოლე აურჩია, ვაჟმა ეს ქალი შეიცნო, და მერე ეს კაცი დაწვა ქალთან და წაასწრეს, ეს კაცი უნდა შეკრან და წყალში გადააგდონ.

§ 156. უკეთუ კაცმა თავის ვაჟს საცოლე აურჩია, ვაჟს ეს ქალი ჭერ არ შეუცვნია, ეს კაცი კი ქალთან დაწვა, ქალს 1/2 მინა ვერცხლი მიუწონოს და ყველაფერი, რაც მამამისის სახლიდან მოჰყვა, სრულად უნდა გაუმრთელოს. ქალი მისი გულის ქმარმა წაიყვანოს.

§ 157. უკეთუ კაცი მამის სიკვდილის შემდეგ დედასთან დაწევა, ორივენი ცეცხლში უნდა დასწვან.

§ 158. უკეთუ კაცს მამის სიკვდილის შემდეგ თავის გამზრდელთან, რომელსაც შვილები ჰყავს ნაშობი, წაასწრეს, ეს კაცი მამის სახლიდან უნდა მოიკვეთოს.

§ 159. უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა. ურვადიც გადაიხადა, ხოლო შემდეგ თვალში სხვა ქალი მოუვიდა და სიმამრს უთხრა: „შენი ასული არ მიმყავსო“, ქალის მამა ყველაფერს, რაც მიუტანეს, თავისთვის დაიტოვებს.

§ 160. უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა. ურვადიც გადაიხადა, ხოლო შემდეგ ქალის მამამ უთხრა: „ჩემს ასულს არ მოგცემო“, ყველაფერი, რაც მას მიუტანეს, ერთიორად უნდა გააბრუნოს.

§ 161. უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა. ურვადიც გადაიხადა, მერე მისმა მეგობარმა³⁴ მას ცილი დასწამა და სიმამრმა ცოლის პატრონს უთხრა: „ჩემს ასულს ვერ წაიყვანო“, ყველაფერი, რაც მიუტანეს ერთიორად უნდა დაუბრუნოს. მისი მეგობარი მის საცოლეს ვერ წაიყვანს.

§ 162. უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ცოლმა შვილები უშვა და ქალი მოკვდა, მის მზითევს ქალის მამა უკან ვერ მოითხოვს. მზითევი შვილებს ეკუთვნის.

§ 163. უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ქალმა შვილები არ გაუჩინა და ეს ქალი მოკვდა, თუკი ურვადს, რომელიც ამ კაცმა სიმამრის სახლში მოიტანა, სიმამრი დაუბრუნებს, ქალის მზითვეს ქმარი ვე-
ლარ მოითხოვს. მისი მზითვეი მამის სახლს ეკუთვნის.

§ 164. უკეთუ სიმამრმა ურვადი არ დააბრუნა, ქმარმა მისი მზითვეიდან ურვადის ღირებულება უნდა გამოკვეითოს და მისი მზითვეი მამამისის სახლში დააბრუნოს.

§ 165. უკეთუ კაცმა თავის მემკვიდრე ვაჟს, რომელიც მის თვალში უპირატესია, მიწა ანდა ბალი, ანდა სახლი აჩუქა და საბუთიც დაუწერა, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ ძმებმა გაყოფა განიზარახეს, მემკვიდრე ვაჟი მამისგან მიცემულ საჩუქარს წაიღებს, ამას გარდა ძმები მამის სახლის ქონებას თანაბრად გაიყოფენ.

§ 166. უკეთუ კაცმა თავის შვილებს, რომლებიც ჰყავს, ცოლები მოუყვანა, მცირეწლოვანი ვაჟისათვის კი არ მოუყვანია. მამის სიკვდილის შემდეგ, როცა ძმები გაყოფას განიზარახავენ, მამის სახლის ქონებიდან მცირეწლოვან უცოლო ძმას მისი კუთვნილი წილის გარდა ურვადის საფასური ვერცხლი უნდა გამოუყონ და ცოლი მოუყვანონ.

§ 167. უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა და ცოლმა შვილები უშვა, ეს ქალი მოკვდა და მის შემდეგ კაცმა მეორე ცოლი მოიყვანა და მან შვილები შვა, მამის სიკვდილის შემდეგ შვილები დედების მიხედვით არ უნდა განიყვნენ. თვითუღმა თავისი დედის მზითვეი უნდა აიღოს, ხოლო მამის სახლის ქონება თანაბრად გაიყონ.

§ 168. უკეთუ კაცი ვაჟის მოკვეთას განიზარახავს და მოსამართლეებს ეტყვის: „ვაჟი უნდა მოვიკვეთო“, მოსამართლენი მის საქმეს გააჩჩევენ და, თუკი ვაჟს მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი მძიმედანაშული არ ჩაუდენია, მამა თავის ვაჟს მემკვიდრეობისგან ვერ მოკვეთს.

§ 169. უკეთუ მამის წინაშე მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი მძიმედანაშული აქვს ჩადენილი, პირველად უნდა აპატიონ; თუკი მეორედ ჩაიდინა მძიმედანაშული, მამას შეუძლია თავის შვილი მემკვიდრეობისგან მოკვეთოს.

§ 170. უკეთუ კაცს პირველმა ცოლმა³⁵ შვილები უშვა, მონაქალმაც შვილები უშვა, და მამამ თავის სიცოცხლეშივე უთხრა მონაქალის შვილებს; „ჩემი შვილები ხართო“ და ცოლის შვილებთან გაათანასწორა, მამის სიკვდილის შემდეგ მამისეული სახლის ქონება ცოლისა და მონაქალის შვილებმა თანასწორად უნდა გაიყონ. პირველი ცოლისაგან ნაშობ მემკვიდრე ვაჟს გაყოფისას შეუძლია თავისი წილი აირჩიოს და წაიღოს.

§ 171. უკეთუ მამამ თავის სიცოცხლეშივე არ უთხრა მონაქალისაგან ნაშობ შვილებს, „ჩემი შვილები ხართო“, მამის სიკვდილის შემდეგ მამის სახლის ქონებას მონაქალისაგან ნაშობი შვილები ცოლის შვილებთან ერთად ვერ გაიყოფენ. მაგრამ მონაქალი და მისი შვილები უნდა გააზატდნენ. ცოლის შვილები მონაქალის შვილების მიმართ მონობის სარჩელს ვერ აღძრავენ. პირველმა ცოლმა უნდა მიიღოს თავისი მზითვეი და საჩუქარი, რომელიც ქმარმა მისცა და საბუთში ჩაუწერა; ქმრის საცხოვრებელში იცხოვროს და ვიდრე ცოცხალია. ამით ისაზრდოს: ვერცხლზე მას ვერ გაყიდის, რადგან მისი მემკვიდრეობა მის შვილებს ეკუთვნის.

§ 172. უკეთუ ქმარს მისთვის საჩუქარი არ მიუცია, მზითვეი უნდა გაუმრთელონ. ამასთანავე ქმრის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილი უნდა აიღოს. უკეთუ შვილები სახლიდან წასვლას აიძულებენ, მოსამართლეებმა მისი საქმე უნდა გააჩიონ და შვილებს სასჯელი დაადონ; ეს ქალი ქმრის სახლიდან არ უნდა წავიდეს. თუკი ქალმა თავად მოინდომა წასვლა, ქმრის საჩუქარი შვილებს უნდა დაუტოვოს, მამისეული სახლიდან წამოყოლილი მზითვეი კი შეუძლია წაიღოს. ქალი მისი გულის რჩეულმა ქმარმა წაიყვანოს.

§ 173. უკეთუ ამ ქალმა, სადაც შევიდა, თავის მეორე ქმარს შვილები უშვა, მერე ეს ქალი მოკვდა, მის მზითვეს პირველი და მეორე ქმრის შვილები გაიყოფენ.

§ 174. უკეთუ მეორე ქმრისთვის შვილები არ გაუჩენია, მისი მზითვეი პირველი ქმრის შვილებმა უნდა წაიღონ.

§ 175. უკეთუ სასახლის მონამ, ანდა მუშქენის მონამ კაცის ასული მოიყვანა და ქალმა შვილები უშვა, მონის პატრონი კაცის ასულის შვილების მიმართ მონობის სარჩელს ვერ აღძრავს.

§ 176. უკეთუ სასახლის მონამ, გინა მუშქენის მონამ კაცის ასული მოიყვანა და, როცა, მოიყვანა, ეს ქალი მამის სახლის მზითვეით შევიდა სასახლის მონის, ანდა მუშქენის მონის სახლში, შეუღლების შემდეგ სახლი აიშენეს³⁶, ქონება შეიძინეს, შემდეგ კი სასახლის მონა, ანდა მუშქენის მონა მოკვდა, კაცის ასულმა თავისი მზითვეი უნდა მიიღოს. ხოლო შეუღლების მერე შეძენილი ქონება ორ ნაწილად უნდა გაიყოს: ნახევარს მონის პატრონი წაიღებს, ნახევარს კაცის ასული წაიღებს თავისი შვილებისათვის. უკეთუ კაცის ასულს მზითვეი არ მოჰყოლია, ყველაფერი, რაც შეუღლების მერე შეიძინეს, ორ ნაწილად უნდა გაყოს: ნახევარს მონის პატრონი წაიღებს, ნახევარს კაცის ასული წაიღებს თავისი შვილებისათვის.

§ 177. უკეთუ წვრილშვილიანმა ქვრივმა მეორის სახლში შესვლა განიზრახა. მოსამართლეთა დასტურის გარეშე ვერ შევა, როცა მეორის სახლში შესვლას დააპირებს, მოსამართლეებმა მისი პირველი

ქმრის სახლის ამბავი უნდა გამოიძიონ, პირველი ქმრის სახლი მეორე ქმარსა და ამ ქალს უნდა ჩააბარონ და საბუთიც ჩამოართვან, რომ სახლს დაიცავენ, უსააკო ბავშვებს გაზრდიან და საოჯახო ჭურჭელს ვერცხლზე არ გააყიდონ. მყიდველს, ვინც კი ქვრივის შვილების ჭურჭელს იყიდის, თავისი ვერცხლი დაეკარგება, ხოლო საქონელი პატრონს დაუბრუნდება.

§ 178-ა. უკეთუ ქალქურუმს. ნადითს. ანდა სიქრს³⁷ მამამ მზითევი მისცა, საბუთი დაუწერა, მაგრამ საბუთში არ ჩაუწერა, რომ მას თავის ნებაზე შეუძლია თავისი მემკვიდრეობის გაცემა, ყოველი სურვილის აღსრულების ნება არ მისცა. მამის სიკვდილის შემდეგ მისი მიწა ან ბაღი მისმა ძმებმა უნდა წაიღონ, ხოლო მას მისი წილის კვალობაზე სარჩო, ზეთი და სამოსელი უნდა აძლიონ და მისი გული შეაჯერონ.

§ 178-ბ. უკეთუ ძმებმა მისი წილის კვალობაზე სარჩო, ზეთი და სამოსელი არ აძლიეს, გული არ შეუჯერეს. მიწა ან ბაღი შეუძლია იმ მიწათმოქმედს ჩააბაროს, ვისაც სასურველად მიიჩნევს: და მიწათმოქმედი მას არჩენს. მიწით, ბაღით და ყველაფრით. რაც მამამ დაუტოვა, ვიდრე ცოცხალია, ისარგებლებს. ოღონდ ვერცხლზე ვერ გაყიდის და ვერც ვალში გადაიხდის. ქალის მემკვიდრეობა მის ძმებს ეკუთვნის.

§ 179. უკეთუ ქალქურუმს. ნადითს. ანდა სიქრს მამამ ბეჭდიანი მზითვის საბუთი დაუწერა და მასში ჩაუწერა, რომ ქალს თავის ნებაზე შეუძლია მემკვიდრეობის გაცემა. ყოველი სურვილის აღსრულების ნება მისცა, მამის სიკვდილის შემდეგ შეუძლია თავისი მემკვიდრეობა თავის ნებაზე გასცეს — ძმები ვერ გამოედავებიან.

§ 180. უკეთუ მამას თავისი ასულისთვის. ტაძრის უბნის³⁸ ნადითისთვის, მზითევი არ მიუცია, მამის სიკვდილის შემდეგ მამის სახლის ქონებიდან ქალმა ერთი მემკვიდრის წილი უნდა ირგუნოს, ვიდრე ცოცხალია, ისარგებლოს. მისი მემკვიდრეობა ძმებს ეკუთვნის.

§ 181. უკეთუ მამამ ნადითი. კადიშითი³⁹, გინა ზერმაშითი⁴⁰ ღმერთს შესწირა და მზითევი არ მიუცია. მამის შემდეგ ამ ქალმა მამის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილის მისამედი უნდა ირგუნოს, ვიდრე ცოცხალია, კამოს. მისი მემკვიდრეობა ძმებს ეკუთვნის.

§ 182. უკეთუ მამამ თავის ასულს, ბაბილონელი მარდუქის⁴¹ ნადითს, მზითევი არ მისცა, ბეჭდიანი საბუთი არ დაუწერა, მამის შემდეგ მამის სახლის ქონებიდან ამ ქალმა ძმებთან გაყრისას თავისი მემკვიდრეობის მესამედი წილი უნდა ირგუნოს, სამსახურის გაწევა არ ევალება. მარდუქის ნადითს თავისი მემკვიდრეობა შეუძლია თავის ნებაზე გასცეს.

§ 183. უკეთუ მამამ თავისი ასული, შუგითი გაამზითვა, ქმარს მისცა და ბეჭდიანი საბუთიც დაუწერა, მამის შემდეგ ეს ქალი მამის სახლის ქონებიდან წილს ვერ ირგუნებს.

§ 184. უკეთუ მამას თავისი ასული, შუგითი არ გაუმზითვებია, ქმრისთვის არ მიუცია, მამის სიკვდილის შემდეგ მისმა ძმებმა მამის სახლის შეძლების კვალობაზე უნდა გაამზითვონ და ქმარს მისცენ.

§ 185. უკეთუ კაცმა უსაკო ბავშვი თავის სახელზე შვილად აიყვანა და გაზარდა, ეს მისი გაზრდილი უკან აღარ მოითხოვება.

§ 186. უკეთუ კაცმა ბავშვი შვილად აიყვანა და მას შემდეგ, რაც: აიყვანა, (ბავშვმა) დედ-მამა მოძებნა, გაზრდილს შეუძლია მამის სახლს დაუბრუნდეს.

§ 187. საკურისის — სასახლის კარზე მდგომის⁴² შვილი და სიქრის შვილი უკანვე აღარ მოითხოვება.

§ 188. უკეთუ ხელოსანმა შვილი გასაზრდელად აიყვანა და თავისი ხელობა შეასწავლა, უკანვე აღარ მოითხოვება.

§ 189. უკეთუ თავისი ხელობა არ უსწავლებია, გაზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდეს.

§ 190. უკეთუ კაცმა ბავშვი, რომელიც შვილად აიყვანა და გაზარდა, თავის შვილებში არ ჩათვალა, ამ გაზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდეს.

§ 191. უკეთუ კაცმა შვილად აყვანილი ბავშვი გაზარდა, თავისი სახლი ააშენა⁴³, მერე შვილები იყოლია და გაზრდილის მოკვეთა განიზრახა, ეს შვილი მისი სახლიდან ხელცარიელი არ უნდა წავიდეს. მამობილმა თავისი ქონებიდან მემკვიდრის მესამედი წილი უნდა მისცეს და ისე გაუშვას. მიწიდან, ბაღიდან ან სახლიდან არაფერს მისცემს.

§ 192. უკეთუ საკურისის შვილი, გინა სიქრის შვილი თავის მამობილს და დედობილს ეტყვის: „ჩემი მამა არ ხარ, ჩემი დედა არ ხარ“, ენა უნდა მოკვეთონ.

§ 193. უკეთუ საკურისის შვილმა, გინა სიქრის შვილმა თავისი მამის სახლს მიაგნო, მამობილი და დედობილი შეიძულა და თავისი მამის სახლში წავიდა, თვალი უნდა ამოთხარონ.

§ 194. უკეთუ კაცმა თავისი შვილი ძიძას მიაბარა და ბავშვი ძიძის ხელში მოკვდა, ხოლო ძიძამ დედ-მამის უჩუმრად სხვა ბავშვი შეაჩვია, ამხელენ და იმის გამო, რომ ბავშვი დედ-მამის უჩუმრად სხვა ბავშვი შეაჩვია, ძიძას ძუძუები უნდა მოკვეთონ.

§ 195. უკეთუ შვილმა მამას გაარტყა, ხელის მტევანი უნდა მოაჭრან.

§ 196. უკეთუ კაცმა კაცის შვილს თვალი ამოუგდო, მასაც უნდა ამოუგდონ თვალი.

§ 197. უკეთუ კაცს ძვალი მოსტება, მასაც უნდა მოსტებონ ძვალი.

§ 198. უკეთუ მუშქენს ამოუგდო თვალი ან მუშქენს მოსტება ძვალი, ერთი მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 199. უკეთუ კაცის მონას ამოუგდო თვალი ან ძვალი მოსტება, მონის ფასის ნახევარი უნდა მიუწონოს.

§ 200. უკეთუ კაცმა თავის სწორ კაცს კბილები ჩაუმტვრია, მასაც უნდა ჩაუმტვრიონ კბილები.

§ 201. უკეთუ მუშქენს ჩაუმტვრია კბილები, ერთი მესამედი მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 202. უკეთუ კაცმა თავისზე აღმატებულ კაცს სახეში შემოჰკრას, ხარის კუდი საჯაროდ 60-ჯერ უნდა შემოჰკრან.

§ 203. უკეთუ კაცმა თავის სწორი კაცის შვილს სახეში შემოჰკრას, ერთი მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 204. უკეთუ მუშქენმა მუშქენს სახეში შემოჰკრა, 10 სიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 205. უკეთუ კაცის მონამ კაცს სახეში გაარტყა, ყური უნდა მოაჭრან.

§ 206. უკეთუ კაცმა კაცს ჩხუბის დროს დაარტყა და ჰრილობა მიაყენა, ამ კაცმა უნდა დაიფიცოს: „განზრახ არ შემომიკრავსო“ და მკურნალს გაუსწორდეს.

§ 207. უკეთუ დარტყმისას შემოაკვდა, უნდა დაიფიცოს და თუ მოკლული (თავისუფალი) კაცია, ნახევარი მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 208. უკეთუ მოკლული მუშქენია, ერთი მესამედი მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 209. უკეთუ კაცმა კაცის ასულს დაარტყა და მუცელი მოსწყვიტა, მუცლის მოწყვეტისთვის 10 სიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 210. უკეთუ ეს ქალი მოკვდა, მკვლელის ასული უნდა მოკლან.

§ 211. უკეთუ კაცმა მუშქენის ასულს ცემით მუცელი მოსწყვიტა, 5 სიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 212. უკეთუ ეს ქალი მოკვდა, ნახევარი მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 213. უკეთუ კაცის მონაქალს დაარტყა და მუცელი მოსწყვიტა, 2 სიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 214. უკეთუ მონაქალი მოკვდა, ერთი მესამედი მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§ 215. უკეთუ მკურნალმა ბრინჯაოს დანით კაცს მძიმე ნაჭრევი გაუყეთა და განკურნა ანდა ბრინჯაოს დანით ლიბრი მოაშორა და თვალი განუკურნა. 10 სიკლ ვერცხლს აიღებს.

§ 216. უკეთუ სნეული მუშქენია, 5 სიკლ ვერცხლს აიღებს.

§ 217. უკეთუ კაცის მონაა, მონის პატრონმა მკურნალს 2 სიკლი ვერცხლი უნდა მისცეს.

§ 218. უკეთუ მკურნალმა ბრინჯაოს დანით კაცს მძიმე ნაჭრევი⁴⁴ გაუყეთა და კაცი შემოაკვდა ანდა ბრინჯაოს დანით ლიბრი მოაშორა და თვალი ამოსთხარა, ხელის მტევანი უნდა მოკვეთონ.

§ 219. უკეთუ მკურნალმა მუშქენის მონას ბრინჯაოს დანით მძიმე ნაჭრევი გაუყეთა და შემოაკვდა, მონის წილ მონა უნდა ზლოს.

§ 220. უკეთუ ბრინჯაოს დანით ლიბრი⁴⁵ მოაშორა და თვალი ამოუგდო, მონის ფასის ნახევარი უნდა მიუწონოს.

§ 221. უკეთუ მკურნალმა კაცს გატეხილი ძვალი გაუმრთელა და მტკივანი სახსარი მოურჩინა, სნეულმა მკურნალს 5 სიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

§ 222. უკეთუ სნეული მუშქენია, 3 სიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

§ 223. უკეთუ კაცის მონაა, მონის პატრონმა მკურნალს 2 სიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

§ 224. უკეთუ ხარის ან ვირის მკურნალმა ხარს ანდა ვირს მძიმე ნაჭრევი გაუყეთა და მოარჩინა, ხარის ან ვირის პატრონმა მკურნალს გასამრჯელოდ 1/6 სიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

§ 225. უკეთუ ხარს ანდა ვირს მძიმე ნაჭრევი გაუყეთა და შემოაკვდა, ხარის ან ვირის პატრონს პირუტყვის ღირებულების 1/4 უნდა გადაუხადოს.

§ 226. უკეთუ დალაქი მონის პატრონის გარეშე მონას ნიშანს მოპარსავს იმ მიზნით, რომ ვერ მოიძებნოს, ხელის მტევანი უნდა მოკვეთონ.

§ 227. უკეთუ კაცი დალაქს შეაცდენს და იმ მიზნით, რომ მონა ვერ მოიძებნოს, მონისთვის ნიშანს მოაპარსვენებს, ეს კაცი უნდა მოკლან და თავის კარებზე ჩამოკიდონ. დალაქმა უნდა დაიფიცოს: „რომ მცოდნოდა არ მოვპარსავდიო“, და გამართლდება.

§ 228. უკეთუ ხურომ კაცს სახლი აუშენა და დაუმთავრა კიდეც, სახლის თითო სარ⁴⁶ ფართობზე გასამრჯელოდ 2 სიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

§ 229. უკეთუ ხურომ კაცს სახლი აუშენა, მაგრამ თავის ნახე-

ლავს სიმკვიდრე დააკლო და სახლი ჩამოინგრა და სახლის პატრონი მოაკვდინა. ეს ხურო უნდა დასაჯონ სიკვდილით.

§ 230. უკეთუ სახლის პატრონის შვილი მოაკვდინა, ხუროს შვილი უნდა მოაკვდინოს.

§ 231. უკეთუ სახლის პატრონის მონა მოაკვდინა, სახლის პატრონის მონის წილ მონა უნდა მისცეს.

§ 232. უკეთუ ქონება გაუნადგურა, ჭანადგურებული ქონება უნდა უზლოს, და რაკი სახლი მკვიდრად არ ააშენა და ამის გამო ჩამოინგრა, დანგრეული სახლი მისი ხარჯით უნდა აშენდეს.

§ 223. უკეთუ ხურომ კაცს სახლი აუშენა, მაგრამ სამუშაოს დააკლო და კედელი გადმოწვა, ხურომ კედელი თავისი ხარჯით უნდა გაამაგროს.

§ 234. უკეთუ მეხომალდემ კაცს 60-გურიანი ხომალდი შეუფისა. ხომალდის პატრონმა გასამრჯელოდ 2 სიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

§ 235. უკეთუ მეხომალდემ კაცს ხომალდი შეუფისა. მაგრამ თავისი საქმე საიმედოდ არ შეასრულა და იმავე წელს ხომალდში ბზარი გაჩნდა ან სხვა რამ ნაკლი აღმოაჩინა, მეხომალდემ ეს ხომალდი უნდა დაშალოს და თავისი ხარჯით ხელახლა შეკრას და შეკრული ხომალდი პატრონს ჩააბაროს.

§ 236. უკეთუ კაცმა თავისი ხომალდი მეხომალდეს მიაქირავა, მეხომალდე დაუდევრად მოიქცა, ხომალდი ჩაიძირა ან დაიღწა, მეხომალდემ ხომალდის პატრონს ხომალდი უნდა უზლოს.

§ 237. უკეთუ კაცმა მეხომალდე და ხომალდი დაიქირავა, ხორბლით, მატყლით, ზეთით, ფინიკით გინა სხვა რამ საქონელით დატვირთა. მეხომალდე დაუდევრად მოიქცა, ხომალდი ჩაიძირა და რაც შიგ იყო, ყველაფერი დაეღუპა. მეხომალდემ ჩაძირული ხომალდი და დაღუპული საქონელი უნდა ზლოს.

§ 238. უკეთუ მეხომალდემ სხვისი ხომალდი ჩაძირა და შემდეგ ამოიტანა, ხომალდის პატრონს მისი ღირებულებების ნახევარი უნდა გადაუხადოს.

§ 239. უკეთუ კაცმა მეხომალდე დაიქირავა, წელიწადში 5 გური ხორბალი უნდა აძლიოს.

§ 240. უკეთუ ნიჩბებიანი ხომალდი აფრებიან ხომალდს დაეჯახა და ჩაიძირა, ჩაძირული ხომალდის პატრონმა ყველაფერი, რაც ხომალდზე განადგურდა, ღმერთის წინაშე უნდა განაცხადოს და ნიჩბებიანი ხომალდის პატრონი, რომელმაც აფრებიანი ხომალდი ჩაძირა, ჩაძირულ ხომალდს და ყველაფერს, რაც განადგურდა, ზღავს.

§ 241. უკეთუ კაცმა ხარი დაიხუთა, 1/3 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

§§ 242—243. უკეთუ კაცმა ხარები ერთი წლით დაიქირავა, თანულლის ხარისათვის ქირად 4 გური ხორბალი, ხოლო საყვერის ხარისათვის; ქირად 3 გური ხორბალი უნდა გადაუხადოს პატრონს.

§ 244. უკეთუ კაცმა ხარი ანდა ვირი დაიქირავა და [პირუტყვი] ველად ლომმა დაგლიჯა, ზარალი პატრონისაა.

§ 245. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა და მოუვლევლობით ანდა ცემით მოკლა, ხარის პატრონს ხარის წილ ხარი უნდა უზღოს.

§ 246. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა, ფეხი მოსტეხა ანდა კისრის ძარღვი გაუწყვიტა, ხარის პატრონს ხარის წილ ხარი უნდა უზღოს.

§ 247. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა და თვალი ამოუგდო, ხარის პატრონს მისი ღირებულების ნახევარი უნდა გადაუხადოს.

§ 248. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა, რქა მოსტეხა ანდა კული მოსწყვიტა, გინა ზურგის ტყავი გადაუტყავა, ხარის ღირებულების მეოთხედი უნდა გადაუხადოს.

§ 249. უკეთუ კაცმა ხარი დაიქირავა, ხარს ღმერთმა დაჰკრა⁴⁷ და მოკვდა, ხარის დამქირავებელმა ღმერთი უნდა დაიფიცოს და გამართლდება.

§ 250. უკეთუ ქუჩაში მიდენილმა ხარმა ვინმეს ურჩოლა და მოკლა, ეს საქმე ვერ გასაჩივრდება.

§ 251. უკეთუ მრჩოლელი ხარის პატრონი მისმა უბანმა გააფრთხილა, რომ მისი ხარი მრჩოლელია, მაგრამ მან თავის ხარს რქები არ გაუბანდა ანდა ხარი არ დააბა და ხარმა კაცის შვილს ურჩოლა და მოკლა, ნახევარი მინა ვერცხლი უნდა გადაიხადოს.

§ 252. უკეთუ მოკლული კაცის მონაა, ერთი მესამედი მინა ვერცხლი უნდა გადაიხადოს.

§ 253. უკეთუ კაცმა კაცი მიწის მოსაველელად დაიქირავა, სახნავსათესი იარაღი ჩააბარა, ხარ-ძროხა მიანდო, მიწის დამუშავება დაავალა, ამ კაცმა კი სათესლე ხორბალი ანდა პირუტყვის საკვები მოიპარა და ხელში უნახეს, ხელის მტევანი უნდა მოკვეთონ.

§ 254. უკეთუ სახნავსათესი იარაღი წაიღო და ხარ-ძროხა დაქანცა, მიბარებული ხორბალი ერთიორად უნდა ზღოს.

§ 255. უკეთუ მინდობილი ხარ-ძროხა გააქირავა ანდა სათესლე შარცვალი მოიპარა და მიწაზე არაფერი მოიყვანა, ამ კაცს ამხელენ და მოსავლის ალებისას თითო ბურჯე 60 გურ ხორბალს მიუთვლის.

§ 256. უკეთუ საზღაურის გადახდა არ შეუძლია, ამავე მიწაზე ხარ-ძროხას უნდა ათრევიონ.

§ 257. უკეთუ კაცმა მიწათმოქმედი დაიქირავა, წელიწადში 8 გური ხორბალი უნდა აძლიოს.

§ 258. უკეთუ კაცმა მეხრე დაიქირავა, წელიწადში 6 გური მარცვალი უნდა აძლიოს.

§ 259. უკეთუ კაცმა მინდვრიდან გუთანი მოიპარა, გუთნის პატრონს 5 სიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს.

§ 260. უკეთუ სახნისი ანდა ფარცხი მოიპარა, 3 სიკლი ვერცხლი უნდა გადაიხადოს.

§ 261. უკეთუ კაცმა ხარ-ძროხის ანდა ცხვრის დასამწყესავად მწყემსი დაიჭირავა, წელიწადში 8 გური ხორბალი უნდა აძლიოს.

§ 262. უკეთუ კაცმა ხარი გინა ცხვარი

§ 263. უკეთუ მიბარებული ხარი ანდა ცხვარი დაიკარგა, პატრონს ხარის წილ ხარი და ცხვრის წილ ცხვარი უნდა უზლოს.

§ 264. უკეთუ მწყემსმა, რომელსაც ხარ-ძროხა ანდა ცხვარი დასამწყემსად ჩააბარეს და გასამრჯელოც სრულად აქვს მიღებული და მისი გული დაჯერებულია, ხარ-ძროხას ანდა ცხვარს შეამცირებს, ნამატს დააკლებს, ნამატი და ლალა ხელშეკრულებისამებრ უნდა გადაიხადოს.

§ 265. უკეთუ მწყემსმა, რომელსაც ხარ-ძროხა ანდა ცხვარი დასამწყემსად ჩააბარეს, ითაღლითა, დამლა შეცვალა და ვერცხლზე გაყიდა, უნდა ამხილონ და მოპარულ ხარ-ძროხას ანდა ცხვარს ერთი-ათად აუნაზღაურებს პატრონს.

§ 266. უკეთუ სადგომში ღმერთის შეხება⁴³ გაჩნდა ანდა ლომმა დაგლიჯა, მწყემსი ღმერთის წინაშე უნდა განიწმიდოს და სადგომის ზარალი სადგომის პატრონს შეხედება.

§ 267. უკეთუ მწყემსი დაუდევრად მოიქცა და სადგომში მუნი გააჩინა, მწყემსმა, რომელმაც სადგომში მუნის გაჩენით ზარალი მოახდინა, ხარ-ძროხის და ცხვრის დანაკლისი უნდა აღადგინოს და პატრონს დაუბრუნოს.

§ 268. უკეთუ კაცი გასალეწად ხარს დაიჭირავენს, ქირა 20 კა ზორბალია.

§ 269. უკეთუ კაცი გასალეწად ვირს დაიჭირავენს, ქირა 10 კა ზორბალია.

§ 270. უკეთუ გასალეწად ახალგაზრდა პირუტყვს დაიჭირავენს, ქირა 1 კა ზორბალია.

§ 271. უკეთუ კაცი ხარ-ძროხას ურემს და მის გამძღოლს დაიჭირავენს, დღიურად 180 კა ზორბალი უნდა აძლიოს.

§ 272. უკეთუ კაცი მხოლოდ ურემს დაიჭირავენს, დღიურად 40 კა ზორბალი უნდა იხადოს.

§ 273. უკეთუ კაცი ქირის კაცს დაიჭირავენს, წლის დასაწყისიდან მეხუთე თვემდე დღიურად 6 მარცვალი ვერცხლი უნდა აძლიოს; მეექვსე თვიდან წლის ბოლომდე კი დღიურად 5 მარცვალი ვერცხლი უნდა აძლიოს.

§ 274. უკეთუ კაცი ხელოსანს დაიჭირავებს, გასამრჯელოდ 5 მარცვალი ვერცხლი, მეაგურეს გასამრჯელოდ [...] მარცვალი ვერცხლი, მქსოველს გასამრჯელოდ [...] მარცვალი ვერცხლი, ქვისმთელს გასამრჯელოდ [...] მარცვალი ვერცხლი, მკედელს გასამრჯელოდ [...] მარცვალი ვერცხლი, დურგალს გასამრჯელოდ 4 მარცვალი ვერცხლი, დაბაღს გასამრჯელოდ [...] მარცვალი ვერცხლი, მეგოდრეს გასამრჯელოდ [...] მარცვალი ვერცხლი, ზუროს გასამრჯელოდ [] მარცვალი ვერცხლი დღიურად უნდა აძლიოს.

§ 275. უკეთუ კაცი საქაპანო ზომალდს დაიჭირავებს, დღიურად მისი ქირა 3 მარცვალი ვერცხლია.

§ 276. უკეთუ კაცი ნიჩბებიან ზომალდს დაიჭირავებს, მის ქირად დღეში ორნახევარი მარცვალი ვერცხლი უნდა იხადოს.

§ 277. უკეთუ კაცი 60-გურიან ზომალდს დაიჭირავებს, მ-ს ქირად დღეში ერთი მეექვსედი მარცვალი ვერცხლი უნდა იხადოს.

§ 278. უკეთუ კაცი მონას ანდა მონაქალს იყიდის და თვის გასვლამდე მონას ბნედამ მოუარა, შეუძლია გამყიდველს დაუბრუნოს; მყიდველი გადაბდილ ვერცხლს უკანვე მიიღებს.

§ 279. უკეთუ კაცი მონას ან მონაქალს, რომლის მიმართ სარჩელია ადძრული, იყიდის, სარჩელზე პასუხს გამყიდველი აგებს.

§ 280. უკეთუ კაცი უცხო ქვეყანაში კაცის მონას ანდა მონაქალს იყიდის და თავის ქვეყანაში დაბრუნებისას მონის ანდა მონაქალის პატრონი თავის მონას ანდა მონაქალს იცნობს, თუკი მონა ანდა მონაქალი ამ ქვეყნის მკვიდრია, უვერცხლოდ უნდა განთავისუფლდეს.

§ 281. უკეთუ სხვა ქვეყნის შვილები არიან, მყიდველმა მიწონილი ვერცხლი ღმერთის წინაშე უნდა გამოაცხადოს, მონის ანდა მონაქალის პატრონმა მიწონილი ვერცხლი თამქარს დაუბრუნოს და თავისი მონა ანდა მონაქალი გამოისყიდოს.

§ 282. უკეთუ მონა თავის პატრონს ეტყვის „ჩემი პატრონი არა ხარო“, პატრონმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი მისი მონაა. და ყურს მოაქრის.

1 კანონების ტექსტში „კაცი“ ჩვეულებრივ გულისხმობს მოსახლეობის თავისუფალი ფენის წარმომადგენელს მუშქენთან და მონასთან დაპირისპირებით. ზოგი მთარგმნელი უთარგმნელად ტოვებს დედნისეულ სიტყვას (awŕlum) როგორც ტერმინს.

2 დამოკიდებული ფენის წარმომადგენელი ბაბილონის საზოგადოებაში (ეტიმოლოგიურად ნიშნავს „დამორჩილებულს“).

3 „მკვდარი“, დედანში: „თავისი ბედისკენ წავიდა“.

4 „სიკლი“ — წონის ერთეული, 8, 4 გ.

5 „უფროსი“ (rabišium) — ადგილობრივ. უხუცესთა საბჭოს უფროსი, მეფის დანიშნული მოხელე და ამგვარად, მისი ხელისუფლების წარმომადგენელი თემში (ან ქალაქში).

- 6 „მინა“ — წონის ერთეული, დაახ. 0,5 კგ.
- 7 „რედუ“, „ბაირი“ — სამხედროვალდებულნი, რომელთაც ამ სამსახურისთვის შეფისგან ეძლევათ მიწა, ბალი და სახლი მათი ვასხვისების ნების გარეშე. „ბაირი“ (bā'irum), როგორც აქადური სიტყვის მნიშვნელობა მოწმობს („თევზის/ფრინველის მკერა“), ალბათ, მომარაგების საქმე ებარა სამეფო ლაშქარში.
- 8 „მიწა“, აქად. eḫlum, ჩვეულებრივ ამ სიტყვას თარგმნიან როგორც „ყანას“, მაგრამ კანონების ტექსტში იგი უფრო მიწის ნაკვეთს უნდა ნიშნავდეს, განურჩევლად იმისა, დამუშავებულია იგი თუ არა. ეს აშკარად ჩანს 44-ე მუხლში. სადაც eḫlum ყამირია. იგი შეიძლება საბაღე ნაკვეთსაც აღნიშნავდეს (მუხლ. 60).
- 9 „თემი“, აქად. šum, ჩვეულებრივ ითარგმნება „ქალაქად“, მაგრამ უფრო თვითმმართველობრივი საზოგადოების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც, სწორედ, აგულისხმება კანონების ტექსტში (შდრ. ლათ. cilitas).
- 10 „სამსახური“, აქად. ilkum (ზმნიდან alākum „სელა“) — სახელმწიფო (ანუ სამეფო) სამსახური, რისთვისაც პირს ეძლევა უძრავი და მოძრავი ქონება, ვიდრე ამ სამსახურს (სამხედროს ან სამოქალაქოს) ასრულებს.
- 11 „თამქარი“ (აქად. მქრ „დაგროვება“, namkurum „ქონება“) — კაპიტალის მქონე პირი, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებს; თამქარი „სამეფო ხალხის“ კატეგორიას ეკუთვნოდა ხამურაბის ხანაში.
- 12 „ლუქუ“, „ლუფუთუ“ — როგორც კონტექსტიდან ჩანს, სამხედრო წოდებებია, რომელთა ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება.
- 13 „დათონილი ჭარისკაცი“ — ან, შესაძლოა, ის პირი, ვისაც რაიმე მიზეზით არ ევალება სამხედრო სამსახური.
- 14 „მოხარკე“, nāš billim „ხარკის მტვირთველი“, იგულისხმება იგივე მსახურეული პირი, რომელიც მისთვის გადაცემული მიწის, ბალისა და სახლის სანაცვლოდ სამსახურს ასრულებს, იხდის სამეფო „ხარკს“ (შდრ. „ქართლის ცხოვრება“, I, 16—17: „და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა“).
- 15 ფირფიტის დამტვრევა საბუთის გაუქმების ტოლფასია.
- 16 „ნადითი“, nadilum „შეწირული“ — ღვთისმსახურ ქალთა ერთი კატეგორია, რომლის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება. ის კი ცხადია, რომ სხვებისაგან განსხვავებით გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს.
- 17 „გური“ — ტევადობის ერთეული, მერყეობს 150—300 ლიტრას შორის.
- 18 „ადადი“ — ტაროსის ღმერთი შეამდინარულ პანთეონში. აქ იგულისხმება სტიქიური უბედურება, უზომო წვიმებით გამოწვეული (ადადის ეპითეტია „წვიმის მანვიმებელი“).
- 19 „ყანის შვილები“ („ყანა“ ugarum — ყანის პატრონები ან მოიჭარადრენი).
- 20 „ბური“ — ფართობის ერთეული, დაახ. 6,3 პა.
- 21 ეს ადგილი დედანში მეტისმეტად ბუნდოვანია, რის გამოც ვერ ხერხდება მისი დამაკმაყოფილებელი ინტერპრეტაცია და თარგმნა.
- 22 „მარცვალი“ — წონის ერთეული, 0,047 გ.
- 23 „კა“ — ტევადობის ერთეული, 0,84 ლიტრა.
- 24 „შამალუ“ — მეწერილმანე ვაჭარი, რომელიც თამქარის დავალებით ასალებს საქონელს.

25 „ღუქანი შეალო“, არსებობს განსხვავებული ინტერპრეტაცია: „ღუქანი გახსნა“ (იგულისხმება სავაქროდ).

26 „თავის სიკედლით მოკვდა“, ღედანში: „თავისი ბედით მოკვდა“.

27 „ქვეშევრდომი“, ღედანში „მონა“.

28 „მეორის სახლში შესვლა“ — ჩვეული გამოთქმა „მეორედ გათხოვებისთვის“.

29 იხ. წინა შენიშვნა.

30 „შეგითი“ — ჩვეულებრივ ნიშნავს „ხარკას“, მაგრამ კანონებში ტაძრის მსახურ ქალთა ერთ-ერთი კატეგორია უნდა იყოს.

31 „შვილები შეაძენინა“ — იგულისხმება, რომ ნადითმა, რომელსაც კაცისთვის შვილები არ უშვია, კაცს მხევალი მოუყვანა; მხველისგან ნაშობი ბავშვები ნადითის შვილებად ითვლებიან ძველადმოსავლური ჩვეულებითი კანონების მიხედვით (ასეთივე კანონი მოქმედებდა მოსეს სამართალში) (შდრ. მუხლ. 144).

32 „სახლიდან გასვლა“ — ქორწინების („სახლში შესვლის“) საწინააღმდეგო მოქმედება, როგორც ოჯახისთვის საზიანო (შდრ. მუხლ. 143).

33 „დაიხუთავენ“ — „დახუთვა“ ვალის სანაცვლოდ დაჭერის, დაკავების მნიშვნელობით იხმარება ძველქართულ სამართლის ძეგლებში (იხ. ი. ჭავჭავაძის, თხზულებანი თორმეტ ტომად, VII, 1984, გვ. 333).

34 „მისი მეგობარი“ — ალბათ, იგულისხმება „მაყარი“, „სიძის მეგობარი“ (შდრ. ეპიზოდი სამსონის ნიშნობისა, მსაჯ. 15,2).

35 „პირველი ცოლი“, *hirtum*, ე. ი. „არჩეული“.

36 „სახლი აიშენეს“ — ალბათ, იგულისხმება არა „სახლი“ ვიწრო მნიშვნელობით, არამედ მთელი მეურნეობა, რომელიც ცოლ-ქმარმა შექმნა, ან ოჯახი მონაგართურთ, როგორც დადასტურებულია ძველ აღთქმაში (მე-2 რგ. 25,9; მე-2 მეფ. 7,27).

37 „სიქრი“ — ღეთისმსახურ ქალთა ერთ-ერთი კატეგორია, რომლის განსაზღვრა არსებული მასალების მიხედვით არ ხერხდება.

38 „ტაძრის უბანი“ — პირობითი თარგმანი გაურკვეველი ტერმინისა, რომელიც თითქოს ნიშნავს „ჩაკეტულ სახლს“ მთელი სატაძრო კომპლექსის სახით.

39 „კადში“ ანუ „წმიდა“ — ღეთისმსახურ ქალთა ერთ-ერთი კატეგორია (ებრაულში ამავე ძირის ლექსემა ნიშნავს „საღვთო როსკოს“).

40 „ზერმაშითი“ („თესლდაკარგული“) — ღეთისმსახურ ქალთა ერთ-ერთი კატეგორია.

41 „ბაბილონელი მარდუქი“ — ბაბილონის იმპერიის მთავარი ღმერთის, მარდუქის, ძირითადი ტაძარი ქალაქ ბაბილონში იყო (იქ იყო „თავი“ მარდუქი). ამით იხსნება „ბაბილონელი მარდუქის ნადითის“ პრივილეგიები.

42 „საპურისის შვილი“ — უნდა ვიგულისხმოთ „შვილობილი“.

43 „თავისი სახლი ააშენა“ — უნდა იგულისხმებოდეს არა სახლის, როგორც „შენობის“, აშენება, არამედ ოჯახის შექმნა, ვინაიდან უსახლოდ ბავშვს ვერ გაზარდიდა.

44 „მძიმე ნაქრევი“ — მძიმე ოპერაცია.

45 „ლიბრი“ — თარგმანი სავარაუდოა.

46 „სარი“ — ფართობის ერთეული, 35,28 კვ. მ.

47 „ღმერთმა დაქრა“ — მოულოდნელი სენის გაჩენა.

48 „ღმერთის შეხება“ — ეპიდემია, რომლის წინაშე ადამიანი უძლურია და ამიტომაც პასუხისმგებლობა ეხსნება, ისევე როგორც წინა შემთხვევაში.

მანიშთუშუს ობელისკი. ეს დოკუმენტი არაერთ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის აქადის დინასტიის დროინდელი შუამდინარეთისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. იგი წარმოადგენს მეფე მანიშთუშუს (2305—2291 წწ.) მიერ ჩრდილოეთ შუამდინარეთის ტერიტორიაზე მდებარე ოთხი საქალაქო თემის — დურსუენის, ქიშის, მარადისა და აქთაბის მცხოვრებთაგან მიწის შესყიდვის აქტს. სულ შესყიდულ იქნა 3429 ჰექტარზე მეტი მიწა, რომელშიაც მეფემ გადაიხადა 9 ტალანტი ვერცხლი, გამოდის, რომ 1 იქუ მიწისათვის მეფეს გადაუხდია დაახლ. 3,5 სიკლი ვერცხლი, რაც იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი ფასია.

დოკუმენტის ტექსტი წარწერილია პირამიდის ფორმის მქონე ბაზალტის სვეტზე. რომლის ოთხ წახნაგზე (A, B, C, D) წარმოდგენილია 15—20-სტრიქონიანი 76 სვეტი. ლურსმული ტექსტის ფოტოპირული ასლი და მისი ტრანსლიტერაცია-თარგმანის პირველი გამოცემა ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს ვ. შეილს (იხ. Scheil V., *Obélisque de Maništu-Irba*, „Délégation en Perse. Mémoires“, 2 (1900), გვ. 1—52), რომელსაც ეყრდნობა წინამდებარე თარგმანი (თარგმანა ჯ. შარაშენიძემ).

A

I. [.....]'. [სულ]: 9 (შარი) [X] (ბური) 5 (იქუ მიწა).
შანიშთუშუმ, სამყაროს მეფემ, იყიდა

II. [24 (ბური) 1 (ეშე) 1 (იქუ) მიწა². მისი ფასი 1463¹/₃ გურსაგალი ჭერი³. ფასი:] 1 სიკლი ვერცხლი 1 გურსაგალი ჭერისათვის. (მთლიანად) მისთვის 24 მინა 23¹/₃ სიკლი ვერცხლი (როგორც) მიწის ფასი, (ხოლო) 3 მინა 39¹/₂ სიკლი ვერცხლი — მიწის (ფასის) დანამატი. (ამასთან ერთად): 1 ვერცხლის „შუქანუ“⁴..., წონით 15 სიკლი ვერცხლი (და) 1 (ხელი) ტანსაცმელი „შულაბალი“⁵ (მიეცა) იდიილის, ეკონომის (შვილის) ლამუშას ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“.

III. [..... ..]უს ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ლამგიუმ ებირმუბის ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ებირილუმ იშთუფსუენის ძეს. სულ: 1 ვერცხლის „შუქანუ“....; სულ: 1 (ხელი) ტანსაცმელი „შულაბალი“; სულ: 3 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ — საჩუქარი მიწისათვის. 1 შურუშქინი, ეკონომის მემკვიდრის ლამუშას ძის იდიილის ძე; 1 იშტუფსუენი.

IV. 1 იბისუენი, 2 შვილი მუდუდაიანუსი — შუნუშუნის მემკვიდრეები. სულ: 7 კაცი, მიწის პატრონები (და) ვერცხლის მიმღებნი. 1 ილიახა, ლაშქრის უფროსის ილულუს ძე; 1 სიაუმი, ეკონომის შვილის ლამუშას ძე; 1 აარილი, მწყემს ბუბალუმის ძე; 1 სუენალშუ, ბუბალუმის შვილის აარილის ძე; 1 თამიში. 1 ზუზუ.

V. იშტუფსუენის 2 შვილი, იარას შვილიშვილები; 1 უმესუენი, ილულუს შვილის კაშუალუმის ძე; 1 ილიასუ აშიკურუდის ძე; 1 ფუდაგან ალაღას ძე; 1 ვარაშუნ მეციილუმის ძე. სულ: 10 კაცი — მიწის პატრონების ძმები. სულ: 17 კაცი — მეზიზის მემკვიდრენი.

4 (ბურუ) 5 (ბური) 1 (ეშე) 5 (იქუ) მიწა. მისი ფასი: 2736 გურსაგალი 96 (სილა) ქერი. ფასი:

VI. 1 სიკლი ვერცხლი 1 გურსაგალი მარცვლისათვის. (მთლიანად) მისთვის 45 მინა $36\frac{2}{3}$ სიკლი ვერცხლი (როგორც) მიწის ფასი, (ხოლო) 6 მინა $50\frac{1}{2}$ სიკლი ვერცხლი — მიწის (ფასის) დანამატი. (ამასთან ერთად): 1 ვერცხლის „შუქანუ“..., წონით 15 სიკლი ვერცხლი (და) 1 (ხელი) ტანსაცმელი „შულაბალი“ (მიეცა) ინანუმს, დურსუენის თემის უხუცესს, იმისუენის ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ შუნიუმს, საჭურველმტვირთველ ვარასუენის ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ვარასუენ იშტუფილის ძეს;

VII. 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ზუზუ აარეას ძეს. სულ: 1 ვერცხლის „შუქანუ“...; სულ: 1 (ხელი) ტანსაცმელი „შულაბალი“; სულ: 3 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ — საჩუქარი მიწისათვის. 1 ილიდან. 1 იმისუენი — დურსუენის თემის უხუცესის ენანუმის 2 შვილი; 1 სინაარ აარეას ძე; 1 ილისალიკ დუდალიკის ძე; 1 ინინმეშუმ დამბაბაბას ძე.

VIII. სულ: 9 კაცი — მიწის პატრონები (და) ვერცხლის მიმღებნი, შიუნის მემკვიდრენი.

4 (ბური) 1 (იქუ) მიწა. მისი ფასი: 243 გურსაგალი 84 სილა ქერი. ფასი: 1 სიკლი ვერცხლი 1 გურსაგალი მარცვლისათვის. (მთლიანად) მისთვის 4 მინა $3\frac{1}{3}$ სიკლი ვერცხლი (როგორც) მიწის ფასი, (ხოლო) $36\frac{1}{2}$ სიკლი ვერცხლი — მიწის (ფასის) დანამატი. (ამასთან ერთად): 1 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ (მიეცა) ილიბანის, ღვთაება ზაბაბას ქურუმის ლამუმის შვილის რაბიილუმის ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ფუზურმამა.

IX. ურინქარის ძეს. სულ: 2 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ — საჩუქარი მიწისათვის. სულ: 2 კაცი — მიწის პატრონები (და) ვერცხლის მიმღებნი — ღვთაება ზაბაბას ქურუმის ლამუმის მემკვიდრენი. სულ: (შესყიდულ იქნა) 1 (შარი) 1 (ბურუ) 4 (ბური) 1 (იქუ) მიწა. საზღვრავს (ამ) მიწას ჩრდილოეთით: შილუკარადუს (მიწა); საზღვრავს მიწას დასავლეთით ლამუმის (მიწა და) მეფის მიწა; საზღვრავს

მიწას აღმოსავლეთით: (მდინარე) ტიგროსი; საზღვრავს მიწას სამხრეთით: ენბუილის (მიწა), დედოფლის (მიწა და).

X. ბაცის (თემის) მიწა. 1 დუდალიკი, ქიშელ ურნინის ძე; 1 სინიცაბი, 1 ილალა, 1 შუილიშუ — არეას შვილის ზუზუს 3 ძე; 1 დუდალიკი, დურსუენის თემის უბუცესის ენანუმის შვილის ხაბაზ ილალას ძე; სულ: 5 კაცი — მოწმეები მიწის (გაყიდვაზე). 190 კაცმა, დურსუენის (თემის) მოქალაქეებმა, ქამეს პური⁸. 1 ილიახუ, მეფის ძმის იბარუმის ძე;

XI. 1 ზუზუ, მდივან-მწერალი (და)...⁹, ლამუმის ძე; 1 უმზი, მოქანდაკე (და) მდივან-მწერალი; 1 მალიჭინშუ, დიდი სუქალის¹⁰ იდაილის ძე; 1 მამახირშუ, ჯარის უფროსის ნანის ძე; 1 შუდაგანი, ტაძრის მეთრნობის ზედამხედველის ნაზითუმის შვილის ბელილის ძე; 1 იშქანუმ შალის ძე; 1 ბიშუშიფნუმი. 1 ეარაბი — ალულუს შვილის ახუხუს 2 ძე; 1 ინშუმიშუდანუ;

XII. პირველი მგალობლის შვილის იშალუმის ძე; 1 ფუზურილი, მოისართა უფროსის ბელიქინუს ძე; 1 უთირუ, 1 შარუქინილი — მუსიკოსის შვილის ბალაგას 2 ძე; 1 ილიშარუ, შუბოსანთა უფროსის იდიშუმის ძე; 1 ილიშუშუ, ალულუს შვილის დალაქ შუმუს ძე; 1 აბილდანი, 1 დურსუნუ — ქალაქ უმას მმართველის აშარიდუმის შვილის შურუშქინის 2 ძე; 1 იცირქულასინი.

XIII. მერიქიფე შვილის ძე; 1 უცაშინათ ქითიდის ძე; 1 ქაქუქაშუალშინ თამას ძე; 1 ურმუშ ლუგალქულის ძე; 1 სიქურმუფი, პირველი მგალობლის ილიახის ძე; 1 მამახირშუ, ილალას შვილის რაბიილუმის ძე; 1 მუმუ ურმარადის ძე; 1 ენბუილი, დიდი სუქალის შვილის დუდალიკის ძე; 1 მუდუდაიანუ, სიფარელ იდინაბის ძე; 1 უბილწასუ, მეწინავე (ჯარისკაცის) ირუზუმის ძე;

XIV. 1 უნაგარი, მეორე ნუბანდის¹⁷ იშიშის ძე; 1 დანილი, სასამართლოს აღმასრულებლის შვილის ირემალიქის ძე; 1 ურუქაგინა, ქალაქ ლაგაშის მმართველის ენგილსას ძე; 1 დანუმი, ლაშქრის უფროსის იშქუნილის ძე; 1 იფულუმი, ქალაქ ბაშიმეს მმართველ ილიშურაბის ძე; 1 ლანი, არუმის შვილის იშმაქას ძე; 1 ილულუ, აქუთუმის შვილის იქრებილუმის ძე; 1 ქალილი, ქუთუელ ლამუმას ძე; 1 ილიშალიკ

XV. შუადადაის ძე; 1 იქშუსინათი, უბუცესთა უფროსის იშიმეს ძე; 1 უბინშარი, დიდი სუქალის შვილის ურურის ძე; 1 მამახუ, მეორე ნუბანდის იბიბის ძე; 1 უბინშარი, ირდანელ ფალაეას ძე; 1 ახუხუ, ხალუმის შვილის შუნუნუს ძე; 1 შუნუნუ, იბიალუს (თემში მდებარე) ღვთაება აბას (ტაძრის) უფროსი ქურუმის ილიდანის ძე; 1 დუდალიკი, დამიკის (თემში მცხოვრებ) ახუხუს შვილის იშუილის ძე; 1 შარუილი, ქალად შარუდის ძე;

XVI. 1 ილიახი ილუმაზუს ძე; 1 დაკუმ ვარასუნის ძე; 1 მუშა-
ირშუნუ, მდივან-მწერალ დადანუმის ძე; 1 ნაბიუმი, დანირიწითუმის
(საქალაქო თემის შემადგენლობაში შემავალი) დამიკუს (სასოფლო
თემის მცხოვრებ) ითითის ძე; 1 თულიდანამი, მუნას შვილის ილი-
ლის ძე. სულ: 49 აქადელი მოქალაქე — მოწმეების მიწის (შესყი-
დვაზე). დურსუნის (საქალაქო თემის შემადგენლობაში შემავალი)
ბაცის (სასოფლო თემის ეს) მიწა მანიშთუშუმ, სამყაროს მეფემ,
იყიდა.

B

I. [2 (შარი) 1 (ბურუ) მი]წა. მისი ფასი: 7200 გურსაგალი ქერი:
ფასი: 1 სიკლი ვერცხლი 1 გურსაგალი ქერისათვის. (მთლიანად)
მისთვის 2 ტლანტი ვერცხლი (როგორც) მიწის ფასი. [...]:

II. 1 ბრინჯაოს სატევარი. ფასი 1 ნივთისა 5 სიკლი ვერცხლი.
მათი (საერთო) ფასი 55 სიკლი ვერცხლი; 3 ოთხსახედრიანი ჰებმუ-
ლობა. ფასი 1 საჯდომი სახედრისა $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი. მათი (საერ-
თო) ფასი 4 მინა ვერცხლი; 1 ხელით (საზიდი) ეტლი; 1 ვერცხლის
ბეჭელი

III. წონით $\frac{1}{3}$ (მინა) ვერცხლი; 1 ბრინჯაოს ცული (და) 1
(ხელი) ტანსაცმელი „შულაბალი“ (მიეცა) ზუზუ ურმარადის ძეს,
ქალაქ ქისლახის მმართველის იქილუმის შვილიშვილს; 1 ტანსაცმე-
ლი „შულაბალი“ [...] ძეს, [...];

IV. 1 ტანსაცმელი „შულაბალი“ იზიფსუ ურდუმბანის ძეს; 1
ტანსაცმელი „შულაბალი“ თირუმ ადანახის ძეს, იდეას შვილიშვილს:
1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ამარურურუს. 1 ტანსაცმელი „შუსიგა“
ბელიშადუს — ზუზუს 2 ძეს, ქალაქ ქისლახის მმართველ იქილუმის
შვილის ურმარადის შვილიშვილებს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ [...];

V. 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ილიახის — ახუმუმბის 2 ძეს, ეას
შვილის იშთუფილის შვილიშვილებს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ რა-
ბიილუმ ფუზურეას ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ კათნუმს, 1 ტან-
საცმელი „შუსიგა“ შუმარეიუმს, 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ბელი-
ბანის — ურაბზუს 3 ძეს, ილიშულაბას შვილიშვილებს; 1 ტანსაცმე-
ლი „შუსიგა“

VI. იკილუმს, 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ახუმუს — იშმაილუმის
2 ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ მუდუ კარადსიფარის ძეს; 1 ტანსა-
ცმელი „შუსიგა“ თუფშიქას, 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ შუილის —
მუდუს 2 ძეს, კარადსიფარის შვილიშვილებს — (სულ): უმნათის 5
მემკვიდრე; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ თუფშიქა იკილუმის ძეს, ურ-
ნინის შვილიშვილს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ მალანისუ თუფშიქას
ძეს, ეას შვილის იკილუმის შვილიშვილს;

VII. 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ მუმაზე ბარაგისის ძეს, ურენლის შვილიშვილს. სულ: 1¹² ოთხსახედრიანი შებმულობა; სულ: 1 ხელით (საზიდი) ეტლი; სულ: 1 ვერცხლის ბეჭედი; სულ: 1 ბრინჯაოს ცული; სულ: 6 (ხელი) ტანსაცმელი „შულაბალი“; სულ: 20 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ — საჩუქარი მიწისათვის. სულ: 26 კაცი, ქალაქ ქისლახის მმართველ ფუშრაბის მემკვიდრენი — მიწის პატრონები (და) ვერცხლის მიძღვნი.

3 (შარი) 3 (ბურუ) 3 (ბური) მიწა. მისი ფასი: 12780 გურსაგალი ქერი. ფასი: 1 სიკლი ვერცხლი 1 გურსაგალი ქერისათვის. (მთლიანად) მისთვის

VIII. 3 ტალანტი 33 მინა ვერცხლი (როგორც) მიწის ფასი. 40 ტალანტი მატყლი. ფასი: 1 სიკლი ვერცხლი 4 მინა მატყლისათვის; მისი (საერთო) ფასი 10 მინა ვერცხლი; 3 ვერცხლის ბეჭედი. მათი (საერთო) წონა 1 მინა ვერცხლი; 6 ბრინჯაოს ცული, 4 ბრინჯაოს საბრძოლო ცული, 3 ბრინჯაოს ღერძი (ეტლისა) — ფასი 1 ნივთისა 5 სიკლი ვერცხლი. მათი (საერთო) ფასი 1 მინა 5 სიკლი ვერცხლი; 3 ოთხსახედრიანი შებმულობა. ფასი 1 საჯდომი სახედრისა $\frac{1}{3}$ (მინა) ვერცხლი. მათი (საერთო) ფასი 4 მინა ვერცხლი; 40 დოქი ზეთი-ფასი: 1 სიკლი ვერცხლი.

IX. 1 სილა ზეთისათვის. მისი (საერთო) ფასი 2 მინა ვერცხლი; 1 მონა, 4 მონა ქალი. ფასი: 1 მონისათვის $\frac{1}{3}$ (მინა) ვერცხლი. მათი (საერთო) ფასი 3 მინა ვერცხლი; 1 (მონა) გოგონა, მისი ფასი 13 სიკლი ვერცხლი. სულ: 21 მინა 18 სიკლი ვერცხლი — მიწის ფასის დანამატი. 1 ოთხსახედრიანი შებმულობა, 1 ხელით (საზიდი) ეტლი, 1 ვერცხლი ბეჭედი წონით $\frac{1}{3}$ (მინა) ვერცხლი, 1 ბრინჯაოს საბრძოლო ცული (და) 1 (ხელი) ტანსაცმელი „შულაბალი“ (მიეცა) იდიეა ურმარადის ძეს, ურქემ თუფშიქას ძის შვილიშვილს;

X. 1 ტანსაცმელი „შულაბალი“ იდიილი ილიშუქარის ძეს; 1 ტანსაცმელი „შულაბალი“ ფუზურიშთარს, 1 ტანსაცმელი „შულაბალი“ ექუქუს — შუმუქინის 2 ძეს, ქალბუმის შვილიშვილებს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ დადა ურმარადის ძეს, 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ამათამა ილუმქარის ძეს — თუფშიქას შვილის ურქემის 2 ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ დამბაბა ილუმქარის ძეს, 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ შალიმახუ დადას ძეს — რაბიილუმის 2 შვილიშვილს;

XI. 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ შუმუეას, 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ედადას — ფუზურიშთარის 2 ძეს, ქალბუმის შვილიშვილებს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ილინუიდ იდიეას ძეს, ურქემის შვილის ურმარადის შვილიშვილებს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ იზიმილუმ იმდუმის ძეს, ურქემის შვილიშვილს. სულ: 1 ოთხსახედრიანი შებმულობა. სულ: 1 ხელით (საზიდი) ეტლი; სულ: 1 ვერცხლის ბეჭედი;

სულ: 1 ბრინჯაოს საბრძოლო ცული; სულ: 4 (ხელი) ტანსაცმელი „შულაბალი“; სულ: 8 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ — საჩუქარი მიწისათვის. სულ: 12 კაცი, ბარუმის (დასახლების) ზედამხედველ

XII. ფუზურუმის შვილის თუფშიქას მემკვიდრენი — მიწის პატრონები (და) ვერცხლის მიმღებნი.

1 (ბურუ) 7 (ბური) მიწა. მისი ფასი 1020 გურსაგალი ქერი. ფასი: 1 სიკლი ვერცხლი 1 გურსაგალი ქერისათვის. (მთლიანად) მისთვის 17 მინა ვერცხლი (როგორც) მიწის ფასი. 6 ტალანტი 48 მინა მატყლი. ფასი: 1 სიკლი ვერცხლი 4 მინა მატყლისათვის. მისი (საერთო) ფასი 1 მინა 42 სიკლი ვერცხლი — მიწის (ფასის) დანამატი. 1 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ (მიეცა) ზუზუს, 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ ირებუმს — გზირის შვილის იშმაილუმის 2 ძეს;

XIII. ფახის შვილის ურურის შვილიშვილებს. სულ: 2 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ — საჩუქარი მიწისათვის. სულ: 2 კაცი, ფახის შვილის ურურის შვილიშვილები — მიწის პატრონები (და) ვერცხლის მიმღებნი. სულ: (შესყიდულ იქნა) 6 (შარი) მიწა. საზღვრავს (ამ) მიწას ჩრდილოეთით: ზიქალამის არხი; საზღვრავს მიწას სამხრეთით: გიშმანუს (თემის) ტაძრის (მიწა); საზღვრავს მიწას აღმოსავლეთით: ამაშთიქის არხი; საზღვრავს მიწას დასავლეთით: აბაიშთაქალ შარუქინის ძის (მიწა და) ღვთაება ნინხურსაგის კაობი. 1 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“ (და) 1 ბრინჯაოს ცული (მიეცა).

XIV. მიწისმზომელ ფაშახილ ურურის ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ (და) 1 ბრინჯაოს ცული მდივან-შწერალ იბლუღილ ნუგალის ძეს; 1 ტანსაცმელი „შუსიგა“ (და) 1 ბრინჯაოს ცული მიწათმომწყობ ურინქარ ბარაქიბას ძეს, აქუილუმის შვილიშვილს. სულ: 3 (ხელი) ტანსაცმელი „შუსიგა“; სულ: 3 ბრინჯაოს ცული — საჩუქარი მიწის მზომელებს. 1 ფუზურლულუ, მოსამართლე ილიასუს ძე; 1 მუდუღილი, დედოფლის (გვარიდან). ღვთაება ლუგალმარადის უფროსი ქურუმი; 1 ილუბანა შაგუბას ძე. თემის უზუცესი;

XV. 1 ბელიამი, შუათუმუდას შვილის ურაფრას ძე; 1 აბუბუ იმიღლუმის ძე. ქაზურაქის (თემის) ზედამხედველი; 1 იშტუფილი ამარურუს ძე, უფროსი ქურუმის შვილიშვილი; 1 მიშუა, ნუბანდა იკილუმის ძე; 1 თირშუ ფუზურლულუს ძე, ბალის შვილიშვილი; 1 ილიახი, ნუბანდა ბილსაგის ძე; 1 მაშაიშუ აბილდანის ძე; 1 ილიბანი. სატეირთო ნავის უფროსის ქალბუმის ძე; 1 ნამურუმ იდაილის ძე; 1 დინგირგუ შუნუსუენის ძე;

XVI. 1 მითლიქი, ნუბანდა იშტუფილის ძე; 1 ილუბანი მიშუას ძე; 1 სიაუმ იდიდაგანის ძე; 1 თუთუ ილის ძე; 1 აქუეა ფუზურეას ძე; 1 ურსუენი, ბელოსანთა უფროსის ურეზენის ძე; 1 ურენგალდუდუ. ემარზას (თემის) უფროსის ურნისაბას ძე; 1 თუთუ, რაბიილის ძმის

ილალას ძე; 1 ილუმქარ იდილუმის ძე; 1 იქრუბილუმ ფუზურშუს ძე; 1 დინგირმუდა იმეას ძე; 1 შუმარეიუმ ინინშათუს ძე; 1 ურფაბილ-საგი.

XVII. მეფის გუთნისდედის ემილის ძე; 1 ახუცაბ ახარშის ძე, ლუგალეზენის შვილიშვილი. სულ: 3 მდივან-მწერალი; სულ: 27 შოწმე (მიწის გაყიდვაზე). 1 ბილიშადუ, მიწისმზომელ ფაშახილუმის ძე; 1 იბლულილი იშტუფილის ძე; 1 იმიილუმ ფუბელის ძე; 1 ილუმგინი, დედოფლის (საგვარეულოს წევრისა და) ღვთაება შარუ-შარადის უფროსი ქურუმის მუდელილუმის ძე; 1 თირუმი, დიდი სუ-ქალის ფურსუმის ძე, ირიშმელის შვილიშვილი; 1 იკბიქინუ, მეწინა-ვე (ჯარისკაცთა) უფროსის ბელიქიშადის ძე; 1 იდაილი აბლული-ლის ძე, ნუგალის შვილიშვილი;

XVIII. 1 ილიახა, ნუბანდა ბელიქიშადის ძე; 1 ნუნიდა ბელი-ამის ძე, შუათუმუდას შვილის ურაფრას შვილიშვილი. 1 ლიშანუმი, ოქრომკვედლის შვილის ურანქის ძე. სულ: 10 (კაცი). მოწმეების შვილები. 1 ბელიქიშად რაბიილუმის ძე; 1 ანუსუ იქრუბილუმის ძე; 1 იშმაილუმ იქრუბეას ძე; 1 იდიილი ხადაბის ძე; 1 ფუზურიშ-თარ ამათამას ძე; 1 ურაფრა, მდივან-მწერალი, შუმუნუმის ძე; 1 დამქუილუმ რაბიილუმის ძე; 1 ფუზურლულუ, ლაშქრის უფრო-სი ბარუმის (თემიდან);

XIX. 1 ქათნუმ რაბიილუმის ძე, ხარდამუნაქის (თემიდან): 1 ურურ შუნიუმის ძე, მარურის (თემიდან); 1 რაბიილუმ ილუმშუა-ხას ძე, ქაულუმის (თემიდან); 1 იდაილი იქუეას ძე, ქაზურაქის (თემიდან). სულ: 12 ნუბანდა და უგულა¹³; სულ: 43 კაცი — მარა-დელეები, მოწმეები მიწის (გაყიდვაზე). 600 კაცმა ქაზალუს (დასახ-ლებაში) ჭამა პური. 600 კაცი ერთ დღეს, 1200 კაცი 2 დღეს; (მათ) ბელიბანის მამულში (და) ეკონომ აბაიშთაქალის (მამულში) ჭამეს პური. მარადის ხალხი¹⁴. (შემდეგ მოდის მეფის მხრიდან სყიდვის აქტში მოწმეებად გამოსული 49 აქადელი მოქალაქის სახელების ჩა-მოთვლა).

XXIV. ... მარადის (საქალაქო თემის) მიწა მანიშთუშუმ, სამყა-როს მეფემ, იყიდა...

1 შესავალში, უნდა ვიფიქროთ, ჩამოთვლილი იყო ის საქალაქო თემები, რომელთა ტერიტორიებზედაც შეისყიდა მეფემ მიწა.

2 აღდგენილია ღურსუენის თემში შესყიდული მიწის ნაკვეთების ფართობთა საერთო ჯამის მიხედვით.

3 მიწის ფასი ჯერ გამოანგარიშებულია ქერის წონითი რაოდენობის მიხედ-ვით, შემდეგ კი გადაანგარიშებულია ვერცხლზე.

4 ვერცხლის ნივთი გაურკვეველი დანიშნულებისა.

5 ტანსაცმლის სახეობა.

6 სიტყვ. „მჭამელნი“.

7 იველისხმება ღურსუენის საქალაქო თემის ტერიტორიაზე მცხოვრები სა-
მი პატრიარქალური ოჯახისაგან შესყიდული მიწების ფართობის საერთო ჯამი.

8 ამ შემთხვევაში იველისხმებიან ღურსუენის თემის სახალხო კრების წევ-
რები, რომლებიც შეკრებილან სათემო მიწის ერთი ნაწილის გაყიდვის აქტის.
დასადასტურებლად. მათ ერთჯერად გამასპინძლებას მყიდველი მხარე — მეფე.
კისრულობს.

9 აღნიშნულ ეპოქაში სუქალი ეწოდებოდა ელჩს, მალემსარბოს.

10 ტექსტის ამ ადგილას გვხვდება თანამდებობისა თუ პროფესიის აღმნიშ-
ვნელი ტერმინი SU. AB, რომლის მნიშვნელობა უცნობია

11 ნუბანდა იყო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელი პირის თა-
ნამდებობა.

12 უნდა იყოს: 3.

13 უგულა იყო ზედამხედველის (მუშათა ჯგუფების, დასახლებული პუნქტის):
თანამდებობა.

14 მყიდველ მხარეს — მეფეს — ორი დღის მანძილზე გამოუყვებავს სათემო-
შიწების გაყიდვის აქტის დასადასტურებლად შეკრებილი მარადის საქალაქო.
თემის სახალხო კრების 600 წევრი.

3) იურადიული საბუთები მონათა შესახებ (თარგმანა ჯ. შარაშენიძემ).

ა) მონათა საჩივრები. ურის III დინასტიის ეპოქა.
(21 ს.).

1) ლურსმელი ტექსტის ავტოგრაფია და ტრანსლიტერაცია — თარგმანი იხ.
Inventaire des tablettes de Tello conservées au Musée Impérial Ottoman, II I.
Textes de l'époque d'Agadé et de l'époque d'Ur, Paris, 1910, № 744;
Falkenstein A., Die neusumerische Gerichtsurkunden, II, München,
1956, № 32.

განაჩენი: შეშქალამ, ურლამას ძემ, (სასამართლოში) განაცხადა:
„მე არა ვარ ურსახაბაბას მონა“. მაგრამ (რადგანაც) ლუდუგამ და
დადუმუმ დაადასტურეს, (რომ) შეშქალას მამა ურლამა პურისა (და)
მატყლის სარგოს ღებულობდა მდივან-მწერალ ალას ხელიდან ურ-
სახაბაბა ნამუს ძის სახლში, როცა ის (იქ) მონად იყო (და) შეშქა-
ლა, (ამჟამად) მონა, ურლამას (სწორედ) მაშინ შეეძინა, (ამის გამო).
მონა (შეშქალა) ურსახაბაბას მემკვიდრეობით გადაეცა¹. (საქმის
გარჩევისას) ზედამხედველი იყო თიერმახთა. მოსამართლეობდა ლუ-
შარა. წელი, (როცა) მეფე შუსუენამ (ღვთაებებს) ენლილსა (და)
ნინლილს მაღალი სტელა აღუმართა².

1 როგორც ირკვევა, ურლამა თავისი ვაჟის შეშქალას დაბადების მომენტში
ჩანს, დროებით იყო მონად ურსახაბაბას სახლში, შეიძლება დავალიანების გამო;
შეშქალას მიერ საქმის აღძვრის დროს კი იგი მონად აღარ უნდა ყოფილიყო,
თორემ საქმის გასაჩივრებას აზრი აღარ ექნებოდა.

2 ასე იწოდებოდა შესუენას მეფობის მე-9 წელი — 2050 წ.

2). თარგმანი ეყრდნობა შემდეგ გამოცემებს: Thureau-Dangin F., Recueil des tablettes Chaldéennes, Paris, 1903, № 290; Falkenstein A., Die neusumerische Gerichtsurkunden, II, No. 44.

განაჩენი: მონა დინილი, მისი ცოლი იმთიღამი (და) მათი ქალ-ვაჟი ინსპექტორმა ანახინიმ ნახევარ მინა ვერცხლად იყიდა აბანე-გიმისაგან. მონის ცოლმა იმთიღამმა მას შემდეგ, რაც იგი უკან დაბრუნდა¹, მასზე (ანახინიმზე) სიტყვა აღძრა, (მაგრამ) მონა, მონა ქალი (და) მათი ქალ-ვაჟი (მაინც) ანახინიმს გადაეცა. (საქმის გარ-ჩევისას) ზედამხედველი იყო ურლამა ქალას ძე. მოსამართლეობ-დნენ: ლუშარა, ლუებგალი, ლუდინგირა (და) ურსათარანა.

2 ჩანს, იმთიღამი ჩვენთვის უცნობი მოტივით თავისი ოჯახის გაყიდვას უკანონოდ თვლიდა. იგი მყიდველისაგან გამოქცეულა, ანახინიმის (მყიდველის) წინააღმდეგ საქმეც აღძრავს სასამართლოში, მაგრამ ეს საქმე იმთიღამს წაუგია.

ბ) ი უ რ ი დ ი უ ლ ი ს ა ბ უ თ ე ბ ი მ ო ნ ა თ ა ქ ო ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

1) თარგმნისას გამოყენებული იყო გამოცემები: Inventaire des tablettes de Tello conservées au Musée Imperial Ottoman, III 2. Textes de l'époque d'Ur, Paris, 1912, № 6558; Falkenstein A., Die neusumerische Gerichtsurkunden, II, № 129.

განაჩენი: ურბადზირამ, ლუშაგა ურდინგირას ძის მონამ, (სასამართლოში) თქვა: „ილაქურუბმა ხახვი მოიპარა“. მან (ილაქურ-რუბმა) ის თავის სახლში წაიღო. შემდეგ, როცა ლუგალამაშმა ამორეველ¹ ურიგალიბას მონამ, თქვა: „მან ჩემი ხახვიც მოიპარა“, იგი ურბადზირას ემოწმა...

1 ასე უწოდებდნენ დასაველთელი სემიტების ზოგიერთ ტომს, რომლებმაც შუამდინარეთში შემოღწევა ურის III დინასტიის ეპოქაში დაიწყეს.

2). თარგმანი ეყრდნობა შემდეგ გამოცემას: Falkenstein A., Die neusumerische Gerichtsurkunden, II, № 132.

ავილუმშალიმმა, შუილის კაცმა¹, უთხრა ურბას მონა ნუსქუს: „მე მოგიყვან შენს დაკარგულ ხარს“, ამისათვის მან (ნუსქუმ წინასწარ) მისცა მას (ავილუმშალიმს) 9 მინა მატყლი (საჩუქრად, მაგრამ) მან ხარი მას არ მიუყვანა. მან (ნუსქუმ სასამართლოს ძალით) მოითხოვა (მატყლის) უკან დაბრუნება. ილუმამ დაიფიცა².

ლუგალგიგირე (და) ლუქაზალა იყვენენ მოწმეებად. წელი, (როცა) მეფე ამარსუნამ ურბილუმის (ქვეყანა) გაანადგურა³.

1 იგულისხმება მსახური, დამოკიდებული პირი.

2 უნდა ვიფიქროთ, იღუბა ამ შემთხვევაში საქმის შინაარსის მცოდნე პირია და, როგორც ჩანს, სასამართლოს მოახსენა კიდეც ამის შესახებ ფიცის ქვეშ.

3 ამარსუნას მეფობის მე-2 წელი — 2063 წ.

გ) მონათა განთავისუფლება და თვითგამოსყიდვა

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Falkenstein A., Die neusumerische Gerichtsurkunden, II, München, 1956, № 75.

(სასამართლოს გადაწყვეტილება) ურსაგებას, უხის მონის (საქმესთან დაკავშირებით): უხის შვილები ლუბაბა და ლუნიგირსუ (სასამართლოში) გამოცხადდნენ (და თქვეს): „მეფის სახელი (დაგვიფიცინია იმის თაობაზე, (რომ) მონა ურსაგუბა (ნამდვილად) განთავისუფლეთ; იგი, დაე, „კაცის შვილი“ გახდეს“¹. მონა ურსაგუბას განთავისუფლების (საქმეზე) მოწმეებად მოწვეულ იქნენ² ლუგიშმარე, ლუგუბა, ლუინანა, ქანიზი, ლუბალაშაგა, სიმთური (და) ნინ[...]ზი. ლუგალდუგანამ, ნინშუგიგიმ (და) ქალა ბაზის ძემ დაიფიცეს. ურსაგუბა და მისი შვილები „პირობით თავისუფლები“² გახდნენ. (საქმის გარჩევისას) ზედამხედველი იყო ლუგინა. მოსამართლეობდნენ: ლუშაგა, ლუებგალა, ლუდინგირა (და) ურსათარანა.

წელი, (როცა) სიმანუმის (ქვეყანა) იქნა განადგურებული³.

1 „კაცის შვილად“, ე. ი. მამის სახელით ძველ შუამდინარეთში იწოდებოდა მხოლოდ თავისუფალი პირი.

2 ეს იმას ნიშნავს, რომ ურსაგუბა და მისი შვილები დაბადებიდან კი არ ყოფილან თავისუფლები, ისინი ასეთებად გახდნენ მხოლოდ გარკვეული პირობით — განთავისუფლების შედეგად.

3 მეფე ურსუნას ზეობის მე-3 წელი — 2053 წ.

III. სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო- ადმინისტრაციული შინაარსის დოკუმენტები

1) გუღიას ძანდაკების ტექსტი B

ჩვენს დრომდე ლაგაშის VI დინასტიის მმართველის გუღიას (ძვ. წ. 2143—2124 წწ.) საკმაოდ მრავალრიცხოვანმა წარწერებმა მოაღწიეს. ისინი შესრულებულია მის ქანდაკებებსა და ორ ცილინდრზე.

ე. წ. ქანდაკება „L'Architecte au plan“ ანუ „B“ აღმოჩენილია ე. დე სარზევის მიერ გირსუს ტაძარში და დაცულია ლუვრში. მისი სიმაღლე 93 სმ-ია. იგი დამზადებულია მწვანე დიორიტისგან. გუდუა ზის. აცვია ფოჩებიანი მოსასხამი. თავი მომტკვრეულია და აცლია. ქანდაკებას ხელები გულზე აქვს დაკრეფილი, ფეხები კი შიშველი და ერთმანეთს მჭიდროდ მიკრული. წარწერა ზურგზე ნაწილობრივ ფარავს ტანსაცმლის კიდეს. ხელის სიგანე შეადგენს 7 სმ-ს, ხოლო მანძილი იდაყვიდან ხელის მტევანამდე 14,2 სმ-ია. მუხლებზე გუდას უდევს დაფა, რომელზედაც აღბეჭდილია შენობის ძირითადი გეგმა, მის მახლობლად კი — განზომილებებიანი ჯოხი [Johansen F., Statues of Cudea Ancient and Modern; Mesopotamia, Vol. 6, Copenhagen, 1978, გვ. 10]. ქართულად ითარგმნა პირველად.

თარგმანი შესრულებულია შემდეგ გამოცემებზე დაყრდნობით: Sarzec de E., Découvertes en Chaldée, vol. II, Paris, 1884—1912; Thureau-Dangin F., Die Sumerischen und Akkadischen Königsinschriften, Leipzig, 1907. Falkenstein A., Grammatik der Sprache Gudeas von Lagas, Bd. I—II, 1949—1950, Rome. თარგმნა ნ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ა მ.

ნინგირსუს¹, მისი მეფის ტაძრიდან ლაგაშის² ენსის³ გუდას ქანდაკებისათვის, რომელმაც ენინუ⁴ ააშენა 1 სილა ლუდი, 1 სილა პური, 1/2 სილა გაცრილი ფქვილი, 1/2 სილა შემწვარი პური შეადგენს მისთვის დაწესებულ შესაწირს. (თუ რომელიმე) ენსი გააუქმებს ნინგირსუსს განჩინებას და წეს-ჩვეულებებს. დაე მისი შესაწირი ნინგირსუს ტაძრიდან უკუგდებულ იქნას, დაე მისი სიტყვები შებოკილ იქნან.

ნინგირსუს, ენლილის⁵ გამორთავმირს. გუდეამ, მარადიულმა სახელმა, ლაგაშის ენსიმ, ნინგირსუს მიერ გულით არჩეულმა მწყემსმა, იმან, ვისაც მოწყალედ შეხედა ნანშემ⁶, ღვთაება ნინდარას⁷ მიერ ძალაბოძებულმა, რომელსაც გონება მიანიჭა ბაბამ⁸, გათუმდუგის⁹ მიერ შობილმა ვაჟმა, რომელსაც მბრძანებლობა და კვერთხი უბოძა იგალიმმა¹⁰, ცოცხალი არსებით აღვისილმა შულშაგის¹¹ მიერ, სახალხო კრებაზე უპირველესად გამობრწყინებულმა ნინგიზზიდას¹², მისი ღმერთის მიერ, როცა ნინგირსუმ თავის ქალაქს მოწყალედ გადახედა, გუდეა ქვეყნად ჰეშმარიტ მწყემსად აირჩია, 36000 კაცს შორის თავისი ხელით აირჩია, ქალაქი განწმინდა, აგურის ყალიბი დადგა, აგური ციენის (დახმარებით) აირჩია, საშინელი კუდიანები, ხალხი—კაცები (და) ქალები, რომლებიც წყევლა-კრულვას წარმოსთქვამდნენ, ქალაქიდან გააძევა. ეს აგურების კალათა ქალს არ აუწვევია, კაცები უშენებდნენ (ნინგირსუს). ნინგირსუს ტაძარი ერედუს¹³ მსგავსად წმინდა ადგილზე ააშენა.

მათრახი არ სცემდა, ქამარი არ სცემდა, დედა თავის ძეს არა-

ფერს არ ურტყამდა, ნაცვალი, ზედამხედველი, გადასახადების ამკრე-
ფი. ალოობისთვის გამწესებული ხალხი, მატყლის მპენტავეები — მათი
ხელები უქმობდნენ. ქალაქის სასაფლაოზე ნიჩაბს არ იყენებდნენ,
გვამს მიწას არ აბარებდნენ, მგალობელს არ მოჰქონდა ჩანგი, ცრემ-
ლები არ იღვრებოდა. მოზარე არ მოთქვამდა, ლაგაშის ფარგლებში
მოდავეები ფიცის ადგილზე არავის არ მიჰყავდა, მევახზე არავის სახლ-
ში არ შედიოდა. ნინგირსუსთვის, თავისი მეუფისთვის. ყველაფე-
რი შესანიშნავად გააკეთა. ენინუ — მისი ბრწყინვალე ანზუ¹⁴ ააშენა,
თავის უწინდელ ადგილს დაუბრუნა, მის (ტაძრის) შუაგულში მისი
(ნინგირსუს) საყვარელი გიგუნუ¹⁵ სურნელოვანი კედარისაგან ააშენა.

როცა მან ნინგირსუს ტაძარი ააშენა, ნინგირსუმ, მისმა საყვა-
რელმა ბატონმა, ზემო ზღვიდან¹⁶ ქვემო ზღვამდე¹⁷ გზა გაუხსნა. ამა-
ნუმიდან¹⁸ — კედარების მთებიდან... კედარი, მისი სიგრძე... წყრთაა,
... კედარი მისი სიგრძე 50 წყრთაა. ბზა. მისი სიგრძე 25 წყრთაა. მო-
რებად შეკრა (ისინი) და ამ მთებიდან ჩამოიტანა. საჭურველი შარუ-
რი — მისი ბრძოლის ქარიშხალი შეუქმნა მან (ნინგირსუმ გუდეას),
სპილენძის იარაღი შარგაზი — „შვიდთვალა“ შეუქმნა მან. საჭურ-
ველი შეუქმნა მას. ეს კედარი დიდი ჭიშკრისთვის დაამუშავა,
დულქუგუ¹⁹ ჭრელი დაამზადა, მის ემასში²⁰... ჭერის კო-
ჭებად დააწყო. ურშუდან²¹, ებლას²² მთებიდან მაღალი ღვიე-
ბი, დიდი სოჭის ხეები, ქადრები, მთის ხეები მორებად გარანდა. ენი-
ნუში ჭერის კოჭებად დააწყო. უმანუმიდან²³, მენუას მთებიდან. ბასა-
ლადან²⁴ — მართუს²⁵ მთებიდან დიდი ლოდები წამოიღო. სტელა
დაამზადა. ენინუს ეზოში აღმართა. თიდანუმიდან²⁶. მართუს მთები-
დან ალუბასტრის ლოდები წამოიღო, მისგან ურფადები²⁷ გააკეთა
და... დააყენა. აბულეთში²⁸, ქიმაშის²⁹ მთაში სპილენძი ამოთხარა,
მისგან კვერთხი „ნუბენული“ გააკეთა, მეღუხადან³⁰ ნიკერჩხალი
წამოიღო და დაამუშავა. ზანიმის³¹ ლოდი წამოიღო. მისგან კვერთხი
სახელწოდებით „სამთავიანი ძაღლი“ გააკეთა. ოქროს მადანი წამო-
იღო. კაპარჭი დაამზადა. ...წამოიღო, გუბინადან³², ტირიფებით და-
ფარული მთებიდან, ტირიფები წამოიღო, „სახურავის შესანიშნავი
ფრინველი“ დაამზადა. მადგადან³³, შუბდათას ხალხის ასფალტის მთე-
ბიდან ასფალტი, რომელიც ხარკია, წამოიღო, ენინუს საძირკველი ააშე-
ნა. თიხა ...წამოიღო, ბარსიფას³⁴ მთებიდან ნალუას³⁵ ქვით დიდი ხომალ-
დები დატვირთა, ენინუს საძირკველი გაამაგრა. ანშანის³⁶ და ელამის³⁷
იარაღი დაამარცხა. მისი ((ცოცხალი) ნადავლი ნინგირსუს ენინუში შე-
უყვანა. გუდეამ, ლაგაშის ენსიმ, როცა ნინგირსუს ენინუში აუშენა. მა-
რადიული (საქციელი) ჩაიდინა. გეგმის მიხედვით აშენებული ტაძარი
არც ერთ ენსის ნინგირსუსთვის არ აუგია. მან (გუდეამ) ააგო. საბელი
დააწერა. ყველაფერი ბრწყინვალედ ააგო, ნინგირსუს ნაბრძანები ქეშ-

შარიტად შეასრულა. მაგანის³⁸ ქვეყნიდან დიორიტი წამოიღო. ქანდაკე-
ბა. გამოკვეთა, „ჩემს მეუფეს მისი ტაძარი ავუშენე, სიცოცხლე არის
ჩემი საჩუქარი“ — ეს სახელი უწოდა მას (ქანდაკებას) და ენინუში
შეიყვანა.

გულდა ქანდაკებას აძლევს ბრძანებას: „ქანდაკებავ! ჩემს მეუ-
ფეს უთხარი, როცა ენინუ, მისი საყვარელი ტაძარი აუშენა, თვისი
სული შეიმსუბუქა, ხელები დაიბანა. 7 დღის განმავლობაში მარ-
ცვალს არ ფქვავდნენ, მხევალი თავის ქალბატონს გაუტოლდა, მონა
თავის ბატონის გვერდით ვიდოდა. ჩემს ქალაქში ძალა და უძღურება
ერთმანეთის გვერდით არსებობდნენ. ტაძარს მტრობა განაჩიდა, ნან-
შეს სამართლიანობა მან (გულდავ) ნინგირსუსთვის აღასრულა. ობოლს
შდიდარი არაფერს უშავებდა, ქვრივს ძლიერი არაფერს უშავებდა,
სახლში, რომელსაც ძე არ ჰყავდა, მისი ასული შედიოდა მემკვიდ-
რედ“. ეს სიტყვები ქანდაკებამ მიიღო. ეს ქანდაკება არც ვერცხლის-
გან და არც ლილა-ქვისგან, არც სპილენძისგან და არც კალისგან, არც
ბრინჯაოსგან ადამიანის მიერ არ დამზადებულა. იგი დიორიტისაა. დაე
ღმერთის სამსხვერპლოსთან იდგეს. დაე ძალით არავინ არ გაანადგუ-
როს, შენს წინაშე (მდგომი) ქანდაკება ნინგირსუსია.

ის, ვინც გულდას, ლაგაშის ენის ქანდაკებას. რომელმაც ნინგირ-
სუს ენინუ ააშენა, ენინუდან გამოიტანს. ან წარწერას წაშლის. ვინც
შას გაანადგურებს, ახალი წლის კეთილ დღესასწაულზე ის. ვინც ჩემი
ღმერთის მსგავსად მისი ღმერთის ნინგირსუს მიერ, რომელიც ჩემი
მეუფეა, ხალხს შორის გამოცხადებული იქნება. ჩემს გადაწყვეტი-
ლებებს დაარღვევს, ჩემს საჩუქრებს წაიღებს, ჩემი შედგენილი ლო-
ცვებიდან ჩემს სახელს ამოიღებს (და) თავის სახელს ჩასვამს.

ვინც გულდას, ლაგაშის ენის ბრძანებას შეცვლის. მის გადაწყვე-
ტილებებში რაიმეს დაარღვევს. ანმა³⁹. ენლილმა. ნინბურსანგმა⁴⁰, კე-
თილმა ენქიმა⁴¹, სუენმა⁴², მისი სახელის ახსნა ვერავის ძალუძს, ნინ-
გირსუმ-საქურგლის მეუფემ. ნანშემ — „მიწაყრილის“ ქალბატონმა,
ნინდარამ — გმირმა-მეუფემ, ლაგაშის დედა — ნათელმა გათუმდღუგ-
მა, ბაბამ — ქალბატონმა. ანის პირმშო ასულმა, ინანამ⁴³ — ომის ქალ-
ბატონმა, უთუმ⁴⁴ — სინათლის მეუფემ. ხენდურსანგმა⁵⁵ — ქვეყნის მაც-
ნემ, იგალიმმა, შულშაგამ, ნინმარამა⁴⁶ — ნანშეს პირმშო ასულმა. დუმუ-
ზიაბზუმ⁴⁷ — ქინუნირის⁴⁸ ქალბატონმა. ჩემმა ღმერთმა ნინგირსუიდან
დაე, შეცვალონ მისი ბედი. დაე, ხარის მსგავსად, მისი აყვავების დღეს,
მოკლან, ველური ხარის მსგავსად, დაე. მრისხანედ მიწას დაანარცხონ,
ტახტი, რომელიც მან აღმართა, დაე მტვერში ჩაამხონ. ეს წარწერა
და სახელი დაე გულმოდგინედ წაშალონ. მისი სახელი მისი ღმერთის
ტაძრიდან წარწერიდან დაე განდევნონ. მისი ღმერთი ქვეყნის და-
ქცევას, დაე, ნუ იღებს ყურად, დაე, ციურ ნამს პირი აბრუნებინოს,

დაე, წყალს ხმელეთზე პირი აბრუნებინოს, დაე, იგი უსახელოდ აქციოს, დაე, მისი მმართველობისას მოსავალი ნუ იქნება. ეს ადამიანი, როგორც ის, ვინც სამართლიან ადამიანს ბოროტება მიაყენა... დაე, იყოს, ღმერთების, მეუფე ნინგირსუს... ძლიერება დაე ქვეყანამ იცოდეს.

1 შუმერის ქ. ლაგაშის ადგილობრივი ღვთაება, მისი მფარველი. თავდაპირველად იგი ლაგაშის ერთ-ერთი კვარტალის — გირსუს—ღვთაება იყო, შემდეგ კი მთელი ლაგაშის ქალაქ-სახელმწიფოს მფარველ ღვთაებად აღზევდა.

2 შუმერის ქალაქ-სახელმწიფო, მდებარეობდა თანამედროვე ალ-ჰიბეს(ერაყი) ადგილას.

3 ქალაქ-სახელმწიფოს მმართველი.

4 ნინგირსუს ყველაზე მნიშვნელოვანი ტაძარი გირსუსში უძველესი დროიდან.

5 შუამდინარეთის პანთეონის უზენაესი ტრიადის მეორე წევრი.

6 ლაგაშის ერთ-ერთი უბნის ნინა-სირარანის ღვთაება. ნანშე წარმოადგენდა წინაწარმეტყველების ღვთაებას.

7 ქალღმერთ ნანშეს მეუღლე.

8 ლაგაშის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება, ნინგირსუს მეუღლე.

9 ლაგაშის უძველესი ქალღმერთი, რომელიც განასახიერებს მის ერთიანობას, იგი იხსენიება ლაგაშის დამფუძნებლად.

10 ღვთაება, რომლის ფუნქციებში შედიოდა ადამიანთა უმწიკლო გზაზე დაყენება, ბოროტების დათრგუნვა და სხვა.

11 იგალიმას ძმა. ევალუბოდა იმაზე ზრუნვა, რომ ტაძარში განწმენდის ცერემონიის დროს ნინგირსუს მიედო ყველა შეწირულება საქმელ-სასმელის სახით.

12 ასევე ნინგიშშიდა — ნაყოფიერების ღვთაება.

13 თან. აბუ-შახრაინი — ერთ-ერთი უძველესი ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში.

14 მითოსური არწივი, ზოგჯერ ლომისთავიანი. საადრო დრუბლის პერსონიფიკაცია.

15 „მადალი ტერასა“, ენინუს შემადგენელი ნაწილი.

16 ხმელთაშუა ზღვა.

17 სპარსეთის ყურე.

18 ანანუმი — კედარებით დაფარული მთა ლიბანში.

19 მნიშვნელობა უცნობია.

20 „მადალი სახლი, მთავარი კულტის ადგილი“ — ტაძრის შემადგენელი ნაწილი.

21 ქალაქი ჩრდ. სირიაში, ტავროსის ქედის სამხრეთით, შესაძლოა უნდა ვეძიოთ თან. ბირეჯიყის რაიონში.

22 ქალაქი და სახელმწიფო ჩრდ. სირიაში, თან. თელ-მარდინი.

23 დასახლებული პუნქტი სირიაში, ეფფრატის დასავლეთით.

24 ოლქი შუამდინარეთსა და სირიას შორის, დღევანდელი ჭებელ-ბიშრი.

25 მომთაბარე ტომი.

26 ასეთი სახელწოდების მთა არ არის დადასტურებული. თიდანუმი არის ამორეველთა ერთ-ერთი მომთაბარე ტომის სახელი.

27 მნიშვნელობა უცნობია.

28—29. დასახლებული პუნქტი ქიმაშში, მდებარეობდა დაახლოებით ჭებელ-კაპრინის ჩრდილოეთით ქვემო ზაბამდე.

30 სპარსეთის ყურისა და წითელი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო ინდოეთამდე.

31 მნიშვნელობა უცნობია.

32 მისი ადგილმდებარეობის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ გუბინა უნდა ვეძებოთ ჭებელ-აჰლარას ოლქში არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ზოგი მას ათავსებს ბაქტრიაში ანდა სპარსეთის ყურის მახლობლად.

33 ადგილი თან. კირკუყის ოლქში, შესაძლოა ქიფრის მახლობლად.

34 იგივე ბარამე, მდებარეობდა თან. კირკუყის ოლქის მახლობლად.

35 მნიშვნელობა უცნობია.

36 იგივე ანჩანი, ანზანი — ელამის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, თან. თეფე-მალთან, რომელიც მდებარეობს ირანში, ქ. შირაზიდან 80 კმ-ის დაშორებით.

37 ძველი სახელმწიფო წინა აზიაში. მდებარეობდა ირანის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ქარუნსა და ქერხეს შორის დაბლობზე. ამ რაიონს თანამედროვე სახელწოდებაა ხუზესტანი.

38 გაიგივებულია სპარსეთის ყურის არაბულ სანაპიროსთან და ომანთან.

39 შუამდინარეთის პანთეონის უზენაესი ტრიადის პირველი წევრი.

40 უძველესი შუამდინარული ღვთაება.

41 უზენაესი ტრიადის მესამე წევრი.

42 მთვარის ღვთაება.

43 სიყვარულის და ომის ღვთაება.

44 მზის ღმერთი.

45 შუმერული ღვთაება.

46 ამ ღვთაების სახელის ზუსტი წაკითხვა უცნობია. მისი საკულტო ცენტრი იყო ქ. გუაბა.

47 შედიოდა ლავაშის ღვთაებათა რიცხვში.

48 დუმუზიაბზუს მთავარი საკულტო ცენტრი ლავაშის ერთ-ერთ კვარტალში.

2. შრის III დინასტიის დროინდელი ტექსტები

(ყველა ტექსტი თარგმნა ჯ. შარაშენიძემ)

ა) მიწათმოქმედის კალენდარი

როგორც ცნობილია, ძველი შუამდინარეთის მეურნეობის ძირითად დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა.

ამ საქმეში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი დიდი გამოცდილების განზოგადება, როგორც ჩანს, მოხდა შრის III დინასტიის ხანაში. ამ დროს დაიწერა უცნობი შუმერული აგრონომის მიერ სპეციალური ტრაქტატიც, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ „მიწისმოქმედის კალენდრის“ პირობითი სახელწოდებით. მისი ტექსტი გამოირჩევა დახვეწილი სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიის სიმრავლით, ლაკონური თხრობითა და ცნობათა დიდი სიუხვით; მასში ჩამოთვლილ ყველა სამიწათმოქმედო სამუშაოს რომ ნამდვილად ატარებდნენ შუმერები მოსავლის მიღების მთელი სეზონის განმავლობაში, დას-

ტურღება მრავალრიცხოვანი სამეურნეო ხასიათის დოკუმენტების მონაცემებით.

ტექსტის თარგმნისას გამოყენებულ იქნა შემდეგი გამოცემები: Cad C. J., Kramer S. N., Literary and Religious Texts, London, 1967, No. 172; Salonen A., Agricultura Mesopotamica, Helsinki, 1968, გვ. 202—212, Kramer S. N., The Sumerians, Chicago, 1963, გვ. 340—342.

გუთნისდღეა სამომავლო დარიგებას აძლევს თავის შვილს: როცა ხელს მოჰკიდებ შენი მინდვრის (დამუშავებას, უპირველესად) თვალყური გეჰქროს (წყლის) ჯებირის ჩამკეტზე, სარწყავ არხსა (და არხის) ნაპირებზე, (რათა) დატბორილ მინდორზე წყალი (არ მოზღვავედეს და მისი დონე ძალიან) მაღლა არ აიწიოს.

როცა (მინდვრიდან) წყალს გადაუშვებ, ყურადღება მიაქციე, (რომ) მორწყულმა მინდორმა (ტენი შეინახოს და) სასურველი მოსავალი მოგცეს. (ამისათვის): დაე, ჩლიქებახვეულმა ხარებმა ფეხებით დატკეპნონ (მინდორი. როცა ამით) სარეველა ბალახი დაიგლიჯება (და) მინდორი მოსწორდება, (კიდევ) მოასწორე (იგი) $\frac{2}{3}$ მინა (წონის მქონე პატარა) სპილენძის თოხებით. (ამის შემდეგ) ხის წერაქვით პირწმინდად მოამტვრიე (და) მოაშანდაკე ხარის ნაჩლიქარები, კაბდოთი მოასწორე ოღრო-ჩოღრო ადგილები. (ბოლოს კიდევ ერთხელ) ხის თოხით შემოუარე მინდვრის ნაპირებს ოთხივე კუთხით.

სანამ მინდორი გაშრებოდეს. (მიმართე) შენი (ოჯახის წევრებს); დაე, გაგიგონონ (მათ და) მოგიმზადონ ხის იარაღები, უღლის ძელაკი კი შენ (თვითონ) გაამაგრე. ჩამოკიდე (გუთნის) ხის სოლზე შენი ახალი მათრახი, ძველი მათრახის ტარი კი ხელოსანს შეაკეთებინე. შენი ბრინჯაოს იარაღებიც... (შეაკეთე ისე, რომ) ხელში კარგად მოგყვეს¹. (წესრიგში მოიყვანე აგრეთვე) თავსაკრავი ტყავი (გუთნისა)², ღეზი (გუთნის ქუსლისა), პირგამხსნელი ტყავი (გუთნის მარცვალსაყრელისა და) მათრახი. შენი ლერწმის „ბანდუ“ — კალათიც, დაე, ტკაცატყუთ დაიწნას; (ყველაფერი ეს) დიდად გამოგადგება (საქმეში).

როცა დასრულდება მინდვრის მომარაგება (საჭირო ინსტრუმენტებით, მაშინვე) თვალი დაიჭირე სამუშაოზე: (თუ) გუთნის ხარს (მეორე) ხარსაც მიუმატებ — ერთ ხართან ერთად (მეორე) ხარსაც შეებაშ, ამით გუთანნი უფრო გაძლიერდება. ... ერთი გუთნით 1 (ბურ) მინდორს (მოხნავ ერთ დღეში). ... (კარგად იმუშავენ ხარები) და ქარიშხლის სისწრაფით (ყველაფერს) გააკეთებენ შენთვის... 1 (ბურ) ფართობზე 3 გური მარცვალი დათესე.

დიდ ძალას იძლევა გუთანნი! მინდორი (ჯერ) „ბარდილ“-გუთნით დაამუშავე, — (სწორედ) „ბარდილ“-გუთნით, (შემდეგ) კი — „შუქინ“-გუთნით. გაიმეორე (ეს პროცესი კიდევ ერთხელ. შემდეგ) სამ-

ჭერ დაფარცხე (და) ფოცხით(?) მოასწორე (ნახნავი). (დარჩენილი) კოლბოხები (კი) ხის წერაქვით დაფშვენი; (ამ საქმეში) შენი მათ-რანხის ტარიც გამოგადგება.

იყავი შეურიგებელი (მუშების) სიზარმაცისადმი. მუშაობის დროს თავზე დაადექი (მათ), არ გააჩერო ისინი უსაქმოდ, (წუთითაც არ მოწყვიტო) თვალი მინდორზე დასაქმებულებს. დღისით (და ღამითაც), ვარსკვლავების უქუზე, შედეგიანად უნდა იმუშაონ მათ (მთელს) ათ (დღეს ისე, რომ) მათი ძალები მთლიანად მინდორს მოხმარდეს (და არა ისე, რომ მხოლოდ) შენს თვალწინ მოგაჩვენონ თავი კარგად.

როცა თესვისათვის მოემზადები (და ამ მიზნით) მინდვრის და მუშავებას შეუდგები, შენმა (გამართულმა) გუთანმა, დაე, (კარგად) გატეხოს ნაწვერალი... გაამაგრე გუთნის (მარცვალსაყრელის) პირსაკრავი... ჩამოკიდე (გუთნის) ხის წვრილ სოლზე ხის ... დააყენე (სათანადო) სიგანით (გუთნის) ფრთა (და) გაიყვანე კვალი (იმგვარად, რომ) ერთ გარზე დაეტიოს 8 კვალი. (რაც უფრო) ღრმა იქნება კვალი, (მათ უფრო) მაღალი გაიზრდება ქერი.

როცა მინდვრის დამუშავებას შეუდგები, თვალი გეჭიროს იმ კაცზე, (რომელიც) თესს ყრის (ხნულში); დაე, მან ერთნაირ (სიღრმეზე) — ორ თითზე ჩაფლას მარცვალი. თითო გარზე დათესე თითო სიკლი მარცვალი. თუ თესლი მიწაში არ ჩაეარდება სათანადო (სიღრმეზე, მაშინ) შენი სახნისი — გუთნის ენა გამოცვალებ; თუ (ახლაც)...., (მაშინ) [...] იმ ადგილას, (სადაც) სწორი კვლები გქონდა (გავლებული). განივი კვლები გაატარე, იმ ადგილას კი, (სადაც) განივი კვლები გქონდა (გავლებული), სწორი კვლები გაატარე. დაე, შენს (მიერ გავლებულმა) სწორმა კვლებმა (წაშალონ ნახნავის) კიდებები (და) გადააკეთონ ისინი „თულუ“-კიდებად: „ლუ“-კვლებზეც შემოასწორონ შენი (სახნავის) ნაპირები. გაატარე „აბ“-კვლებიც [...] (ამით) დაე, დაიფშვენას (ყველა) კოლბოხი. ბორცვაკებზე ხნულებმა გადაასწორონ (და) ღრმულებიც პატარა კვლებმა ამოავსონ. (ყველაფერი ეს) კარგად იმოქმედებს ჭეჯილზე.

როცა ღივი (მიწის ზედაპირზე) ამოიწვერება, ლოცვა (აღავლინე) ღვთაება ნინქილიმასადმი. (ხშირად) დააფრთხე ფრინველები მინდვრიდან. როცა მარცვლის (ღივი) დაფარავს ხნულის ვიწრო ძირს, მორწყე ნორჩი ნაზარდი. როცა ქერი გაიზრდება ნავის შუამდე მოწვდენილი ჰილობის (ჩალის) ოდენა. მორწყე (მეორეჯერ), (ხოლო) კარგად (შემოსული) ქერის (ყანა) მორწყე (მესამეჯერ). თუ მორწყული ქერი შეწითლდება, (უნდა) თქვა, (რომ) ესაა (დაავადება) „საჰანას“ (ნიშანი). თუ (ყანა) უხემოსავლიანი დადგება, მორწყე

იგი (მეოთხედად. ამით) მოსავალი (გაიზრდება: ყოველი) 10 სილა. (მარცვალზე) ერთ სილას (მეტს) მიიღებ.

(როცა) მკის (დრო) მოაწევს, შენს (მინდორზე) მოსავალი აიღე (მალე), სანამ (ყანა) არ ჩაწოლილან⁶. (მოიწვიე მუშები): ერთი მომკელი, მეორე — მეძნეური და (კიდევ ერთი კაცი, რომელიც) მის. (მეძნეურის) წინ დააწყობს ხელეურს⁷. ეს სამი კაცი აგიღებს მოსავალს. (ყური უგდე): თავთავების შემკრებთ არ დატოვონ მარცვალის, ძნები არ დაშალონ. მკის დღეებში, ძალზე დაძაბულ დღეებში⁸, ბავშვებსა და თავთავის შემკრებთ შენმა მიწამ, დაე, მისცეს საკვები მათი რაოდენობის მიხედვით; დართე მათ ნება დაიფინონ (შენს მინდორზე ისე). როგორც ჭაობიან ადგილას⁹. (თუ შენ ამას იქმ), შენი ღვთაება (მუდამ) მოწყალე იქნება შენდამი.

იმის შემდეგ, როცა მიიღებ (პირველ მოსავალს) [...]. (ახლად მომკილი მოხალული მარცვალი (მიეცი მუშებს, რათა მათ) ყოველდღე აღავლინონ შენთვის „მკის ლოცვა“.

როცა მოემზადები მარცვლის ლეწვისათვის, მოიყვანე კაცი, რომელიც აგიწყავს მარცვალს. (იგივე კაცი) მოგიმზადებს 30 გურის. (საერთო ტევადობის კალათებს). მოასწორე კალო (და) მარცვლის გადასაზიდად (იქვე) მოიმარაგე კალათებიც. როცა შენს სამუშაო იარაღებს მოამზადებ (და) შენს საზიდარასაც წესრიგში მოიყვან, (მაშინ ეს) საზიდარა გადაატარე (კალოზე გაშლილ) მარცვალზე.

ლეწვას¹⁰ 5 დღე (დასჭირდება. არ დაგავიწყდეს): ლეწვის დაწყების წინ გამოაცხვე „არა“-პური. ლეწვის დაწყებამდე შენს კევრს¹¹ კბილები ტყავის თასმით მიაკარი (და) ბიტუმით მიაჰაგრე. როცა დააპირებ ხარების შებმას (კევრში), მარცვლის გამლენე კაცს (უთხარი, მოიმარაგოს) საკვები მათთვის. როცა დაახვავებ მარცვალს, წარმოთქვი „გაუნიავებელი მარცვლის ლოცვა“.

როცა დაიწყებ მარცვლის განიავებას, ყურადღება მიაქციე მიწიდან მარცვლის ამღებ მუშებს — (მარცვალის) აილოს ორმა მარცვლის ამღებმა. როცა მარცვალს გაწმენდ, გაშალე იგი ფიცარნაგზე, საღამოს (და) ღამით (კი) ილოცე. (შემდეგ) გამოაცალკავე მარცვალი (ბზისაგან ისე, თითქოს) ძლიერ ქარს დაებეროს (და) გამოცალკავებული მარცვალი შეინახე (ბედელში).

(ყველაფერი ეს არის) ღვთაება ენლილის შვილის ნინურტას!¹² დარიგება. ო, ღვთაებაო ნინურტა! ენლილის ქეშმარიტო გუთნის— დედავ, დიდება შენდა!

¹ სიტყვ. „ხელის გამგონე იყოს“.

² ალბათ, იგულისხმება კანდრი — გუთნის თავის უღელზე მისამარებელი თასმა.

3 გუთნეულს ემსახურებოდა სამი კაცი — გუთნისდედა, ხარების გამრეკი და ბნელში თესლის ჩამყრელი.

4 ერთ ვარზე სათესლედ ერთი სიკლი (მ.4 ვრ) მარცვალი ძალზე მცირე რაოდენობაა. აქ ტექსტში, შეიძლება, უნებლიე უზუსტობა კქონდეს დაშვებული მწერალს.

5 ჟეჯილის მფარველი ღვთაება.

6 სიტყვ. „სანამ ძლიერია მკლავი (ქერისა)“.

7 სიტყვ. „მოჭირლ ქერს“.

8 სიტყვ. „პატარა, (მოკლე) ღღის მსგავს (ღღებში)“.

9 ამ სტრიქონების აზრი ასეთია: ბავშვებისა და თავთაეების შემკრებთა პატრონებში ექვს ნუ შეიტან. ნუ შეგვიშინდება, ისინი არადერს მოგპარავენ მინდვრიდან, ისევე, როგორც ვერაფერს მოიპარავენ ქაობიანი ადგილიდან.

10 სიტყვ. „(მარცვლის) პირის გახსნა“.

11 სიტყვ. „(მარცვლის) გამხსნელი ხის (იარალი)“.

12 სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მფარველი ღვთაება.

ბ) ანგარიშები მუშათა ჯგუფების შესახებ

1) ტექსტის თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Н и к о л ь с к и й М. В., Документы хозяйственной отчетности древней Халден из собрания Н. П. Лихачева, т. II. Эпоха династии Агаде и эпоха династии ура, „Древности Восточная“, V, 1915, № 493.

5 მხვნელ-მთესველი გურუში¹, თავი (მუშები)²; 28 გურუში, თავი (მუშები); 3 გურუში, (თვითეული) $\frac{2}{3}$ სამუშაო ძალის (მქონე)³; 13 „ღულუმ“⁴ — გურუში, (თვითეული) $\frac{2}{3}$ სამუშაო ძალის (მქონე); 7 გურუში, (თვითეული) $\frac{1}{2}$ სამუშაო ძალის (მქონე); 4 გურუში, (თვითეული) $\frac{2}{3}$ სამუშაო ძალის (მქონე) — ხარების გამრეკნი და მტვირთავები⁵; 1 გურუში, პარფიუმერიის (დარგში დასაქმებული) თავი (მუშა); 1 გურუში, ალაოს (მომზადებელი) თავი (მუშა); 1 გურუში, ხარების მწყემსი თავი (მუშა). (სულ): $43\frac{1}{2}$ ⁶ (გურუში) 1 დღეს⁷. (ისინი მუშაობდნენ) ეზემმეჟიგალის თვიდან შეგურქუს თვემდე⁸. 2 თვის (მანძილზე) მათი სამუშაო ძალა (იმდენივეა, რაც) 1 დღეს (მომუშავე) 2610 გურუშისა⁹. (მათი) რეგულარული სარგო მარცვალი (საწყობიდან) მიიღო შაბრა¹⁰ ტულიმ. წელი, (როცა) ხარუშისა და ჭიმაშის (ქვეყნები) იქნა დალაშქრული¹¹.

1 ასე იხსენიებოდა მუშა მამაკაცი. პირდაპირი თარგმანი იქნება „ძლიერი“.

2 თავი მუშები ეწოდებოდა იმ პირებს, რომლებიც მთელი თვის განმავლობაში მუშაობდნენ უწყვეტად და სრულ თვიურ გასამრჩელოს — 60 სილა მარცვალს — ღებულობდნენ.

3 სრული სამუშაო ძალის მქონედ ის მუშა იწოდებოდა, რომელიც უწყვეტად მუშაობდა მთელი თვის განმავლობაში. $\frac{2}{3}$, $\frac{1}{2}$, $\frac{1}{3}$ და ა. შ. სამუშაო ძალის მქონენი იყვნენ ისინი, რომლებიც მუშაობდნენ მხოლოდ თვის დღეთა შესაბამისი

რაოდენობის განმავლობაში — $\frac{2}{3}$ სამუშაო ძალის მქონე მუშაობდა 20 დღეს (30 დღეს: $X/\frac{2}{3}=20$ დღეს), $\frac{1}{2}$ -იანი მუშაობდა 15 დღეს და ა. შ.

4 ზუსტი მნიშვნელობა უცნობია.

5 ასე იხსენიებოდნენ არაკვალიფიციური მუშები.

6 უნდა იყოს: 442/3.

7 დოკუმენტის შემდგენელს ამით იმის თქმა სურს, რომ საბუთში ნახსენებელი 60 მუშის (ხარების გამრეკნი და მტვირთავეები) მიერ თვის მანძილზე შესრულებული სამუშაოსათვის საკმარისი იქნებოდა $43\frac{1}{3}$ ძალის მქონე მუშა.

8 ერთ-ერთ შემერულ ქალაქში — ფუზრიშდაგანში (დღ. დრეკემი) — მიღებული კალენდრის მე-11 და მე-12 თვეები. დოკუმენტი სწორედ ამ ქალაქიდან მომდინარეობს.

9 რიცხვი მიღებულია ამგვარად: $43\frac{1}{3}$ სამუშაო ძალა \times 60 დღეზე = 2600. გამოანგარიშებისას ბუქხალტერს დაშვებული აქვს ოდნავი უზუსტობა: წარმოდგენილი რიცხვების ნამრავლი არის 2600 და არა 2610.

10 შაბრა იყო ტაძრის მეურნეობის გაქვე-ზედამხედველის თანამდებობა.

11 შულგის მეფობის 46-ე წელი.

2) თარგმნისას ვეერდნობით გამოცემას: Jones T. B., Snyder J. W., Sumerian Economic Texts from Third Ur Dynasty, Minneapolis. 1961, № 267.

26 მუშა ქალი, თავი (მუშები); 7 მუშა ქალი, (თვითთელი) $\frac{2}{3}$, სამუშაო ძალის (მქონე. ისინი მუშაობდნენ) შეშდაქუს თვიდან ეზე-მნინაზუს თვემდე. მათი სამუშაო ძალა 4 თვის (განმავლობაში იმდენივეა, რაც) 3680 მუშა ქალის (სრული სამუშაო ძალა) 1 დღეს..

გ) მუშაკთა შრომის ანაზღაურების საბუთები

1) თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Barton G. A., Haverford Library Collection of Cuneiform Tablets, III, New Haven: 1918, ტაბ. 134, № 352.

8 გურუში, თავი (მუშები), (მიეცა) 60 (სილა) სამეფო ქერის მარცვალი თვითთელს; 1 გურუში $\frac{2}{3}$ სამუშაო ძალის მქონე, (მიეცა) 50 (სილა): 1 მოზარდი, (მიეცა) 15 სილა; 1 მოზარდი, (მიეცა) 10 (სილა). (მთლიანად) მათთვის: 1 გური 255 სილა მარცვალი (ერთ თვეში. ისინი მუშაობდნენ) 1-ლი თვიდან მე-12 თვემდე. სულ (გაიცა მათზე): 22 გური 60 (სილა) მარცვალი (როგორც) მტვირთავეების სარგო განმავის თვიდან შეილას თვემდე. (მუშებზე გასანაწილებელი მარცვალი საწყობიდან) მიიღო ჭგუფის ზედამხედველმა მაგურემ. (კონტროლიორ)-ზედამხედველი (იყო) ღვთაება ნინმარქის უფროსი ქურუმი.

2) თარგმანი ეყრდნობა გამოცემას: Barton G. A., Haverford Library Collection of Cuneiform Tablets, II, New Haven, 1918, ტაბ. 93, № 103.

6 გურუში, თავი (მუშები), (მიეცა) 60 (სილა) სამეფო ქერის მარცვალ თვითეულს; 6 გურუში, (თვითეული) $\frac{2}{3}$ სამუშაო ძალის (მქონე, მიეცა) 40 (სილა) თვითეულს; 5 გურუში, (თვითეული) $\frac{1}{3}$ სამუშაო ძალის (მქონე, მიეცა) 30 (სილა) თვითეულს; 1 გურუში, $\frac{1}{3}$ სამუშაო ძალის (მქონე, მიეცა) 20 (სილა); 2 მუშა ქალი, (მიეცა) 30 (სილა) თვითეულს. მთლიანად მათთვის: 2 გური 220 (სილა)¹ მარცვალ (ერთ თვეში). (ისინი მუშაობდნენ) 1-ლიდან მე-2 თვემდე. სულ (გაიცა მათზე): 42 გური 240¹ (სილა როგორც) მტვირთავენის სარგო განმაშის თვიდან შეილას თვემდე — 12 თვისა. მიიღო ჯგუფის ზედამხედველმა ბაზიმ. (კონტროლიორ)-ზედამხედველი (იყო) „შულგის სალოცავის“ (მუშათა) ზედამხედველი. წელი, (როცა) ქარზიდას (დასახლების მფარველი) ღვთაება ნანა ტაძარში შემობრძანდა².

1 უნდა იყოს: 230 სილა.

2 შულგის მეფობის მე-5 წელი.

3) თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემიდან: Cuneiform Texts from Babylonian Tablets in the British Museum, VII, London, 1899, № 18379.

60 (სილა) სამეფო ქერის მარცვალ ალაღიმუს; 60 (სილა) ნამურუნას; 60 (სილა) ლუბაბარს, 15 სილა ურნინგიზიდას, მის შვილს; 60 (სილა) ელუგაზუს, ჯგუფის ზედამხედველი: ნინანა. 15 სილა ამაგინას, მის შვილს; 60 (სილა) ლულას, 10 (სილა) ლუურუგანათენუს, მის შვილს; 60 (სილა) ურგიშდარდუს; 60 (სილა) ურუმს; 60 (სილა) არ (მიეცა) ლუგალენგარს; 50 (სილა) ლუ-ურუგანათენუს; 50 (სილა) ურუმს; 30 (სილა) შაქირას; 40 (სილა) ლუგალეზემს; 30 (სილა) ქილულას; 30 (სილა) ურგიშბარეს; 30 (სილა) ქაქუბიზის. ჯგუფის ზედამხედველი; ლუგირიზალი, მუშა ქალის იგინიდას შვილი. სულ: 7 გურუში, 60 (სილა) თვითეულს; სულ: 2 გურუში, 50 (სილა) თვითეულს; სულ: 1 გურუში, 40 (სილა); სულ: 4 გურუში, 30 (სილა) თვითეულს; სულ: 1 მოზარდი, 20 (სილა); სულ: 2 მოზარდი, 15 სილა თვითეულს; სულ: 1 მოზარდი, 10 (სილა); (მთლიანად) მათთვის: 2 გური 140 სილა მარცვალ (როგორც) ღვთაება ნინგიზიდას ტაძრის მტვირთავენის სარგო. წელი, (როცა) ხარშისა (და) ხუმურთის (ქვეყნები) იქნა დალაშქრული (შულგის მეფობის 46-ე წელი).

დ) ანგარიშები ჩატარებული სამუშაოების შესახებ

1) მინდვრის მოხედა და დაფარვა. თარგმანი ეყრდნობა გამოცემას: Никольский М. В., დასახ. ნაშრ., № 240.

2900 სარი ფართობი (გაიცა) პირველად მოსახნავად; (დღიურ ნორმად) 1100 სარი თვითეულ (მუშას) დასაფარცხად; (იგივე ფართობი) 3-ჯერ დასაფარცხად, 500 სარი თვითეულ (მუშას); 3800 სარი ფართობი 3-ჯერ დასაფარცხავად, 500 სარი თვითეულ (მუშას) — დულქუგის მინდორი. 1900 სარი ფართობი პირველად მოსახნავად; 1100 სარი თვითეულ (მუშას) დასაფარცხად; (იგივე ფართობი) 3-ჯერ დასაფარცხად, 500 სარი თვითეულ (მუშას); 2000 სარი ფართობი 3-ჯერ დასაფარცხად; ეფეშგიულუს მინდორი. 1050 სარი ფართობი პირველად მოსახნავად; 1100 სარი თვითეულ (მუშას) დასაფარცხად; (იგივე ფართობი) 3-ჯერ დასაფარცხად, 500 ხარი თვითეულ (მუშას); 1000 სარი ფართობი 3-ჯერ დასაფარცხად, 500 სარი თვითეულ (მუშას)—ღვთაება შულფაგის მინდორი. (მეურნეობის) გამწვევი ძალის ნუბანდა ინიმშარა. (დოკუმენტზე დასმულია) ლუგალხეგალის ბეჭედი (წარწერით): „ლუგალხეგალი. მდივან-მწერალი. ურნიგინის ძე“. წელი, (როცა) ვაკეთდა ღვთაება ენქის ნავი.

2) მოსავლის აღება, გალწვა და სხვა სამუშაოები. თარგმანი ეყრდნობა გამოცემას: Никольский М. В., დასახ. ნაშრ., № 155.

75 გურუში 1 ღღეს, (დასაქმებულნი) ქერის მკაზე; 819 გურუში 1 ღღეს, (დასაქმებულნი) ბოსტნეულის აღებაზე — (დასაქმების ადგილი): ღვთაება შარას მინდორი, ლალმანის მინდორი, უმანშეს მინდორი, თაბთაბის მინდორი, გიქულუს მინდორი, ღვთაება ნინურას მინდორი, შარახუმას მინდორი და ისუმის მინდორი. 75 გურუში 1 ღღეს. (მუშაობდნენ) ხარების გამრეკებად; 6 გურუში 1 ღღეს, ავად გახდნენ: 9 გურუში 1 ღღეს, (მუშაობდნენ) შარახუმას მინდვრის კალოზე; 10 გურუში 1 ღღეს, (მუშაობდნენ) ვენახის მინდორზე წყლის გამოსაყვანად. მუშათა ჯგუფის ზედამხედველი: ურანმა. ბეჭედი საწყობის თანამშრომელ შეშანისა (წარწერით): „შეშანი, მდივან-მწერალი. დადას ძე“. წელი, (როცა) შუსუენამ, ურის მეფემ, ღვთაებებს ენლილსა (და) ნინლილს მაღალი სტელა აღუმართა.

3. სამეურნეო-ადმინისტრაციული დოკუმენტები და იურიდიული ხელშეკრულებები უზრუნველყოფის არქივიდან

XX საუკუნის პირველ მესამედში ფარაში (ერაყი) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა შემერული

ქალაქ-სახელმწიფო შურუფაქი, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულში წარმოადგენდა საკმაოდ დიდ ქალაქს ცენტრალურ შუმერში. თავისი არსებობა მან, როგორც ქალაქმა, შეწყვიტა ურის III დინასტიის დაცემის შემდეგ.

მეცნიერებმა გათხრების შედეგად აღმოაჩინეს საკმაოდ დიდი რაოდენობით ლურსმულწარწერიანი თიხის ფირფიტები, რომლებიც შეადგენენ ე .წ. „შურუფაქის არქივს“.

სამეურნეო-ადმინისტრაციული დოკუმენტები და იურიდიული ხასიათის ტექსტები იძლევიან მნიშვნელოვან ცნობებს შუმერის სახელმწიფოში სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესასწავლად. ქართულად ამ არქივის არც ერთი ტექსტი არ თარგმნილა. ყველა ტექსტი თარგმნა ნ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ა მ.

ა) ანგარიში სახედრებისა და მხვენელების შესახებ

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: WF-Deimel A., Die Inschriften von Fara, III, Wirtschaftstexte aus Fara, Leipzig, № 1924; № 20.

90 გუთნის სახედარი, 33 სახედარი, 41 სახედარი, 31 სახედარი, თემის სახედრები, 11 ენგარი¹, 11 ენგარი, 6 ენგარი, 6 ენგარი — მარკები. სულ: 196² გუთნის სახედარი — თემის სახედრები, 34 ენგარი. ლუგალქალი.

¹ მხენელი.

² ტექსტში დაშვებულია უზუსტობა. ჩამოთვლილი სახედრების რაოდენობა შეადგენს 195-ს.

ბ) დოკუმენტი მარცვლეულის განაწილების შესახებ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: WF., № 67.

2 გური მარცვალი — ურსუდას, 2 — ამაასის, 2 — ამარაბზუს, 2 — უდაგს, 2 — ურნის, 2 — მეფავს, 2 — გიგირდუსაგს, 2 — ურდუმუზის, ამარქულსაგს, 2 — სუდანზუს, სალანზუს, ლუსიგალგალს. 2 — ანურშელუსიდუბსაგს, 2 — ნამახსაგეშტინს — უგულას¹, 2 — ქინირსის, 2 — მესგარლული ურსუდას — უგულას, 2 — სუდხართუს..., 2 — სუდანზუს, ურგიბილს. ფაბილიგის, 2 — აქურგალს, ურდუმუზის, 2 — ურიშთარანლუსის — მერიქიფეს, 2 — ეანზუ...—

მზარეულს, 2—ქემზას — ლუდის მზარშავს, ლუმმას, 2 — გარლუ-
 გულს, 2 — მაშდას, ფაუსანს, 2 — ხარშესაგმანს, ლუგალქიქუდუს,
 კიმუგის-უგულას. 2..., ენას — უგულას, 2 — ნამახსუდას, მაშ-
 დას — უგულას, 2 — ნანის, ლუსიგიგს, 2 — მესნუზიდას, ადას,
 კათის. 2 — ანუმეს, ენშავის, 2 — ურნის, სუმუქანურლას, 2—სუ-
 დანუნს, 2 — ექიბას, ამირთურს — უგულას, 2 — სალანუქუშს —
 ქურუმს, 2 — ამარეზენურსუდას — უგულას, ენლილფას, 2 — მეს-
 ქიგალას — მეთევზეს, 2 — ურენქის — მეთევზეს, 2 — ენლილშა-
 ქუგის — მწერალს, 2 — ქუნასალნითას — უფროს მწერალს, 2 —
 უდინგირდას. 2 — სულმუდასუდანზუს, 2 — დუმუნუსუდხართუს,
 2 — ურანშეურდუმუზის, ემეზიდას-უგულას, 2—სუდანზუ...-ს, 2—
 ბალადადას — მეთევზეს, 2 — სუდანზუს — დამგარს², 2 — ფაბილ-
 გას, 2 — ანნუმეურდუმუზის, ენლილფადბარსიგიგზის, 1 — ურუ-
 დუს, 1 — ადაუფავს, 1 — სალუშუმგალს, 1 — ესაპართას, 1 —
 იმზურსაგს, 1 — აგდუს, 1 — უშუმას, 1 — ურმუდმაშსუდას, 1 —
 ლუგალინიმზიდაუქურას, 1 — აგსმ — მრჩეველს, 1— ბაზას, 1—..., 1:
 ბანი — მეთევზის, [1] — აბანაუნქენას, — ენუსის-მეთევზეს,
 1 — სულხართუდამარურაშს — მეთევზეს, 1 — ურდუმუზის — ურ-
 უქიდან³, 1 — ნიმგირმეთენას — ურუქიდან, 1 — ურდუმუზის —
 ქულაბიდან⁴, 1 —...-უმადან⁵, 1 —...-დალაქს ურუქიდან, 1 — ანუ-
 მეს — ადაბიდან⁶, 1 — ურდამგალს — ურუქიდან.

სულ: 115 $\frac{1}{3}$ გური მარცვალი. დუბლუსი.

1 ზედამხედველი.

2 ვაჰარი.

3 ურუქი (თან. ვარქა) — ქალაქ-სახელმწიფო შუმერში. მდებარეობდა მდ. ევფრატის ქვემოწელზე.

4 ქულაბა — ურუქის შემადგენლობაში შემავალი დასახლება.

5 უმა (თან. ჯოხა) — ქალაქ-სახელმწიფო შუმერში. მდებარეობდა მდ. ითურ-
 უნგალის (ევფრატის აღმ. შენაკადი) ქვემოწელზე;

6 ადაბი (თან. ბისმაია) — ქალაქ-სახელმწიფო შუმერში. მდებარეობდა მდ. ითურ-
 უნგალის ზემოწელზე.

გ) ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა პ რ ო ფ ე ს ი ი ს ა დ ა მ ი ა ნ თ ა თ ე ი ს
 ს ა ხ ე დ რ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს ს ი ა

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: TSS-Jeslin R., Tab-
 lettes sumériennes de Suruppak conservées au musée de Stamboul, Paris, 1937,
 № 22.

4 სახედარი — ზაგხას, 4 — იმგააზუქუ-ლუგალზიდას, 4 — ურურ-ნინმეშუდუს, 4 — გამუშენს-მსაპურს, 4 — ურდუმეზინ-უთურს, 4 — ანნემეფაფანზუს, 4 — უდურსაგს-უფროს მერიქიფეს, 4 — ამარუნგი-სურუნგუს, 4 — ლუფადმუშნუდას, 4 — შუბურს-მუსიკოსს, 3 — ფაფალიმს, 2 — ლულუს-დაბალს, 2 — ურუდუსინა-მუშენს — უფროს კალატოზს, 2 — ბილასალბარასის, 2 — ინიმნი-ზიბაზას, 2 — მაშდუდუს, 2 — შუბურმაშუსუდას, 2 — ურნიქი-სალს, 2 — ფადუსუდაგს, 2 — ადააფაეს, 2 — ფაფქუმაშუსუდას, 2 — სუდხართულათეს, [1] — ანუმეს — კალატოზს, 1 —... — მწერალს, 1 — ურმუშნუდასუდანზუს. სულ: 17 გუთნის სახედარი საკუბა — მწერალი. (ამ ტიპის დოკუმენტებში ჯამში მოყვანილი რიცხვი შეადგენს სახედრების საერთო რაოდენობის ერთ მეოთხედს).

დ) დოკუმენტი მიწის ნაკვეთების
განაწილების შესახებ

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: NTSS-Jestin R.. Nouvelles tablettes sumériennes de Šuruppak au musée d'Istanbul, Paris, 1957, № 256.

2 იქუ 50 სარი მინდორი — გიშგალაქინირს, 2 იქუ — სუდან-ზუს — ნიმგირს (ჰეროლდი), 10 იქუ — ურნის, 5 იქუ — აგდულს, 7 იქუ — ფაფალიმს, 6 იქუ—შემანხუდის, 4 იქუ—გალილის, 7 იქუ 50 სარი — ეფაეს, 7 იქუ 50 სარი — იმაზუქურუნუშეს, 10 იქუ — სუდხართუდას, 7 — იქუ — ურსუდას. 10 იქუ — შუბურს, 4 იქუ..., „9,5 იქუ] — ..., 5 იქუ — ნინის, 5 იქუ — სულსაგათსუდას, 10 იქუ — სუდხართუდას, 2 იქუ 50 სარი — სუდაგუდაგს, 2 იქუ 50 სარი — ფაფზიდას, 5 იქუ — ამარშუბალუამზიდას. სათესლე მარცვალი გადაწონილია (და) გაცემულია: სულ: 6 ბური. 14 იქუ მიწა — შებილაგირის მინდორში. ანუმე-ენგარი (მზვნელი).

ე) მიწის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება

თარგმანი შესრულებულია შემდეგ გამოცემებზე დაყრდნობით: WF.. № 34; SR-Edzard D. O., Sumerische Rechtsurkunden des III Jahrtausends aus der Zeit vor der III Dynastie von Ur, München, 1968; № 3.

12 მინა სპილენძი არის მინდვრის ფასი. 3 იქუ მინდვრის ფართობია. 10 მინა სპილენძი — დამატებაა¹. 8 მინა სპილენძი — საჩუქარია². 2 მინა მატყლი, ტანსაცმელი, 20 პური, 20 ნამცხვარი, 4..., 4..., 1 სილა ქონი ლუგალხევალი(სთვის). 1... ტანსაცმელი, 10 პური, 10 ნამცხვარი, 2... 2... — ამბარაგე(სთვის), (იმ) ხალხისთვის, რომლებმაც ფასი „შეჰამეს“³ 10 პური, 10 ნამცხვარი, 2..., 2... ამამახისთვის. 10 პური, 10 ნამცხვარი, 2., 2... ურშუბური(სთვის). 10 პური, 10 ნამცხვარი, 2..., 2... ურქინირა(სთვის). 5 პური, 5 ნამცხვარი, 2., 2... ეშთამულა(სთვის). ურგულა (და) უდუდუ (იყენენ) მოწმეები. 1/2 სიკლი ვერცხლი, 10 პური, 10 ნამცხვარი, 2..., 2..., 1 სილა ქონი ინიმსულაზისთვის — მინდვრის აღმწერისათვის. ლუგალინიმზიდა (არის) მინდვრის მყიდველი. ინიმსულაზის სამსახურის დროს. (მიწის ნაკვეთი მდებარეობს) მინდორში „დუმუზის სახლი“.

1—2. მიწის ნაკვეთის ფასის შემადგენელი ნაწილები.

3 იგულისხმებთან მიწის ნაკვეთის გამყიდველები.

3) სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: WF., №30; SR., №22.

13 მინა სპილენძი არის სახლის ფასი, 2 მინა სპილენძი დამატებაა. 2 მინა მატყლი, ტანსაცმელი, 8 პური, 5 ნამცხვარი 2..., 2..., 1 სილა ქონი უშისა (და) შუბურის(თვის), რომლებმაც (ფასი) „შეჰამეს“. სუდანზუ, ნინქათარგა — მწერალი, ანამახი... — მზარეული, ნენუხაზა, ამარედენა, ამარაბზუ, ურნანშე, სუდურსაგი — ..., საგლული — მომღერალი, უბიქურა, დუდუ — ..., სადმახ..., აგეშტინა — ..., ხუ... (იყენენ) მოწმეები 1 მინა სპილენძი... (თვის) — ნიმგირისთვის, 1/2 მინა სპილენძი, 2 პური, 2 ნამცხვარი, 1..., 1... (თვის) ...—..., ენლილამახი — (არის) სახლის მყიდველი

IV. ლიტერატურულ-მითოლოგიური და რელიგიური შინაარსის ტექსტები

(თარგმნა ზ. კიკნაძემ)

ა) სამოთხის მითოსი

ტექსტი წარმოადგენს ნაწყვეტს ვრცელი შემერული პოემიდან „ენმერქარი და არათას ბატონი“. იგი საინტერესოა იმიტომ, რომ მასში გატარებულია აზრი პირველქმნილი პარამონიული კაცობრიობის არსებობის შესახებ.

ოდეს გველი არ იყო, მორიელი არ იყო, აფთარი არ იყო, ლომი
არ იყო, ძაღლი არ იყო, მგელი არ იყო, შიში არ იყო, ზარი არ იყო,
ოდეს კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა, — მაშინ შუმერის მთები,
ხამაზის ქვეყანა¹, შუმერის მიწა, ტბილმეტყველი, დიადი ქვეყანა
დიდებულ წესთა, ური, მქონებელი ყოველთა სახმართა, მართუ² ბე-
დნიერად დავანებული, მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი, ენლილს
ერთ ენაზე აღიდებდა.

1 შუმერი, ხამაზი — ქვეყნები შუმერის აღმოსავლეთით, მთიანეთში (აქ: აღ-
მოსავლეთის სინონიმი).

3 მართუ — შუამდინარეთის დასავლეთით მცხოვრები სემიტი ხალხის ქვე-
ყანა (აქ: დასავლეთის სინონიმი).

ბ) გილგამეში და აგა

შუმერული საგმირო სიმღერა, რომელშიც აღწერილია ბაბილა ორ ქალაქ-
სახელმწიფოს — ურუქსა და ქიშს — შორის.

ტექსტი: S. N. Kramer, Gilgamesh and Agga, AJA, VIII.

აგას მაცნენი, ენმებარაგესის ძისანი, ქიშიდან ურუქში გილგა-
მეშს მიადგნენ; გილგამეში ქალაქის უზუცესთა წინაშე სიტყვას
დააგდებს. სიტყვას გამოარჩევს: „ჰებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის
ჰებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის ჰებს და ჰურჰლებს რომ მოვუაროთ,
ქიშის წინაშე ჰედს ნუ მოვიდრეკთ, იარალით შევებათ!“

ქალაქის უზუცესთა კრებული¹ გილგამეშს სიტყვას შეუბრუ-
ნებს:

„ჰებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის ჰებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის
ჰებს და ჰურჰლებს რომ მოვუაროთ. ჰები რომ გავადრმავოთ, ქიშის
წინაშე ჰედი მოვიდრიკოთ, იარალით ნუ შევებმებით!“.

გილგამეში ჰულაბას² ბატონი, ინანასათვის გმირობის მოქმედი,
უზუცესთა სიტყვას არ გულსხმავოფს.

მეორეგზის გილგამეში, ჰულაბას ბატონი, ქალაქის მოყმეთა
კრებულის¹ წინაშე სიტყვას დააგდებს, სიტყვას გამოარჩევს:

„ჰებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის ჰებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის
ჰებს და ჰურჰლებს რომ მოვუაროთ, ჰები რომ გავადრმავოთ, ქიშის
წინაშე ჰედს ნუ მოვიდრეკთ, იარალით შევებათ!“.

ქალაქის მოყმეთა კრებული გილგამეშს სიტყვას მიუბრუნებს:

„რომელნიც დგახართ, რომელნიც სხედხართ, უფლისწულთან!
ერთად მეომარნო, სახედრის ფერდების მკუმშავნო, ვისაც კი ძალი

ამისა შეგწევთ. ქიშის წინაშე ქედს ნუ მოიდრეკთ, იარაღით შეებოთ!“.

ურუქი — კმნილება დიდი ღმერთებისა, ეანა — ტაძარი. ცით ჩამოსული, რომლის ნაწილნი ღმერთებმა შექმნეს; დიდი კედელი, ღრუბელს მიბჯენილი, მაღალი სადგომი, ანის დადგენილი, გმირო წინამძღოლო, შენ დაიცავი! შემმუსვრელო, ანის ნანდაურო მთავარო, აგას მოსვლას როგორ შევეუშინდეთ? მცირე ჰყავს ლაშქარი, დაფრთხებიან — მაგ ხალხმა ეს ვერ გულისხმავყო!“.

მაშინ გილგამეშს. ქულაბას ბატონს, მოყმეთა სიტყვაზე გული გაუხარდა, გუნება გაუხალისდა. თავის მონას ენქიდუს ასე ეუბნება:

„აწ ბრძოლის იარაღმა თოხი შეცვალოს, ბრძოლის საჭურველი შენს შკლავს დაუბრუნდეს. შემზარავ ელვარებას იქმოდეს! აქ მოსული ჩემმა ელვარებამ დაფაროს, განსჯა აერიოს, გონი შეეშალოს!“.

ხუთი დღე არ გასულა, ათი დღე არ გასულა — აგა ენმებარაგესის ძე ურუქს შემოადგა. განსჯა აერია ურუქს.

მაშინ გილგამეში, ქულაბას ბატონი, ამგვარად ეტყვის თავის მეომრებს:

„შუბლი შეუქმუნხავთ ჩემს მეომრებს, გულადი მოდგეს, აგასთან გავგზავნი“.

მაშინ ბირხურთური, რჩეული მონა, თავის პატრონს ქებას მოახსენებს:

„მე წავალ, პატრონო. აგასთან. განსჯა აერიოს, გონი შეეშალოს!“.

კარიბჭიდან გავიდა ბირხურთური და რა გასცდა კარიბჭეს, კარიბჭესთან შეიპყრეს იგი. ბირხურთურის სხეული გვემეს. აგასთან მიიყვანეს. აგას სიტყვას ეტყვის, თავის სიტყვას ვერ დაასრულებს. ზაბარდიბუნუგი აღის გალავანზე, გალავნიდან გადმოიხედავს, აგას თვალს შეავლებს, ბირხურთურს ეტყვის:

„მონავ, ის კაცი შენი ბატონია?“.

„ის კაცი არ არის ჩემი ბატონი. ის კაცი ჩემი ბატონი რომ ყოფილიყო, საბე მისი მრისხანე იქნებოდა, თვალი მისი ელვარე იქნებოდა, წვერი მისი ლაევარდი იქნებოდა, პეშვი მისი მოწყალე იქნებოდა!“.

ურდო არ გაუფანტავს, ურდო არ შეუკრიბავს. ურდო მიწასთან არ გაუსწორებია, უცხო ქვეყნები არ დაუქცევია, ქვეყნის პირი მიწით არ ამოუვისია, ხომალდის ქიმი არ მოუგლეჯია, აგა, ქიშის მეფე, მისივე ლაშქრიდან ტყვედ არ წაუყვანია!“.

სცემენ, აწამებენ, ბირხურთურის სხეულს გვემენ.

შემდგომად ზაბარდიბუნუგისა გილგამეში ადის გალავანზე. ქუ-
ლაბას მოხუცსა და ყრმას ხარი დაეცა, ურუქის მოყმეთ მახვილი
მოიმარჯვეს, კარიბჭესთან მოედანზე დადგნენ. ენქიდუ კარიბჭისკენ
მიდის, გილგამეში გალავანზე შეიმართება. აგა თვალს შეავლებს:

„მონავ, ის კაცი შენი ბატონია?“.

„ის კაცი ჩემი ბატონია. რაც ითქვა. ქეშმარიტი ითქვა. მან ურდო
გაფანტა, ურდო შეკრიბა, ურდო მიწასთან გაასწორა, უცხო ქვეყნები
დააქცია. ქვეყნის პირი მიწით ამოავსო, ხომალდის ქიმი მოგლიჯა,
აგა, ქიშის მეფე, მისივე ლაშქრიდან ტყვედ წაიყვანა“.

გილგამეში, ქულაბას ბატონი, აგას ამგვარად ეტყვის:

„აგა ჩემი ზედამხედველია, აგა ჩემი მოურავია, აგა ჩემი ლა-
შქრის წინამძღოლია. აგა გაფრენილ ჩიტებს საყენით კვებავს! აგამ
სუნთქვა მომცა, აგამ სიცოცხლე მომცა. აგას ლტოლვილი დედასთან
მიჰყავს!“.

ურუქი — ქმნილება დიდი ღმერთებისა, დიდი კედელი, ღრუბელს
მიბჯენილი, მაღალი სადგომი, ანის დადგენილი. გმირო წინამძღოლო,
შენ დაიცავი! შემმუსერელმა. ანის ნანდაურმა მთავარმა, აგავ. ქი-
შისკენ განგიტევა, უთუს წინაშე ძველი ხელმწიფება დაგიბრუნა.

გილგამეშ. ქულაბას ბატონო. ქება შენი კეთილ არს!

1 ქალაქ-სახელმწიფოს ხელისუფლება, ჩვეულებრივ, ორი „პალატისგან“ —
უხუცესთა კრებულისგან და მოყმეთა კრებულისგან შედგებოდა; ეპოსში, როგორც
წესი, გილგამეში მოყმეთა კრებულის რჩევას მისდივს.

2 ქულაბა — ურუქის კვარტალი.

გ) ლავაშის აოხრება

XXIV ს. მეორე ნახევრის შუმერული ძეგლი, რომელშიც თავისე-
ბური ექსპრესიით არის გადმოცემული უმას მეფის. ლუგალსაგისის,
ლავაშზე თავდასხმის ამბავი. ეს ის ლუგალსაგისია, რომელიც ცდი-
ლობდა შუმერის დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოთა ერთი ხელი-
სუფლების ქვეშ გაერთიანებას. როგორც ტექსტიდან ჩანს. მიუხედა-
ვად აოხრებისა, უმას მიფემ ლავაშში თავისი ძალაუფლების დამყარე-
ბა ვერ შეძლო. ტექსტში ჩამოთვლილია ლავაშის ტაძრები.

ტექსტი ცნობილია როგორც „ურუნიზინის გლოვა“. თარგმანი შესრულებუ-
ლია შემდეგი გამოცემიდან: Fr. Thureau-Dangin. Les inscriptions de Sumer et
d'Akkad, transcription et traduction, Paris, 1905, 90—92.

უმას ხალხმა ექი [...] ცეცხლს მისცა, ანთასურა ცეცხლს
მისცა, მისი ვერცხლი და ლავარდი გაიტაცა; თირაშის სასახლეში
სისხლი დაღვარა, აბზუ-ბანდაში სისხლი დაღვარა, ენლილის საკურ-

თხვევლში, უთეს საკურთხეველში, სისხლი დაღვარა, ახუში სისხლი დაღვარა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; ებარბარში სისხლი დაღვარა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; გიგუნაში, ნინმახის წმიდა ჭალაში, სისხლი დაღვარა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; ბაგარაში სისხლი დაღვარა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; დუგრუში სისხლი დაღვარა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; აბზუეგაში სისხლი დაღვარა, გათუმდუგის ტაძარი ცეცხლს მისცა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა, მისი ჯანდაკი დალეწა; ინანას ეანა ცეცხლს მისცა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; შაპადაში სისხლი დაღვარა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; ბიენდაში შეიქრა (?), ქიეში, ნინდარას ტაძარში, სისხლი დაღვარა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; ქინუნირი, დუმუზი-აბზუს ტაძარი, ცეცხლს მისცა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; ლუგალ-ურუს ტაძარი ცეცხლს მისცა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; ნანშეს ენგურის ტაძარში სისხლი დაღვარა, მისი ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; ამა-გეშთინას ტაძარში სისხლი დაღვარა, ამა-გეშთინასგან ვერცხლი და ლაევარდი გაიტაცა; ნინგირსუს ხოდაბუნებში მოწეული ხორბალი ახვეტა.

უმას ხალხს, რაკი ლაგაში მოაოხრა და ნინგირსუს მიმართ ცოდვა ჩაიდინა, მასზე გადმოსული ძალა წაერთვას. ურუინიშგინას, გირსუს მეფეს, ცოდვა არა აქვს; ლუგალსაგესის, უმას ენსის, მისმა ღმერთმა ნისაბამ ცოდვა დააკისროს!

ფ) სარგონ აქადელის ლეგენდა

ტექსტი: L. W. King, Chronicles concerning early Babylonian Kings, II, 1907, 87—96.

მე ვარ შარუქინი, მეფე ძლიერი, მეფე აქადისა; დედაჩემი ღვთისმხევალი იყო, მამა არ ვუწყი. ძმა მამაჩემისა მთიანეთში სახლობდა; ხოლო ქალაქი ჩემი — აზუფირანი ევფრატის ნაპირზეა გაშენებული. მუცლადმიღო დედამ ღვთისმხევალმა, იღუმალ მშობა. ლერწმის კიდობანში ჩამსვა, კარი ფისით ამომიქოლა, მდინარეს მიმცა, წყალმა არ დამფარა; წამიღო მდინარემ, აქი მერწყულთან მიმიტანა; აქი მერწყულმა წყლიდან სარწყულით ამომიყვანა, აქი მერწყულმა შვილად ამიყვანა. აქი მერწყულმა თავის მებაღედ დამაყენა.

ოღეს მებაღე ვიყავ, იშთარმა შემეყვარა. ორმოცდათხუთმეტი წელი მეფოს ვიქმოდი, შავთავიან ხალხზე ვბატონობდი, ვმართავდი. ძლიერ მთაგრეხილებს ბრინჯაოს ცულებით ვანგრევდი, ზემოურ მთებზე ავდიოდი, ქვემოურ მთებს გადავლაზავდი. ზღვის ქვეყანას სამგზის შემოვადექ, ჩემმა ხელმა დაიპყრო დიღმუნი. მეფე ვინმე; ჩემს შემ-

დღე აღზევებული, შავთავიან ხალხზე ბატონობდეს, მართავდეს, ძლიერ მთავარეხილებს ბრინჯაოს ცულებით ანგრევდეს, ზემოურ მთებზე აღიოდეს, ქვემოურ მთებს გადალახავდეს, ზღვის ქვეყანას სამგზის შემოადგეს, დიღმუნი დაიპყროს მისმა ხელმა...

2) სიზმრა უთუხენგალზე

შუმერულ ტექსტში მოთხრობილი ისტორიული ამბავი — უთუხენგალის, ურუქის მეფეთა შთამომავლის, გამარჯვება გუთიელებზე, რომლებიც ას წელიწადს ბატონობდნენ შუმერში. ამბავი ხდება XXII ს. მიწურულს.

ტექსტი თარგმნილია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Fr. Thureau—Dangin, La fin de la domination Gutienne, ZA, IX № 3, 1912.

ენლილმა გუთიუმის დასამხობად, მთის გველეშაპისა. ღმერთების მტრისა. რომელმაც შუმერის მეფობა მთაში გაიტაცა, რომელმაც შუმერის ქვეყანა მტრობით აავსო, ცოლიანს ცოლი მოსტაცა, შვილიანს შვილი მოსტაცა, ქვეყანაში მტრობა და შუღლი ჩამოაგდო, — ენლილმა, სამყაროს მეფემ, მისი სახელის დასამხობად უთუხენგალს. ურუქის მეფეს, ოთხივე კუთხის მეფეს, რომლის სიტყვა უცილობელია, ენლილმა, სამყაროს მეფემ, ძალა მიანიჭა.

უთუხენგალი თავის ქალბატონთან. ინანასთან წავიდა, ლოცვა აღუვლინა: „ჩემო ქალბატონო, ბრძოლის ლომო. მთელს ქვეყანაზე უმშვენიერესო! ენლილმა შუმერის მეფობის გამოსახსნელად ძალა მომანიჭა. ჩემი შემწე იყავი!“...

ტირიკანმა, გუთიუმის მეფემ, გამოაცხადა: „ჩემს წინააღმდეგ ვერავინ გამოვა!“.

ტიგრისი (იდიგნა) ზღვის კიდემდე დაჭერილია, შუმერი ქვემოთამდე შეკრულია, ზემოთამდე შებოროცილია; ქვეყნის გზებზე მალაღლი ბალახია ამოსული. მეფე, ენლილისგან ძალამონიჭებული, ინანასგან გულითმომხმობილი, უთუხენგალი, მოყმე ძლიერი, ურუქიდან გავიდა. იშქურის ტაძარში მსხვერპლი შესწირა, ქალაქის შვილებს სიტყვა უთხრა: „გუთიუმი ენლილმა მომცა! ჩემი ქალბატონი ინანა ჩემი შემწეა! დუმუზიმ, ცის გველეშაპმა (ამაუშუმგალანამ) ჩემი ბედი გამოაცხადა. გილგამეშმა, ნინსუნას ძემ, ნიშანი მომცა!“.

ქულაბას შვილებს, ურუქის შვილებს (უთუხენგალმა) მხიარული გული ჩაუდგა, ქალაქი მისი ერთი კაცივით უკან გაჰყვა. პირმოკუმული(?), თვალგახსნილი გაემართა. იშქურის ტაძრიდან რა დაიძრა, მეოთხე დღეს ნაქსუში, ენურუგალის ტაძარში, მსხვერპლი შესწირა. მეხუთე დღეს დუდუსის ბაგინში მსხვერპლი შესწირა. ურნინაზუმ

და ნაბიენლილმა — ტირიკანის სარდლებმა შუმერში მაცნეები და-
გზავნეს

დუდუსის ბაგინიდან რა დაიძრა, მეექვსე დღეს მურუს თავში
მსხვერპლი შესწირა. იშქურისკენ გაემართა. ლოცვა აღუვლინა:
„იშქურ... ენლილმა... ჩემი შემწე იყავი!“ იმ შუალადით.. უთუსკენ
გაემართა. ლოცვა აღუვლინა: „ჰე, უთუ, გუთიუმი ენლილმა მომცა,
ჩემი შემწე იყავი.“...

ლაშქარს გაუძღვა მის წინააღმდეგ. უთუხენგალმა, ძლიერმა მო-
ყემ. გაიმარჯვა. მაშინ ტირიკანი, გუთიუმის მეფე, მარტოდმარტო
ფეხით გაიქცა. თავის საჭურველთმტვირთველითურთ დუბრუმში
დაიმალა. დუბრუმელებმა, რაკი იცოდნენ, რომ უთუხენგალი ენლი-
ლისგან ძალამონიკებული მეფე იყო, ტირიკანს ხელი არ მისცეს.
უთუხენგალის მაცნემ ტირიკანი მისი ცოლ-შვილითურთ დუბრუმში
შეიპყრო, ხელზე ბორკილი დაადო და მის წინაშე მიიყვანა. უთუ-
ხენგალმა მას თვალი შეავლო, ტირიკანი მის ფეხქვეშ დაემხო,
უთუხენგალმა ჭედზე ფეხი დაადგა. გუთიუმი, მთის გველეშაპი,...

შუმერის მეფობა განთავისუფლდა.

3) შუა იზინის გლობა

შემერული მგოსანი გლობის ურის III დინასტიის უკანასკნელ წარმომადგე-
ნელს იზინის (2027—2003), რომელიც ელაბელებმა დაატყვევეს.

ტექსტი: A. Falkenstein Die Ibbisin—Kage Die wet des Orients V. 1950,
377—384.

ეამთა ცვალებად, რჯულთა დამხობად, ავმა დროებამ წარ-
ღენასავით წალეკა ყოველივე. შუმერის რჯული რომ შეცვალა, კეთი-
ლი დროება რომ წაეშალა, ქალაქები რომ დაემხო, სახლები რომ დაექ-
ცია, ბოსლები რომ დაეშალა, ფარეხები რომ წარეხოცა, ძროხა ბოსელ-
ში რომ აღარ მდგარიყო, ცხვარს ფარეხში აღარ ემრავლა, არხებში მწა-
რე წყალს ედინა, ყანებში ბალახი რომ ამოსულიყო, მდგლოებს
რომ ღვარკლი აღმოეცენა, დედას შვილი რომ აღარ მოექებნა, მამას
ცოლისთვის რომ აღარ მოეხმო. თანამწოლს მის გვერდით რომ აღარ
გაეხარა, ჩვილნი კალთებში რომ აღარ გაზრდილიყვნენ, ძიძას იავ-
ნანა რომ აღარ ემღერა. სამეფო საყდარს რომ ადგილი შეეცვლოდა,
ბრძნული განგება რომ დაბრკოლებულიყო, მიფობა შუმერიდან რომ
მოტაცებულიყო, და უცხო მხარეში გამოჩენილიყო, ანისა და ენ-
ლილის ბრძანებით რჯული მოშლილიყო.

ოდეს ანმა! სამყაროს გადახედა, ოდეს ენლილმა თვალი უცხო
ქვეყანას მიაპყრო, ენქიმ ტიგროსს და ევერატს დინება შეუცვალა,
მაშინ ანმა და ენლილმა ასე გადაწყვიტეს — ხალხს ძველ ადგილას

აღარ ეცხოვრა, უცხო მხარეში გადახვეწილიყო, სუთელ-ელამელთ¹ დაეპყროთ ქვეყანა. მეფეს სასახლე და ქვეყანა დაეგდო. მეფე იბისი-ნი ელამში წარტყვევნილიყო, ზაბუს მთებში, მთათა მკერდისკენ, ან-შანის² კიდემდე წაყევანათ, მსგავსად ბუდემოშლილი ფრინველისა, მსგავსად მწირისა თავის ქალაქად ველარ მოქცეულიყო; მდინარის პირებზე ავი ბალახი ამოსულიყო, გზებზე ფეხი არავის დაედგა, მგზავრობას აღარავინ შედგომოდა, ერმრავალი ქალაქი ნანგრევებად ქცეულიყო, შავთავიანები თავიანთ საცხოვრისებში ამომწყდარი-ყვნენ, ზოდებუნები აღარ მოხნულიყო, მწყემსს სამოვარზე ცხვრისთვის აღარ მოეხმო, ბოსელში ფურებს რქე და ერბო აღარ მოეცათ, ველ-ზე საქონელი შემცირებულყო, ყოველი სულდგმული მომსპარიყო, შაქანის³ პირუტყვს სიმშვიდე ვერ ეპოვნა, ლელიანს ბოროტი ლერ-წამი აღმოეცენა, ქებში წყალი ამომშრალიყო. ბაღები, სადაც ახალ-ნერგები არ ჰყვავიან, თავისთავად გამხმარიყო.

უკეთუ ანი და ენლილი, სამყაროს მეუფენი, ქვეყანას ბედს გადაუწყვეტენ, ანის სიტყვას ვინ გადავა, ენლილის სიტყვას წინ ვინ აღუდგება? ეშინია შუმერის ქვეყანას, ძრწის ერი, მეფე აღარ არის, გოდებს ხალხი მისი.

1 ანი — შუმ. ცა, ცის ღმერთი.

2 ენლილი — მიწასა და ცას შორის არსებული სივრცის ღმერთი. შუმერის ეროვნული ერთიანობის ღვთაება.

3 ენქი — მიწისქვეშა წყლების, სიბრძნისა და ხელოვნებათა ღმერთი.

4 სუთელინი — შუამდინარეთის ჩრდილოეთით მცხოვრები მთის ხალხი,

5 ანშანი — ელამი.

6 შაქანი — გარეული ცხოველების ღმერთი, „ნადირთ პატრონი“.

V. შუა ასურული კანონები

(თარგმნა ე. ასტახიშვილმა)

ჩვენამდე მოღწეული ძველი ასურეთის წერილობითი წყაროებიდან აღსანიშნავია შუა ასურული ეპოქის კულტურულ-ისტორიული და ყოფითი ცხოვრების ამსახველი ისეთი მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლები, როგორცაა ე. წ. შუა ასურული კანონები. ძეგლი შედგება 14 ლურსმული ფირფიტისა და ცალკეული ფრაგმენტებისაგან. რომელთაგანაც ნაწილი კარგად არის შემონახული, ნაწილი კი თითქმის არ იკითხება. მათ, ჩვეულებრივ. აღნიშნავენ ლათინური ასოებით A-დან O-მდე.

შუა ასურული კანონები წარმოადგენს აშურის ქალაქ-სახელმწიფოს საქალაქო თემის სამართლის წესთა კრებულს. კანონები თა-

რიღდება ძვ. წ. 1450—1250 წლებით, თუმცა ჩვენამდე მოღწეული ასლები მიეკუთვნებიან ძვ. წ. XII—XI სს. კანონები დაწერილია აქადური ენის შუა ასურულ დიალექტზე.

შუა ასურული კანონები საშუალებას იძლევა წარმოდგენა შეგვექმნეს აღნიშნული პერიოდის საზოგადოების კლასობრივი და წოდებრივი სტრუქტურის დამახასიათებელ ნიშნებზე, მიწაზე, საკუთრების ფორმებზე, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის რეგულირებაზე და სხვაზე.

ტექსტის თარგმნისას გამოყენებულ იქნა შემდეგი გამოცემები: Driver G. R. and Miles J. C. *The Assyrian Law*, Oxford, 1935; Якобсон В. А.: *Среднеассирийские законы*, წიგნში: *Хрестоматия по истории древнего Востока*, под ред. Коростовцева М. А., Кашельсона И. С., Кузнецова В. И., т. I, М., 1980.

ფირფიტა A

§ 1. უკეთუ ქალი, — იქნება ეს ცოლი კაცისა, თუ — შვილი კაცისა — შევა ღვთაების სახლში (ტაძარში) [და] ტაძრიდან მოიპარავს ტაძრის წმინდა ადგილის კუთვნილ [ნივთს] (ხოლო) მას (ნივთს) იპოვნინან (ქალის) [ხელში], ამხილებენ (ქალს) ფიცის ქვეშ, ან (სხვა საშუალებით) დაამტკიცებენ მის დანაშაულს, ნაქურდალი მას უნდა ჩამოართვან და მიმართონ (ჰკითხონ) ღვთაებას; რასაც იგი (ღვთაება) ბრძანებს, ისე უნდა მოექცნენ მას (დამნაშავე ქალს).

§ 2. უკეთუ ქალი, — იქნება ეს ცოლი კაცისა, თუ შვილი კაცისა — ჩაიდენს მკრეხელობას, ან უგვიანობას, [მხოლოდ] იგი (ეს ქალი) დაისჯება. (მისი) ქმარი, ძენი და ქალიშვილები არ უნდა დაისაჯონ.

§ 3. უკეთუ კაცი ავად გახდება, ან მოკვდება, ხოლო მისი ცოლი (ქმრის) სახლიდან რაიმეს მოიპარავს და მას (ნაქურდალს) გადასცემს კაცს, ან ქალს, ვისმე სხვას, მაშინ ეს (ქალი) ცოლი კაცისა, და ასევე (ნაქურდალის) ამლები, უნდა მოკლან, ხოლო თუ ჯანმრთელი კაცის ცოლი ქმრის სახლიდან (რაიმეს) მოიპარავს და გადასცემს მას კაცს, ქალს. ვისმე სხვას, ქმარმა ფიცით უნდა ამხილოს ცოლი და დასაჯოს იგი. გათხოვილი ქალის მხრიდან კი ნაქურდალი უნდა დააბრუნოს (ნივთის) ამლებმა და იგი დაისაჯოს იმავე სასჯელით, რასასჯელსაც ქმარი დაუწესებს თავის ცოლს.

§ 4. უკეთუ მონა ან მხევალი რაიმეს (ნაქურდალს) მიიღებენ გათხოვილი ქალის (ხელიდან), მონას არ მხევალს უნდა მოაპრან ცხვირი და ყურები, [ხოლო] ნაქურდალი მათ უნდა დააბრუნონ. კაცს შეუძლია მოპრას ყურები თავის ცოლს, მაგრამ, თუ იგი გაათავისუფლებს ცოლს და არ მოაპრის მას ყურებს, მაშინ მონას ან

მხვეალსაც არ უნდა მოაქრან ცხვირი და ყურები და ისინი არ არიან ვალდებული დააბრუნონ ნაქურდალი!

§ 5. უკეთუ ცოლი კაცისა სხვა კაცის სახლიდან (რაიმე) ნივთს მოიპარავს, [თუ] იგი აიღებს 5 მინა კალაზე [მეტე ღირებულების ნივთს], ნაქურდალის პატრონმა უნდა დაიფიცოს: „მე არ დამირთავს ნება მისთვის, აელო ეს (ნივთი)“ და კიდევ ამგვარად: „ჩემს სახლში ქურდობა მოხდა“. თუ ქმარს სურს, იგი დააბრუნებს ნაქურდალს, [ამით] გამოისყიდის თავის ცოლს და მოაჭრის მას ყურებს, ხოლო თუკი ქმარს არ სურს გამოისყიდოს იგი (თავისი ცოლი), მაშინ მოპარული ნივთის პატრონს შეუძლია იგი (ქალი) წაიყვანოს და მოაჭრას მას ცხვირი.

§ 6. უკეთუ ცოლი კაცისა რაიმე (ნივთს) დამალავს სახლს გარეთ, (ნივთის ამღები) პასუხს აგებს, (როგორც ნაქურდალის შემნახველი)².

§ 7. უკეთუ ქალი ხელს აღმართავს მამაკაცზე და (მას) ამაში ამხელენ, მან უნდა გადაიხადოს 30 მინა კალა და მას უნდა დაჭკრან 20 ჯოხი.

§ 8. უკეთუ ქალი ჩხუბის დროს დაუზიანებს მამაკაცს სათესლე ჯირკვალს, მას (ქალს) უნდა მოკვეთონ თითი. ხოლო იმისდა მიუხედავად, რომ ეჭიმმა სათესლე ჯირკვალზე დაადო სახვევი, მასზე ანთებითი პროცესი დაიწყება და მოკვდება, ან თუ (კაცს) ჩხუბის დროს მეორე ჯირკვალიც დაუზიანდება, ქალს უნდა მოკვეთონ ორივე ძუძუს თავი.

§ 9. უკეთუ კაცი ხელს აღმართავს გათხოვილ ქალზე და მოექცევა ისე, როგორც პატარა ბავშვს³ და (კაცს) ბრალს დასდებენ და ამხელენ, მას უნდა მოკვეთონ თითი. ხოლო თუკი იგი ქალს აკოცებს, საჭიროა მისი ქვედა ტუჩი მიიტანონ ნაჯახის პირთან და მოკვეთონ.

§ 10. უკეთუ კაცი ან ქალი შევლენ (სხვა) კაცის სახლში და მოკლავენ კაცს ან ქალს, მკვლელები უნდა გადასცენ სახლის პატრონს. თუ მას სურს, მას შეუძლია ისინი მოკლას. თუ მას სურს, მას შეუძლია (მკვლელების) ქონების წართმევით აინაზღაუროს ზარალი. თუ (მკვლელების) სახლიდან წასაღები არაფერია, მაშინ (ისინი) ძეს ან ასულს მისცემენ... სახლში.

§ 11. დაზიანებულია და არ იკითხება.

§ 12. უკეთუ გათხოვილი ქალი მიდის ქუჩაში. მას მამაკაცი ხელს წააელებს და ეტყვის: „ნება მომეცი დაწვე შენთან“ (და თუ) იგი არ დათანხმდება, თავს დაიცავს, მაგრამ (მამაკაცი) ძალით დაიმორჩილებს, დაწვება მასთან და თუ მას (მამაკაცს) წაასწრებენ გათხოვილ ქალთან, ან მოწმეები ამხელენ მასზედ. რომ იგი [ამ] ქალთან იწვა, მამაკაცი უნდა მოკლან, ხოლო ქალი არ დაისჯება⁴.

§ 13. უკეთუ ქალი გამოვა თავის სახლიდან. წავა კაცთან იქ, სადაც იგი ცხოვრობს და თუ მას (მამაკაცს) ეცოდინება, რომ ქალი გათხოვილია და მაინც დაწვება მასთან, მამაკაცთა და ქალიც უნდა მოკლან.

§ 14. უკეთუ მამაკაცი დაწვება გათხოვილ ქალთან, იქნება ეს ფუნდლუკში, თუ ქუჩაში, ეცოდინება რა, რომ იგი გათხოვილია. მაშინ მამაკაცს უნდა მოექცენ ისევე, როგორც ქმარი მოისურვებს მოექცეს თავის ცოლს. თუ მამაკაცი დაწვება ქალთან და არ ეცოდინება, რომ იგი გათხოვილია, მაშინ იგი (მამაკაცი) უდანაშაულოა. ქმარს შეუძლია ფიცის ქვეშ ამხილოს თავისი ცოლი და მოექცეს მას ისე, როგორც სურს.

§ 15. უკეთუ მამაკაცი წაასწრებს თავის ცოლს [სხვა] კაცთან, ბრალს დასდებს, ამხელს და ორივეს მოკლავს, [ამაში] ის დამნაშავე არ იქნება. თუ იგი შეიპყრობს მას (ცოლთან მწოლიარე მამაკაცს). მიიყვანს მეფესთან ან მსაჯულებთან, ფიცის ქვეშ ბრალს დასდებს მას და ამხელს, [მაშინ] თუ ქმარი მოკლავს თავის ცოლს, მას შეუძლია მოკლას კაციც, [ხოლო], თუ თავის ცოლს მოაჭრის ცხვირს, უფლება აქვს დაასაჭურისოს კაცი, ან დაუმახინჯოს მას სახე. ხოლო თუ იგი (ქმარი) გაათავისუფლებს თავის ცოლს, მაშინ იგი ვალდებულია გაათავისუფლოს მამაკაციც.

§ 16. უკეთუ ქალი შეაცდენს მამაკაცს და იგი (მამაკაცი) დაწვება მასთან, [მამაკაცი] უდანაშაულოა. ქმარს შეუძლია თავისი სურვილისამებრ დასაჯოს ცოლი. [ხოლო] თუ იგი (მამაკაცი) ძალით დაწვება ქალთან და მას ამხელენ და ბრალს დასდებენ, მაშინ მისი სასჯელი ისეთივე უნდა იყოს, როგორც გათხოვილი ქალისა⁶.

§ 17. უკეთუ მამაკაცი ეტყვის მეორე მამაკაცს: „შენი ცოლი როსკიპია“⁷, — და მას (ბრალდების) მოწმეები არა ჰყავს, ისინი შეთანხმდებიან და წავლენ მდინარესთან⁸.

§ 18. უკეთუ მამაკაცი ეტყვის თავის თანასწორს, საიდუმლოდ იქნება ეს თუ ჩხუბის დროს: „შენ ცოლი როსკიპია“. და კიდე: „მე თვითონ ბრალს დავდებ მას ფიცის ქვეშ“ და ბრალს არ დასდებს მას და არ ამხელს, ამ კაცს უნდა დაჰკრან 40 ჯოხი. ერთი თვის განმავლობაში იგი შეასრულებს სამეფო სამუშაოს, მას დადალავენ და გადაახდებიან 1 ტალანტი კალას.

§ 19. უკეთუ მამაკაცი ცოლს დასწამებს თანასწორს, იტყვის: „მასთან წვანან“, ან ჩხუბის დროს სახალხოდ ეტყვის: „შენთან წვანან“ და კიდე: „მე ფიცის ქვეშ გამხელ შენ“, მაგრამ არ ამხელს და ბრალს არ დასდებს, ასეთ კაცს უნდა დაჰკრან 50 ჯოხი. ერთი თვის მანძილზე მან უნდა შეასრულოს სამეფო სამუშაო. იგი უნდა დადალონ და გადაახდებიან 1 ტალანტი კალა.

§ 20. უკეთუ მამაკაცი დაწვება თანასწორთან და მას ამხელენ და ბრალს დადებენ, თავად მასთან უნდა დაწვნიენ და (შემდეგ) დასაქურთისონ⁹.

§ 21. უკეთუ მამაკაცი დაარტყამს (სხვა) მამაკაცის ქალიშვილს და (დარტყმის შედეგად) მას მუცელს მოუშლის, და მას ამხელენ და ბრალს დასდებენ, მან უნდა გადაიხადოს 2 ტალანტი და 30 მინა კალა, მას უნდა დაჰკრან 50 ჯოხი და ერთი თვის მანძილზე უნდა ამყოფონ სამეფო სამუშაოზე.

§ 22. უკეთუ გათხოვილ ქალს მამაკაცი — არა მამა მისი, არა მმა მისი, არა შვილი მისი — გააგზავნის სამოგზაუროდ, (და) არ ეცოდინება, რომ იგი გათხოვილია, მან უნდა დაიფიცოს (ამის შესახებ) და ქალის ქმარს გადაუხადოს ორი ტალანტი კალა. თუ მან იცის, რომ ქალი გათხოვილია, უნდა გადაიხადოს საზღაური და ამგვარად დაიფიცოს: „ეფიცავ, რომ მე არ ვწოლილვარ მასთან!“ ხოლო თუკი გათხოვილი ქალი იტყვის: „ის იწვა ჩემთან“, მაშინ, გადაუბდის რა ქმარს საზღაურს, (ბრალდებული) შეთანხმების გარეშე წავა მდინარესთან. თუ იგი თავს ააჩილებს მდინარეს, მაშინ მას უნდა მოექცნენ ისევე, როგორც ქმარი მოექცევა თავის ცოლს.

§ 23. უკეთუ გათხოვილი ქალი თავის სახლში მიიყვანს სხვა გათხოვილ ქალს და მისცემს მას მამაკაცს, რათა იგი დაწვეს მასთან. და მამაკაცმა იცის, რომ იგი გათხოვილი ქალია, მაშინ მას (მამაკაცს) უნდა მოექცნენ ისე, როგორც (ექცევან) გათხოვილ ქალთან მწოლარეს, ხოლო მაჰანკალს უნდა მოექცნენ ისე, როგორც ქმარი მოექცევა თავის ორგულ ცოლს. ხოლო თუკი ქმარი არარას დაუშავებს თავის მოღალატე ცოლს, მაშინ არაფერი არ უნდა დაუშავოს ცოლთან (მწოლიარე) მამაკაცს და მაჰანკალს. ისინი უნდა გაათავისუფლონ. ხოლო თუკი გათხოვილმა ქალმა არა უწყოდა რა და მისი სახლში შემყვანი ქალი მოტყუებით მიიყვანს მასთან მამაკაცს, რომელიც მასთან დაწვება და, მიატოვებს რა სახლს, იგი, (გათხოვილი ქალი, თავისი ნებით) განაცხადებს, რომ მასთან იწვნიენ, ქალი უნდა გაათავისუფლონ, ხოლო მასთან მწოლიარე მამაკაცი და მაჰანკალი უნდა მოკლან. თუ მან (დაზარალებულმა ქალმა არაფერი) არ თქვა. ქმარს ძალუძს თავისი სურვილისამებრ დასაჯოს იგი, ხოლო (ქალთან) მწოლიარე (მამაკაცი) და მაჰანკალი უნდა მოკლან.

§ 24. უკეთუ გათხოვილი ქალი თვითნებურად წავა ქმრისაგან და შევა ამავე დასახლებაში მცხოვრები ასურელის სახლში, ან სხვა (დასახლებაში), (იქ), სადაც მას მისცეს თავშესაფარი, დასახლდება სახლის დიასახლისთან და იქ გაათევს რამოდენიმე ღამეს. მაგრამ სახლის პატრონს არ ეცოდინება, რომ მის სახლში ცხოვრობს გათხოვილი ქალი, მაშინ მას შემდეგ, რაც მას (გათხოვილ ქალს) აღ-

შოაჩენენ, ქმარს შეუძლია დაამახინჯოს იგი და არ წაიყვანოს უკან. გათხოვილ ქალს, ვისთანაც (გაქცეული) ცოლი ცხოვრობდა, უნდა მოაქრან ყურები. თუ მის ქმარს სურს, შეუძლია გადაიხადოს 3 ტალანტი და 30 მინა კალა (როგორც გამოსასყიდი), ან თუ მას სურს, შეუძლია წაიყვანოს (ამ კაცის) ცოლი. ხოლო თუკი სახლის პატრონმა იცოდა, რომ მის სახლში, მის ცოლთან ცხოვრობდა გათხოვილი ქალი. მან სამმაგად უნდა გადაიხადოს. თუ იგი უარზეა და ამბობს: „მე არ ვიცოდი“, მაშინ უნდა წავიდეს მდინარესთან. და თუ მამაკაცი, რომლის სახლშიც იმყოფებოდა ქალი თავს აარიდებს მდინარეზე წასვლას. იგი (ე. ი. კაცი, რომლის სახლშიც ცხოვრობდა გათხოვილი ქალი) თავისუფალია, ხოლო (გათხოვილი ქალის ქმარი) გადაიხდის ორდალიასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ხოლო თუკი მამაკაცი, ვისი ცოლიც თვითნებურად წავიდა, არ დაამახინჯა იგი და მხოლოდ დააბრუნა უკან, მაშინ სხვებიც არ დაისჯებიან.

§ 25. უკეთუ ქალი, ჯერ კიდევ თავისი მამის სახლში ცხოვრობს¹⁰, ხოლო მისი ქმარი მოკვდა და ძმებმა (მემკვიდრეობა) არ გაინაწილეს და მას (ქალს) ჯერ კიდევ არა ჰყავს შვილი, ქმრის ძმებს შეუძლიათ წაიღონ საქორწილო საჩუქრები, რომლებიც ქმარმა ცოლს მისცა. და რომლებიც არ დაკარგულა. დანარჩენის (დაკარგულის) თაობაზე მათ შეუძლიათ მიმართონ ლეთაებებს¹¹. მოითხოვონ და წაიღონ. (ქალის ოჯახს) არ უნდა დააძალონ არც მდინარეზე წასვლა და არც ფიცის დადება.

§ 26. უკეთუ ქალი ჯერ კიდევ თავისი მამის სახლში ცხოვრობს, ხოლო მისი ქმარი მოკვდა, მაშინ ის საქორწილო საჩუქრები, რომლებიც ქმარმა მას მისცა, ქმრის შვილებს, თუ ისინი არიან (თუ ქმარს შვილები ჰყავდა), საჩუქრები შეუძლიათ უკან წაიღონ. თუ ქმრის შვილები არ არიან, საჩუქრები თვითონ მას (ქალს) დარჩება.

§ 27. უკეთუ ქალი ჯერ კიდევ თავისი მამის სახლში ცხოვრობს და მისი ქმარი ხშირად მიდის მასთან, მაშინ ყველა საჩუქარი, რომელიც ქმარს უჩუქებია. მას შეუძლია უკან წაიღოს, როგორც თავისი საკუთრება. მაგრამ მას არ შეუძლია წაუყენოს პრეტენზიები ცოლის მამას.

§ 28. უკეთუ ქვრივი ქალი შევა მამაკაცის სახლში და სახლში შეიყვანს თავის შვილს (გაჩენილს პირველი ქმრის სიკვდილის შემდეგ) და იგი გაიზრდება მამობილის სახლში, მაგრამ მისი შვილად აყვანის შესახებ არ შედგება დოკუმენტი, მას (შვილობილს) არ შეუძლია მოითხოვოს მამობილის მემკვიდრეობის ნაწილი და პასუხს არ აგებს მის ვალებზე. მან უნდა მიიღოს კუთვნილი (სამემკვიდრეო) წილი თავისი მშობელი [მამის] სახლიდან.

§ 29. უკეთუ ქალი შევა თავისი ქმრის სახლში, მზითვეი და მამის სახლიდან მოტანილი, ასევე მამამთილის ნაჩუქარი ყველა ნივთი ხელმისაწვდომია მისი შვილებისათვის. მამამთილის შვილებმა მასზე პრეტენზიები არ უნდა წამოაყენონ. ხოლო თუ ქმარი ცოლს გააგდებს¹², მაშინ მას (ქმარს) შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით მისცეს (ქალის) შვილებს ის, რაც მას სურს.

§ 30. უკეთუ მამა თავისი შვილის სიმამრის სახლში მიიტანს საქორწინო საჩუქრებს¹³, მაგრამ ქალი ჯერ კიდევ არ არის მისი შვილის ცოლი, ხოლო მისი მეორე შვილი, რომლის ცოლიც ჯერ კიდევ თავისი მამის სახლში ცხოვრობს, მოკვდება, მას (კაცის მამას) შეუძლია თავისი მკვდარი შვილის (დაქვრივებული) ცოლი მიათხოვოს შვილს, რომლის საქორწინო საჩუქრებიც მიტანილი აქვს სიმამრის სახლში. თუ ქალიშვილის პატრონი, რომელმაც მიიღო საქორწინო საჩუქრები არ მოისურვებს მისცეს თავისი ქალიშვილი, მაშინ მამას, რომელმაც მიიტანა საჩუქრები, შეუძლია, უკეთუ მოისურვებს, წაიყვანოს რძალი და მისცეს თავის შვილს. ან თუ იგი მოისურვებს, შეუძლია წაიღოს მის მიერ მიტანილი კალა, ვერცხლი, ოქრო, — ყველაფერი ის, რაც საკვებს არ წარმოადგენს. მას არა აქვს უფლება მოითხოვოს მის მიერ (საჩუქრად) მიტანილი საკვები¹⁴.

§ 1. უკეთუ კაცი თავისი სიმამრის სახლში მიიტანს საქორწინო საჩუქრებს და (ამის შემდგომ) მისი ცოლი მოკვდება. [მაგრამ] მის სიმამრს ჰყავს [სხვა] ქალიშვილებიც. მაშინ, უკეთუ სიმამრი მოისურვებს, მას (მამაკაცს) შეუძლია თავისი გარდაცვლილი ცოლის სამაგიეროდ შეერთოს სიმამრის სხვა ქალიშვილი. ან მას (მამაკაცს) შეუძლია უკან წაიღოს მიტანილი ვერცხლი. მას არ მისცემენ არც მარცვლეულს, არც ცხვარს, ან სხვა რამ საკვებს. იგი მიიღებს მხოლოდ და მხოლოდ ვერცხლს.

§ 32. უკეთუ ქალი ჯერ კიდევ თავისი მამის სახლში ცხოვრობს და თუკი მას მიღებული აქვს (საქორწინო) საჩუქრები, მაშინ, მნიშვნელობა არა აქვს, მიღებულია, თუ არ არის მიღებული იგი (ქალი) მამამთილის სახლში. იგი პასუხს აგებს ქმრის ვალებზე, ცოდვებზე და დანაშაულზე.

§ 33. უკეთუ ქალი ჯერ კიდევ მამის სახლში ცხოვრობს და მისი ქმარი მოკვდება, მაგრამ მას (ქალს) ჰყავს შვილები, მას შეუძლია იცხოვროს რომელიმე მათგანის სახლში. თუ მას არა ჰყავს შვილები, მამამთილს შეუძლია შერთოს იგი თავის რომელიმე შვილს, ან თუ მისი (ქალის) მამა ისურვებს, მას შეუძლია შვილი შერთოს მძახალს. თუ მოკვდება ქმარიც და მამამთილიც და ქალს არა ჰყავს შვილები, ის ქვრივია და შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით მოიქცეს¹⁵.

§ 34. უკეთუ კაცი საქორწილო ხელშეკრულების გარეშე მიიყვანს [თავის სახლში] ქვრივ ქალს და იგი (ქალი) მასთან იცხოვრებს 2 წელიწადს, მაშინ იგი მისი ცოლია, და იგი (ქალი) არ უნდა წავიდეს.

§ 35. უკეთუ ქვრივი ქალი შევა მამაკაცის სახლში, მაშინ ყველაფერი ის, რასაც იგი მიიტანს, ეკუთვნის მის ქმარს. უკეთუ მამაკაცი შევა ქვრივი ქალის სახლში, მაშინ ის, რასაც იგი მიიტანს. ქალს ეკუთვნის.

§ 36. უკეთუ ქალი ჯერ კიდევ მამასთან (მამის სახლში) ცხოვრობს, ან ქმარი დაასახლებს მას ცალკე, და თუ ქმარი წავა სხვაგან და არ დაუტოვებს ცოლს არც ზეთს, არც მატყლს, არც ტანსაცმელს, არც საკვებს და არც სხვა რას და ის (ცოლი) არ ღებულობს საკვებს. (მას არავინ ამარაგებს). ქალმა უნდა უტადოს ქმარს 5 წლის მანძილზე. მას უფლება არა აქვს იცხოვროს (მეორე) ქმართან. თუ მას ჰყავს შვილები [დაე] მათ იმუშაონ, [დაე] ისინი დადგნენ ქირაზე და თავი ირჩინონ. ქალი კი უნდა ელოდოს ქმარს და არ უნდა იცხოვროს სხვა კაცთან. თუ მას არა ჰყავს შვილები, მან უნდა უტადოს ქმარს 5 წელი. მეექვსე წლის დადგომისას, მას შეუძლია საცხოვრებლად [წავიდეს] იმასთან, ვისთანაც ისურვებს. მის (ყოფილ) ქმარს, თუ დაბრუნდება, უფლება არა აქვს მოითხოვოს ცოლის უკან დაბრუნება. ის (ცოლი) თავისუფალია მეორე ქმრისათვის.

[მაგრამ] თუ იგი (ქმარი) დააგვიანებს ხუთ წელიწადზე მეტს, დააგვიანებს არა თავისი ნებით; ავად გახდება და დააგვიანებს. ან მას (შეცდომით) მიიჩნევენ ქურდად და შეიპყრობენ [და] დაბრუნებისას ის შეძლებს (ამის) დამტკიცებას, მას [უფლება აქვს] დაიბრუნოს ცოლი და (მეორე ქმარს) მისცეს სამაგიერო ქალი.

ხოლო თუ იგი მეფის მიერ იქნა გაგზავნილი სხვა ქვეყანაში და იქ დაყოვნდება 5 წელიწადზე მეტ ხანს, ცოლი მას უნდა ელოდოს და მას უფლება არა აქვს იცხოვროს სხვა კაცთან. უკეთუ იგი (ცოლი) 5 წლის გასვლამდე წავა საცხოვრებლად (მეორე) ქმართან და შობს (შვილს), ქმარს შეუძლია დაბრუნების შემდეგ, ვინაიდან იგი (ცოლი) შეთანხმების მიუხედავად არ დაელოდა მას და გათხოვდა სხვაზე, დაიბრუნოს ცოლი ნაშობთან ერთად¹⁶.

§ 37. უკეთუ კაცი უარს იტყვის ცოლზე, თუ მას სურს. შეუძლია მისცეს ცოლს რაიმე, ხოლო თუ არ სურს მისცეს, მაშინ ცოლი წავა ხელცარიელი.

§ 38. უკეთუ ცოლი ჯერ კიდევ მამის სახლში ცხოვრობს. ხოლო ქმარი მასზე უარს იტყვის. (ცოლისთვის) მიტანილი ძვირფასეულობა მას შეუძლია უკან წაიღოს; (რაც შეეხება) საქორწილო საჩუქარს.

(თ ე რ ხ ა თ უ), მას (ქმარს) უფლება არა აქვს მისი უკან მოთხოვნისა. იგი რჩება ცოლს.

§ 39. უკეთუ კაცი გაათხოვებს სხვა კაცის შვილს, ხოლო [გათხოვებამდე] (ქალის) მაჰამ იგი გირაოს სახით დაასახლა [კრედიტორთან] და (აწლა) მოვა კრედიტორი, მას შეუძლია ქალის ფასი მიიღოს მისი გამთხოვებლისაგან. თუ ანაზღაურება ვერ მოხდება, მაშინ მას (კრედიტორს) უფლება აქვს წაიყვანოს (ქალის) გამთხოვებელი. ხოლო თუ ქალს ცუდად ექცეოდნენ (კრედიტორის სახლში), მაშინ იგი თავისუფალია თავისი ქმრისათვის. ხოლო თუ კაცი, რომელიც მას ცოლად ითხოვს, დააკმაყოფილებს [კრედიტორს] (ქალის) ფასით — შეადგენს დოკუმენტს, ან მას წარუდგენს სარჩელს, ამ შემთხვევაში (ქალის) გამთხოვებელი თავისუფალი იქნება.,

§ 40. დაე, ქუჩაში გამოსული ქალები, იქნებიან ისინი გათხოვილები, ქვრივები თუ ... ნუ ივლიან თავშიშვლები თავსაფრით, ტანსაცმლით ... უნდა იყვნენ თავდაფარულნი; დაე, მათ ნუ ექნებათ თავი შიშველი. ... არ უნდა დაიფარონ, მაგრამ, როდესაც მარტონი გამოვლენ ქუჩაში, მათ [თავი] დაფარული უნდა ჰქონდეთ. ქუჩაში ქალბატონთან ერთად მოსიარულე მხევალს თავი დაფარული უნდა ჰქონდეს. ტაძრის გათხოვილი მსახური ქალი ქუჩაში უნდა დადიოდეს თავდაფარული, ხოლო გაუთხოვარი — თავშიშველი. მეძავი არ უნდა იყოს თავდაფარული, მისი თავი შიშველი უნდა იყოს. ის, ვინც დაინახავს თავდაფარულ მეძავს, ვალდებულია დააკავოს იგი და მოწმეებთან ერთად მიათრიოს სასახლის კარებთან. დამკავებელმა არ უნდა წაართვას მას სამკაულები, მხოლოდ სამოსელი შეუძლია მას თან წაიღოს. [მეძავს] უნდა დაჰქრან 60 ჯოხი და თავზე დაასხან ფისი; თუ მამაკაცი დაინახავს თავდაფარულ მეძავს და არ დააკავებს მას, არ მიიყვანს სასახლის კართან. მას (ამ კაცს) უნდა დაჰქრან 50 ჯოხი, (ხოლო) დამსმენს შეუძლია წაიღოს მისი სამოსი. მას უნდა გაუზვიანდეს ყურები, გაუყარონ თოკი და შეუყარან კეფაზე. ერთი თვის განმავლობაში იგი უნდა ასრულებდეს სამეფო სამუშაოს.

მხევლები არ უნდა დადიოდნენ თავდაფარულნი, [ამიტომ], ის, ვინც დაინახავს თავდაფარულ მხევალს. ვალდებულია დაიჭიროს და მიიყვანოს სასახლის კარებთან. მას უნდა დაჰქრან ყურები, ხოლო მიიყვანს შეუძლია წაიღოს (მისი) სამოსი; ხოლო თუ კაცი დაინახავს თავდაფარულ მხეველს, არ შეიპყრობს და არ მიიყვანს სასახლის კარებთან და მას ამაში ფიცის ქვეშ ამხელენ და ბრალს დასდებენ, მას უნდა დაჰქრან 50 ჯოხი, გაუზვიანდეს ყურები. გაუყარონ თოკი და შეუყარან კეფაზე. მის დამსმენს შეუძლია ტანისამოსის წაღება, ხოლო იგი (დამნაშავე) ერთი თვის მანძილზე უნდა ასრულებდეს სამეფო სამუშაოს.

§ 41. უკეთუ მამაკაცი მოისურვებს პირბადით დაფაროს თავისი მხევალი, მან უნდა მოიწვიოს ხუთი ან ექვსი მეზობელი (თემის წარმომადგენელი), მათი თანდასწრებით დაფაროს (პირბადით მხევალი) და თქვას: „ეს ჩემი ცოლია“. ამის შემდგომ ის — მისი ცოლია. მხევალი, რომელიც დაფარული არ ყოფილა მოწმეების თანდასწრებით, რომლის ქმარსაც არ უთქვამს: „ეს ჩემი ცოლია“, — მხევალია, და არა ცოლი.

§ 42. უკეთუ მამაკაცი ზეთისცხების დღეს ქალიშვილის თავზე ზეთს წასცხებს, ან მიიტანს საქორწილო საჩუქარს (ნადიმზე) გასამასპინძლებლად, (საჩუქარი) არ უნდა მოითხოვოს უკან¹⁵.

§ 43. უკეთუ მამაკაცი [ქალიშვილის] თავზე ზეთს წასცხებს, ან მიიტანს საქორწილო საჩუქარს (ნადიმზე) გასამასპინძლებლად, და შვილი, რომლისთვისაც მას უნდოდა ცოლი, მოკვდა, ან დაიკარგა, მას შეუძლია ქალიშვილი ცოლად შერთოს თავისი შვილებიდან იმას, რომელსაც მოისურვებს, უფროსიდან ყველაზე უმცროსამდე, რომელიც ათი წლის იქნება. თუ მამა მოკვდა და მოკვდა ძეც, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო ცოლი, მაგრამ მას დარჩა 10 წლის შვილი, მას (შვილს) უფლება აქვს იგი (ცოლად) შეერთოს, მაგრამ უკეთუ [გარდაცვლილი] შვილის შვილები ათ წელზე ნაკლები ასაკისანი არიან, ქალის მამას, თუკი მოისურვებს, შეუძლია მისცეს თავისი ქალიშვილი [რომელიმე მათგანს], ან თუ მას სურს, შეუძლია დააბრუნოს საჩუქრები, [ან] მათი სანაცვლო ფასი. თუ ძე არ არის (გარდაცვლილს არა ჰყავს ძმები და შვილები), მან. [საქმროს მამამ] უნდა დააბრუნოს იმდენი, რამდენიც მიიღო: ძვირფასეულობა და [ყველაფერი] ის, რაც საკვებად არ გამოდგება, ხოლო საკვები მან არ უნდა დააბრუნოს.

§ 44. უკეთუ ასურელი მამაკაცი, ან ასურელი ქალი თავიანთი ფასის გირაოდ ცხოვრობენ მამაკაცის სახლში და შესყიდულნი იქნებიან (ვალის გადაუხდელობის გამო) მთლიან ფასად. მას (სესხის მიმცემს) შეუძლია მათი ცემა, [თმებით] თრევა, დამახინჩება, ან ყურების განვრეტა.

§ 45. უკეთუ ქალი გათხოვილია. მაგრამ მის ქმარს ტყვედ ჩაიგდებს მტერი, ხოლო მამამთილი ან შვილი მას არა ჰყავს, იგი ვალდებულია ორი წლის მანძილზე ქმრის ერთგული იყოს. თუ ამ ორი წლის მანძილზე მას არ ექნება საკმელი, იგი უნდა წავიდეს და განაცხადოს. უკეთუ იგი — სასახლის..., მაშინ მისმა [უფროსმა?] იგი უნდა გამოკვებოს, ხოლო იგი (ქალი) ვალდებულია მისთვის იმუშაოს¹⁶. ხოლო თუ იგი ხუფშუს¹⁷ ცოლია, მაშინ მისი ქმრის (მეთაური?) ვალდებულია (ქალი) გამოკვებოს, ხოლო მან მისთვის (მეთაურისთვის) უნდა იმუშაოს. ხოლო თუ მის ქმარს თავის დასახლე-

ბაში მოჰქონდა მინდვრით და სახლით (სარგებლობისათვის დაწესებული) გადასახადი, ცოლი უნდა წავიდეს მსაჯულებთან და განაცხადოს: „მე არა მაქვს საჰმელი“. მსაჯულები ვალდებულნი არიან გამოკითხონ მამასახლისის და დასახლების უბუცესთ და, ვინაიდან, მას (ქმარს) თავის დასახლებაში მოჰქონდა მინდვრისა და სახლის გადასახადი, მის (ცოლს) უნდა გამოუყონ არსებობისათვის საჭირო მინდორი და სახლი ორი წლის ვადით. იგი (ქალი) ვალდებულია იქ იცხოვროს და ისინი მას დაუწერენ დოკუმენტს (?). ორი წლის გასვლის შემდეგ მას (ქალს) შეუძლია დასახლდეს ახალ ქმართან და მას, როგორც ქვრივს, შეუდგენენ დოკუმენტს. უკეთუ ყოველივე ამის შემდეგ დაკარგული ქმარი დაბრუნდება ქვეყანაში, მას შეუძლია ცოლის უკან წაყვანა. მას უფლება არა აქვს მოითხოვოს ახალ ქმართან ნაშობი შვილები. მხოლოდ მეორე ქმარს შეუძლია მათი წაყვანა. (ცოლის) გამოსაკვებად მთლიან ფასად გაყიდული სახლი და მინდორი ქმარს შეუძლია გამოისყიდოს და უკან დაიბრუნოს. თუ იგი მოკვდება, მეფეს შეუძლია მისი კუთვნილი სახლი და მინდორი სხვაზე გასცეს.

§ 46. უკეთუ ქალი, რომლის ქმარი მოკვდა, ქმრის სიკვდილის შემდეგ არ მიდის მისი სახლიდან, ხოლო ქმარს მისთვის არაფერი დაუტოვებია, მას (ქალს) შეუძლია იცხოვროს თავის რომელიმე შვილთან. ქმრის შვილებმა იგი უნდა გამოკვებონ, მათ უნდა დადონ შეთანხმება (დედის), როგორც თავიანთი მოყვარული რძლის, საქმლითა და სასმელით [უზრუნველყოფის] თაობაზე. ხოლო თუ იგი (ქალი) მეორე ცოლია და შვილები არა ჰყავს, მას შეუძლია იცხოვროს [ქმრის შვილთაგან] რომელიმესთან, ხოლო ისინი ვალდებულნი არიან შეთანხმდნენ [და] არჩინონ იგი. თუ მას შვილები ჰყავს, ხოლო (ქმრის) [პირველი] ცოლის შვილებს არ სურთ მისი გამოკვება, მას შეუძლია იცხოვროს თავის საკუთარ რომელიმე შვილთან, რომელთანაც ის მოისურვებს. მისმა საკუთარმა შვილებმა იგი უნდა გამოკვებონ, ხოლო მან მათთვის უნდა იზრომოს. ხოლო, თუ ქმრის რომელიმე შვილი მას მიიღებს. ის ვინც (მას) მიიღებს, მას გამოკვებავს²⁰, ხოლო მისი საკუთარი შვილები ვალდებულნი არ იქნებიან ის გამოკვებონ.

§ 47. უკეთუ კაცი, ან ქალი[ც] დაამზადებენ ჯადოსნურ ბანგს. და ის ნაპოენი იქნება მათ ხელში და მათ ფიცის ქვეშ ამხელენ და ბრალს დასდებენ, ჯადოსნები უნდა დახოცონ. ადამიანი, რომელიც ხედავდა, თუ როგორ ამზადებდნენ ჯადოსნურ ბანგს, ან გაიგონა ამის შესახებ მოწმის პირიდან, რომელმაც უთხრა: „მე თვითონ ვნახე [ეს]“, უნდა მივიდეს და უთხრას მეფეს. უკეთუ მოწმე უარს იტყვის მის მიერ მეფისთვის ნათქვამზე, ის (დამსმენი) ვალდებულია

შამაშის ძის, ხარ-ღმერთის წინაშე თქვას (დაიფიცოს): „ვფიცავ, მან მე მითხრა!“ — და ის თავისუფალი იქნება. მოწმეს კი, რომელმაც თქვა, ხოლო [შემდეგ] უარყო. დაე, მეფემ თავისი სურვილისამებრ კარგად დაეკითხოს და შეიტყოს მისი საიდუმლოება²¹. ქურუმმა შემლოცველმა განწმენდის დღეს უნდა აიძულოს ეს კაცი ილაპარაკოს, და ამგვარად უნდა უთხრას მას: „არაინ გაგათავისუფლებს შენ მეფისა და მისი ძის სახელით [დადებული] ფიცისაგან, რომლითაც შენ დღეს შეკრული ხარ, შენ შეკრული იქნები ამ ფირფიტის სიტყვებით, რომლებიც შეგკრავენ შენ მეფისა და მისი ძის სახელით“²².

§ 48. უკეთუ კაცი, რომლის საბლშიც ცხოვრობს მისი მოვალის ქალიშვილი, ნებართვას აიღებს მამისაგან, მას (სესხის მიმცემს) შეუძლია იგი გაათხოვოს, ხოლო, თუ მამამისი თანახმა არ არის, მან იგი არ უნდა გაათხოვოს. ხოლო თუ მამამისი მოკვდება, მან (სესხის მიმცემმა) უნდა ჰკითხოვს (ქალიშვილის) რომელიმე ძმას, ხოლო მან უნდა შეატყობინოს (დანარჩენ) ძმებს. უკეთუ (რომელიმე) ძმა იტყვის: „დას ჩემსას მე ერთი თვის განმავლობაში გამოვისყიდო“, და თუ ერთი თვის მანძილზე არ გაათავისუფლებს, კრედიტორს თავისი სურვილისამებრ შეუძლია მისი (ვალისაგან) გაათავისუფლება და გათხოვება, [ან მისცემს ფულის ფასად, თანახმად მისი დოკუმენტისა]...

§ 49. ... როგორც ... როგორც ძმა ... და ... თუ მეძავი მოკვდება, მისი ძმების განცხადების შესაბამისად, მისი (მეძავის)... უნდა გაიყოს (ორ ნაწილად) ძმასა და დედის ძმებს შორის ...

§ 50. უკეთუ კაცი დაარტყამს გათხოვილ ქალს და მას მუცელს მოუშლის, საჭიროა მუცელის მომშლელი კაცის ცოლს (დაზარალებული) ქალის ქმარი მოექცეს ისე. როგორც მოექცნენ მის ცოლს. ნაყოფისათვის მან სიცოცხლე [სიცოცხლით] უნდა ზღოს. თუ ქალი მოკვდა, მამაკაცი უნდა მოკლან. (ქალის) ნაყოფისათვის მან სიცოცხლით უნდა ზღოს, ხოლო თუ (დაზარალებული) ქალის ქმარს არა ჰყავს ძე და (კაცი) დაარტყამს მის ცოლს და მას მუცელს მოუშლის, დამრტყმელი ნაყოფის საზღაურად უნდა მოკლან. [მაგრამ] თუ (ქალის) ნაყოფი გოგოა, მან (დამრტყმელმა) სიცოცხლე [სიცოცხლით] უნდა ზღოს.

§ 51. უკეთუ მამაკაცი დაარტყამს ქალს, რომელიც შვილებს არა ზრდის და მას მუცელს მოუშლის, სასჯელი ამგვარია: ორი მინა კალა მან უნდა გადაიხადოს²³.

§ 52. უკეთუ მამაკაცი დაარტყამს მეძავს, და მას მუცელს მოუშლის, დარტყმისათვის მას უნდა დაარტყან და მან [სიცოცხლე] უნდა ზღოს სიცოცხლით.

§ 5. უკეთუ ქალი თვითნებურად მოიშლის მუცელს და მას ფიცის ქვეშ ბრალს დასდებენ და ამხელენ, იგი უნდა დასევან სარზე და არ უნდა დამარბონ. თუ იგი მუცლის მოშლის შედეგად მოკვდება, მაინც უნდა დასევან სარზე და არ დამარბონ. უკეთუ ქალს მუცლის მოშლის ქამს დამალავენ და მეფეს არ შეატყობინებენ...

§ 55. უკეთუ ქალს, მცხოვრებს მამის სახლში, რომელსაც არ დაწყებია ქალური ციკლი, რომელიც იყო ქალწული. არ ყოფილა გათხოვილი, [რომლის მიზეზითაც] მოსარჩლეს არ წარუდგენია სარჩელი მისი მამის გვარისთვის, მამაკაცი იძულებით ნამუსს ახდის, გოგონას მამას შეუძლია წაიყვანოს მისი შვილის ნამუსის ამხდელის ცოლი და ნამუსი ახადოს მას. იგი ვალდებული არ არის დაუბრუნოს ის (ცოლი) თავის ქმარს. შეუძლია იგი თან ჰყავდეს. მამას შეუძლია თავისი ნამუსახილი შვილი ცოლად შერთოს ნამუსის ამხდელს. თუ მას (ნამუსის ამხდელს) ცოლი არა ჰყავს, მან უნდა გადაიხადოს გოგონას სამმაგი ფასი ვერცხლი. ნამუსის ამხდელმა იგი ცოლად უნდა შეერთოს [და] მას უარის თქმის უფლება არა აქვს. თუ მამას არ სურს, მას შეუძლია მიიღოს გოგონას სამმაგი ფასი ვერცხლი და შიათხოვოს იგი მას, ვისაც სურს.

§ 56. უკეთუ ქალიშვილი საკუთარი სურვილით დანებდება მამაკაცს. [ამის გამო] მამაკაცმა უნდა დაიფიცოს. და მის ცოლს ხელი არ უნდა ახლონ. ნამუსის ამხდელმა უნდა გადაიხადოს ქალიშვილის სამმაგი ფასი ვერცხლი, [ხოლო მის] მამას შეუძლია მოექცეს თავის შვილს ისე, როგორც მას სურს.

§ 57. იქნება ეს ცემა, იქნება ეს გათხოვილი ქალის..., რაც ჩაწერილია ფირფიტაზე. მსაჯულების წინაშე უნდა აღსრულდეს.

§ 58. ყოველგვარი სასჯელის სისრულეში მოყვანისას, იქნება ეს ამოთხრა, გათხოვილი ქალისთვის [სხეულის რომელიმე ნაწილის] მოკვეთა, დაე. ამცნონ ქურუმს. დაე. ის მოვიდეს, როგორც ფირფიტაშია ჩაწერილი.

§ 59. ფირფიტაზე დაწერილი. გათხოვილი ქალისადმი (დაწესებული) სასჯელის გარდა, კაცს შეუძლია ცემოს თავის ცოლი. [თმებით] ათრიოს (იგი), დაუზიანოს და გაუხვრიტოს მას ყურები. ეს დანაშაულად არ ჩაითვლება.

1 სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში, ქმარი მოპარულ ნივთს ჩექნის ცოლს.

2 ამ პარაგრაფის თარგმანი, ტექსტის დაზიანების გამო საკამათოა. როგორც ჩანს, § 3 განსხვავება იმაში მდგომარეობს რომ ცოლი ნაქურდალს მალავს სხვის სახლში.

3 შესაძლოა იგულისხმებოდეს თავისუფალი მოპყრობა, რაც თავისთავად დაუშვებელია გათხოვილი ქალის მიმართ (ზუსტი თარგმანი — „ის ეფერება მას“).

4 როგორც ჩანს, დამნაშავე გაიქცა და ის მხოლოდ მოგვიანებით შეიპყრეს.

5 ამ მუხლის მიხედვით მამაკაცს ეპატიება ჩადენილი დანაშაული, თუ იგი გათხოვილ ქალს მიიჩნევს შეძავად.

6 ტექსტის დაზიანების გამო თარგმანი ექვს იწვევს. ამ მუხლის შესახებ გამოთქმულია არაერთი მოსაზრება, მაგრამ დღემდე მკვლევარნი არ მისულან საერთო აზრამდე.

7 ზუსტი თარგმანი: — „შენს ცოლს შეიცნობენ სხვები“.

8 იგულისხმება ორდალია.

9 ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მამათმავლობა სამარცხვინოდ ითვლებოდა მხოლოდ აქტის პასიური მონაწილისათვის, ვინაიდან იგი განიცდის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიურ ზემოქმედებას.

10 ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა უწლოვანი ბავშვების დაქორწინებას, რომლებიც სრულწლოვანებამდე ცხოვრობდნენ მშობლების სახლში.

11: ე. ი. პიმართონ ღვთაების გამოსახულებებს, რომლებიც დგანან სასამართლო წარმოების ადგილას.

12 ამ ფრაგმენტის თარგმანი ექვს იწვევს.

13 ტექსტში წარმოდგენილია დღემდე დაუდგენელი ორი ტერმინი.

14 ეს მუხლი წარმოაჩენს ლევირატის წესს.

15 ამ პარაგრაფში გვხვდება ბევრი ლაკუნა, რომლის გამოც შინაარსის გაგება გაძნელებულია და დღემდე საკამათოა.

16 ამ შემთხვევაში იგულისხმება არაკანონიერი შვილი.

17 რიტუალის დანიშნულება გაუგებარია.

18 ეს ფრაზა მწელად ასახსნელია ლაკუნის გამო. როგორც ჩანს, საქმე ეხება სასახლისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას.

19 იგულისხმება დამოკიდებულ ადამიანთა ერთ-ერთი კატეგორია, საეარაუღლა დამხმარე ჯარისკაცი.

20 ამ ფრაზას ხშირად თარგმნიან როგორც: „ცოლად შეერთავს“, მაგრამ ტექსტის მთლიანობა, ჩვენი აზრით, შემოთავაზებული თარგმანის სიზუსტეს ადასტურებს.

21 შესაძლოა გულმოდგინე დაკითხვაში იგულისხმებოდეს წამება.

22 განწმენდის რიტუალით შეიძლება ადამიანს მოეხსნას ცრუ დაფიცების ცოლა. ამ შემთხვევაში დამნაშავეს უარი უნდა ეთქვას განწმენდის რიტუალზე.

23 ამ შემთხვევაში იგულისხმება ქალი, რომელსაც ბუნებრივად ეშლება მუცლი, ან რომლის ბავშვებიც ადრეულ ასაკში კვდებიან.

VI. ბერძნული ფყაროები ბაბილონის შესახებ. პეროქოტუს „ისტორია“: „ბაბილონის ლოგოსი“

(თარგმნა რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე მ)

ჰეროდოტე, სახელგანთქმული „ისტორიის მამამთავარი“ და აგრეთვე ანტიკური პროზის ბრწყინვალე წარმომადგენელი. წარმომშობით მცირეაზიელი იყო; იგი კარიის ქ. პალიკარანასის მოქალაქეთა შორის ერთი წარჩინებულთაგანის ოჯახში დაიბადა ძვ. წ. დაახლ. 484 წ.

ტირანიისაგან განთავისუფლებისათვის მიმართულ ბრძოლაში მონაწილეობის გამო ჰაბუკ ჰეროდოტეს მოუხდა სამოსზე გაქცევა, აქედან იგი კარგა ბნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა პალიკარნასში და ტირანიის დამხობაში მონაწილეობდა. შემდეგ, V ს. 40-იან წლებიდან მოყოლებული მან ბევრი იმოგზაურა (ეგვიპტე, მესოპოტამია, მცირე აზია, თრაკია, არაბეთი, სკითია, კოლხიდა, სცილია). მოგზაურობის მიზანი, როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, შემეცნებით ინტერესებთან ერთად, სავაჭრო საქმეებიც უნდა ყოფილიყო.

ჰეროდოტეს „ისტორია“ ჩვენამდე მოსული ხელნაწერის მიხედვით 9 წიგნადაა (მუზების სახელების მიხედვით) დაყოფილი (ალექსანდრიელი მეცნიერების მიერ). ძნელია ითქვას, ჰეროდოტეს სხვადასხვა ქვეყნების ისტორიის გადმოცემა ჰქონდა მიზნად და ბერძენ-სპარსელთა ომები მათი გაერთიანებისა და საერთო ქარგისთვის ესაჭიროებოდა, თუ ამ ომების გადმოცემას მოჰყვა დაპყრობილი ქვეყნების ამბების თხრობა. თუ მისი ნაწარმოების I თავიდან გამოვალთ, მას უნდოდა უკვდავეყო ელინებისა და უცხოელების (ტერმინ ბარბაროსს იგი ხმარობს ძირითადად არაელინის, უცხო ეროვნების გაგებით) ნამოქმედარ-ნამოღვაწარი, საგანგებოდ კი — გაეგომიზეზი მათი შუღლისა. ისტორიული კვლევის თანამედროვე ეტაპზე, ცნობილი ფაქტების წყალობით, დადასტურდა, რომ ჰეროდოტემ ფასდაუღებელი და პირუთვნელი ცნობები გადმოგვეცა მისი დროის ცნობილი მსოფლიოს ხალხების ცხოვრებიდან.

ქვემოთ მოტანილი ნაწყვეტი ისტორიიდან, რომელსაც შეიძლება „ბაბილონური ლოგოსი“ ვუწოდოთ, თვით ჰეროდოტეს ტერმინოლოგიით, თარგმნილია ტექსტის უმთავრესი გამოცემების მიხედვით: A. D. Godley, Loeb Class. Libr. 1920: Ph.—E. Legrand, Coll. des Univers. de Fr, 1932—64: C. Hude, Oxf. 1927 და შედარებულია სხვა თარგმანებთან (ჰეროდოტე, ისტორია, 2 ტომად. თბ., 1975 წ. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი; Ф. Г. Мищенко, Геродот, История, М., 1885; Г. А. Стратановский, Геродот, История, М., 1972, Ph.—E. Legrand: Herodote, Histoire, Paris, 1932—1964, A. D. Godley, Herodotus, History. 1920, London).

178. კიროსმა, მას შემდეგ, რაც მთელი ხმელეთი თავის ხელქვეით დაიმორჩილა, შეუტია ასირიელებს; ასირიელებს სხვა ბევრი დიდი ქალაქიც ჰქონდათ, მაგრამ ყველაზე ცნობილი და ძლევამოსილი ბაბილონი იყო; ნინოსის დაცემის შემდეგ იგი მეფის სატახტო ქალაქად გადაიქცა. შემდეგნაირი იყო ეს ქალაქი: მდებარეობდა დიდ ველზე, თანაბარი, ასოცტადიონიანი სიგრძის გვერდებით კვადრატს წარმოადგენდა; ამგვარად, მთლიანი შემონახავის სიგრძე 480 სტადიონს შეადგენდა. ასეთია ბაბილონის ზომები, ხოლო განაშენე-

ბულია იგი ისე. როგორც არც ერთი სხვა ჩემთვის ცნობილი ქალაქი. თბრილი აქვს ჯერ შემოვლებული გარს ღრმა, განიერი და წყლით ამოვსებული. ხოლო შემდეგ — გალავანი, 50 სამეფო წყრთა სიგანისა და 200 წყრთა სიმაღლისა, სამეფო წყრთა კი ჩვეულებრივს 3 თითით სქარბობს.

179. შემდეგ მე უნდა მოგიტხროთ რისთვის იყენებდნენ თბრილიდან ამოღებულ მიწას, და ან როგორ გააკეთეს გალავანი. თბრილის ამოტბრის თანადროულად აკეთებდნენ აგურებს იმ მიწიდან, რომელსაც განათხარი ადგილიდან იღებდნენ, ხოლო როდესაც საკმაო რაოდენობით აგურებს გამოძერწავდნენ, ისინი გამოწვავდნენ მათ ღუმელებში. შემდეგ ხმარობდნენ ცხელ ბითუმს შემაკავშირებელ მასალად და აგურის ყოველ 30 რიგს შორის მოწნულ ლერწამს ჩაატანდნენ ხოლმე. თავიდან მოაპირკეთეს თბრილის ნაპირები, ხოლო შემდეგ თვით გალავანიც ამგვარადვე ააგეს. გალავნის ზეით ნაპირების გასწვრივ თითოთელიანი ნაგებობანი დააშენეს ურთიერთსაპირისპიროდ. მათ შორის შუაში გასასვლელი დატოვეს ოთხ-ცხენიანი ეტლისათვის. 100 კიშკარია გალავნის ირგვლივ ჩატანებული. მთლიანად სპილენძისგან გაკეთებული, წირთხლები და ზედა წირთხლებიც იმისგანვეა. სხვა ქალაქიც არის 8 დღის სავალზე დაშორებული ბაბილონიდან, სახელად ისი. იქ არის მდინარე, არც ისე დიდი. იგივეა იმ მდინარის სახელიც. იგი შეერწყმის მდინარე ევფრატის ნაკადს. ხსენებული მდინარის წყალი შავი ფისის დიდძალ გუნდას გამოიყავს. აქედან შავი ფისი ბაბილონის გალავნისათვის მიჰქონდათ.

180. ასე იყო გამაგრებული გალავნითა და თბრილით ბაბილონი. ორი ნაწილისგანაა შემდგარი ქალაქი, რადგან მას შუაზე ყოფს მდინარე. სახელად ევფრატი; და მოედინება იგი არმენიიდან, დიდია, ღრმა და სწრაფი, ხოლო ერთვის მეწამულ ზღვას. გალავანი ორივე კიდიდან მდინარისაკენ გადაიხრება, აქედან კი გაუყვება მდინარის ორივე მხრის გასწვრივ გამომწვარი აგურის ჯებირივით. თვით ქალაქი სავსეა სამ-ოთხ სახურავიანი სახლებით და გადასერილია ქუჩებით, რომელნიც ზოგი მდინარის გასწვრივ და ზოგი გარდიგარდმო სწორხაზოვნად მიემართებიან. მდინარის ყოველ გადამკვეთ ქუჩაზე ჯებირში ჩატანებულია იმდენივე კიშკარი. რამდენიც ქუჩაა. ეს კიშკარები სპილენძისაა და ისინიც იმავე მდინარისაკენ გადიან.

181. ეს გალავანი აბჯარს წაავაგვს. მის შიდა მხრიდან კი გარსმოვლებულია მეორე კედელი, რომელიც პირველზე დიდად არაა სუსტი, მაგრამ უფრო ვიწროა. ქალაქის ერთი ნაწილის შუაში დიდი და მძლავრი გალავნით შემოზღუდულია მეფის რეზიდენცია, ხოლო

მეორე ნაწილში ზევსი ბელოსის სპილენძისჭიშკრიანი წმინდა ადგილია, რომელიც ჩემს დრომდე შემორჩა და ორსტადიონიან გვერდებიან ოთხკუთხედს წარმოადგენს. წმინდა ადგილის შუაში მძლავრი კოშკია აგებული. თითო სტადიონია მისი გვერდები როგორც სივანით, ისე სივარდით. ამ კოშკზე მეორე კოშკია დადგმული, იმ კოშკიდან შემდეგ კოშკზე აისვლება, იქიდან კიდევ სხვაზე და ასე ბოლო მერვე კოშკამდე; ხოლო ასასვლელი გარედანაა გაკეთებული და გარშემო ევლება ყველა კოშკს. შუაგზაზე ამსვლელთათვის არის გასაჩერებელი და დასაჯდომები დასასაჩინებლად. სადაც ისინი სხდებიან და ისვენებენ. უკანასკნელ კოშკზე არის დიდი სამლოცველო, ხოლო სამლოცველოში სარეცელი დგას გეგა, კარგად გაწყობილი, ხოლო იქვე ოქროს მაგიდაა. გამოსახულება კი არც ერთი არაა იქ და არც ერთ ძეხორციელს არ შეუძლია იქ ღამისთევა, გარდა ერთი დიაციისა ადგილობრივ მკვიდრთაგან. რომელსაც ირჩევს ღვთაება ყოველთა შორის. ასე ამბობენ ქალდეები, ამ ღვთაების ქურუმები.

182. თვით ისინივე ამბობენ, მაგრამ მე არ მჯერა მათი ნათქვამის, რომ ღვთაება თვითონ დაიარება სამლოცველოში და ისაინებს სარეცელზე. ასევე ხდება ეგვიპტელთა თებეში. როგორც ამბობენ ეგვიპტელები. იქაც თითქოს თიბელ ზევსთან წეება დასაძინებლად დიაცი. ამასთან ერთად ამბობენ. არც ეგვიპტელ და არც ბაბილონელ დიაცთან არც ერთი მამაკაცი არ დადის შესაუღლებლად. ამის შესავსად იქცევა ლიკიაში პატარის² ღვთაების მისანი ქალი, როდესაც იქ არის, რადგან მუდმივად არ არის ხოლმე, და თუ არის მისანი ქალი, იგი ჩაიკეტება ხოლმე სამლოცველოში.

183. ქვეით კიდევ არის ბაბილონის წმინდა ადგილში სხვა სამლოცველო. რომლის შიგნით მჯდომარე ზევსის დიდი ოქროს ქანდაკებაა. მის წინ დგას დიდი ოქროს მაგიდა. ტახტი და საჯარძელი — ასევე ოქროსი. როგორც ამბობენ ქალდეები. 800 ტალანტი ოქროსაგან არის გაკეთებული ყოველივე ეს. სამლოცველოს გარეთ არის ოქროს ბომონი. კიდევ არის იქ დიდი ბომონი. სადაც მსხვერპლად სწირავენ ზრდადასრულებულ წვრილფეხა საქონილს. ხოლო ოქროს ბომონზე არ შეიძლება მსხვერპლად შეიწიროს სხვა რამ. გარდა ძუძუმწოვარა საქონლისა. გარდა ამისა. დიდ ბომონზე ქალდეები ყოველ წელს აკმევენ 1000 ტალანტ საკმეველს აღნიშნული ღვთაების დღესასწაულზე. იმავე წმინდა ადგილში იმ დროს იყო მკვრივი ოქროსაგან გაკეთებული ქანდაკება ზომით 12 წყრთა. მე არ მინახავს იგი, მაგრამ რაც უთქვამთ ქალდეებს, იმასვე ვიამბობთ. ეს ქანდაკება დარიოსს, ჰისტასპეს ძეს, სურდა წაეღო. მაგრამ ვერ გაუბედია. ქსერქსემ დარიოსის ძემ კი წაიღო და ქურუმიც მოკლა. რომელიც

ხელს უშლიდა ქანდაკებას შეხებოდა; ასე იყო შემკული ეს სამლოცველო. იქ იყო აგრეთვე მრავალი კერძო შენაწირავიც.

184. ბაბილონს ჰყავდა ბევრი და მრავალნაირი მეფე. ასირიელთა ლოგოსში მოვიხსენიებ მე მათ, ვინც ააგო გალავანი და შეამკო ტაძრები. მათ შორის იყო ორი ქალი. პირველი მმართველობდა ადრე და ცხოვრობდა ხუთი თაობით წინ. მისი სახელი სემირამიდაა. ამ მან ღირსშესანიშნავი ჯებირი გააკეთა დაბლობზე. ადრე კი, ჩვეულებრივ, მდინარისაგან მთელი დაბლობი წალუკილი იყო ხოლმე.

185. ხოლო მეორე დედოფალი, რომლის სახელი გახლდათ ნიტოკრიდა, უფრო შორსმჭვრეტელი გამოდგა, ვიდრე ის, რომელიც პირველად მმართველობდა. ჯერ ერთი, მან თავის შემდეგ დაგვიტოვა შთამაგონებელი ნაღვაწი, რომელსაც მე აღწერ და შემდეგ, რაკი ხედავდა მდიელთა სამეფოს სიდიდესა და მშფოთვარებას. მრავალი ქალაქი და მათ შორის ნინოსიც რომ დაიპყრო, რაც კი შეეძლო, ყველა გამაფრთხილებელი ზომა მიიღო. თავდაპირველად სწორედ მდინარე ეფრატზე, რომელიც ქალაქის შუაზე გადიოდა, უფრო ზევით გაათხრევიან არხები, რათა დაეკლავნა დინება ისე. რომ ასირიის ერთ სოფელთან მას სამჯერ ჩაეარა. სოფელს, რომლის გვერდით ეფრატი ამგვარად მიედინება, სახელად არდერიკა ჰქვია. ამჟამად, ვინც მიემგზავრება ამ ზღვიდან ბაბილონისაკენ და ეფრატზე მიცურავს, სამჯერ მიადგება ერთი და იმავე სოფელს სამი დღის განმავლობაში. ასეთი საქმეები მოიმოქმედა. გარდა ამისა, მდინარის ორივე სანაპიროს გასწვრივ ააგებინა ჯებირები, გასაოცარნი სიდიდითა და სიმაღლით. ბაბილონამდე საკმაოდ ზევით მან გაათხრევიანა ტბორის კალაპოტი, რომელიც ოდნავ იყო დაშორებული მდინარისაგან. ჩაღრმავებული იყო წყლის დონემდე და ირგვლივ აღწევდა 420 სტადიონს. კალაპოტიდან ამოთხრილი მიწა გამოიყენა ნაპირებზე მისაყრელად. როდესაც მთელი ტბორის კალაპოტი ამოათხრევიანა, მოატანიანა ქვები და მის ირგვლივ საძირკიელი ამოუყვანა. ესენი მოიმოქმედა ორმხრივ, მდინარეც დააკლავინა და თხრილიც ამოაღებინა, რათა მდინარე უფრო მდორე გამხდარიყო მრავალ კლავნილზე დინებისაგან და უფრო გამხლებულიყო ბაბილონისაკენ ნაოსნობა. შემდეგ ნაოსნობა დაყოვნდებოდა დიდი ტბორის შემოვლით. მან ეს ყველა საქმე გააკეთა ქვეყნის იმ ნაწილში, სადაც გადასასვლელები და უმოკლესი გზა იყო მდიელებისაკენ, რათა მათ ურთიერთობა არა ჰქონოდათ მის ხალხთან და არ გაეგოთ მისი საქმიანობა.

186. ამისდაგვარი მშენებლობით მან ქვეყნის სიღრმეშივე დაიცვა თავი. ხოლო თან დაუმატა ამგვარი სამუშაოები: ქალაქს ორი ნაწილი ჰქონდა, მდინარე შუაში ჩამოუდიოდა. წინანდელი მეფეების

დროს. თუ ვინმე მოინდომებდა ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლას, ზომალდით უნდა გადასულიყო, ეს კი, ჩემი აზრით, ძნელი იქნებოდა. მან ამაზეც იზრუნა. როცა ამოათხრევინა ტბორის კალაპოტი, ამასთან ერთად მან დაგვიტოვა თავის სამახსოვროდ კიდევ შემდეგი ძეგლები: გამოათლევინა ძალიან გრძელი ქვეები. როცა ქვეები გაამზადებინა, მდინარის მთელი დინება მოთხრილი ადგილისაკენ მიმართა, როცა იგი წყლით აივსო და ძველი კალაპოტი კი მთლიანად ამოშრა, მან მდინარის სანაპიროები ქალაქში და ქიშკრებიდან მდინარისაკენ ჩასასვლელი დაღმარები მოაპირკეთებინა გამომწვარი აგურით, იგივე ხერხით, როგორც კედლები. შემდეგ დაახლოებით ქალაქის შუაზე გაადებინა ხიდი გამოთლილი ქვის ლოდებისაგან. ქვეები შეაკავშირებინა რკინითა და ტყვიით. მასზე, როგორც კი დღე იწყებოდა, აგებინებდა ოთხკუთხა ძელებს, რომელზედაც გადაადოდნენ ბაბილონელები. ღამით კი ამ ძელებს იღებდნენ, რომ არ გადასულ-გადმოსულიყვნენ ღამით ურთიერთის გასაქურდად. როცა მოთხრილი ადგილი აავსო მდინარემ და ხიდიც მოაწესრიგებინა, მდინარე ევფრათი კვლავ ძველ დინებაში გადაადგეს ტბორიდან. ამგვარად, ჩანს, ტბორი ჭაობად გადაიქცა მისი განზრახვის თანახმად, ხოლო მოქალაქეებისათვის კი ხიდი გაკეთდა.

187. იმავე დედოფალმა მოიგონა შემდეგი ოინი: ქალაქის იმ ქიშკრის ზევით, რომელშიც ყველაზე მეტი ხალხი გადიოდა, აკლდამა გაკეთა თავისთვის ქიშკარზე გაცილებით უფრო მაღლა, ხოლო აკლდამაზე ამოაჭრევინა შემდეგი წარწერა: „ბაბილონის ჩემს შემდგომ მეფეთაგან, ვისაც ფული დასჭირდება, გახსნას აკლდამა და წაიღოს იმდენი ფული, რამდენიც მოუნდება. თუკი არ დასჭირდება, არავითარ შემთხვევაში არ გახსნას, რადგან მისთვის არ იქნება ეს უკეთესი“. აკლდამა ხელუხლებელი იყო, ვიდრე დარჩოსნა არ მიიღო სამეფო ხელისუფლება. დარჩოსს კი უცნაურად მოეჩვენა, რომ ქიშკრით არ ესარგებლა და არც ფული აეღო, იქ რომ იღო მაშინ, როცა თვით წარწერა მოუწოდებდა ამისკენ. ქიშკრით კი იმიტომ არ სარგებლობდა, რომ გავლისას თავს ზემოთ გვამი ექნებოდა. მან გახსნა აკლდამა, ფული კი ვერ იპოვა — მხოლოდ გვამი და წარწერა შემდეგი შინაარსისა: „ფულზე დახარბებული რომ არ იყო და ანგარებით აღსავსე, არ გახსნილი გარდაცვლილის სამარესი“. ასეთი იყო ეს დედოფალი, როგორც ამბობენ.

188. კიროსი კი ამ ქალის ძეს ებრძოდა, რომელსაც დარჩა მამამისის სახელი ლაბინეტე და ასირიელთა საბელმწიფო. დიდი მეფე ლაშქრობისას საკვებით და საქონლით კარგად არის ზოლმე მომარაგებული. ამას გარდა წყალიც მდინარე ქოასპისიდან. რომელიც სუსასთან მიედინება, თან მიჰქონდათ, რადგან ამას სვამს მეფე

და სხვა არც ერთი მდინარისას, ამ ქოასპესის ნადული წყალი. ვერ-
ცბლის ჭურჭელში ჩახხმული, უამრავ ოთხთვლიან კორებზე მდებულ
ურმებს გადაჰქონდათ და სადაც არ წავიდოდა, ყოველთვის თან-
მისდევდნენ.

189. როდესაც კიროსი ბაბილონისაკენ მიდიოდა, მიადგა მდი-
ნარე გინდესს, რომლის სათავე მატთანა მთებშია და მიედინება.
დარდანების მიდამოზე, ხოლო ერთვის მეორე მდინარე ტიგროსს,
ეს კი ქალაქ ოპისს ჩაუვლის და მერმე მეწამულ ზღვას უერთდება.
ამ მდინარე გინდესზე, რომელიც სანაოსნოა, გადასვლა რომ სცადა
კიროსმა, ერთი მისი წმინდა თეთრი ცხენთაგანი უშიშრად ეკვეთა
რა მდინარეს. შეეცადა გადაეჭრა, მაგრამ წყალმა გაიტაცა. ქვეშ
მოიქცია და დაღუპა; ძალზე გაჭაყრდა მდინარეზე კიროსი ამ ძალ-
მომრეობის გამო და დაემუქრა, რომ ისე დაასუსტებდა, მომავალში
ქალებიც კი მუზღებდაუსველებლად ადვილად გადაჰკრიდნენ მას.
ასეთი დამუქრების შემდეგ, მან შეაჩერა ბაბილონზე ლაშქრობა,
გაყო თავისი ჯარი ორ ნაწილად, დაყოფის შემდეგ სივრცე გაიქცა,
გინდესის ორივე ნაპირზე 180 თხრილი მიუჩინა თითოეულს. თხრი-
ლები მიემართებოდნენ ყოველმხრივ. გაანაწილა რა ასე. ბრძანა, ამო-
ეთხარათ. უამრავი ხალხი მუშაობდა და ამიტომ სამუშაოს დასრუ-
ლება შესაძლებელი გახდა, თუმცა მათ მთელი ზაფხული იქ დააყო-
ვნეს, სანამ ყოველივე არ განახორციელეს.

190. სანამ კიროსი მდინარე გინდესს 360 არხად დაყოფით ასე
უსწორდებოდა, შემდეგი გაზაფხულიც დადგა და გაილაშქრა კიდევ
ბაბილონზე. ბაბილონელები საომრად მზად იყვნენ და ელოდნენ.
როდესაც იგი ქალაქთან ახლო მივიდა, ბაბილონელები შეებრძოლ-
ნენ მას, მაგრამ დამარცხდნენ ბრძოლაში და ქალაქს შეეფარნენ.
რადგან ადრევე იცოდნენ, რომ კიროსი მშვიდი არ იყო და ყველა
ხალხს განურჩევლად თავს ესხმოდა, მოიმარაგეს საკვები მრავალი
წლისათვის; ამიტომ მათ ალყა სრულიადაც არ აწუხებდათ, კიროსი
კი იმყოფებოდა გამოუვალ მდგომარეობაში, რადგან დრო უამრავი
გადიოდა და არაფრით კი საქმე წინ არ მიდიოდა.

191. ან სხვამ ურჩია ამ გამოუვალ მდგომარეობაში, ან თვით
მიხვდა იგი რა გაეკეთებინა. ასე კი მოიქცა. მან ჯარის ერთი ნაწი-
ლი დააყენა იქ, სადაც მდინარე შედიოდა ქალაქში, მეორე ნაწილი
კი იქ, სადაც გამოდიოდა და მერმე გამოუცხადა ჯარს: როდესაც
დანიშნავდნენ, რომ კალაპოტზე გადასვლა შეიძლებოდა, ამ გზით
შესულიყვნენ ქალაქში. დააწყო რა ასე და გასცა რა ეს ბრძანება,
ჯარის ბრძოლაში გამოუსადეგარი ნაწილითურთ იქიდან წავიდა.
როდესაც მივიდა ტბორთან, კიროსი მოიქცა ისე, როგორც ბაბი-
ლონის დედოფალი მდინარისა და ტბორის მიმართ; მდინარე გადაა-

გდო არხის საშუალებით ტბორში, რომელიც ჰაობად იყო ქცეული. წყალმა დაიწია და ძველი კალაპოტი იოლად გადასასვლელი შექმნა, რადგან წყალმა დაიკლო მდინარეში; როდესაც ყველაფერი ასე მოხდა, სპარსელები ამ მიზნისათვის რომ იდგნენ იქ, მდინარე ევფრატის კალაპოტით, რომელშიც წყალი ძლივსღა სწვდებოდა კაცს თედოს შუამდე, შევიდნენ ბაბილონში. ბაბილონელებს რომ ადრევე გაეგოთ, ან როგორმე შეემჩნიათ ის, რაც კიროსმა მოიმოქმედა, საშუალებას მისცემდნენ სპარსელებს ქალაქში შესულიყვნენ და მერმე ამოწყვეტდნენ მათ დაუნდობლად; მათ რომ დაეხშოთ მდინარეზე გამავალი ყველა ჰიშკარი, თვით კი ასულიყვნენ ჯებირებზე, რომელნიც მდინარეს მიუყვებოდა, დაიჭრდნენ მათ როგორც თევზებს ბადეში. ახლა კი მოულოდნელად წამოადგნენ მათ თავზე სპარსელები. ქალაქის სიდიდის გამო განაპირას მცხოვრებთა დატყვევებაზე, როგორც ამბობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, შუა ბაბილონში მცხოვრებმა არა იცოდა რა. მეტიც, შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ დღეობა ჰქონდათ და მხიარულად ცეკვავდნენ მთელი ამ დროის განმავლობაში, სანამ მომხდარი ამბავი მთელი სიცხადით არ წარმოუდგათ. ამგვარად იქნა ბაბილონი პირველად აღებული.

192. ბაბილონელთა შეძლება ბევრი რაიმეთი ძალშიძს ცხადყო, განსაკუთრებით კი შემდეგით: დიდ მეფეს თავის თავისა და ჯარის გამოსაკვებად, გარდა იმისა, რომ ხარკს კრეფდა, მთელი მიწა-წყალი დაყოფილი ჰქონდა ძველიდანვე. 12 თვიდან წელიწადში ოთხ თვეს ბაბილონის ქვეყანა ჰკვებავდა, ბოლო რვა თვეს — მთელი დანარჩენი აზია. ამგვარად, შეძლებით ასირიის ქვეყანა ერთი მესამედია მთელი დანარჩენი აზიისა. ამ ქვეყნის განმგებლობა, რასაც სპარსელები სატრაპიად უხმობენ, ყველა სხვაზე უფრო საუკეთესოა. აქ ტრიტანტაიქმეს არტაბაძოსის ძე (მეფისგან რომ ჰქონდა ეს მხარე მიცემული). სავსე არტაბე ვერცხლს იღებდა ყოველ ცისძარე დღეს; არტაბე სპარსული ზომაა და ატიკურ მედიმზე სამი ჰონინქსითაა მეტი. რაც შეეხება ცხენებს. საომარის გარდა, მას საკუთარიც ჰყავდა, რომელთა შორის 800 ფაშატებს აგრილებდა, თვით ფაშატი კი 1600 ჰყავდა. ამგვარად, ყოველი ულაყი 20 ფაშატს აგრილებდა. ინდური ძალები იმდენი ჰყავდა, რომ დაბლობის ოთხ დიდ სოფელს, რომელსაც სხვა ხარკი არა ედო რა, დაკისრებული ჰქონდა ამ ძალებისათვის საზრდო მიეტანათ. ამდენი შემოსავალი ჰქონდა ბაბილონის არქონტს.

193. ასირიის მიწაზე ცოტას წვიმს, ეს ასაზრდოებს მხოლოდ ხორბლის ფესვებს. მდინარის წყლით მორწყვით შეიძლება მხოლოდ ჯეჯილი რომ ამოვიდეს და დაპურდეს. ეგვიპტის მსგავსად კი არ გამოდის თვით მდინარე და მინდვრებს რწყავს, არამედ ხელითა და

ტუმბოებით რწყავენ. ბაბილონელების მთელი ქვეყანა, ისევე როგორც ეგვიპტე, დასერილია არხებით. უდიდესი არხი სანაოსნოა, იგი მიემართება ზამთრის მზისკენ ეფრატიდან მეორე მდინარე ტიგროსამდე, რომელზეც მდებარეობდა ქალაქი ნინოსი. ეს ქვეყანა ბევრად უკეთესია ყველა სხვა ჩვენთვის ცნობილთა შორის დემეტრას ნაყოფის მოყვანაში. რაც შეეხება სხვა მცენარეებს, არც უცდიით აღრიდანვე მათი გახარება. არც ლელვი აქვთ, არც ვაზი, არც ზეთისხილი. ხოლო დემეტრას ნაყოფი იმდენად კარგად მოდის, რომ ჩვეულებრივად ერთიორასად მოდის, ხოლო საუკეთესო მოსავლის შემთხვევაში კი, ერთისამასად, ვიდრე თესენ. იქ ხშირად ხორბლისა და ქერის ფოთოლ-ლერო ოთხი თითის სიგანეს აღწევს; ხოლო ფეტვი და სესამი რომ ხეების სიდიდისა იზრდება, ვიცი, მაგრამ არას ვიტყვი, რადგან ვინც ბაბილონის ქვეყანაში არ ყოფილა, ნაყოფის შესახებ ნათქვამშიც ბევრს არასარწმუნოდ მიიჩნევს და ეს კარგად ვიცი. ისინი არა ხმარობენ ზეთუნის ზეთს, არამედ ზეთს სესამისაგან ხდიან. მათ აქვთ პალმები, მთელ დაბლობზე რომ ხარობენ. უმრავლესობა მათგანი ნაყოფის მიმცემია, რომლისგანაც ისინი იზადებენ პურს, ღვინოსა და თაფლს. პალმას ისინი ისევე უვლიან, როგორც ლელვს ელინებში. მამრობითად ცნობილ პალმებს კრავენ ნაყოფის მქონე პალმებთან, რათა მეკაკლურა შევიდეს ნაყოფის შიგნით, დაამწიფოს პალმის ნაყოფი და დაიკვას ჩამოვარდნისგან. მამრობით პალმების ნაყოფში ხომ მეკაკლურები იმყოფებიან, ისევე, როგორც გარეულ ლელვში.

194. ახლა შევუდგები მოყოლას იმის შესახებ, რაც მეტად საოცარი მგონია ქალაქის შემდეგ. მათი ზომალდები, რომელნიც მდინარეზე დაღმა დაცურავენ ბაბილონისაკენ, მრგვალი და მთლიანად ტყავისაგან არის გაკეთებული. არმენიელებთან, რომელნიც ასირიელთა ზევით ბინადრობენ, ისინი ჭრიან ტირიფს და ხომალდის გვერდებს მისგან აკეთებენ, შემდეგ მას ზევიდან აკრავენ ტყავს და აკეთებენ ძირის მსგავსს. ისინი არც კიჩოს უფართოებენ, არც ცხვირს უვიწროებენ. არამედ აძლევენ ხომალდს ფარისებრ სიმრგვალეს. მთელ ამ ხომალდს ავსებენ ლერწმით და მდინარეში დაღმა ჩაუშვებენ ტვირთით. უმეტეს წილად ქვევით ჩამოაქვთ ღვინით სავსე პალმის ხის კასრები³. ხომალდს მართავენ ორი საჭით და ორი მდგომარე კაცის საშუალებით: ერთი თავისკენ მიმართავს მას და მეორე საწინააღმდეგოდ. ეს ხომალდები კეთდება ძალზე დიდი ზომისა და უფრო მომცროც. ყველაზე დიდი მათ შორის 50000 ტალანტ ტვირთს ზიდავს. ყოველ ხომალდში თითო ცოცხალი სახედარი ჰყავთ. ხოლო დიდებში უფრო მეტიც; როდესაც ჩავიდოდნენ ბაბილონში და საქონელს გაჰყიდინდნენ, ხომალდის ჩონჩხსა და

მთელ ლერწამსაც იქვე შეასყიდინენ ხოლმე. ტყავებით კი სახე-ხედრებს ტვირთავდნენ და ისევ არმენიელებში მიემგზავრებოდნენ. მდინარის აღმა ცურვა მისი სისწრაფის გამო არ შეიძლება და ამიტომ აკეთებდნენ ხომალდებს არა ხისაგან, არამედ ტყავისაგან. როდესაც თავისი სახედრებით არმენიელებთან დაბრუნდებოდნენ, იქ კვლავ იმნაირადვე აკეთებდნენ სხვა ხომალდებს.

195. მათი ხომალდები ამგვარია. ტანსაცმელს კი ასეთს ატარებენ: ტილოს კვართი აცვიათ ფეხებამდის. ამის ზევიდან შალის კვართს ატარებენ, გარედან კი — თეთრ ქლანიდიონს მოიხურავენ. ადგილობრივი სანდლები მსგავსია ბეოტური ფეხსამოსისა. გრძელ თმებს იზრდიან და მას განიერი ზონრით იმაგრებენ. მთელ ტანს ნელსაცხებლით იზილენ. თითოეულს აქვს ბეჭედი და კარგად გამოჭრილი კვერთხი. თითოეული კვერთხი ზევიდან მორთულია ვაშლით, ან ვარდით, ან შროშანით, ან არწივით, ან სხვა რაიმეთი, რადგან ჩვეულებად არა აქვთ, უნიშნო კვერთხი ატარონ.

196. ასეთია მათი ტანის სამკაული. რაც შეეხება მათს ზნე-ჩვეულებებს, ასე აქვთ დადგენილი: და ყველაზე ბრძნული ის არის, ჩემი წარმოდგენით, რომელსაც აგრეთვე ილირიელი ენეტებიც მისდევენ. როგორც გავიგე, ყოველ დასახელებულ ადგილას წელიწადში ერთხელ ასე იქცევიან: ქორწინების ასაკს მიღწეულ ყველა ქალიშვილს თავს უყრიან ერთ ადგილას, მათ გარშემო კაცები შეიყრებიან ჯგუფად. მაცნე იძახებდა სათითაოდ ყოველ ქალწულს და ჰყიდოდა; პირველად მათ შორის ყველაზე ლამაზს, ხოლო იმის შემდეგ. რაც იგი დიდ ფულად გაიყიდებოდა, სხვას გამოიძახებდნენ პირველის მომდევნოს სილამაზით; ხოლო იყიდებოდნენ ესენი შეუღლებობის პირობით. ისინი, ვინც მდიდრები იყვნენ ბაბილონელთაგან და საქორწინო ასაკისანი, ურთიერთს ეცილებოდნენ ულამაზესთა გამოსყიდვაში, ხოლო მდაბიონი სულაც არ დაეძებდნენ კარგებს. მათ საზღაურით უშნო ქალწულებიც მიჰყავდათ. როდესაც ულამაზესი ქალწულების გაყიდვას დაამთავრებდა, მაცნე გამოიძახებდა ყველაზე უშნოს, ან მახინჯს მათ შორის და იკითხავდა, ვის სურდა უმცირესი საზღაურის მიღება და მისი ცოლად შერთვა. ბოლოს ქალი იმას მიჰყავდა, ვინც უმცირეს საზღაურზე დათანხმდებოდა. ხოლო ეს თანხა შედიოდა ლამაზი ქალწულებისაგან. ამგვარად, ლამაზები ათხოვებდნენ უშნოებსა და მახინჯებს. არ შეიძლება კაცს იმისთვის მიეცა თავისი ქალიშვილი, ვისთვისაც სურდა. არც თავდების გარეშე შეიძლებოდა ნაყიდი ქალიშვილის წაყვანა. თავმდები უნდა დამდგარიყო, რომ მყიდველი შეუღლებოდა ქალწულს და ისე წაეყვანა. ხოლო თუ ახალგაზრდები ვერ შეთანხმდებოდნენ ერთმანეთში, ფული ბრუნდებოდა უკან, ჩვეულების თანა-

ზმად. შეიძლებოდა სხვა დასახელებული ადგილიდანაც მისულიყო. კაცი ქალის საყიდლად, თუ სურდა. ეს მათი საუკეთესო ჩვეულება იყო, მაგრამ ამჟამად მას აღარ მისდევენ. სხვა კი გამოიგონეს ახალი რამ ბოლო ხანს (რათა არ აწყენინონ და სხვა ქალაქში არ წააყვანინონ); დაპყრობის გამო შევიწროებულებმა და გაღარიბებულებმა, ყველამ, ვინც მდაბიოთაგანი იყო, ხოლო საცხოვრებელი არა ჰყოფნიდა, თავისი ქალიშვილების ტანით ვაჭრობა დაიწყო.

197. შემდგომი კი სიბრძნით სხვებს შორის ეს ჩვეულებაა მათში დადგენილი: სნეულები გამოჰყავთ საჯარო მოედანზე; არც კი მიმართავენ ექიმებს⁴. სნეულთან მიდიან სხვადასხვანი და ესაუბრებიან დაავადების შესახებ. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც იგივე დაავადება სჭირდათ, ან უნახავთ სხვა მსგავსი სნეულებით და ისინი ურჩევენ სნეულს იმას, რამაც გადაარჩინა თვით ისინი, ან მსგავსი სნეულებით დაავადებული სხვა პირნი. მიღებული არა აქვთ. რომ სნეულს გვერდით ჩუმად ჩაიარო ისე, რომ არ გამოკითხო, თუ რა სნეულება შეეყარა.

198. გარდაცვლილის გვამს ისინი თაფლში დებენ. სატირალი ისეთივე აქვთ, როგორც ეგვიპტელებს. ყოველთვის, როცა საკუთარ ცოლთან დაწვება ბაბილონელი კაცი, გუნდრუკს აკმევს და იგივეს მოიმოქმედებს ცოლიც განცალკევებით. ხოლო როცა ირიყრაყებს, ორივენი განიბანებიან, იქამდე კი ვერავითარ ჭურჭელს ვერ შეეხებიან. ამასვე ასრულებენ არაბებიც.

199. ხოლო ყველაზე სამარცხვინო ბაბილონელთა ზნე-ჩვეულებათაგან შემდეგია: ყველა ადგილობრივი დიაცი აფროდიტეს ტაძარში უნდა დაჯდეს და უცხოელ მამაკაცს დაუკავშირდეს. მრავალი დიაცი არ კადრულობს სხვებთან შერევას, რადგან სიმდიდრით ყოყოჩობს და ტაძარში მიდის ორით შებმული კამარიანი გადახურული ეტლით და იქ რჩება, ხოლო თან ახლავს მრავალრიცხოვანი მსახურთა ამაღა. დიაცთა უმრავლესობა კი ასე იქცევა. თავზე გრეხილი თოკის გვირგვინით დიაცი აფროდიტეს სალოცავში მიდიან და იქ სხდებიან. ძალზე ბევრი დიაცი იყრის თავს. ზოგი მიდის, ზოგი მოდის. დიაცებს შორის სწორი ბილიკებია დატოვებული ყველა მიმართულებით, მათზე უცხოელები დადიან და არჩევანს აკეთებენ. იქ დამჯდარი დიაცი ვერ დაბრუნდება სახლში, სანამ რომელიმე უცხოელი არ ჩაუგდება კალთაში ვერცხლს და არ დაუკავშირდება ტაძრის გარეთ, ჩამგდებმა უნდა წარმოთქვას შემდეგი: გიხმობ ქალღმერთ მილიტას სახელით; ასირიელები მილიტას აფროდიტეს უწოდებენ. ვერცხლის სიდიდეს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან უარს მაინც ვერ იტყვიან, ეს ხომ წმინდა ვალია. ვინც პირველად ჩაუგდება, იმას უნდა გაყენენ. ვერც ვინმეს უარყოფენ. დაკავშირების შემდგომ ქალი ასრულებს ქალ-

ღმერთის წმინდა ვალს და ბრუნდება შინ. ამ დროიდან ვერავითარი დიდი თანხის წყალობით მათ ხელში ვერავინ ჩაიგდებს. ვინც დაჯილდოებულია მშვენივრითა და ტანკენარობით, მალე ბრუნდება, ხოლო უშნოები იქ დიდხანს რჩებიან, რადგან ვერ ახერხებენ თავისი წმინდა ვალის დროზე მოხდას. ზოგი სამ და ოთხ წელიწადსაც კი იცდის. კვიპროსის ზოგ ადგილასაც ამის მაგვარი ჩვეულება იცაან.

200. ამდაგვარი ადათ-წესები ჰქონდათ დადგენილი ბაბილონელებს. გარდა ამისა მათ სამი ტომი ჰყავთ, რომელიც სხვა არაფრით არ იკვებება, გარდა თევზისა, რომელსაც დაიჭერენ, შემდეგ კი მზეზე ახმობენ. მერე ასეთნაირად იქცევიან: ჩააგდებენ ფილში, ნაყავენ ფილთაქვით და მერე გაატარებენ თბელქსოვილიან საცერში. ამისაგან სურვილის მიხედვით ზოგი ცომად მოზეილს მიიღებს, ზოგი კი პურივით აცბობს და ისე მიირთმევს.

1 რუსულ თარგმანში (Геродот, 1885) მიზიხენოს აქ სამ-ოთხსართულიანი სახლები უწერია, რაც შეცდომაა. ასევეა სტრანოგისის თარგმანში (იხ. Геродот, История, М., 1972).

2 ქალაქია ლიკიაში, კარისა და ლიკიის ზღვების გამყოფ კონცხზე.

3 1975 წელს გამოსულ ქართულ თარგმანში არასწორადაა თარგმნილი: „განსაკუთრებით ბლომად პალმის ღვინით სავსე კოკები მიაქვთ“. პალმის ღვინის იმპორტს აზრი არ ჰქონდა, ბაბილონში თავად ჰქონდათ უამრავი პალმის ღვინო. შე-ჰქონდათ მხოლოდ ყურძნის ნამდვილი ღვინო.

4 მკვლევარნი პეროდოტეს მიაწერენ არასწორ ინფორმაციას, თითქოს ბაბილონში ექიმები არა ჰყავდათ. მაგრამ ტექსტში გარკვევით წერია, რომ „ექიმებს არ მიმართავენ“, ეს კი სულ სხვა რამეა. აქ ლაპარაკია ბაბილონელთა მასებზე, რომელთაც ეკონომიური მდგომარეობის გამო არ შეეძლოთ ექიმებისათვის მიმართვა, ხოლო გამოსავალს პოულობდნენ სავაჭრო მოედნებზე სხვა რიგითი ბაბილონელებისაგან რჩევა-დარიგების მიღებაში. ქართულ თარგმანში არასწორად ვკითხულობთ — „მკურნალები მათ საერთოდ არ ჰყავთ“ (იხ. პეროდოტე, ისტორია, თბ., 1975). რუსულ თარგმანშიც ასეა: „სნეულები მათ გაჰყავთ მოედანზე, რადგან ექიმები არა ჰყავთ“ (იხ. Геродот, История, М., 1985)

კველი ეგვიპტი

ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფო დაახლოებით ჩვ. წ.-მდე 3000 წელს ჩამოყალიბდა. ამავე დროით თარიღდება ეგვიპტური დამწერლობის ისტორიის დასაწყისი. ეგვიპტური იეროგლიფებით შესრულებული უძველესი მოკლე წარწერები ქრონოლოგიურად ქვეყნის გაერთიანებას თანხვდება. პირველი, შედარებით გრძელი ტექსტები ჩნდება აღრეული (I—II) დინასტიების დიდგვაროვანთა სამარხების კედლებზე. ეს არის ე. წ. „სამსხვერპლო სიები“ — იმ სხვადასხვა დანიშნულების ნივთების სიები, რომლებიც, ძველეგვიპტელთა წარმოდგენით, აუცილებელი იყო მიცვალებულისათვის ოსირისის სამფლობელოში და ამიტომ მის სამარხში თავსდებოდა. თანდათან, კულტურის განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა ადამიანის მოთხოვნილებებიც და შესაბამისად გრძელდებოდა სამსხვერპლო სიებიც. ეგვიპტური მხატვრული აზროვნების პირველ დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ის მომენტი, როცა გრძელი, მოუქნელი სამსხვერპლო სია შეცვალა მოკლე ლოცვამ, რომელიც მიცვალებულის სახელით იყო შედგენილი და წარმოადგენდა ვედრებას სამუდამო ბედნიერებისათვის. სამარხის კედლებზე ათავსებდნენ აგრეთვე გარდაცვლილის სახელს, მისი ოჯახის წევრების სახელებს, მის ტიტულებს სამეფო სამსახურზე და სხვ. თანდათან ამგვარი ფაქტების მშრალი ჩამოთვლა ივსება გარდაცვლილის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდების აღწერით, და რადგან ჩვეულებრივ ეს წარწერები პირველ პირში იყო შედგენილი, შალე მათ ავტობიოგრაფიების ფორმა მიიღეს. უკვე V დინასტიისათვის როგორც ლოცვა, ისე ავტობიოგრაფია იღებს თავის დასრულებულ ფორმას, რომელსაც ისინი მრავალი საუკუნის მანძილზე ინარჩუნებენ.

ძველი სამეფოს პერიოდიდან შემოინახა აგრეთვე ე. წ. „პირამიდების ტექსტები“ — რელიგიური ტექსტების — ჰიმნების, ლოცვების, მაგიური ფორმულების და სხვ. — მსოფლიოში უძველესი უზარმაზა-

რი კრებული. ისინი საერთო იდეითაა გაერთიანებული — მათი დანიშნულებაა დაეხმარონ გარდაცვლილ ფარაონს აღზევდეს ზეცაზე და შეუერთდეს ღმერთების პანთეონს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფარაონის გაღმერთების იდეამ გამოიწვია ამ „ღვთაებისა“ და მისი ქვეშევრდომების — ჩვეულებრივი მოკვდავების — ფუნქციების სრული დიფერენციაცია, რის გამოც პირამიდების ტექსტები თავისი დანიშნულებითა და შინაარსით სავსებით განსხვავდება სამარხების კედლებზე მოთავსებული ლოცვებისაგან. მაგრამ ამ ორი ტიპის რელიგიურ ტექსტებს აერთიანებდა მათი კავშირი მიცვალებულთა კულტთან და დაკრძალვის რიტუალთან, ამასთან, გარკვეული დოგმატიზმი, რომელიც თან სდევს რელიგიური დანიშნულების ტექსტებს, ერთგვარად ბოჭავდა მათ განვითარებას.

რაც შეეხება ავტობიოგრაფიულ წარწერებს, ისინი სავსებით დამოუკიდებელი იყვნენ რელიგიისა და კულტისაგან. მათ ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა სიტყვიერი პორტრეტი, რომელსაც მარადოვლობის ზღურბლზე მდგარი ადამიანის სახე უნდა შეექმნა.

სიკვდილის შემდეგ არსებობის გაგრძელების რწმენას თავისი მორალური მხარე გააჩნდა. ამიტომ უკვე ძველი სამეფოს ავტობიოგრაფიულ წარწერებში ხშირად შეხვდებით მიცვალებულის მიერ სი-ცოცხლეში ჩადენილი კეთილი საქმეების აღწერას. ალბათ, ავტობიოგრაფიული წარწერების სწორედ ამ ნაწილმა მისცა ბიძგი ეგვიპტური ე. წ. „ღარიგებების“, დიდაქტიკური ჟანრის ნაწარმოებების განვითარებას. ისინი წარმოადგენენ ცალკეული დარიგებების კრებულს, რომლებიც საერთო ჩარჩოთია გაერთიანებული — მამა არიგებს შვილს, ბიძენი — უმცროსს და ა. შ.

შუა სამეფოს ეპოქაში ჩნდება პირველი წმინდა „საერო“ ნაწარმოებები, რომელთა ერთადერთ დანიშნულებას მკითხველის გართობა წარმოადგენს. ამ დროს შექმნილი ერთ-ერთი მოთხრობა — „ამბავი სინუხეტის შესახებ“ — ღირსშესანიშნავია იმით, რომ ესაა მსოფლიოში ჩაწერილი უძველესი მოთხრობა, რომელიც მოგვითხრობს არა ღმერთების, მეფეების ან ლეგენდარული გმირების შესახებ, არამედ უბრალო ადამიანის ისტორიას წარმოადგენს.

შუა სამეფოდან შემოინახა შესანიშნავი ზღაპრებიც. აქ პირველად მსოფლიო ლიტერატურაში ვხვდებით რამოდენიმე სხვადასხვა სიუჟეტის მქონე ზღაპრის ერთი საერთო ჩარჩოთი გაერთიანების ხერხს. ასეთი ჩარჩო ზღაპარში „ფარაონი ხეოფსი და ჯადოსნები“ ამ ლიტერატურული ხერხის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს: მოწყენილი ფარაონი იბარებს თავის ვაჟიშვილებს, რომლებიც მას სხვადასხვა საოცარ ისტორიებს უყვებიან. ძალიან საინტერესოა აგრეთვე „ზღაპარი ჯადოსნური კუნძულის შესახებ“. როგორც ამ ზღა-

პრის პირველმა მთარგმნელმა, დიდმა რუსმა მეცნიერმა ვ. ს. გოლე-ნიშჩევმა აღნიშნა, ეს ჯადოსნური მოგზაურობის ამბავი საოცრად მოგვავაგონებს ზღაპრებს სინდბად-ზლვაოსანის შესახებ და „ოლი-სეას“ ზოგიერთ ეპიზოდს.

ეგვიპტიდან მომდინარე სხვადასხვა საბის ტექსტების რაოდენობა, მათი ჟანრობრივი მრავალფეროვნება მართლაც რომ განსაკვიფრებელია, მით უმეტეს, რომ ჩვენამდე შემოინახა ძირითადად სამარხების კედლებზე მოთავსებული წარწერები და პაპირუსები, რომლებსაც მიცვალებულებს „თან ატანდნენ“ დასაველეთის ქვეყანაში. მათი კონსერვაციისათვის უდაბნოს მშრალი ქვიშების მადლობელი უნდა ვიყოთ (ვინაიდან საცხოვრებლად ვარგის ტერიტორიას ეგვიპტეში მხოლოდ ნილოსის დაბლობის ვიწრო ზოლი და ნილოსის დელტა წარმოადგენდა, ეგვიპტელები მიწების „ეკონომიის“ მიზნით სამარხებსა და ე. წ. „პირამიდების ქალაქებს“ უდაბნოში აგებდნენ). სწორედ ამიტომ ეგვიპტიდან ყველაზე უხვად შემოინახა რელიგიური სახის ტექსტები, რომლებიც სამარხებისა და პირამიდების კედლებზე თავსდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეგვიპტიდან ჩვენამდე მოღწეული ტექსტობრივი მასალა იმდენად ვრცელია, რომ თუმცა ეგვიპტოლოგიურ მეცნიერებს უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, ჯერ მხოლოდ მათი მცირე ნაწილია შესწავლილი.

ქვემოთ განხილული ყველა ტექსტი ქართულად პირველად თარგმნა მ. ხ ვ ე ღ ე ლ ი ძ ე მ.

I. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები

პ ა ლ ე რ მ ო ს კ ვ ა

(ნაწყვეტები)

თუმცა ეგვიპტელები არ ადგენდნენ თანამედროვე გაგებით თანვითი ქვეყნის ისტორიას, — როგორც ცნობილია, ადამიანის ისტორიული აზროვნების განვითარება ანტიკური საბერძნეთიდან იწყება, — მაგრამ მათ ძალიან ადრე დაიწყეს მნიშვნელოვანი მოვლენების ფიქსირება ამა თუ იმ ფარაონის მეფობის წლების მიხედვით. სამწუხაროდ, ჩვენამდე ასეთი „ქრონიკების“ (ეგვიპტელები მათ ეძახდნენ „გენუტ“, რაც ითარგმნება როგორც „ქრონიკა“, „მატიანე“) ძალიან მცირე რიცხვმა მოაღწია. ისიც ძალიან დაზიანებული სახით. უძველესი მათგანი, რომლის ჩაწერა V დინასტიის დროს განხორციელდა, დღეს „პალერმოს ქვის“ სახელწოდებით არის ცნობილი. პირვანდელი სახით ეს იყო დიოჩიტის სტელა, რომლის სიგრძე დაახლ. 1,5 მ და სიმაღლე 70 სმ აღწევდა. შემოინახა ამ სტელის რა-

მოდენივე ნატეხი, რომელთაგან ყველაზე დიდი პალერმოს მუზე-
უმში ინახება. სტელის ორივე მხარეს მოთავსებული ტექსტი წარ-
მოადგენს ეგვიპტის ისტორიის თავისებურ ქრონიკას უძველესი
დროიდან ვიდრე V დინასტიის ბოლომდე. პალერმოს ქვა დაყოფი-
ლია პორიზონტალურ სექციებად. პირველ სექციაში მოთავსებუ-
ლია წინადინასტიური მეფეების სახელები, რომელთა შესახებ. ალ-
ბათ, უკვე ჩაწერის მომენტისათვის არაფერი იყო ცნობილი. მეორე
სექციიდან ვითარება იცვლება, თვითეული მათგანი იწყება ფარაო-
ნის სახელით, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს დედის სახელი,
და შემდეგ მოთხრობილია ყველა ღირშესანიშნავი მოვლენის შესა-
ხებ, რომელიც მოხდა მისი მეფობის პირველ. მეორე და ა. შ. წელს
მეფობის ბოლომდე. ცხადია, პალერმოს ქვა დაუზიანებელი სახით
შართლაც რომ ფასდაუდებელი მონაპოვარი იქნებოდა თანამედროვე
ეგვიპტოლოგიისათვის, რადგან მისი დაზარებით გახდებოდა შესა-
ძლებელი პირველი ხუთი დინასტიის ფარაონების ზუსტი რაოდენო-
ბის, მათი თანმიმდევრობის და მეფობის ხანგრძლივობის აღდგენა,
რომ არაფერი ვთქვათ ისტორიის რეკონსტრუქციაზე.

ეგვიპტური ტექსტი იხ.: Ein Bruchstück altägyptischer Annalen, von Dr.
Schäfer, mit Beiträgen von Dr. L. Borchardt und Prof. K. Sethe, Verlag de
Königlichen Akademie der Wissenschaften, Berlin, 1902.

ფ ა რ ა ო ნ ი ს ნ ე ფ რ უ 1

- X + 1 წელი. ქვემო ეგვიპტის ხელმწიფის ორი შვილის დაბადება.
- X + 2 წელი. 100 წყრთის სიგრძის დუა-ტაუი² გემის აგება მერ-
ხისაგან (ჯიში დაუდგენელია—მ. ხ.) და 60 თექვსმეტნიჩბიანი
სამეფო ბარჯის აგება.
- ზანგების ქვეყნის დარბევა. 7000 ტყვის — ქალის და კაცის—
ჩამოყვანა. აგრეთვე 200000 მსხვილფეხა და წვრილფეხა სა-
ქონლის. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლის აშენება, სა-
ხელად „სნეფრუს სახლები“.
- ... დან კედარის ხით დატვირთული 40 გემის ჩამოყვანა.
- X + 3 წელი. 35 შენობის აშენება.
- ასი წყრთა სიგრძის დუა-ტაუი გემის აგება კედარის ხისაგან,
მეორე ასი წყრთა სიგრძის ხის აგება მერ-ხისაგან.
- X + 4 წელი. აშენდა: „აღზევებულია სნეფრუს გვირგვინი სამხრეთის
კიშკარზე“ (და) „აღზევებულია სნეფრუს გვირგვინი ჩრდი-
ლოეთის კიშკარზე“³, დამთავრდა მეფის სასახლეში კედარის
კარებების დაყენება.

1. დასაწყისი დაკარგულია, ამიტომ არაა ცნობილი, მისი გამეფების რომელი წლიდან იწყება თხრობა ჩვენს განკარგულებაში მყოფ ტექსტში.

2 გემის ნაირსახეობა.

3 აქ ლაპარაკია სნეფრუს სასახლის ორ კიშკარზე, ჩრდ. და სამხრ. მხარეს.

პირამიდების ტექსტები

პირამიდების ტექსტები აღმოჩენილია ძველი სამეფოს ხუთი ფარაონის — უნისის (V დინ.), ტეტის, პიოპი I, მერენრას, პიოპი II (ყველა — VI დინ.) და ამავე ეპოქის რამოდენიმე დედოფლის პირამიდების კედლებზე. ე. ი. მათი ჩაწერა მოხდა დაახლ. 2350—2100 წწ. ჩვ. წ.-მდე. პირამიდების ტექსტები — ესაა სხვადასხვა შინაარსის რელიგიური და მაგიური ტექსტების კრებული (დღეს ამ ტექსტებს „გამონათქვამებს“ უწოდებენ, რადგან ეს ტექსტები ხმამაღლა წარმოითქმებოდა რიტუალების დროს). შინაარსობრივად ისინი არ წარმოადგენენ ერთიან მთელს და გაერთიანებული არიან საერთო დანიშნულებით — დაეხმარონ გარდაცვლილ ფარაონს იმკვევნიურ აღზევებასა და ღმერთების პანთეონთან შეერთებაში. მრავალი გამონათქვამის არქაული ენა და შინაარსი მეტყველებს, რომ ისინი ძველი სამეფოს ეპოქამდე, ჰერ კიდევ ეგვიპტის ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბებამდე (დაახლ. 3000 წ. ჩვ. წ.-მდე) არიან შექმნილი. ეს უზარმაზარი კრებული (გამონათქვამების რაოდენობა 600 სცილდება) ძირითადად შემდეგი შინაარსის ტექსტებისაგან შედგება: დაკრძალვის რიტუალი, მაგიური ფორმულები ბოროტების წინააღმდეგ, თაყვანისცემის რიტუალი, რელიგიური ჰიმნები, მითიური ფორმულები, რომლებიც გარდაცვლილ ფარაონს სხვადასხვა ღმერთებთან აიგივებენ, ლოცვები გარდაცვლილ ფარაონზე. გარდაცვლილი ფარაონის სიდიადე ზეცაზე აღზევების შემდეგ, პირამიდების ტექსტები წმინდა სამეფო ტექსტებს წარმოადგენს. ისინი თავსდებოდა პირამიდის სამარხი კამერის კედლებზე (დასავლეთი კედლის გარდა). როგორც ცნობილია, სარკოფაგში მიცვალებული თავით დასავლეთისაკენ იყო ჩასვენებული, ამიტომ ტექსტებიც შესაბამისად ისე იყო განლაგებული, რომ გარდაცვლილ ფარაონს შესძლებოდა მათი „წაკითხვა“.

პირამიდების ტექსტების აღმოჩენის პრიორიტეტი ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს გ. მასპეროს. მანვე განახორციელა მათი პირველი გამოცემა. დღეს სრულყოფილ ეგვიპტურ გამოცემად ითვლება გერმანალი მეცნიერის კ. ზეტეს გამოცემა: K. Sethe, Die ägyptischen Pyramidentexte nach den Papierabdrücken und Photographien des Berliner Museums, 1960, G. Olms Verlagbuchhandlung, Hildesheim, Bds. I — IV.

წარმოითქვას: ო, რა-ატუმო!, უნისი მოემართება შენსკენ, მარადიული სული,

შენი ვაჟი მოემართება შენსკენ, უნისი მოემართება შენსკენ.

რათა თქვენ ერთად გადაკვეთოთ ცის კაბადონი.

რათა თქვენ შეძლოთ აღზევდეთ პორიზონტზე.

სეტხო დი ნეფტიდავ², იჩქარეთ. აუწყეთ ზემო ეგვიპტის ღვთაებებს და მათ სულებს:

უნისი მოისწრაფვის³, მარადიული სული,

ვისაც სიკვდილს უსურვებს — მოკვდება, ვისაც სიცოცხლეს უსურვებს — იცოცხლებს.

ოსირისო და ისიდავ⁴, იჩქარეთ, აუწყეთ ქვემო ეგვიპტის ღმერთებს და მათ სულებს:

უნისი მოისწრაფვის, მარადიული სული, დილის ვარსკვლავი ნილოსის ცაზე, მას ეთაყვანება წყლის სულები.

ვისაც სიკვდილს უსურვებს — მოკვდება, ვისაც სიცოცხლეს უსურვებს — იცოცხლებს.

თოტო⁵, იჩქარე, აუწყე დასავლეთის ღმერთებს და მათ სულებს:

უნისი მოისწრაფვის, მარადიული სული, შემოსილი, როგორც ანუბისი, დასავლეთის ბატონი⁶.

რათა შეძლოს გულების დათვლა, რათა იბატონოს მათგან საუკეთესოებზე.

ვისაც სიკვდილს უსურვებს — მოკვდება, ვისაც სიცოცხლეს უსურვებს — იცოცხლებს.

ხორო⁷, იჩქარე, აუწყე აღმოსავლეთის სულებს:

უნისი მოისწრაფვის, მარადიული სული,

ვისაც სიკვდილს უსურვებს — მოკვდება, ვისაც სიცოცხლეს უსურვებს — იცოცხლებს.

რა — ატუმო, შენი ვაჟი მოისწრაფვის შენსკენ, უნისი მოისწრაფვის შენსკენ.

დე, აღზევდეს შენთან, შემოახვიე შენი მკლავები,

იგი შენი ვაჟია მარად.

პორიზონტის ორმაგი ჰიშკარი⁷ ღიაა, საკეტი გაიხსნა,

იგი მოვიდა შენთან, ნეტ⁸, იგი მოვიდა შენთან, ნესერეტ⁹,

იგი მოვიდა შენთან, დიადო; იგი მოვიდა შენთან, დიადო მაგიაში¹⁰.

იგი განიწმინდა შენთვის. შენი პატივისცემითაა შეპყრობილი.
შენ მისი კმაყოფილი იქნები; შენ მისი სიწმინდის კმაყოფილი იქ-
ნები, სიტყვის, რომელსაც იგი შენთვის წარმოთქვამს:

რა მშვენიერია შენი სახე, როცა იგი წყნარი, განახლებული და
ახალგაზრდაა, რადგან შენ გშობა ღვთაებამ, ღმერთების მამამ.

იგი მოვიდა შენთან, დიადო მაგიაში,
იგი ხორია!¹¹.

გ ა მ ო ნ ა თ ქ ე ა მ ი 302

წარმოითქვას: ზეცა წყნარია, სირიუსი კაშკაშებს, უნისი, სი-
რიუსის ვაეი, ცოცხალია,

ორი ენეადა¹² განიწმინდა მისთვის,

უნისის სამყოფელი მარად იქნება ზეცაში, უნისის ტახტი მა-
რად იქნება დედამიწაზე,

ადამიანები საფლავებში იმარხებიან, ღმერთები — უერთდე-
ბიან ზეცას,

სირიუსი ეხმარება უნისს, რომ იგი აღზევდეს ცაში, შეუერ-
თდეს მის ძმებს — ღმერთებს,

ნუტმა¹³, დიადმა. გაშალა მკლავები უნისის მისაღებად.

ჰელიოპოლისის სულეები, მზის აღზევების ხელის შემწყობები.
მთელ ღამეს ქვითინებდნენ ღმერთის გულსათვის.

უნისის ტახტი შენს გვერდით არის, დილო რა, იგი მას არავის
დაუთმობს, უნისი ზეცისაკენ მოისწრაფვის, შენსკენ მოისწრაფვს,
დილო რა,

უნისის სახე — შევარდენის სახეა!¹⁴.

გ ა მ ო ნ ა თ ქ ე ა მ ი 446

წარმოითქვას: ოსირისო, პიოპი¹⁵, შენმა დედამ — ნუტმა გა-
დაგაფარა თავისი სხეული

რათა დაგიფაროს ყოველგვარი ბოროტებისაგან.

ნუტმა დაგიფარა ყოველგვარი ბოროტებისაგან.

შენ ყველაზე დიადი ხარ მის შვილებს შორის.

გ ა მ ო ნ ა თ ქ ე ა მ ი 463

წარმოითქვას: ზეცის ორმაგი ქიშკარი გაიღო შენთვის, კებქ-
ჰუს¹⁶ ორმაგი ქიშკარი გაიღო შენთვის,

ქიშკრები, რომლებიც ადამიანისათვის დახურულია.
მარადიული ვარსკვლავები გინათებენ გზას,
შენი ჰაერი — საკმეველია, შენი ჩრდილოეთის ქარი — სა-
კმეველის კვამლია.
შენ აღმოსავლეთის ცაზე ამოსული ერთადერთი ვარსკვლავი
ხარ.

გ ა მ ო ნ ა თ ქ ე ა მ ი 464

წარმოითქვას: შენ უმაღლესი ხარ ვარსკვლავებს შორის, მარა-
დიულ ვარსკვლავებს შორის,
შენ იბრწყინებ მარად.

გ ა მ ო ნ ა თ ქ ე ა მ ი 564

წარმოითქვას: სუფთაა. ვინც ლელიანში განიბანება.
რა ლელიანში განიბანება.
უნისი ლელიანში განიბანება.
შუ¹⁷ ლელიანში განიბანება.
უნისი ლელიანში განიბანება.
შუ. შუ. აიყვანე უნისი ზეცაში,
ნუტ¹⁸, გაუწოდე ხელები უნისს,
დე იფრინოს, დე, იფრინოს სიხარულში, სიხარულში, სიხარულ-
ში; დე, იფრინოს, დე, იფრინოს.

1 ატუმი ეგვიპტური პანთეონის ერთ-ერთი უძველესი შემოქმედი ღვთაებაა. IV დინასტიიდან ეგვიპტეში იწყება რას (მზის ღვთაების) კულტის აღზევება. V დინასტიიდან მზის რელიგია უკვე სახელმწიფო რელიგია ხდება. ფარაონი, რომელიც ეგვიპტეში ღვთაებად იყო შერაცხული. ამერიიდან, ოფიციალური თეოლოგიის თანახმად, ცხადდება რას შვილად. ამ ვითარებაში ატუმის, როგორც შემოქმედი ღვთაების, პოზიცია შეირყა. მაგრამ ეგვიპტელი ქერუმების სპეკულაციის შედეგად მოხდა ამ ორი ღვთაების გაერთიანება. ეგვიპტის ოფიციალურ პანთეონში ჩნდება ახალი ღვთაება — რა — ატუმი, რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება უკვე არქაული ტრადიციების მქონე ატუმისა და ახალი სახელმწიფო ღვთაების — რას — თვისებების შერწყმის შედეგად. ამგვარი სპეკულაცია ეგვიპტეში შესაძლებელი იყო ეგვიპტური თეოლოგიის ერთ-ერთი თავისებურების საფუძველზე, რომელსაც თანამედროვე ეგვიპტოლოგიაში „სინკრეტიზმი“ ეწოდება. ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენით, ყველა მოვლენის მიზეზს წარმოადგენდა იმატერიალური, ცნობიერებისათვის მიუწვდომელი სულიერი საწყისი, რომლის არსებობის ფლუიდური ფორმა განაპირობებდა მის სახეცვლას, გადანაცვლებას სივრცეში, სხვადასხვა ფორმით გამოვლინებას. ამგვარი წარმოდგენის გამო ისინი ადვილად უშვებდნენ, რომ ერთ სულიერ საწყისს შეეძლო რას, ატუმის და ა. შ. ფორმით გამოვლინება. ამგვარად, შედგენილი ეგვიპტური ღვთაებები, როგორცაა, მაგ., რა-ატუმი და სხვ.

ორი ღმერთის გაიგივებას ან გაერთიანებას კი არ ნიშნავდა, არამედ ერთი ცვალებადი სულიერი საწყისის სხვადასხვა ფორმით გამოვლინების შესაძლებლობას. პირამიდების ტექსტების ამ გამონათქვამში გადმოცემულია ეგვიპტური ოფიციალური თეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დოქტრინა, რომლის თანახმად ფარაონი (ამ შემთხვევაში ფარაონი უნისი) გარდაცვალების შემდეგ აღზევდებოდა ზეცაში თავის მამასთან, რა — ატუმთან.

2 სეტხი და ნეფტიდა, ძველეგვიპტური ღვთაებები, ეგვიპტის ერთ-ერთი რელიგიური ცენტრის — ჰელიოპოლისის კოსმოგონიური სისტემის, ე. წ. ენეადის — წევრები. ამ სისტემის თანახმად, პირველყოფილი ქაოსდან (ნუნი) აღზევდა შემოქმედო ღვთაება (რა-ატუმი), რომელმაც შექმნა ღმერთების პირველი წყვილი — შუ (სიურე, ჰაერი) და ტეფნუტი (სისველე), მათ თავის მხრივ დასაბამი მისცეს გებს (დედამიწა) და ნუტს (ზეცა), რომელთა მცდელობით შეიქმნა ენეადის ოთხი დანარჩენი ღვთაება — ოსირისი და ისიდა, სეტხი და ნეფტიდა.

3 იხ. შენიშვნა 2.

4 თოტი — სიბრძნის და დამწერლობის ღვთაება.

5 „დასაყუთი“ ეგვიპტეში ეწოდებოდა მიცვალებულთა ნავთსაყუდელს, ანუ ბისი — ღვთაება, რომელიც ამ მხარეში მისასვლელი გზის დარაჯი იყო.

6 ხორი — ერთ-ერთი უძველესი ეგვიპტური ციური ღვთაებაა, შეეარდნის იკონოგრაფიით. ჭერ კიდევ არქაულ ეგვიპტეში მოხდა ფარაონის გაიგივება ხორთან; უკვე I დინასტიის ფარაონები ხორად აირიან გამოცხადებული. ცოცხალი ფარაონი, რომელიც ღვთაებად იყო შერაცხული, ითვლებოდა ხორის მიწიერ განსახიერებად და რას შვილად.

7 ეს გამონათქვამი წარმოადგენს რიტუალური ხასიათის ტექსტს, რომელიც წარმოითქმებოდა ქურუმის მიერ ფარაონის კორონაციის დროს, „ჰორიზონტის ორმაგი კიშკარი“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს ტაძრის უწმინდესი ადგილის კარების გახსნას, სადაც რიტუალი ტარდებოდა.

8 ნეტ — ქვემო ეგვიპტის სამეფო გვირგვინი. ერთიანი ეგვიპტის სახელმწიფო შეიქმნა დაახლ. ჩვ. წ.-მდე 3000 წ. ორი — ქვემო და ზემო — ეგვიპტური სამეფოების გაერთიანებით. ქვემო ეგვიპტის სამეფოს ეკავა ნილოსის დელტის ტერმტორია, ზემო ეგვიპტის სამეფოს — ნილოსის დაბლობის ვიწრო ყელი. გაერთიანების შემდეგ ეგვიპტის ფარაონები ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე ატარებდნენ ორმაგ გვირგვინს, რომელიც ქვემო ეგვიპტის წითელი და ზემო ეგვიპტის თეთრი გვირგვინების შერწყმას წარმოადგენდა, ეგვიპტეს კი ხშირად თვით ეგვიპტელები „ორ სამეფოს“ ეძახდნენ. კ. ზეტენს აზრით, ის გარემოება, რომ ამ გამონათქვამში მხოლოდ ქვემო ეგვიპტის გვირგვინი მოიხსენიება, ავლენს ტექსტის უაღრესად არქაულ ხასიათს.

9 ურუსი — სამეფო ძალაუფლების სიმბოლო, რომელსაც ფარაონები შუბლზე ატარებდნენ.

10 „ღიადი მავიაში“ — ეგვ. „უბრეტ ჰეკაუ“ — ქვემო ეგვიპტის სამეფო გვირგვინის ერთ-ერთი დასახელება.

11 იხ. შენიშვნა. 6.

12 იხ. შენიშვნა 2.

13 ნუტი — ქალღმერთი, რომელიც ზეცის პერსონიფიკირებულ გამოვლინებას წარმოადგენდა. იხ. აგრეთვე შენიშვნა 2.

14 აქ ხაზგასმულია ფარაონისა და ხორის იგივეობა, ხორი, როგორც აღვნიშნეთ (შენიშვნა 6), შეეარდნის იკონოგრაფიით გამოისახებოდა.

15 აქ გარდაცვლილი ფარაონის ოსირისთან — გარდაცვლილთა მფარველ ღვთაებასთან — გაიგივება ავლენს ტექსტის შედარებით გვიანდელ წარმოშობას (ძვე-

ლი სამეფოს ხანა), როცა, ოსირისის კულის აღზევებასთან ერთად, ხდება ოფიციალური სამეფო თეოლოგიის ერთგვარი „შესწორება“ — ფარაონი სიცოცხლის დროს კვლავ ხორთან არის იდენტიფიცირებული, სიკვდილის შემდეგ კი — ოსირისთან. ამგვარად ოსირისთან გაიგივებულია გარდაცვლილი ფარაონი პიოპი.

16 კებჰუ — საღამოს ცა.

17 იხ. შენიშენა 2.

18 იხ. შენიშენა 13.

უნიის ავტოგრაფიული წარწერა

უნიის ავტოგრაფიული წარწერა აღმოჩენილია მის სამარხში, აბიდოსის ნეკროპოლისში. ესაა ყველაზე გრძელი და მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი ძველი სამეფოს ეპოქიდან. უნი მოღვაწეობდა VI დინასტიის სამი ფარაონის — ტეტის, პიოპი I და მერენრას — დროს (ძვ. წ.-მდე XXIV ს.). ტექსტი მოგვითხრობს ძველი სამეფოს ეპოქის ერთ-ერთი დიდებულის ბრწყინვალე კარიერის შესახებ. ყურადღების მისაქცევია ის გარემოება, რომ უნი, რომელიც, როგორც ჩანს, დაბადებით არ განეკუთვნებოდა მოსახლეობის უმაღლეს ფენას, იხვეკს მდგომარეობას, რომელსაც ხშირად მეფის ძმაც კი ვერ აღწევდა.

არსებობს ეგვიპტური ტექსტის რამდენიმე გამოცემა, მაგრამ სრულყოფილად მიჩნეულია მხოლოდ კ. ზეტეს რედაქცია: K. Sethe, *Urkunden des alten Reiches*, Leipzig, Bd. 1.

სამხრეთ ეგვიპტის მმართველი, სამეფო სახლის მსახური, წარგზავნილი ნეხენში¹, ნეხების² მეუფე, მეფის ერთადერთი მეგობარი³, პატივცემული ოსირისის მიერ, პირველი დასავლეთის მცხოვრებთა შორის. უნი. იგი მოგვითხრობს⁴:

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა ხელსაბამი მივიმაგრე⁵ მისი უდიდებულესობის ტეტის მეფობის დროს; მე გავხდი ერთ-ერთი მოხელე ფარაონის მეურნეობაში: მე ჩამაბარეს ბელლების ზედამხედველის თანამდებობა.

მე გავხდი უფროსი მოხელე პიოპი I მეფობაში. მისმა უდიდებულესობამ მე დამნიშნა თავისი კომპანიონის თანამდებობაზე და უმცროს ქურუმად მისი უდიდებულესობის პირამიდის ქალაქში⁶. (შემდგომ) მისმა უდიდებულესობამ წარმგზავნა ნეხენში მოსამართლედ. მე უფრო ვუყვარდი მას, ვიდრე სხვა რომელიმე მსახური. მე და, ჩემთან ერთად, მხოლოდ მთავარი მოსამართლე და ვეზირი განმარტოებულნი, ვარჩევდით სამეფო სასახლის ქალთა ნახევრისა და სამართლის ექვსი სამსჯავროს საქმეებს, რადგან მეფეს მე ვუყვარდი ყველა

თავის მოხელეზე, ყველა თავის დიდებულზე და ყველა თავის მსახურზე უფრო ძლიერ.

შემდეგ მე ვთხოვე მის უდიდებულესობას, რომ ჩემთვის ჩამოეტანათ მარმარილოს სარკოფაგი ტურადან⁷. მეფემ გაამგზავრა ღმერთის⁸ მეჭურჭლე, მეზღვაურებთან ერთად, ტურაში, ჩემთვის სარკოფაგის ჩამოსატანად; მეჭურჭლე დაბრუნდა, დიდი გემით, რომელიც სამეფო კარის საკუთრებას წარმოადგენდა, ჩამოიტანეს სარკოფაგი, მისი თავსახური, ... არასოდეს გაუქვებიათ მსგავსი რომელიმე მსახურისათვის, მაგრამ მე ძვირფასი ვიყავი მისი უდიდებულესობისათვის, მის უდიდებულესობას მე ვუყვარდი.

როცა მე ვიყავი მოსამართლე, წარგზავნილი ნეხენში, მისმა უდიდებულესობამ დამნიშნა მე მისი მეურნეობის მთავარ ზედამხედველად ოთხი მთავარი ზედამხედველის მაგივრად, რომლებიც იქამდე მსახურობდნენ იქ. მე ისე ვირჩებოდი, რომ მისი უდიდებულესობა ყოველთვის მაქებდა, როცა მცველებს ვანაწილებდი თავიანთ ადგილებზე, როცა ვახდენდი სამეფო მგზავრობის ორგანიზაციას. როცა ვაწყობდი სამეფო გზაზე საბანაკო ადგილებს. მე ყველაფერს ისე ვაკეთებდი, რომ მისი უდიდებულესობა სულ ჩემს ქებაში იყო.

როცა აღიძრა საქმე სასახლის ქალთა ნახევარზე დედოფალ იმტისის წინააღმდეგ, მისმა უდიდებულესობამ მე გამგზავნა, რომ მარტო გამერჩია საქმე. იქ არ იყო არც ერთი მთავარი მსაჯული, არც ვეზირი, არც რომელიმე უფლისწული, რადგან მე ვიყავი ბრწყინვალე, რადგან მე ვახარებდი მისი უდიდებულესობის გულს, რადგან მის უდიდებულესობას მე ვუყვარდი. მხოლოდ მე ვიყავი საქმეების ჩამწერი და ერთადერთი მსაჯული ნეხენში, თუმცა ფარაონის მეურნეობაში მხოლოდ მთავარი ზედამხედველის მოვალეობას ვასრულებდი. ჩემამდე არავის, ჩემი მდგომარეობის მქონეს, არ გაუგია სასახლის ქალთა ნახევრის საიდუმლო, მხოლოდ მე დამართო მისმა უდიდებულესობამ ამის უფლება, რადგან მე უფრო ვახარებდი მისი უდიდებულესობის გულს, ვიდრე სხვა რომელიმე მოხელე, ვიდრე სხვა რომელიმე დიდებული, ვიდრე სხვა რომელიმე მსახური.

მისმა უდიდებულესობამ დაიწყო ომი ქვიშაზე მცხოვრები ხალხების წინააღმდეგ⁹ და შეაგროვა ბევრი ათი ათასისაგან შემდგარი არმია — მთელი სამხრეთი ეგვიპტიდან, ელეფანტინის¹⁰ სამხრეთიდან აფროდიტოპოლისის¹¹ ჩრდილოეთამდე, მთელი ჩრდილოეთიდან — დელტის ორივე მხრიდან, ირეტეტის შავი ხალხებისაგან, ვავატის შავი ხალხებისაგან, იამის შავი ხალხებისაგან, კაუს შავი ხალხებისაგან, ტემეჰის შავი ხალხებისაგან.

მისმა უდიდებულესობამ მე დამაყენა ამ არმიის სათავეში მაშინ, როცა დიდებულები, მაშინ, როცა სამეფო ბექდის ზედამხედველუ-

ბი, სასახლის კომპანიონები, ნომარქები¹², ჩრდილოეთის და სამხრეთის ციხე-სიმაგრეების უფროსები, ქარავენების წინამძღოლები, ჩრდილოეთის და სამხრეთის მთავარი წინასწარმეტყველები ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ციხე-სიმაგრეებიდან და ქალაქებიდან, შავი ხალხებისაგან შეგროვილ ცალკეულ რაზმებს მეთაურობდნენ. მე მათ ყველას დაუუსახე საბრძოლო გეგმა, მაშინ, როცა მე მხოლოდ ფარაონის მეურნეობის ზედამხედველი ვიყავი. ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ არაფერს ძარცვავდა, არაფერს წაურთმევია პური ქალაქებისათვის, საქონელი ხალხისათვის. მე წარგმართე არმია ჩრდილოეთის კუნძულიდან, შემდეგ გავიარეთ იი-ხეტეპის კიშკარი, ხორ-ნეზ-მაატი. მე ვაწარმოებდი არმიის მეთვალყურეობას, თუმცა აქამდე არასოდეს ჩაუდენია მსგავსი ჩემი რანგის მოხელეს.

ეს არმია მშვიდობით დაბრუნდა მას შემდეგ, რაც მან დაარბია ქვიშაზე მცხოვრები ხალხის ქვეყანა; ეს არმია მშვიდობით დაბრუნდა მას შემდეგ, რაც მან გაანადგურა ქვიშაზე მცხოვრები ხალხის ქვეყანა; ეს არმია მშვიდობით დაბრუნდა მას შემდეგ, რაც მან აიღო მათი ციხე-სიმაგრეები; ეს არმია მშვიდობით დაბრუნდა მას შემდეგ, რაც მან აჩეხა მათი ვენახები და ლედვის ხეები; ეს არმია მშვიდობით დაბრუნდა მას შემდეგ, რაც მან ცეცხლს მისცა მათი ჯარები; ეს არმია მშვიდობით დაბრუნდა მას შემდეგ, რაც მან დახოცა მათი ჯარისკაცები, ბევრი ათი ათასი; ეს არმია მშვიდობით დაბრუნდა და თან ჩამოიყვანა მრავალი ცოცხალი ტყვე. მისმა უდიდებულესობამ ყველა ამის გამო უზომოდ შემაქო.

მისმა უდიდებულესობამ ხუთჯერ დამაყენა ამ არმიის სათავეში, როცა ქვიშაზე მცხოვრები ხალხი ჭანყდებოდა, და მე ყოველთვის ისე ვიქცეოდი, რომ მისი უდიდებულესობის უზომო ქებას ვიმსახურებდი.

როცა ცნობილი გახდა, რომ აჯანყება მოაწყვეს ბარბაროსებმა ქურციკის ცხვირის ქვეყნიდან, მე გავემართე იმ მხარეს საბრძოლო გეგმებით ამ არმიის სათავეში და ჩამოვსტი არმია გეგმებიდან ქვიშაზე მცხოვრები ხალხის ჩრდილოეთით მდებარე მთებთან. მე დავარბიე ისინი და ყოველი აჯანყებული მოკლული იქნა.

როცა მე სამეფო სასახლის ზედამხედველი და სამეფო სანდლების მატარებელი ვიყავი, ზემო და ქვემო ეგვიპტის მეუფემ მერენრამ, ჩემმა ბატონმა, რომელიც ცხოვრობს მარად¹³, გამხადა მე ხატი-ა¹⁴ და დამნიშნა მთელი სამხრეთის ზედამხედველის თანამდებობაზე, ელფანტინიდან აფროდიტოპოლისამდე, რადგან მე ვაბარებდი მისი უდიდებულესობის გულს, რადგან მე სასიამოვნო ვიყავი უდიდებულესობისათვის, რადგან მე ვუყვარდი მის უდიდებულესობას.

როცა მე სამეფო სასახლის ზედამხედველი და სამეფო სანდლების მატარებელი ვიყავი, მისმა უდიდებულესობამ შემაქო მოხერხებულობისათვის და გამჭრიახობისათვის მთელი კარის წინაშე ყველა მოხელეზე უფრო, ყველა კეთილშობილზე უფრო, ყველა მსახურზე უფრო. ასეთი თანამდებობა არასოდეს მიუციათ ჩემისთანა უბრალო მსახურისათვის. მე ვასრულებდი სამხრეთის ზედამხედველობას ისე, რომ ეს სასიამოვნო იყო მისი უდიდებულესობისათვის. მე ვასრულებდი მის ყველა დავალებას. როგორც წესია, წელიწადში ორჯერ ვახდენდი სამხრეთში სამეფო ქონების აღწერას. არასოდეს ყოფილა სამხრეთში ასეთი წესრიგი. ამიტომ მე მისი უდიდებულესობის ქებას ვიმსახურებდი.

მისმა უდიდებულესობამ გამაგზავნა იაბჰეტის მხარეს, რომ ჩამომეტანა სარკოფაგი, თავისი სახურავით, და მშვენიერი ქვა დედოფლის პირამიდისათვის, რომლის სახელია „მერენრა ბრწყინავს და იგი მშვენიერია“¹⁵.

მისმა უდიდებულესობამ გამაგზავნა ელეფანტინაში, გრანიტის კარის ჩამოსატანად დედოფლის პირამიდისათვის, რომლის სახელია „მერენრა ბრწყინავს და იგი მშვენიერია“. შემდეგ მე გავემართე მდინარით სამხრეთისაკენ პირამიდისთან, რომლის სახელია „მერენრა ბრწყინავს და იგი მშვენიერია“, თან მახლდა ექვსი სატვირთო გემი და მხოლოდ ერთი სამხედრო გემი. არავინ გამაგზავრებულა ჩემამდე იაბჰეტის მხარეს მხოლოდ ერთი სამგზავრო გემით. ყველა მისი უდიდებულესობის ბრძანებას მე ვასრულებდი ისე, როგორც ამას მისი უდიდებულესობა მოითხოვდა.

მისმა უდიდებულესობამ მე გამაგზავნა ჰატნუბში ჰატნუბის მაგარი ქვისაგან გამზადებული საკურთხევლის ჩამოსატანად. მე ჩამოვუტანე მას ეს საკურთხეველი გემით და მოვანდომე ამას მხოლოდ 17 დღე. მე ავაგე ეს გემი აკაციის ხისაგან, რომლის სიგრძე 60 წყრთა იყო და სიგანე — 30 წყრთა, და მოვანდომე ამ საქმეს მხოლოდ 17 დღე, მესამე დღეს, მესამე სეზონის მესამე თვეს¹⁶. თუმცა წყალი დაბალი იყო, მე საკურთხეველი მშვიდობით ჩამოვიტანე პირამიდისთან „მერენრა ბრწყინავს და იგი მშვენიერია“, და ყველაფერი შესრულებული იყო ჩემს მიერ, როგორც ეს მისმა უდიდებულესობამ ბრძანა.

მისმა უდიდებულესობამ მე გამაგზავნა სამხრეთში, რათა გამეთხარა ხუთი არხი და ამეგო 3 სატვირთო გემი და 4 საბუქსირო გემი ვავატის აკაციის ხისაგან. ირეტეტს, ვავატის, იამის და მაჯანის ხალხებმა შეაგროვეს ხე, და მე ეს დავალება ერთ წელიწადში შევასრულე. ეს გემები დაიტვირთა ქვის ბლოკებით პირამიდისათვის „მერენრა ბრწყინავს და იგი მშვენიერია“. შემდეგ მე გავთხარე ხუთივე არხი, რადგან მე უფრო მეტ პატივს ვცემდი ზემო და ქვემო ეგვიპტის მეუ-

ფეს, მერენრას, რომელიც ცოცხლობს მარად, ვიდრე ღმერთებს, და ყოველთვის ვასრულებდი ყველა მის ბრძანებას.

მე ვარ უნი, რომელიც ვუყვარდი მამას, რომელსაც პატივის სცემდა დედა, სასიამოვნო ვიყავი ძმებისათვის, ხატი-ა, სამხრეთის ზედა-მხედველი, პატიეცემული ოსირისის მიერ.

1 ნეხენი (იერაკონპოლისი) — ქალაქი სამხრეთ ეგვიპტეში.

2 ნეხები (ელ ქაბი) — ქალაქი სამხრეთ ეგვიპტეში.

3 ეგვიპტელი მოხელის ერთ-ერთი თანამდებობა.

4 აქ უნი ტრაბახობს, რომ იგი პირველია გარდაცვლილთა შორის.

5 ხელსაბამის მიმაგრება — დაუჯაკეება. ე. ი. უნი ჭერ კიდევ ძალიან ახალ-გაზრდა იყო, როცა დაიწყო სამეფო კარზე სამსახური.

6 თვითეულ პირამიდას გარს ერტყა ტაძრების, საზღოცველოების რთული კომპლექსი, და გააჩნდა საკუთარი მეურნეობა მიცვალბულთა კულტის სხვადასხვა რიტუალების ჩასატარებლად და მსხვერპლის შესაწირავად. ამ კომპლექსს „პირამიდის ქალაქი“ ერქვა.

7 ადგილი სამხრეთ ეგვიპტეში, სადაც მარმარილოს საბადოები იყო.

8 „ღმერთის“ — ამ შემთხვევაში „ფარაონის“.

9 „ქვიშაზე მცხოვრებთ“ ეგვიპტელები უწოდებდნენ სინაის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ მომთაბარე ტომებს.

10 ელეფანტინა — კუნძული ნილოსის პირველ კორომთან.

11 აფროდიტოპოლისი (კომ იშ-კაუ) ქალაქი ცენტრალურ ეგვიპტეში.

12 ნომარქი — ეგვიპტელი დიდგვაროვანი.

13 „რომელიც ცხოვრობს მარად“ — ეგვიპტის ფარაონის ერთ-ერთი ეპითეტი.

14 ძველეგვიპტური ტიტული, უფრო ხშირად კეთილშობილი წარმოშობის პირებს ენიჭებოდა.

15 ძველ ეგვიპტეში ყველა პირამიდას თავისი სახელი ჰქონდა და ამ სახელით შიიხსენიებოდა; აღსანიშნავია, რომ ისეთი საერთო სიტყვა, როგორსაც „პირამიდა“ წარმოადგენს, ამ ნაგებობების აღსანიშნავად ძველეგვიპტურში არ იყო.

16 ეგვიპტეში წელიწადი სამ სეზონად იყო დაყოფილი: „ახეტ“ — წყალდიდობა (ზამთარი), „პერეტ“ — გამოსვლა (ვაზაფხული), „შემუ“ — სიმშრალე (ზაფხული), თვითეული სეზონი ოთხი თვისაგან შედგებოდა. უნიმ ჩამოიტანა საკურთხეველი მშრალ სეზონში, როცა ნილოსის წყალი დაბალი იყო, რაც ართულებდა ნავიგაციას.

დედოფალ ხატშეპსუტის დაბადება

(ნაწყვეტები)

XVIII დინასტიის ფარაონის თოტმეს I ორი ვაჟიშვილი გარდაიცვალა მისი მეფობის დროს, ამიტომ ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი თოტმესი, რომელიც იმ დროისათვის დაახლოებით 12 წლის იყო. თოტმეს II ტახტზე ასვლის ლეგიტიმირება შესაძლებელი გახდა მისი ქორწინებით თავის ნახევარ დაზე, თოტმეს I და მისი დედოფლის, იახმესის ქალიშვილზე. თავად თოტმეს II დედა იყო არა დედოფალი იახმესი, არამედ დიდგვაროვანი ქალი მუტ-ნე-

ფრეტი. მათ დაახლოებით 18 წელიწადს იმეფეს, 1490 წელს კი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფარაონი გარდაიცვალა ერთ-ერთი სამხედრო კამპანიის დროს. ხატშეპსუტისაგან თოტმეს II დარჩა მხოლოდ ქალიშვილი ნევრუ-რა. ამგვარად, ისევ შეიქმნა სიტუაცია, როცა ახალი ფარაონის ლეგიტიმირება შეიძლებოდა მხოლოდ ფარაონის ქალიშვილზე ქორწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ეგვიპტეში ფარაონი, ჩვეულებრივ, ქორწინდებოდა სამეფო წარმოშობის ქალზე (ხშირად საკუთარ დაზე), რომელსაც ბავშვობიდან ჰქონდა მინიჭებული „ღვთაების მეუღლის“ ტიტული (ეს ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი სამეფოს დროიდან მოდის). ფარაონთან საკრალური ქორწინების შემდეგ იგი ხდებოდა ეგვიპტის დედოფალი და ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მხოლოდ ის ბავშვები, რომელნიც ფარაონს ამ ღვთაების მეუღლისაგან ჰყავდა. სხვადასხვა პოლიტიკური და დიპლომატიური მოსაზრებების გამო ფარაონს ხშირად უხდებოდა მსხვილი დიდგვაროვნების ან უცხო ქვეყნების მეფეებისა და მთავრების ქალიშვილებთან ქორწინებაც. ეს მეუღლეები „მეორე რიგის ცოლებად“ ითვლებოდნენ და მათ შვილებს შეეძლოთ ტახტზე ასვლა მხოლოდ კანონიერ მემკვიდრეებზე ქორწინებით. თოტმეს II სიკვდილის შემდეგ კარის არჩევანი შეჩერდა მის ვაჟზე ასეთი მეორე რიგის ცოლისაგან — ისიდასაგან, რომელიც ნეფრუ-რაზე დაქორწინების შემდეგ ტახტზე ადის როგორც თოტმეს III. ამ დროისათვის თოტმეს III და მისი „ღვთაებრივი მეუღლე“ ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, ამიტომ ქვეყნის მართვას სათავეში ჩაუდგა დედოფალი ხატშეპსუტი. პირველ ხანებში იგი არ სცილდებოდა რეგენტის უფლებებს, მაგრამ მალე აცხადებს, რომ ეგვიპტის ტახტზე ასვლის კანონიერი უფლება მხოლოდ მას ეკუთვნის. მან თავი ფარაონად გამოაცხადა და ახალგაზრდა წყვილის ტახტიდან ჩამოგდება მოახერხა.

ფარაონის გაღმერთების იდეა უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ წინაღინასტიური ხანიდან მოდის. უკვე I დინასტიის ფარაონები ოფიციალურ ტიტულატურაში „ხორად“ — ერთ-ერთი ციური ღვთაების მიწიერ გამოვლინებად — არიან აღიარებულნი. V დინასტიიდან მოყოლებული, მზის ღვთაების — რას — კულტის აღზევებასთან ერთად, ფარაონი ხდება „ხორი, რას შვილი“ ან „რა-ატუმის შვილი“ (დაწერილებით იხ. „პირამიდების ტექსტების“ შენიშვნა 1). ახალი სამეფოს დროიდან ეგვიპტეში ხდება ახალი ღვთაების — ამონის — აღზევება, რომელიც წარმოადგენდა ახალი, XVIII დინასტიის დამაარსებელი ოჟანის მშობლიური ქალაქის — თებეს — მთავრულ ღვთაებას. თებეს ნომარქებმა განდევნეს უცხოელი უზურპატორები — ჰიქსოსები და ეგვიპტის ტახტზე ავიდნენ. ბუნებრივია, მათ მოისურვეს თავიანთი ქალაქის ღვთაების აღზევება ეგვიპტის

ოფიციალური პანთეონის ცენტრალურ ადგილზე, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ამონის რასთან გაიგივებით, რომელიც ამ დროისთვის უკვე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ეგვიპტის პანთეონში ჩნდება ახალი ღვთაება — ამონ-რა, ამის შემდეგ, სინკრეტიზმის წყალობით (იხ. „პირამიდების ტექსტები“, შენიშენა 1) ამონი და რა აღიქმება როგორც ერთი ღვთაების სხვადასხვა გამოვლინება, ამიტომ, თუმცა ოფიციალურ ტიტულატურაში ფარაონი ეგვიპტის ბოლომდე „რას შვილი“ რჩება (ტრადიციულმა ეგვიპტელებმა უცვლელი დატოვეს ეს ტრაფარეტი), მაგრამ ტექსტებში ხშირად ვხვდებით ან ამონ-რას, ან რას, ან ამონს, რაც, ფაქტიურად, ერთი და იგივე ღვთაებას აღნიშნავს. სწორედ ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ქვემოთ მოყვანილ ტექსტში, რომლის მიზანს დედოფალ ხატშეპსუტის ღვთაებრივი წარმოშობის ხაზგასმა წარმოადგენს, იგი ამონის შვილად არის აღიარებული.

ტექსტი წარმოადგენს ფარაონის საკრალური ქორწინებისა და კორონაციის რიტუალს. აღმოჩენილია ხატშეპსუტის ღვირ ელ-ბაჰარის ტაძარში. ტექსტის გამოცემა: E. Naville, *Deir el-Bahari, Le Caire, 1947.*

ხატშეპსუტის დაბადება

ამონ-რას, თებეს ბატონის, კარნაკის მკვიდრის გამონათქვამი: მან (ამონ-რამ) მიიღო მისი უდიდებულესობის, მეუღლის, მეფე ო-ხეპერ-კა-რას² გამოვლინების ფორმა, მან მიაგნო დედოფალს, როცა იგი განისვენებდა, უმშვენეირესი, თავის სასახლეში. იგი (დედოფალი) გააღვიძა ღმერთის სურნელებამ, რომელიც ისეთივე იყო, როგორიც ფარაონის სურნელება. იგი (ღმერთი) მივიდა დედოფალთან, აღძრა მასში სურვილი და დაანახა თავისი ღვთაებრივი სახე. როცა იგი (ღმერთი) მასთან მივიდა, დედოფალი აღფრთოვანდა მისი სილამაზით. სიყვარული ჩასახლდა დედოფლის სხეულში, იგი დაათრო ღმერთის სურნელებამ. ღმერთს პუნტის³ ნელსაცხებლების სურნელება ასდიოდა.

ღმერთის მეუღლის და ღმერთის დედის, იახმესის⁴ გამონათქვამი, რომელიც მან წარმოთქვა მისი უდიდებულესობის, დიდი ღვთაების, ამონის, თებეს მბრძანებლის წინაშე: „რა დიადია შენი ბრწყინვალება! დამაბრმავებელია შენი სახე. შენ დააჩილდოვე ჩემი უდიდებულესობა შენი ყურადღებით, შენ მომეკარი შენი სხეულით!“.

ამონის, ორი ქვეყნის⁵ მბრძანებლის გამონათქვამი დედოფლის წინაშე:

„ხნემეტ-ამონ-ხატშეპსუტი იქნება ჩემი ქალიშვილის სახელი, რომელიც მე შენს სხეულში ჩავსახე. იგი ბრწყინვალე მეფე გახდება“.

ბა. ჩემი სული — მისია, ჩემი გვირგვინი — მისია, რათა მან შეძლოს
ორ ქვეყანაზე მეფობა, რათა იგი გახდეს ცოცხალთა წინამძღვარი“.

ამონისა და ხნუმის⁶ დიალოგი:

ამონის, კარნავის მკვიდრის, გამონათქვამი:

„წადი, მიეცი მას ფორმა, მას და მის კას⁷; მიდი. გამოძერწე
იგი ყველა ღვთაებაზე უკეთესად, ჩემი ქალიშვილი, რომელიც მე ჩა-
ვსახე. მე მივეცი მას სიცოცხლე, უშფოთველობა, ჩემი გულის მთე-
ლი სიხარული, ჩემი მსხვერპლშესაწირი, მთელი პური, ვითარცა რას,
სამარადისოდ!

ხნუმის პასუხი:

„მე გამოვძერწე შენს ქალიშვილს — ხატშეპსუტს — სიცოცხ-
ლის, უშფოთველობისა და ჯანმრთელობისათვის... მისი სახე უფრო
სრულყოფილი იქნება, ვიდრე რომელიმე ღვთაების სახე“.

ხნუმის, დიდი მეთუნის, ხირურის⁸ მბრძანებლის, გამონათქვამი:

„მე გამოვძერწე შენ. მე მოვედი შენთან, რათა შემექმნა შენი სახე,
უფრო სრულყოფილი, ვიდრე რომელიმე ღვთაების სახე. მე მოგანიჭე
შენ სიცოცხლე, უშფოთველობა, ამონის გულის მთელი სიხარული.
მე მოგეცი შენ მთელი მიწები, მთელი ქვეყნები, მთელი ბაღნი. შენ
აღზევდები ხორის ტახტზე⁹, ვითარცა რა, მარად. შენ ამობრწყინდები
ზემო და ქვემო ეგვიპტის, ჩრდილოეთის და სამხრეთის ხელმწიფედ,
როგორც ეს ბრძანა შენმა მამამ“.

ხატშეპსუტის კორონაცია

ამონ-რას, ღმერთების მეუფის, გამონათქვამი:

„სამხრეთის და ჩრდილოეთის ღმერთებო, მე წარმოგიდგენთ
ჩემს ქალიშვილს, ხატშეპსუტს, გიყვარდეთ იგი“...

ღმერთების გამონათქვამი:

„შენი ქალიშვილი ხატშეპსუტი. ჩვენ გვიყვარს იგი. იგი შენი სა-
ხის გაპერებაა, რომელსაც შენ მიეცი შენი სული, სამეფო გვირგვი-
ნის მაგიური ძალა. მას ეკუთვნოდა ქვეყნები, მიწები, ყველაფერი,
რასაც ზეცა ფარავს, ყველაფერი, რასაც ზღვა ესაზღვრება, ჯერ კი-
დეც მაშინ, როცა იგი მშობელის სხეულში იმყოფებოდა“...

„გადმოგცემთ შენ ამ წითელ (ზემო ეგვიპტის — მ. ხ.) გვირ-
გვინს, რომელიც რას ამშვენებდა; შენ ორმაგი გვირგვინის მატარებე-
ლი იქნები, შენ ორივე ქვეყნის მეუფე იქნები.“

გადმოგცემთ შენ თეთრი (ქვემო ეგვიპტის—მ. ხ.) გვირგვინს,
ძლევა მოსილს“...

1 კარნაჯი — ამონის ტაძარი თებეში.

2 ო-ბეპერ-კა-რა — თორემს I ერთ-ერთი სახელი.

1 პუნტი — ქვეყანა თანამედროვე სომალის ტერიტორიაზე, საიდანაც ვგვიბტეში ნელსაცხებლები ჩამოქონდათ.

4 „ღმერთის მეუღლე და ღმერთის დედა“ — ე. ი. ფარაონის მეუღლე და ფარაონის დედა. დედოფალი იახმესი თორემს I მეუღლე და ხატშემსუტის დედა იყო.

5 ორე ქვეყნის — ე. ი. ეგვიპტის.

6 ხნუმი — ძველეგვიპტური ღვთაება, რომელიც, ქ. ესნის კოსმოგონიური სისტემის თანახმად, იყო ღვთაებრივი მეთუნე, კაცობრიობის შემქმნელი, რომელიც თიხისაგან ძერწავდა ხალსს და ღმერთებს.

7 კა — ადამიანის და ღვთაების სულიერი ორეული.

8 ქალაქი ეგვიპტეში, თანამედროვე ბენი-ჰასანის მახლობლად.

9 „ხორის ტახტი“ — ეგვიპტის ფარაონის ტახტი.

პტახოტეპის ღარიგება

(ნაწყვეტები)

„პტახოტეპის ღარიგებები“ უძველესია ამ ტიპის ტექსტებს შორის და დაახლოებით თარიღდება ძველი სამეფოს ეპოქით. იგი წარმოადგენს ბრძენის 37 ღარიგების კრებულს. საუკეთესო თვისებებად აღიარებულია აუჩქარებლობა, სიკეთე, სამართლიანობა, თვითკონტროლის უნარი, სიმართლის სიყვარული. გულუხვობა.

ეგვიპტური ტექსტის რამოდენიმე გამოცემა არსებობს, მათგან ყველაზე სრულყოფილად მიჩნეულია Z. Zaba, Les Maxims des Ptahhotep, Friburg, 1916.

1. ნუ იამაყებ შენი ცოდნით,
გიყვარდეს დაუსვა კითხვა, როგორც ბრძენს, ისე მას, ვინც არ მიგაჩნია ბრძენად.
დახელოვნებას არა აქვს საზღვარი.
არავის მიუღწევია სრულყოფილებისათვის.
დახვეწილი მეტყველების საიდუმლო გამოუცნობია,
ხანდახან იგი მსახურ გოგოში შეიძლება დაინახოს.
3. თუ შენ გეკამათება, ვინც შენი თანასწორია,
შესძელი, რომ შენი თავმოყვარეობა გააჩუმო...
4. თუ შენ გეკამათება საბრალო, რომელსაც შენზე ნაკლები ცოდნა აქვს,
ნუ იქნები მის მიმართ აგრესიული.
დაისჯება, ვინც სჯის თავისზე უმცროსს.
8. თუ თქვენ ერთ-ერთი სტუმარი ხართ
სუფრაზე, სადაც თქვენზე უფრო პატივსაცემი ადამიანია,
არასოდეს დაელაპარაკოთ მას პირველი,

- წყენის მიზეზი ხშირად გამოუცნობელია, გაეცი პასუხი, როცა ის მოგმართავს, მაშინ შენი სიტყვები სასიამოვნო იქნება მისთვის.
9. ... დიდ პატივს იმსახურებს ის, ვინც სიტყვაძუნწია, ასეთი ადამიანი სიმდიდრის მფლობელია.
10. რა არის ნებისყოფის შქონე ადამიანი? მისი სახელი კეთილია, მას ვერაფერს დასწამებს ცილს, მისი სხეული თხელია, მისი სახე — კეთილი. იგი ყველას პატივისცემას იმსახურებს, იგი, ვინც მუცელს უგდებს ყურს, სიყვარულის ნაცვლად იმსახურებს ზიზოს, შისი გული ცარიელია, მისი სხეული — მოუვლელი, იგი მტრის ხელშია.
17. თუ შენ ხარ ადამიანი, რომელსაც მაღალი თანამდებობა აქვს, წყნარად, მოთმინებით მოუსმინე მთხოვნელს. არასოდეს აგრძნობინო მოუთმენლობა, არ შეაწყვეტინო, ბოლომდე ათქმევინე სათქმელი. ადამიანს, გასაჭირში მყოფს, უფრო სჭირდება გულის დაცლა, ვიდრე მას, ვინც მოგებულება.
23. არასოდეს გაიმეორო სხვისი ცილისწამება. სჯობია, არც კი მოისმინო იგი. ამბავი წყნარად, დაფიქრებულად მოყევი. თუ უმნიშვნელოს ეხება, სჯობს გაჩუმდე.
33. თუ დაექვდი მეგობარში, ნუ დაიწყებ გამოძიებას, მიდი მასთან, მოწმის გარეშე დაელაპარაკე.
35. გახსოვდეს. ვინც დაგეხმარა, თუ გსურს კეთილდღეობა. არასოდეს ჩაიდინო უსამართლობა მეგობრების მიმართ, მეგობარი იგივეა, რაც მორწყული ყანები და მეტია, ვიდრე სიმდიდრე. რაც ერთს ეკუთვნის, ის სხვასაც ეკუთვნის.

II. სოციალური შინაარსის ტექსტები

ამბავი სინუხეტის შესახებ

ამბავი სინუხეტის შესახებ არა მარტო ძველი ეგვიპტის, არა-ნედ მთელი ძველი აღმოსავლეთის სიტყვიერი შემოქმედების შედევრად არის მიჩნეული. მოთხრობის მთავარი გმირი, დიდგვაროვანი სინუხეტი, შემთხვევით მოისმენს ფარაონ ამენემხეტ I მოკვლისა

(XII დინასტია, დაახლ. 1961 წ. ჩვ. წ.-მდე) და მისი შვილის, მო-
მავალი ფარაონის სენუსერტ I წინააღმდეგ შეთქმულების მოწყო-
ბის ამბავს. შეშინებული, იგი ტოვებს ეგვიპტეს და მირბის სირია-
ში, სადაც მრავალ წელს დაჰყოფს. სიბერეში მას საოცარი ნოსტალ-
გიის გრძნობა იპყრობს, იგი წერილში პატიებას სთხოვს ფარაონს,
რომელიც უფლებას აძლევს სინუხეტს დაბრუნდეს სამშობლოში.
„ამბავი სინუხეტის შესახებ“ არის მსოფლიოში უძველესი ნაწარმო-
ები. სადაც მოთხრობილია არა რომელიმე მეფის ან ლეგენდარული
გმირის, არამედ უბრალო ადამიანის ისტორია და აღწერილია მისი
ემოციები — შიში, ნოსტალგია, დარდი სიცოცხლის უცხო ქვეყანა-
ში დასრულებაზე (უცხო ქვეყანაში დასაფლავება ეგვიპტელთათვის
ტრაგედიაა, ღმერთების უდიდეს სასჯელს წარმოადგენდა). აღსანი-
შნავია, რომ ჩვენამდე მოაღწია კიდევ ერთმა, დიდაქტიკური ჟანრის
ნაწარმოებმა, რომელიც იგივე ისტორიული ფაქტების ანარეკლს
წარმოადგენს. ესაა მოკლეული ფარაონის ამენემხეტ I სახე-
ლით დაწერილი საკმაოდ პესიმისტური ხასიათის დარიგებები
თავისი შვილის მიმართ, სადაც იგი მოგვითხრობს ცხოვრების ამაო-
ებაზე, ადამიანის უმადურობაზე, სიმარტოვეზე და სხვ. „სინუხე-
ტის“ პოპულარობაზე ძველ ეგვიპტეში მეტყველებს ის გარემოება,
რომ ჩვენამდე მისმა უამრავმა ასლმა მოაღწია. ერთ-ერთ ყველაზე
სრულყოფილ გამოცემად ითვლება ა. ბლეკმენის გამოცემა:
A. Blackmann, Middle Egyptian Stories, Bruxelles, 1933.

კეთილშობილი წარმოშობის. მომთაბარე ხალხთა ქვეყნებში
ფარაონის მიწების მმართველი, მეფის მეგობარი, მეფისათვის ნამ-
დვილად ძვირფასი, მეფის მხლებელი, სინუხეტი. იგი მოგვითხრობს:

„მე ფარაონის თანმხლები ვიყავი, ვმსახურობდი მის ამაღლაში,
ვიყავი სასახლის ქალთა ნახევრის და კეთილშობილი დედოფლის ნო-
ფრუს¹ მსახური, რომელიც იყო მეფის — სენუსერტის მეუღლე
ხნუმ-სუტში² და ამენემხეტის ქალიშვილი კა-ნოფრუში³. 30-ე წელს⁴,
გამოსვლის⁵ დროს, მესამე თვის მეშვიდე დღეს აღზევდა მეფე სე-
ხეტეპიტრა⁶ თავისი ჰორიზონტზე და შეუერთდა მზეს, მეფის ღვთა-
ებრივი სხეული შეუერთდა თავის შემქმნელს, სამეფო კარი სიჩუ-
ნემ მოიკვა, გულებში სევდამ დაისადგურა, დიდებულებმა მუხლებ-
ში ჩარგეს თავები, ხალხი ქვითინებდა. მისი უდიდებულესობის ქარი
(ამ დროს) გაგზავნილი იყო ტა-მეხუს⁷ ქვეყანაში, მას სათავეში
ედგა მეფის უფროსი ვაჟი, კეთილშობილი ღვთაება, სენუსერტი.
იგი უკვე ბრუნდებოდა, გამარჯვებული, მოერეკებოდა მრავალ
ტყვეს და საქონელს. მეგობრებმა გააგზავნეს დასაელეთის ნაპირზე
შიკრიკი, რომ შეეტყობინებინათ მეფის ვაჟისათვის, თუ რა მოხდა

სასახლეში⁸. ისეც ჩქარი და ენერგიული იყო შევარდენი⁹, აბლა კი მაშინვე გაფრინდა სასახლეში თავის ამაღასთან ერთად, თავის ჯარსაც კი არაფერი უთხრა. მაგრამ შიკრიკები ფარაონის სხვა შვილებთანაც გამოგზავნეს. მე შორიახლოს ვიდექი, შიკრიკი კი ელაპარაკებოდა მათ. მე მისი ხმა მესმოდა. ჩემს გულში შიშმა დაისადგურა, ხელები ამიკანკალდა, მთელს სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. დიდი ნახტომებით მოვშორდი იქაურობას და ბუჩქებში დავიმალე. შემდეგ სამხრეთისაკენ გავემართე. სასახლეში დაბრუნებაზე არც კი მიფიქრია, რადგან ასე განვსაჯე: იქ სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა დაიწყება, მე ცოცხალი ვერ დავალწევ თავს.

მე გადავცურე მათის ტბა და მივალწიე სნეფრუს კუნძულს, სადაც ერთი დღე დავყავი, განთიადისას გზა გავაგრძელე. მალე აღამიანი შემომხვდა გზაზე. იგი შეკრთა და ვერ დამალა შიში. მე კი მისი შემეშინდა. ვახშმის ჟამს მივალწიე სოფელ გაუსს, ტივთ გადავცურე ნილოსი, აღმოსავლეთიდან შემოვუარე წითელი მთის მეუფის¹⁰ საბადოებს და ჩრდილოეთისაკენ ავიღე გეზი. ციხე-სიმაგრესთან ბუშქებს შევაფარე თავი, რადგან შემეშინდა, ყარაულზე მღვომ ჯარისკაცს არ დავენახე. დამე კვლავ გავაგრძელე გზა. როცა დედამიწა განათდა, მე მივალწიე პეტენს და შევჩერდი კემუერის ნახევარკუნძულზე. წყურვილი მელავდა. მე ვიხრჩობოდი, ჩემი ყელი იწვოდა. მე ვთქვი: „ეს სიკვდილის გემოა“. მაგრამ ჩემი გული დაწყნარდა, როცა საქონლის ჯოგის ხმები გავიგე. მე აზიელები¹¹ დავინახე. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ეგვიპტეში იყო ნამყოფი, ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა. მან წყალი დამალევირა და რძე ამიდულა. მე მას მის ტომში წავეყვი. იქ ყველა გულისხმიერად მომეპყრო. შემდეგ ჩემი თავი ქვეყნიდან ქვეყანას გადაეცემოდა¹², გავიარე ბიბლოსი¹³ და გავემართე კედემის ქვეყნისაკენ¹⁴. იქ წელიწადნახევარი დავყავი. შემდეგ მე მიმიღო ამიენეშამ, ზემო რეჩენუს¹⁵ ქვეყნის მბრძანებელმა და მითხრა: „შენ ჩემთან კარგად იგრძნობ თავს, რადგან შენს ყურს არ მოაკლდება ეგვიპტური ენა“. მან ეს ყველაფერი მითხრა იმიტომ, რომ გაგონილი ჰქონდა ჩემი ვინაობის შესახებ, ჩემი ნიჭიერების შესახებ ეგვიპტელებისაგან, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ¹⁶. შემდგომ, მან მკითხა: „როგორ მოხვდი აქ? ხომ არაფერი მოპხნარა სამეფო კარზე? მე მივუგე: „როცა ზემო და ქვემო ეგვიპტის მეუფე, ფარაონი სეხტეპიზრა აღზევდა ზეცაზე, არ იყო ცნობილი, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა“. ამის შემდეგ კი სიმართლე დავუმალე: „მე უკვე დაბრუნებული ვიყავი ტა-მეზუს ქვეყნიდან, როცა მეფის სიკვდილი მაცნობეს. რადგან გულში აფორიაქება ვიგრძენი, ვულმა დატოვა ჩემი სხეული, მან შორი გზებისაკენ გამიტაცა, ჩემზე არავინ ლაპარაკობდა, სახეში არავის შეუფუტობებია ჩემთვის, მე არ გამი-

გია ცილისწამება, ჩემი სახელი არავის გაუგია ჯაშუშების დაბეზღებაში. არ ვიცი, რამ მომიყვანა ამ ქვეყანაში—ალბათ, ღმერთის ნება იყო ასეთი“. მაშინ მან მითხრა: „რას იზამს ქვეყანა, რომელიც დარჩა ამ კეთილშობილი ღმერთის გარეშე? 17. ამ ღმერთის გარეშე, რომლის წინაშე, როგორც საბმეტის¹⁸ წინაშე, თრთოდნენ უცხო ქვეყნები?“ მე ასე ვუბასუბე მას: „მისი ვაჟიშვილი შევიდა სასახლეში, მას გადაელოცა მამის ტახტი. იგი — ღვთაებაა, რომელსაც არ ჰყავს თანასწორი. მისი აზრები ბრძნულია, სიტყვები — ლამაზი, ყველაფერი მის ნებაზეა დამოკიდებული. როცა მამამისი სასახლეში იყო, იგი იმორჩილებდა უცხო ქვეყნებს; იგი ზვიადია, ძლიერია მისი ზმალე; იგი გულადია, რომელიც ამარცხებს მტერს, სანამ მტერი არმიის განლაგებას მოასწრებს. მტრის დამარცხება მას სიხარულს ანიჭებს. მას ვერ გადაურჩები გაქცევით: იგი შეუპოვარი და ჭიუტია, როცა გაქცეულ მტერს მისდევს. მისი გული კიდევ უფრო მაგრდება, როცა მტერი მრავალრიცხოვანია, შიში ვერ გაიკაფავს გზას მისი გულსაკენ. მას სიხარულს ანიჭებს, როცა აღმოსავლეთის ხალხებს ესხმის თავს. იგი არასოდეს იმეორებს დარტყმას. როდესაც მოწინააღმდეგეს უღეტს. მის იარაღს წინ ვერაფერ ალუდგება, მისი მშვილდის დაჭიმვა არავის ძალუძს. მას გაურბიან მომთაბარე ხალხები. მის ბრძოლას არ უჩანს დასასრული, იგი არასოდეს იღლებს, (მაგრამ) იგი სიამოვნების მეუფეც არის, დიადი სიტკბოში, სიყვარულის ნიჭით დაჯილდოვებული. იგი უყვარს მშობლიურ ქალაქს საკუთარ თავზე უფრო. ხალხი შეჰხარის მას, როგორც ღვთაებას. იგი ასეთი იყო ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ამ ქვეყანას მოევლინებოდა. იგი ერთადერთია, ღმერთის მიერ მონიჭებული. ბედნიერია ჩვენი ქვეყანა მისი მეფობით: იგი აფართოვებს მის საზღვრებს, მან დაიპყრო სამხრეთის ქვეყნები, ჩრდილოეთის ქვეყნები, იგი დაბადებულია აზიელების დასამარცხებლად, ქვიშაზე მცხოვრები ხალხების გასანადგურებლად“¹⁹. მან მითხრა: „მე ვიცი, რომ ეგვიპტე ხარობს, რადგან იცის, რომ ძლიერია მისი მეუფე, მაგრამ მისმინე, დარჩი ჩემთან, მე კარგად მოგეპყრობი“.

მან მე თავის შვილებზე უფრო წინ დამაყენა, ცოლად მომცა უფროსი ქალიშვილი, დამართო ნება ამერჩია მიწები თავისი ქვეყნის საუკეთესო ნაწილში, მეზობელი ქვეყნის საზღვართან, ადგილი, რომელსაც ერქვა იაა²⁰, სადაც იყო ვენახები და ლელვის ხეები, უფრო მეტი იყო ღვინო, ვიდრე წყალი, საესე იყო თაფლი, ზეთისხილი და ყოველგვარი ნაყოფი ხეებზე. იქ ხორბალიც იყო, ქვაფი. და სხვადასხვა სახის საქონელი ურიცხვი რაოდენობით. მეც ბევრი რამ მერგო, რადგან მე მას ვუყვარდი. მან დამნიშნა თავისი ქვეყნის საუკეთესო ტომის მეთაურად, პურს მე ყოველდღე ვაცხოვდოდი, სულ მქონ-

და ღვინო, მოხარული ხორცი და შემწვარი ფრინველი, უდაბნოს ანტილოპები. მოქონდათ ჩემთან ნანადირევი. ჩემთვის მზადდებოდა ყოველი დიდი რაოდენობით, ყველანაირი აღულებული რძე.

ასე გავატარე მე მრავალი წელი. ჩემი შვილები ღონიერი ვაჟაკები დადგნენ, საუკეთესონი თავიანთ ტომში. ელჩები, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ ან სამხრეთისაკენ მიემართებოდნენ, ჩემს სახლში ჩერდებოდნენ. მე ვაძლევდი წყალს მწყურვალეს, მე გზაზე ვაყენებდი დაბნეულს, მე ვშველიდი გაძარცულს.

როცა უდაბნოების მომთაბარე ხალხები ჭანყდებოდნენ ქვეყნის დიდებულების წინააღმდეგ, მე მათ (დიდებულებს) რჩევას ვაძლევდი, და რეჩენუს ქვეყნის დიდებულმა თავისი არმიის მეთაურად დამინიშნა. საითაც არ უნდა წამეყვანა ჩემი არმია, მე ვამარცხებდი იქაურ ხალხებს, მომყავდა საქონელი და ტყუეები, მომქონდა ნადავლი, ეხოცავდი მტერს ჩემი მშვილდით და მახვილით, ჩემი ჰკვიანური დაგეგმვით. მე ვახარებდი მის გულს. მე მას შევეუყვარდი — იგი მიხვდა, რომ მე გულადი ვარ, და მან მე თავის შვილებზე უფრო წინ დამაყენა, რადგან ხედავდა ჩემი მარჯვენის უღრეკელობას.

მოვიდა ჩემთან რეჩენუს ქვეყნის ძლიერი მეომარი, მან გამომიძახა ჩემი კარვიდან. იგი ცნობილი მებრძოლი იყო. არ იყო მეორე მისი მსგავსი. მან მთელი ქვეყნის ძლიერი მამები დაამარცხა. მან მე საბრძოლოდ გამომიძახა. დარწმუნებული იყო, რომ შეძლებდა ჩემს დამარცხებას და ჩემი საქონლის და ქონების ხელში ჩაგდებას.

რეჩენუს ქვეყნის დიდებულმა რჩევა მკითხა. მე ვთქვი: „მე მას არ ვიცნობ. მე არა ვარ მისი მეგობარი, არა ვარ მისი მოკავშირე, განა მე გავაღე მისი ჰიშკარი და მის ღობეს გადავცდი? ის ბრახდება, რადგან ხედავს, რომ მე შენს დავალებებს ვასრულებ. განა იხვექს სიყვარულს უბრალო²¹ იმით, რომ წინამძღოლი ხდება?... მაგრამ თუ ხარმა ბრძოლა მოისურვა, განა მეორე, გულადი ხარი შიშით უკან დაიწევს?“.

ღამე მე დაკვიმე მშვილდი, ამოვიღე ჩემი ხმალი, გავწმინდე ჩემი იარაღი.

როცა გათენდა. რეჩენუს მთელი ხალხი შეგროვდა... როცა იგი მომიახლოვდა, მე მის პირდაპირ დავდექი. ყველა ქალის და კაცის გული ჩემსკენ იყო, ისინი იძახდნენ: „განა არის ვინმე, ვისაც შეუძლია მასთან შებრძოლება?“.

მისი ისრები დაეცა მიწაზე, მე ავიცილინე ისინი. როცა ისრები გათავდა, ერთი პირდაპირ მეორეზე წავიდა²². ჩემი ხელშუბი მის კისერში ჩაჩხა. იგი ცხვირით დავარდა, და მე მას მისივე ნაჯახი ჩავცხე, მე მის ზურგზე შევდექი და გამარჯვების ყიჟინა შემოვძახე. მე

შადლობა შეეძახე მონტს²³, მისი ოჯახი კი მას დასტიროდა. ამიენეშა კი მე გადამეხვია.

მე მისი (ე. ი. დამარცხებულის) ქონება წამოვიღე. წამოვიყვანე მისი საქონელი — მე ჩავიღინე, რისი გაკეთებაც მას სურდა. მე კიდევ უფრო ავმალღდი, გავმდიღრდი, უამრავი ფარის პატრონი გავზღდი.

ეს იყო ღმერთის ნება. მან მოწყალეობა გაიღო მის მიმართ, ვისზეც ადრე განრისხდა, ვინც სამშობლოდან წაიყვანა. ერთ დროს მე მივბობდი, როგორც ლტოლვილი, დღეს კი ჩემს შესახებ სამეფო კარზე ლაპარაკობენ. შიმშილს ვეპარებოდი ფორთხვით, ახლა კი მეზობელს ვაძლევ პურს; გავბობდი ჩემი ქვეყნიდან შიშველი, ახლა კი უთაელესი ტილოს ტანსაცმელი მაცვია: გავბობდი მარტოდმარტო, ახლა კი მდიდარი ვარ ხალხით, მშვენიერია ჩემი სახლი, ვრცელია ჩემი მამული²⁴.

ო. ღმერთო, რომელმაც ლტოლვილის ბედი მარგუნე, იყავ მოწყალე. დამაბრუნე სახლში, გააკეთე ისე. რომ მე კვლავ ვიხილო ადგილები. საიდანაც ჩემი გული არასოდეს წასულა, რა არის იმაზე სანატრელი, რომ სამშობლოში დაიმარხო? გაალამაზე მისი ბოლო, ვინც დასაჯე. თანაუგრძნე მას, ვინც განდევნე და უცხო ქვეყანაში აცხოვრე. ისმინე ლტოლვილის ლოცვა. მოწყალე იყოს ჩემს მიმართ ეგვიპტის მეუფე, მეღირსოს მის სიახლოვეს ცხოვრება. ნეტავ შეიძლებოდეს სხეულის განახლება! სიბერესთან ერთად ჩემი სხეულიც დაძაბუნდა, ჩემი მარჯვენა დასუსტდა. ჩემი ფეხები ველარ დადის, გული დაღლილია. ჩემი დასასრული მოახლოვდა. ნეტავ დავიმარხო მარადიულობის ქალაქში, ჩემი დედოფლის გვერდით, ნეტავ მესაუბროს იგი თავის ბავშვებზე და მარადიულობაში²⁵ მე მის სიახლოვეს ვიყო.

ზემო და ქვემო ეგვიპტის მეუფეს. მის უდიდებულესობას ხეპერკარას²⁶ მოახსენეს ჩემს შესახებ. მაშინ მისმა უდიდებულესობამ გამოგიზავნა საჩუქრები, მეფის ბრძანება, გამოგზავნილი თავის მსახურთან, მისი ეგვიპტეში დაბრუნების შესახებ:

„ჩორი, ცოცხალი დაბადებით, ორივე ქალღმერთი, ცოცხალნი დაბადებით ზემო და ქვემო ეგვიპტის მეუფე ხეპერკარა, რას შეილი, სენუსერთი. მცხოვრები მარად²⁷.

მეფის ბრძანება მეფის თანმხლების, სინუხეტისადმი: მე ვაგზავნი შენთან ამ ბრძანებას, რომ შენთვის ცნობილი გახდეს ჩემი სიტყვა. შენ შემოიარე უცხო ქვეყნები, კედემიდან რეჩენუმდე, შენ თავს ქვეყანა ქვეყანას გადასცემდა, შენი სურვილის თანახმად. მაგრამ განა შენ ბოროტება ჩაიღინე, სასჯელს რომ ელი? შენ არ წარმოგიტყვამს საძრახო სიტყვები. შენს გულს ლტოლვის სურვილი დაეუფლა, მაგრამ

ჩემს გულში არაფერი იყო შენს წინააღმდეგ. შენი ზეცაა დედოფალი-
ნეფრუ, რომელიც დღესაც სასახლეში იმყოფება, მშვენიერი. მის
თავს სამეფო გვირგვინი ამშვენებს, მისი შვილები აქ არიან, სასახლე-
ში. შენ შეაგროვებ ქონებას მათი საჩუქრებით. შენ იცხოვრებ მათი
გულუბნობის ხარჯზე. გამოემგზავრე ეგვიპტეში. შენ იხილავ მეფის
სასახლეს, რომელშიც გაიზარდე, ემთხვევი მიწას დიდ ქიშკართან,
შეუერთდები მეფის მეგობრებს. შენ ხომ უკვე დაბერება დაიწყე.
შენ გიბოძებ „ლაშის“²⁸, ზეთებს და სავანეს ტაიტი მოგართმევს²⁹,
მოგიწყობენ სამგლოვიარო მსვლელობას შენი დაკრძალვის დღეს, შენი
მუმიის სხეული ოქროთი იქნება დაფარული, თავი — ლაზურიტით,
შენს სარკოფაგს ხარები წაიღებს, წინ მომღერლები გაგიძღვება. შენი
სამარხის კარებთან სამსხვერპლო ცხოველებს დაკლავენ, შენი სამარ-
ხის სვეტები თეთრი ქვისა იქნება. შენ არ მოკვდები უცხო ქვეყანაში,
არ გაგანხევინ აზიელები ცხვრის ტყავში. იფიქრე შენს ზულზე და
სხეულზე“.

როცა ამ ბრძანებამ ჩემამდე მოაღწია, მე მიწაზე განვერთხე და
მიწას ვემთხვიე. დავდიოდი მე ჩემს ეზოში, ბედნიერი, და ვფიქრო-
ბდი: „დაუჯერებელია, რომ ასე მოქცეოდნენ მსახურს, რომელიც
გულმა უცხო ქვეყნებში გაიტაცა, ქვეყნებში, რომლებთანაც ეგვიპტე
ომობს. მართლაც რომ მოწყალეა ღმერთები, რომლებმაც სიკვდილს
გადამარჩინეს. მე სამშობლოში დავასრულებ დღეებს“.

სინუბეტის პასუხი მეფისადმი:

„ლაპარაკობს სასახლის მსახური სინუბეტი³⁰: მშვიდობა შენ.
შენმა სულმა გაიგო შენი მსახურის უნებლიე ლტოლვის შესახებ, კე-
თილო ღმერთო, ორივე ქვეყნის მეუფე... ღმერთები გიძღვნიან შენ
სიცოცხლეს და ბედნიერებას, მარადიულობას. შენი პატივისცემა სუ-
ფევს როგორც დაბლობზე, ისე მთიან მხარეში. შენ დაიმორჩილე
ყოველი, რასაც მზე ანათებს.“

მსახური ევედრება თავის მეუფეს: გადამარჩინე დასაჯელთს!...³¹.
შენი მსახური ლტოლვის დროს ვერ ხვდებოდა მის მიერ ჩადენილის
სიმძიმეს. არ ვიცი, რამ მაიძულა გაქცევა. იგი სიზმარს ჰგავდა. მჯ
არ მეშინოდა, არაფერ მომდევდა, მე არ გამიგია ძვირი სიტყვა, ჩემს
მიმართ წარმოთქმული — და ამ დროს ჩემი სხეული თრთოდა, ფე-
ხები ვარბოდა და ღვთაებამ, რომელმაც ისურვა ჩემი გაქცევა, წა-
მიყვანა შორს, შორს. მაგრამ ჩემს გულს არასოდეს დაუტოვებია ჩემი
ქვეყანა, შენს სასახლეში ვიქნები, თუ უცხო მხარეში, შენ ხარ ჩემი
მეუფე, მხოლოდ შენ შეგიძლია დამიბნელო ზეცა. მდინარის წყალს
შენი სურვილით სვამენ. ჰაერს სუნთქავენ მაშინ, როცა შენ ამას ბრძა-
ნებ. შენი მსახური გადასცემს თავის მალალ თანამდებობას, რომელ-
საც უცხო მხარეში მიაღწია, მას, ვისზეც შენ მიუთითებ. მისი უდი-

დებულესობა მოიქცევა ისე, როგორც ამას თვითონ მოისურვებს, რადგან ჩვენ შენი ნაბოძები ჰაერით ვცოცხლობთ.

რა, ხორი, ხატხორი სიყვარულს უძღვნიან შენს ნესტოებს, რომლებიც იქნებიან მარად“.

მოვიდა მსახური და დამართო ნება, კიდევ ერთი დღე გამეტარებინა იაას ქვეყანაში. მე ჩემი ქონება ჩემს შვილებს გადავულოცე, ჩემი უფროსი ტომის მბრძანებელი გახდა. იგი გახდა ჩემი ქონების, საქონლის, ხალხის მფლობელი. შემდეგ მსახური საშრეთისაკენ გაემართა. შეჩერდა ხორის კარიბჭესთან. მოსაზღვრე დაცვის უფროსმა გააგზავნა სასახლეში შიკრიკი, რომელსაც ჩემი დაბრუნების ამბავი უნდა მოეხსენებინა. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ ჩემსკენ წამოსულიყვნენ მისი მსახურნი, დატვირთულები საჩუქრებით აზიელებისათვის, რომლებმაც მე ხორის კარიბჭემდე გამომაცილეს. შემდეგ გავემგზავრე მე გემით (ამ) მსახურებთან ერთად. ყველა ჩემი ნაცნობი იყო, ყველა სახელით მოეხსენიე. მივალწიეთ ქალაქ იტუს. როცა მიწა განათდა, მოვიდნენ ჩემს დასაძაბებლად. ათი კაცი მოვიდა სასახლეში ჩემს წასაყვანად. მე განვერთხე მიწაზე და ვემთხვიე მიწას სფინქსებს შორის. მეფისწულები მელოდებოდნენ სასახლის კარებთან. მეფის მსახურებმა გამაცილეს სატახტო დარბაზში. როცა დავინახე მეფე თავის ოქროს ტახტზე, განვერთხე მის წინაშე და გონება დავკარგე. ღმერთი მოწყალედ მომეპყრო, მე კი თითქოს წყვილიადით ვიყავი მოცული. ჩემი სული თითქოს სადღაც გაუჩინარდა, სხეული დასუსტდა, მე სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ვიყავი. მაშინ მისმა უდიდებულესობამ მიმართა ერთ მეგობარს: „ააყენე, მე მინდა მას დაველაპარაკო“. და მისმა უდიდებულესობამ წარმოთქვა: „შენ დაბრუნდი უცხო ქვეყანაში ლტოლვის შემდეგ, შენ უცხო ქვეყნები დაიპყარი. მაგრამ მოვიდა სიბერე, შენ მის ზღურბლთან დგახარ. შენი სხეულის დაკრძალვისას შენ აზიელები არ გაგაცილებენ შენი სამარხისაკენ. ნუ მოიქცევი ისე, როგორც ადრე მოიქეცი — შენ ხომ სდუმხარ, თუმცა მე შენი სახელი დავასახლე“. მე შემეშინდა ნაცვალგების და ასე ვუპასუხე: „რას მეუბნება ჩემი მეუფე? როგორ გიპასუხო ამ სიტყვებზე. სჯობს, დავდუმდე, რადგან შიში, რომელმაც ჩემში დაისადგურა, იმ გრძნობის მსგავსია, რომელმაც სამშობლოდან ლტოლვილად მაქცია. მე შენს წინაშე ვარ — ჩემი სიცოცხლე შენი საკუთრებაა. დე, მისი უდიდებულესობა მოიქცეს მისი ნების მიხედვით“. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, მისი შვილები შემოეყვანათ. მიმართა მისმა უდიდებულესობამ დედოფალს: იხილე, მოვიდა სინუხეტი, იგი აზიელს დავმსგავსა, მომთაბარედ გადაიქცა“. დედოფალს ხმამაღალი შეძახილი აღმოხდა, და მეფის შვილებმა ერთხმად მიუგეს მის უდიდებულესობას: „ჭეშმარიტად, ეს არ არის იგი,

ჩვენო მეუფე“¹. მისმა უდიდებულესობამ კი ასე თქვა: „ვემარტად-
ეს იგია... ნუ ეშინია მას. იგი მეფის მეგობარი იქნება, ერთ-ერთი კა-
რის დიდებულთა შორის“. მე გამოვედი სატახტო დარბაზიდან, მე-
ფის შვილებმა გამომიწოდეს ხელები და მიმიყვანეს დიდ კარბქეს-
თან. მე გამომიყვეს ადგილი მეფის შვილის სახლში; შესანიშნავია.
იგი — სიგრილე სუფევს, ირგვლივ ღმერთების სახეებია, აურაცხელი
ძვირფასეულობა, ტანსაცმელი სამეფო ტილოსაგან, შესანიშნავი ნელ-
საცხებლები. მსახურებმა მოსპეს წლების მიერ დატოვებული კვა-
ლი — გამპარსეს, თმები დამვარცხნეს, კუჭყი უდაბნოს გადაეცი-
ნა, ძონძები — ქვიშებზე მონთაბარეთ. მე თხელი ტილოს ტანსაცმელი-
მაცვია, საუკეთესო ნელსაცხებლების სურნელებას ვაფრქვევ და ლო-
გინზე მძინავს. მე ამიგეს ქვის სამარხი პირამიდებს შორის. მშენებელ-
თა ზედამხედველმა შეარჩია მისი ადგილი. მხატვრების ზედამხედვე-
ლი თვალყურს ადევნებდა, რომ ჩემი სამარხი საუკეთესოდ მოეხა-
ტათ, მოქანდაკეების ზედამხედველი საქრისით მუშაობდა, მარადიუ-
ლობის ქალაქის კალატოზთა ზედამხედველი თვალყურს ადევნებდა
სამარხის აგებას. ყველაფერი, რაც სამარხში თავსდება, გამზადებული
იყო. დანიშნეს ქურუმები მიცვალებულთა რიტუალის შესასრულებ-
ლად, გამომიყვეს სამარხის კუთვნილი მინდვრები, როგორც ეს მეფის
მეგობარს შეეფერება. ჩემი გამოსახულება ოქროთია მორთული. ასე
ისურვა მისმა უდიდებულესობამ. არ არის ადამიანი, რომელსაც მსგავსი
გაუკეთეს. მოწყალე იყო მეფე სიცოცხლის ბოლო დღემდე“².

1 ნოფრუ — ეს სახელი ტექსტებში არ ვხვდებ. სენუსერტის დედოფლის
სახელი იყო ნოფრიტი.

2 ხნუმ-სუტი — სენუსერტ I პირამიდის სახელი.

3 კანოფრუ — ამენემხეტ I პირამიდის სახელი. ე. ი. სენუსერტს ცოლად
ჰყავდა თავისი და. ასეთი ქორწინებები ძალიან ხშირი იყო ეგვიპტის სამეფო
ოჯახში.

4 ეგვიპტეში წლების დათარიღება ფარაონის მეფობის წლებით ხდებოდა და
თავიდან იწყებოდა ყოველი შემდეგი ფარაონის გამეფებიდან. „30-ე წელი“. ამ
შემთხვევაში ფარაონ ამენემხეტ I მეფობის 30-ე წელს ნიშნავს.

5 „გამოსვლა“ — ეგვიპტური წლის I სეზონი, რომელიც ჩვენს კალენდარ-
ში ზამთარს უდრის.

6 სეხეტეპიზრა — ამენემხეტის ერთ-ერთი სახელი.

7 ტა-მეხუ — ქვეყანა თანამედროვე ლიბიის ტერიტორიაზე.

8 აქ სინუხეტი ვერ ბედავს პირდაპირ თქვას ფარაონის მკვლელობისა და
შეთქმულების შესახებ.

9 შევარდენი — ე. ი. ფარაონი (ღვთაება ხორს, რომელთანაც ფარაონს აი-
გივებდნენ, შევარდენის იკონოგრაფია ჰქონდა).

10 წითელი მთის მეუფე — ქალღმერთი ხატხორი, რომელიც ძველმა ბერძ-
ნებმა თავიანთ აფროდიტასთან გააიგივეს.

11 ეგვიპტურ ტექსტში აქ მოყვანილია სიტყვა „სტიუ“, რომელიც თავდა-
პირველად მომთაბარე ხალხების აღმნიშვნელი იყო, ხოლო თანდათან ეგვიპტეს-

- თან კონტაქტში მყოფი აზიური ქვეყნების განზოგადებულ დასახლებად გადაიქცა.
- 12 ილიომატური გამოთქმა, რომელიც ეგვიპტურში შორეულ მგზავრობას აღნიშნავდა.
- 13 იგულისხმება ფინიკიური ბიბლოსი (ეგვ. „კებენი“).
- 14 ალბათ, იგივე ქვეყანაა, რომელიც მოიხსენიება ბიბლიაში იგივე სახელით (საქმენი 29,1, რიცხთა 23,7) და ვალაამის სამშობლოდ არის დასახელებული დაახლოებით ტერიტორია თანამედროვე დამასკოს აღმოსავლეთით.
- 15 რჩენულ ეგვიპტურში აღნიშნავდა ტერიტორიას ჩრდილოეთ პალესტინიდან ორონტის დაბლობამდე.
- 16 ეს ფრაზა გვიჩვენებს, თუ რა აქტიური კონტაქტები ჰქონდათ იმ დროს ეგვიპტესა და აზიის ქვეყნებს.
- 17 ე. ი. ფარაონ ამენემხეტის გარეშე.
- 18 სახმეტი — მეფისის ქალღმერთი, ომის ღვთაება.
- 19 ეს არის ეპოქისათვის დამახასიათებელი, თითქმის ტრადიციული ფარაონის ქებათა სიტყვა.
- 20 ამ გეოგრაფიული ადგილის დადგენა ვერ ხერხდება.
- 21 ე. ი. არადიდგვაროვნული წარმოშობის ადამიანი.
- 22 ე. ი. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.
- 23 მონტი — ძველეგვიპტური ომის ღვთაება.
- 24 მსგავსი ანტითეზები ძალიან დამახასიათებელია ამ პერიოდის ეგვიპტურ ტექსტებისათვის.
- 25 ე. ი. სენუსერტს სურს, რომ დაიმარხოს თავისი დედოფლის პირამიდის სიახლოვეს.
- 26 ხეპრკარა — სენუსერტ I ერთ-ერთი სახელია.
- 27 ეგვიპტის ფარაონის ოფიციალური ტიტულატურა.
- 28 „ლაბე“ — ე. ი. სამარხი.
- 29 „ზეთებს და სავანეს ტაიტი მოგართმევს“ — აქ ლაპარაკია სხეულის მუმიფიკაციაზე, ქალღმერთი ტაიტი მოიხსენიება „მიცვალებულთა წიგნის“ 82-ე თავში, როგორც მიცვალებულთა სავანის გამგებელი.
- 30 ამ ეპოქისათვის ტიპური წერილის დასაწყისი.
- 31 ეს იდეომატური გამოთქმა არ არის სავსებით ნათელი. „დასავლეთი“ მიცვალებულთა ადგილსამყოფელს ნიშნავს. ეგვიპტელთა წარმოდგენით, მხოლოდ რთული რიტუალის გავლის შემდეგ შეეძლო მიცვალებულს სამუდამო ნეტარების მიღწევა. ეს მოითხოვდა ეგვიპტური წესით დასაფლავებას, რაც შეუძლებელი იყო უცხო მხარეში. ამიტომ ეგვიპტელებს ზარავდა უცხოეთში გარდაცვალების შიში. ალბათ, „დასავლეთს გადარჩენა“ ამ შემთხვევაში ისე უნდა გაეიგოთ, რომ სინუხეტი შიშით არის შეპყრობილი, რომ „ურჯულოების“ ქვეყანაში დასაფლავებით იგი ვერ მიაღწევდა სამუდამო ნეტარებას და მარადიულ ტანჯვაზე იყო განწირული.

ძველი სამეფოს დროს სხვადასხვა რელიგიური ფორმულები, რომლებიც უნდა დაბმარებოდა გარდაცვლილს იმქვეყნიურ ცხოვრებაში, მხოლოდ ფარაონების სამარხების — პირამიდების — კედლებზე თავსდებოდა, სწორედ ამიტომ ეწოდა მათ „პირამიდების ტექსტები“. მაგრამ თანდათან ხდება ამ ტექსტების „დემოკრატიზაცია“, და შუა და ახალი სამეფოს პერიოდებში მსგავსი შინაარსის ფორმულები უკვე ჩვეულებრივ მოკვდავთა სამარხებშიც გვხვდება. ეს ტექსტები ღღეს „სარკოფაგების“ და „მიცვალებულთა“ წიგნების სახელით არის ცნობილი. რა თქმა უნდა, აქ არ ვხვდებით ზეცაში აღზევებისა და ღმერთებთან შეერთების მოტივებს, მაგრამ ჩვეულებრივ მოკვდავებსაც ჰქონდათ თავიანთი „პრობლემები“ იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მზადებაში.

ოფიციალური ეგვიპტური იდეოლოგიის თანახმად, ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე იყო მხოლოდ მოკლე მონაკვეთი მისი მარადიული არსებობისა, რომელიც მიცვალებულთა ქვეყანაში, ანუ „დასავლეთში“ (მზის ჩასვლის მხარე) უნდა გაგრძელებულიყო. ადამიანის სიკვდილის მომენტში მისი სულიერი საწყისი — ეგვ. „ბა“, რომელსაც ეგვიპტელები გამოსახავდნენ როგორც ფრინველს ადამიანის თავით, შორდებოდა სხეულს. მხოლოდ სხეულისა და სულის თავიდან შეერთების შემდეგ იყო შესაძლებელი ადამიანის მშვიდობიანი მოგზაურობა „იალუს მინდვრებისაკენ“, რაც ძველ ეგვიპტეში სამოთხის ექვივალენტს წარმოადგენდა. სწორედ იალუს მინდვრებში ელოდა მას საბოლოო ნეტარება. მაგრამ სხეულისა და სულის შეერთებამდე მიცვალებულს უნდა გაეგო ოსირისის — მიცვალებულთა მეუფის — სამსჯავრო, რადგან ეგვიპტური წარმოდგენების თანახმად საბოლოო ნეტარების მიღწევა შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც უცოდველად და კეთილად გაატარა თავისი დედამიწაზე ცხოვრების წლები. მიცვალებული წარსდგებოდა თავად ოსირისის წინაშე. იგი გარშემორტყმული იყო მიცვალებულთა სამყაროს 42 დემონით. იქვე იყო ანუბისი — ძალთავეიანი ღვთაება, რომელსაც მიცვალებული იალუს მინდვრებში გადაჰყავდა. აქ მიცვალებული წარმოთქვამდა თავისი უცოდველობის დამამტკიცებელ სიტყვას, „ცოდვების უარყოფის“ სიტყვას, რომელიც თანამედროვე გამოცემებში „მიცვალებულთა წიგნის“ 125-ე თავს წარმოადგენს და ქვემოთ არის მოყვანილი. სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, მისი სიმართლის შესამოწმებლად, სიმართლისა და წესრიგის

ქალღმერთი მათი წონიდა მის გულს, რომელსაც ფრინველის ბუმბული არ უნდა გადაეწონა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთ-ერთი დემონი შთანთქავდა.

აღსანიშნავია, რომ ძველი აღმოსავლეთის არც ერთ რელიგიაში არ არსებობდა ამგვარი წარმოდგენები, რომლებსაც შემდეგ ქრისტიანულ რელიგიაში ვხვდებით და რომელთა მიხედვით ადამიანის დედამიწაზე გატარებული წლების დროს გარკვეული ეთიკური და მორალური ნორმების დაცვა იყო საწინდარი მისი სამუდამო განცხრომისა სიკვდილის შემდეგ.

„მიცვალებულთა წიგნი“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVIII დინასტიის ეპოქაში. მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილია 125-ე თავი, რომლის შინაარსს „ცოდვების უარყოფის ტექსტი“ შეადგენს. „მიცვალებულთა წიგნის“ უამრავი ვარიანტი არსებობს. ჩვენ მიერ გამოყენებულია შემდეგი გამოცემის ეგვიპტური ტექსტი: Ch. Maysire. Les Déclarations d'Innocence, Le Caire, 1937. სტრაჟონი 41 აღდგენილია ჰეორე გამოცემის მიხ.: E. A. W. Budge, The Book of the Dead: The Chapters of coming forth by Day, 3 vols, London, 1948.

სალამი შენ, დიადო ღმერთო, ორი სიმართლის მეუფევი¹. მე მოვედი, რათა შენი მშვენება ვიხილო. ჩემთვის ცნობილია შენი სახელი, ჩემთვის ცნობილია ორმოცდარი ღმერთის სახელი², რომლებიც იმყოფებიან აქ, ორი სიმართლის მხარეში³ — ისინი ელიან მათ, ვისაც ბოროტება აქვს ჩადენილი და სვამენ მათ სისხლს მათი უნნეფერის⁴ წინაშე წარსდგომის დღეს — თქვენ ცნობილი ხართ ჩემთვის, სამართლის მეუფეებო. თქვენთან მოვედი სამართლით, თქვენი გულისათვის უარყავ უსამართლობა.

მე არ ჩამიდენია ბოროტება.

მე არ ჩამიდენია ცოდვა წმინდა ადგილას.

მე არ მიყვარდა მკრეხელობა.

მე არ დამიჩაგრავს სუსტი.

მე არ გამაჩნია ცოდვა ღმერთების წინაშე.

მე არ დამიჩაგრავს მონა ბატონის თანდასწრებით.

მე არ ვყოფილვარ არავის ავადმყოფობის მიზეზი.

მე არ ვყოფილვარ არავის ცრემლის მიზეზი.

მე არ მომიკლავს.

მე არ მიბრძანებია არავის მოკვლა.

მე არავისთვის მიმიყენებია ტანჯვა.

მე არ ვაზიანებდი სატაძრო ბელლებს.

მე არ ვაზიანებდი ღმერთების სამსხვერპლო ჰურს.

მე არ მიმითვისებია მიცვალებულთა ქონება.

მე არ ჩამიდენია მრუშობა.

მე არ მქონდა ბილწი ენა.

მე არასოდეს მომიტყუილებია წონაში..

მე არასოდეს ჩამიჭრია სამსხვერპლო ცეცხლი..

მე არასოდეს გამომიტოვებია მსხვერპლის შეწირვა..

მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ...

მე არაფერი შემემთხვევა ამ ქვეყანაში, ორი სიმართლის მხარეში, რადგან ჩემთვის ცნობილია დიდი ღმერთის ორმოცდაროი თანამდგომის სახელები.

1. ო, უსხ-ნემთუტა⁵, რომელიც იმყოფები ჰელოპოლისში, მე არ ჩამიდენია ბოროტება.

2. ო, ჰეპეტ-სეჯეტ, რომელიც იმყოფები ჰეპრი-ახაში, მე არ მომიპარავს.

3. ო, დენჯი, რომელიც იმყოფები ჰერმოპოლისში, მე არ მჩვევია შური.

4. ო, აკშუტ, რომელიც იმყოფები კერერეტში, მე არავის ვარბევდი.

5. ო, ნეხეხაუ, რომელიც იმყოფები რა-სეტაუში, მე არ მომიკლავს.

6. ო, რუტი, რომელიც იმყოფები ზეცაში, მე არ მომიტყუებია წონაში.

7. ო, ირტი-ემ-დეს, რომელიც იმყოფები ლეტოპოლისში, მე არ მჩვევია თვალთმაქცობა.

8. ო, ნები, ... მე არ მჩვევია მკრეხელობა.

9. ო, სედ-კესუ, რომელიც იმყოფები ჰერაკლეოპოლისში, მე არ შითქვამს ტყუილი.

10. ო, უდი-ნესერ, რომელიც იმყოფები მემფისში, მე არ მომიპარავს საქმელი.

11. ო, ქერტი, რომელიც იმყოფები დასავლეთში, მე არ მჩვევია ჭირვეულობა.

12. ო, ხეჯ-იბზუ, რომელიც იმყოფები ფაიუმში, მე არაფერი დამინგრევია.

13. ო, უნემ-სენფ, რომელიც ყარაულობ მსხვერპლშესაწირავს, მე არ დამიკლავს ღმერთების კუთვნილი ძროხა ან ხარი.

14. ო, უნემ-ბესეკუ, ბრძენო, მე არ გამიტაცებია თავთავი.

15. ო, სიმართლის მეუფევე, რომელიც იმყოფება მააგიში, მე არ მომიპარავს პური.

16. ო, ტენში, რომელიც იმყოფები ბუბასტისში, მე არ მჩვევია მიყურადებით მოსმენა.

17. ო, აადი, რომელიც იმყოფები ჰელიოპოლისში, მე არ მჩვევია ყბედობა.

18. ო. ჭუღუ, რომელიც იმყოფები ანჯში, მე არასოდეს მიჩხუბია ქონებისათვის.

19. ო, უამტი, რომელიც იმყოფები განსასჯელ ადგილას, მე არ ჩამიდენია მრუშობა.

20. ო, მანიტეფ, რომელიც იმყოფები მინის ტაძარში, მე არ ჩამიდენია უხამსობა.

21. ო, ხერირუ, რომელიც იმყოფები იმადში, მე არ მჩვევია დამუქრება.

22. ო, ჰემი, რომელიც იმყოფები ტუიში, მე არ დამირღვევია არაეითარი კანონი.

23. ო, შედ-ხერუ, რომელიც იმყოფები ურიტში, მე არ მჩვევია ფუქი მრისხანება.

24. ო, ნეხენ, რომელიც იმყოფები ჰეხა-ჯიში, მე არ ვყოფილვარ გულგრილი სიმართლისადმი.

25. ო, სერ-ხერუ, რომელიც იმყოფები უნსიში, მე არ ვყოფილვარ აუტანელი.

26. ო, ბასტი, რომელიც იმყოფები შეტიტში, მე არ მითქვამს ტყუილი სამართლის წინაშე.

27. ო, ხერეფჰაერ, რომელიც იმყოფები ტესპეტ-ჯადში, მე არ ვყოფილვარ მამათმავალი.

28. ო. ტა-რედ, რომელიც განთიადისას ცხადლები, არაფერს მალავს ჩემი გული.

29. ო, კენმეჩ, რომელიც წყველიაღში ცხადლები, მე არასოდეს მიმიყენებია შეურაცხყოფა.

30. ო, ინბეტენეფ, რომელიც იმყოფები საისში, მე არ ვყოფილვარ უხეში.

31. ო, ნებ-ხერუ, რომელიც იმყოფები ნეჯევეტში, მე არ ვყოფილვარ სულსწრაფი.

32. ო, სერეხ, რომელიც იმყოფება უჯენეტში, მე არ დამირღვევია წესრიგი.

33. ო, ნებ-აცი, რომელიც იმყოფები სიუტში, მე არ მჩვევია ლაყბობა.

34. ო, ნეფერტუმო. რომელიც იმყოფები მემფისში, ჩემზე არ არის ცოდვა.

35. ო, ტემ-სენ, რომელიც იმყოფები ბუსირისში, მე არ მიმიყენებია შეურაცხყოფა მეფისათვის.

36. ო, ირემბიეფ, რომელიც იმყოფები ჩებუში, მე არ მჩვევია წყალში ცურვა⁷.

37. ო, ხეი, რომელიც იმყოფები კუნში, მე არ მიყვარდა ხმაური.

38. ო, უჯი-რეპიტ, რომელიც იმყოფები სამსჯავროზე, მე არ მჩვევია სიბილწე.

39. ო, ნეხებ-ნეჯერტ, რომელიც იმყოფები ნეფერში, მე არ მჩვევია ამპარტანობა.

40. ო, ნეხები-ხაუ, რომელიც იმყოფები ქალაქში, მე არასოდეს განმისხვევებია ჩემი თავი მეორისაგან.

41. ო, ჭესერ-ტეპ, ქვაბულის მეუფევე, მე არ მიწამებია ცილი ღმერთებისათვის.

42. ო, ინაფე, რომელიც იმყოფები უნარეტში, მე არ მიწამებია ცილი ჩემი ქალაქის ღმერთისათვის.

1 ორი სამართლის შეუფე ოსირისი.

2 ორმოცდარი დემონი, რომელიც ოსირისთან ერთად წყვეტს მიცვალებულის ბედს.

3 ორ სამართლის მხარე — მიცვალებულთა სამსჯავრო.

4 უნეფერი — ოსირისის ერთ-ერთი სახელი.

5 აქ და შემდეგ ჩამოთვლილია ოსირისის თანმხლები 42 დემონი, რომელთა წინაშე მიცვალებული უარყოფს თავის ცოდვებს, და მათი საკულტო ადგილები.

6 მიწი — ომის ღვთაება.

7 იგულისხმება წმინდა ხელოვნური ტბა.

მეფისის კოსმოგონიური სისტემა

ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფოს შექმნა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესის შედეგს წარმოადგენს. თანამედროვე ვარაუდით, თავდაპირველად ნილოსის აუზის მოსახლეობა გაერთიანდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოების ტიპის დასახლებებში, რომელთა თანდათანობით შერწყმით ჩამოყალიბდა ორი ეგვიპტური სახელმწიფო — ჩრდილოეთის და სამხრეთის. ეგვიპტის გაერთიანებამდე ორი საუკუნით ადრე უფრო აგრესიულმა სამხრეთის მეფეებმა დაიწყეს ბრძოლა ორი სამეფოს გაერთიანებისათვის. ეს ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდა და დაახლ. 3000 წ. ჩვ. წ.-მდე სამხრეთის სამეფო კარმა შეძლო მთელი ქვეყნის გაერთიანება.

მაგრამ ეგვიპტის ისტორიის შესწავლისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ერთიანი ეგვიპტე არ შექმნილა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის განადგურებისა და შთანთქმის შედეგად. გარკვეული სახით ეს იყო იმ ბუნებრივი პროცესის დაბოლოება. რომელმაც საბოლოოდ გააერთიანა ნილოსის დაბლობის ეთნიკურად და კულტურულად ერთფეროვანი და ერთნოვანი ეგვიპტური მოსახლეობა. ეს პროცესი ერთგვარად შეფერხდა ქვეყნის გეოგრაფიული პირობების გამო, რადგან ნილოსის დაბლობის ვიწრო და გრძელი ზოლი ხელს

არ უწყობდა აქტიურ კონტაქტებს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

ძალაუფლების ცენტრალიზაციის შემდეგ ძველი დასახლებების საზღვრები საფუძვლად დაედო ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებად — ნომებად — დაყოფას. მაგრამ ხანგრძლივი დამოუკიდებელი განვითარების პერიოდმა ნომებს თავისებური დალი დაასვა — თვითეული მათგანი გამოირჩეოდა თვითმყოფადობით, ჰყავდა საკუთარი მფარველი ღვთაება, მრავალი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული რელიგიური წარმოდგენები და კანონები. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ეგვიპტური პანთეონის საოცარი გადატვირთულობა და სიჭრელე.

ძველ ეგვიპტეში, ისე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, სახელმწიფო იდეოლოგია და რელიგია განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენდა, ამიტომ ყველა პოლიტიკური მოვლენა მაშინვე თეოლოგიურ ახსნასა და გამართლებას პოულობდა. ბუნებრივია, რომ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ მისი იდეოლოგიის აპოლოგეტები — ქურუმები — შეეცადნენ ლოკალური რელიგიების ერთგვარ მოწესრიგებას და მათ შეთანხმებას ერთიან ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიასთან. ამ მცდელობის შედეგად ეგვიპტეში წარმოიშვა რთული თეოლოგიური სისტემები. რომლებიც ქურუმების თეოლოგიური სპეკულაციების შედეგს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სისტემა გარკვეული პოლიტიკური ცვლილებების ფონზე იქმნებოდა და ერთგვარად მათ გამოძახილს წარმოადგენდა. გამონაკლისს არ შეადგენს არც მემფისის კოსმოგონიური სისტემა. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე, ძალაუფლების უმაღლესი ცენტრალიზაციის პერიოდებშიც კი, სახელმწიფო რელიგია არასოდეს გადაქცეულა დოგმად, ამდენად, არ არსებობდა პერეტყული წარმოდგენების ცნება, და სახელმწიფო კულტის ღვთაებებთან ერთად თვითეულ ნომში ეთაყვანებოდნენ საკუთარი „მიკროპანთეონის“ ღვთაებებს. ხოლო სახელმწიფო პანთეონის მთავარ ღვთაებად ყოველთვის ცხადდებოდა იმ ოჯახის მშობლიური ნომის ღვთაება, რომელიც სამეფო ძალაუფლებას იპყრობდა ხელთ.

ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ გამარჯვებულმა სამხრეთის ფარაონებმა ქვემო და ზემო სამეფოების საზღვარზე დააარსეს ერთიანი ეგვიპტის პირველი დედაქალაქი — მემფისი. ქვეყნის გაერთიანებამდე მემფისის რაიონს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ გააჩნდა და შესაბამისად მისი ლოკალური ღვთაება — პტახი — პატარა დასახლებული პუნქტის უმნიშვნელო ლოკალური ღვთაება იყო, რომელიც პირველი დინასტიიდან გადაიქცა დიდი

ცენტრალიზებული სახელმწიფოს დედაქალაქის მფარველ ღვთაებად. მიუხედავად „ბედის“ ასეთი მოულოდნელი შემოტრიალებისა, რთული იყო ქვეყნის ცენტრალურ ღვთაებად მისი გამოცხადება — იგი თავისი არსებითაც სხვა ღმერთებზე უფრო მაღლა უნდა მდგარიყო. ამისათვის პტახს ესაჭიროებოდა საკუთარი კოსმოგონიური სისტემა, რომელშიც დასაბუთებული იქნებოდა მისი შემომქმედი ბუნება. სწორედ ამ მიზნით, თანდათან მემფისის ქურუმების — ახალი ძალაუფლების რელიგიური აპოლოგეტების — მცდელობით იქმნება კოსმოგონიური სისტემა, რომლის თანახმად მისი ცენტრალური ღვთაება პტახი სამყაროს შემომქმედად არის გამოცხადებული. ამგვარად, სავსებით სამართლიანია კ. ზეტეს შენიშვნა, რომ მემფისის კოსმოგონიური სისტემა — ეს არის პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ახალი დოგმა. ამ კოსმოგონიურ სისტემაში მემფისის მფარველი ღვთაება გამოცხადებულია სამყაროს შემომქმედად, რომელმაც შექმნა სამყარო და სხვა ღვთაებები. აღსანიშნავია, რომ მის მიერ შექმნილად გამოცხადებულია ეგვიპტის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ღვთაებები — ნუნი (პირველყოფილი ქაოსი), ატუმი, რომელიც უფრო ძველი, პელიოპოლისის კოსმოგონიის თანახმად, სამყაროს შემომქმედად არის აღიარებული, ხორი — ერთ-ერთი უძველესი ღვთაება, რომლის გამოსახულება ყველაზე უფრო არქაულ კულტურულ ფენებშია აღმოჩენილი და რომელთან ჯერ კიდევ წინაღინასტიურ პერიოდში ხდება ფარაონის გაიგივება, და ა. შ. აღსანიშნავია აგრეთვე მეთოდი, რომელსაც „იყენებს“ პტახი სამყაროს შექმნისას: ყველაფერი (ღმერთები, ნივთები და სხვ.) თავდაპირველად არსებობს ღმერთის აზროვნებაში, და მის მიერ მათი სიტყვიერი დასახელებით მიიღწევა მათი მატერიალიზებული გავლენება. სწორედ ამის გამო მემფისის კოსმოგონიური სისტემა ითვლება ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სისტემად ეგვიპტის სხვა კოსმოგონიურ სისტემებს შორის. და ბევრი მეცნიერის აზრით წარმოადგენს მსოფლიოში უძველეს ცდას ადამიანის მიერ სამყაროს ფილოსოფიური გააზრებისა.

მემფისის კოსმოგონიის შექმნის დრო ზუსტად არ არის დადგენილი, იგი დაახლოებით თარიღდება ძველი სამეფოს ეპოქით (2780—2280 წწ. ჩვ. წ.-მდე, III—V დინასტიები). ტექსტის სირთულის გამო იგი ერთგვარად შემოკლებული მოგვყავს. ეგვიპტური ტექსტისათვის იხ. H. Junker, Die Götterlehre von Memphis (Schabaka—Inschrift), Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften, 1940.

ღმერთები, რომლებიც პტახმა წარმოშვა:
პტახი დიდ სამეფო ტახტზე.
პტახ-ნუნი — ატუმის მამა.

პტახ-ნუტი — დედა, ატუმის მშობელი.

დიდი პტახი — ენეადის გული¹ და ენაა...

წარმოიშვა გულით და ენით ატუმის სახე. დიადია პტახი, რომელიც ქმნის ღმერთებს და მათ კას² ამ ენით, ამ გულით, წარმოიშვა ხორი მისგან — პტახისაგან. წარმოიშვა თოტი მისგან — პტახისაგან. გული და ენა ბატონობენ ყველაფერზე. რადგან იგი (პტახი) არის ყოველ სხეულში, ყოველ ღვთაებაში, ყოველ ადამიანში, ყოველ მწერში. რომლებიც ცოცხლობენ მისი იდეით და ბრძანებით³. ... მისგან წარმოიშვა ენეადა⁴... იგი (პტახი) — ყოველი გადაწყვეტილების მიზეზს წარმოადგენს... ენა იმეორებს გულის აზრს. ასე შეიქმნა ყველა ღვთაება და დასრულდა მისი ენეადა... ასე მიეცა სიცოცხლე კეთილს და მიეზღო სიკვდილი დამნაშავეს. ასე შეიქმნა სამუშაოები და ხელოვნება, ხელის შრომა. ფეხის სიარული... პტახის შესახებ ამბობენ: „ყოვლის შემქმნელი, რომელმაც დასაბამი მისცა ღმერთებს ... ყოველი მისგან წარმოიშვა: მსხვერპლშესაწირავი და საკვები, ღმერთების მსხვერპლშესაწირავი და ყოველი სიკეთე. ასე დადგინდა, რომ იგი (პტახი) ყველა ღვთაებაზე უფრო ძლევა მოსილია. ასე დაკმაყოფილდა პტახი, მას შემდეგ, რაც შექმნა ყოველი ნივთი და ყოველი ღვთაებრივი სიტყვა. მან შექმნა ღმერთები. შექმნა ქალაქები, დააარსა ნომები, გაანაწილა ღმერთები თავიანთ საკულტო ადგილებში, დააწესა მათი შესაწირავი. დააარსა მათი ტაძრები, შექმნა მათი სხეულები მათი სუარვილის შესაბამისად. ასე შეუერთდა ღმერთები თავიანთ სხეულებს ყოველგვარი ქვისაგან. ყოველგვარი ხისაგან, ყოველგვარი თიხისაგან ... ასე გააერთიანა მან ყველა ღმერთი და მათი კა ... პტახის დიდი ტახტი ახარებს ღმერთებს. რომლებიც იმყოფებიან პტახის — ყოველი ცოცხალის მეუფის და ორივე ქვეყნის⁵ შემქმნელის — ტაძარში.

1 გული ძველი ეგვიპტელებისათვის აზროვნების წყაროს წარმოადგენდა, ამიტომ ეს სტრიქონი და შემდგომ, სადაც აქ „გული“ მოიხსენიება, უნდა გავიგოთ როგორც „აზრი და ენა“.

2 კა — ადამიანისა და ღვთაების სულიერი ორეული.

3 ე. ი. წარმოიშვენ მისი იდეის სიტყვიერი წარმოქმნით. მეცნიერებაში ხშირად ატარებენ პარალელს მემფისის კოსმოგონიაში აღწერილ და ბიბლიური სამყაროს შექმნის „მეთოდებს“ შორის.

4 ეგვიპტეში უძველესი კოსმოგონიური სისტემა შეიქმნა ჰელიოპოლისში. იგი ჰელიოპოლისის ცხრა ცენტრალურ ღვთაებას აერთიანებს და ამიტომ მისი აღმნიშვნელი ეგვიპტური სიტყვა „პესეჯეტ“ ითარგმნება, როგორც ენეადა. ჰელიოპოლისის კოსმოგონიის ტრადიციაზე თითქმის ყველა ეგვიპტური სისტემა ცხრა ღმერთის გაერთიანებით იქმნებოდა და მათ „ენეადებს“ უწოდებდნენ. გამონაკლისს არ შეადგენს არც მემფისის კოსმოგონია. თანამედროვე აზრით, ციფრი „სამი“ იმდროინდელი ადამიანისათვის წარმოადგენდა პირველ ციფრს, რო-

მელოც სიმრავლეს გამოხატავდა, ხოლო ცხრა — ე. ი. სამჯერ სამი — მრავალჯერ მრავალს, და შესაბამისად ცხრა ღმერთისაგან შემდგარი კოსმოგონია მოწესრიგებული სიმრავლის სიმბოლო იყო.

5 ორივე ქვეყანა — ეგვიპტე.

IV. ლიტერატურული შინაარსის ტექსტები

ზღაპარი ჯადოსნური კუნძულის შესახებ

ეს ზღაპარი არის სათავგადასავლო ჟანრის მსოფლიოში უძველესი ნიმუში. თარიღდება XII—XIII დინასტიების ეპოქით (ჩვ. წ. — მდე XX—XXIII სს.). ტექსტის ერთადერთი ეგზემპლარი აღმოაჩინა ვ. გოლენიშჩევემა ერმიტაჟის არქივში. ზღაპრის დასაწყისი დაკარგულია, მაგრამ საერთო შინაარსიდან გამომდინარე, ხერხდება მისი, რეკონსტრუქცია: ეგვიპტეში დაბრუნდა ექსპედიცია, რომელმაც ვერ შეძლო დავალების შესრულება. მის ხელმძღვანელს ეშინია წარსდგეს ფარაონის წინაშე. მას ამშვიდებს მეორე ზღვაოსანი, რომელიც მოუთხრობს თავისი წარსულიდან ისტორიას გემის დაღუპვის შესახებ.

ეგვიპტური ტექსტი: W Golénischeff, Les Papyrus hieratiques n 115, 116A et 116B de l'Ermitage Imperial àSt.—Petersbourg, 1913.

თანამეგზურმა მომიგო: „დაიწყნარე გული, უფროსო. მოვალწიეთ სამეფო სახლს, ჩაშვებულა ღუზა, გემი მიბმულია ნაპირზე თოკით, ყველა მადლობას უხდის ღმერთს, ყველა ერთმანეთს ეხვევა. ხალხი მშვიდობით დაბრუნდა. ჩვენს რიგებში არ არის დანაკარგი. ჩვენ მივალწიეთ ვავატის ქვეყანას, ჩავუარეთ კუნძულ სენმუტს. დავბრუნდით მშვიდობით, ჩამოვედით ჩვენს ქვეყანაში. დამიჯერე, უფროსო: განიბანე, დაისხი ხელებზე წყალი და როცა შეგეკითხებიან, უპასუხე. ფარაონთან საუბრისას აიყვანე თავი ხელში, უპასუხე, როგორც შენ შეგფერის, არ შეფერხდე. ადამიანის შველა მის ნებას შეუძლია. სიტყვა ბადებს განწყობას. თუმცა მოიქეცი, როგორც ამას გული გკარნახობს. სჯობს, მოგიყვე ჩემი თავგადასავალი. მეც ვავემგზავრე სამეფო საბადოებისაკენ. გემზე იყო ასი რჩეული მეზღვაური ეგვიპტის ქვეყნიდან. უცქერენ ისინი ცას თუ უცქერენ ისინი მიწას — მათი გული უფრო გულადია, ვიდრე ლომისა. ისინი წინასწარმეტყველებენ ქარიშხალს მის დაწყებამდე. ქარიშხალი ამოვარდა, როცა ჩვენ შუაგულ ზღვაში ვიყავით. ჩვენმა იალქნებიანმა გემმა ვერ მიადწია ხმელეთს. ქარიშხალი ძლიერდებოდა. ტალღები რვა წყართის სიმაღლისა იყო. ანდა ჩავარდა ზღვაში, გემი დაიდუბა, მეზღვაურთაგან არავინ გადარჩა. მხოლოდ მე გაპრიყეს ტალღებმა კუნძულზე.

სამი დღე მხოლოდ ჩემი გული იყო ჩემი მეგობარი. მე ვიწეკი ბევრის ქვეშ, ჩრდილით მოცული. შემდეგ შეეძელი ფეხზე ადგომა საკმლის მოსაძებნად. და მე ვიპოვე ლელი, ყურძენი, სხვადასხვანაირი შესანიშნავი ბოსტნეული, სიკომორის ნაყოფი, კიტრი, ისეთი მშვენიერი, რომ აღამიანის მოწეულს გავდა; თევზი და ფრინველი. არ არსებობს სანოვაგე, რომელიც იქ არ იყო. მე დაენაყრდი, შემდეგ მოვიწიე ცეცხლი და ღმერთებს მსხვერპლი შეეწირე. უეცრად ქუხილი მომესმა. მეგონა, ზღვის ტალღების ხმაური იყო. ხეები ჰრიჭინებდა, მიწა თრთოდა.

როცა თვალები გავახილე, დავინახე, რომ დიდი გველეშაპი მიაზლოვდებოდა. მისი სიგრძე ოცდაათი წყრთა იყო, წვერი — ორი წყრთა, მისი ქიცვები ოქროსი იყო, წარბები — ლაზურიტის. მე განვერთხე მიწაზე მის წინაშე. მან მომმართა: „საიდან გაჩნდი აქ, საბრალოვ? ვინ მოგიყვანა? თუ დააყოვნებ და არ მეტყვი მის სახელს. შენ ფერფლად იქცევი, და ვერავინ გიხილავს“. მე ვუპასუხე: „მე არ მესმის შენი ლაპარაკი. მე გართამული ვარ მიწაზე შენს წინაშე“. შიშისაგან გონება დაეკარგე. მაშინ გველეშაპმა ამიტაცა პირით და წამილო თავის საცხოვრებელში. ისევ დამსვა მიწაზე. მე საღ-სალამათი ვიყავი, არც ერთი ჩემი ასო არ მოწყვეტია სხეულს. ისევ განვერთხე მის წინაშე. მან ისევ მკითხა: „ვინ მოგიყვანა აქ, საბრალოვ? ვინ მოგიყვანა ამ კუნძულზე შუაგულ ზღვაში, ამ კუნძულზე, რომლის ნაპირები — ზღვის ტალღებია?“ მე ასე მივუგე მას: „მე გაემგზავრე სამეფო საბადოებისაკენ. ჩვენი გემის სიგრძე ასი წყრთა იყო, სიგანე — ორმოცი. გემს მართავდა ასი რჩეული მეზღვაური ეგვიპტის ქვეყნიდან. უტკერენ ისინი ზეცას თუ უტკერენ ისინი მიწას — მათი გულები უფრო გულადია, ვიდრე ლომისა. ისინი წინასწარმეტყველებენ ქარიშხალს მის დაწყებამდე. ერთი მეორეზე გულადია და არ არის მათ შორის უღირსი. როცა შუაგულ ზღვაში ვიყავით, ქარიშხალი ამოვარდა, ჩვენ ვერ მოვასწარიტ ხმელეთის მიღწევა. ქარიშხალი სულ ძლიერდებოდა, ტალღების სიმალლემ რვა წყრთას მიაღწია. ანდა ჩაეარდა ზღვაში, გემი დაიღუპა, არავინ გადარჩა ჩემს მეტი. ზღვის ტალღებმა მე ამ კუნძულზე გამომრიყა“. გველეშაპმა მითხრა: „ნუ გეშინია, საბრალოვ, ჩემი. ღმერთმა გაჩუქა სიცოცხლე, მან ამ მოჩვენების კუნძულზე გამოგრიყა. არ არსებობს რაიმე ნივთი, რომელიც ამ კუნძულზე არ არის. იგი სავსეა ყოველგვარი სიმდიდრით. შენ გაატარებ ამ კუნძულზე ოთხ თვეს: ოთხი თვის შემდეგ სამეფო სახლის გემი მოადგება ნაპირს. მისი მეზღვაურები — შენი ნაცნობები იქნებიან. მათთან ერთად მათი გემით შენ დაბრუნდები სამშობლოში და სიცოცხლეს შენს ქალაქში დაასრულებ. მთხრობელს ახარებს აღრე მომხდარი უბედურების შესახებ თხრობა, რადგან

თხრობის დროს უბედურება უკვე წარსულია. მე მოგიტხრობ იმის შესახებ, რაც ამ კუნძულზე მოხდა. მე ჩემ ძმებთან და შვილებთან ერთად ვცხოვრობდი. ჩვენ სამოცდათხუთმეტი გველეშაპი ვიყავით. კიდევ აქ იყო ჩემი პატარა ქალიშვილი, რომელიც ლოცვით მოვიპოვე. ჩამოვარდა ვარსკვლავი და ყველანი დაწვა. მე სიკვდილი მინდოდა, როცა ვნახე მათი დამწვარი სხეულები. თუ შენ ძლიერი ხარ, იყავი შენი გულის მბრძანებელი. შენ კიდევ იხილავ შენს შვილებს, ეამბორები ცოლს, ნახავ შენს სახლს. ეს ყველაზე უფრო დიდი ბედნიერებაა. შენ კვლავ დაუბრუნდები სამეფო სახლს და იცხოვრებ მათ შორის, ვინც შენი მსგავსია“. მე კვლავ განვეერთხე გველეშაპის წინაშე და ვუთხარი შემდეგი სიტყვები: „მე შენს შესახებ ჩემს მეფეს მოვუთხრობ. ცნობილი გახდეს შენი სიდიადე. ჩემი მცდელობით შენ მეფე ძვირფას სანელებლებს გამოგიგზავნის. მე მოვუთხრობ მას აქ მომხდარის შესახებ და შენს სიდიადეს, თაყვანებიან ქვეყნის ბრძენები. მე შენ შემოგწირავ ხარს, მე შენ შემოგწირავ ფრინველს. ჩემი მცდელობით შენთან ჩამოვა გემები, დატვირთული ყველაფერი საუკეთესოთი, რაც კი ეგვიპტეში მოიპოვება, როგორც ღვთაებასთან, რომელსაც ხალხისათვის უნდა ყოველი სიკეთე, რომელიც ცხოვრობს შორეულ, ადამიანისათვის უცნობ მხარეში“. გველეშაპს გაეცინა: „შენ არა ხარ მდიდარი, შენ არ გაჩნდი საკმეველის მეუფედ. მე — პუნტის (თანამ. სომალის—მ. ხ.) მეუფე ვარ და მთელი მისი საკმეველი ჩემია. ყველაფრით მდიდარია ეს კუნძული. შენ დატოვებ ამ კუნძულს და ვედარასოდეს იხილავ მას, რადგან იგი ზღვის ტალღებად გადაიქცევა“. გემი, რომლის შესახებ გველეშაპმა მომითხრო, მოადგა კუნძულს. მე მაღალ ხეზე ავძვერი და დავინახე ჩემი ნაცნობები სამეფო სახლიდან. მე გავემართე გველეშაპისაკენ, რათა მომეთხრო მისთვის ნახული, მაგრამ მისთვის უკვე ყველაფერი ცნობილი იყო. მან ასე მომმართა: „მშვიდობით, მშვიდობით, პატარავ, შენს სახლში შენ იხილავ შვილებს და განადიდებ ჩემს სახელს შენს ქალაქში. აი, რა მინდა შენგან“. მან მაჩუქა უამრავი ნივთები: მირა, იბი, ხეყენუ, ნუდენბა, ხესანტი, (ნელსაცხებლები—მ. ხ.), შავი საღებავი თვალების შესაღებად, ყირაფის კუდები, საკმეველი, სპილოს ძვალი, ძვირფასი ძაღლები, მიმუნები და მრავალი ძვირფასი რამ. მე დავტვირთე ყველა ამ ნივთით გემი და კვლავ განვეერთხე მის წინაშე. მაშინ გველეშაპმა მითხრა: „შენ სამეფო სახლს ორი თვის შემდეგ მიადღწევ. შენ ჩაეხუტები შვილებს და ბედნიერი იქნები სამეფო სახლში, და იქ დაასრულებ შენს ღლებს“. მე გავემართე ნაპირისაკენ, სადაც გემი მელოდებოდა; ჩვენ დავიძარიტ ჩრდილოეთისაკენ. მივალწიეთ სამეფო სახლს ორი თვის შემდეგ, როგორც ეს გველეშაპმა აღმითქვა. მე წარვსდექი მეფის წინაშე და გადავეცი მას საჩუქრები გველეშაპის

კუნძულიდან. მეფემ კეთილად მახსენა ბრძენთა წინაშე; მე მეფის თანმხლების წოდება მომენიჭა. აი, ასე ბედნიერად დავბრუნდი მას შემდგომ, რაც გადამხდა ამდენი მოულოდნელი თავგადასავალი. და აი, ახლა წენს წინაშე ვარ“. მაგრამ მან მომიგო: „შენი მოთხოვნა მე ვერ დამაწყნარებს. ვინ ასმევს ფრინველს წყალს განთიადისას, რომ შემდეგ დილას მას თავი წააცალოს?“.

ორი ძმა

თარიღდება დაახლოებით XIX დინასტიის ეპოქით (ჩვ. წ.-მდე XIII ს. დასასრული). თავის დროზე ამ ზღაპრის პუბლიკაციამ უდიდესი სენსაცია გამოიწვია. XIX საუკუნის დასასრულს მდიდარმა ინგლისელმა კოლექციონერმა ლედი დ'ორბინიმ პარიზის ეგვიპტოლოგიურ ინსტიტუტს სათარგმნელად გადასცა ქაიროს ბაზარზე შემთხვევით ნაყიდი პაპირუსი, რომელიც მართლაც რომ უძვირფასესი მონაპოვარი აღმოჩნდა — ეს იყო იმ დროისათვის აღმოჩენილთაგან პირველი ეგვიპტური პაპირუსი, რომელმაც ძველი ეგვიპტის ლიტერატურის ნიმუში შემოგვინახა, ამიტომ მეცნიერებაში ფართოდ იყო ვავრცელებული აზრი, რომ ამ უდიდეს ცივილიზაციას არ გააჩნდა საკუთარი ლიტერატურა. „ორი ძმის“ ზღაპარი ფოლკლორულად ყველაზე მდიდარია ეგვიპტურ ზღაპრებს შორის. მრავალი ფოლკლორული მოტივი, შემდგომში ფართოდ ვავრცელებული არა მარტო ხმელშათუა ზღვის აუზში, არამედ მთელს ევროპაში, პირველად აქ არის ფიქსირებული. ეგვიპტური ზღაპრების ცნობილი სპეციალისტი ე. ბრუნერ-ტრაუტის აზრით, გრიმების ზღაპარი ორი ძმის შესახებ, რომლის სიუჟეტიც უძველესია მათ ზღაპრებს შორის, უდავოდ ეგვიპტური ზღაპრის მოტივებთან არის გადახლართული.

ეგვიპტური ტექსტი: A. Gardiner, *The Tale of the Two Brothers*, in *Bibliotheca Aegyptiaca I (Late gyptian Stories)*, Bruxelles, 1932.

იყო ორი ძმა, ერთი დედის და ერთი მამის შობილი. ინეპუ იყო უფროსი ძმის სახელი, უმცროსის — ბატა. ინეპუს სახლი ჰქონდა და ჰყავდა ცოლი, შვილს მაგივრობას კი ბატა უწევდა: იგი ამოვებდა ინეპუს საქონელს, ხნავდა და თესდა მის მიწებებზე. იწვედა მის მოსავალს. უმცროსი ძმა საოცრად ლამაზი შესახედაობისა იყო, არ იყო მისი მსგავსი მთელს ქვეყანაში, და მას ღმერთების ძალა ჰქონდა. ბატა ყოველ დილას გადიოდა მიწდორში საქონელთან ერთად, საღამოს კი ბრუნდებოდა, დატვირთული რძით და ყოველგვარი მშვენიერი მონაწევით, რითაც კი მიწდვრებს შეუძლია ადამიანის

დასაჩუქრება. ყველაფერს აწყობდა თავისი ძმის წინაშე, რომელიც ცოლის გვერდით იჯდა. შემდეგ იგი ჰამდა და სვამდა მათთან ერთად, ღამეს კი ბოსელში ატარებდა საქონელთან ერთად. როცა მიწა ნათთებოდა და შემდეგი დღე დგებოდა, ბატა აზნალებდა საქმელს თავისი ძმისათვის, ინეპუ კი მას პურებს აძლევდა მინდორში წასაღებად და ბატა ისევ მიერეკებოდა საქონელს. ცხოველები თვითონ ეუბნებოდნენ მას. თუ რომელ საძოვარზე იყო უკეთესი ბალახი, ბატა მათ ყურს უგდებდა და მიჰყავდა იმ საძოვარებზე, რომლებიც თვითონ საქონელს მოსწონდა. ამიტომ საქონელი, რომელსაც ბატა აძოვებდა, სუქდებოდა და კარგად მრავლდებოდა. (ერთხელ), როცა ხენის ღრო დადგა, ინეპუმ უთხრა ბატას: გააზადე ხარები. ჩვენ ხენას ვიწყებთ, იმიტომ, რომ გადმოსული წყლები დაუბრუნდა ნილოსს, მინდორი გააზადებულია ხენისათვის. შენც მოხვალ მინდორში. მოიტან დასათეს მარცვალს, რადგან ჩვენ ხვალ დილას ვიწყებთ ხენას. უმცროსმა ძმამ შეასრულა უფროსი ძმის ყველა დავალება და როცა მიწა განათდა და დილა გათენდა, ორივე ძმა გაემართა მინდვრისაკენ.

მაგრამ გავიდა რამოდენიმე დღე, და ძმებმა შეწყვიტეს თესვა — მათ გაუთავდათ დასათესი მარცვალი. მაშინ უფროსმა ძმამ უმცროსი სოფელში გააგზავნა: „იჩქარე, მოიტანე მარცვალი“. როცა ბატა სახლში მივიდა, უფროსი ძმის ცოლი თმებს ივარცხნიდა. ბატამ უთხრა მას: „ადექი, მომიტანე მარცვალი, მე მეჩქარება, მინდორში ძმა მელოდება“. ძმის ცოლმა კი მიუგო: „გადი. გახსენი ბელელია შენ თვითონ აილე, რამდენი მარცვალიც გინდა, მე არ მინდა თმის ვარცხნის შეწყვეტა“. მაშინ ბატამ აიღო დიდი ქურქელი, (რადგან) მას ბევრი მარცვლის წაღება უნდოდა, დაიჭვირთა ხორბლით და ჰვავით და გამოვიდა ბელლიდან. მაშინ ქალმა უთხრა: „რამდენი მარცვალი გაქვს მხარზე შედგმული?“ ბატამ მიუგო: „სამი ხარი! ხორბალი, ორი ხარი ჰვავი, სულ ხუთი ხარი“. ქალმა შესძახა: „ბევრი ღონეა შენში. მე შენს მშვენიერებას ყოველდღე ვუყურებ“. და მან მოისურვა ბატას გაცნობოდა, როგორც მამაკაცს. იგი მოეხვია ბატას და უთხრა მას: „წამოდი, წამოვწვეთ ერთად ცოტა ხნით. შენ მოგებული დარჩები — მე ლამაზ ტანსაცმელს გაგიშვადებ“. ჰაბუკი გააფრთხულ ავაზას დაემსგავსა ამ სიტყვების გამო, რომლებიც ქალმწარმოსთქვა. მან თქვა: „როგორ ლაპარაკობ ასე? შენ ხომ ჩემთვის დედის მაგიერი ხარ, შენი ქმარი კი მამის მაგიერია ჩემთვის, ის ხომ ჩემი ძმაა, მან მე გამზარდა. შენ საზიზღარი სიტყვები წარმოთქვამ არასოდეს გაიმეორო ისინი, და მეც დავხურავ პირს, რომ ამის შესახებ არავინ გაიგოს“.

მან ასწია თავისი ტვირთი და გაემართა მინდვრისაკენ, და ძმე-
ბი ისევ შეუდგნენ თესვას. როცა დაბნელდა, უფროსი ძმა სახლში
დაბრუნდა, უმცროსი კი საქონელს გაუძღვა წინ. უფროსი ძმის
ცოლი შიშით იყო შეპყრობილი იმ სიტყვების გამო, რომლებიც მან
ბატას უთხრა. აიღო მან ქონი და დაიზილა ტანი, თითქოს იარების
მოსაშუშებლად, რომ ეთქვა ქმრისათვის: „ეს შენმა ძმამ გამლახა“.
ქმარი საღამოს დაბრუნდა, შევიდა სახლში და დაინახა, რომ მისი
ცოლი წევს ლოგინში და კვნისის. არ დაუსხა ზელებზე წყალი. რო-
გორც ამას ყოველდღე აკეთებდა, არ დაუნთო სინათლე, და სახლი
სიბნელით იყო მოცული. ქმარმა ჰკითხა: „ვინ გაწყენინა. ვინ გაბედა
შენი წყენინება?“ „არაფერ. შენი უმცროსი ძმის გარდა. მოვიდა ბატა
მინდვრიდან, მარცვლის წასაღებად, დამიხელთა მარტო და თქვა:
„წამოდი, წამოვწვეთ ცოტა ხნით“, ასე თქვა ბატამ. მაგრამ მე არცკი
მოვუხმინე მას. „განა მე შენი დედა არა ვარ, განა შენი ძმა შენი
მამის მაგიერი არ არის?“ — ასე ვუთხარი ბატას. ის შეშინდა და
მცემა, რომ მე შენთვის არაფერი მომეთხრო. თუ მას ცოცხალს და-
ტოვებ, მე მოვკვდები. რადგან მე ვიტანჯები იმ ბოროტი ზრახვების
გამო, რომლებიც მას გუშინ აღძრა“. მაშინ უფროსი ძმა განრისხდა,
როგორც ავაზა. მან გალესა დიდი დანა და დაიძალა ბოსლის კარე-
ბის უკან, რომ მოეკლა უმცროსი ძმა, როცა ის საღამოს დაბრუნდე-
ზოდა და ნახირს ბოსელში შეიყვანდა. როცა მზე ჩავიდა, დაბრუნდა
უმცროსი ძმა, დატვირთული, როგორც ყოველთვის. რძით და სხვა-
დასხვა ბალახით. პირველი ძროხა გაემართა ბოსლისაკენ და უთხრა
ბატას: „აი, შენი უფროსი ძმა დგას დანით შენს მოსაკლავად. გაე-
ქეცი მას“. ბატამ გაიგო მისი ნათქვამი. მეორე ძროხა გაემართა ბო-
სლისაკენ და იგივე გაიმეორა. მაშინ შეიხედა ბატამ ბოსლის კარების
ქვეშ, და დაინახა ძმა, რომელიც იდგა დიდი დანით ხელში. ბატამ
დადო თავისი ტვირთი მიწაზე და გაიქცა. უფროსი ძმა კი გამოეცი-
და დანით ხელში. მაშინ ბატამ შევლა სთხოვა რა-ხორახტის: „დიდო
ღვთაებავ, კეთილო, შენ ხარ სიშარტლისა და სიცრუის განმსჯელი“,
და რამ ესმინა მისი ვედრება. მან ბრძანა, და გაჩნდა დიდი წყალი
ბატას და ინეპუს შორის, საესე ნიანგებით, და ერთი ძმა ერთ ნა-
პირზე აღმოჩნდა, მეორე ძმა — სხვა ნაპირზე. უფროსმა ძმამ, გან-
რისხებულმა, რომ ვერ შეძლო ბატას მოკვლა. ხელი დაირტყა. ბა-
ტამ კი მიმართა მას: „დარჩი, მაგ ნაპირზე, სანამ მიწა განათდებოდეს.
ხოლო როცა მზე ამოვა, მე სამართალს ვეძიებ მისი სახის წინაშე,
და დიდი ღვთაება თვითელს მიუზღავს დანაშაულის შესაბამისად —
მე არ დაერჩები შენთან, მე არ ვიქნები იქ, სადაც შენ იქნები. მე
ყვდარის ველისაკენ გავემართები“.

და აი, მიწა განათდა, დადგა შემდეგო დღე, აღწევდა რა-ხორახ-ტი, და ძმები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. მაშინ უმცროსმა წარმოთქვა: „რას ნიშნავს ეს ყველაფერი? შენ გამომეკიდე, რათა ვერაგულად მოგეკალი. შენ არც კი მოისმინე ჩემი სიტყვები. მე ხომ შენი უმცროსი ძმა ვარ, შენ ხომ ჩემთვის მამის მაგიერ ხარ. შენი ცოლი ხომ დედის მაგიერია ჩემთვის. ეს ასეა ჭეშმარიტად. როცა შენ მარცვლეულის მოსატანად გამაგზავნე, შენმა ცოლმა მითხრა: „წამოდი, წამოვწვეთ ცოტა ხნით“, მაგრამ ნახე, როგორ შემოატრიალა მან ყველაფერი!“ ამის შემდეგ მან უამბო ძმას ყოველი, რაც მოხდა. (შემდეგ) მან დაიფიცა რა-ხორახტის სახელი და წამოიძახა: „რას ნიშნავს ეს ყველაფერი, შენ მომდეგ მოსაყლავად სიძვის დიაცის გულსათვის“. და აიღო ბატამ ლერწმის ბასრი ფოთოლი. მოიკვეთა ასო და გადააგდო წყალში, სადაც იგი თევზმა შეჭამა. და დაუძღურდა იგი, და გახდა უბედური, უფროს ძმას კი გული უღონდებოდა და ხმაბლდა მოთქვამდა, მაგრამ არ შეეძლო მას. უმცროს ძმასთან მისვლა, (რადგან) მათ ჰყოფდა წყალი, ნიანგებით სახე. უმცროსმა ძმამ მიმართა მას: „რატომ იფიქრე მხოლოდ ცუდზე, რატომ არ მოგაგონდა სიკეთე, რომელიც შე შენთვის მქონდა გაკეთებული? წადი, დაბრუნდი სახლში, და თავად მწყემსე შენი ნახირი, რადგან მე აღარ ვიქნები იქ, სადაც შენ იქნები, მე კედარის ველისაკენ გავემართები. მაგრამ შენ ერთ რამეს გააკეთებ ჩემი გულსათვის: შენ ჩემს საშველად გამოემართები, თუ გაიგებ, რომ ჰე გასაჰირი ვარ. მე ამოვიგლეჯ გულს და მას კედარის კენწეროზე მივაშვებ. თუ კედარს მოჩეხენ, შენ მოხვალ ჩემი გულის საძოვებლად. და თუ შვიდი წელი გავა ჩემს ძებნაში — არ დაეცე სულთ. როცა შენ ჩემს გულს იპოვნე, მოათავსე იგი ანკარა წყლით საესე ჭურჭელში, მაშინ მე გავცოცხლდები და შურს ვიძიებ მასზე. ვინც ბოროტებას ჩაიდენს ჩემს წინააღმდეგ. შენ გაიგებ ჩემი უბედურების შესახებ, თუ ლუდი, რომელსაც ხელში მოგაწოდებენ, ჭურჭლიდან გადმოიღვრება. მაშინ არ დაყოვნდე“. და ბატა გაემართა კედარის ველისაკენ, უფროსი ძმა კი დაბრუნდა სახლში, მოკლა თავისი ცოლი და გადაუგდო იგი ძაღლებს, შემდეგ კი დაჯდა ძმის სატირლად. განვლო მრავალმა დღემ, უმცროსი ძმა კი კედარის ველზე იყო, მარტოდმარტო. დღე ნადირობდა, სადამოს კი იძინებდა იმ კედარის ქვეშ, რომლის კენწეროზე მისი გული იყო მიმაგრებული.

განვლო მრავალმა დღემ, და მან საუკეთესო ხელით ააგო კედარის ველზე სასახლე, მორთო და მოკაზმა საუკეთესო ნივთებით, და ისურვა, ოჯახი ჰყოლოდა. გამოვიდა იგი სასახლიდან, და შეხვდა ენედას³. ენეადის ღმერთებმა მიმართეს ბატას: „ბატავ, შენ აქ სიმარტოვეში ცხოვრობ, მას მერე რაც დატოვე მშობლიური სოფელი

შენი უფროსი ძმის, ინეპუს ცოლის გამო. მაგრამ მოკლულია ქალი-შენთვის "შური იძიეს". შემდეგ რა-ხორახატიმ მიმართა ხნუმს⁴: „შე-კქმენი ბატასათვის იმეულლე, რომ არ იყოს იგი სიმარტოვეში“. და ხნუმმა შექმნა მისთვის მეულლე. სხეულით და სახით უფრო მშვე-ნიერი იყო იგი, ვიდრე რომელიმე ქალი მთელს ქვეყანაში — მასში-ხომ ყველა ღვთაების თესლი იყო ჩასახული. მოვიდა შვიდი ხატხო-რი⁵, რათა შეეხედათ მისთვის, და შვიდივეს ერთად აღმოხდა: „იგო მახვილით მოკვდება“. ბატამ მიმართა თავის მეულლეს: „მე მოხი-ბლული ვარ შენი მშვენიერებით, ქვეყანას მიჩვენებინა, მაგრამ ჩვენ და-ძმასავით ვიცხოვრებთ, რადგან მე ასო არა მაქვს“. ბატას მეულლე მის სასახლეში დასახლდა. დღე ბატა ნადირობდა, საღამოს ნანადირევი მოჰქონდა სახლში და მეულლეს წინ უწყობდა. ბატამ ლთხრა მას: „არ გახვიდე გარეთ, თორემ თუ ზღვამ მოგიტაცა, შენ ვერ გაუწევ მას წინააღმდეგობას, რადგან შენ ქალი ხარ. ჩემი გული ყედარის კენწეროზეა მიმაგრებული. თუ მას ვინმე იპოვის, მე შევე-ბრძოლები მას“. და ბატამ მეულლეს ყველაფერი მოუყვა, თავიდან ბოლომდე.

განვლო მრავალმა დღემ. ერთ დღეს ბატა სანადიროდ წავიდა, როგორც ყოველთვის. ქალი გამოვიდა სახლიდან და დაიწყა კედა-რის ქვეშ სეირნობა. დაინახა იგი ზღვამ და დაადევნა თავისი ტალ-ღები. ქალმა მოასწრო გაქცევა და სახლში დაიშალა. ზღვა კი შეე-ვედრა კედარს: „დაიჭირე იგი ჩემთვის“. კედარმა ქალის თმის ლო-კონი მოიპოვა და გადაუგდო იგი ზღვას, ზღვამ აიტაცა თმა, ეგვიპტი-საკენ წაიღო და ნაპირზე გარიყა იქ, სადაც ფარაონის⁶ — ცოცხო-ბდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი⁷ — მრეცხავეები მის სამოსელს რეცხავდნენ. თმის სურნელებამ გაჟღინთა ფარაონის სამოსი — ცო-ცხოვდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — და მისი უდიდებულე-სობა — ცოცხოვდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — განრისხდა მრეცხავეებზე: „ფარაონის ტანისამოსი უცხო ნელსაცხებლებით არის გაჟღინთილი“. ასე ბრაზდებოდა იგი ყოველდღე, და მრეცხავეები საგონებელში იყვნენ ჩაყარნილი. ფარაონის — ცოცხოვდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — მრეცხავეების უფროსი გავიდა ნაპირზე, მისი გული დამძიმებული იყო იმის გამო, რომ მას ყოველდღე კიც-ხავდა ფარაონი — ცოცხოვდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი. შე-მთხვევით დაინახა წყალში თმის ლოკონი და გააგზავნა მრეცხავი მის ამოსატანად. მისი არომატი მათრობელი იყო, და მრეცხავეების უფ-როსმა იგი ფარაონს წაუღო — ცოცხოვდეს იგი უვნებელი და ჯან-მრთელი. ფარაონმა — ცოცხოვდეს იგი უვნებელი და ჯანმრთე-ლი — გამოიძახა ბრძენთა საბჭო. მათმა უფროსმა ასე მიმართა ფა-რაონს — ცოცხოვდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი: „ეს არის

თმები მშვენიერი ასულის, რომელშიც ყველა ღმერთის თესლია ჩასახული. გააგზავნე ხალხი კედარის ველზე, რომ იგი შენ მოგგვარონ“. მაშინ მისმა უდიდებულესობამ — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჭანმრთელი — ბრძანა: „მშვენიერია თქვენი სიტყვები“.

განვლო მრავალმა დღემ, და მის უდიდებულესობას — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჭანმრთელი — მოახსენეს: „არ დაბრუნდნენ კედარის ველზე წარგზავნილები. ყველანი ბატამ დახოცა, ერთის გარდა, რომ იგი დაბრუნებულყო და ამბავი მოეთხრო“. მაშინ მისმა უდიდებულესობამ — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჭანმრთელი — ბრძანა გაეგზავნათ კედარის ველზე დიდი ჯარი, რომელსაც გააყოლა ქალი. ამ უკანასკნელს კი გადასცა სხვადასხვა საუკეთესო სამკაულები. და დაბრუნდა ქალი ეგვიპტეში ბატას მეუღლესთან ერთად. და იყო ზეიმი მთელს ქვეყანაში. და მისმა უდიდებულესობამ — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჭანმრთელი — ფრიად შეიყვარა ქალი და უწოდა მას „დიდი“ და „უსაყვარლესი“ და უბრძანა მოეთხრო თავის მეუღლეზე და მიუგო მან მის უდიდებულესობას — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჭანმრთელი — შემდეგი: „მოსჭრან კედარი და იგიც მოკვდება“. და ბრძანა ფარაონმა შეიარაღებულ ჯარისკაცთა გაგზავნა და კედარის მოჭრა. და ჯარისკაცები მივიდნენ კედართან და მოჭრეს მისი კენწერო, რომელზედაც ბატას გული იყო მიმაგრებული; დაეცა იმწამსვე ბატა უსულოდ. როცა მიწა განათდა და დღე გათენდა, შევიდა ბატას უფროსი ძმა ინეპუ თავის სახლში და დაჯდა ზელის დასაბანად. და მიართვეს მას ჭურჭელი ლუდით და გადმოიღვარა ლუდი ჭურჭლიდან. მორათვეს მეორე ჭურჭელი ღვინით და აიძღვრა იგიც. მაშინ აიღო მან თავისი კვერთხი, თავისი სანდლები, თავისი ტანისამოსი და თავისი იარაღი და გაემართა კედარის ველზე. და შევიდა უმცროსი ძმის სასახლეში და პოვა იგი სარეცელზე და იყო იგი მკვდარი. ატირდა უფროსი ძმა, ნახა რა უმცროსი ძმა მკვდარი. და წავიდა იგი უმცროსი ძმის გულის საქებნელად იმ კედართან, რომლის ქვეშ ღამე იძინებდა ბატა. სამი წელი გაატარა უფროსმა ძმამ გულის ძებნაში და ვერ პოულობდა. და როცა მეოთხე წელი დაიწყო, ისურვა მან ეგვიპტეში დაბრუნება. ფიქრა მან: „ხვალ ეგვიპტისაკენ გავემართები“. მაგრამ როცა მიწა განათდა და დღე გათენდა, იგი ყვლავ კედართან წავიდა. და მთელი დღე ბატას გულის ძებნაში გაატარა: იგი ფიქრობდა: „მე უნდა ვიპოვო ბატას გული, რადაც არ უნდა დამიჯდეს“. მან იპოვა მარცვალი, იგი ბატას გული იყო. ჩააგდო ინეპუმ მარცვალი ანკარა წყლით სავსე ჭურჭელში და დაჯდა, როგორც ჩვეულებრივად, სარეცელთან, რომელზეც ბატა იყო დასვენებული, როცა დაღამდა, გულმა წყალი შეიწოვა, ბატა აცახ-

ცახდა და ინეპუს მზერა მიაპყრო. მაშინ ინეპუმ აიღო კურკელი, რომელშიც გული იდო, და დააღვიინა ბატას ამ კურკლიდან წყალი. და ჩადგა გული თავის ადგილას და გაზდა ბატა ისევ ისეთი, როგორც ადრე იყო. გადაეხვივნენ ერთმანეთს ძმები და დაელაპარაკნენ ერთმანეთს და უთხრა უმცროსმა უფროსს: „მე საუკეთესო ჯიშის დიდ ხარად გადავიქცევი, შენ ზურგზე შემომაჯდები განთიადის წინ, და ჩვენ გავჩნდებით იქ, სადაც ჩემი ცოლია. მე ჩემს თავზე შურს ვიძიებ. შენ მე მის უდიდებულესობასთან მიმიყვან, იმიტომ, რომ იგი დაგასაჩუქრებს შენ ჩემი მიყვანისათვის. შენ დაგასაჩუქრებენ შენი წონა ოქროთი, რადგან მე დიდი საოცრება ვიქნები. ხალხი იზეიმებს მთელ ქვეყანაში. შენ კი შენს სოფელს დაუბრუნდები“.

როცა მიწა განათდა და მეორე დღე დაიწყო, ბატამ მიიღო ხარის სახე, მაშინ ინეპუ შემოაჯდა მას ზურგზე და გაჩნდნენ ძმები მისი უდიდებულესობის სასახლესთან და მოახსენეს მის უდიდებულესობას — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — ხარის შესახებ. და მისმა უდიდებულესობამ დაათვალაერა ხარი და ძალიან კმაყოფილი დარჩა. ამის აღსანიშნავად დიდი მსხვერპლშეწირვა მოაწყვეს, და ხალხი ამბობდა: „დიდი საოცრება აღსრულდა“⁸ და ზეიმობდა მთელი ქვეყანა. უფროსი ძმა დაასაჩუქრეს მისი წონა ოქროთი და ვერცხლით, და იგი დაბრუნდა თავის სოფელში; მისმა უდიდებულესობამ იგი აურაცხელი ქონებით დაასაჩუქრა, რადგან ფარაონმა — ცოცხლობდეს იგი ჯანმრთელი და უვნებელი — შეიყვარა ინეპუ უფრო ძალიან. ვიდრე უყვარდა ვინმე სხვა ქვეყანაში. განვლო მრავალმა დღემ, და ხარმა მიმართა ფარაონის საყვარელ მეუღლეს: „ნახე, მე ცოცხალი ვარ. ჰეშმარიტად“. ქალმა იკითხა: „ვინ ხარ შენ?“ მან მიუგო: „მე ბატა ვარ, მე ვიცი, როცა შენ ფარაონს სთხოვე კედარის მოპრა. შენ ჩემი მოკვლა გინდოდა. მაგრამ მე ცოცხალი ვარ, ჰეშმარიტად, მე ხარი ვარ“. ქალი შეშინდა, ხარი კი შოშორდა მას. შემოვიდა ფარაონი — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — და ქალმა ჩამოუხსნა მას ღვიწკი, და ასე მიმართა: „დაიფიცე ღმერთი და შემიპირდი, რომ შემისრულებ ყველაფერს. რასაც კი გთხოვ“. ფარაონმა — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — შეასრულა მისი თხოვნა. მაშინ ქალმა თქვა: „მე მინდა ამ ხარის ღვიძლი გავსინჯო“. ფარაონს — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — ძალიან დაწყდა გული ქალის სიტყვებზე. რადგან მას ძალიან უყვარდა ხარი.

და მას შემდეგ, რაც მიწა განათდა, დიდი მსხვერპლშეწირვა გამოაცხადეს. გამოიძახეს ფარაონის — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — პირველი ყასაბი ხარის დასაკლავად. როცა ყასა-

ბმა ხარი განგმირა. სისხლის ორი წვეთი დაეცა დიდ ქიშკრებთან— ერთი სამხრეთის ქიშკართან, ერთი — ჩრდილოეთის ქიშკართან; გაიზარდა ამ წვეთებისაგან ორი დიდი ფიჭვი და თვითეული მათგანი სრულყოფილი იყო წამიერების სრულყოფილობით (=სილამაზით). წავიდნენ და მოახსენეს ამის შესახებ ფარაონს — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — და ზეიმობდა ხალხი მთელს ქვეყანაში, და სწირავდნენ მსხვერპლს მშვენიერ ხეებს. განვლო მრავალმა დღემ, და მისმა უდიდებულესობამ — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — გადმოიხედა ლაზურიტის ფანჯრიდან — მშვენიერი იყო მისი სახე, მის გულს ყვავილების ყელსაბამი ამშვენებდა, შემდეგ კი გამოვიდა სასახლიდან ორივე ფიჭვის სანახაუად. მისი საყვარელი მეუღლე მას გაჰყვა თან, და დასხდნენ ორიენიერთ-ერთი ფიჭვის ქვეშ და საუბრობდნენ იქ. და ხარმა თქვა: „ო, მატყუარავ, მე ბატა ვარ, მე კიდევ ცოცხალი ვარ. მე ვიცი, ეს შენ აიძულე ფარაონი — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — რომ მას კედარი მოეჭრა. მე ხარად გადავიქეცი. შენ ხარც დააკვლევინე“. განვლო მრავალმა დღემ, და საყვარელმა მეუღლემ ჩამოუსხა ფარაონს ღვინო — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი, და და უთხრა მას: „დაიფიცე ღმერთი და თქვი: „რაც არ უნდა მთხოვოს ჩემმა საყვარელმა — ყველაფერს შევასრულებ მისი გულისათვის“. ფარაონმა — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — ყურადღებით მოუსმინა და შეჰპირდა. მაშინ ქალმა თქვა: „უბრძანე ხეების მოჩეხვა და მათგან ლამაზი ავეჩის დამზადება“. და მისმა უდიდებულესობამ — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — მაშინვე გააგზავნა ხელოსნები, და მოჭრეს მათ ხეები. ფარაონის საყვარელი მეუღლე უყურებდა, როგორ ჰკრიდნენ ხეებს. მოწყდა ნაფოტი და ჩაუვარდა ქალს პირში, გადაყლაპა ქალმა ნაფოტი და დაფეხმძიმდა.

განვლო მრავალმა დღემ, და ქალმა შობა ულამაზესი ვაჟიშვილი, მივიდნენ ფარაონთან — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — და უთხრეს მას: „შენ ვაჟი შეგეძინა“. და აჩვენეს ვაჟი ფარაონს — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — და დაუნდინა მან ბავშვს ძიძა და მცველები. ზეიმობდა მთელი ქვეყანა. მის უდიდებულესობას — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და მარად — შეუყვარდა ბავშვი ერთი დანახვით. ... განვლო მრავალმა დღემ, და ფარაონმა — ცოცხლობდეს იგი უვნებელი და ჯანმრთელი — ბავშვი თავის მემკვიდრედ დანიშნა. მრავალი დღის მანძილზე იყო იგი მეფის მემკვიდრე, სანამ ფარაონი — ცხოვრობდეს იგი უვნებელად და მარად — არ აღზევდა ზეცაზე (= გარდაიცვალა). მაშინ მომდევნო ფარაონმა — ცოცხლობდეს იგი უვნებელი

და ჭანმრთელი — მოიწვია დიდებულები და მოუთხრო ყველაფერი, რაც მას შეემთხვა. მოიყვანეს ქალი, და მან იმართლა თავი ყველას წინაშე, და დიდებულებმა თქვეს: „ქეშმარიტად“ და მოუყვანეს მას უფროსი ძმა; ფარაონმა — ცოცხლობდეს იგი უვნებულად და მარად — იგი თავის მემკვიდრედ დანიშნა, თვითონ იმეფა ოცდაათი წელიწადი, შემდეგ კი აღზევდა ზეცაზე. უფროსი ძმა ავიდა ტახტზე მისი დაკრძალვის დღეს.

1 ხარი (ეგვ. „ხარ“) — ძველეგვიპტური მარცვლეულის საზომი, დაახლ. უდრის 76,5 ლიტრს.

2 კედარის ველი — ადგილი ლიბანში, ზღვის ნაპირას.

3 ენადა — იხ. „პირამიდების ტექსტები“, შენიშვნა 2.

4 ხნუმი — იხ. „დედოფალ ხატშესუტის დაბადება“, შენიშვნა 6.

5 შვიდი ხატხორი — ხატხორი ეგვიპტის ერთ-ერთი უძველესი ქალღმერთთა ახალი სახეოდან მოყოლებული, ტექსტებში ვხვდებით „შვიდ ხატხორს“, რომლებიც ჩვეულებრივ ბავშვის დაბადებას ესწრებიან და მის შემდგომ ბედს წინასწარ სასაუენ.

6 ფარაონი — უძველესი დროიდან ეგვიპტის მეუფეს მიმართავდნენ როგორც „ნესუ ბიტ“, რაც ითარგმნება როგორც „ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფე“, ფარაონის სასახლეს ეგვიპტურად ერქვა „პერ აა“, რაც „დიდ სახლს“ ნიშნავს. XVIII დინასტიიდან „პერ აა“ მიმართავდნენ თავის ხელმწიფესაც; სწორედ აქედან წარმოიშვა სიტყვა „ფარაონი“. ამდენად, ტექსტებში, რომლებიც XVIII დინასტიამდეა ჩაწერილი, ეს სიტყვა ქვეყნის მეუფესთან მიმართებაში არ იხმარება, და თარგმანებში ამიტომ შევხვდებით „მეუფეს“, „ხელმწიფეს“. XVIII დინასტიის შუახანებისა და შემდგომი ტექსტების თარგმანებში უკვე შევხვდებით „ფარაონს“, როგორც მიღებულია „პერ აა“ მიმართვის თარგმნა.

7 ფორმულა, რომელიც ტექსტებში ფარაონის სახელის შემდეგ მოიყვანებოდა, ეგვ. „ანხ უჟა სენებ“. იგი იმდენად ტრაფარეტული იყო, რომ, ჩვეულებრივ, სამივე სიტყვის პირველი იეროგლიფი იწერებოდა.

8 ხარი ეგვიპტეში ერთ-ერთი ღვთაების — აპისის — პერსონიფიციკრებულ გამოვლინებად ითვლებოდა, მაგრამ ყველა ხარი არ ითვლებოდა „ღვთაებრივად“. აპისის „გამოვლინება“ განსაკუთრებული შეფერილობისა უნდა ყოფილიყო. როცა ბატა ამბობს, რომ მის ძმას ფარაონი დაასაჩუქრებს, რადგან აღფრთოვანდება ზართთ, იგი გულისხმობს, რომ იგი გარდაიქცევა ამ განსაკუთრებული შეფერილობის ხარად, რომელიც ძალზე იშვიათი ყო.

ლომი და თაგვი

ეგვიპტის ისტორიის გვიანდელ პერიოდში ჩნდება ახალი ჟანრი — იგავი, რომლის მონაწილენი მხოლოდ ცხოველები არიან. ეგვიპტური და ბერძნული პაპირუსების ანალიზით აღმოჩნდა, რომ ბევრი ბერძნული იგავის პირველწყარო სწორედ ეგვიპტური ორიგინალი იყო, მაგალითად. ქვემოთ მოყვანილი იგავი ლომისა და თაგვის შესახებ უდავოდ წარმოადგენს ეზოპეს ცნობილი იგავის პირველწყაროს. აღსანიშნავია, რომ იგავების ილუსტრაციები გაცილებით

უფრო აღრე გვხვდება ეგვიპტურ ფრესკებზე, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი ყველა გვიანდელ პერიოდშია ჩაწერილი.

„ლომისა და თავის“ იგავის ტექსტი ჩაწერილია დემოტიურ პაპირუსზე, რომელიც ლეიდენის მუზეუმში ინახება (W. Spiegelberg, Leidener demotischer Papyrus I, 384, Leiden, I, 1917).

უდაბნოში ცხოვრობდა ლომი, ღონიერი და ძლიერი ნადირობაში. ყველა ცხოველს, დიდსა და პატარას, მისი შიში და რიდი ჰქონდა.

ერთ დღეს შემოხვდა ლომს ავაზა, დაგლეჯილი ტყავით და ბეწვით. ნახევრად მკვდარს, ნახევრად ცოცხალს, მას მრავალი ჰრილობა და იარა ეტყობოდა. ლომი შეეკითხა ავაზას: „როგორ ჩავარდი ამ დღეში? ვინ დაგლიჯა შენი ტყავი, ვინ გაქუცა შენი ბეწვი?“ ავაზამ მიუგო: „ადამიანმა ჩამაგდო ამ დღეში“. ლომმა კვლავ იკითხა: „ადამიანმა? ვინ არის იგი?“ და ავაზამ უპასუხა: „არ არსებობს ადამიანზე ძლიერი. ილოცე, არასოდეს ჩაუვარდე მას ხელში“. გაბრაზდა ლომი ადამიანზე და გაშორდა ავაზას, წავიდა ადამიანის საძებნელად.

გზაზე შემოხვდა ლომს ცხენი და ვირი. ცხენს ლაგამი ჰქონდა პირში ამოჩრილი, ვირს უღელი ედგა. ლომმა მიმართა მათ: „ვინ ჩაიდინა თქვენს თავზე ასეთი?“ მათ მიუგეს: „ჩვენმა ბატონმა, ადამიანმა“, ლომმა თქვა: „განა ადამიანი ჩემზე ძლიერია?“ და მათ უპასუხეს: „არ არის ვინმე ჩვენს ბატონზე, ადამიანზე ძლიერი. ილოცე, არასოდეს ჩაუვარდე მას ხელში“. ლომი კვლავ გაბრაზდა ადამიანზე და გაუდგა თავის გზას.

შემოხვდნენ ლომს ხარი და ძროხა. მათი რქები მოხერხილი იყო. ნესტოები გახვრეტილი. ლომმა ჰკითხა მათ: „ვინ ჩაგაგდოთ ამ დღეში?“ — „ჩვენმა ბატონმა, ადამიანმა“. ლომმა კვლავ იკითხა: „განა ადამიანი ჩემზე ძლიერია“, და ხარმა და ძროხამ მიუგო: „არ არის ვინმე ადამიანზე ძლიერი, შეეცადე. აიციინო მასთან შეხედრა“. განრისხდა ლომი და გააგრძელა გზა.

შემოხვდა ლომს დათვი, მისი კბილები და ბჭყალები ამოგლეჯილი იყო. ლომი შეეკითხა მას: „ნუთუ ადამიანი შენზე ძლიერიც არის?“ დათვმა უპასუხა: „ნამდვილად ასეა. ჩემზე მოჩენილი იყო მსახური. რომელიც საჭმელს მაჭმედა. ერთხელ მან მითხრა: შენი ბრჭყალები ძალიან გრძელია, (ამიტომ) შენ გიჭირს შენი თათებით საჭმლის აღება: შენი კბილებიც გრძელია, ამიტომ შენ გიჭირს საჭმლის პირში ჩადება. ამის შემდეგ მან დამაგლიჯა ბრჭყალები და კბილები. შემდეგ ქვიშა შემეყარა თვალებში და გაიქცა“. ლომი განრისხდა ადამიანზე და დათვს გაშორდა.

ამის შემდეგ ლომს მეორე ლომი შემოხვდა. მისი თათები ხეში იყო მომწყვდეული ისე, რომ მას არ შეეძლო გაქცევა. იგი ძალიან დაღონებული იყო. ლომმა ჰკითხა მას: „როგორ ჩავარდი ამ საცოდავ დღეში?“ მეორე ლომმა უპასუხა: „ადამიანმა ჩამავლო ამ დღეში. მისმინე, ეცადე არ ჩავარდე მის ხელში. ადამიანი ცუდია. მე ვკითხე ადამიანს: „რა არის შენი ხელობა?“ ადამიანმა მიპასუხა: „ხეში ხელობაა სიბერის გაძევება. მე შემიძლია შენ თილისმა მოგცე, და შენ არასოდეს მოკვდები. აი, მე ხეს გამოვთლი და შენს ტანზე მივამაგრებ, და შენ მარადიული გახდები“. ამიტომ მივყევი მას ამ ხესთან. მან იგი შუაზე გააპო და მითხრა: „ჩადევი შუაში შენი თათები“. მე ჩავდევი შუაში ჩემი თათები. ამის შემდეგ მან ნაპრალი ჩაკეტა და ჩემი თათებიც შიგ მოყვა; როცა იგი დარწმუნდა, რომ მე მას ვერ გავეკიდებოდი, მან ქვიშა შემაყარა თვალებში და გაიქცა“.

მაშინ ლომმა სიცილი დაიწყო და თქვა: ო, ადამიანო, თუ შენ ჩემს ხელში ჩავარდები, მე ისე გვაკეთებ, რომ სანანებელი გაგხდება, ასე რომ მოექექცი ჩემს ამხანაგს“.

როცა ლომმა გააგრძელა გზა ადამიანის საძებნელად. უცებ იგრძნო, რომ მისი თათის ქვეშ პატარა და მხიარული თაგვი აღმოჩნდა. ლომმა გადაწყვიტა, რომ გაესრისა იგი. მაგრამ თაგვი შევედრა მას: „ჩემო მბრძანებელო, ლომო, გთხოვ, არ გამსრისო; რომ შემკვამო, ჩემით ვერ გაძლები. მაგრამ თუ შენ სიცოცხლეს მაჩუქებ, მეც გაჩუქებ სიცოცხლეს. თუ შენ სიკვდილს ამაცდენ, მეც ვიზრუნებ, რომ შენ ხიფათს გადაურჩე“.

გაეცინა ლომს და უთხრა თაგვის: „რა გინდა რომ თქვა? განა არსებობს დედამიწაზე ვინმე ჩემი სწორი?“ მაშინ თაგვმა კიდევ ერთხელ თქვა: „მე ვიზრუნებ. რომ შენ აიცილინო ხიფათი, როცა ბნელი დღე დაგიდგება“. ლომს სასაცილოდაც არ ეყო თაგვის ნათქვამი, მაგრამ უთხრა მას: „რომ შემკვამო, ნამდვილად არ გაეძლები“ და გაუშვა იგი.

ერთ მონადირეს ბადიანი ხაფანგი ჰქონდა დაგებული. გაება ლომი ამ ხაფანგში. ასე ჩაუვარდა იგი ხელში ადამიანს. ადამიანმა შემოაწვია მას ბადე და ქაშრებით შეერა იგი. როცა ლომი იწვა უღაბნოში, გათოკილი და ნაღვლიანი, მოინდომა ბედის ღვთაებამ. რომ გახსენებოდა მას თავისი ქედმაღლური სიტყვები, და შეახვედრა პატარა თაგვი. თაგვმა უთხრა ლომს: „მიცანი? მე პატარა თაგვი ვარ, რომელსაც შენ სიცოცხლე აჩუქე, როგორც საჩუქარი. მე მოვედი, რათა შენ დღეს დაგეხმარო და უბედურებისაგან დაგიხსნა, რომელშიც ადამიანმა ჩავაგდო. სასიამოვნოა, როცა შეგიძლია მსგავსით გადახდა“.

ამის შემდეგ თავი საქმეს შეუდგა. მან გახრა ბადის თოკები, გახრა ტყავის ქამრები, რომლებითაც ლომი იყო დაბმული და განთავისუფლა იგი. შემდეგ თავი ლომის ფაფარში დაიმალა, და ისინი უდაბნოსაკენ გაემართნენ.

მსმენელს შეუძლია ისწავლოს ამ გასაოცარ ამბავზე, რადგან აქ არის ამბავი პატარა თავზე, (რომელიც არის) ყველაზე სუსტი უდაბნოს ცხოველებს შორის, და ლომზე, უდაბნოს უძლიერეს ცხოველზე. მსმენელს შეუძლია დაფიქრდეს ამ შემთხვევაზე, რომელიც ბედის ღეთაების ნებით მოხდა.

V. პეროდოტეს ცნობები კველი ეგვიპტის შესახებ

(ბერძნულიდან თარგმნეს თ. ყაუხჩიშვილმა და მ. ინაძემ)

ძველ ბერძნულ მწერლობაში პეროდოტეს (ძვ. წ. 484—430 წწ.) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მხოლოდ როგორც ისტორიის მამამთავარს, არამედ როგორც ავტორს, რომელმაც თავის ნაშრომში („ისტორია“) შემოგვინახა ბევრი საყურადღებო ცნობა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა შესახებ. პეროდოტეს ამ ცნობებს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიული წარსულის შესასწავლად. განსაკუთრებით დიდია პეროდოტეს იმ გადმოცემების მეცნიერული ღირებულება, რომლებიც ისტორიის მამას სხვა სანდო წყაროებთან ერთად დაწერილი აქვს საკუთარი დაკვირვების შედეგად მიღებული ცოდნისა და კვლევის საფუძველზე. ეს ცოდნა პეროდოტემ დააგროვა თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. რომელთა ძველი ცივილიზაციები და კულტურული მიღწევები დიდად იზიდავდა მას. დადგენილია, რომ პეროდოტემ სხვა ქვეყნებთან ერთად იმოგზაურა ეგვიპტეშიც, აქ დაჰყო სამი თვე, აღმა აჰყვა მდინარე ნილოსს ელეფანტინეს კუნძულამდე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეგვიპტის შესახებ პეროდოტეს თხრობის უტყუარობა მთლიანად დამოკიდებულია მისი ინფორმაციის ხარისხზე. ცნობები, რომლებიც პეროდოტეს შეუკრებია ეგვიპტის ფარაონთა შესახებ უძველესი ხანიდან ძვ. წ. VIII ს-მდე, თანამოსაუბრეთა გამოკითხვის მეშვეობით, უმეტესად ფანტასტიკურია. სამაგიეროდ დიდია ეგვიპტის აღწერილობის იმ ნაწილის მნიშვნელობა, რომელშიაც საისის ეპოქის (ძვ. წ. VII—VI სს-ის) ისტორიაა გადმოცემული დაწყებული ფსამეტიქოსის მეფობიდან (ძვ. წ. 663—609 წწ.) აქემენიდთა ბატონობის ხანამდე. ეს ნაწილი სხვა სარწმუნო წყაროებთან (ადგილობრივ ქრონიკებთან, წარწერებთან, ქ. ნავკრატისა და მცხოვრები ელინების

ჩანაწერებთან) ერთად პეროდოტეს პირადი დაკვირვების შედეგად შეკრებილ ინფორმაციას ემყარება. ზეპირი ცნობების მიმწოდებელთა შორის პეროდოტე ხშირად იხსენიებს ადგილობრივ ქურუმებს.

პეროდოტეს „ისტორიის“ მრავალი თარგმანი არსებობს რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ენებზე. „ისტორია“ ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა (პეროდოტე, ისტორია, ტ. I, თბ., II, თბ. 1975—1976 წწ., წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო ამავე ავტორმა). გარდა ქართული გამოცემისა ჩვენ ხელთ გექონდა რუსული თარგმანი — Геродот. История в девяти книгах, перевод и примечания Г. А. Стратановского, Л., 1972; Ph. E. Legrand-ის მიერ 10 ტომად გამოცემული ორენოვანი—ბერძნული და ფრანგული—ტექსტები (1932—1954 წწ.).

პეროდოტეს ცნობების ქართული ტექსტის გადმოცემისას გამოყენებულია თ. ყაუხჩიშვილის ზემოხსენებული ქართული თარგმანი, მაგრამ მის ზოგიერთ ნაწილში (წ. II, §§ 164, 165, 166, 168) შეტანილია კორექტივი.

ა) ცნობები საიისის პერიოდის ეგვიპტის შესახებ!

[ეთიოპელთა და მათ მომხრე ეგვიპტელთა მიერ გაბეჭეულმა მეფე ფსამეტიქოსმა ეგვიპტეში ჩასული იონიელი და კარიელი მეომრებისა და ეგვიპტელი მოხალისეების შემწეობით კვლავ ხელთ იგდო ძალაუფლება და მთელი ქვეყანა დაიპყრო].

II, 154. „თავის მოკავშირეებს, იონიელებსა და კარიელებს ფსამეტიქოსმა სამოსახლოდ მიწები მისცა ერთმანეთის პირდაპირ, რომელთაც შუაში ნილოსი ჰყოფდათ, ამ სამოსახლოებს „ბანაკები“ ეწოდა. ფსამეტიქოსმა მისცა მათ მიწები და ასევე მისცა სხვა ყველაფერი, რასაც შეჰპირდა, მიაბარა მათ ეგვიპტელი ბავშვებიც, რომელთაც მათგან ელინური ენა უნდა ესწავლათ. იონიელები და კარიელები დიდხანს ცხოვრობდნენ ამ მიწებზე, ეს მიწები ზღვასთან არის, ცოტა უფრო ზემოთ, ვიდრე ქალაქი ბუბასტისია. ნილოსის ეგრეთ წოდებულ პელუსიონის შესართავთან? შემდეგ ხანებში მეფე ამასისმა გადასახლა ისინი იქიდან, დასახლა მემფისში და მათ დააკისრა თავისი დაცვა ეგვიპტელთაგან. რაკილა ესენი ეგვიპტეში დასახლდნენ და ელინებს ურთიერთობა ჰქონდათ მათთან, ამიტომ დაწვრილებით ვიციით ყოველივე, რაც გადახდა თავს ეგვიპტეს ფსამეტიქოს მეფიდან დაწეხული და მის შემდეგ ხანებში. ესენი იყვნენ სხვა ენაზე მოლაპარაკეთა შორის პირველნი, ვინც ეგვიპტეში დასახლდნენ. რაც შეეხება მითოვებულ ადგილებს, იქ ჩემს დრომდე იყო ხომალდების სადგომები და ნაგებობათა ნანგრევები“.

II, 158. „ფსამეტიქოსს ჰყავდა შვილი ნეკოსი, რომელიც მის შემდეგ მეფობდა ეგვიპტეში, მან პირველმა დაიწყო არხის გაყვანა მეწამული ზღვისაკენ. შემდეგ რომ დარიოს სპარმელმა^ა გათხარა. არხის სიგრძის დაფარვას ოთხი დღის ცურვა უნდება, ხოლო თხრილის სიგანე იმოდენაა, რომ ორი ნიჩბებიანი ტრიერი შეიძლება გაცურდეს ერთდროულად. წყალი მასში შემოყვანილია ნილოსიდან, შემოყვანილია ქალაქ ბუბასტისზე ცოტა ზემოთ, არხი მიდის არაბული ქალაქის, პატუმისის გასწვრივ და ერთვის მეწამულ ზღვას. მიემართება ის ჯერ ეგვიპტის დაბლობის იმ ნაწილში, რომელიც არაბის გასწვრივაა, ხოლო შემდეგ იმ დაბლობის ქვემოთ, რომელიც მემფისთან გადაჭიმული მთის ძირასაა. აქ არის ქვის სატეხელი. აქედან არხი მიემართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ ხეობისაკენ, და მთიდან უზვევს სამხრეთისაკენ, სამხრეთის ქარის მიმართულებით, არაბიის უბისაკენ. ...არხი (1000 სტადიონზე) გაცილებით უფრო გრძელია... ნეკოსის მეფობის დროს ამ არხის გაყვანისას დაიღუპა 120 ათასი ეგვიპტელი. ნეკოსმა თხრა შუაგზაზე შეაწყვეტინა. რადგან მისნობამ შეუშალა ხელი, რომელმაც აუწყა. რომ ის ბარბაროსისთვის იღვწის. ეგვიპტელები ბარბაროსებს უწოდებენ ყველას, ვინც მათგან განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს“.

II, 159. „ნეკოსმა არხის გაყვანა რომ შეწყვიტა, დაიწყო ლაშქრობისათვის მზადება. ტრერები ზოგი ჩრდილოეთის ზღვაში გააქეთებინა, ზოგი არაბიის უბეში, მეწამულ ზღვასთან. ჯერაც ჩანს ამ ტრიერების სადგომები. საჭიროების შემთხვევაში იგი ყოველთვის იყენებდა ამ ტრიერებს. ნეკოსი სირიელებს ხმელეთზე შეებრძოლა და მაგდოლოსში დაამარცხა ისინი, ხოლო ბრძოლის შემდეგ სირიის დიდი ქალაქი, კადიტისი აიღო... მან მხოლოდ 11 წელი იმეფა და გარდაიცვალა, ხოლო ძალაუფლება მის მერე გადავიდა მის შვილზე, ფსამისზე“⁷.

II, 161. „ფსამისი მხოლოდ 6 წელი მეფობდა ეგვიპტეში და ეთიოპიაში გალაშქრების შემდეგ მალე მოკვდა. ამის მერე ზელისუფლება მიიღო აპრიესმა, ფსამისის ძემ⁸. იგი ფსამეტიქოსის... მერე ყველა მასზე მყოფ მეფეზე უფრო ბედნიერი იყო, მართავდა ქაყანას 25 წელიწადს, ამ ხნის განმავლობაში ილაშქრა სიდონზე და საზღვაო ბრძოლა ჰქონდა ტიროსის მეფესთან⁹. მას უბედურება უნდა შემთხვეოდა... აპრიესმა დიდი ლაშქარი გაგზავნა კირენელების¹⁰ წინააღმდეგ და სასტიკად დაამარცხდა. ეგვიპტელებმა ის ამისთვის დაადანაშაულეს და მის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს“...

[პეროდოტეს ცნობით, ამბოხებულმა ეგვიპტელებმა აპრიესის ნაცვლად მეფედ დასვეს აპრიესის ერთ-ერთი კარისკაცი ამასისი].

II, 163. „აპრიესმა რომ ეს შეიტყო, შეაიარაღა დაქირავებული-
ჯარი და წავიდა ეგვიპტელთა წინააღმდეგ. მას ჰყავდა 30 ათ. დაქი-
რავებული კარიელი და იონიელი, ხოლო მისი ღიდი და შესანიშნავი
სასახლე იყო ქალაქ საისში. ამრიგად, აპრიესი [თავისი მომხრეებით]
ეგვიპტელთა წინააღმდეგ მიდიოდა, ხოლო ამასისი უცხოელების წი-
ნააღმდეგ ლაშქრობდა. ქალაქ მომემფისში¹¹ შეიყარა ორივე მხარე
და აქ აპირებდნენ ერთმანეთთან შებრძოლებას“.

II, 169... „იქ მოხდა ბრძოლა. უცხოელები კარგად იბრძოდნენ,
მაგრამ რადგან რაოდენობით ბევრად ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდე-
გეს, ამიტომ დამარცხდნენ. ამბობენ, აპრიესი იმ აზრისა იყო. რომ
ღმერთიც კი ვერ შეძლებდა მისი მეფობის შეწყვეტას. ისე ურყევად
მიაჩნდა მას დაფუძნებული თავისი ძალაუფლება. ახლა კი ბრძოლა-
ში დამარცხებული ტყვედ ჩავარდნილი წაიყვანეს ქალაქ საისში, იმ
სახლში, რომელიც უწინ მისი იყო, ახლა კი ამასისის სასახლე გამ-
ხდარიყო. ერთხანს მას მეფის სასახლეში ინახავდნენ და ამასისი მას
კარგად ექცეოდა. ბოლოს, როდესაც ეგვიპტელებმა საყვედურები და-
იწყეს, რომ უსამართლობაა საკუთარი და მათი მტრის ასეთნაირად
შენახვა, ამასისმა აპრიესი გადასცა ეგვიპტელებს. ეგვიპტელებმა ის
დაახრჩვეს და შემდეგ დამარხეს მის მამა-პაპათა სამარხში. სამარხი
არის ათენას სალოცავში, საკურთხევლის მახლობლად. შემსვლელი-
სათვის ხელმარცხნივ. საისის მცხოვრებლებმა ყველა მეფე, ვინც კი
ამ ოლქიდან¹² იყო, ამ სალოცავის შიგნით დამარხეს...“.

II, 175. „მეფე ამასისმა საისში ათენას გაუყეთა საოცარი კარი-
ბქე, რომელიც ბევრად აღემატებოდა ყველა სხვას სიმაღლითა და
მოცულობით, ქვების სიდიდითა და საერთო სიმშვენიერით. შემდეგ
აღმართა უზარმაზარი გამოსახულებები და ვეება მამაკაცი — სფინ-
ქსები და მოაზიდვინა უშველებელი ქვები საშენებლად“.

II, 177. „ამბობენ, რომ ამასისის მეფობის დროს ეგვიპტე გან-
საკუთრებულ კეთილდღეობაში იყო, იმ მხრივაც, რასაც ქვეყანა
იღებდა მდინარისაგან და იმ მხრივაც. რასაც ქვეყანისაგან ღებულო-
ბდნენ ადამიანები; მაშინ ეგვიპტეში სულ 20 ათ. დასახლებული ქა-
ლაქი იყო. ამასისმა ეგვიპტელთათვის გამოსცა კანონი, რომლის თა-
ნახმადაც ყველა ეგვიპტელი ყოველწლიურად უჩვენებდა ოლქის უფ-
როსს, თუ რითი ცხოვრობდა; ვინც ამას არ გააკეთებდა და ვერ აჩ-
ვენებდა, რომ პატიოსანი ცხოვრებით ცხოვრობს, მას სიკვდილით
სჯიდნენ“...

ბ) ეგვიპტის საზოგადოების დახასიათება

ეგვიპტის საზოგადოების შემადგენელი ჩგუფების დახასიათებისას ჰეროდოტე
ხმარობს ტერმინს „გენოს“ — გვარი. მაგრამ აქ გვარი არ ნიშნავს გვაროვნული

საზოგადოების ერთეულს, რადგან ეგვიპტის მოსახლეობის კლასიფიკაცია პეროდოტეს მოცემული აქვს საზოგადოების წევრების საქმიანობის მიხედვით. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოების თითოეული ეს წევრი, როგორც ჩანს, ეწეოდა საკუთარ, უთუოდ მემკვიდრეობით მიღებულ, მამაპაპისეულ საქმიანობას, ამიტომ ზოგიერთი მთარგმნელი ამ ტერმინს (გენოსს) თარგმნის „კასტად“. (იხ. Геродот, История, девяти книгах. Перевод и примечания Г. А. Стратановского, с. 132). საგულისხმოა, რომ ეგვიპტის საზოგადოების შემადგენელ წევრებს შორის პეროდოტე არ ასახელებს ხელოსნებს. ეს გარემოება უთუოდ იმით აიხსნება, რომ თვით პეროდოტეს გადმოცემით, ეგვიპტეში ხელოსნობა არ მიაჩნდათ ღირსეულ საქმიანობად (II, 167). პეროდოტეს მიხედვით, ყველაზე საპატიო ადგილი ეგვიპტის საზოგადოებაში ქურუმთა შემდეგ მეომრებს ეკირათ.

პეროდოტე გადმოგვცემს:

II, 164. „ეგვიპტელთა 7 გვარია, მათ შორის არიან: ქურუმები, ეგრეთ წოდებული მეომრები, მენახირეები, მელორეები, ვაჭრები, მთარგმნეები და მესაქეები. აი, ეგვიპტელთა ამდენი გვარი არსებობს, ხოლო სახელები ამ გვარებს საქმიანობის მიხედვით ჰქვიათ. მათ შორის მეომრებს ეწოდებათ კალასირიები და პერმოტიბიები; ისინი ეკუთვნიან შემდეგ ოლქებს, რადგან მთელი ეგვიპტე ოლქებად არის დაყოფილი.“

II. 165. „პერმოტიბიებისა შემდეგი ოლქები: ბუსირისის, საისის, ქემისის, პარემისის, ეგრეთ წოდებული პროსოპისის კუნძული და ნათოსის ნახევარი. ამ მხარეებიდან არიან პერმოტიბიები და ისინი 160 ათასზე მეტნი არიან¹³. მათ შორის ხელობა არავენ იცის, ისინი მხოლოდ სამხედრო საქმიანობას ეწევიან.“

II. 166. კალასირებისა კიდევ შემდეგი ოლქებია: თებესი, ბუბასტისის, აფთაჰის. ტანისის, მენდესის, სებენიტოსის, ათრიბისის, ფარბათოსის, თმუსის, ონუფისის, ანისისისა და მიეკფორიტის... ეს ოლქები კალასირებისაა და ისინი 250 ათ. სულზე მეტნი არიან¹⁴. არც მათთვის შეიძლება, რომ რაიმე ხელობას მისდევდნენ, მხოლოდ ომში მღებულობენ მონაწილეობას და ამ საქმიანობაში შვილი ცვლის ხოლმე მამას“.

II. 167. „ისწავლეს თუ არა ეს ეგვიპტელთაგან ელინიებმა, ამის შესახებ არ შემიძლია დაბეჯითებით რაიმეს თქმა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ თრაკიელები, სკვითები, სპარსელები, ლიდიელები და თითქმის ყველა ბარბაროსი სხვა მოქალაქეებზე გაცილებით ნაკლებ პატივს სცემენ მათ, ვინც ხელობას მისდევს და ასევე მათ ჩამომავლებს; კეთილშობილებად მიაჩნიათ ისინი, ვინც ხელობისაგან შორს არიან, განსაკუთრებით კი მეომრები“...

II. 168. ქურუმთა გარდა ეგვიპტელთა შორის მხოლოდ მეომრებს ჰქონდათ გამორჩეული პატივი; თითოეულს (ოჯახით) ეძლეო-

და 12 არტრა საუკეთესო დაუხარკავი ნაკვეთი. ხოლო არტრა სიგრძესა და სიგანეში 100 ეგვიპტური წყრთა; ეგვიპტური წყრთა სამოსურის ტოლია. ეს მიწა საკუთრად ეძლეოდა თითოეულ მეომარს, ხოლო შემდეგი უპირატესობით ისინი რიგრიგობით სარგებლობდნენ: ათასი კალასირიელი და ათასი პერმოტიბიელი ყოველწლიურად იყენენ ხოლმე მეფესთან პირად მცველებად. ამისათვის ისინი, გარდა მიწის ნაკვეთებისა, ყოველდღიურად კიდევ შემდეგს ღებულობდნენ; თითოეული გამომცხვარ პურს, წონით 5 მნას, ძროხის ხორცს ორ მნას; ღვინოს — ოთხ საწყაოს. ეს მულამ ეძლეოდათ მეფის პირად მცველებს.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

- 1 ფსამეტიქოს I მეფობდა ძვ. წ. 663—609 წწ.
- 2 ქ. ბუბასტისში იყო ქალღმერთ ბუბასტისის — ბერძნული არტემიდესადში — მოძღვნილი ტაძარი. პელუსიონის შესართავი ეწოდებოდა მდ. ნილოსის დელტის ერთ-ერთ განშტოებას. ნილოსის დელტაში იყო აგრეთვე სებენიტისა და საისის შესართავეები.
- 3 ანასისი მეფობდა ძვ. წ. 560—525 წწ.
- 4 „ჩემს დრომდე“ — იგულისხმება ძვ. წ. V ს. შუახანები (ძვ. წ. დაახლოებით 455—445 წწ.), როდესაც პეროდოტემ იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში.
- 5 დარიოს სპარსელი — ირანის მეფე დარიოს I (ძვ. წ. 522—486 წწ.).
- 6 ნეკოსი მეფობდა ძვ. წ. 609—593 წწ.
დარიონი ნეკოსი 3 წელი ბატონობდა სირიასა და პალესტინაზე, მაგრამ ძვ. წ. 465 წელს ბაბილონის ჯარმა ნაბუქოდონოსორის (ძვ. წ. 604—562 წწ.) მეთაურობით (მძღველთა დახმარებით) დაამარცხა ეგვიპტის ლაშქარი კარხემიშთან; სირია და პალესტინა დაკარგული აღმოჩნდა ეგვიპტისათვის.
- 7 ფსამოსი, იგივე ფსამეტიქოს II მეფობდა ძვ. წ. 593—588 წწ.
- 8 აპრიესი მეფობდა ძვ. წ. 588—566 წწ.
- 9 აპრიესი მიხნად ისახავდა ფინიკიის სავაჭრო ქალაქების ხელში ჩაგდებას. მან საწლავო ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ტიროსისა და კიპროსის ფლოტზე. მაგრამ საბოლოოდ მანც ვერ შეძლო ფინიკიის ხელში ჩაგდება.
- 10 კირენელების ბერძნული სახელმწიფო მდებარეობდა ეგვიპტის დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვის აფრიკულ სანაპიროზე.
- 11 ქალაქი მომემფისი — იგივე ქალაქი მემფისი.
- 12 იგულისხმება საისის ოლქი ნილოსის დელტაში.
- 13 პერმოტიბიებს ეკუთვნოდა ნილოსის დელტის დასავლეთ ნაწილში მდებარე ოლქი.
- 14 კალასირიების კუთვნილი ტერიტორია მდებარეობდა ნილოსის დელტის აღმოსავლეთ ნაწილში.

კ ვ ე ლ ი მ ც ი რ ე ა ზ ი ა

I. ცენტრალური მცირე აზია ხეთების სამეფოს წარმოქმნამდე

1. აქადელთა სავაზრო ფაქტორიების ხანა

ა) „შარ თამხარი“ — „მეფე ბრძოლისა“

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის ცენტრალური ანატოლიის საზოგადოების ისტორია, რომელიც წინ უსწრებს ხეთურ ხანას, შეისწავლება უმთავრესად ე. წ. „კაპადოკიური“ ფირფიტების მიხედვით. ამ ლურსმული ტექსტების დიდი ნაწილი ასახავს აღმოსავლეთ-მცირე აზიის სხვადასხვა ადგილას არსებული უცხო ქვეყნების სეაპრო გაერთიანებათა საქმიანობას (ოფიციალური და კერძო მიმოწერა, სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები და სხვ.). აღნიშნული ფირფიტების ნაწილში კი ასახულია ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

ბოლაჯიოში (ნათუსაში) აღმოჩენილი ლურსმული ტექსტები, რომლებიც გაშიფრა ბ. ჰროზნიმ, ძირითადი წყაროა ხეთების ისტორიისათვის. ხეთურ ინდოევროპულ ენაზე შედგენილი ტექსტები სხვადასხვა შინაარსისაა. ტექსტების დიდი ნაწილი რელიგიური ხასიათის ნაწარმოებებია. ესენია: რიტუალები, შელოცვანი, საგალობლები, მითები და ა. შ. ნათუსას არქივში გვხვდება საბიბლიოთეკო-კატალოგები და ეტიკეტები, ლექსიკონები, საინვენტარო და ცალკეულ პირთა სიები.

მდიდარი მასალაა დაცული ხეთურ წყაროებში, რომლებიც ხეთების სამეფოს ასახავენ. ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის მრავალი დოკუმენტი შესაძლებლობას იძლევა აღვადგინოთ ხეთების სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების სურათი (ანალები, მეზობელ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები, მეფეთა სიები და ა. შ.). ხეთური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრე-

ბა ასახულია სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტებში. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ხეთური კანონების კრებული, სასამართლო ოქმები, მიწის ბოძების დოკუმენტები, მეფის ბრძანებულებები და სხვა სახის ტექსტები.

აქადურ ენაზე შედგენილი, ნაბევრად ლეგენდური ხასიათის ქმნილება „მეფე ბრძოლისა“, იგივე „სარგონ აქადელის ლაშქრობა მცირე აზიაში“, აღმოჩნდა თელ-ამარნას (ეგვიპტე) არქივში და თარიღდება ძვ. წ. XIV საუკუნის პირველი ნახევრით. მაგრამ ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები მოგვითხრობენ ძვ. წ. XXIV—XXIII საუკუნეების მეფის, სარგონ აქადელის (ანუ სარგონ დიდის) მბრძანებლობის პერიოდის შესახებ. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევართა უმრავლესობის აზრით, „შარ თამხარიში“ გადმოცემულ ამბებს რეალური ისტორიული საფუძველი უდევთ და უნდა ასახავდნენ აქადელთა სავაჭრო ფაქტორიების არსებობის ფაქტებს ძველ მცირე აზიაში.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: Weidner E. F. Der Zug Sargons von Akkad nach Kleinasien, „Bogazköy Studien“, 6, 1922, (57—99); Albright W. F., „Journal of the Society of Oriental Research“ Baltimore. 1923. (1—20); Dhorm P Revue Bibl., 1924. (18—32).

აქადურიდან ქართულად ითარგმნება პირველად (თარგმნა პ. რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა).

...აწერის იშთარი! აქადიდან... ბრძოლის, მტრების მეფემ... გამოაცხადა ომი, სარგონი?... მისი შიშისმომგვრელი იარაღი სასახლეს. სარგონი იწყებს ლაპარაკს (და) თავის მეომრებს სიტყვით მიმართავს: „ჩემო მეომრებო, გალაშუს ქვეყანა³... ომს აპირებს. იგი დაიპყრობს მას... სარგონი... დე, მოგეცეს გზა. ბატონო, რადგანაც გსურს წასვლა მძიმე გზით, დამაბრკოლებელი გზით ბურუსხანდისაკენ⁴. შენ გსურს გაიარო გზა, რომელსაც მე უუჩივი, მის გზას ჩვენ ოდესმე დავიკავებთ, ტახტს წამოვრღებთ (და) ძალიან მალე სიმშვიდე დაისადგურებს ჩვენთან. ჩვენი მხარე გაიშლება, მუშლები (კი) მოგვექანცება გზებზე სიარულით“. ნურდაგალი იწყებს ლაპარაკს. ამგვარად ამბობს სუქალუმის⁵, ვაჭართა თავი: „ღმერთი შენი ზაბაბა⁶ გზას დასდგომია, (და) გზას სწორს ხდის, იგი, რომელიც ქვეყანას თვალ-ყურს ადევნებს.. გამოგაგზავნოს შენ. რომელიც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ბატონობ“. სუქალუმში, ვაჭართა თავი ამბობს: „მათი გულღვიძლი ნაღველით არის სავესე. დე, საშინელმა ქარიშხალმა... აქადის შუაგულში წარიტაცოს! სარგონმა, ქვეყნიერების მეფემ გვიხმო თავისთან, ასე რომ ჩვენ ვეახელით და ვთხოვეთ მფარველობა, რადგან ჩვენ არა ვართ მეომრები“. ... გზა მეფემ დააწესოს. ჩვენ გადავუ-

ხდით მეფეს. ხოლო თითოეულ მას, ვინც საბრძოლველად გამოვა, მეფემ გადაუხადოს... მებრძოლებს ოქროდან. სარგონი მისცემს მათ ვერცხლს. ... ჩვენ გვინდა მისვლა, (იქ) ადგილი აქვს მტრობას. შენი ღმერთი ზაბაბა... ვაჭრები გროვდებიან და სასახლეში შედიან. რო- დესაც შეაღწიეს, ვაჭრებმა ვერ დაინახეს წინააღმდეგობა მეომართა მხრიდან. სარგონი იწყებს ლაპარაკს: „ბრძოლის მეფემ ბურუშან- დიდან ცუდი საქმე ჩაიდინა, (და) მინდა შევხედო მის ნამტრობს ... რომელიც არის მისი მთა, როგორია მასთან მისასვლელი გზა?.. გსურს იაბო მძიმე გზით, გაიარო ძნელი გზა ბურუშანდისაკენ. გზა, რომელსაც მე ვუჩივი, შენ გსურს გაიარო. გზა იგი შვიდი ორმაგი საათის სავალია... მთა გალაშუ ლაპისლაზულის ლოდებითაა დაფარული, ოქრო არის მის... ვაშლის ხე. ლელვის ხე, ბზა, კელარი... შვიდჯერ მისი წლოვანება... ადგილი, სადაც ისინი იბრძვიან... აიღე ნაჯახი, შვიდი ორმაგი საათის ბუჩქნარი... შვიდი ორმაგი საათის შუალედით არის... ბუზები... მოაშოროს ბუზები... შემოდით... დაინახა...

მისი ლაშქარი... ნურდაგალი იწყებს ლაპარაკს და სიტყვით მიმართავს სარგონის მეომრებს: „აქამდე სარგონს არ სურდა ჩვენთან მოსვლა. ის სავსე ადგილი არის მთა გალაშუ. შესაძლოა მოხდეს დიდი ცოდვა, ძარცვა და ძალადობა ლაშქრის ხელით... „ნურდაგალი სიტყვას აგრძელებს: „ვინ არიან მეფეები უწინდელნი (და) ახლანდელნი? რომელი მეფე მოდის (რათა) ნახოს ჩვენი ქვეყნები?“ ნურდაგალი თავის სიტყვას არ ამთავრებს. სარგონი ორჯერ აფართოებს (მტრების) ქალაქის კიშკარს... მის მაღალ კედლებს არღვევს. ტოლჩა ღვინით ისმება მისი ბრწყინვალე მამაკობის სადღეგრძელო. სარგონი კიშკრიდან მიემართება ტახტისაკენ. სარგონი იწყებს ლაპარაკს და ეუბნება ნურდაგალს: „კეთილი, ნურდაგალ, ენლილის რჩეულო, ... მე შევხედავ მას!“ ... რომლის ზემოთ ლაპისლაზულის ლოდებია, ქვემოთ კი ორმოცდათხუთშეტი წარჩინებულია. ღმერთი ზაბაბა სარგონით ოქროს ტახტზე ზის. მეფე ზის ღვთაებასავით. ვინ არის მეფესავით ამალღებული? ნურდაგალს სვამენ სარგონის წინ.“ სარგონი იწყებს ლაპარაკს და ეუბნება ნურდაგალს: „კეთილი, ნურდაგალ, ენლილის რჩეულო, რატომ თქვი აქამდე სარგონს არ სურდა ჩვენთან მოსვლა. სავსე ადგილია მთა გალაშუ!“ ნურდაგალი იწყებს ლაპარაკს (და) ეუბნება სარგონს: „ო, ბატონო, შენი ღმერთის ჯარისკაცები გადაგალაზინებენ მდინარეს. რომელი ქვეყნებია აქადის ბადალი? რომელი მეფეა შენი ბადალი? შენი მტერი არ არსებობს, მათი მტრობა შეჩერებულია. მათი გულ-ღვიძლი იწყის, შენი მტრები გაშეშებულიები არიან... მინდვრის, სანახების ბატონი,

რომელიც უფრო მეტად ეხმარება. ... მის ადგილს მიუვებრუნდებით, გაკეთებულ უნდა იქნეს... ლედვის ხე, მსხლის ხე, ვაზი... ფსტის ხე, ზეთისხილის ხე, ადრე არასოდეს არ გვესურდა იმ ადგილისკენ მიბრუნება“. ...„შესაძლოა მე ქალაქის დამშვიდება მსურს, სიარულის, ჯდომის დროს დავიცვა მათი კეთილდღეობა“. სარგონი თავისი თანაგრძნობის ქალაქისკენ გაემართა. მესამე წელი იყო, მისი ტახტზე დაჯდომიდან. ფირფიტა პირველი, რომელიც ბრძოლის მეფემ...

2. ასურელთა სავაჭრო ფაქტორიებიზ კერიოლი

აქადური ენის ძველ ასურულ დიალექტზე შედგენილი ტექსტები, ცნობილი „კაპადოკიური“ ფირფიტების სახელით, მომდინარეობენ: ძველი მცირე აზიის ცენტრალური ნაწილიდან და თარიღდებიან ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით. ეს წერილობითი წყაროები, რომლებიც უმთავრესად ცენტრალური მცირე აზიის სამ უმნიშვნელოვანეს ქალაქ-სახელმწიფოში აღმოაჩინეს (ქანესი, თანამ. ქიულ-თეფე, ამქუვა, თანამ. ალიშარი და ხათუსი, თანამ. ბოლაზქოი), ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული ხასიათის დოკუმენტებს წარმოადგენენ. მათში აისახა როგორც ასურელი ვაჭრების მიერ ძველ ანატოლიაში სავაჭრო ფაქტორიების დაარსებისა და იქ მოღვაწეობის ეტაპები, ასევე ადგილობრივი მცირეაზიული საზოგადოების ცხოვრების ამსახველი ფაქტებიც.

თარგმანები შესრულებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: ATHE—B. Kienast, *Altassyrische Texte des Orientalistischen Seminars der Universität Heidelberg und der Sammlung Erlenmeyer—Basel*, Berlin, 1960; BIN 4, 6—*Babylonian Inscriptions in the Collection of J. B. Nies*, vol. 4. New Haven, 1927; vol. 6—New Haven, 1945; CCT 3—*Cuneiform Texts from Cappadocian Tablets in the British Museum*, London, 1925; EL I—G. Eifer—J. Lewy, *Die Altassyrischen Rechtsurkunden vom Kültepe*, I Teil, *MVAeG* 33, Leipzig, 1930; Gol.—W. Golenscheff, *Vingt—quatre tablettes cappadociennes*. St.—Pbg., 1891; C/T 35—K. Balkan, *Letter of King Anum—hirbi of Mama to King Warshama of Kanish*, Ankara, 1957; ICK I, II—B. Hrozný, *Inscriptions Cuneiformes du Kültepe* vol. I, Praha, 1952; vol. II—Praha, 1962; KTH—J. Lewy, *Die Kültepelexe aus der Sammlung Frida Hahn*, Berlin—Leipzig, 1930; KT g/t 36—K. Balkan, *TTKY*, VII, 31, Ankara, 1957; KTP—F. J. Stephens, *The Cappadocian Tablets in the University of Pennsylvania Museum*,—*JSOR*, XI, 1927; OIP XXVII—*University of Chicago, Oriental Institute Publications*, Chicago, 1934; TCL XXI—J. Lewy, *Tablettes cappadociennes. Troisième série*, 1935—1937. ძველ ასურულთან კართულად თარგმნება პირველად.

ა) სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის
ტექსტები

(ყველა ტექსტი თარგმნა პ. რამიშვილმა)

მონათა ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები

ICK I, 19 A⁸

საბეჭდავი მაცილისა, ბუზუზის ძისა. საბეჭდავი ფუთასი, აშუ-
რის ძისა. საბეჭდავი თამურისი, ხაბუაშუს ძისა. საბეჭდავი შაქრი-
უმანისა, ალარის ძისა. საბეჭდავი თალხამასი. საბეჭდავი ხიშთახშუ-
სი, თალხამას⁹ ვაჟისა. საბეჭდავი ხაფუალასი. 1/3 მინა 1/4 სიკლი
ლითი¹⁰ ვერცხლი, შუფიანიქას ფასი, ვალავალამ ხაფუალას, მისი¹¹
ქმარს მიუწონა. მონა ქალი არის მისი¹² მონა ქალი. ამ მონა ქალთან
დაკავშირებით არავინ არ უნდა განაცხადოს პრეტენზია. მონა ქალის
მიმართ თავმდებნი არიან თალხამა და ხიშთახშუ, მისი ვაჟი. უკეთუ
ვინმე, მონა ქალთან დაკავშირებით ვალავალას პრეტენზიას განუცხა-
დებს, მაშინ თალხამამ და ხიშთახშუმ, მისმა ვაჟმა, ვალავალას ინტე-
რესები უნდა დაიცვან. უკეთუ ისინი ამას არ გააკეთებენ, მაშინ 1
მინა ლითი ვერცხლს თალხამა და ხიშთახშუ, მისი ვაჟი, ვალავალას
მიუწონიან და მონა ქალს უკან დაუბრუნებენ¹³.

ICK I 19 B

1/3 მინა 1/4 სიკლი ლითი ვერცხლი, შუფიანიქას ფასი, ვალავა-
ლამ ხაფუალას, მის ქმარს მიუწონა მონა ქალი არის მისი მონა
ქალი. ამ მონა ქალთან დაკავშირებით არავინ არ უნდა განაცხადოს
პრეტენზია. მონა ქალის მიმართ თავმდებნი არიან თალხამა და ხიშ-
თახშუ. უკეთუ ვინმე, მონა ქალთან დაკავშირებით ვალავალას პრე-
ტენზიას განუცხადებს, მაშინ თალხამამ და ხიშთახშუმ, მისმა ვაჟმა,
ვალავალას ინტერესები უნდა დაიცვან. უკეთუ ისინი ამას არ გაა-
კეთებენ, მაშინ 1 მინა ლითი ვერცხლს თალხამა და ხიშთახშუ, მისი
ვაჟი. ვალავალას მიუწონიან, და მონა ქალს უკან დაუბრუნებენ. ბუ-
ზუზის ძის, მაცილის წინაშე. იდი-აშურის ძის, ფუთას წინაშე. ხაფუ-
აშუს ძის, თამურის წინაშე. ალარის ძის, შაქრიუმანის წინაშე.

ICK I, 27a

თავისი ქალიშვილი, ხანამ ახათითიმს მიჰყიდა. 1/2 მინა (და) 1
1/2 სიკლი ვერცხლი მიუწონეს ხანას. უკეთუ ხანა თავის ქალიშვილს

უკან წაიყვანს, მაშინ ხანამ 1 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს ახათითიმს და თავის ქალიშვილს უკან დაიბრუნებს. უკეთუ ხანას ქალიშვილი რაიმე დანაშაულს, ან ცოდვას ჩაიდენს, მაშინ ახათითიმს შეუძლია გაყიდოს იგი გარკვეულ ფასად. უკეთუ ვინმე ხანას ქალიშვილს დაიჭერს, მაშინ ხანა ახათითიმს დაიჭერს. საბეჭდავი ხანასი. საბეჭდავი დალაშასი. საბეჭდავი ფერივასი, ხამურიას ძისა.

ICK I, 27b

1 თავისი ქალიშვილი, ხანამ ახათითიმს მიჰყიდა. 1/2 მინა (და) 1 1/2 სიკლი ვერცხლი მიუწონეს ხანას. უკეთუ ხანა თავის ქალიშვილს უკან წაიყვანს, მაშინ ხანამ 1 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს ახათითიმს და თავის ქალიშვილს უკან დაიბრუნებს. უკეთუ ვინმე ხანას ქალიშვილს დაიჭერს, მაშინ ხანა ახათითიმს დაიჭერს. უკეთუ ხანას ქალიშვილი რაიმე დანაშაულს, ან ცოდვას ჩაიდენს, მაშინ ახათითიმს შეუძლია გაჰყიდოს იგი გარკვეულ ფასად. დალაშას წინაშე. ფერივას წინაშე.

ICK I, 35a

საბეჭდავი უშუნამანისა. საბეჭდავი ხამარასი. საბეჭდავი აბიადისა. საბეჭდავი თათქიფუშისა. საბეჭდავი შუფიანიქასი. შუფიანიქამ თავისი დედა, სული, გარკვეულ ფასად გაყიდა. შალუათამ იგი იყიდა. უკეთუ ვინმე ამ (სამართლებრივ) საქმესთან დაკავშირებით პრეტენზიას განაცხადებს, 1/2 მინა ვერცხლს მიუწონის შალუათას.

BIN 4, 209b

საბეჭდავი ენუმაშურისა, ხაბას ძისა. საბეჭდავი თიფულასი. საბეჭდავი სივამშემისა. საბეჭდავი ქუქრანასი. მონა ქალი ბალხუსია 6 ზიკლ ვერცხლად ანაშამ და შალიათამ სივამშემისა და ქუქრანასაგან იყიდეს. უკეთუ ვინმე მონა ქალთან დაკავშირებით ანაშას და შალიათას პრეტენზიას განუცხადებს, მაშინ სივამშემი და ქუქრანი 1/2 მინა ვერცხლს მიუწონიან მათ (ე. ი. ანაშას და შალიათას).

BIN 4, 212

მონა ქალის. შათაშურის ფასია 1/2 მინა ვერცხლი. შუანუმმა, ინსინის ვაჟმა, გაყიდა იგი. იგი კმაყოფილია (ამ გარიგებით). უკეთუ ვინმე ამ მონა ქალთან დაკავშირებით ლამაშას, ალილის ვაჟს

პრეტენზიას განუცხადებს... (ტექსტის დანარჩენი ნაწილი დაზიანებულია და არ იკითხება).

KTP 43

მონა ქალი ზიბეზიბე და მისი ქალიშვილი თეფუქუნიანი, თარ-ბუნმა, ფერუვას ცოლმა ლაბადანიქამ, ვარფამ და მისმა ვაჟებმა გარკვეულ ფასად გაყიდეს. ისინი (ე. ი. მონა ქალი ზიბეზიბე და მისი ქალიშვილი თეფუქუნიანი) 1/2 მინა (და) 7 1/2 სიკლ ვერცხლად შაფთამანიქამ იყიდა. უკეთუ ვინმე ამ საქმესთან დაკავშირებით, ზიბეზიბეს და მისი ქალიშვილის თაობაზე, შაფთამანიქას პრეტენზიას განუცხადებს, იგი (ე. ი. პრეტენზიის განმცხადებელი) 5 მინა ვერცხლს გადაიხდის, ან მოკლავენ მას. ვარფას, მეფის ხელით, ხალქიაშუს, კიბის მოძღვრის ხელით. გალაზის წინაშე, ფერუვას, ინარის ძის წინაშე. ფერუვას, ნაფარის ძის წინაშე:

TTYK kt ,h/t: 330

ლაქანმა ქაბსისაგან 6 სიკლ ვერცხლად იყიდა თამურია. უკეთუ ვინმე თამურიასთან დაკავშირებით პრეტენზიას განუცხადებს ლაქანს, მაშინ იგი (ე. ი. პრეტენზიის განმცხადებელი) 1/2 მინა ვერცხლს მიუწონის მას (ე. ი. ლაქანს). ზაბუაშუს წინაშე, ქალილავეითრას წინაშე. ანაბლუქას წინაშე. სუფას წინაშე. შუბუნახშუს წინაშე. აშუანის წინაშე.

ცუხარუმთა ყიდვა-გაყიდვისა და საქმიანობის
ამსახველი დოკუმენტები

OIP XXVII, 18a

ამურაშურმა, შუიშთარის ვაჟმა თაზქულთან წავიყვანა ჩვენ (მოწმებდად). ამგვარად უთხრა ამურაშურმა თაზქულს: „ორი ხარი და ბატკანი მე დაგიბრუნე შენ. ერთი თვის განმავლობაში ჩემი ცუხარუმი¹⁴, შეთანხმების მიხედვით, შენ უნდა დაგებრუნებინა ჩემთვის. (მაგრამ) შენ არ დაგიბრუნებია ცუხარუმი, რომელიც წაიყვანე“. ამგვარად უპასუხა თაზქულმა ამურაშურს: „მართალია, ჩემი ორი ხარი და ბატკანი შეთანხმებისამებრ შენ დამიბრუნე. ერთი თვის განმავლობაში ცუხარუმიც უნდა დამებრუნებინა, მაგრამ არ დამიბრუნებია იგი შენთვის. (ამიტომ) 1/2 მინა ვერცხლს მე მოგიწონი შენ“. ქინათის თვე. ეპონიმი¹⁵ ზიზა, აბენარას ძე.

ამგვარად უპასუხა თაზქულმა ამურაშურს: „მართალია, ჩემი ორი ხარი და ბატკანი შეთანხმებისამებრ შენ დამიბრუნე. ერთი თვის განმავლობაში ცუხარუმიც უნდა დამებრუნებინა, მაგრამ არ დამიბრუნებია იგი შენთვის. (ამიტომ) 1/2 მინა ვერცხლს მე მოგიწონი შენ“. ქინათის თვე. ეპონიმი ზიზა, აბენარას ძე.

Gol. 15

ქურუბიშთარს უთხარი, აი, რას ამბობს ამურრუბანი: „ელჩ ქულუას 30 ქუთანუდან¹⁶ შვიდი ქუთანუ ჩემს ტაძარს ეკუთვნის. სამი ქსოვილი და 25 ცუბათუ¹⁷ ეკუთვნის აშურმალიქის ვაყს და იდისუენს. ცუხარუმმა შენს ანგარიშზე მოახდინა თანხის რეგისტრირება. კიდევ 40 ქუთანუ... (ტექსტის დანარჩენი ნაწილი დაზიანებულია და არ იკითხება).

Gol. 20

აი, რას ამბობს აშურიმითი, ვაშურუს, ბუზის და იშთარლამასის უთხარი: „ჩვენს მიერ დამოწმებული სამი სიკლი ვერცხლი თქვენთან მოაქვს ფილახიშთარს. მამაჩვენის ამანათის დეპონირება ნამდვილად გავაკეთეთ. უკეთუ ცუხარუმი ზალფიდან¹⁸ მოვიდა, ფილახიშთართან ერთად გააგზავნეთ. ანახილის ჩალა მივეცი. ხიშთახშუს ავლა-დიდება მათ წაიღეს. ჩალა დააბრუნეთ და ნივთები წაიღეთ აქედან. ვაშურუს უთხარი: „შენ მამა ხარ ჩვენი, ოჯახი არ იშიმშილებს ერთი თვის მანძილზე. ამიტომ ნუ იღელვებ“.

Gol. 17

ითურილის უთხარი, აი, რას ამბობს იშმააშური: „ჩემი ცუხარუმები ქუბურნათიდან¹⁹ ჯერ არ დაბრუნებულან. ამის გამო მე დავყოვნდი. როგორც კი გამოჩნდებიან ცუხარუმები, მე მაშინვე წავალ და ყველაფერს შევატყობინებ გზადაგზა. შენ აქ ხშირად გვწერ (და) რაც შეეხება შალმააშურს, იგი აღარ მოგზაურობს სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებით. შენს შეკვეთებზე შეგიძლია იგი (ე. ი. შალმააშური) გააგზავნო, თავად კი ნუ ჩამოხვალ აქ. ექვსი მინა ვერცხლი, რომელიც შულაბანისაა, მან მოგვცა.

იმდილეში²⁰ ამგვარად ეუბნება ენამბელუმს და აშურცულულის, ფუცურაშურს უთხარით: „ამურიშთარის 245 ცუბათუდან, სამი ცალი ხახუმში²¹ შენი სიმამრის ვაჟის ოჯახში დაეტოვე, სამი ცალი ახლა შეიტანა. დარჩენილი 239 სასახლეში შეიტანეს. მათგან 12 სასახლის ბაჟია, 23 — მეათედი. მხოლოდ ერთი ცალი იყიდა სასახლემ. 38 ცუბათუს საფასურს ქარუმი²² გადაგიხდის. დარჩენილი 166 ცუბათუ შეიძლება უკვე გაიყიდოს. ფუშუქენს²³ გაჰქონდა ირაის ვაჟის კონტრაბანდა. სასახლემ ფუშუქენი დაიჭირა და კონტრაბანდა წაართვა. ფუშუქენს ხელობრიკილები დაადეს. დაცვა ძალზე მკაცრია. კონტრაბანდის თაობაზე დედოფალმა მისწერა ქალაქებს: ლუხუსათიას²⁴, ხურამას²⁵, შალახშუევას²⁶ და ამიტომ თვალს არ აშორებენ საქონელს. გთხოვთ, მალულად არაფერი არ გაიტანო! თუკი თიმილქიაზე²⁷ გავლით წამოხვალ, რკინა საიმედო სახლში დატოვე. თიმილქიაში დატოვებულ რკინას, ყურადღება მიაქციოს ყველაზე უფრო საიმედო ცუბარუმმა, შენ კი სასწრაფოდ წამოდი, რათა მოვითათბიროთ, რა გზით გავიტანოთ რკინა.

ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ და ძ ვ ე ლ ა ს უ რ ე ლ ვ ა ქ ა რ თ ა
 მ ო დ ვ ა წ ე ო ბ ი ს ა მ ს ა ხ ვ ე ლ ი დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი
 (ვ ა ქ რ ო ბ ა ლ ი თ ო ნ ე ბ ი თ, ქ ს ო ვ ი ლ ე ბ ი თ,
 ს ა მ ე უ რ ნ ე ო ხ ა ს ი ა თ ი ს ტ ე ქ ს ტ ე ბ ი)

EL, 108

30 მინა ვერცხლი თავისი ნიშნით²⁸ გადასახადით, დადაიამ ანდო ქუქულანუმს, ქუთაიის ვაჟს, რომელმაც წაიღო ქალაქში საყიდლების გასაკეთებლად. ეს ვერცხლი ენლილბანისაა. აქედან ვერცხლი გადაივლის ქვეყანას ენლილბანის სახელით. შეძენილი საქონელი დატოვებს ქალაქს და გადაივლის ქვეყანას კვლავ ენლილბანის სახელით. საქონელი ჩავა ქანესში²⁹ და ენლილბანი მიიღებს მას. საბეჭდავი ბაზიასი, ილიქურუბის ძისა. საბეჭდავი ასუთაიასი, ემემეს ძისა. საბეჭდავი აშურიდისა, ქურუბიშთარის ძისა.

BIN 4, 194

17 მინა ვერცხლი თავისი ნიშნით გადასახადით, დამატებული 1/2 მინა ოქრო, დადაიამ დაბეჭდა და მისცა ქუქულანუმს (და) გაუგზავნა მის წარმომადგენლებს. ეს ვერცხლი და ოქრო დადაიას არ ეკუთვნის. იგი ენლილბანის არის. ეს ვერცხლი და ოქრო გადაივლის ქვეყანას ენლილბანის სახელით. ქალაქიდან კი საქონელი კვლავ ენ-

ლილბანის სახელზე დაბრუნდება აქ. საქონელი მშვიდობიანად ჩამო-
აღწევს აქამდე და ენლილბანი მიღებს მას. დადაიას საქონელთან
ხელი არა აქვს.

KTH 25

10 მინა ვერცხლი თავისი ნიშნათუ გადასახადით და თამქარუ-
მის³⁰ ბეჭდით, მე ვანდე ქუქულანუმს, ქუთაიას ვაყს. მან წაიღო იგი.
(ე. ი. ვერცხლი) ქალაქში საყიდლებისათვის, რომლებსაც (შემდგომ)
მიიტანს თამქარუმის წარმომადგენლებთან. საბეჭდავი უზუასი, ლი-
ბაიას ძისა. საბეჭდავი ამარუმისა, იბნიადადის ძისა.

ICK 2, 97

12 მინა ვერცხლი თავისი ნიშნათუ გადასახადით, ფუშუქენის სა-
კუთრება არის. 12 მინა ვერცხლი თავი ნიშნათუ გადასახადით, იმდი-
ლუმის საკუთრება არის. სულ 24 მინა ვერცხლი თავისი ნიშნათუ გა-
დასახადით იმდილუმმა ანდო ხინაიას. ვერცხლი და მისგან მოტანი-
ლი მოგება ქალაქიდან ჩვენთან მოვა და მას შუაზე გავიყოფთ. საბე-
ჭდავი აშურტულულისა. საბეჭდავი ხურაყანუმისა.

ICK 1, 71

ერთ პაკეტში მოთავსებული 10 1/2 მინა ვერცხლი ფუშუქენის სა-
კუთრება არის. და თამქარუმს ამ ვერცხლის შადლუათუ³¹ გადასახადი
გადახდილი აქვს. პატარა პაკეტში მოთავსებული ერთი მინა ვერცხლი
უნდა მიეცეს ჩემს წარმომადგენლებს. ერთი პატარა პაკეტი და მას
დამატებული 1/2 მინა ვერცხლი, აგრეთვე უნდა მიეცეს ჩემს წარმო-
მადგენლებს. პაკეტი 5/6 მინა ვერცხლით ვაშნანის საკუთრებაა. ეს
ყველაფერი ვანდე ელალის ვაყს. საბეჭდავი აშურტაბისა. საბეჭდავი
შუქუბუმისა.

ICK 1, 167

26 მინა წმინდა ვერცხლი ჩემს მიერ დაბეჭდილი გაეგზავნოს ჩემს
წარმომადგენლებს. 10 მინა წმინდა ვერცხლი ენანბულუმის და ჩემს
მიერ დაბეჭდილი გაეგზავნოს ფუშუქენს და ფუცურაშურს. 10 მინა
ვერცხლი ჩემს მიერ დაბეჭდილი. რომელიც ენამაშურის საკუთრებაა,
გაეგზავნოს მის წარმომადგენლებს. 2 მინა ოქრო დაბეჭდილი ენამა-
შურის მიერ გაეგზავნოს ილიშთიქალს. 1 1/2 მინა ვერცხლი ფუცურა-
შურის და ჩემს მიერ დაბეჭდილი გაეგზავნოს ფუშუქენს. 5/6 მინა

ვერცხლი — ქუთალანუმის სამუშაო კაპიტალია, ხოლო 1/2 მინა ვერცხლი კი — უზუასი. ყოველივე ეს, პაკეტებში მოთავსებული, ვანდე ქუთალანუმს. საბეჭდავი ხურაცანუმისა. საბეჭდავი შუბელუმისა.

CCT 2, 4a

ამგვარად ეუბნება შალიმახუმი ლაქეფუმს და ფუშუქენს: „2 ტალანტი და 10 მინა კალა ჩემს მიერ დაბეჭდილი, 12 მინა კალა თავისთვის, 4 ქუთანუ, ექვსი შავი ქსოვილი, 1 შავი სახედარი², 1 ქუთანუ გამყოლისათვის — ყველაფერი ეს, შუსუენს, ბუზახუს ვაეს მოაქვს თქვენთან. ქსოვილები, შავი სახედარი და ჩემი კალა მცირე ხნით სესხად მიეცი შენსავით საიმედო თამქარს...

26 ქუთანუ, 1 შავი სახედარი, 5 მინა კალა, რომელიც ჩემია, შუნუნუს ხელით მოაღწევს შენამდე. 2 ტალანტი და 11 მინა დაბეჭდილი კალა, 35 ქუთანუ, 2 შავი სახედარი, 6 მინა კალა და 5/6 მინა ვერცხლი, რომელიც ჩემი არის, — ქურუბიშთარის ხელით მოაღწევს შენამდე. კალაში და ქსოვილებში აღებული თანხა, რომელსაც სასახლეში ვაქრობით მიიღებთ, მიეცი აშურთაქლაქუს. თუ აშურთაქლაქუ იქ არ დაგხვდება, გაუგზავნე იქ, სადაც იმყოფება. იმის თაობაზე, თუ როგორ გაიყიდება ჩემი საქონელი, აუცილებლად მაცნობე წერილში. აშურთაქლაქუს უთხარი, რომ ბურუშხათუმში³ არ გაჩერდეს ქარუმში! შენ კი ათ დღეზე მეტს ნუ დარჩები მანდ! მოიძიე ცუხართუმები⁴ და დროზე ჩამოდი!

BIN 6, 65

1 ამგვარად უთხრეს აშურმუთაბილს: „1/3 მინა და 6 1/3 სიკლი ოქრო, რომელიც აშურმალიქმა აქ მოიტანა, გაიყიდა 8 5/6 სიკლად თითოეული, ვერცხლის (კურსით) კი — 3 5/6 მინად და 2 3/6 სიკლად გაიყიდა. აქედან 9 2/3 სიკლი ვერცხლი მივეცი, როგორც ნიშნათუ გადასახადი; 1/3 მინა 2 სიკლი ვერცხლი მივეცი სახედარში და მის ზღკურვილობაში; 2 სიკლი დასჭირდა გასაგზავნად გადასახადს; 1 1/2 სიკლი — ტომრებს; 5 სიკლი ვერცხლი ჩვენ მივეცი შამაშთაქლაქუს; 2 5/6 მინა 5 სიკლი კალა ვერცხლის კურსით შეფასდა 12 1/2 სიკლად; 22 ქსოვილი ვერცხლის კურსით 3 მინა ვერცხლად შეფასდა; ერთი შავი სახედარი — ყოველივე ეს, ჩემს მიერ დაბეჭდილი, აშურმალიქს შენთან მოაქვს.

4 63 ფირიქანუ-ქსოვილი³⁵ ცუხარუმების შესამოსად ღირს 1 5/6 მინა და 1/4 სიკლი ვერცხლი. 40 ფირიქანუ — ქსოვილის ფასია 1 1/3 მინა, 62/3 სიკლი ვერცხლი. 49 ცხვრისა და 9 ვაცის ფასია 5/6 მინა 7 1/4 სიკლი ვერცხლი. 52 ცუბათუს ფასია 13 სიკლი ვერცხლი. ხარის 3 უღლის ფასია 9 სიკლი ვერცხლი. 10 ნასისთუ³⁶ — ტანსაცმლის ფასია 3 სიკლი ვერცხლი. 2 დოქის ფასია 1 1/2 სიკლი ვერცხლი. 8 მინა მირსინის ფასია 1/2 სიკლი ვერცხლი. 6 1/3 მინა მატყლის ფასია 3 სიკლი ვერცხლი. 15 მინა კედარის ფასია 1/4 სიკლი ვერცხლი. 2 კა ყვლიავის ფასია 1 1/3 სიკლი ვერცხლი. 1/2 კა ქინძის ფასია 1/4 სიკლი ვერცხლი. 1/4 სიკლი ვერცხლი ალადირუმს მიეუწონე, 5 მინა კი — განუას. 45 2/3 მინა ალოე. ერთი ფუთა. რომელშიც ტანსაცმელია ჩემს მიერ დაბეჭდილი, კარის საკეტი. მაგიდა. სახედრის უნაგირი, სქელი ტყავები. ფირიქანუ-ქსოვილები ლუხუსათიაში წავიდე. იმ ფირიქანუ-ქსოვილებიდან, რომლებიც ადადბანიმ მოგიტანა, 4 ფირიქანუ-ქსოვილი იბიშასია. შვიდი სახედარი, აგრეთვე მათი აღჭურვილობა და ერთი შეკვრა ბრტყელი ფიცრები — ყოველივე ეს, ადადბანის და ურადქუბის მოაქეთ შენთან. ფირიქანუ-ქსოვილები ჩემს მიერ იქნა დაბეჭდილი. 1 მინა ვერცხლი ადადბანიმ წაიღო. 1/2 მინა ვერცხლი ურადქუბის მე მივეცი. 3 მინა და 4 სიკლი ალოე. 1/2 მინა კალა, 200 ქიბუნანუმი³⁷, 100 სავარცხელი — 1/4 სიკლ ვერცხლად თითო, სადგარები 1/4 სიკლ ვერცხლად, აგრეთვე 1/2 კა კვლიავი — ყოველივე ეს, ადადბანის და ურადქუბის ხელეზში მივეცი. ხაზუნანუმს და ადახშის 400 ქიბუნანუმი მოთავსებული ერთ შეკვრაში და დაბეჭდილი ჩემს მიერ, შენთან მოაქეთ. 1 მინა სპილენძი ხელეზში მივეცი მათ. სამი დუღუბათუმის³⁸ ფასია 2 1/4 სიკლი ვერცხლი. 2 მინა ვერცხლი ამურბელავათიმს, ამურას ვაყს მივეცი. 1 მინა ვერცხლი შუიშხარას მივეცი. 15 სიკლი ვერცხლი ამურტულულის მივეცი. 18 ფირიქანუ-ქსოვილი ღირს 18 სიკლი ვერცხლი. 12 ფირიქანუ-ქსოვილი ღირს 18 სიკლი ვერცხლი. ნასისთუ-ტანსაცმლის ფასი 1 სიკლი ვერცხლია. 1 სიკლი ვერცხლი ტოლია 5 სიკლი კალისა. 1/4 სიკლი დასჭირდა სადგარებს. სულ იქუნუმმა მოიტანა 1/2 მინა 8 1/4 სიკლი ვერცხლი. 30 ფირიქანუ-ქსოვილი, 1 შავი სახედარი თავისი აღჭურვილობით იქუნუმს ვანდე. სამი ლუბუშუმი³⁹ ცუხარუმებისათვის მას მოაქვს. ენლილბანის წინაშე. 8 1/2 სიკლი ვერცხლი უნდა მიეცეს ჩამოთვლილი საქონლის მეთვალყურეს და გამყოლს, რომელიც ლიბურბელიზე ადრე მოვიდა. ვაცის 52 სანდლის თასმების ფასია 6 1/4 სიკლი ვერცხლი. 230 სადგარის ფასია 5 სიკლი ვერცხლი. ქალის 20 სანდლის თასმების ფასია 2 1/4 სიკლი ვერცხლი. ყოველივე ეს ლიბურბელიმ თავის ბატონს

მიუტანა. 1/4 სიკლი ვერცხლი, აგრეთვე სანდლის ორი თასმა, რომლის ფასია 1/4 სიკლი ვერცხლი, ლიბურბელის მივეცი. ტანსაცმელში ორი სიკლი ვერცხლი წაიღეს. სახედრის საკვებში ოთხი სიკლი ვერცხლი წაიღეს. 1 1/4 სიკლი ვერცხლი სადღესასწაულო ტანსაცმელში მივეცი: 1/4 სიკლი ვერცხლი — ორი ფეხსაცმლის ფასია.

OIP XXVII, 54

2/3 სიკლს გამოკლებული 6 1/2 ვერცხლის მარცვალი, რომელიც ქანესიდან უშხანიაში⁴⁰ აღაბუმის, ადადბანის ძის სახელზეა გამოგზავნილი, მე მივეუწონე. სამი სიკლი კალა(და) სახედრის საგზაო ბაჟი, აგრეთვე უშხანიაში მივეუწონე. 12 სიკლი კალა ვაბართუმს⁴¹ უშხანიაში მივეცი. მისი შენაძენი შეადგენს 3 1/2 სიკლ კალას. 5 სიკლი კალა მალითაში⁴² მივეცი. X სიკლი კალა ღირს სახედარი. X სიკლი კალა გამყოლის გასამრჯელოა, რომელიც უშხანიადან მალითაში გამოგვეყვასამი მინა სპილენძი ნაჭრების სახით მივეუწონე მალითაელ გამყოლს, რომელიც მალითადან უშხანიაში წამოგვეყვა. ეს მისი გასამრჯელოა.

ბ) ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები

1. ანუმ-ხირბის ტექსტი

„კაპადოკიური“ ფირფიტების ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის უაღრესად მცირერიცხოვან ტექსტებში განსაკუთრებული ადგილი უკავია დოკუმენტს, რომელსაც ასირიოლოგებმა უწოდეს „ანუმ-ხირბის. მამას მეფის წერილი ქანესის მეფე ვარშამასადმი“. ამ უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროში თვალნათლივ წარმოჩნდა ძველი მცირე აზიის ქალაქ-სახელმწიფოთა და მათ მმართველთა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. იგი თარიღდება ძვ. წ. XIX—XVIII საუკუნეებით.

თარგმანს შესრულებული შემდეგი გამოცემის მიხედვით: K. Balkan, Letter of King Anum-hirbi of Mama to King Warshama of Kanish, TTKY, VII, Series 31, Ankara, 1957. თარგმანს პ. რამიშვილმა.

G/T 35

ამგვარად ლაპარაკობს ანუმ-ხირბი, მამას⁴³ მეფე, ეუბნება ვარშამას, ქანესის მეფეს: „შენ მე მწერდი, აი, რას მეუბნებოდი მე: „თაიშამაელი“ ჩემი მონაა, მე მას ავლაგმავ, შენ კი — სიბუხაელი“⁴⁵, შენ მონა, გყავდეს მორჩილებაში“. მას შემდეგ მოყოლებული თაიშამაე-

ლი, შენი ძალდი, ედავება სხვა მეფეებს. ამიტომაც სიბუხაელი, ჩემი ძალდი, ედავება სხვა მეფეებს. თაიშამაელი გადაიქცა ჩვენს მესამე-
თანამმართველად! როგორც კი ჩემმა მთავარმა მტერმა დამამარცხა,
მაშინვე თაიშამაელი ჩემს ქვეყანას თავს დაესხა და მე თორმეტი და-
სახლება დაეკარგე. გარდა ამისა, მან (ე. ი. თაიშამაელმა) მსხვილფეხა
და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიც წაასხა! თაიშამაელმა ამგვარად
თქვა: „მეფე მკვდარია“. მან გადაწვა ჩემი ქვეყანა და ნახანძრალეებითა
გააცამტვერა იგი! როდესაც მამაშენს, ინარს, ცბრა წლის განმავლო-
ბაში ალყაში ჰყავდა ქალაქი ხარსამნა⁴⁶, ჩემი ქვეყანა თავს არ დასხმია-
შენს ქვეყანას, (და) არც მსხვილფეხა, (და) არც წვრილფეხა რქოსანი-
პირუტყვი არ წაუხსნია. ახლა კი მწერ (და) ამგვარად ლაპარაკობ:
„რატომ გზას არ მითავისუფლებ მე?“ მე ნამდვილად გაგითავისუფ-
ლებ გზას... (მომდევნო სტრიქონები დაზიანებულია). ჩვიდმეტ კაცთან
ერთად... (ყველა დაზიანებულია ტექსტი). შენ მე მწერ, აი, რას ამ-
ბობ: „ქვემარბიტად შეეფვიცოთ ერთმანეთს! უწინდელი ფიცი არ არის-
საკმარისი“. დე, შენი ელჩი მოვიდეს ჩემთან, (მაშინ) ჩემი ელჩიც
მოვა შენთან.

ტექსტები „კიბის მოძღვრის“ ხელმოწერით

(ყველა ტექსტი თარგმნილია პ. რამიშვილის მიერ)

„კაბადოკიურ“ ფირფიტებში მოხსენიებული ქალაქ-სახელმწიფოების სამეფო-
კარის მოხელეთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფიგურას „კიბის მოძღვა-
რი“ წარმოადგენდა. მეცნიერთა აზრით, მეფესთან და დედოფალთან ერთად, სწო-
რედ მას ეპყრა ხელთ ძველი მცირე აზიის ქალაქ-სახელმწიფოთა სასამართლო
უფლებამოსილება, რაც კარგად დასტურდება იმ დოკუმენტებით, სადაც გვხვდება
სოციალური ტერმინი „კიბის მოძღვარი“.

OIP XXVII, 5

ნაბიენლილს ამგვარად ეუბნება ენააშური: „ხუთ დღეში მე წა-
ვალ ზალფას. ამა, მრეცხავი უკვე გამოგიგზავნე. ჩემი ალანუმი⁴⁷ აიღე
და გამომიგზავნე. გამომიგზავნე ხუთი ან ათი მინა სპილენძი. და ორი-
მსუქანი ვაცი, რადგან ხორცი გამითავდა. რაც შეეხება ხაბირუ კა-
ცებს⁴⁸ შალაზშუეადან⁴⁹, რომლებიც ამჟამად ქიშიაში⁵⁰ იმყოფებიან:
მე გირჩევ წახვიდე და დედოფლისა და კიბის მოძღვრის აზრი გაიგო-
მათ (ე. ი. ხაბირუ კაცების) შესახებ. თუ მათ ისინი (ე. ი. დედოფალი
და კიბის მოძღვარი) გაუშვებენ, გამოაგზავნე ჩემთან. თუ არ გაუშვე-
ბენ, გამოისყიდე ეს კაცები. როგორც გამოსასყიდი თანხაც არ უნდა.
მოგთხოვოს სასახლემ, მაცნობე წერილში და მე აუცილებლად გამო-

გიგზავნი. მრეცხავი უკანვე გამომიგზავნე. შენი ძმის ჯანმრთელობის ამბავი, სადაც არ უნდა გაჩერდეს, შემატყობინე“.

OIP XXVII, 49^a

ხარშუმალგა, შუბუნუმანი, იანიგა, ზუმა. ილაღელგა და ბერუვა უმცროსი, რომლებიც ერთად ექვს სულს შეადგენენ, ამქუევაში⁵¹, დიდი ბურულუმის⁵² ხაბუვალას მეურნეობაში იმყოფებიან. შუბუნახშუ. მათი ნათესავი მოვიდა და აუწყა მათ (ე. ი. ექვს კაცს), რომ დიდი ბურულუმი ხაბუვალა, რომელიც ამქუევაშია, კეთილადაა განწყობილი მათდამი და ისინი ხაბუვალამ შუბუნახშუსთან გაუშვა. ამგვარად შეთანხმდნენ: ძმა ძმის წინააღმდეგ არ მობრუნდება. ვინც მობრუნდება. ერთ მინა ვერცხლს გაიღებს, ან მას მოკლავენ. დიდი მეფის, ანითას⁵³ (და) ბერუვას, კიბის მოძღვრის ხელით.

KT g/t 36

ქურარი, ინარი, სხვა ინარი, ხარშა, შახიშუნუმენი, ქიფანუ, ხანუვა, ხაფუვაშუ — სულ რვა კაცი — იმყოფებიან ხალკიაშუსთან, ბელელის უფროსთან. მამარუვათია, ოლქის უფროსის კაცი, იმყოფება ქალაქ ფარვააში. რუვათია, ოლქის უფროსის კაცი, იმყოფება ქალაქ საფალაში. ფერუვა, ოლქის უფროსის კაცი, იმყოფება ქალაქ ვარშამაში. ხაფუვაშუ, დურგალი იმყოფება ქალაქ ქულუნაში. შიკრიკი ქულანალა და კიდევ სამი სული, მათთან ერთად მალავალა და ხუტია, იმყოფებიან ქალაქ თუმინაში. ფერუვა და დედამისი იმყოფებიან ქალაქ ქასანაში. ექვსი სული იმყოფება ქალაქ ხასუშარაში. თორმეტი სული იმყოფება ქალაქ მაშიქაში. ორი მკედელი იმყოფება ქანესში. სულ ორმოცი კაცი. ყველა ეს ხალხი (ე. ი. 40 კაცი) თურუფანის, კიბის მოძღვრის მსახურები (შინამოსამსახურენი) არიან.

EL, 188

ორმოც მინა ვერცხლად ქარია, მისი ცოლი და მისი ვაჟები მეფემ და დედოფალმა ითურილის მისცეს. ოც მინა ვერცხლის თავდებია შუბუნახშუ, შარამას ვაჟი, ალახინუმის თავი. ციფუმის თვიდან მოყოლებული, ხურმას ეპომიმობისას, ათ მინა ვერცხლს მოსავლის აღებისათვის, იგი (ე. ი. შუბუნახშუ) მიუწონის, ხოლო დარჩენილ ათ მინა ვერცხლს — მეორე მოსავლისათვის. დანარჩენ ოც მინა ვერცხლად შუბუნახშუ ქარიას, მის ცოლს და მის ვაჟებს ხანუს დაუბრუნებს და ოც მინა ვერცხლს ისინი მიუწონიან. ვერცხლი კი ქარიას,

მის ცოლს და მის ვაეებს დაეწერება. კიბის მოძღვრის წინაშე. ხიკი-
შას დეათების ქურუმის წინაშე.

Col.. 14

ხანანარუმს, ითურილის და აშურმალიქს უთხარი, ამგვარად ამ-
ბობს რუიშთარი: „თქვენ ჩემი მამები, მბრძანებლები ხართ! დაბეჭდი-
ლი ვერცხლის გადასარჩენად პირველ რიგში საჭიროა! როდესაც შენ-
მა წერილმა ქარუმის მეშვეობით ჩემამდე მოაღწია, ალულაეს, ელჩს,
ამგვარად ვუთხარი: „ქარგი, მე მძევალი ვარ და მსჯავრდადებული,
მაგრამ ჩემი დოკუმენტი ხომ ალულაას, ერთ-ერთ ჩვენს მოწმეს უჭი-
რავს ხელში, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა!“ ის შალათივარში
უნდა წასულიყო, მაგრამ კვლავინდებურად აქ იმყოფება: „ვერცხლი
ჩვენს ანგარიშზეა და რასაც ისინი მოითხოვენ — თქვენ თავად გაე-
ციოთ ჰასუხი და გაარკვიეთ! თქვენი შეკვეთები აქ მოვიდა და ისინი
გათავისუფლდნენ სარჩელისაგან. მე კი მოვედი აქ (და) მამაჩემს
კვლავინდებურად წარუდგინეს სარჩელი. თუმცა ქარუმიდან წერი-
ლიც კი მოვიდა“. აი. რა ვთქვი მე: „სადავო საქმესთან დაკავშირე-
ბით კიბის მოძღვართან ავედი“ და კიდევ ასე ვთქვი: „მოწმობა ხომ
აქ მოიტანეს მათ!“ (ტექსტის დანარჩენი ნაწილი არ იკითხება).

1 ქალღმერთ იშთარს (შუმერულად ინანა) ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი
ეკავა ძველ შუამდინარულ რელიგიურ პანთეონში. მას გამოსახვდნენ ქალის სა-
ხით, რომლის სხეულიდან იზრდებოდნენ ტოტები.

2 სახელი სარგონი ორი ნაწილისაგან შედგება: შარრუ+ქენუ და აქადურად
ნიშნავს „შეფეს კეშმარტს“.

3 ანტიოლოგთა აზრით, ვალაშუს ქვეყანა სხვა არაფერია, თუ არა ძველი
მცირე ასიის ქალაქ-სახელმწიფო ქანესის აქადიზირებული ვარიანტი.

4 ქალაქ ბურუშხანდას მეცნიერები ათავსებენ კონიის დაბლობზე, სამხრეთ-
დასავლეთ ანატოლიაში.

5 სოციალური ტერმინი სუქალუმი აღნიშნავდა სასამართლო მოხელეს.

6 ზაბაბა წარმოადგენდა ომისა და ნადირობის ღმერთს.

7 მიწის ღმერთ ენლილს, ცის ღმერთ ანთან და წყლის ღმერთ ენქისთან ერ-
თად, პირველი ადგილი ეკავა შუმერულ რელიგიურ პანთეონში.

8 ირითად ტექსტს 19-ს, ახლავს დუბლიკატი-19. „კაპადოკიური“ ფირფიტე-
ბის ეპოქის მწერლები დოკუმენტებს ხშირად ურთავდნენ დუბლიკატებს, რომლე-
ბიც მოთავსებული იყო თიხის კონვერტებში. თუკი კონვერტი დაზიანდებოდა, მას-
ში მოთავსებული იგივე შინაარსის ტექსტი საშუალებას იძლეოდა საქმიანი გარი-
გების მონაწილეებს თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი გაუგებრობა.

9 თალხამა ქალის სახელია. ხიშთახუ კი — მისი ვაჟი იყო.

10 აღნიშნავდა მაღალი ხარისხის ვერცხლს.

11 ე. ი. მონა ქალის ქმარს, ხაფუალას.

12 ე. ი. ვალავალასი.

13 ვალავალას.

14 ცუხარუმები — აქადურად „პატარები“, „მცირენი“ — ზშირად გვხვდებოდა „კაპადოკიურ“ ფირფიტებში, ძირითადად. ვაქართა და მათი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებში, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ვაქრობაში, და სხვადასხვა ხასიათის დავალებებს ასრულებდნენ აშურსა და ძველმცირე აზიის ქალაქ-სახელმწიფოებში.

15 ეაონიმები (აქადურად ლიმუ), ქარუმის დასახლებების თავები იყვნენ, რომლებსაც ირჩევდნენ განსაზღვრული ვადით.

16 ქუთანუ მატყლისგან დამზადებულ მაღალი ხარისხის ქსოვილს წარმოადგენდა.

17 ცუბათუ, ასირიოლოგთა აზრით, ქსოვილის ზოგადი სახელწოდებაა. იგი თავის მხრივ, მრავალ ქვესახეობად იყოფოდა.

18 ზალფა — უკანასკნელ ხანებამდე ზუსტად არ იყო დადგენილი ქალაქი; ზალფას ადგილმდებარეობა. რამდენიმე წლის წინ ნაპოვნი ერთი ხეთური ტექსტის მეშვეობით გაირკვა, რომ იგი მდებარეობდა ხათუსის ჩრდილოეთით და განიერკობოდა შავი ზღვის სანაპიროებამდე.

19 ქებურნათი დასახლება იყო ცენტრალურ ანატოლიაში (ხეთური წყაროების ქაფურნანდა), რომელიც თიმილქის მეზობლად მდებარეობდა.

20 აშურელი ვაქარი იმდროემი დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა მცირე, აზიაში და ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო ასურელთა ფაქტორიებში.

21 ხახუმს მეცნიერები ათავსებენ თანამედროვე თურქული ქალაქის ხარ-ფუთის მახლობლად.

22 ქარუმი სავაქრო დასახლებას წარმოადგენდა, სადაც მოთავსებული იყო ასურელთა სავაქრო ორგანიზაცია.

23 ფუშუქენი, იმდროემის მსგავსად, ფართო მასშტაბის ვაქრობას ეწეოდა. ძველ ანატოლიაში და დიდ სიმდიდრეს ფლობდა.

24 ლუხუსათია — ვარაუდობენ, რომ იგი აღმოსავლეთ კილიკიის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო განლაგებული.

25 ხურამა — მეცნიერთა აზრით, ეფრატის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზეა საქმენი.

26 შალახშუეა — მას ათავსებენ ანატოლიის ცენტრალური პლატოს მიდამოებში.

27 თიმილქია — ამ ქალაქს ვარაუდობენ ანატოლიის პლატოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე.

28 ნიშხათუ გადასახადი იყო, რომელსაც ანატოლიაში სასახლე იღებდა ჩამოტანილ საქონელზე.

29 ქანესი — მდებარეობდა თანამედროვე ქიულ-თეფეს ადგილას, დაახლოებით ოც კილომეტრზე კაისერის ჩრდილოეთით.

30 თამქარუმი აქადურად ნიშნავს ვაქარს.

31 შადლათუტ გადასახადი იყო, რომელსაც სასახლე იღებდა საქონელზე.

32 შაე სახედრებს განსაკუთრებით დიდი გამოყენება ჰქონდათ ძველ მცირე აზიაში. ისინი ხურიტებს ჩამოჰყავდათ გასაყიდად და ფიზიკური გამძლეობის გამო დიდად ფასობდნენ.

33 ბურუშხათუმი (ხეთურად ფურუსხანდა, ფარსუხანდა) მოთავსებული უნდა ყოფილიყო კონიის დაბლობზე.

34 ცლხართუმი მდებარეობით სქესის ფორმაა ცუხარუმისა.

35 ფირიქანუ-ქსოვილები მზადდებოდა ძველ მცირე აზიაში მატყლის უხეშ ნაქსოვისაგან.

- 36 ნასისტოუ რომ ქსოვილია, ასირიოლოგებს ეკვი არ ეპარებათ, მაგრამ, კერძოდ, რა ტიპის, ჭერჭერობით უცნობია.
- 37 ქიბუნანუმი — მნიშვნელობა უცნობია.
- 38 დუღუბათუმი — მნიშვნელობა უცნობია.
- 39 ლუბუშუმი — ასევე უცნობია რა ტიპის ქსოვილია ლუბუშუმი.
- 40 უშხანია (იგივე ვაშხანია) — უნდა ყოფილიყო განლაგებული კაისერის სიახლოვეს.
- 41 ვაბართუმი — მეცნიერები მას ქარუმის ფილიალსაც კი უწოდებენ ხოლმე. ვაბართუმი უფრო ნაკლები მნიშვნელობის სავაჭრო ორგანიზაცია იყო, ვიდრე ქარუმი.
- 42 მალითა — როგორც ვარაუდობენ, მდებარეობდა თანამედროვე თურქული ქალაქის იეშილხისარის მიდამოებში.
- 43 მამა — უნდა ყოფილიყო მოთავსებული ქანესსა და ურშუს შორის.
- 44 თაიშამა — ათავსებენ ქანესისა და მამას მეზობლად.
- 45 სიბუხა — ვინაიდან სიბუხა მამას მეფის ვასალი იყო, სავარაუდებელია, რომ იგიც ქანესის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო განლაგებული.
- 46 ხარსამნა — ადგილმდებარეობა უცნობია.
- 47 ალანუმი — მცენარეა, რომელსაც იყენებდნენ ქსოვილების რეცხვის დროს.
- 48 ხაბირუ — ამ სოციალურ ტერმინს თარგმნიან როგორც „ტყვეს“, მოყვანილს უცხო ქვეყნიდან“, „თემიდან განდევნილს“.
- 49 შალახშუვა — მდებარეობდა ხურამას და ლუხუსათიას სამხრეთ-აღმოსავლეთით.
- 50 ქიშია — ამ გეოგრაფიული პუნქტის ადგილმდებარეობა უცნობია.
- 51 ამქუვა — მდებარეობდა თანამედროვე ალიშარის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში.
- 52 ბურულუმი — რა ფუნქციას ასრულებდა ბურულუმი სასახლეში, ზუსტად არ არის ცნობილი, თუმცა მეცნიერთა ვარაუდით, ბურულუმი უნდა ყოფილიყო საახალწლო დღესასწაულის ცერემონიალის ხელმძღვანელი სასახლეში (შდრ. ხეთურის წყაროების ფურულუმ — საახალწლო დღესასწაული).
- 53 ანითა — ფითხანას ძე, ქუსარას მეფე. დაიპყრო ძველი მცირე აზიის მრავალი ქალაქ-სახელმწიფო (იხ. ქვემოთ).

3. ანითას ტიპი

ტექსტში ასახულია ძვ. წ. XVIII ს. შუა ხანების ცენტრალური მცირე აზიის ისტორიის ამბები. ამ დროს ქუსარაში მეფობდა ანითა, ფითხანას ძე (ეს უკანასკნელიც ქუსარის მეფე იყო). როგორც ცნობილია, შოგვიანებით ქუსარაში ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი და ხეთების „ძველი სამეფო“.

დაწერილია ხეთურ ენაზე, დედანი შემორჩენილი არ არის. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ „ახალი სამეფოს“ (ძვ. წ. XIV—XIII სს.) დროინდელმა ასლებმა (რამდენიმე ფრაგმენტმა). დღეისათვის დაუდგენელია დედნის შედგენის დრო და ენა. ტექსტი ხეთურ ენაზე, შესაძლოა, არსებობდა „ძველი სამეფოს“ დროიდან (ძვ. წ. XVII ს. შუა ხანებიდან), როდესაც ხეთმა მწერლებმა დაიწყეს ტექსტების შედგენა ხეთურ და აქადურ ენებზე ხეთური ლურსმული დამწერლობის გამო-

ყენებით (განსაკუთრებით, ხათუსილი I-ის დროიდან). ექვს ოვეეს-
დენის არსებობა ხეთურ ენაზე ძვ. წ. XVIII ს. შუა ხანებისათვის,
ანითას დროსვე, როდესაც საერთოდ არ დგებოდა ტექსტები ხეთუ-
რად და არც ხეთური ლურსმული დამწერლობა არსებობდა (ამ დრო-
ისათვის ცენტრალური ანატოლიის ადგილობრივი მმართველები, მათ-
შორის, ანითა, ხმარობდნენ „კაპადოკიური“ ფირფიტების დამწერ-
ლობას, რომლითაც ადგენდნენ ტექსტებს აქადური ენის ძველ ასუ-
რულ დიალექტზე, იხ. ზემოთ). დასაშვებია, რომ ანითას საქმიანობის
ამსახველი ტექსტი ანითას დროსვე ყოფილიყო შედგენილი აქადურ-
ენაზე, საიდანაც მოგვიანებით ხეთებს უნდა ეთარგმნათ ხეთურად.

ტექსტის ლურსმული ასლები გამოქვეყნებულია გამოცემებში: KBO III 22;
KUB XXXVI 98, 98a—B. თარგმნილია რამდენიმე დასავლეთევროპულ ენაზე.
(ბ. პროზისი, ო. პარდისი, პ. ოტენისი, რ. ნოის მიერ), აგრეთვე რუსულად (ვ. ივა-
ნოვისი, გ. გიორგაძის მიერ). ხეთურიდან ქართულად ითარგმნება პირველად გ. გი-
ორგაძის მიერ).

ანითა, ძე ფითხანისა, მეფისა ქ. ქუსარისა¹, ა[სე ამბობს:] იგი
(ფითხანა) ცის ღვთაება ტაროსის მოწყალე იყო. და ოდეს იგი ღვთა-
ება ტაროსის მოწყალე იყო, ქ. ნესას² მეფემ ქუსარის მეფეს შე[უ-
ტია].

ქუსარის მეფე ქალაქიდან მთელი ძალით (ლაშქრით) ქვემოთ [და-
ეშვა] და ღამით ნესა იერიშით აიღო. ნესას მეფე შეიპყრო. ხოლო
ნესას ძეთაგან ბოროტება არავის არ მიაყენა [და ისინი თავიანთ] ღე-
დებად და მამებად ქმნა.

[და ფით] ხანას — მამაჩემის შემდეგ, იმავე წელს ამბოხება
დავაძხვე: მზის ქალღვთაების (დახმარებით) რომელი ქვემოთ ჩამო-
თვლილი ქვეყანაც აღსდგა, სწორედ ისინი [ყველანი დავა]ძხვე:

[ქ...]მა, ქ. ულამა, ... (და)... შემდგომ კი მეფე ქ. [ხათისაჲ მო-
ვიდა და იგი ქ. . . .] თემსაში გავენადგურე [ნ]ესა...

ქ. [. . .]ნა შუადლისას [ავიღე]. ქ. []მა ღამით [იერიშით
ავიღე]. ქ. [ხარქიუნა] შუადლისას [ავიღე]⁴.

[და ისინი] ცის ღვთაება ტაროსს⁵ შევწირე და ისინი ცის ღვთა-
ება ტაროსს კვლავ და[ვუდგინეთ]. ვინც ჩემს შემდგომ მეფედ გახ-
დება და [ქ. ...ნას.] ქ. [. . . მ] ას და ხარქიუნას — ნე[სას] (ამ)
მტრებს-] კვლავ ვინც დაასახლებს, იგი ნე[სას მტერი] იყოს და იგი
ყველა ქვეყნის [მტერი იყოს]. და ვითარცა ლომი ქვე[ყანას ...].

(მომდევნო სტრიქონები ძალზედ დაზიანებულია, შემორჩენილია
ცალკეული სიტყვები).

[ფითხანას, მამაჩემ]-ის შემდგომ [... (წელს) ქ. ცა]ლფუვას
ზღვა⁶ ... [ცალფუ]ვას ზღვა...

ეს სიტყვები [ფირფიტისა] ჩემი ალყაფის კარზე [მოვათავსე]. აწ და მარა[დის: (ისინი) არა]ვინ არ გაანადგუროს! უკეთუ ვინმე მათ გაანადგურებს, დაე, იგი მისი მტერი გა[ხდეს!].

ფიუსთი, მე[ფე] ხათისა შემდეგ მეორედ მო[ვიდა... (თვითონ-ფიუსთი)] და დამზმარენი მისი, რომლებიც მან მოიყვანა ისინი [სა-ლაშფაში] დაეამარცხე.

ყველა ქვეყანა ცალფუვადან ზღვისაკენ დ[ავამარცხე], წინათ-უხნამ, ცალფუვას მეფემ, ღვთაება სიუსუმი ნესადან ცალფუვას წაი-ლო. შემდგომ კი მე, ანითამ, დიდმა მეფემ, სიუსუმი ცალფუვადან უკან, ნესას, მო[ვიტანე. ხუ]ცია კი, ცალფ[უვას] მეფე, ცოცხლად ნესას ჩამოვიყვანე. ხათუსა შიმშილმა მოიკვა და იგი მე (ალყაშემორ-ტყმული) დავტოვე. მაგრამ როდესაც შემდგომ იგი შიმშილისგან და-უძლურდა, იგი ღვთაება სიუსსიმ ღვთაება ხალმასუითას გადასცა. იგი მე ღამით იერიშით ავიღე, მის ადგილას კი სარეველა (ბალახი) და-ვთ[ესე].

ვინც ჩემს შემდგომ მეფედ გახდება და ხათუსას კვლავ დაასახ-ლებს, იგი ცის ღვთაება ტაროსმა განემი[როს!].

ქ. სალატივარასაკენ სახე ჩემი მივაბ[რუნე]... და სალატივარას წინააღმდეგ საო[მარი ეტლები?] და რაზმები მისი შეიკრება. და იგი ნეს[ას მოვიყვანე].

ნესაში ქალაქის სიმაგრენი(?) ავაგე. ქალაქის შემდგომ ცის ღვთა-ება ტაროსის ტაძარი და ღვთაება სიუ[სუმის] ტაძარი [ავაგე].

ღვთაება ხალმასუითას ტაძარი, ღვთაება ტაროსის, [ჩემი უფლის, და ღვთაება სიუნასუმის ტაძარი ავაგე]. ლაშქრობიდან რაც ავლა--დიდება ჩა[მოვიტანე, იქვე მოვათავსე].

და მე ვლოცე და [ვწყევლე (?)]... იმავე დღეს [2 ლომი, 70 ლერწმის ბარდების (?), 1 გარეული ღორი (?)], 120 ნადირი— იყო ეს [ლეობარდი, ლომები, ირმები], მთის თხა თუ [...], ნესაში. [ჩემს ქალაქში, ჩამოვიყვანე].

[შემდგომ] წელს კი სალატივარაში საბრძოლველად გავეშურე. სალატივარას კაცი, [მის ვაჟიშვილებთან ერთად, აღსდგა და ჩემს წი-ნააღმდეგ] გამოემართა. [ქვეყანა და ქალაქი მისი დატოვა] და მდინარე ხ[ულანა დაიკავა].

ნესას [ლაშქარმა შემდეგ შეუტია] და დასახლებული პუნქტები მი[სი გადაწვა, ხოლო ისინი...] და ქალაქში [... 1400 მეომარი, ცხე-ნები, ვერცხლის...] და 40 აკაზ[მულობა (საბრძოლო ეტლების ცხე-ნებისა... (დატოვა)]. იგი [ადგა და (უკან) გაბრუნდა].

როდესაც [ფურუსხ ანდაში⁷ საბრძოლველად გავეშურე, ფურუ-სხანდას კაცი [ჩემთან მორჩილად გამოცხადდა] და მე 1 რკინის ტახტი (და) 1 რკინის კვერთხი [მორჩილების (ნიშნად) მომართვა].

როდესაც მე შემდგომ უკან, ნესას, დავბრუნდი, ფურუსხანდას კაციც ჩემთან ერთად [მოვიყვანე], ხოლო როდესაც იგი მოსასვენებელში (?) წავა, სწორედ იგი ჩემს წინ მარჯვნივ დაჯდეს.

1 ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია.

2 ნესა, იგივე ქანესი, მდებარეობდა თანამედროვე ქიულ-თეფეს ადგილას (კაი-სერის ახლოს).

3 ხათის ქვეყანა თანამედროვე ბოლანჯის სანახებს მოიცავდა.

4 დასახლებული გეოგრაფიული პუნქტების ადგილმდებარეობა უცნობია.

5 ამინდის, ქექა-ქუხილის ღვთაება.

6 ცალფუას ზღვა, ცალფას ზღვა — შავი ზღვა. ცალფას ქვეყანა ხათის ჩრდილოეთით განიერობოდა შავ ზღვამდე (ამიტომაც ამ ზღვას „ცალფას, ცალფუას ზღვას“ ეძახდნენ).

7 ადგილმდებარეობა დაუდგენელია. საქმენია ნესა/ქანესის სამხრეთით.

ბ) ლიტერატურული შინაარსის ტექსტები

ა მ ბ ა ვ ი ქ ა ნ ე ს ი ს დ ე დ ო ფ ლ ი ს ა დ ა მ ი ს ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა

ტექსტი შედგენილია ხეთების ძველი სამეფოს დროს (დაახლ. 1650—1500 წწ.) და წარმოადგენს ქ. ცაქფას¹ შესახებ მოთხრობათა ციკლის მითოლოგიურ შესავალს. სპეციალისტთა აზრით, იგი გარკვეული ისტორიული მოვლენების გამოძახილს წარმოადგენს. ზოგიერთი მეცნიერის თანახმად, მასში ასახულია დავა ტახტის მემკვიდრეობისათვის ხეთების ძველ სამეფოში. ერთნი ტექსტში ხელავენ ქ. ცალფაში ქანესის² კოლონიის დაარსების ფაქტს, მეორენი კი, პირიქით, ხეთურ მიგრაციას ჩრდილოეთიდან, ე. ი. ცალფადან, სამხრეთის მიმართულებით. ყოველ შემთხვევაში, ტექსტი, თუ იგი, მართლაც, ისტორიულ სინამდვილეზეა აგებული, უნდა ასახავდეს ხეთების შეღწევას ხათების (ე. ი. მცირე აზიის უძველეს ადგილობრივ მკვიდრთა) განსახლების არეალში და ორი სხვადასხვა — ხეთური და ხათური — ტრადიციების დაპირისპირებას.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: Otten, H., Eine althethitische Erzählung um die Stadt Zalpa, „Studien zu den Bogazköi-Texten“, 17, 1973; Луна, упавшая с неба, перевод Иванова В. В., 1977. ხეთურიდან ქართულად თარგმნება პირველად. (თარგმნა ი. ტატიშვილმა).

ქანიშის [დედოფალს] ერთ წელიწადში 30 ბავშვი (ვაჟები) შეეძინა. მან ასე თქვა: „ეს რა ავის მომასწავებელი (?) რამ ვშობე?!“ (დედოფალმა) ქურქელი უწმინდურობით გაავსო, შიგ თავისი ბავშვები მოათავსა და ისინი მდინარეს მიანდო³. და მდინარემ (ვაჟიშვილებ-

ბი) ზღვაში, ცალფუეას ქვეყნისკენ წაიღო. ღმერთებმა კი ბავშვები ზღვიდან ამოიყვანეს და გაზარდეს ისინი.

ამასობაში, განვლეს რა წლებმა, [დედოფალს] ისევ შეეძინა 30 (ბავშვი, ამჟერად), ქალიშვილები. ისინი მან თვითონ გაზარდა. ვაჟი-შვილები ნესაში ბრუნდებიან, წინ სახედარს მიერეკებიან. და როდესაც ქ. თაშარმარას მიაღწიეს. (ქალაქის ხალხს) ეუბნებიან: „თქვენ აქ მოსასვენებელი ოთახი გაგიტობიათ და სახედარიც აქ მოვიდა“. ქალაქის ხალხმა ასე (თქვა): „იქ, სადაც ჩვენ ვართ მოსული, სახედრებიც მოვიდნენ“. უფლისწულებმა ასე (თქვეს): „იქ, სადაც ჩვენ მოვალწიეთ, ქალი [ერთ წელიწადში მხოლოდ ერთ] ბავშვს შობს, ჩვენ კი (ქალმა) ერთად გვშობა“. ქალაქის ხალხმა ასე (თქვა):

„ერთხელ ჩვენს დედოფალს ქანიშისას 30 ქალიშვილი ერთად შეეძინა, „ვაჟიშვილები კი დაიკარგნენ“. მაშინ გულით აღმოხდათ უფლისწულებს: „ვიღას ვეძებთ? დედაჩვენი გვიპოვინია. მოდიოთ, ნესაში წავიდეთ!“ როდესაც ისინი ნესაში მივიდნენ, ღვთაებებმა მათ სხვა შიგნეულობა ჩაუდეს¹. საკუთარმა დედამ ვერ იცნო ისინი და თავისი ქალიშვილები მიათხოვა. უფროსმა ვაჟიშვილებმა ვერ იცნეს თავისი დები. ნაბოლარამ კი [თქვა: „ნუ“] შევირთავთ ჩვენს დებს! ნუ ჩაიდნენთ ცოდვას! ეს არ არის ჩვენი წესი“. მაგრამ (ძმებს უკვე) გაეტარებინათ ღამე [დებთან].

¹ ცალფა / ცალფუეა — მცირე აზიის ერთ-ერთი უძველესი პოლიტიკური ერთეული, სავაჭრო ცენტრი. მდებარეობდა შავ ზღვაზე, მდ. ყიზილ-ირმაყის შესართავთან, თანამ. ბაფრას მახლობლად.

² ქანესი (ქანიში) / ნესა — თანამ. ქიულ-თეფე. უძველესი მცირე აზიის ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

³ იგულისხმება მდ. ყიზილ-ირმაყი (ხეთ. მარასანთა), რომელიც შავ ზღვაში ჩაედინება...

⁴ ღვთაებებმა მათ სხვა შიგნეულობა ჩაუდეს... — ეს გამოთქმა აღნიშნავდა, ალბათ, ადამიანის გარეგნობის, იერის შეცვლას.

II. ხეთების სამეფო (ძვ. წ. 1650—1200 წწ.)

§ 1. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები

ა) თელიფინუს ტაქტი

ხეთების „ძველი სამეფოს“ ისტორიის (ძვ. წ. 1650—1500 წწ.) ამსახველი უმნიშვნელოვანესი წყარო. შედგენილია ამ სამეფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მმართველის — თელიფინუს — მიერ (დაახლ. ძვ. წ. 1550—1520) ტახტის მემკვიდრეობის კანონის გამოცემასთან დაკავშირებით. ჩვენამდე მოაღწია ალაგ-ალაგ დაზიანებულმა ვრცელ-

მა ხეთურმა ვერსიამ და აქადური ვერსიის ფრაგმენტებმა, რომელთა ლურსმული ასლები გამოქვეყნებულია KBO და KUB სერიების სხვადასხვა ტომში.

თარგმნილია ინგლისურად (ე. სტერტევანტისა და ჯ. ბეხტელის მიერ), გერმანულად (ი. ჰოფმანის მიერ), რუსულად (ი. მ. ღუნაევ-სკაიას მიერ), ქართულად (რუსულიდან — ი. დოლიძის მიერ).

ხეთურიდან ქართულად თარგმნება პირველად გამოცემიდან: I. Hoffmann, Der Erlaß Telipinus. Heidelberg, 1984 (თარგმანი გ. გიორგაძისა).

[ასე ა(მზობს)] თაბარა თელიფინუ, მეფე დიდი: წინათ ლაბარა დიდი მეფე იყო. და მაშინ ძენი მისი, [ძმანი] მისი და მოყვასნი მისი, თვისტომნი მისი და ლაშქარი მისი გაერთიანებული (ერთობით) იყვნენ.

ქვეყანა კი პატარა იყო. მაგრამ საითაც იგი სალაქშროდ წავიდოდა, მტრის ქვეყანას (ძლიერი) ხელით ამარცხებდა.

და (მტრის) ქვეყნებს ანადგურებდა და (ამ) ქვეყნებს ასუსტებდა, იგი მათ ზღვის საზღვრებად ქმნიდა. ხოლო როდესაც იგი ლაშქრობიდან უკან ბრუნდებოდა, თითოეული მისი ძეთაგანი რომელიმე (ამ) ქვეყანაში მიდიოდა: ხუფისნაში, თუვანუვაში, ნენასაში, ლანდაში, ცალარაში, ფარსუნანთაში (თუ) ლუსნაში¹. და ისინი (ე. ი. უფლისწულნი) ქვეყნებს მართავდნენ ხოლმე. დიდ-დიდი ქალაქებიც ასევე მორჩილნი იყვნენ.

შემდგომად (ამისა) ხათუსილი გამეფდა. და მაშინ ძენი მისი, ძმანი მისი და მოყვასნი მისი, თვისტომნი მისი და ლაშქარი მისი გაერთიანებული იყვნენ. მაგრამ საითაც იგი სალაშქროდ მიემართებოდა, მტრის ქვეყანას (ძლიერი) ხელით ამარცხებდა.

და ქვეყნებს ანადგურებდა და (ამ) ქვეყნებს ასუსტებდა და მათ ზღვის საზღვრებად ქმნიდა. ხოლო როდესაც იგი ლაშქრობიდან უკან ბრუნდებოდა, თითოეული მისი ძეთაგანი რომელიმე ქვეყანაში მიდიოდა. მის ხელს ქალაქები დიდ-დიდნი მორჩილებდნენ.

მაგრამ შემდგომ, როდესაც მსახურნი (მონანი) უფლისწულთა მიმართ ურწმუნონი გახდნენ და მათი სახლების ნგრევა იწყეს, თავიანთი ბატონების (წინააღმდეგ) შეთქმულება იწყეს და მათი სისხლის ღვრა იწყეს.

როდესაც მურსილი ქ. ხათუსაში² გამეფდა, მაშინ ძენი მისი, ძმანი მისი და მოყვასნი მისი, თვისტომნი მისი და ლაშქარი მისი გაერთიანებული იყვნენ. და იგი მტრის ქვეყნებს (ძლიერი) ხელით ამარცხებდა და იგი (ამ) ქვეყნებს ასუსტებდა და მათ ზღვის საზღვრებად ქმნიდა.

იგი (ე. ი. მურსილი) ხალფას³ გაემართა და ხალფა დაანგრია, ხოლო ხალფას ნამრა (=დემორტირებულები) და მისი (=ხალფას) ავლა-დიდება ხათუსაში ჩამოიტანა. შემდგომად (ამისა) კი იგი ბაბილონს გაემართა და ბაბილონი დაანგრია. ხურიტების რაზმებსაც შეებრძოლა. ბაბილონის ნამრა და ავლა-დიდება ხათუსაში ჩამოიტანა.

ხანთილი მწღე (მერიტიფე) იყო და ცოლად ჰყავდა ხარაფსეკი, მურსილის და. ციდანთა (ფარულად) შეუთანხმდა ხანთილის და მათ ბოროტი საქმე ჩაიდინეს: მურსილი მოკლეს, მათ სისხლი დაღვარეს (ტექსტშია: ქმნეს).

ხანთილი შიშმა მოიცვა: „დამიცვენ მე (ღვთაებები)? მას (მურსილის) ღვთაებები დაიფარავენ“. [...] საითაც წაივლოდა (საბრძოლველად), (ის) ქვეყანა განუღებოდა: აშთათა, სუქცია, ხურფანა, ქარგამიში (ქარხემიში) ხათის ქვეყანას დაძხვარე [რაზმებს აღარ] უგზავნიდნენ...

როდესაც ხანთილი თეგარამას⁴ ჩამოვიდა, იგი სულ ამბობდა: „ეს რა ჩავიდინე (ტექსტშია: ვქმენ)? რატომ ვუსმინე ციდანთას, ჩემი მოყვასის სიტყვებს?“... [და შემდგომ მურსილის] სისხლის (აღება) ღვთაებებმა ისურვეს.

როდესაც ხანთილი სუქციას დედოფლისა და მის ძეთა შესახებ მოიკითხა: „ვინ მოკლა ისინი?“, „სასახლის ძეთა მთავარმა ამბავი ამცნო (მეფეს). შემდეგ მათი (ე. ი. დამნაშავეთა) გვარი [შეკრიბეს. ისინი თეგა]რამას ჩამოიყვანეს და ჯაგნარში შეჰყარეს (?) და ისინი იქ დაიხოცნენ“.

და როდესაც ხანთალი მოხუცდა და ღვთაებად გახდომა იწყო⁷, ციდანთამ ფისენი, ხანთილის ძე, მის ვაჟი შეიღებთან ერთად მოკლა. მისი უპირველესი მსახურნიც დახოცა.

ახლა ციდანთა გამეფდა. და ითხოვეს ღვთაებებმა ფისენის სისხლზე შურისძიება. ღვთაებებმა მას მტრად ამუნა, ძე მისი, მოუვლინეს. და მან მოკლა ციდანთა, მამა თვისი.

ახლა ამუნა გამეფდა. და ითხოვეს ღვთაებებმა მისი მამის, ციდანთას, სისხლის შურისძიება. მას და მის ხელთ ხორბლის, ვაზის, მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონლის (ბარაქა) აღარ ჰქონდათ...

(ბევრი) ქვეყანა მას მტრად გაუხდა. ხაკა, მათილა, გალმია, ადანია, არცავიას ქვეყანა, სალაფა, ფარდუფათა და ახულა⁸. საითაც იგი მეომრებს სალაშქროდ წაიყვანდა, უკან წარუმატებლად ბრუნდებოდა. მაგრამ როდესაც ამუნა ღვთაება გახდა (= გარდაიცვალა), ცურუმ, მეშედთა მთავარმა, ფარულად იმავე დღეებში თვისტომი მისი, თავისი ძე — თახურვაცილი, „ოქროს შუბოსანი“, გაგზავნა (ბოროტი განზრახვით). და მან თითიას ოჯახი, მისი ძეგბითურთ, ამოწყვიტა

მან (ეურუმ) აგრეთვე თარუხსუ, მსრბოლი, გაგზავნა (ბოროტი განზრახვით). და მან ხანთილი, მისი ძეებითურთ, მოკლა. ახლა ხუცია გაშეფლა.

თელიფინუს ისთაფარია, უპირველესი (ე. ი. უფროსი) და მისი ც. ი. ხუციასი) ვოლად ჰყავდა. ხუცია მათ (ორთავეს) მოკვლას უპირებდა, მაგრამ (ეს) ზრახვა ცნობილი გახდა და თელიფინუმ ისინი (ე. ი. ვინც მიუგზავნეს მოსაკლავად (ჯაგნარში შეჰყარა (?)).

მის (ე. ი. ხუციას) ხუთ ძმას სახლები (=მეურნეობა) დაუნაწილა: „დაე, ისინი წავიდნენ და იცხოვრონ. დაე, მათ ჰამონ და სვან. ბოროტება კი მათ არავინ არ მიაყენოს“. და მე ვთქვი: „მათ მე ბოროტება მიყვეს. მე კი მათ ბოროტებას არ ვუყოფ!“.

როდესაც მე, თელიფინუ, მამაჩემის⁹ ტახტზე დაეჭექი, ხასუვაში¹⁰ სალაშქროდ გავემართე და ხასუვა დავამარცხე. ჩემი ლაშქარი ციცილიფაში იდგა და ციცილიფაში ბრძოლა მოხდა.

როდესაც მე, მეფე, ლავაცანთიაში¹¹ მივედი, ქ. ლახხა [მტრად] გამიხდა. მან ქ. ლავაცანთია ამბოხა და იგი [ღვთაებებმა] ჩემს ხელთ მომცეს. უპირველესებმა (ე. ი. დიდმა მოხელეებმა) — „ათასის თავმა“, [თარხუ — ...], ქარუვამ — ხაზინადართა მთავარმა, ინარამ — მწდეთა მთავარმა, ქილამ — [...თა მთავარმა], თარხუმიმამ — კვერთხის მტარებელთა მთავარმა, ცინვასელმა, ლელიმ და სხვებმა, ფარულად თანუვასთან, „კვერთხის მტარებელთან“, (კაცი) გაგზავნეს.

მე, მეფემ (ეს) არ ვიცოდი. მან (ე. ი. თანუვამ) ხუცია და ძენი მისი მოკლა. როდესაც მე, მეფემ, (ეს) გავიგე, თანუვა, თახურვაილი და თარუხსუ (სასახლეში) მოიყვანეს. ფანქუმ¹² მათ სიკვდილი დაუდგინა. მაგრამ მე, მეფემ, ვთქვი: „რატომ უნდა მოკვდნენ, ხოლო თავლები დაფარონ?“ მე, მეფემ, ისინი ნამდვილ მეგუთნეებად გავხადე: იარაღნი მათი მხრებიდან ავხსენი და მათ გუ[თანი] მივეცი.

და დიდი გვარის (ე. ი. სამეფო გვარის) სისხლის (ღვრა) მომრავლდა. ისთაფარია დედოფალი მოკვდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ ამუნა უფლისწული მოკვდა. „ღვთის კაცი“ (=კულტის მსახურნი) კი ამბობდნენ: „ნახე, ხათუსაში სისხლი(ს ღვრა) მომრავლდა“. და მე, თელიფინუმ, ხათუსაში თულია¹³ მოვიწვიე. ამიერიდან ხათუსაში (სამეფო) გვარის ძეს ბოროტება არავინ უყოს და მის (წინააღმდეგ) სატევარი არავინ იზიშვლოს!

დაე. მეფედ მხოლოდ უპირველესი (უფროსი) უფლისწული (ღუბლიკატში: „უფლისწულთაგან“) გახდეს. უკეთუ უპირველესი უფლისწული არ არის, მაშინ ის ძე, რომელიც მეორე ადგილზეა, დაე, მეფედ იგი გახდეს. მაგრამ თუკი უფლისწული მემკვიდრე არ არის, მაშინ იმისთვის, ვინც უპირველესი (უფროსი) ქალიშვილია, ზედსიძე აიყვანონ და დაე, მეფედ იგი გახდეს¹⁴.

აწ და მარადის: ვინც ჩემს შემდგომ მეფედ გახდება, დაე, ძმანი მისი, ძენი მისი, მოყვასნი მისი, თვისტომნი მისი და ლაშქარი მისი გაერთიანებული იყვნენ (თუკი) შემდგომ ისე მოხდება, რომ შენ მტრის ქვეყანას (ძლიერი) ხელით დაამარცხებ, შენ ასე არ თქვა: „მე (მას) მოვაწესრიგებ“ (?). შენ ვერ მოაწესრიგებ. შენ მხოლოდ დათრგუნავ. შენს თვისტომთაგან არაყინ არ ჰკლა. ეს ცუდია.

შემდგომში ვინც მეფედ გახდება და ძმას ან დას ბოროტებას მიაყენებს, თქვენ იქნებით მისი ფანჯუ. თქვენ მას ეტყვით გარკვევით: „ეს სისხლიანი საქმე შენ ფირფიტიდან გაიგე (ტექსტშია — დაინახე). წინათ სისხლი(ს ღვრა) ხათუსაში ხშირი იყო და ღვთაებებმა იგი დიდ გვარს (=სამეფო გვარს) მიაწერეს“.

ვინც ძმებსა და დებს შორის ბოროტებას ჩაიდენს და მეფის თავს გაუსწორდება, (მისთვის) მოიწვიეთ თულია. თუკი მისი (ჩადენილი) საქმე დადასტურდება, დაე, იგი (საკუთარი) თავით დაისაჯოს. ფარულად კი ცურუს, თანუვას, თაბურვაილისა და თარუხსუს მსგავსად არ მოკლან. მის სახლს, მის ცოლს, მის ვაჟიშვილებს ბოროტება არ უყონ. უკეთუ უფლისწული შესცოდებს. დაე, იგი მხოლოდ (საკუთარი) თავით დაისაჯოს, ხოლო მის სახლს და მის ვაჟიშვილებს ბოროტება არ მიაყენონ. უფლისწულები ჩვეულებრივ რის გამოც იღუპებიან. ეს არ (უნდა შეეხოს) მათ სახლებს. მათ ველ-მინდვრებს, მათ ვენახებს, მათ მსახურთ (ქვეშევრდომი). მათ შინაყმებს, მათ მსბვილფება და წვრილფება საქონელს.

ახლა კი. თუ რომელიმე უფლისწული ცოდავს. დაე, იგი მხოლოდ (საკუთარი) თავით დაისაჯოს. მის სახლსა და მის ძეს ბოროტება არ მიაყენონ. უფლისწულთა (ქონებიდან) რაიმეს გადაცემა არ შეიძლება. ესენი კი, რომლებიც ბოროტ საქმეებს ჩადიან, [დიდებულნი, საბელდობრ,] „სახლის მამანი“. „სასახლის ძეთა“ მთავარი, მკველთა მთავარი და მეღვინეთა მთავარი, რომელთაც უფლისწულთა სახლების მიტაცება სწადიან. ასე ამბობენ: „ესა და ეს ქალაქი ჩემი გახდეს“. და ისინი ქალაქის ბატონს (უფალს) ბოროტებას აყენებენ.

ახლა კი, დღეიდან. ხათუსაში თქვენ, „სასახლის ძენო“, მკველნო, „ოქროს იარაღის“ მატარებელნო, მწდენო, მესუფრენო, მზარეულნო, კვერთხის მკერნო, სა ლ ა ს ხ ი ა-კაცნო, „მინდვრის ათასთა“ მთავარნო, თქვენ ეს სიტყვები შემდეგში უნდა სცნოთ. თანუვა. თაბურვაილი და თარუხსუ თქვენს წინაშე (=თქვენთვის) მაგალითი იყოს. თუკი შემდგომ ვინმე ბოროტებას ჩაიდენს, იქნება ეს „მამა სახლისა“: თუ „სასახლის ძეთა“ უფროსი, მეღვინეთა მთავარი, მკველთა უფროსი, თუ „მინდვრის ათასთა“ მთავარი — მდაბიო თუ

წარჩინებული — შეიპყართ იგი თქვენ. ფანქუ, და იგი კბილებით დაგლიჯეთ.

მაგრამ ხათუსაში დიდებულნი, (სახელდობრ), „სასახლის მამანი“, „სასახლის ძეთა“ უფროსი, მეღვინეთა მთავარი, მცველთა უფროსი, ეტლოსანთა მთავარი, რაზმის(?) ზედამხედველი — [მეფის] სახლში რომელი დიდებულიცაა, — გარდა ამისა, რომელი მდაბიოცაა, აი, ესენი პატივცემულნი უნდა იყვნენ!

შემდგომ. ხათუსაში აგებული უბნები (ტექსტშია „დასახლება-ნი“) დაცული უნდა იყვნენ და შენ ისინი არ უნდა მიატოვო. (ეს) აგებული უბნები... წყალი. ხორბლისთვის იგი (წყალი) ათჯერ (და) ოცჯერ უნდა მოიტანო (მომდევნო სტრიქონები არ შემორჩა. ან ძლიერ დაზიანებულია).

... დასახლებანი „ბექდის სახლებისა“: [...თაგა]ლმუხა, ხარქია, ვ[ა...], ცელმუთა, თათასფა, ... სექცია, ასურნა, ანცარა, ...; სამუხა, მარისთა, ქუ[...], ..., ხურმა, ვარგასა,, სალითა (და ა. შ.). სულ 60 დასახლება „ბექდის სახლისა“. (ამის შემდეგ გეოგრაფიულ პუნქტთა დასახლება კვლავ გრძელდება. ბოლოს აღნიშნულია: „სულ 34 დასახლება „ბექდის სახლისა“, ალაფისათვის“)¹⁵.

და მე ხორბალი კვლავ უხვად ვაქციე (ვამრავლე). მეგუთნებმა მხოლოდ ეს მიწებები და ველები (დაამუშაონ), ბექედი უნდა დაუსვან... არ უნდა იტყოფონ. ისინი მოსავალს [1 გიპეს] არს ან 2 გიპესარს აკლებდნენ და ამით ქვეყანას სისხლს აკლიდნენ. ახლა კი (ასე) აღარ აკეთონ! ვინც გააკეთებს, დაე, მან საშინელი სიკვდილი მიუზღონ.

აწ და მარადის: (შენ). ვინც ჩემს შემდგომ მეფედ გახდება. ხორბალი ყოველთვის დაბეჭდე მათი სახელით. ამიერიდან „ბექდის სახლი“ გამგებლებმა შენ დაგიტოვონ. ისინი შენ ასე გეტყვიან: „...“ მაგრამ შენთვის არ უნდა დაბეჭდო. იგი მათი სახელით დაბეჭდე... (მომდევნო სტრიქონები დაზიანებულია).

[ვინც ამი]ერიდან ჩემს შემდეგ [მეფედ გახდება]. ... და შენ ასე გეტყვის: „...“, შენ კი არ ისმინო (სტრიქონები ძალზედ დაზიანებულია).

და სისხლის საქმე ასეთია: ვინც სისხლს დაღვრის, დაე, მას (ეზლოს ის), რასაც სისხლის პატრონი (უფალი) იტყვის. თუკი იგი იტყვის: „დაე, იგი მოკვდეს!“, მაშინ იგი უნდა მოკვდეს. მაგრამ თუკი იგი იტყვის: „დაე, მან აანაზღაუროს!“, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს. მეფეს კი არაფერი (ეკუთვნის ანაზღაურებისას).

(რაც შეეხება) გრძნეულობას ხათუსაში: დაე, მისგან თქვენ მუდამ განწმენდილი იყავით! ვინც თვისტომთა შორის გრძნეულება იცის, დაე, იგი თქვენ შეიპყართ გვარში და იგი მეფის ჭიშკართან მიიყვან-

ნეთ. მაგრამ ვინც მას არ მოიყვანს. (მაშინ) ასე მოხდება, რომ იგი ყოველ ადამიანს ბოროტებას მიაყენებს.

(კოლოფონი: „თელიფინუს I ფირფიტა დასრულდა“).

1 ხუფისნას აიგივებენ კლასიკური ხანის კიბისტრასთან, ხოლო თუ-
ვანუვას — თიანასთან. დანარჩენ გეოგრაფიულ პუნქტთა ზუსტი ადგილ-
მდებარეობა უცნობია.

2 ლაბარნა და ხათუსილი (1) გაშედნენ ქ. ქუსარაში, საიდანაც ხათუსილიმ
ხეთების სატახტო ქალაქი გადაიტანა ქ. ხათუსაში, თანამ. ბოლაზქოის ადგილას.

3 ჩრდილოეთ სირიის ერთ-ერთი ძლიერი ქალაქ-სახელმწიფო, თანამ. ალუპას
ადგილას.

4 მოგვიანო ხანების თოგარმა, ასურული წყაროების თილ-გარიმმე.

5 „სასახლის ძე“ — თანამდებობა სამეფო კარზე.

6 „ჩაგნარში შეყრა“, როგორც ჩანს, დასჯის რალაცნაირი მკაცრი ფორმა იყო.

7 ხეთების შეხედულებით მეფე არ გარდაიცვებოდა, იგი მხოლოდ „ღუთა-
ბა ხდებოდა“.

8 მდებარეობდნენ მცირე აზიის სხვადასხვა მხარეში (აღნიშნულ აიგივებენ
მოგვიანო ხანის აღნიშნულს, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში).

9 თელიფინუ სრულიადაც არ ასულა „მამამისის“ ტახტზე. „მამა“ აქ ნახმარია
წინა მეფის მიმართ.

10 ხასუვა, ჩრდილოეთ სირიის ხაშუუ.

11 მდებარეობდა ქიუუვათნას ტერიტორიაზე, კილიკიაში.

12 ხეთების „ძველი სამეფოს“ ადრეულ ხანაში იგი სახალხო კრებას აღნი-
შნავდა. თელიფინუს დროს იგი იყო სამეფო კარის (სასახლის) დიდებულთა და
შსახურთა საკრებულო, რომელიც სასამართლო საქმეებს განაგებდა.

13 მთელი ხათუსას საკრებულო, რომელიც აერთიანებდა დიდებულებს, მსა-
ხურთა სხვადასხვა კატეგორიას. მასზე განიხილებოდა სხვადასხვა რიგის საკითხები
(მათ შორის, სასამართლო საქმენი).

14 ამ ადგილს მკვლევართა ნაწილი სხვათაირ ინტერპრეტაციას აძლევს: „უპირ-
ველესი (უფროსი) უფლისწულის“, ისევე როგორც „უპირველესი (უფროსი) ქა-
ლიშვილის“ მაგიერად ისინი თარგმნიან „პირველი რანგის უფლისწულს“ და „პირ-
ველი რანგის ქალიშვილს“, ხოლო „ძე, რომელიც მეორე (მომდევნო) ადგილზეა“,
შათი აზრით სათარგმნია — როგორც „მეორე რანგის ძე“. ამასთანავე, „პირველი
რანგის შვილებში“ ისინი გულისხმობენ შვილებს კანონიერი მეუღლისაგან — დე-
ლოფლისაგან, ხოლო „მეორე რანგის ძეში“ — შვილს არაკანონიერი ცოლისაგან.

15 ტექსტში აქ ჩამოთვლილია 94 (60+34) დასახლება (თემი), რომლებიც გა-
დაეცათ სახელმწიფო მეურნეობას — „ბექდის სახლს“. ამ უკანასკნელის დანი-
შნულება მთლად გარკვეული არ არის, ვარაუდობენ, რომ ეს იყო სათავის (საწყო-
ბი), სადაც მეფის სიმდიდრე ინახებოდა.

ბ) მეფეთა ანალები

ბოლაზქოის (ხათუსას) ლურსმულ არქივში შემოინახა ხეთების
მეფეთა ანალები — მეფობის წლების თანმიმდევრობით შედგენილი
ისტორიული ჩანაწერები (მატიანეები).

სამეფო ანალების სტილშია შედგენილი 1957 წ. ბოლაჯიში აღმოჩენილი, ხეთურ და აქადურ ენებზე შედგენილი, ლურსმული-ტექსტი ხეთების „ძველი სამეფოს“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მმართველისა „ხათუსილი I-სა (ძვ. წ. XVII ს.).

ხეთების მეფეთა ანალებისაგან განსაკუთრებით გამოირჩევა, „ანალები“ მურსილი II-სა (ძვ. წ. XIV ს.), რომლის ბანგრძლივი მმართველობის პერიოდში ანალისტიკამ მცირე აზიაში მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. მურსილი II-ის სახელით ანალების სტილში შედგენილი იყო აგრეთვე „საქმენი“ სუფილულიუმა I-სა, მურსილის მამისა.

მურსილი II-ის „ანალებმა“ ჩვენამდე მოაღწია ორი ვერსიით (ორივე ხეთურ ენაზე). ერთ-ერთ მათგანს, მოცულობით უფრო მცირეს, მკვლევარებმა უწოდეს „ათწლიანი ანალები“ (იმის გამო, რომ იქ მოთხრობილია მურსილის სამხედრო ოპერაციებზე, რომლებიც მან ჩაატარა მეფობის ათი წლის განმავლობაში). მურსილის „ანალების“ მეორე ვერსიას კი მეცნიერებმა შეარქვეს „ვრცელი ანალები“: ტექსტში დაწვრილებითაა აღწერილი ძირითადად სალაშქრო საქმენი, რომლებიც აღნიშნულ მეფეს გადახდა მბრძანებლობის თითქმის 30 წლის მანძილზე.

მურსილი II-სა და სუფილულიუმა I-ის „ანალები“, რომელთა შემდგენლები წარმოგვიდგებიან როგორც ჩინებული ისტორიკოსები, ძველადმოსავლური სამყაროს ისტორიულ თხზულებათა, კერძოდ, ანალისტიკის, ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს.

მეფეთა ანალების ენარს ხეთები იყენებდნენ მათი არსებობის თითქმის მთელს მანძილზე, მით უმეტეს, რომ ისტორიულ ნაწარმოებთა შექმნის ხელოვნება ხეთებს მაღალ დონეზე ჰქონდათ აყვანილი. როგორც ვარაუდობენ, ისტორიული თხრობის ჩვენთვის საინტერესო ენარმა — ანალისტიკამ — გარკვეული გავლენა იქონია მოგვიანო ხანის ასურეთისა და ურარტუს მეფეთა „ანალების“ განვითარებაზე.

1. ხ ა თ უ ს ი ლ ი I - ი ს ა ნ ა ლ ე ბ ი

ტექსტში აღწერილია ხეთების „ძველი სამეფოს“ ერთ-ერთი პირველი მეფის — ხათუსილის (დაახლ. ძვ. წ. 1600 წ.) — მხოლოდ-საომარი მოქმედებანი საკუთრივ მცირე აზიასა და ჩრდილოეთ სირიაში (რამდენიმე წლის მანძილზე). მათ შესახებ დამატებითი ცნობები შემოინახა სხვა ხეთურ წყაროშიც.

ტექსტი ორენოვანია: აქადურად და ხეთურად. იპოვეს ბოლაჯიში 1957 წ., ლურსმული ასლები გამოქვეყნებულია. იხ. BKO X. 1 და 2 ტექსტები.

არსებობს ორივე ვერსიის იტალიური თარგმანი (ფ. იმპარატისა და შ. სპორტისა), აქადური ვერსიის გერმანული თარგმანი (პ. ოტენისა) და რუსული თარგმანი (ვ. ივანოვისა).

ხეთურიდან (აქადურ ტექსტთან შეჭერებით) ქართულად ითარგმნება პირველად. თარგმნა გ. გიორგაძემ.

[ასე (ამბობს) თაბარ]ნა¹ ხათუსილი, მეფე დიდი, მეფე ხათის-ქვეყნისა, კაცი ქ. ქუსარისა: ხათის ქვეყანაში მეფობდა იგი, თავანანას² ძმისწული. ქ. სანავითას წავიდა და (ქალაქი) არ [გაანადგურა], ქვეყანა მისი კი გაანადგურა.

ქვეითი რაზმები ორ ადგილას გარნიზონისთვის დაეტოვე, ხოლო რაც ავლა-დიდება იყო, იგი გარნიზონის რაზმებს მივეცი.

შემდეგ მე ქ. ცალფას წავედი და იგი გავანადგურე, ხოლო მის ღვთაებებს დავეუფლე. 3 საომარი ეტლი-მადნანუ ქ. არინას³ მზის ქალღვთაებებს შევწირე.

1 ხარი ვერცხლისა და 1 ... ვერცხლისა ტაროსის ღვთაების ტაძარს შევწირე, ხოლო რომელი ღვთაებანიც დარჩნენ, მე ისინი ღვთაება მეცულას ტაძარს შევწირე.

შემდგომ წელს ქ. ალალხას (=ალალახს)⁴ წავედი და იგი გავანადგურე. შემდეგ კი ქ. ვარსუვას⁵ წავედი. ვარსუვადან ქ. იქაქალიში გავსწიე, ხოლო იქაქალიდან ქ. თახინიაში წავედი. ეს ქვეყნები გავანადგურე, ხოლო მათ ავლა-დიდებას დავეუფლე და ჩემი სახლი ავლა-დიდებით აღვაესე.

შემდგომ წელს კი ქ. არცავას⁶ გავსწიე და მათ (=მცხოვრებლებს) მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი წავართვი. ჩემს ზურგს უკან ხური — მტერი⁷ ქვეყანაში შემოიჭრა და ყველა ქვეყანამ ჩემს წინააღმდეგ მტრობა იწყო. მხოლოდ ხათუსა⁸, ერთადერთი ქალაქი, გადარჩა. დიდმა მეფე თაბარნამ. არინას მზის ქალღვთაების მოსიყვარულემ... და მე ბრძოლაში ჩაეები და ქ. ნინასაში საბრძოლველად წავედი. ხოლო როდესაც მე ნინასას მცხოვრებლებმა (მათ) წინააღმდეგ (მისული) დამინაწესეს, (ქალაქის) კარი გააღეს (ე. ი. უბრძოლველად დამორჩილდნენ).

შემდეგ კი მე ულმას⁹ ქვეყანაში საბრძოლველად წავედი. და ულმას მცხოვრებლებმა ბრძოლის წინ ორჯერ მიხილეს და მე მათ სწორედ ორჯერ შევებრძოლე, ხოლო ულმას ქვეყანა გავანადგურე, მისი ადგილი [სარეველა] ბალახით (?) აღვაესე და 7 ღვთაება არინას მზის ქალღმერთის ტაძარში მოვათავსე. 1 ხარი ვერცხლისა, ქალღვთაება ქათითი, არანხაფილანის მთას, ხოლო რომელი ღვთაებანიც დარჩნენ, ისინი ღვთაება მეცულას ტაძარს შევწირე. როდესაც ულმას ქვეყნიდან უკან დავბრუნდი და სალახსუვას ქვეყანაში წავედი, სალახსუვას ქვეყანა ცეცხლით თვითონვე დაინგრა. ყველანი მე მონებად გამიხდნენ და მე ხათუსაში, ჩემს ქალაქში, დავბრუნდი.

[შემდგომ წელს] ქ. სანახუთაში საბრძოლველად წავედი და სანახუთას ხუთი დღე ვებრძოლე. [იგი მექვესე დღეს] დავამარცხე. მე, მეფე დიდი ...არინას მზის ქალღვთაებას [შეეწირე]. (შემდეგ ტექსტი დაზიანებულია, შემორჩენილია გეოგრაფიულ სახელთა დაბოლოებანი).

...ქ. ფარმანაში გადავედი. ფარმანა კი იყო იმათ მეფეთათვის მთავარი. გზები მის წინაშე აყო განრთხმული.

და როდესაც მე (მათ) წინააღმდეგ (მისული) დამინახეს, (ქალაქის) კარები გააღეს. და ისინი (ქალაქის მცხოვრებლები) ამგვარი მოქმედებისათვის ცის ღვთაებამ მზისა [გადაარჩინა]. ამის შემდეგ ალხას ქვეყანაში წავედი და ქ. ალხა გავანადგურე.

შემდგომ წელს კი [ცარუნას] ქვეყანაში გავემართე და ქ. ცარუნა გავანადგურე. (შემდეგ) ხასუფაში¹⁰ წავედი. ხასუფას მცხოვრებლები ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად მოვიდნენ. ლაშქარი ხალფას ქვეყნისა მათთან ერთად (დასაბმარებლად) იყო (მოსული). იგი ჩემთან [საბრძოლველად] მოვიდა და მე მას შევებრძოლე. რამდენიმე (?) დღის შემდეგ მღ. ფურუნა გადავლახე და ხასუფას ქვეყანა ლომისებრ ფეხებით გადავთელე (რამდენიმე სტრიქონი არ შემორჩა).

[ღვთაება] ალათუმი, ღვთაება ათალური, ღვთაება [ლილური], 2 ხარი ვერცხლისა, 3 ქანდაკება ვერცხლისა და ოქროსი, 2 ხამრითა (?), (რომლის) უკანა მხარე ვერცხლითა და ოქროთი შემოვქობე, და კარი, (რომელიც) ვერცხლითა და ოქროთი შემოვქობე, [1 მაგი] და ძვირფასი ოქროსი, 3 მაგიდა ვერცხლისა.... ვერცხლისა, 1 ტახტი ცვირფასი (ოქროთი) გადაკრული, .. ოქროსი, 1 საწოლი ოქროსი, ... მოოქრული, ყოველივე ეს ... ხასუფადან არინას მზის ქალღვთაებას მიუფტანე. ალათუმის ქალიშვილი, ხეფათი, 3 ქანდაკება ვერცხლისა, ორი ქანდაკება ოქროსი — [ესენი კი] ღვთაება მეცულას ტაძარში მივიტანე.

1 ი მ ი თ თ ე (?) ვერცხლისა, ოქროს კვერთხი, 5 გურზი ვერცხლისა, 3 ცალი ლილაქვა, 1 ზოდი ოქროსი — ესენი კი ტაროსის ღვთაების ტაძარში მივიტანე.

ხასუფას ქვეყანა — ოქროს ა ი ა ლ უ (?) 1 წელიწადში დავამხე. თავანავა. ძე მისი (=ხასუფას მეფისა), დაამხეს. მე, დიდმა მეფემ, მას თავი წავაცალე. ქ. ციფასნას გავემართე, თვით ციფასნაში ღამით ავედი. მათ (მეომრებს) ბრძოლა გავუმართე და მათგან მტვერი დავაყენე. ქვეყანაში მზემ (ძლივს) შეაღწია. მე, მეფე-თაბარნა, ციფასნაში შევედი.

ქ. ხახხა ლომისებრ გადავთელე, ციფასნა გავანადგურე. მის

ღვთაებებს კი დავეუფლე და ისინი არინას მზის ქალღმერთს შეე-
წირე.

და ქ. ხახხას¹¹ გავემართე. ხახხაში ქალაქის კარიბჭისათვის
ბრძოლა სამჯერ გადამხდა და ხახხა გავანადგურე, მის ავლა-დი-
ღებას დავეუფლე და იგი ხათუსაში, ჩემს ქალაქში, წამოვიღე:
2 წყვილი საზიდარი, ვერცხლით დატვირთული, 1 საომარი ეტლი
მადნანუ, 1 ვერცხლის აიხალუ, 1 ოქროს (საკულტო) მაგიდა
და 1 ვერცხლის (საკულტო) მაგიდა, რომლებიც ხახხას ღვთაებებს
ეკუთვნოდათ, 1 სანაშენო ხარის (გამოსაწულება), 1 (საკულტო) ხო-
მალდი, რომლის თავი ოქროთია დაფარული. მე, დიდმა მეფემ,
თაბარნამ, მონა ქალთა ხელები დოლაბთაგან ავიღე, მონა კაცთა ხე-
ლები სამუშაოსგან მოვაცილე. ისინი სახანისა და ლუციისგან¹² გა-
ვანთავისუფლე და თედოები მათი შეეხსენი. ისინი არინას მზის
ქალღმერთს, ჩემს ქალბატონს, მივართვი. ჩემი ქანდაკება, ოქროსი,
დავამზადე და იგი არინას მზის ქალღმერთისათვის, ჩემი ქალბატო-
ნისათვის, განვაწესე. საყრდენი (?) ქვემოდან ზემოთ და ტაძარი მისი
ვერცხლით შემოვქობე.

1 საომარი ეტლი ვერცხლისა ქ. თიმანას მეფემ დიდ მეფეს [მო-
შართვა და] იგი არინას მზის ქალღვთაებას წავუღე. [2 ქანდაკება]
აღებასტრისა (?) არინას მზის ქალღვთაებას წავუღე.

მდ. მალა (=ეეფრატი) არავის (ხეთების მეფეთაგან) მანამდე
არ გადაულახავს და იგი მე, დიდმა მეფემ, თაბარნამ, ფეხით გადავ-
ლახე. [ჩემმა] ლაშქარმაც ფეხით გადალახა — და იგი სარგ[ონ-
შაც]¹³ გადალახა, ხახხას მეომრებს შეებრძოლა. [ხახხას კი (მის შემ-
დეგ) არაფერი (ცუდი) არ გაუკეთებია და იგი არავის არ გადაუ-
წვავს, [კვამლი მისი] ცის ღვთაებას ტაროსს არ [მისვლია].

მე, დიდმა მეფემ, თაბარნამ, [ხასუვა] და ხახხა დავანგრიე,
ისინი ცეცხლში [გავხვიე], კვამლი კი ცის [ღვთაებას მზისას და
ქექა-ქუხილისას მიუვიდა]. ხასუვას მეფე და ხახხას მეფე საზიდარ-
ში შევაბი.

(კოლოფონი: „ფირფიტა ხათუსილის საგმირო საქმეთა“).

1 ხეთების მეფეთა ტიტული (ხათური წარმოშობისა).

2 ხეთების დედოფალთა ტიტული (ხათური წარმოშობისა).

3 ერთ-ერთ მთავარი საკულტო ცენტრი ცენტრალურ ანატოლიაში, ადგილ-
მდებარეობა უცნობია.

4 ჩრდილოეთ სირიის ერთ-ერთი ძლიერი ქალაქი-სახელმწიფო, თანამ. თელ-
აჰანას ადგილას.

5 ჩრდილოეთ სირიის ქალაქი ურშუ.

6 მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთში.

7 აქალღურ ვარიანტში „ხანიგალბათი“ (მდებარეობდა ჩრდილოეთ მესოპოტა-
მიაში).

- 8 ხეთების დედაქალაქი, თანამ. ბოლახქოის ადგილას თურქეთში.
 9 იგივე ულამა. ადგილმდებარეობა უცნობია.
 10 ჩრდილოეთ სირიის ქალაქი ხაშუშუ.
 11 საქებნია ჩრდილოეთ სირიაში.
 12 ნატურალური და შრომითი ბეგარა.
 13 იგულისხმება სარგონ დიდი აქადელი (ძვ. წ. XXIV ს.).

2. მურსილი II-ის „ვრცელი ანალები და ნ“

მურსილი II-ის ანალები (ძვ. წ. XIV ს. I ნახ.) ხეთურ წერილობით ტრადიციაში ამ ქანრის ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს.

„ვრცელ ანალებში“ ასახულია ხეთების ახალი სამეფოს დამპყრობლური საგარეო პოლიტიკა, მოთხრობილია ხეთების მსხვილდ სამხედრო ოპერაციების შესახებ მცირე აზიის სხვადასხვა რაიონსა და ჩრდილოეთ სირიაში.

გარდა იმისა, რომ მურსილის ანალები უმნიშვნელოვანესი წყაროა ხეთების პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად, ისინი ინტერესს იმსახურებენ, აგრეთვე, წინააზიური ანალისტიკის კვლევის, ამ ქანრის წარმოშობის საკითხის თვალსაზრისითაც.

თარგმანი ეყრდნობა ტექსტის შემდეგ გამოცემას: Goetze, A., Die Annalen des Muršiliš, „Mitteilungen der Vorderasiatisch-Aegyptischen Gesellschaft“, B. 38, H. VI, Leipzig, 1933. (თარგმანი ი. ტატიშვილიმ ა.)

IV წელი

მანათა-დათა, რომელიც თავისმა ძმებმა მისი ქვეყნიდან გააძევეს და რომელიც მე ქარქისას¹ ხალხთან კეთილად წარმოგაჩინე, შემდეგ კი მას ქარქისას ხალხი ვუბოძე. (სწორედ ეს) მანათა-დათა ჩემს მხარეზე არ გადმოვიდა და, რადგანაც მე უხა-ციითი² მმტრობდა, ის უხა-ციითის მომხრე გახდა, მას ამოუდგა მხარში. მე, მზე³, მდინარე სეხასკენ გავეშურე. ხოლო, როდესაც მანათა-დათამ, მუვა — UR.MAH-ის ძემ შეიტყო: „მზე მოდისო“, მე შეკრიკები შემომავება და შემდეგი მომწერა: „ჩემო ბატონო, ნუ მომკლავ და მე, ჩემო ბატონო, შენს ქვეშევრდომად მიიღე! ხალხს, რომელმაც მე მომმართა დანმარებისთვის, მათ მე ჩემს ბატონს გადაეცემ“. მე კი მას ასე მივუგე: „ოდესღაც, როდესაც შენ შენმა ძმებმა ქვეყნიდან გააძევეს, მე შენ ქარქისას ხალხთან კეთილად წარმოგაჩინე, შემდეგ შენ ქარქისას ხალხი გიწყალობე და შენ მაშინ ჩემს მხარეზე არ გადმოხვედი. უხა-ციითის, ჩემი მტრის, მხარეზე გადახვედი და ახლა შენ ქვეშევრდომად აგვიყვანო?“ მე წავიდოდი კიდევაც მის წინააღმდეგ და გავანადგურებდი მას, მაგრამ მან თავისი დედა მომიგზავნა. ის

შეახლა, ფეხებში ჩამივარდა და მე ასე მითხრა: „ჩვენო ბატონო, ნუ დაგვლუპავ და ჩვენ, ბატონო ჩვენო, შენს ქვეშევრდომობაში მიგვიღე!“ და მე, რადგანაც ქალი მოვიდა ჩემთან და ფეხებში ჩამივარდა, ქალს თხოვნა შევუსრულე და მდინარე სეხას ქვეყანაში⁶ აღარ წავედი. მანათა-დათა და მდინარე სეხას ქვეყანა ქვეშევრდომობაში მივიღე, შემდეგ მირას⁷ ქვეყანაში დაებრუნდი და მირას ქვეყანა მოვაწესრიგე. შემდეგ ქალაქები—არსანი, სარაფა და იმფა—აღაშენე, ისინი გავამაგრე და ფეხოსანთა გარნიზონი ჩაუყენე. ხაფანუვაშიც ფეხოსანთა გარნიზონი ჩავაყენე. შემდეგ მირაში მასხუილუვა ბატონად დავსვი და მასხუილუვას ასე ვუთხარი: „შენ, მასხუილუვა, მამაჩემთან მოხვედი როგორც ლტოლვილი. მამაჩემმა შენ მიგიღო, თავისი სიძე გაგხადა და შენ მუვათი, თავისი ქალიშვილი — ჩიმი და — მოგათხოვა. შემდეგ კი იგი შენ ვერ დაგეხმარა და შენი მტრები ვერ დაამარცხა. და მე შენ დაგეხმარე და შენი მტრები დავამარცხე. შემდეგ ქალაქები ავაშენე და ისინი გავამაგრე, მათ ფეხოსანთა გარნიზონი ჩაუყენე და შენ მირაში ბატონად დავსვი“.

შემდეგ მე მას 600 ფეხოსანი მივეცი პირადი დაცვისთვის და ასე ვუთხარი: „რადგან მირას ხალხი სანდო არ არის. დაე. ეს 600 ფეხოსანი შენი პირადი მცველები იყვნენ! მირას ხალხთან ნუ შეკრავენ ისინი პირს, შენც ნუ მოუხმობ მათ წინააღმდეგ!“.

IX წელი

... და როდესაც ქარგამიშის⁶ ქვეყანა მოვაწესრიგებინე, ქარგამიშის ქვეყნიდან ზევით წავედი და თეგარამას⁷ ქვეყანაში. შევედი. და როდესაც თეგარამას მივალწიე. ნუვანცა — მეღვინეთუხუცესი⁸ და ყველა ბატონი თეგარამაში შემომეგებნენ და მათ მე(ქალაქში) მნახეს. მე ხაიასაშიც⁹ წავიდოდი. მაგრამ წელიწადი მიწურული იყო და ბატონებმა მითხრეს: „წელიწადი შენთვის მიწურულია. ჩვენო ბატონო, ხაიასაში ნუ წახვალ“. და მე ხაიასას არ წავედი და ხარანაში¹⁰ შევედი. ლაშქარი მე ხარანაში შემხვდა და ჩემთვის იქ ლაშქრის (სამხედრო) დათვალიერება მოვაწყვე.

და რადგანაც იახრესა და ფიგაინარესას¹¹ ქვეყანა მე მმტრობდნენ, იახრესაში გავემართე, დღეები ღამეებად ვაქციე და ლაშქარი სწრაფი ნაბიჯით წავიყვანე. მე, დიდი მეფე, ფეხოსნებთან და ეტლოსნებთან ერთად მალვით მივდიოდი. ამინდის ძლიერმა ღვთაებამ¹² — ჩემმა ბატონმა ხასამილი¹³ — ჩემი ბატონი მოიხმო. მას მე დამალული ვყავდი და ვერავინ დამინახა. მე წავედი და ფიგაინარესას ქვეყანას, მძინარეს. თავს დავესხი. დეპორტირებულებთან¹⁴ ერთად მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს მივაგენი და ხელთ ვიგდე ისინი, ფიგაინარესას ქვეყანა კი გადავწვი.

მეორე დღეს იახრესაში გავბრუნდი და ქალაქი იახრესა გადავწყვი. ხოლო დეპორტირებულებთან ერთად ხელთ ვიგდე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

მეორე დღეს თაფინასკენ გავაგრძელე გზა და როდესაც თარქუმას მივალწიე, თარქუმა გადავწყვი და მე თაფთინას ხალხი, ბურსამას ხალხი, ფიქურცის ხალხი შემომეგება. ისინი მე ფეხებში ჩაპივარდნენ და ასე მითხრეს: „ჩვენო ბატონო, ნუ გაგვანადგურებ. შენს ქვეშევრდომებად ავიყვანე და ჩვენ ფეხოსნებად და ეტლოსნებად გვქმენ. და ჩვენ შენთან ერთად ვივლით ლაშქრობებში“. მე ისინი ქვეშევრდომებად ავიყვანე და ფეხოსნებად და ეტლოსნებად ვქმენ.

მეორე დღეს კი გზა გავაგრძელე და ხაისებლა და ქანთისისა გადავწყვი, შემდეგ ხაქფისაში¹⁵ დავბრუნდი, ხათუსაში¹⁶ დავბრუნდი და ანქუვაში¹⁷ გამოვიზამთრე.

X წელი

ხოლო როდესაც გაზაფხულდა, აცის ქვეყნისაკენ ხელმეორედ დავადექი გზას და ინგალავაში ფეხოსნების და ეტლოსნების (სამხედრო) დათვალიერება მოვაწყე. აცის მცხოვრებლებმა კი, რადგანაც მე, მზემ, წინათ დავამარცხე ისინი, ნუვანცა მელვინეთუხუცესმაც. ისინი ქანუვარასთან დაამარცხა, ჩემთან შებრძოლება ვერ გაბედეს და ღამე დაიწყეს ჩემზე თავდასხმების მოწყობა. „ღამით შეკუტიოთ“, — თქვეს მათ და როდესაც მე, მზემ, შევიტყე: „აცის ხალხი ღამით აპირებს შენს ლაშქარზე თავდასხმას“, — მე, ჩემმა მზემ: ლაშქარს ვუბრძანე, რომ დღისით საბრძოლო მზადყოფნაში ევლო. ღამით კი ასევე მზად ყოფილიყო თავდასხმისათვის. და როდესაც აცის მცხოვრებლებმა ასე დაცული ლაშქარი დაინახეს, (თავდასხმა ვერ გაბედეს).

... და მე არიფსაში [წავედი საბრძოლველად]. ხსენებული არიფსა კი ზღვაზე მდებარეობს. რაც კი მოსახლეობა იყო ქალაქში, მთებმა და კლდეებმა შეიფარეს. მთები კი ძალიან მაღალია. მთელი ქვეყანა მაღლა იყო ასული. მას შეკრებილი ჰყავდა ფეხოსნები და მათ მე, მზე, შევებრძოლე და მე ამინდის ძლიერი ღვთაება—ჩემი ბატონი, არინას მზის ქალღმერთი¹⁸ — ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება ხათისა, ხათის მფარველი ღვთაება, ამინდის ღვთაება ლაშქრისა, მინდვრის იშთარი და ყველა ღვთაება დამეხმარნენ... და არიფსა ბრძოლით ავიღე. იგი მთლიანად ხათუსას გადავეცი ნადავლად. ჩემმა ფეხოსნებმა და ეტლოსნებმა ცინე-სიმაგრის ავლა-დიდება, დეპორტირებულებთან, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელთან ერთად დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს. იმ დღეს მე, მზე, არიფსაშივე დავრჩი.

მეორე დღეს კი ღუქამაში წავედი საბრძოლველად. როგორც კი ღუქამას მცხოვრებლებმა დაინახეს, ჩემს შესახებდრად მოვიდნენ. ფეხებში ჩამივარდნენ და მითხრეს: „ჩვენო ბატონო, არიფსას მსგავსად ნუ გადაგვცემ ჩვენ ხათუსას საძარცვავად. ჩვენო ბატონო, ჩვენ, ვინც კი ვართ მოსული(?), თან წაგვიყვანე. ჩვენ ხათუსას წაგვიყვანე და ფეხოსნებად და ეტლოსნებად გვქმენ!“ და მე, მზემ, ქალაქი ღუქამა საძარცვავად არ დავტოვე... დეპორტირებულები ღუქამადან, 3000 დეპორტირებული, რომლებიც მე სასახლეში წამოვიყვანე, ფეხოსნებად და ეტლოსნებად ვქმენ.

ხოლო, როდესაც აცის ხალხმა დაინახა, რომ მე გამაგრებული ქალაქების ბრძოლით ალბა დავაპირე, აცის ხალხი, რომელსაც გამაგრებული ქალაქებისთვის, კლდეებისთვის, მალალი მთებისთვის და მიუვალი ადგილებისთვის ჰქონდა თავი შეფარებული, შეშინდა. მე ქვეყნის უხუცესები შემომეგებნენ, ფეხებში ჩამივარდნენ და მითხრეს: „ჩვენო ბატონო, ნუ დავლუპავ და ჩვენ, ბატონო ჩვენი, ქვეშევრდომებად ავიყვანე. ჩვენ მზად ვართ ჩვენი ბატონისთვის ფეხოსნების და ეტლოსნების მისაცემად. დეპორტირებულებს ხათიდან, რომლებიც ჩვენს შორის არიან, მათაც დავაბრუნებთ“. და მე, მზემ, ისინი არ გავანადგურე და ჩემს ქვეშევრდომებად ავიყვანე, ქვეშევრდომებად ვაქციე.

და რადგანაც წელიწადი ჩემთვის მიწურული იყო, აცის ქვეყანა ვერ მოვაწესრიგებინე და აცის ხალხისგან ფიცი მივიღე. შემდეგ ხათუსაში წავედი, ხათუსას გამოვიზამთრე და მეექვსე წლის დღესასწაული გადავიხადე.

XI წელი

ხოლო როდესაც გაზაფხულდა, აცის ქვეყნის მოსაწესრიგებლად წავიდოდი. მაგრამ, როდესაც აცის ხალხმა შეიტყო: „მზე მოდისო“, — აცის ხალხმა მუთი ხალიმანაელი წინ შემომავება და მე შემდეგი შემომითვალა: „ჩვენო ბატონო, რადგანაც წინათ შენ ჩვენ გავანადგურე, ნულარ მოხვალ, ჩვენო ბატონო და ჩვენ, ბატონო ჩვენი, შენს ქვეშევრდომობაში მიგვიღე. ჩვენ მზად ვართ ჩვენი ბატონისთვის ფეხოსნების და ეტლოსნების მისაცემად. ხათის დეპორტირებულები, რომლებიც ჩვენს შორის არიან, მათაც დავაბრუნებთ“. და მე დეპორტირებულები ხათიდან, 1000 დეპორტირებული, დამიბრუნეს. და რადგანაც მე მუთი ხალიმანაელი ამგვარად შემომავებეს და ხათის [დეპორტირებულებიც] დამიბრუნეს, მე, მზე, აცის ქვეყანაში აღარ წავედი. ისინი ქვეშევრდომებად ავიყვანე, ჩემს ქვეშევრდომებად ვაქციე. და შემდეგ მე, მზე, იმ წელს სალაშქროდ აღარ წავედი. ანქუვაში შევედი და ანქუვაში გამოვიზამთრე.

- 1 ქარქისა — მღებარეობდა არცაჲს (იმავე ლუეის) მეზობლად, სამხრეთ-მცირე აზიაში.
- 2 უხა-ციოი — არცაჲს (სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიაში მღებარე ქვეყნის) მეფე.
- 3 „ჩემი მზე“, „მზე“ — ხეთების მეფეთა ტიტული.
- 4 მღ. სეხას ქვეყანა მღებარეობდა სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიაში. შედიოდა არცაჲსში.
- 5 შირა — არცაჲს ერთ-ერთი „ქვეყანა“.
- 6 ქარგამიში — მნიშვნელოვანი ქალაქი სირიულ ევფრატზე, ბიბლიური ქარხემიში, დღევანდელი ჭარხისი.
- 7 თეგარამა — ბიბლიური თოგარამა, ასურული თილგარამუ, მღებარეობდა ტავროსის მთების აღმოსავლეთ ნაწილში.
- 8 მეღვინეთუქესი — მაღალი სამხედრო ჩინი.
- 9 ხაიასა (აკი) — მღებარეობდა თეგარამას ჩრდილო-აღმოსავლეთით, სპეციალისტთა ვარაუდით, მღ. ყარა-სუს დინების ზემო წელზე.
- 10 ხარანა — მღებარეობდა ქარგამიშის აღმოსავლეთით, ბიბლ. ხარან.
- 11 იახრესა და ფიგაინარესა — მღებარეობდნენ ქასქების განსახლების ტერიტორიის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დაახლ. დღევანდელ დღოკლტაშ-დივრიკის ხაზზე.
- 12 ამინდის ძლიერი ღვთაება — ამინდის ღვთაების ერთ-ერთი ეპითეტი.
- 13 ხასამილი — ხათური ღვთაება — მკედელი, მიწისქვეშა სამყაროს ღვთაება.
- 14 „დეპორტირებულები“ — ხეთ. არ ნ უ ე ა ლ ა, ხეთების მიერ დაპყრობილი რაიონებიდან წაყვანილი მოსახლეობა.
- 15 ხაქფისა — ქალაქი ცენტრალურ მცირე აზიაში.
- 16 ხათუსა — ხეთების სამეფოს დედაქალაქი, თანამედროვე ბოლაზქოი, ანკარიდან 100 კმ-ზე, მის აღმოსავლეთით.
- 17 ანქუვა (ამქუვა) — ხათების უძველესი საკულტო ცენტრი, მღებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში, ალიშარ-ქიუქის ადგილას.
- 18 არინის მზის ქალღმერთი — ხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაება, ამინდის ღვთაების მეუღლე, „დედოფალი ხათის ქვეყნისა, ცისა და დედამიწისა, ქალბატონი ხათის მეფეთა და დედოფალთა“.

ბ) სახელმწიფო ხელშეკრულებანი

სახელმწიფო ხელშეკრულებებს ხეთების მეფეები დებდნენ მეზობელი და ახლო აღმოსავლეთის არამეზობელი ქვეყნების ბრძანებლებთან (მეზობლებთან, როგორც წესი, ხეთურ ენაზე, არამეზობლებთან — აქადურ ენაზე).

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ხელშეკრულება შედგენილია ხეთების „ძველი სამეფოს“ ხანაში, სახელდობრ, თელიფინუს მმართველობის პერიოდში (დაახლ. ძვ. წ. 1550—1520 წწ.). ეს იყო ხეთების ამ მეფისა და ქიცუვათნას მეფე ისფუთახსუსთან დადებული ხელშეკრულება (აქადურ და ხეთურ ენებზე). არსებობდა აგრეთვე ხელშეკრულება ხეთების მეფე ციდანათასა და ქიცუვათნას მმარ-

თველ ფილიას შორის. ადრინდელი ხელშეკრულებები ფორმდებოდა პარიტეტის საწყისებზე, რაც გულისხმობდა მხარეთა უფლებების სრულ თანასწორობას.

ხეთების დაპყრობითი პოლიტიკის გაფართოებამ სუფილულიუმა I-ის დროიდან (დაახლ. ძვ. წ. 1380 წ.) გამოიწვია ხეთების საგრძნობი აქტივიზაცია ანატოლიის სამხრეთსა და აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. ყოველივე ეს იწვევდა აღნიშნულ მხარეებში მდებარე ქვეყნებთან პოლიტიკურ ურთიერთობათა რეგულირებას სპეციალური წერილობითი დოკუმენტის შექმნის სახით.

სუფილულიუმა I-ის დროიდან უნდა შექმნილიყო გარკვეული სქემა ამ ხასიათის დოკუმენტების გაფორმებისა, რაც მოგვიანებით სრულყვეს. ხელშეკრულებათა ნაწილი შედგენილი იყო პარიტეტის პრინციპით, ნაწილი კი — „ვასალიტეტის“ პრინციპით.

„ვასალიტურ“ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულება იწყებოდა ხელშეკრულების დამდები ხეთების მეფის პრეამბულით, რომელშიც აღინიშნებოდა ხელშეკრულების დამდები ორი ქვეყნის ურთიერთობათა წინაისტორია. შემდეგ კი გადმოიცემოდა ძირითადი დანიშნულება ხელშეკრულებისა: დაპყრობილი ქვეყნის მეფე ვალდებულებას იღებდა რეგულარულად მიეწოდებინა ხეთებისთვის დამზარე მონარჩი რაზმები (საბრძოლო ეტლებთან ერთად). სისტემატურად ეზადა ხარკი, დროულად ეცნობებინა ხეთების მეფისთვის მტრის მოულოდნელი გამოჩენა, ანდა შეთქმულება. უყოყმანოდ დაებრუნებინა ხეთებისთვის ლტოლვილნი და ა. შ. თავისი მხრიდან ხეთების მეფე ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა „ვასალს“ მტრის გამოჩენისას. ხელშეკრულებაში ხშირად მოხმობილი იყვნენ ღმთაებანი, მოპყავდათ წყველის ფორმულა და ა. შ.

პარიტეტის საწყისებზე შედგენილი ხელშეკრულებას ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ხათუსილი III-სა და ფარაონ რამსეს II-ს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ისტორიაში ერთ-ერთი ადრეული სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა იყოს.

ქვემოთ მოტანილი ხელშეკრულებები ბეთურიდან ქართულად ითარგმნება პირველად.

1. სუფილულიუმას ხელშეკრულება ხუკანასთან და „ხაიასას“ კაცებთან

ერთ-ერთი ადრეული ხელშეკრულება ბეთურ ენზე. თავისი აგებულებით ერთგვარად განსხვავდება სხვა ხელშეკრულებათაგან, რომლებსაც ტრაფარეტული ფორმა აქვთ. ეხება სუფილულიუმა I-ისა

და ხაიასას ნომავალი მმართველის, ხეთების მეფის „ვასალის“ — ხუკანასა და „ხაიასას კაცებს“ (ხაიასას მცხოვრებლებს) შორის მომავალ ურთიერთობათა რეგულირებას („მზის“, ე. ი. ხეთების მეფისა და მისი შვილების დაცვა, „მზისადმი“ მორჩილება და ერთგულება, დროული დახმარება, მეფის საწინააღმდეგო მოქმედების დროულად აღკვეთა, ლტოლვილთა დაბრუნება და ა. შ.). ხელშეკრულება უნდა შედგენილიყო ხაიასაში ხეთების ლაშქრობის შემდეგ, როდესაც ხაიასა ხეთების „ვასალი“ გახდა.

ხელშეკრულების ლერსმული ასლები გამოქვეყნებულია KBO V-ში და KUB XIV, XIX-ში. ტექსტი დამუშავებულ აქვს ი. ფრიდრიხს. იხ. J. Friedrich, Staatsverträge des Hatti-Reiches in helhitischer Sprache, Leipzig, 1930, 103—163. ქართული თარგმანი ამ გამოცემის მიხედვითაა შესრულებული (პირველად). თარგმნა გ. გიორგაძემ

ასე (ამბობს) „მზე“¹ სუფილულიუმა, ხათის ქვეყნის მეფე: ხედავ, შენ, ხუკანა, უბრალო მეომარი აგიყვანე და წარჩინებული გაგხადე! მე შენ ხათუსაში და ხაიასას² მცხოვრებთა (ტექსტში: „კაცთა“) შორის კეთილად წარმოვაჩინე. ზოლო შენ ჩემი და ცოლად მოგიცი.

და შენს (შესახებ) მთელმა ხათის ქვეყანამ, ხაიასას ქვეყანამ და ყველა (სხვა) ქვეყანამ. მეზობელმა თუ ადგილობრივმა, ისმინა. შენ, ხუკანა, მხოლოდ „მზის“ ბატონობა უნდა ცნო! აგრეთვე ჩემი ძე, რომელზედაც მე, „მზე“, ვიტყვი: „დაე, ეს ყველამ ცნოს!“ და (რომელსაც) მე (სხვებს) შორის წარმოვაჩინე, შენ, ხუკანა, სწორედ იგი უნდა ცნო!

შემდგომში კი ვინც ჩემი შვილებია, ზოლო მისი (ე. ი. გამორჩეული უფლისწულის) ძმებია, აგრეთვე ვინც [ჩემი] ძმებია, ისინი შენ კეთილად, ვითარცა ძმანი და მეგობარნი, (ისე) უნდა ცნო. შემდგომში სხვა ვინმე ბატონი, როგორი [კაციც] არ უნდა იყოს იგი, „მზის“ ზურგს უკან არ უნდა ცნო. მხოლოდ „მზე“ უნდა ცნო და დაიცვა იგი, „მზე“.

და მას შემდეგ, რაც მე, „მზემ“, შენ, ხუკანა, [წარჩინებული] გაგხადე. (დაიმანსოვრე): თუ შენ, ხუკანამ, „მზე“ მომავალში, (მის) დარჩენილ დღეებში, საიმედოდ არ დაიცავი; თუ შენთვის როგორც შენი თავია ძვირფასი, „მზის“ თავი ასევე არ იქნება ძვირფასი და შენთან შედარებით მეფის (თავს) უპირატესობა არ ექნება: თუ შენ როგორც შენი თავის, შენი სულისა და შენი სხეულის მიმართ კეთილგანწყობა გაქვს და ხელები (შენს) ახლოს გაქვს, ასევე „მზის“ თავის, „მზის“ სულისა და „მზის“ სხეულის მიმართ კეთილგანწყობა არ გექნება, ასევე შენი ხელები ჩემს ახლოს არ გექნება და შენთან შედარებით „მზის“ პატივისცემა არ გექნება; ანდა თუკი შენ „მზის“ შესახებ ვინმესგან ბოროტებას მოისმენ და შენ ამას დამიმალავ და

მე არ მეტყვი, ხოლო ამ კაცზე არ მიმითითებ და მას სამუდამოდ დამიმაღავ — (დაე, შენ ღვთაებებმა დაგამხონ!).

და შენ, ხუჯანა, მხოლოდ „მზე“ დაიცავი საიმედოდ და მხოლოდ „მზეს“ მხარში ამოუღეკი. შემდგომში კი შენ სხვა არავინ არ ცნო. მეც „მზეც“, შენ აგრეთვე საიმედოდ დაგიცავ. შენს გარდა, შენს შვილებსაც დავიცავ. ამასთანავე, შენმა შვილებმა ჩემი ძე დაიცვან...

ხედავ, შენ, ეს სიტყვები მე ღვთაებრივი ფიცით დაგრდგინე და, ხედავ, ამ სიტყვებისთვის ჩვენ ათას ღვთაებათა საკრებულოს (თელიას) მოვეუხმეთ. (ესენია):

მზის ღვთაება ცისა, ქ. არინას ქალღვთაება მზისა, ტაროსის ღვთაება ცისა, ტაროსის ღვთაება ხათისა, ქ. ხალაფის ღვთაება ტაროსისა, ქ. არინას ღვთაება ტაროსისა, ქ. ციფლანდას ღვთაება ტაროსისა, ქ. საფინუვას ღვთაება ტაროსისა. ქ. სახფინას ღვთაება ტაროსისა, ტაროსის ღვთაება ლაშქრისა, ტაროსის ღვთაება „ხილამპარისა“, ქ. უდას ღვთაება ტაროსისა, ქ. ქიცუვათნას ღვთაება ტაროსისა, ქ. ფითიარქას ღვთაება ტაროსისა, ქ. სამუხას ღვთაება ტაროსისა, ქ. სარისას [ღვთაება ტაროსისა], ქ. ხურმას ღვთაება ტაროსისა, ქ. ლიხცინას ღვთაება ტაროსისა, ..., ქ. ხულასას ღვთაება ტაროსისა, ქ. უდას ქალღვთაება ხეფათი, ქ. ქიცუვათნას ქალღვთაება ხეფათი, მფარველი ღვთაება, ხათის მფარველი ღვთაება. ცითხარია, ქარცი, ხაფანთალია, ქ. ქარახნას მფარველი ღვთაება, [მინდვრის] მფარველი ღვთაება, საწმისის მფარველი ღვთაება, ღვთაება ეა, ქალღვთაება იშთარი, მინდვრის იშთარი, ქ. ნინევიის [იშთარი], ქ. ხათარინას [იშთარი]. იშთარი — ცის დედოფალი, ნინათა. [ქული]თა, ომის ღვთაება (=ზაბაბა), ქ. ელაიას ღვთაება ომისა, ქ. ა[რციას] ღვთაება ომისა, ღვთაებანი ლაშქრისა, ყველანი, მარდუქი, ალლათუ. დედამიწის [ღვთაება მზისა], ქ. ხუფისნას ღვთაება ხუვასანა, ქ. სამუხას ღვთაება ა[ფარა, ქ. ხურმას] ღვთაება ხანთისასუ, ქ. ანქუვას ღვთაება ქათაბა, ქ. თახურფას [ღვთაება მამმა, ქ.] ქათაფას „დედოფალი“, ქ. დუნას ღვთაება ხალარა, ლუ[ლახი] — ღვთაებანი, [ხაფი]რი — ღვთაებანი, ხათის ღვთაებანი, ყველანი, ღვთ[აებანი...] ქვეყნისა, ღვთაებანი ცისა, ღვთაებანი დედამიწისა, მთ[ები, მდინარენი, წყაროები. ღრუბ]ლები, ცა, დედამიწა, დიდი ზღვა. დაე, ე[სენი იყვნენ მოწმენი!]³.

თუკი შენ, ხუჯანა, მხოლოდ „მზეს“ დაიცავ და „მზის“ მხარეს დაიჭერ, შენ ღვთაებრივმა ფიცმა კეთილად დაგიფაროს. შემდგომ კი „მზის“ ხელში შენ წყალობა (და) კეთილდღეობა იხილე! და მე შენ ყოველნაირად დამიცავი. და ვინც „მზის“ მიმართ ბოროტად (იქნება), შენს მიმართაც იგი ბოროტად იყოს! თუკი იგი „მზის“ მტერი (იქნება), იგი შენი მტერიც იყოს! (თუკი) რომელიმე ქვეყანა, ანდა

ქალაქი „მზისადმი“ მტრულად (იქნება), იგი შენს მიმართაც მტრულად იყოს!

აგრეთვე, თუკი რომელიმე მტერი „მზის“ (წინააღმდეგ) გამოიწვევს, ანდა ვინმე მტრულ ამბოხებას მოაწყობს და მე შენ გაცნობებ, ხოლო თუკი შენ ქვეითი მეომრებითა და ეტლოსნებით მყისვე არ მეახლები, (ანდა) თუკი მას შენ კვლავ ხელს მოუმართავ, ხოლო როდესაც წენ (ამბოხების შესახებ) პირადად მოისმენ და შენ მაშინაც იქ მყისვე არ მეახლები, დაე, ამ ღვთაებრივმა ფიცმა გაგანადგუროს!

ანდა შემდგომ, როდესაც რომელიმე ხეთი ბოროტებას ჩემს მიმართ ჩაიდენს, რომელი კაციც იგი არ უნდა იყოს, როგორც კი შენ იმას მოისმენ და მე მის შესახებ მყისვე არ მეტყვი, ხოლო მას მე დამიმაღავ და ასე იტყვი: „მე ფიცი მაქვს მიცემული და არაფერს არ ვიტყვი, არც არაფერს გავაკეთებ; იგი კი გააკეთებს, დაე, მან გააკეთოს როგორც (სურს)...!“ (მომდევნო სტრიქონები დაზიანებულია).

ანდა (თუკი) ამგვარ [საქმეს] ჩაიდენ და ჩემს წინააღმდეგ [რაიმეს] მოიმოქმედებ, ანდა თვითონ შენ [არ მოიმოქმედებ], მაგრამ სხვა ვინმე [ჩაიდენს, როდესაც ამის] მსგავს საქმეს გააკეთებ. [შენ, ხუკანა] ღვთაებრივმა ფიცმა გაგანადგუროს და [აკრძალული გააკეთებინოს], ხოლო შენ შემდგომში არ [აფერი არ] გაპატროს!... (გამოტოვებულია 20-მდე სტრიქონი).

შემდეგ, (რაც შეეხება) ამ ჩემს დას, რომელიც მე, „მზემ“, შენ ცოლად მოგეცი: მისი ღებები თავისი გვარისა (და) თავისი თესლისა მრავლად არიან. [...] აგრეთვე ისინიც, რადგანაც შენ მათი და (ცოლად) გყავს. მაგრამ ხათის ქვეყანაში შემდეგი წეს-ჩვეულებაა: ძმამ თავის დასთან (ან) ბიძაშვილთან (დეიდაშვილ-მაპიდაშვილთან) არ უნდა იცხოვროს (სქესობრივად), ეს აკრძალულია. მაგრამ ვინც ამას, ამგვარ საქციელს, მაინც ჩაიდენს, იგი ხათუსაში ცოცხალი არ დარჩება. იგი მოკვდება... რადგანაც თქვენი ქვეყანა (ე. ი. ხაიასა) ჩამორჩენილია, მასში დაშვებულია, (რომ) სწორედ ღვიძლი ძმის დასთან (ან) მის ბიძაშვილთან იცხოვროს. ხათუსაში კი ეს აკრძალულია!

თუკი ოდესმე შენი ცოლისდა, ანდა ცოლი⁵ (შენი) ძმისა. ან ბიძაშვილ⁶ შენთან მოვა, მას შენ საჭმელი და სასმელი მიეცი. დაე, მათ ზანონ, სვან და იმხიარულონ! მათთან ცხოვრება კი შენ არ მოისურვო. ეს აკრძალულია! ამ საქციელისთვის კვდებიან. შენ თვითონ არ ეცადო. თუკი შენ ამგვარ საქციელზე სხვა ვინმე მიგანიშნებს, შენ მას არ უსმინო და იგი არ ვააკეთო. დაე, შენ ღვთაებრივმა ფიცმა დაგიფაროს!

სასახლის ქალსაც ძალზედ მოერიდე. რომელი სასახლის ქალიც არ უნდა იყოს, იქნება ეს თავისუფალი, თუ მსახური (არათავისუფალი), შენ მას ახლოს არ გაეკარო და მასთან ახლოს არ მიხვიდე. შენ

მას სიტყვაც არ უთხრა. შენი მონაც და შენი მონა ქალიც მანთან ახლოს არ მივიდეს. შენც მას ძალიან მოერიდე. რო[დესაც სასახლის ქალი მოდის], შენ მას გზიდან მაშინვე ჩამოეცალე და მას გზა შორიდან გაუნთავისუფლე. სა[სახლის] ქალთან დაკავშირებულ შემდეგ ამბავსაც ძალზედ მო[ერიდე];

ვინ იყო მარია და იგი რომელ საქმეს შეეწირა? მსახური ქალი ხომ არ მოდიოდა და იგი მას ხომ [არ უცქეროდა?]. „მზის“ მამა ფანჯრიდან გარეთ იყურებოდა. (შემდეგ) მან [იგი (მარია)] დააკავა: „შენ მას რატომ უც[ქეროდი]?“ და იგი ამ საქმეს შეეწირა. [რომელ საქმეს]აც (ეს) კაცი შეეწირა. შენ ახლა მას [ძალზედ მოერიდე].

და როდესაც ზაიასას ქვეყანაში წაბვალ, შენი ძ[მის ქალებთან] და შენს [დებთან] აღარასოდეს იცხოვრო. ხათუსაში (ეს) აკრძალულია. აგრეთვე როდესაც სასახლეში ახვალ, [იქაც ასეთი] საქციელი აკრძალულია. აცის ქვეყნის⁷ [ქალი] შემდგომში ცოლად აღარ შოიყვანო. და იგი, წინათ რომელიც გყავდა, შენს ნამდვილ ხასად გახადე! შენს ცოლად კი იგი არ ქმნა. მარიას⁸ კი შენი ქალიშვილი წაართვი და იგი ძმას მიეცი. ხათის ქვეყნის ნამრა (დეპორტირებულები), რომლებიც ზაიასას ქვეყანაში არიან წასული, ის ნამრა დააბრუნეთ. აგრეთვე ხათის ქვეყნის საზღვრები აღადგინეთ (ტექსტშია: „დააბრუნეთ“). ვინც ხათის ქვეყნის ნამრას უკან არ და[აბრუნებს] და მათ შეიფარებს, მას შენ, ხუჯანა, შე[იპყრობ და ეტყვი]: „ისინი უკან რატომ არ დააბრუნე?“... (ამის შემდეგ „მზე“ მიმართავა ზაიასას მცხოვრებლებს):

(ანდა თუკი) თქვენ, ზაიასას მცხოვრებთ, ხათის კაცი (=ხეთების მეფე, „მზე“) [კარგად მო]გვეპყრობათ. თქვენ კი მე განმიდგებით, ხოლო მათზე, ვინც ამგვარ საქმეს გააკეთებს, კვლავ იბრუნებთ. დაე, ისინი ღვთაებრივმა ფიცმა თქვენს ცოლებთან. თქვენს შვილებთან, თქვენს „სახლებთან“ და თქვენს ქვეყანასთან ერთად გაანადგუროს!

მაგრამ რასაც მე თქვენ შეგატყობინებთ, თქვენ კი მე თუ არ მომისმენთ, ანდა თუკი მე თქვენ ქვეით მეომრებსა და ეტლოსნებზე როდესაც მოგწერთ და თუ თქვენ მე მყისვე არ შეაბლებით: ანდა (როდესაც) ჩემს (წინააღმდეგ) რომელიმე სხვა მტერი გამოვლასქრებს, თქვენ მე გაცნობებთ, ხოლო თქვენ თუ მაშინვე დასაზმარებლად არ შეაბლებით და შეაყოვნებთ — (დაე, თქვენ ამ ღვთაებრივმა ფიცმა გაანადგუროთ!).

თუკი მე მომავალში თქვენ, ზაიასას კაცნო, საიმედოდ დამიცავთ. მე თქვენ, ზაიასას კაცებს, მარიას, ნათესავებს ზაიასას ქვეყნისა საიმედოდ დაგიცავთ, ზაიასას ქვეყანასაც საიმედოდ დავიცავთ. თუკი თქვენ კარგად მოიქცევით, „მზეს“ და ხათის ქვეყანას საიმედოდ დავიცავთ, მეც. „მზეც“, თქვენ კარგად მოგვეპყრობით.

მაგრამ თუკი თქვენ რაიმე ბოროტებას ჩაიდენთ, მეც, „მზეც“, თქვენ გიბოროტებთ და მე, „მზე“, ამ ფიცისაგან ღვთაებათა წინაშე, დაე, წმინდა ვიყო!

ხედავთ, აი, ესაა სიტყვები, რომლებიც მე თქვენ ღვთაებრივი ფიცით დაგიდგინეთ. თუკი მათ [თქვენ — ხა]იასას კაცნო და მარიავ — არ დაიცავთ, დაე, ამ ღვთაებრივმა ფიცმა თქვენი პიროვნებები თქვენს ცოლებთან ერთად, თქვენს შვილებთან, თქვენს [ძმებთან], თქვენს დებთან, თქვენს ოჯახებთან, თქვენს „სახლებთან“ (=მეურნეობებთან), თქვენს მინდვრებთან, [თქვენს დასახლებებთან], თქვენს ვენახებთან, თქვენს კალოებთან, თქვენს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელთან [და თქვენს ქონებასთან ერთად] ყოველმხრივ (გაჯანადგუროს) და შავი მიწით დაგფაროთ. მე კი ხაიასას ქვეყნის მცხოვრებთ, მარიასა და ხაიასას ქვეყანას ბოროტებას არ მივაყენებ.

(კოლოფონი: „დასრულდა მეორე ფირფიტა ხუჯანას ფიცისა“).

1 „მზე“ — ხეთების მეფეთა ტიტული „ახალი სამეფოს“ ხანაში.

2 მღებარეობდა ხეთების ქვეყნის აღმოსავლეთით, მდ. ეფრატის ზემო დნეის რაიონში.

3 როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ ღვთაებათა რიცხვი სრულიადაც არ აღწევს „ათასს“, რომელიც ტექსტში ნახმარია „მრავალი“-ს მნიშვნელობით.

4 ნახმარია სიტყვა „დამფუფი“ — უკულტურო, ველური, განუვითარებელი, უსწავლო.

5 ტექსტშია „და“, რაც უაზრობა უნდა იყოს.

6 „მზის“ მამა, ე. ი. მეფის მამა.

7 ზოგჯერ იხმარებოდა „ხაიასას“ სინონიმად. საკუთრივ „აიცს ქვეყანა“ ზღვამდე აღწევდა (ზოგიერთის ვარაუდით, შავ ზღვამდე, ხოლო ზოგიერთისა — ვანის ტბამდე).

8 გაურკვეველია ამ „მარიას“ ვინაობა.

2. მურსილი II-ის ხელშეკრულება ამურუს მმართველ დუფი-თეშუფთან

ამურუს მმართველთან ხელშეკრულების დადებით მურსილი II-მ კიდევ უფრო განამტკიცა ხეთების მდგომარეობა ჩრდილოეთ სირიაში, სადაც სუფილულიუმა I-ის დროიდან ხეთებს მაგრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. ამ ხელშეკრულების დადება მით უფრო იყო საკუთრივ, რომ მურსილი II-ის დროს ეგვიპტელები კვლავ იწყებენ გამოჩენას ჩრდილოეთ სირიაში, რათა აღადგინონ ეგვიპტელთა ბატონობა ამ მხარეში. ხელშეკრულება განეკუთვნება „ვასალურ“ ხელშეკრულებებს.

ტექსტის ლურსმელი ასლები გამოქვეყნებულია KUB III, XIV და KBO V-ში. დაბეჭდვებული აქვს ი. ფრიდრიხის ნაშრომში: J. Friedrich. Staatsverträge des Hatti-Reiches in helhitischer Sprache. Leipzig, 1926, 1—48, ხუთერადან ქართულად თარგმნება პირველად. თარგმნა გ. გიორგაძემ.

[ასე (ამბობს)] „მზე“ მურსილი, მეფე დიდი, მეფე ხათის ქვეყნისა, გმირი, ღვთაება ტაროსის მოსიყვარულე, ძე სუფილულიუმასი, დიდი მეფისა, ხათის ქვეყნის მეფისა, გმირისა.

აზირა პაპა იყო შენი, ღუფი-თეშუფ... იგი მამაჩემს მორჩილებდა. როდესაც ნუხაშის ქვეყნის მეფენი და [ქინზას ქვეყნის] მეფე] ადგნენ და მამაჩემს აუშბოხდნენ, აზირა არ ამბოხდა... როდესაც მამაჩემი თავის მტრებს შეებრძოლა, მათ აგრეთვე აზირაც შეებრძოლა. აზირა მამაჩემს იცავდა... მამაჩემი კი აზირას იცავდა მისი ქვეყნითურთ და არავითარ ბოროტებას მას არ აყენებდა... არც რაიმე წყენას აყენებდა. 300 (სიკლ) ბაჭალლო ოქროს, რომელიც მას მამაჩემმა როგორც ხარკი დაუდგინა. იგი მას მულამ აძლევდა.

მაგრამ როდესაც მამაჩემი ღვთაება გახდა, მამაჩემის ტახტზე მე დავეჭედი. აზირა როგორც იყო განწყობილი მამაჩემის მიმართ. იგი ასევე იყო განწყობილი ჩემს მიმართაც.

მაგრამ როდესაც ნუხაშის მეფენი და ქინზას მეფე კვლავ ადგნენ და ახლა ჩემს წინააღმდეგ ამბოხდნენ, აზირამ და [ღუფი-თე შუფმა]² ათ..., მე მხოლოდ [ბატონობის გამო] დამიცვეს.... ბრძოლა მას (=აზირას) უკვე აღარ შეეძლო... (დაზიანებულია მომღვენო 20-მდე სტრიქონი).

როდესაც მამაშენი გარდაიცვალა, მამაშენის სიტყვის (=თხოვნის) თანახმად მე შენ არ გაგავდე. რადგანაც მამაშენი შენს სახელს... წინაშე ხწირად წარმოთქვამდა, ამიტომაც მე შენზე ვიზრუნე. შენ კი ვარამი და სნეულება შეგეყარა. მაგრამ თუმც შენ სნეული იყავი, მე „მზემ“, შენ სწორედ მამაშენის ადგილზე განგაწესე და შენზე შენს ღებს, შენს ძმებსა და ამურუს ქვეყანას (=ხალხს) ფიცი დავადებინე.

მას შემდეგ, რაც მე „მზემ“, მამაშენის სიტყვის თანახმად შენზე ვიზრუნე და შენ მამაშენის ადგილზე განგაწესე. მე შენ. ხედავ, ხათის ქვეყნის მეფეზე. ხათის ქვეყანაზე, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებზე ფიცი დავადებინე. ახლა დაიცავი ფიცი მეფისა და ხელი მეფისა! მე კი, „მზე“, დაგიცავ შენ, ღუფი-თეშუფ! და როდესაც შენ შენს ცოლს ითხოვ და მემკვიდრეს შექმნი. დაე, მოგვიანებით ამურუს ქვეყანაში თვითონ იგი მეფედ იყოს! და როდესაც მე, „მზე“. შენ გიცავ, ასევე მე შენს ძეს დავიცავ. შენც. ღუფი-თეშუფ. დაიცავი ხათის ქვეყნის მეფე, ხათის ქვეყანა. ჩემი შვილები და შვილიშვილები სამარადისოდ.

და ხარკი, რომელსაც პაპაშენი და მამაშენი იხდიდნენ — 300 (სიკლ) წმინდა, ბაჯალლო, უმაღლესი (ხარისხის) ოქროს ძვირფასი ქვე-ბითურთ, რომელსაც ისინი ხათის ქვეყანაში აგზავნიდნენ — შენც გადაიხადე! შენს თვალებს სხვას ნუ მიაპყრობ! მამანი შენი ხარკს ეგ-ვიპტეში აგზავნიდნენ, [შენ კი არ გაგზავნო!]. (მომღვენო ადგილები დაზიანებულია).

როგორც მე, „მზემ“, შენ. დუფი-თეშუფ, დაგიცავ, ასევე შენ „მზისთვის“ და ხათის ქვეყნისთვის დამხმარე რაზმები იყავი! თუკი ახლა ხათის ქვეყანას ვინმე ბოროტ საქმეს გაუჩენს — „მზეს“ [ვინ-მე] აუმბობდება, შენ კი ამას გაიგებ, შენი [ქვეითი რაზმებითა] და შენი საომარი ეტლებით მას (=ხათის ქვეყანას) დაეშმარე და [ხათის ქვეყნის მეფესთან] დროულად წარსდექი როგორც დამხმარე. მაგრამ თუკი შენ არ შეგეძლება დახმარება, მაშინ [შენი] ძე ან შენი ძმა და-სახმარებლად გაუგზავნე ხათის ქვეყნის მეფეს შენი ქვეითი რაზმე-ბითა და შენი [საომარი ეტლებით]. მაგრამ თუკი [შენს ძეს] ან შენს ძმას ქვეითი რაზმებითა და საომარი ეტლებით ხათის მეფეს დასახმა-რებლად შენ არ გაუგზავნი, მაშინ შენ (ამით) ღვთაებრივ ფიცს და-არღვევ.

მაგრამ თუკი შენ, დუფი-თეშუფ, ვინმე საქმით შეგავიწროებს, ანდა ვინმე შენ წინააღმდეგ ამბობდება, შენ კი ამას ხათის ქვეყნის მეფეს აცნობებ, მაშინ ხათის ქვეყნის მეფემ შენ დამხმარე ქვეითი რაზმები და დამხმარე საომარი ეტლები გამოგიგზავნოს..., (მაგრამ თუ არ აცნობებ), მაშინ შენ (ამით) ღვთაებრივ ფიცს დაარღვევ.

თუკი ძენი ხათისა ქვეით რაზმებსა და საომარ ეტლებს, დუფი-თეშუფისათვის (განკუთვნილს), (თვითონ) წაიყვანენ და, რაკი მათ ქალაქებში განაწესებენ, დუფი-თეშუფი მათ საკვებსა და სასმელს რე-გულარულად მიაწვდის, ხოლო იგი (=ლაშქარი) დუფი-თეშუფის წი-ნააღმდეგ რაიმე ბოროტ საქმეს ჩაიდენს — მისი ქვეყნის წინააღმდეგ, ანდა მისი ქალაქების წინააღმდეგ ყაჩაღურ თავდასხმას მოაწყობს —, ანდა დუფი-თეშუფს ამურუს ქვეყანაში მეფობიდან ჩამოაგდებს, მა-შინ იგი ფიცს დაარღვევს.

(რაც შეეხება) ნუხაშის ქვეყნის ნამრას და ქინზას ქვეყნის ნამრას, რომლებიც მაჰაჩემმა წამოიყვანა და რომლებიც მე წამოვიყვანე: თუკი ჩემგან ამ ნამრათაგან ვინმე გაიქცევა და შენთან მოვა, შენ კი მას არ შეიპყრობ და ხათის ქვეყნის მეფეს არ დაუბრუნებ, ხოლო მას ასე ეტყვი: „ადექ, წადი საითაც (გინდა) წასვლა“, მე კი ვერ ვა-ვიგებ, მაშინ შენ (ამით) ფიცს დაარღვევ.

უკეთუ შენ, დუფი-თეშუფ, ვინმე ბოროტ სიტყვას მეფეზე ანდა ხათის ქვეყანაზე გეტყვის, შენ იგი მეფეს არ დაუმალო. ანდა თუკი შენ რაიმე სიტყვებს „მზე“ საიდუმლოდ გეტყვის: „ეს საქმენი, ან ეს

სიტყვა აღასრულე!“, ესენი კი არ იქნება აღსრულებელი, ხოლო შენ როგორც თხოვნას წარმოთქვამ: „ეს საქმენი არ შემძლია და მათ ვერ აღვასრულებ“... შემდეგში კი უნდა აღასრულო, როგორც მეფე მაშინ დაადგენს(?).

მაგრამ თუკი შენ რაიმე საქმეს, რაც აღსასრულებელია, არ აღასრულებ და მეფეს..., ანდა სიტყვას, მეფე რომ საიდუმლოდ გეტყვის; არ დაფარავ, მაშინ შენ (ამით) ფიცს დაარღვევ.

თუკი რომელიმე ქვეყნის (მცხოვრები) ანდა ლტოლვილი ადგება და ხათის ქვეყნისკენ გამოიწვევს და შენს ქვეყანაზე გამოივლის, იგი შენ უვნებლად სწორ გზაზე დააყენე, ხათის ქვეყნისკენ გზა უჩვენე და მას კარგი სიტყვები უთხარი. სხვაგან კი ისინი არსად არ გაგზავნო. მაგრამ თუკი შენ მათ (სწორ) გზაზე არ დააყენებ და მათ ხათის ქვეყნის გზას არ მიუთითებ, ისინი კი თვალებს მთას მიაპყრობენ, ანდა მათზე ბოროტ სიტყვას იტყვი. მაშინ შენ (ამით) ფიცს დაარღვევ.

ანდა თუკი ხათის ქვეყნის მეფე რომელიმე ქვეყანას ბრძოლით შეაგვიწროებს, იგი კი მას მიატოვებს და შენს ქვეყანაში მოვა, თუკი შენ მოისურვებ, რაიმე მას წაართვა, (ამის შესახებ) ხათის მეფეს დაეკითხე...

შემდგომში თუკი ლტოლვილი [შენს ქვეყანაში] მოვა, შეიპყრე იგი... (ამის შემდეგ ტექსტი დაზიანებულია. ხელშეკრულება მთავრდება „ათასი ღვთაების“ მოხმობით).

... ღვთაება ქულითა, ხათის ზაბაბა. ქ. ელაიას ზაბაბა, ქ. არციას ზაბაბა, იარი, ზამფანა, ღვთაება ჰანთიდაშუ ქ. ხურმასი, ღვთაება აფარა ქ. სამუხასი, ქათაბა ქ. ანქლჯანა. „დედოფალი“ ქ. ქათაფასი. ამამა ქ. თახურფასი, ხალარა ქ. დუნასი, ...ქ. ხუფისნასი. თაფისუვა ქ. სიხუფითასი, „უფალი“ ქ. ლანდასი. ქენიავანი ქ. ლანდასი... ქ. ქინზასი, ლაბლანას მთა, შარინას მთა. ფეშაიშას მთა. ლულახი ღვთაებანი, ხაბირი ღვთაებანი, ერეშქიჯალ. ხათის ღვთაებანი და ქალღვთაებანი, ამურუს ღვთაებანი და ქალღვთაებანი, წინანდელი ღვთაებანი მთლიანად, ნარა, ნაფსარა, მინქი, თუხუსი, ამუნქი, ამიცადდუ, ალალუ, ანუ, ანთუ. აფანთუ, ენლილ. [ნინლილ]. მთანი, მდინარენი, წყაროები, დიდი ზღვა. ცა და დედანიწა. ქარი, ღრუბლები, დაე, იყვნენ ამ ხელშეკრულებისა და ფიცის მოწმენი.

(რაც შეეხება) ხელშეკრულებისა და ფიცის ამ სიტყვებს, რომლებიც ამ ფირფიტაზე წერია: თუკი დუფი-თეშუფი ხელშეკრულებისა და ფიცის ამ სიტყვებს [არ დაიცავს]; დაე. დუფი-თეშუფი თავისი თავითურთ, თავისი მეუღლითურთ, თავისი შვილითურთ, თავისი შვილიშვილითურთ, თავისი „სახლითურთ“, [თავისი ქალაქითურთ, თავისი ქვეყნითურთ და] თავისი ქონებითურთ. ამ ფიცმა განადგუროს!

[და თუკი დუფი-თეშუფი] დაიცავს ხელშეკრულებისა და ფიცის ამ სიტყვებს, რომლებიც ამ ფირფიტაზე წერია, დუფი-თეშუფი თავის თავიანად, თავისი მეუღლითურთ, თავისი შვილითურთ, თავისი შვილიშვილითურთ. ..., შენი „სახლითურთ“, [შენი ქალაქითურთ, შენი ქვეყნითურთ, შენი..., შენი ქვეშევრდომებითურთ], და [ამ ფიცმა დაიფაროს!].

1 იმავე კადმის ქვეყნის. ნუხაში და ქინზა მდებარეობდნენ ჩრდილო სირიაში.

2 ვინაობა გაურკვეველია.

3 შესაძლოა, რომელიღაც ღვთაების წინაშე.

დ) ხათუსილი III-ის აპოკრიფი

ხეტების ახალი სამეფოს ხანაში (დაახლ. ძვ. წ. 1400—1200 წწ.) შედგენილი ეს ტექსტი მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილ აეტობიოგრაფიათა ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ნიმუშს წარმოადგენს. მასში აღწერილია ცხოვრება ხათუსილ III-ისა (დაახლ. 1304 — 1260 წწ.), რომელმაც სამეფო ტახტიდან ჩამოაგდო თავისი ძმისშვილი და თვითონ გამეფდა. ნაწარმოების მიზანი სწორედ ამ აქტის გამართლებაში მდგომარეობს. ტექსტს უწოდებენ აგრეთვე „აპოლოგიას“, „ტახტზე ასვლის ისტორიას“. უპირველეს ყოვლისა კი, ესაა პოლიტიკური პროპაგანდის შედეგრი, უნიკალური ძველ სამყაროში.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: Goetze A., *Hattušiliš, „Mitteilungen der Vorderasiatisch—Aegyptischen Gesellschaft“*, B. 29, H. 3, Leipzig, 1925; Goetze A., *Neue Bruchstücke zum großen Text des Hattušiliš und den Paralleltexen*, B. 34, H. 2, Leipzig, 1930; Sturtevant E., Bechtel G., *A Hittite Chrestomathy*, Philadelphia, 1935; Луна, унавашая с неба, перевод Иванова В. В., М., 1977. ხეთურიდან ქართულად თარგმნება პირველად ი. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ა ს მიერ.

ასე (ამბობს) თაბარნა¹ ხათუსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის² ქვეყნისა, ძე მურსილისა³, დიდი მეფისა, მეფისა ხათის ქვეყნისა, შვილი-შვილი სუფლულიუმასი⁴, დიდი მეფისა, მეფისა ხათის ქვეყნისა, შთამომავალი ხათუსილისა⁵, ქუსარას⁶ მეფისა.

მე იშთარის⁷ ღვთაებრივ ნებაზე ვყვები. დაე, ადამიანთა მოდგმამ შეიტყოს მის შესახებ. დაე, მომავალში „მზის“⁸ შვილებში, შვილი-შვილებში და შთამომავლობაში, „მზის“ ღვთაებათა შორის, იშთარის თავყვანისცემა იყოს!

მამაჩემმა მურსილიმ ოთხი ბავშვი გვშობა — ხალფასულუფი, მუვათალი⁹, ხათუსილი და ქალიშვილი, (სახელად) „ღმერთების სურვილი“. ნათვან მე ნაბოლარა ვეყავი. და როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი

ვიყავი (და) მეჯინიბის¹⁰ თანამდებობა მქონდა. იშთარმა — ჩემმა ქალბატონმა მურსილის — მამაჩემს — სიზმარში მუუათალი. ჩემი ძმა, მიუვლინა (და შეუთვალა): „ხათუსილისთვის წლები ხანმოკლეა, ის არ იქნება დღეგრძელი. გადმომეცი ის მე. დაე, გახდეს ჩემი ქურუმი და მაშინ ის ცოცხალი (დარჩება)“. მამაჩემმა მე. ბავშვი, წამიყვანა და ჩემი თავი ღვთაებას სამსაპურისთვის გადასცა. და მე ღვთაებას ქურჯმად შევეწირე. იშთარის. ჩემი ქალბატონის. ხელში მე კეთილდღეობა ეპოვე. იშთარმა, ჩემმა ქალბატონმა. მე ბელი ჩამკიდა და ღვთაებრივ ნებას მიმქლავებდა.

ხოლო როდესაც მამაჩემი მურსილი ღვთაება გახდა¹¹. ჩემი ძმა მუუათალი კი მამამისის ტახტზე დაჯდა. მე ჩემი ძმის წინაშე მხედართმთავარი გავხდი. ჩემმა ძმამ მე მეუდთა მეთაურად¹² დამნიშნა და ზემო ქვეყანა¹³ სამართავად გადმომცა. და მე ვმართავდი ზემო ქვეყანას. ჩემზე აღრე კი მას არმა-დათა, ძე ცილასი, მართავდა. და რადგანაც იშთარი, ჩემი ქალბატონი. მწყალობდა და ჩემი ძმა მუუათალიც კეთილად მეპყრობოდა, ადამიანებს, როდესაც მათ იშთარის. ჩემი ქალბატონის, წყალობა და ჩემი ძმის კეთილგანწყობა დაინახეს, შეეშრდათ ჩემი. არმა-დათა ცილას ძემ და შემდეგ სხვა ადამიანებმაც განსაცდელში ჩაგდება დამიპირეს. ისინი მე ბოროტად მომექცნენ და მე ძალიან გამიჭირდა. ჩემმა ძმამ მუუათალმა სამართალში მიმცა¹⁴. იშთარი, ჩემი ქალბატონი კი, ძილში გამომეცხადა და სიზმრის მეშვეობით ეს მითხრა: „განა მე შენ (ბოროტი) ღვთაების ხელში დაგტოვებ? ნუ გეშინია“. და მე ბოროტი ღვთაებისაგან განვიწმინდე. და რადგანაც ქალმერთს, ჩემს ქალბატონს. მე ხელით ვეჭირე, არასოდეს დაეუთმივარ არც ბოროტი ღვთაებისთვის, არც ბოროტი სასამართლოსთვის. მტრის იარაღი კი ვერასოდეს მაპარცხებდა...

როდესაც ჩემმა ძმამ დაინახა საქმის ვითარება და აღარაფერი ჰქონდა სასაყვედურო ჩემს მიმართ. მე კვლავ მიმიღო და ხათის ქვეყნის ქვეითნი (და) ეტლოსნები ჩამაბარა. და მე ვმართავდი ხათის ქვეყნის ქვეითებისა (და) ეტლოსნების მთელ ჯარს. ჩემი ძმა მუუათალი მგზავნიდა ხოლმე (სალაშქროდ). და მე, რადგანაც იშთარი — ჩემი ქალბატონი — მწყალობდა, რომელი მტრული ქვეყნისკენაც არ უნდა გამეხედა. ვერც ერთი მტერი მზერას ვერ მისწორებდა. და მე ვამარცხებდი მტრულ ქვეყნებს. მე იშთარის — ჩემი ქალბატონის — წყალობა მქონდა და მტერი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი ხათის ქვეყნების ფარგლებში, მე ის ხათის ქვეყნებიდან გავაძევე. ხოლო იმ მტრული ქვეყნების შესახებ, რომლებიც მე ჩემს ყრმობაში დავამარცხე, მათზე ცალკე შეექმნი ფირფიტას და მას ქალმერთის წინაშე მოვათავსებ.

და როდესაც ჩემი ძმა მუვათალი, თავისი (მფარველი) ღვთაების ბრძანებით, ქვემო ქვეყანაში¹⁵ წავიდა და ხათუსა დატოვა, ჩემმა ძმამ ხათის ღვთაებები და მიცვალებულთა სულები თან წაიყვანა და ისინი ქვემო ქვეყანაში მიიყვანა. (მის) ზურგში კი ქასქას ყველა ქვეყანა¹⁶, ფისხურუს ქვეყანა, ისხუფითას ქვეყანა, დაისთიფასას ქვეყანა აჯანყდნენ და ლანდას ქვეყანა, მარისთას ქვეყანა და გამაგრებული ქალაქები მიიტაცეს. მტერმა მდინარე მარასანთა¹⁷ გადალახა და... ქანესის¹⁸ ქვეყანაზე დაიწყო თავდასხმა. ქალაქებმა... ქურუსთამამ და გაციურამაც მაშინვე წამოიწყეს ომი და ხათის მიტოვებულ ქალაქებზე მიჰქონდათ იერიში. მტერმა ღურმითას ქვეყნიდან კი თუხუფიას ქვეყანაზე დაიწყო თავდასხმა. და, რადგანაც იფასანამას ქვეყანა უკაცრიელი იყო, მტერმა სუვათარას ქვეყანაში შეაღწია. ორი ქალაქი — ... და ისთახარასა კი გადაურჩნენ მას, მაგრამ იმ მიწებზე, რომლებიც მტრით იყო გარემოცული, ათი წლის განმავლობაში მარცვალს ვერ თესდნენ. შემდგომ კი, წლების მანძილზე, სანამ ჩემი ძმა მუვათალი ხათის ქვეყანაში იყო, ქასქას ყველა ქვეყანა ომობდა. მათ ააოხრეს საღუფას ქვეყანა და დანქუვას ქვეყანა. და მე ჩემმა ძმამ მუვათალიმ გამგზავნა და ფათიარიგაში გამამწესა ქვეითნი (და) ეტლოსნები კი მცირეოდენი მომცა. მე თან წავიყვანე ქვეყნის მცირერიცხოვანი დამხმარე ჯარი ფეზოსანთა, წვედი და მტერს ხაზას ქვეყანაში შევეუტიე და ბრძოლა გავუმართე. იშთარი, ჩემი ქალბატონი, მე წინ გამიძღვა და ისინი დავამარცხე. (გამარჯვების ნიშნად) ძეგლი(?) ავაგე, ისინი კი, ვინც მტერს ხათუსადან ჰყავდა წყევანილი, წავართვი და ყველანი ხელახლა დავასახლე (თავიანთ ძველ ადგილებზე). (მტრის) დამხმარენი კი შევიძყარი და ისინი ჩემს ძმას გადაეუცი. და ეს იყო ჩემი პირველი საგმირო საქმე. იშთარმა, ჩემმა ქალბატონმა, ამ ლაშქრობისას პირველად დამიძაბა სახელი.

მოხდა ისე, რომ მტერი ფისხურულდან შემოიჭრა. ქარხანა და მარისთა მტრის გარემოცვაში აღმოჩნდნენ. მას ერთი მხრიდან თავასთა ესაზღვრებოდა, მეორე მხრიდან კი თალმალა იყო მისი საზღვარი. ცბენების რვაასი შებმა ჰყავდათ. ქვეითებს კი თელა არ ჰქონდათ. ხოლო მე ჩემმა ძმამ მუვათალიმ გამგზავნა და ას ოცი შებმა ცბენებისა. მომცა, ქვეითებიდან კი ერთი კაციც არ მანძლდა. მაშინაც იშთარი, ჩემი ქალბატონი, გამიძღვა წინ და მაშინ მე მტერს საკუთარი ძალებით გავუმკლავდი. და, როდესაც ყველა, ვინც კი მტრის მოკავშირე იყო, დავამარცხე, მტერი გაიქცა, ხოლო ქალაქები, რომლებიც მოწყვეტილნი იყვნენ ხათის ქვეყანას, თავდასხმებს აწყობდნენ და მტერთან ბრძოლა დაიწყეს. ვისთავანდაში კი მე (ღვთაების) სტელა (?) აღმართე. და მაშინაც მე იშთარის, ჩემი ქალბატონის, წყა-

ლობა მჭონდა. ხოლო იარაღი, რომელსაც მაშინ ვატარებდი, მოვაუარაყე და ქალღმერთის, ჩემი ქალბატონის, წინაშე მოვათავსე.

ჩემს შემდეგ ჩემი ძმა მუვათალი მოვიდა. ქალაქები — ანცილია და თაფიქა — ხელახლა ააშენა და წავიდა, მე ახლოსაც არ გამქარებია. ხათის ქვეყნის ქვეითნი და ეტლოსნებიც ამასობაში გაიყოლია, ისინი თან წაიყვანა. შემდეგ ხათის ღვთაებები და მიცვალებულთა სულები შეკრიბა, თარხუნთასაში ჩაიყვანა და თარხუნთასა დაიკავა. ღურშითასა (და) ქურუსთამაში კი არ წავიდა და ამ ქვეყნებში მან მე დაბტოვა. მე ეს გაუკაცრიელებული ქვეყნები სამართავად მომცა. ისხუფითას ქვეყანას, მარისთას ქვეყანას, ხისასხაფას ქვეყანას, ქათაფას ქვეყანას, ხანბანას ქვეყანას, დარახნას ქვეყანას, ხათენას ქვეყანას, ღურშითას ქვეყანას. ფალას ქვეყანას, თუმანას ქვეყანას, გასიას ქვეყანას, საფას ქვეყანას, ყვითელი მდინარის ქვეყანას, ეტლოსნებსა და ოქროს შუბის ხალხს. ყველას მე ვმართავდი. ხოლო ხაჭფისას ქვეყანა და ისთაბარას ქვეყანა ქვეშევრდომებად ვადმომცა. და მე ხაჭფისას ქვეყანაში გამამეფა...

ერთხელ. როდესაც ისე მოადა. რომ ჩემი ძმა ეგვიპტეში წავიდა. (მოსახლეობა) ქვეყნებისა, რომლებიც მე ხელახლა დავასახლე, ქვეითნი (და) ეტლოსნები ამ ქვეყნებისა ჩემი ძმის (დასახმარებლად) ეგვიპტეში სალაშქროდ წაიყვანე. და რადგანაც ჩემი ძმის წინაშე ხათის ქვეყნის ქვეითნი (და) ეტლოსნები ჩემს ხელთ იყვნენ, მე მათ ვმართავდი. ხოლო. როდესაც არმა-დათა ციდას ძემ ჩემდამი იშთარის — ჩემი ქალბატონის და ჩემი ძმის კეთილგანწყობა დაინახა და მათ(ჩემს და)ლუპვას) ვერაფრით მიაღწიეს, (არმა-დათა ციდას ძემ) თავის ცოლთან და შვილთან ერთად მე ჯადოთი შეკვრა დამიბირეს. სამუხა, ქალღმერთის ქალაქი. მან ჯადოთი გაავსო. ხოლო როდესაც მე ეგვიპტიდან ვბრუნდებოდი. ღვთაებბრთვრს მსხვერპლრს შესაწირად ლავაცანთიანში გავემართე და ქალღმერთს თაყვანი ვეცი. ქალღმერთის სლრვილით. ცოლად მოვიყვანე ფულუბეფა. ბენთიფსარის — ქურუსმის — ქალიშვილი და ჩვენ შევუღლდით. და ჩვენ ღვთაებამ ქმრისა და ცოლის სიყვარული მოგვანრპა. და ჩვენ ვაყრბვილები (და) ქალიშვილები შეგვიბრნა. შემდეგ ლითაბამ — ჩემმა ქალბატონმა — მითხრა: „შენ წენს სახლიანად მე ამსახურე“. და მეც ჩემს სახლთან ერთად ღვთაებბის ერთგული ვიყავი და ჩვენთან, სახლში. რომელიც ჩვენ შევქმენით. ღვთაებბა შემოვიდა... ხაჭფისა აჯანყდა და მექასქას ქვეყნების ხალხი განვღვევე. ის დავიმორჩილე და ხაჭფისას ქვეყნის მღფე გავბდი. შენ კი. ფულუბეფა. ხაჭფისას ქვეყნის დედოფალი გაბდი.

და როდესაც ისე მოხდა, რომ სსამართლო დავა სსახლიდან გაქიანურდა, იმ დროსაც იშთარმა, ჩემმა ქალბატონმა, თავისი ღვთაე-

ბრივი ნება-სურვილი მიჩვენა. სასამართლო დაცვას განაჩენი მო-
 ჰყვა. არმა-დათას, მისი ცოლისა და შვილის ჯადოქრობა შეიტყვეს
 და ის მათ წინააღმდეგ მიმართეს. მას ჩემი ღვთაების ქალაქი, სამუ-
 ხა¹⁹, ჯადოთი ჰქონდა გავსებული. ქალღმერთმა, ჩემმა ქალბატონმა,
 იგი მე დამიქვემდებარა და ჩემმა ძმამ ის თავის ცოლთან და შვილ-
 თან ერთად სახლიანად მე გადმომცა. და მე ჩემმა ძმამ მითხრა: „სი-
 ფაციითი ამაში არ არის გარეული“. და, თუმცა ჩემმა ძმამ სასამარ-
 თლოს გადაწყვეტილებით მე ჰროცესი მომაგებინა, მე ბოროტებით
 სამაგიერო აღარ გადაუხადე. რადგანაც არმა-დათა ჩემი წათესავი
 იყო და ამასთან იგი მოხუცებული იყო, და ავად იყო. მე ის გავანთა-
 ვისუფლე. სიფაციითიც გავანთავისუფლე. გავანთავისუფლე რა ისინი,
 მე მათთვის არაფერი დამიშავებია. არმა-დათას ცოლი და ვაჟიშვილი
 ალასიამი²⁰ გავაგზავნე. მისი ჭონების ნახევარს მე დავეპატრონე და
 (დანარჩენი) არმა-დათას დაუბრუნე... ჩემი ძმა გარდაიცვალა, ჩემი
 ძმის პატივისცემით კი (ცული) არა გამოიკეთებია რა. იმ დროს, როდესაც
 ჩემს ძმას კანონიერი ვაჟიშვილი არ ჰყავდა, მე ურხი-თესლფი²¹,
 მისი ვაჟიშვილი მეორე ცოლისაგან, წამოვიყვანე და ის ხათის ქვეყ-
 ნაში ბატონად დავსვი. მთელი ხათუსა ჩავაბარე და ის ხათის ქვეყნე-
 ბის [დიდი მეფე] იყო. მე კი ხაჭფისას მეფე ვიყავი. ქვეითებისა და
 ეტლოსნების ჯარით [წავედი] და რადგანაც ქ. ნერიქი ხანთილის დრო-
 იდან დანგრეული იყო, იგი [ავილე და ხელახლა გავაშე]ნე. ქვეყნები,
 რომლებიც ნერიქის გარშემო მდებარნობდნენ.—ნერა (და) ხასთირა
 (მათ) მოსაზღვრებად ვაქციე, — ყველა დავიმორჩილე და ჩემს მო-
 ხარკეებად [ვქმენ]. ხახარვას მთის (დასახლება) და მარასანდას (და-
 სახლება), რომელთაც [მტერმა] ნერიქიდან და ხაჭფისაიდან შეუტია,
 მთლიანად დავიმორჩილე.

ხოლო როდესაც ურხი-თესლფმა ჩემდამი ღვთაების ასეთი კე-
 თილგანწყობა დაინახა, შეშურდა ჩემი და განსაცდელში ჩაგდება და-
 მიპირა. ყველა (ჩემი) ქვეშევრდომი წამართვა. სამუხაც წამართვა,
 გაუკაცრიელებული ქვეყნები კი, რომლებიც მე ხელახლა დავასახ-
 ლე. ისინი აგრეთვე ყველა წამართვა. და მე დამამცირა. ხაჭფისა კი,
 ღვთაების ბრძანებით, ვერ წამართვა. რადგანაც ნერიქის ამინდის
 ღვთაების ქურუმი ვიყავი, ამის გამო ის მე ვერ წამართვა. ჩემი ძმის
 პატივისცემით, მე (ცული) არაფერი ჩამიდენია და შვიდი წლის გან-
 მავლობაში ვითმენდი. ის კი ცდილობდა ჩემს დაღუპვას ღვთაების
 სიტყვით და ადამიანის სიტყვით. და მე ხაჭფისა და ნერიქი წამართვა.
 აღარ მოვუთმინე და მას ბრძოლა დავუწყე. ხოლო, როდესაც მას ვე-
 ბრძოდი, მე სიბილწეს არ ჩავდიოდი. განა მე მას ეტლზე მდგომი ავუ-
 ჯანყდი ან სასახლეში ავუჯანყდი! მე მას როგორც მტერს შევუთვა-
 ლე: „შენ მე მეჭიშპებოდი. შენ დიდი მეფე ხარ, მე კი მეფე ვარ

ერთი ციხე-სიმაგრისა, რომელიც შენ დამიტოვე. მოდი! ჩვენ სამუხას იშთარი და ნერიქის ამინდის ღვთაება განგვსჯიან სამსჯავროზე“. როდესაც ამას ვწერდი ურბი-თესუფს. ვინმეს რომ ჩემთვის ასე ეთქვა: „ადრე რატომ დასვი ის მეფედ და ახლა რად სწერ ომის შესახებ?“, — მე ვუპასუხებდი: „მას რომ თვითონ არ დაეწყო ჩემთან შუღლი, განა ღმერთები სამართლიან დიდ მეფეს პატარა მეფეს დაუქვემდებარებდნენ?“ ახლა, რადგანაც ის მე მექიჰნებოდა, ღმერთებმა ის სასამართლოს გადაწყვეტილებით მე დამიქვემდებარეს. და, როდესაც მე მას შეეუთვალე: „მოდი!“, — მან გადალაზა მარასანთია და ზემო ქვეყანაში მოვიდა. მასთან იყო სიფაციო, ძე არმა-დათასი. ურბი-თესუფმა მას დააეალა ზემო ქვეყნის ქვეითთა შეკრება. მაგრამ ვინაიდან სიფაციოთი ჩემს მიმართ ცუდად იყო განწყობილი, ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში მას წარმატება არ ჰქონია.

ხოლო, რადგან იშთარმა, ჩემმა ქალბატონმა, ადრევე აღმოთქვა მეფობა. ახლა იშთარი, ჩემი ქალბატონი. ჩემს ცოლს გამოეცადა ძილში (და უთხრა:) „მე შენს ქმარს დავეზარები და მთელს ხათუსას შენი ქმარი გაუძღვება. რადგანაც ის მე გავზარდე, არასოდეს დამითმია ის არც ბოროტი სასამართლოსათვის. არც ბოროტი ღვთაებისათვის. ახლაც მე მას აღვამალე და არინას მზის ღვთაების ქურუმად დავაყენებ. მე იშთარი (შენს) მფარველ ღვთაებად მქმენ!“ და მე იშთარი — ჩემი ქალბატონი მხარში ამომიდგა და, როგორც აღმოთქვამდა, (ისე) ასრულდა. იშთარი, ჩემი ქალბატონი, მე ხშირად მიმგლავნებდა თავის ღვთაებრივ ნებას. იმ წარჩინებულებს, რომლებიც ურბი-თესუფმა ერთ დროს გაასაზლა. იშთარი — ჩემი ქალბატონი — ძილში გამოეცადა (და უთხრა:) „მარტონი თქვენ უძღურნი ხართ(?) და მე, იშთარმა, ხათის ყველა ქვეყანა ხათუსილის დაუბრუნე“. იმეამად მე ბევრჯერ დავინახე იშთარის ღვთაებრივი სამართლიანობა. მაშინ, როდესაც სხვა დროს იგი არასოდეს ტოვებდა ურბი-თესუფს, ახლა იგი, როგორც ღორი საღორეში, სანუბაში გამოამწყვდია. მე კი ქასქას ხალხი, რომელიც ჩემი მტერი იყო. ისევე მხარში ამომიდგა. მთელი ხათუსაც მე ამომიდგა მხარში. ჩემი ძმის პატივისცემით, არაფერი ჩამიდენია. ურბი-თესუფთან სამუხასი გავემართე. უკან დავბრუნდი და იგი როგორც ტყვე ჩამოვიყვანე. მას ნუხასეს ქვეყანაში გამაგრებული ქალაქები გადავეცი. და ის იქ იმყოფებოდა. მას შეიძლებოდა სხვა განზრახვა ჰქონოდა და ქარადუნას (= ბაბილონის) ქვეყანაში წასულიყო, მაგრამ მე. როგორც კი შევიტყე საქმის ვითარება, ის შევიპყარი და ზღვის გაღმა გავავხანე. სიფაციოთისაც საზღვარი გადაალახინეს, ხოლო სახლი მას ჩამოვართვი და იშთარს, ჩემს ქალბატონს, ვუბოძე. იშთარს, ჩემს ქალბატონს კი, მე დიდების ერთი საფეხურიდან მეორეზე აყვავდი.

მეფის წული ვიყავი და მეშედის მეთაური გავხდი. მეშედის მეთაური (ვიყავი) და ხაჭყისას მეფე გავხდი. ხოლო ხაჭყისას მეფე შემდგომ დიდი მეფე გავხდი. იშთარმა, ჩემმა ქალბატონმა, (ჩემი) მოშურნენი, მტერნი და მოსარჩლენი ხელთ გადმომცა. ერთნი იარაღით დაიბოცნენ, მეორენი კი (მათთვის განგებით დადგენილ) დღეს. მე მათ. ყველას, მთლიანად მოუღლე ბოლო. იშთარმა, ჩემმა ქალბატონმა, აგრეთვე ხათის ქვეყნის მეფობა მიბოძა და მე დიდი მეფე გავხდი. იშთარმა, ჩემმა ქალბატონმა, მე — უფლისწული — ამიყვანა და მეფობა მომანდო. ისინი, ვინც ჩემი წინამორბედი მეფეებისადმი კარგად იყვნენ განწყობილნი, ჩემს მიმართაც კარგად განწყვენენ, ჩემთვის ელჩების გამოგზავნა დაიწყეს, ძღვენის გამოგზავნა დაიწყეს. საჩუქრები, რომლებსაც ისინი მე მიგზავნიდნენ, არც ჩემი მამათათვის, არც მამათა მამათათვის, არავისთვის არ გაუგზავნიათ. მეფეები, რომელთაც პატივი უნდა ეცათ ჩემთვის, პატივს მომაგებდნენ. მტრები კი, ვინც მყავდნენ. ისინი მე დავამარცხე. ხათის ქვეყნებს საზღვრები გავუფართოვე. მათ, ვინც ჩემს მამებს. მამათა მამებს მტრობდნენ, ჩემთან მშვიდობა დაამყარეს. და მე, რადგანაც იშთარს, ჩემს ქალბატონს, ასე გამორჩეული ვყავდი, ჩემი ძმის პატივისცემით, (ცუდი) არაფერი ჩამიდენია. ჩემი ძმისშვილი mDLAMMA წამოვიყვანე და იქ, იმ ადგილას. სადაც მუვათალის, ჩემი ძმის, სამყოფელი იყო. თარხუნთასაში დავსვი მეფედ. იშთარ, ჩემო ქალბატონო, შენ მე — ბავში (?) — ამიყვანე და ხათის ქვეყანაში მეფედ დამსვი. მე კი იშთარს, ჩემს ქალბატონს, არამა-დათას სახლი ვუბოძე. ის ჩამოვართვი (?) (მას) და (იშთარს) გადავეცი. ის, რაც (მას) ბებლთაგან ჰქონდა, (ღვთაებას) გადავეცი. მე რაც მქონდა, ისიც (ღვთაებას) გადავეცი. (მას) ჩამოვართვი და ღვთაებას გადავეცი. არმა-დათას სახლში, რომელიც მას გადავეცი და ქალაქებში, რომლებიც არმა-დათას ეკუთვნოდა, ყოველი მათგანის უკან (ღვთაების) სტელას დადამენ და ჰურჰელში შესაწირს მოათავსებენ. იშთარი ჩემი ქალმერთია. მას. იშთარს — განდიდებულს — (აღამიანები) თავისივე (კეთილდღეობისათვის) შესწირავენ მსხვერპლს. საბჭალე. რომელიც მე ავაშენე, ის ღვთაებას გადავეცი. ჩემი ვაჟიშვილი თუთალაიც შენ მოგეცი მსახურად. დაე, თუთხალიამ, ჩემმა ძემ. იშთარს სახლი განაგოს! მე ქალმერთის მსახური ვარ, დაე. ისიც ქალმერთის მსახური იყოს! ხოლო სახლში, რომელიც ქალმერთის ვუბოძე. დაე, ყოველმა ქალმერთისათვის დღესასწაულები (?) გადაიხადოს.

ხოლო ის, ვინც მომავალში ხათუსილისა (და) ფუდუ-ხეფას შთამომავალს იშთარის სამსახურს ჩამოაშორებს (ან) სამუხას იშთარის საბძლიდან (?) ჩალა-ბზესა (და) ხეს (ან) მის კალოს თავისთვის

მოითხოვს, დაე, ის სამუხას იშთარის მოპასუხე გახდეს სასამართლო-ში. სახანსა და ლუცის ნურავინ მოსთხოვს ხათუსილისა და ფუღუ-ხეფას შთამომავალს.

დაე, მომავალში ხათუსილისა და ფუღუ-ხეფას ყოველმა შვილმა, შვილიშვილმა (ან) შთამომავალმა, ვინც კი სამეფო ტახტზე ავა, ღვთაებებს შორის სამუხას იშთარს სცეს თაყვანი!

1 თაბარნა / ლაბარნა — ხეთების მეფეთა ტიტული, ხათური წარმოშობის. აგრეთვე, ხეთების მეფეთა საკუთარი სახელი (მღრ. ლაბარნა I, ლაბარნა II).

2 „ხათი“ აღნიშნავდა ხეთების მთელ სამეფოს.

3 მურსილი II — ხეთების ახალი სამეფოს მბრძანებელი (ძვ. წ. XIV ს. პირველი ნახევარი).

4 სუფილულიუმა I — ხეთების ახალი სამეფოს დამაარსებელი. მეფობდა დაახლ. 1425—1356 წლებში.

5 ხათუსილი I — იგივე ლაბარნა II, რომელმაც სამეფოს ცენტრი ქუსარადან გადაიტანა ხათუსას, საიდანაც წარმოდგება ამ მეფის სახელი. ამ დროიდან გადაიქცა სახელწოდება „ხათი“ ხეთების მთელი სამეფოს აღმნიშვნელად.

6 ქუსარა — ხეთების ძველი სამეფოს პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრი ძვ. წ. XVIIII—XVII სს. დედაქალაქის ხათუსაში გადატანის შემდეგ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

7 იშთარი — სიყვარულისა და ომის მესოპოტამიური ღვთაება.

8 „ჩემი მზე“, „მზე“ — ხეთების მეფეთა ტიტული.

9 მუვათალი — ხეთების მეფე (დაახლ. 1345—1310 წწ. ძვ. წ.).

10 მეჭინიზე — დაბალი თანამდებობა სამეფო კარზე.

11 ე. ი. გარდაიცვალა.

12 მუშედთა მეთური (მთავარი მუშელი) — მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობა სასახლის კარზე.

13 „ზემო ქვეყანა“ — სახელწოდება აღნიშნავდა პონტოს მიწებში, ხეთების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას, დაახლ. თანამ. ტოკატიდან და სივასის მიდამოებიდან ერზინჯანამდე.

14 სიტყვასიტყვით: „მორბალთან მიხმო“.

15 „ქვემო ქვეყანა“ — სახელწოდება აღნიშნავდა ხეთების სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას.

16 ქასქას ყველა ქვეყანა — ტერიტორია, დასახლებული ეთნიკური ჯგუფით, რომელსაც ეწოდებოდა „ქასქა“, მოეკავდა ხეთების სამეფოს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონს.

17 მარასანთა, მარასანთია — კლასიკური ხანის ჰალისი, თანამ. მდ. ყიზილირმაკი.

18 ქანესი (იგივე ნესა) — თანამ. კაისერის ახლოს, ქიულ-თეფეს ბორცვზე მდებარეობდა.

19 სამუხა — ღვთაება იშთარის საკულტო ქალაქი.

20 ალასია — კენჭული კვიპროსი, ახალი სამეფოს ხანაში ხეთების სამეფოს ვასალური ქვეყანა.

21 ურხი-თესუფი — იგივე მურსილი III (დაახლ. 1310—1304 წწ.).

§ 2. სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი შინაარსის ტიპსტები

ხათური კანონები

უძველესი სამართლებრივი ძეგლი მცირე აზიიდან აღმოჩნდა ბოლაზქოის (=ხათუსას) არქივში 1906—1912 წლების გათხრების დროს. თანამედროვე მკვლევართა ნუმერაციით შეიცავს 241 პარაგრაფს, თუმცა ზოგიერთ მათგანს აქვს „A“ და „B“ ქვეპარაგრაფები (ნაწილი ტექსტისა დაზიანებულია). მუხლების კაუზალური ფორმულირების მიხედვით, თვით ხეთი კანონმდებლები კანონებს ყოფდნენ ორ ნაწილად: „I ფირფიტა (=დაფა)“, რომელსაც ხეთური ტექსტის დასაწყისი სიტყვების მიხედვით ეწოდებოდა „უკეთუ კაცი“ და „II ფირფიტა (=დაფა)“ — „უკეთუ ვაზი“, შედგენილია ხეთების „ძველი სამეფოს“ დროს (ძვ. წ. 1650—1500 წწ.). ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე „I ფირფიტის“ პარალელურმა ტექსტმა, რომელიც „ახალი სამეფოს“ დროსაა დაწერილი (ძვ. წ. XIII ს.).

თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის, ქართულადაც (რუსულიდან). ხეთურიდან ქართულად ითარგმნება პირველად შემდეგი გამოცემების მიხედვით: J. Friedrich, *Die hethitischen Gesetze*, Leiden, 1959; F. Imparati, *Le leggi Illite*, Roma, 1964. თარგმნა გ. გიორგაძემ.

I ფ ი რ ფ ი ტ ა

§ 1. [უკეთუ] ვინმე [ჩხუბში მოკლავს (თავისუფალ) კაცს] ან (თავისუფალ) ქალს, იგი [მას (ე. ი. ცხედარს) შინ მიიტანს], აგრეთვე 4 „თავს“¹ გაიღებს, კაცს ან ქალს, [და მის (ე. ი. დაზარალებულის) სახლს] ჩააბარებს.

§ 2. [უკეთუ] ვინმე ჩხუბში მოკლავს [მონა კაცს]² ან მონა ქალს, იგი მას (შინ) მიიტანს, [აგრეთვე 2 „თავს“] გაიღებს, კაცს ან ქალს, და მის სახლს ჩააბარებს.

§ 3. [უკეთუ] ვინმე თავისუფალ [კაცს] ან ქალს სცემს და იგი მოკვდება, ხელი მისი კი (უნებლიედ) ჩადის ცოდვას, იგი მას (შინ) მიიტანს, აგრეთვე 2 „თავს“ გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 4. [უკეთუ] ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს სცემს და იგი [მოკვდება, ხელი მისი კი (უნებლიედ) ჩადის ცოდვას, იგი მას (შინ) მიიტანს, აგრეთვე 1 „თავს“ გაიღებს [და] მის სახლს ჩააბარებს.

§ 5. [უკეთუ] ვინმე ხეთ ვაჭარს მოკლავს, 100 მინა ვერცხლს გაიღებს და მის [სახლს] ჩააბარებს. თუკი (ეს მოხდება) ლუვიანს

ქვეყანაში ანდა ფალას ქვეყანაში, [იგი 100] მინა ვერცხლს გაი-
ლებს და მის დოვლათსაც აანაზღაურებს. როდესაც ეს ხათის ქვეყა-
ნაში (მოხდება), იგი ვაჭარსაც (შინ) მიიტანს.

§ 6. [უკეთ]თუ ადამიანი, კაცი ან ქალი, სხვის თემში (ტექსტშია
„დასახლებაში“) მოკვდება, ვის მიწაზეც გარდაიცვლება, მან 100 გი-
პესარი მინდორი უნდა გამოყოს და მან (ე. ი. გარდაცვლილის მემ-
კვიდრემ) თავისთვის აიღოს.

§ 7. უკეთუ ვინმე თავისუფალ ადამიანს დააბრმავებს ან მას
კ[ბილს] ჩაუმტვრევს, წინათ (ამისთვის) 1 მინა ვერცხლს იხდიდნენ,
ახლა კი იგი (ე. ი. დამნაშავე) 20 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის
სახლს ჩააბარებს.

§ 8. უკეთუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს დააბრმავებს ან
[მას კბილს] ჩაუმტვრევს, იგი [10] სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის
სახლს ჩააბარებს.

§ 9. უკეთუ ვინმე ადამიანს თავს გაუტეხს, წინათ (ამისთვის)
[6 სიკლ] ვერცხლს იხდიდნენ: (თავ)გატეხილი 3 სიკლ ვერცხლს
იღებდა, ხოლო სასახლისათვის 3 [სიკლ ვე]რცხლს იხდიდნენ. ახლა
კი მეფემ სასახლისა (ე. ი. სასახლის წილი) გააუქმა და მხოლოდ
(თავ)გატეხილი თავისთვის 3 სიკლ ვერცხლს აიღებს.

§ 10. უკეთუ ვინმე ადამიანს ზიანს მიაყენებს და იგი აუად გაბ-
დება. იგი [მასვე] მოუვლის. მის სანაცვლოდ კი კაცს მისცემს და
იგი [მის (ე. ი. დაზარალებულის)] სახლში იმუშავეებს (მანამ). სანამ
იგი გამოჯანმრთელდება. როგორც კი იგი გამოჯანმრ[თელდება],
იგი (დამნაშავე) მას 6 სიკლ ვერცხლს მისცემს. მკურნალის ქირასაც
იგივე [გადაიხდის].

§ 11. უკეთუ ვინმე თავისუფალ ადამიანს ხელს ან ფეხს მოს-
ტეხს, იგი მისთვის 20 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბა-
რებს.

§ 12. უკეთუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს ხელს ან ფეხს მოს-
ტეხს, იგი 10 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 13. უკეთუ ვინმე თავისუფალ ადამიანს ცხვირს მოაჭამს, I
მინა ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 14. უკეთუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს ცხვირს მოაჭამს,
3 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 15. უკეთუ ვინმე თავისუფალ ადამიანს ყურს მოახვეს, 12
სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 16. უკეთუ ვინმე მონა კაცს ან მონა ქალს ყურს მოახვეს, 3
[სიკლ] ვერცხლს გაიღებს.

§ 17. [უკეთ]უ ვინმე თავისუფალ ქალს ნაყოფს მოუშლის,
თუკი (ნაყოფი) 10 თვისაა — იგი 10 სიკლ ვერცხლს გაიღებს, ხოლო

თუკი 5 თვისაა — 5 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 18. უკეთუ ვინმე მონა ქალს ნაყოფს მოუშლის, თუკი (ნაყოფი) 10 თვისაა — იგი 5 (?) სიკლ ვერცხლს გაიღებს.

§ 19 A. უკეთუ რომელი[მე] ლუვეილი ადამიანს, კაცს ან ქალს ქ. ხათუსაში მოიპარავს და მას არცავეს ქვეყანაში წაიყვანს, (თუკი) ბატონი მისი იპოვის, იგი მხოლოდ (მას) თავის სახლში წამოიყვანს.

§ 19 B. უკეთუ ვინმე ხეთი ქ. ხათუსაში ლუვეილს მოიპარავს და მას [ლუვიას ქვეყანაში წა]იყვანს, წინათ (ამისთვის) 12 „თავს“ იხდიდნენ, ახლა კი იგი (ე. ი. ქურდი) 6 „თავს“ გაიღებს [და მის სახლს ჩაა]ბარებს.

§ 20. უკეთუ რომელიმე ხეთი ხათის მონას ლუვიადან გარტაცებს და მას ხათის ქვეყანაში მოიყვანს. ხოლო ბატონი მისი [იპოვ]ის მას, იგი (ე. ი. ქურდი) მასში 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩაა[ბარებს].

§ 21. უკეთუ ვინმე ლუვეილის მონას ლუვიას ქვეყნიდან [გარტა]ცებს და მას ხათის ქვეყანაში წაიყვანს, ხოლო ბატონი მისი [იპოვ]ის მას, იგი მხოლოდ თავის მონას დაუბრუნებს. ანაზღაურება [არ არის].

§ 22. უკეთუ მონა კაცი გაიქცევა და მას ვინმე უკან დააბრუნებს, თუკი მას [ახლო-მახლო] შეიპყრობს. იგი მას ფუძსაცმელს მისცემს. თუკი მდინარის⁶ აქეთ (შეიპყრობს) — 2 [სიკლ ვერცხლს მისცემს]. ხოლო თუკი მდინარის იქეთ — იგი მას 3 სიკლ ვერცხლს [მისცემს].

§ 23. უკეთუ მონა კაცი გაიქცევა და იგი ლუვიას ქვეყანაში წავა, ვინც უკან დააბრუნებს, მას იგი 6 სიკლ ვერცხლს მისცემს. უკეთუ [მონა გაიქცევა] და იგი მტრის ქვეყანაში წავა, ვინც უკან [დააბრუნებს], მასაც იგივე წაიყვანს.

§ 24. უკეთუ მონა კაცი ან მონა ქალი [გაიქცევა, მისი ბატონი ვის კერასთანაც იპოვის, კაცის ერთი წლის (მუშაობის) საფასურში მას (ე. ი. ბატონს) [...]] მინა ვერცხლს მისცემს, ხოლო ქალის [ერთი წლის (მუშაობის)] საფასურში 40 (?) სიკლ [ვერცხლს გაიღებს].

§ 25. [უკეთუ] ადამიანი (წყლიან) ჰურ[ქელს ან წყაროს] წაბილწავს, [წინათ] (ამისთვის) [6 სიკლ ვერცხლს იხდიდნენ]: ვინც [წაბილწავდა — [3 სიკლ ვერცხლს იხდიდა], (ხოლო) [სასახლისათვის] 3 სიკლ ვერცხლს იღებდნენ. ახლა კი მეფემ სასახლისა (ე. ი. სასახლის წილი) [გააუქმა. ვინც წაბილწა, მხოლოდ იგი 3 (?) სიკლ ვერცხლს გაიღებს] და [მის სახლს] ჩაა[ბარებს].

§ 26. (შემორჩენილია ცალკეული სიტყვები).

§ 27. [უკეთუ მამაკაცი ცოლს შეირთავს და მას თავის სახლში] წაიყვანს, მის ივარუსაც⁷ შინ მიიტანს. უკეთუ ქალი იქ] გარდაიცვლება და მის ნივთებს დაწვევენ, მის ივარუს მამაკაცი [აიღებს]. უკეთუ იგი მამამისის სახლში მოკვდება, ხოლო შვილები [მისი არსებობენ], მის ივარუს მამაკაციც არ [აიღებს].

§ 28 A. უკეთუ ქალიშვილი მამაკაცთანაა შეპირებული, სხვამ კი იგი გაიტაცა, თანხა, რამდენიც პირველმა მამაკაცმა გაიღო, ვინც (ქალი) გაიტაცა, იმან უნდა აუნაზღაუროს მას. მამა და დედა არ აანაზღაურებენ. § B. უკეთუ მას (ე. ი. ქალიშვილს) მამა (და) დედა სხვა კაცს მისცემენ, მაშინ მამა და დედა აანაზღაურებენ. § 28. C. უკეთუ მამა და დედა უარს იტყვიან (ანაზღაურებაზე), მაშინ მას მისგან (ე. ი. სხვა კაცისაგან) გაყრიან.

§ 29. უკეთუ ქალიშვილი მამაკაცთანაა კავშირში, ხოლო იგი მას ურვათს⁸ გადაუხდის, (ამის) შემდეგ (თუკი) მამა (და) დედა დავას ასტეხენ და ისინი მას მამაკაცს ჩამოაცილებენ. ურვათს ისინი ორმაგად აანაზღაურებენ.

§ 30. და უკეთუ მამაკაცს ქალი ჭერ კიდევ არ წაუყვანია და იგი მას უარს ეტყვის, ურვათზე, რომელიც მან გაიღო, იგი (ასევე) უარს იტყვის.

§ 31. უკეთუ თავისუფალი მამაკაცი და მონა ქალი ახლო კავშირში არიან. შემდეგ კი ისინი მორიდდებიან და იგი მას თავის ცოლად შეირთავს. ისინი ოჯახსა და შვილებს შექმნიან. (ამის) შემდგომ, (თუკი) ისინი ერთურთს ბოროტებას მიაყენებენ, ანდა გასცილდებიან, (მაშინ) ისინი სახლს (ოჯახს) შეთანხმებულად გაიყოფენ: შვილებს კაცი წაიყვანს. ერთ შვილს თავისთვის ქალი წაიყვანს.

§ 32. უკეთუ მონა კაცი (თავისუფალ) ქალს ცოლად შეირთავს, მათი სამართალიც ზუსტად იგივეა.

§ 33. უკეთუ მონა კაცი (ცოლად) შეირთავს მონა ქალს. მათი სამართალიც ზუსტად იგივეა.

§ 34. უკეთუ მონა კაცი (თავისუფალ) ქალში ურვათს გაიღებს და მას ცოლად შეირთავს, (მაშინ) მას ვერავინ ვერ შეეცილება (?).

§ 35. უკეთუ თავისუფალ ქალს აგრიგო⁹ ან მწაქმსი გაიტაცებს, ხოლო მის ურვათს არ გაიღებს, მაშინ იგი (ქალი) სამი წლით [დამონ]-დება (=მონა ქალი გახდება).

§ 36 უკეთუ მონა კაცი თავისუფალ ყმაწვილში ურვათს გაიღებს და მას ზედსიძედ მოიყვანს, მაშინ მას ვერავინ ვერ შეეცილება(?).

§ 37. უკეთუ ვინმე ქალს გაიტაცებს, ხოლო მას უკან დაედევნება მშველელი (ჭგუფი): თუკი 2 კაცი ან 3 კაცი მოკვდება, ანაზღაურება არ იქნება (რადგან იტყვიან): „შენ მგელი გახდი!“ (?)¹⁰.

§ 38. უკეთუ კაცები დანაშაულისთვის შეპყრობილი არიან და მათ საშველად (გამოსახსნელად) ვინმე წავა, დავისას კი [ხის ურ]-დულს გამოიყენებენ და მშველელს იგი (შესაძლოა, მოსამართლე) სცემს, ხოლო იგი მოკვდება, ანაზღაურება არ იქნება.

§ 39. უკეთუ [კაცი ს^ს]ვის მინდვრებს ფლობს, იგი სახანს¹¹ შეასრულებს. თუკი იგი (სახანზე) უარს იტყვის, მინდვრებსაც სხვა აიღებს. იგი [მათ] ვერ გაყიდის.

§ 40. უკეთუ „იარალის კაცი“¹² გადაიკარგება, (მის ადგილას) „ვალდებულების კაცი“¹³ დაინიშნება და (თუკი) „ვალდებულების კაცი“ იტყვის — „ეს არის ჩემი იარალი, ხოლო ეს არის ჩემი სახანი“, „იარალის კაცის“ მინდვრებს იგი ბეჭდით დაიმტკიცებს. მას „იარალიც“ ექნება და სახანსაც შეასრულებს. მაგრამ უკეთუ იგი „იარალზე“ უარს იტყვის და „იარალის კაცის“ მინდვრებს ვერანად გამოაცხადებენ, მაშინ მათ მეთემენი დაამუშავებენ. თუკი მეფე დეპორტირებულს¹⁴ გაიღებს და მას მინდვრებს ჩააბარებენ, იგი „იარალის (კაცი)“ გააღება.

§ 41. უკეთუ „ვალდებულების კაცი“ გადაიკარგება, (მის ადგილას) „იარალის კაცი“ დაინიშნება და (თუკი) „იარალის კაცი“ იტყვის — „ეს არის ჩემი იარალი, ხოლო ეს არის ჩემი სახანი“. „ვალდებულების კაცის“ მინდვრებს იგი ბეჭდით დაიმტკიცებს. მას „იარალიც“ ექნება და იგი სახანსაც შეასრულებს. თუკი იგი სახანზე უარს იტყვის, მაშინ „ვალდებულების კაცის“ მინდვრებს სასახლეში აიღებენ და სახანიც გაუქმდება (შეწყდება).

§ 42. უკეთუ ვინმე კაცს დაიქირავეს და იგი სალაშქროდ წავა და მოკვდება, თუკი საფასური გაცემული იყო, იგი არ ანაზღაურდება. (მაგრამ) თუკი მისი საფასური არ იყო გაცემული, (მაშინ) 1 „თავს“ გაიღებს (დაიქირავებელი) და იგი საფასურსაც — 12 სიკლ ვერცხლს — გაიღებს, ხოლო ქალის საფასურს — 6 სიკლ ვერცხლს — გაიღებს.

§ 43. უკეთუ კაცს თავისი ხარი მდინარეზე გადაჰყავს, მეორე (კაცი) კი უბიძგებს (მას) და ხარის კუდს (თვითონ) ჩაეჭიდება და მდინარეზე გადავა, ხოლო ხარის პატრონს მდინარე წაიღებს, მაშინ სწორედ მას (ე. ი. მეორე კაცს) შეიპყრობენ.

§ 44 A. უკეთუ ვინმე კაცს ცეცხლში ჩააგდებს და იგი მოკვდება, იგი მის (მაგივრად) აზალგაზრდას გაიღებს.

§ 44 B. უკეთუ ვინმე კაცს (საკულტოდ) განწმენდს, (შეწირვის) ნარჩენებს იგი დაწვის ადგილას მიიტანს. უკეთუ მათ მინდორში, ანდა

ვინმე სახლში მიიტანს, მაშინ ეს (გრძნეულობა) და [მეფის სამართლის საქ]მეა.

§ 45. [უკეთუ] ვინმე ნივთებს იპოვნის და მათ თავის პატ[რონს დაუბრუნებს], (მაშინ) [მას] იგი დაასაჩუქრებს. მაგრამ თუკი იგი მათ არ მიუტანს (პატრონს), იგი ქურდი ი[ქნება].

§ 46. [უკეთუ] ვინმე [დასახლება]ში ფლობს მინდვრებსა და სახანს როგორც ივარუს, თუკი [მას მინდვრები მთლიანად მიეცა] ლუცის¹⁵ შეასრულებს. თუკი მას [ცოტა] მინდვრები [მიეცა, ლუცის] არ შეასრულებს. მამამისის სახლიდან შე[ასრულებენ. უკეთუ] ივარუს პატრონის მინდვრებს ქულე (?) გამოჰყოფს [ანდა მეთემენი] (მისცემენ მას) მინდვრებს, მაშინ იგი ლუცის შეასრულებს.

§ 47 A. უკეთუ ვინმე ფლობს [მინდვრებს] (ვითარცა) მეფის საჩუქარს, ლუცის არ [შეასრულებს. მეფე მაგიდრი]ან პურს იღებს და იგი მას აძლევს.

§ 47 B. ...უკეთუ [„იარაღის] კაცის“ [მინდვრებს მთლიანად ვინმე იყიდის, ლუცის შეასრულებს. უკეთუ იგი [მინდვრების მეტ ნაწილს (= არა მთლიანად) იყიდის], ლუცის [არ] შეასრულებს. მაგრამ თუკი მას მინდვრებს ქულე (?) [გამოჰყოფს], ანდა [მას მე]თემენი მისცემენ, იგი ლუცის [შეასრულებს].

§ 48. ხიფარა¹⁶ ასრულებს ლუცის და ხიფარასთან ვაჭრობას არა-ცინ არ გამართავს. მის ძეს, მის მინდორს, მის ეენახს არავინ არ იყიდის. ვინც ხიფარასთან ვაჭრობას გამართავს, იგი ნავაჭრალს [დაქ]აჯავს. ხიფარამ რაც გაყიდა, იგი მას უკან მიიღებს.

§ 49. [უკეთუ ხ]იფარა იქურდებს, (ნაქურდალის) ანაზღაურება არ (მოხდება). თუკი თუ იქქან თ(?) (არსებობს), სწორედ მან აანაზღაუროს იგი... ნაქურდალს აძლევდნენ. როდესაც ყველანი სტყუოდნენ, ისინი ქურდები ხდებოდნენ... მეფის (სამართალში) მისცეს.

§ 50. (რაც შეეხება) უქქე-კაცს¹⁷, რომელიც ქ. ნერაქში გამგებლობს(?), რომელიც ქ. ა[რინაში], რომელიც ქ. ციფლანთაში¹⁸ (გამგებლობს), (რაც შეეხება) ქურუმს ყველა ქალაქში: მათი სახლები თავისუფალია, ხოლო მათი მოწილენი ლუცის ასრულებენ. როდესაც ქ. არინაში მე-11 თვე დადგება, იმის [სახლი], ვის ჰიშვარზე ეია¹⁹ გამოჩნდება, თა[ვისუფალია].

§ 51. წინათ ვინც ქ. არინაში მქსოველი ხდებოდა, მისი სახლი თავისუფალი იყო, მისი მოწილენი და მისი ადამიანებიც თავისუფალი იყვნენ. ახლა კი [მხოლოდ მისი სახლია თავისუფალი, მოწილენი მისი] და ადამიანები მისი კი სახანსა და ლუცის [ასრულებენ], ქ. ციფლანთაშიც ასევეა.

§ 52. ქვის სახლის²⁰ მსახური, უფლისწულის მსახური (და) სუ-

ფათის (?) უფროსი, რომლებიც [„იარაღის კაცთა“ (მინდვრებს) შორის] მინდვრებს ფლობენ, ლუცის ას[რულებენ].

§ 53. უკეთუ „იარაღის კაცი“ და მისი მოწილე ერთად არიან, [როდესაც ისინი ერთმანეთს ბოროტებას მიაყენებენ], (მაშინ) მათ სახლს (=მეურნეობას) ერთმანეთში გაიყოფენ. უკეთუ მათ მინდვრებზე [10 „თავია“, 7 „თავს“] „იარაღის კაცი“ აიღებს, ხოლო 3 თავს — მისი მოწილე. [მინდვრების წვრილფეხა (და) მსხვილფეხა საქონელსაც ასევე გაყოფენ. უკეთუ ვინმეს მეფის ბოძების ფირფიტა აქვს, [როდესაც ისინი ერთმანეთში] წინანდელ მინდვრებს გაიყოფენ, (ამის შემდეგ) ბოძების 2 ნაწილს [„იარაღის კაცი“ აიღებს], ხოლო 1 ნაწილს — მისი მოწილე აიღებს.

§ 54. წინათ მან და-მეომრები, სალ-მეომრები, ქ. თამაღის მეომრები, [ქ. ხათრას მეომრები], ქ. ცალფას მეომრები, ქ. თასხინის მეომრები, ქ. ხემუვას მეომრები, [მშვილდო]სანნი [ხუროს ბელოსანნი], მეჯინიბენი და მათი ქარუხალა(?)-კაცები ლუცის არ [ასრულებდნენ], სახანს არ იხდიდნენ.

§ 55. როდესაც ძენი ქ. ხათისა, „ვალდებულების კაცნი“, მოვიდნენ, მეფის მამას თაყვანი სცეს და უთხრეს: „გადასახადს არავინ გვიხდის და ჩვენ არ გვცნობენ: „თქვენ ხართ ვალდებულების კაცნი“. მაშინ მეფის მამა თულიაზე გამოვიდა და ბრძანა (ტექსტში: ბეჭედი დაუსვა): „წადით! როგორც თქვენი მოძმენი არიან, თქვენც ისეთივენი იყავით!“.

§ 56. ყინვის (მტკრევისაგან), სამეფო გზის გამაგრებაზე წასვლასაგან (ან) ვენაბში მოსავლის აღებისაგან [მესპილენძეთაგან] არაინაა თავისუფალი. მებაღენიც ყველა იმავე (საქმეში) ლუცის [ასრულებენ].

§ 57. უკეთუ ვინმე სანაშენო ხარს მოიპარავს, თუკი ხარი ძუძუმწოვარაა, იგი არაა [სანაშენო] ხარი. თუკი ხარი ერთი წლისაა, იგი არ არის სანაშენო ხარი. თუკი ხარი ორი წლისაა, იგი სანაშენო ხარია. წინათ 30 ხარს აძლევდნენ, ახლა კი 15 ხარს გაიღებს (ხარის ქურდი) — 5 ორწლიანს, 5 ერთწლიან ხარს და 5 ძუძუმწოვარა ხარს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 58. უკეთუ ვინმე სანაშენო ცხენს (აჯილღას) მოიპარავს, თუკი ძუძუმწოვარაა, იგი არაა სანაშენო ცხენი. თუკი ერთი წლისაა, იგი არ არის სანაშენო ცხენი. [თუკი] ორი წლისაა, იგი სანაშენო ცხენია. წინათ 30 ცხენს აძლევდნენ, ახლა კი 15 ცხენს გაიღებს (ქურდი) — 5 ცხენს ორწლიანს, 5 ცხენს ერთწლიანს (და) 5 ცხენს ძუძუმწოვარა ცხენს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 59. უკეთუ ვინმე სანაშენო ვერძს მოიპარავს, წინათ 30 ცხენს აძლევდნენ. ახლა კი [15] ცხენს გაიღებს (ქურდი) — 5 დედა

ცვარს (ნერბს), 5 ვერძს (ერკემალს), 5 ბატკანს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 60. უკეთუ ვინმე სანაშენო ხარს იპოვის და მას (პატრონის) ნიშანს მოაღლის, პატრონი [მისი კი მას მიაგნებს], 7 ხარს გაიღებს — 2 ხარს ორწლიანს, 3 ხარს ერთწლიანს (და) 2 ძუძუმწოვარა ხარს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 61. უკეთუ ვინმე სანაშენო ცხენს იპოვის და მას (პატრონის) ნიშანს მოაღლის, პატრონი [ნი კი მას] მიაგნებს, 7 ცხენს გაიღებს (ქურდი) — 2 ცხენს ორწლიანს, 3 ცხენს ერთწლიანს (და) 2 ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 62. უკეთუ ვინმე სანაშენო ვერძს იპოვის და მას ნიშანს მოაღლის, პატრონი კი მას მიაგნებს, 7 ცვარს გაიღებს — 2 დედალ ცვარს, 3 ვერძს (და) 2 ბატკანს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 63. უკეთუ ვინმე საგუთნე ხარს მოიპარავს, წინათ 15 ხარს აძლევდნენ, ახლა კი 10 ხარს გაიღებს — 3 ხარს ორწლიანს, 3 ხარს ერთწლიანს (და) 4 ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 64. უკეთუ ვინმე შესაბმელ ცხენს მოიპოვებს, მისი ანაზღაურებაც ზუსტად იგივეა.

§ 65. უკეთუ ვინმე გაწვრთნილ (?) ვაცს, უკეთუ მოშინაურებულ გარეულ თხას, უკეთუ გაწვრთნილ მთის ცხვარს მოიპარავს, ანაზღაურება ზუსტად იგივეა, როგორც თხისა.

§ 66. უკეთუ საგუთნე ხარი, უკეთუ შესაბმელი ცხენები, უკეთუ ძროხა, უკეთუ ქაკი ვირი (სხვის) ბაკში შეერევა, ა(ნდა) უკეთუ ვაცი გაწვრთნილი, უკეთუ დედალი ცხვარი. უკეთუ ვერძი (სხვის) ბაკში შეერევა, პატრონი [მისი კი იპო]ვის. იჯ. მას კანონიერად უკან წამოიყვანს. [როგორც ქურდს მას არ] აყვანენ (შეიპყრობენ).

§ 67. უკეთუ ვინმე ძროხას მოიპარავს. წინათ 12 [მსხვილფეხა საქონელს] აძლევდნენ. ახლა კი 6 [მსხვილფეხა საქონელს] გაიღებს — 2 მსხვილფეხა საქონელს ორწლიანს, ორს ერთწლიანს (და) 2 მსხვილფეხა საქონელს ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 68. უკეთუ ვინმე ფაშატს მოიპარავს, მისი ანაზღაურებაც ზუსტად იგივეა.

§ 69 უკეთუ ვინმე დედალ ცვარს ან ვერძს მოიპარავს, წინათ 12 ცვარს აძლევდნენ. ახლა კი 6 ცვარს გაიღებს — 2 დედალ ცვარს, 2 ვერძს (და) 2 ბატკანს გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს.

§ 70. უკეთუ ვინმე ხარს, უკეთუ ცხენს, უკეთუ ჯორს, უკეთუ

ვირს მოიპარავს. მისი პატრონი კი მას მიაგნებს, იგი მას კანონიერად უკან წამოიყვანს. გარდა ამისა, იგი (ქურდი) მას ორმაგს მისცემს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 71. უკეთუ ხარს, ცხენს, ჯორს ვინმე იპოვის, იგი მას მეფის ჰიშვართან მიდენის. თუკი იგი ქვეყანაში (— დასახლებაში) იპოვის და მას უხუცესები გადასცემენ, მაშინ იგი მას შეაბამს კიდეც. როდესაც მას პატრონი მისი იპოვის, იგი მას კანონიერად უკან წაიყვანს. როგორც ქურდს მას არ აიყვანენ (შეიპყრობენ). (მაგრამ) თუკი იგი უხუცესებმა არ გადასცეს, იგი ქურდი იქნება.

§ 72. უკეთუ ხარი ვინმეს მინდორზე მოკვდება, მინდორის პატრონი 2 ხარს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 73. უკეთუ ვინმე (სხვის) ცოცხალ ხარს ნაწილებად დაჭრის, ეს იგივეა, რაც ქურდობა.

§ 74. უკეთუ ვინმე ხარს რქას, ანდა ხარს ფეხს მოსტეხს, ამ (ხარს) იგი თვითონ წაიყვანს, ხოლო კარგ ხარს ხარის პატრონს მისცემს. უკეთუ ხარის პატრონი იტყვის: „მხოლოდ ჩემს ხარს წაიყვან“, (მაშინ) იგი თავის ხარს აიღებს და (მას) 2 სიკლ ვერცხლს მისცემს (დამნაშავე).

§ 75. უკეთუ ვინმე ხარს, ცხენს, ჯორს (ან) ვირს შეაბამს და იგი მოკვდება, ანდა მას მგელი შეჭამს, ანდა დაიკარგება, (მის მაგივრად) იგი (ე. ი. ვინმე) კანონიერად (საქონელს) მისცემს (პატრონს). მაგრამ თუკი იტყვის: „ღმერთმა მოკლა“, (მაშინ) იგი დაიფიცებს.

§ 76. უკეთუ ვინმე ხარს, ცხენს, ჯორს (ან) ვირს დააკავებს, ხოლო იგი მის მიწაზე მოკვდება, იგი მას (ე. ი. მკვდარ საქონელს) (შინ) მიიტანს და მის საფასურსაც მისცემს (დაზარალებულს).

§ 77 A. უკეთუ ვინმე მაკე ძროხას სცემს და ნაყოფს გამოუგდებს, იგი 2 სიკლ ვერცხლს გაიღებს. უკეთუ ვინმე მაკე ცხენს სცემს და ნაყოფს გამოუგდებს, 2 სიკლ ვერცხლს [გაიღებს].

§ 77 B. უკეთუ ვინმე ხარს ანდა ცხენს თვალს ამოუგდებს, 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 78. [უკეთუ ვინმე ხარს] დაიჭირავენ და მას სახრეს [ან მათარხს] გადაჭრავს, მისი პატრონი კი ამას (ნაცემს) იპოვის, იგი [1 საწყაო] ხორბალს გაიღებს.

§ 79. უკეთუ ხარები (სხვის) მინდვრებზე გავლენ, მინდვრის პატრონი კი (ამას) [ნახავს], იგი (მათ) 1 დღეს შეაბამს. როდესაც ვარსკვლავები ამოვა, იგი იმათ პატრონს უკან მიუღენის.

§ 79. უკეთუ ხარები (სხვის) მინდვრებზე გავლენ, მინდვრის პატრონი კი (ამას) [ნახავს], იგი (მათ) 1 დღეს შეაბამს. როდესაც ვარსკვლავები ამოვა, იგი იმათ პატრონს უკან მიუღენის.

§ 80. [უკეთუ] ვინმე მგელს ცხვარს დააგდებინებს, ხორცს მისი პატრონი აიღებს, თვითონ კი ცხვრის ტყავს აიღებს.

§ 81. უკეთუ ვინმე ხორბალზე (გასუქებულ) ღორს მოიპარავს, წინათ 1 მინა ვერცხლს აძლევდნენ. ახლა კი 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 82. უკეთუ ვინმე ეზოს (?) ღორს მოიპარავს, 6 სიკლ [ვერცხლს] გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 83. უკეთუ ვინმე მაკე ღორს მოიპარავს, 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს] და გოჭებსაც დაითვლის: (ყოველ) 2 გოჭზე (I) საწყაო ხორბალს გაიღებს [და მის სახლს ჩააბარებს].

§ 84. უკეთუ ვინმე მაკე ღორს სცემს და იგი მოკვდება, [მისი ანაზღაურება] ზუსტად [იგივეა].

§ 85. უკეთუ ვინმე პატარა გოქს (დედა-ღორს ან ძუძუს) მოაცილებს და მოიპარავს, [...საწყაო ხორბალს] გაიღებს.

§ 86. უკეთუ ღორი კალოზე, ანდა მინდორზე (ან) ბაღში გაივლის და კალოს, მინდვრის (ან) ბაღის პატრონი სცემს და იგი მოკვდება, იგი მას მის პატრონს უკან მიჰგვრის. თუკი მას არ მიჰგვრის, იგი ქურდი იქნება.

§ 87. უკეთუ ვინმე მწყემსის ძაღლს სცემს და იგი მოკვდება, 20 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 88. უკეთუ ვინმე მონადირის ძაღლს სცემს და იგი მოკვდება, 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 89. უკეთუ ვინმე ეზოს ძაღლს სცემს და იგი მოკვდება, 1 სიკლ ვერცხლს გაიღებს.

§ 90. უკეთუ ძაღლი ღორის ქონს შეჭამს, ქონის პატრონი კი ამას (ნახავს) და მას მოკლავს. მას (შეუძლია) ქონი მუტლიდან ამოიღოს. ანაზღაურება არ არის.

§ 91. [უკეთუ] ვინმე ფუტკარს სცილან მოიპარავს, წინათ [...სიკლ ვერცხლს აძლევდნენ, ახლა კი 5 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს].

§ 92. [უკეთუ 2 სკას ან] 3 სკას ვინმე მოიპარავს, წინათ (ქურდს) ფუტკარების დასაკებნად (აძლევდნენ). ახლა კი 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს. უკეთუ ვინმე სკას მოიპარავს, თუკი შიგნით თაფლი არ არის, 3 სიკლ ვერცხლს გაიღებს.

§ 93. უკეთუ თავისუფალ კაცს შეიპყრობენ მანამ, სანამ (სხვის) სახლში ჭერ კიდევ არ შესულა (გასაქურდად), იგი 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს. უკეთუ მონას [მანამ] შეიპყრობენ, სანამ (სხვის) სახლში ჭერ კიდევ არ შესულა, [იგი 6 სიკლ ვერცხლს] გაიღებს.

§ 94. უკეთუ კაცი თავისუფალი სახლს გაქურდავს. იგი (ნაქურდალს) კანონიერად მთლიანად დააბრუნებს. [წინათ] ქურდობის-

თვის 1 მინა ვერცხლს [აძლევდნენ, ახლა კი 12] სიკლ ვერცხლს გაიღებს (ქურდი). თუ ბევრს მოიპარავს, იგი ბევრს [ანაზღაურებს], თუკი ცოტას მოიპარავს, იგი ცოტას აანაზღაურებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 95. უკეთუ მონა სახლს გაქურდავს, იგი (ნაქურდალს) კანონიერად მთლიანად [დააბრუნებს]. ქურდობისათვის 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს. მონას მის ცხვირსა (და) ყურებს მოაპრიან და მას მის ბატონს დაუბრუნებენ. თუკი ბევრს მოიპარავს, იგი [ბევრს] აანაზღაურებს, თუკი ცოტას მოიპარავს, [იგი ცოტას აანაზღაურებს. თუკი ბატონი მისი იტყვის: „მის მაგივრად მე ავანაზღაურებ“, [მაშინ იგი აანაზღაურებს. თუკი უარს] იტყვის, მაშინ იგი მხოლოდ მონას [ჩააბარებს].

§ 96. [უკეთუ] კაცი ხორბლის ბეღელს გაქურდავს და ბეღლის [ხორბალს მოიპარავს], იგი [ბეღელს] ხორბლით აავსებს, 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 97. [უკეთუ] მონა ხორბლის ბეღელს გაქურდავს და ბეღლის [ხორბალს მოიპარავს], იგი [ბეღელს] ხორბლით აავსებს, 6 სიკლ ვერცხლსაც გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.

§ 98. [უკეთუ] კაცი თავისუფალი (სხვის) სახლს დაწვავს, იგი სახლს კვლავ ააშენებს. რაც სახლის შიგნით განადგურდება, იქნება ეს ადამიანი, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელი, მთლიანად(?) არ აანაზღაურებს.

§ 99. უკეთუ მონა (სხვის) სახლს დაწვავს, ბატონი მისი აანაზღაურებს. მონას მის ცხვირსა და ყურებს მოაპრიან და მას მის ბატონს დაუბრუნებენ. მაგრამ თუკი იგი (ბატონი) არ აანაზღაურებს, (მაშინ) იგი მხოლოდ მას (ე. ი. მონას) ჩააბარებს.

§ 100. უკეთუ ვინმე (თავის) ფარდულს (?) დაწვავს, მან მისი (ე. ი. დაზარალებულის) საქონელი უნდა გამოკვებოს (ზაძთარჴი). მან იგი (ე. ი. ზარალი) გაზაფხულზე უნდა აანაზღაუროს. ფარდული აღადგინოს(?) (ტექსტშია „დააბრუნოს“). თუკი თივა შიგ არ იყო, მან ფარდული ააშენოს.

(კოლოფონი: „მეორე ფირფიტა „უკეთუ კაცი“ დამთავრდა. მზის მამისა“. ვარიანტი: „მეორე ფირფიტა „უკეთუ [კაცი“ დამთავრდა]. ბელითა [...]სა წინაშე [...]სა დაწერა“).

1 „თავი“ ყველგან ნახშირია „ადამიანის“ (უკვე მონის) მნიშვნელობით.

2 ნახშირია შემერული იდეოკრამა „ირ“. რომელიც აღნიშნავს დამოკიდებულებების სხვადასხვა ფორმას მყოფ პიროვნებს და ითარგმნება როგორც „მონა, მსახური, ქვეშევრდომი“, ზოგადად — „არათავისუფალი“.

3 ლევიას ანუ არცავეს ქვეყანა მდებარეობდა მტარე აზიის სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში.

- 4 ათავსებენ ხეტების სამეფოს ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით.
- 5 მდებარეობდა ცენტრალურ მცირე აზიაში, დედაქალაქი ხათუსა (თანამ. ბოლაზქოი).
- 6 იგულისხმება ხეტების მთავარი მდინარე შარასანთა/შარასანთია, კლასიკურ ხანის პალისი, თანამ. ყიზილ-ირმაკი.
- 7 ივარე — სამემკვიდრეო წილი.
- 8 ურვათი, ურვადი — საცოლის გამოსასყიდი გადასახადი (ქალის მშობლებს უსლიდა სასიძო).
- 9 შუმერული „აგრიგი“-აქადური „აბარაქუ“: მმართველი, მწარმოებელი.
- 10 წინადადების აზრი გაურკვეველია.
- 11 ნატურალური ბეგარა.
- 12 ხუსტი მნიშვნელობა დაუდგენელია, თარგმანი პირობითია.
- 13 თარგმანი პირობითია.
- 14 ლაშქრობის შემდეგ ხათში ძალით გამოსახლებული ამა თუ იმ რაიონის მშვიდობიანი მოსახლეობის წარმომადგენელი.
- 15 შრომითი ბეგარა.
- 16 მნიშვნელობა დაუდგენელია, შესაბამება აქადურ „ასირუმს“ — „დაკავებული, დაქვრივი“.
- 17 კულტის მსახური. მნიშვნელობა უცნობია.
- 18 ჩამოთვლილი ქალაქების ადგილმდებარეობა უცნობია.
- 19 მარადმწვანე ხე. ვარაუდობენ, რომ იგი ურთხელია.
- 20 ხეტების მეფეთა საძვალე.
- 21 სავარაუდოა, სამეფო კარის დიდებულთა საბჭო.

§ 3. რელიგიური შინაარსის ტექსტები

ა) ხეთური ტაძრის საშენებლო რიტუალი

ბოლაზქოის არქივში აღმოჩენილ, შინაარსის მიხედვით მეტად მრავალფეროვან, ხეთურ ფირფიტებს შორის ვხვდებით ტექსტებს, სადაც აღწერილია უძველესი რელიგიური რიტუალები. მათ რიცხვს განეკუთვნება სამშენებლო რიტუალები, რომლებიც სრულდებოდა ტაძრის ან სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებით. წინამდებარე ტექსტი, რომელშიც ტაძრის საძირკვლის ჩაყრის რიტუალია აღწერილი, ენობრივი მონაცემებით თარიღდება. დაბლობით, ხეტების ახალი სამეფოს ხანით (XIV—XIII სს.).

თარგმანი შესრულებულია შედეგი გამოცემის მიხედვით: Witzel M., Hethitische Keilschrift-Urkunden in Transkription und Übersetzung mit Kommentar, „Keilschriftliche Studien“. H. 4, 1924; Goetze A., Ritual for the Erektion of a House, — წიგნი: Pritchard J., Ancient Near Eastern Texts Relating to the Old Testament, Princeton, 1955; Татишанин Н. М., Храмовый строительный ритуал у хеттов, „Машне“. 1983. № 1. ხეთურადან ქართულად თარგმნება პირველად ი. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ.

[როდესაც] (ძველ) სახლს (აღადგენენ) ან ახალ სახლებს სხვა ადგილას აშენებენ, მაშინ, როცა საძირკველს ჩაყრიან, საძირკვლის ქვეშ ათავსებენ შემდეგს: 1 მინა... სპილენძს, 4 ბრინჯაოს პალოს (და) 1 პატარა რკინის ჩაქუჩს. შუაგულში, ბოძის(?) ადგილას ეს მიწას თხრის და სპილენძს დებს შიგნით. შემდეგ იგი მას (ე. ი. სპილენძს) გარშემო პალოებით გაამაგრებს, მერე რკინის ჩაქუჩს დაარტყამს და ამ დროს ასე ამბობს: „აი, როგორც ეს სპილენძია დაცული, — იგი ამასთან მარადიულია. — დაე, ეს ტაძარიც ასევე დაცული იყოს, დაე, მარადიული იყოს ის ბნელ მიწაზე!“.

„მსხვერპლის უფლის“² სახელს იძახის იგი: „ვინც ამ ტაძარს ააგებს, დაე, ის ასევე მარადიული იყოს ღვთაებათა წინაშე. დაე, გ[ახსნას] მან [ეს ტაძარი] ღვთაებათა წინაშე (თავის) სიცოცხლეში, მათ საკეთილდღეოდ მომავალში!“

და როგორც სახლების 4 კუთხის ქვებია მარადიული [მიწაზე], ხოლო ისინი არ მოისპობა, [„მსხვერპლის უფლის“] სიკეთეც ღვთაებათა წინაშე ასევე არ მოისპობა მონავალში. დაე, გახსნას მან ეს ტაძარი ღვთაებათა წინაშე მათ საკეთილდღეოდ, ხათის ქვეყანაში³ ღვთაებათა ბატონობისათვის და სამეფო ტახტისათვის თავის ჯანმრთელ, დღეგრძელ სიცოცხლეში!“.

(რაც შეეხება) 4 კუთხის ქვებს, თითოეული კუთხის ქვის ქვეშ იგი შემდეგს ათავსებს: ვერცხლის 1 საძირკვლს ქვას, ოქროს 1 საძირკვლის ქვას, ლილაქვის 1 საძირკვლის ქვას, იასპის 1 საძირკვლის ქვას, მარმარილოს 1 საძირკვლის ქვას, რკინის 1 საძირკვლის ქვას, სპილენძის 1 საძირკვლის ქვას, ბრინჯაოს 1 საძირკვლის ქვას, დიორიტის 1 საძირკვლის ქვას, და ოთხივე კუთხის ქვები ასე იქნება განლაგებული.

4 ბოძს (?) რაც შეეხება, თითოეული - ბოძის(?) ქვეშ იგი შემდეგს ათავსებს: ვერცხლის 1 ბოძს (?), ოქროს 1 ბოძს (?), ლილაქვის 1 ბოძს (?), იასპის 1 ბოძს (?), რკინის 1 ბოძს (?), დიორიტის 1 ბოძს (?), სპილენძის 1 ბოძს (?), ბრინჯაოს 1 ბოძს (?) ათავსებს იგი და ამ დროს ასე ამბობს: „აი, ეს ტაძარი, რომელიც შენ, ღვთაებას, აგიშენეთ, — იგი (იმ) ღვთაების სახელსაც ახსენებს, რომელსაც უშენებენ მას (ტაძარს), — ის ჩვენ კი არ აგვიშენებია, არამედ ყველა ღვთაებამ ააგო.“

მამაკაცმა ღვთაებებმა ხუროების მეშვეობით ააგეს იგი, საძირკველი კი თელიფინუმ⁴ დადგა, კედლები მასზე ეამ⁵, [სიბრძნის] მეუფემ, დააშენა, ხოლო ხის მასალა და ყველანაირი კვა მთებმა⁶ [მოიტანეს], თიხა კი [ქალღვთაებებმა მოიტანეს] ეს.

საძირკველი ვერცხლისა და ოქროსი დადგეს. ოქრო ფი[რუნ-დუმეადან]⁷ მოიტანეს, ვერცხლი ქუცადან (?)⁷ მოიტანეს, ლილაქვა-

თაქნიარადან⁷ [მოიტანეს], მარმარილო ქანისხას⁸ ქვეყნიდან მოიტანეს, იასპი ელამის⁹ ქვეყნიდან მოიტანეს, დიორიტი მიწიდან მოიტანეს. ცის შავი რკინა¹⁰ ციდან მოიტანეს, სპილენძი (და) ბრინჯაო ალასიადან¹¹, თავათას⁷ მთიდან მოიტანეს.

და აი. საძირკვლის ქვეშ, საძირკვლის დადგმისას ოქროს ათავსებენ. როგორც ოქროა მარადიული, — იგი ამასთან წმინდა და მაგარია, მას თვით ღვთაებები (დაიცავენ) სამარადისოდ, (როგორც) იგია საყვარელი ღვთაებებისა და ადამიანებისთვის, დაე. ეს ტაძარიც ღვთაებებისთვის ასევე საყვარელი იყოს სამარადისოდ!

დაე, „მსხვერპლის უფალიც“ თავის ნეტარ სიტოცხლეში, მომავალში მისი შვილიშვილი და შვილთაშვილი ასევე საყვარელი იყვნენ ღვთაებისათვის!“.

(რაც შეეხება) 9 ვერცხლის საყრდენს, თითოეული 1 სიკლი წონისა(ა); 9 ოქროს საყრდენი, [თითოეული] 1 სიკლი წონისა(ა); 9 რკინის საყრდენი; 9 [ბრინჯაოს საყრ]დენი.

სამსხვერპლოს ქვეშ იგი დგამს 4 საყრდენს, მათ შორის ერთს [ვერცხლისას, ერთს ოქროსას], ერთს რკინისას, ერთს ბრინჯაოსას. შუა წინა ბოძის (?) ქვეშ იგი ასევე დგამს 4 საყრდენს. [აგრეთვე] მოპირდაპირე ბოძის (?) მარჯვენა (და) მარცხენა მხარეს, ყველგან იგი ასევე დგამს [4] საყრდენს.

4 კუთხის ქვებზეც, ყველგან, თითოეულ კუთხის ქვაზე იგი ასევე დგამს 4 საყრდენს.

1 ოქროს ლომი, 1 სიკლი (წონისა); 2 წყვილი რკინის ხარი, ვერცხლის უღელში შებმული, თითოეული ხარი 1 სიკლი წონისა. მათ ქვეშ კი ზეძირკველებია. ერთ ზეძირკველზე ორი ხარი დგას, მეორე ზეძირკველზეც ორი ხარი დგას.

ზეძირკვლის წონა არ არის მნიშვნელოვანი. [უღელ]ი, რომელშიც ხარები არიან შებმული, მისი წონაც არ არის მნიშვნელოვანი. მათ იგი ათავსებს შუა წინა ბოძის (?) ქვეშ.

ხოლო სამსხვერპლოს ქვეშ (იგი ათავსებს:) 1 ვერცხლის სამსხვერპლოს, 1 სიკლი (წონისა); 1 ოქროს სამსხვერპლოს, 1 სიკლი (წონისა); 1 ლილაქვის სამსხვერპლოს. 1... სამსხვერპლოს, 1 იასპის სამსხვერპლოს, 1 რკინის სამსხვერპლოს, 1 სპილენძის სამსხვერპლოს, 1 ბრინჯაოს სამსხვერპლოს, 1 [მარმარილოს] სამსხვერპლოს, 1 [დიორიტის სამსხვერპლოს].

კერის ქვეშ (იგი ათავსებს:) 1 ვერცხლის კერას, 1 სიკლი (წონისა); 1 ოქროს კერას, 1 სიკლი (წონისა); 1 ლილაქვის კერას, 1 იასპის კერას, 1 მარმარილოს კერას, 1 რკინის კერას, 1 ბრინჯაოს კერას, 1 დიორიტის კერას, 4 საყრდენს, მათ შორის ერთს ვერცხლი-

ზას, ერთს ოქროსას, ერთს რკინისას, ერთს ბრინჯაოსას (აქვე ათავსებს). თითოეული საყრდენი 1 სიკლი (წონისაა). კერებიც, რომლებიც ქვებისგან (არის ნაგები), თითოეული 1 სიკლი (წონისაა).

კარის ქვეშ კი (იგი ათავსებს): [1] ვერცხლის კარს, 1 სიკლი (წონისა); 1 ოქროს კარს. 1 სიკლი (წონისა); 1 ლილაქვის კარს. 1 სიკლი (წონისა). 1 იასპის კარს, 1 სიკლი (წონისა); 1 რკინის კარს, [1 სიკლი (წონისა)], 1 ბრინჯაოს კარს, 1 სიკლი (წონისა); 1 მარმარილოს კარს, [1 სიკლი] (წონისა), 1 დიორიტის კარს, აგრეთვე 1 სიკლი (წონისა).

2 სპილენძის მუსიკალურ საკრავს იგი ათავსებს [ქიშკარში]. მათი წონა კი არ არის მნიშვნელოვანი.

16 ვაშლის ხეს, მათ შორის [4] ვერცხლის [ვაშლის ხეს], 4 ოქროს ვაშლის ხეს, [4] რკინის ვაშლის ხეს, [4] ბრინჯაოს [ვაშლის ხეს] (აქვე ათავსებს). მათი [წონა] კი არ არის მნიშვნელოვანი.

1 ვრცელი დაუსრულებელი ფირფიტა: „როდესაც საძირკველს დგამენ“.

1 რიტუალის შემსრულებელი, რომელიც, შესაძლოა, კულტის მსახურთა მალაღ ფენას მიეკუთვნებოდა.

2 იგულისხმება მსხვერპლის მწირაჲი, მეფე.

3 „ხათის“ ქვეყანა — ამ სახელწოდებით ხეთების მთელი სამეფო აღინიშნებოდა.

4 თელიფინუ — ნაყოფიერებისა და მცენარეულობის ღვთაება, ამინდის ღვთაების შვილი.

5 ეა — სიბრძნისა და ხელოვნებათა მესოპოტამიური ღვთაება.

6 ხეთურ მითოლოგიაში მთები ხან მამაკაც ღვთაებებად არიან წარმოდგენილი, ხან — ქალღვთაებებად.

7 ადგილმდებარეობა უცნობია.

8 ადგილმდებარეობა უცნობია.

9 ელანი — წინააღიური სამყაროს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო. მდებარეობდა მდინარეების — კარუნისა და კერხას — აუზში.

10 იგულისხმება მეტეოროიტული რკინა.

11 ალასია — კენტელი კვიპროსი, ხეთების ახალი სამეფოს ხანაში ხეთების ვასალური სახელმწიფო.

§ 4. გითოლოგიური და ლიტერატურული შინაარსის ტექსტები

(ყველა ტექსტი თარგმნა ნ. ბენდუქიძემ)

ა) აგავი ციდან ჩამოვარდნილი ნთვარისა⁷

მითი შეგონახელია ხათურ-ხეთურ ბილინგვაში და წარმოადგენს ძველი ხეთური ლიტერატურის ნიმუშს. იგი წარმოითქმებოდა ქვეა-ქუხილის ღვთაების

სამებლად. ლურსმული ტექსტი იხ. KUB- XXVIII 3,4-ში. ტრანსლიტერაცია: E. Laroche, Textes mythologiques hittites en transcription, RHA, 77, 1965. A Kammenhuber, ZA 51; ქათული თარგმანი: „არმაღანი“, 1982.

მთვარის ღვთაება² ციდან ჩამოვარდა და მოედანზე დაეშვა, ისე, რომ ვერვინ ჰქონდა მას ცაში თვალი. მაგრამ ტაროსის ღმერთმა³ დაეცემულს თვალი შეასწრო, წვიმა მიაღვენა, ნიაღვარი მიაწია. ძრწოლამ მოიცივა იგი, შიშმა მოიცივა იგი.

ხატანთალი მოვიდა და გვერდით მიუჯდა, რათა დალაპარაკებოდა.

ქალღმერთმა ქამრუსეთამ კი იხილა რა ჩამოვარდა ციდან და თქვა: „მთვარის ღვთაება ციდან ჩამოვარდა და მოედანზე დაეცა. ტაროსის ღმერთმა თვალი შეასწრო და წვიმა მიაღვენა, ნიაღვარი მიაწია, ქარი მიაღვენა, ძრწოლამ მოიცივა იგი, შიშმა მოიცივა იგი“.

მოვიდა ხატანთალი და გვერდით მიუჯდა, რათა გული მოეღბო.

მივიდა ქამრუსეთა ტაროსის ღმერთთან და ჰკითხა: რას აკეთებ? მიეგო ტაროსის ღმერთმა: მთებიდან და კლდეებიდან წვიმა მომყავსო.

შენ სტირი?! დაე, ძრწოლა და შიში გაგერიდოს! — თქვა ქამრუსეთამ.

მაშინ დააბრუნა ტაროსის ღმერთმა მთვარის ღვთაება ცაზე. თუმცა ეწინოდა, მანც გაბედა და კვლავ განათდა დედამიწა.

მეფე — ლაბარნა დაე, ცოცხლობდეს!

მეფე — ლაბარნა დღეგრძელი იყოს!

¹ უნდა ვიფიქროთ. რომ ამ მითში სავსე გვაქვს ძველ ანატოლიაში გავრცელებულ ღვთაების გაქრობისა და დაბრუნების მოტივთან. მთვარის ციდან ჩამოვარდა ღმერთების შიშს იწვევს. მისი დაბრუნება კი იმედის მომცემია.

² ხეთურ ტექსტში მთვარის ღვთაება: წარმოდგენილია იდეოგრაფიით, ხათურ ტექსტში კი გვაქვს Kasku.

³ ასევე ტაროსის ღვთაების სახელიც იდეოგრაფიითაა.

ბ) მითი გველმწავის შესახებ

ორივე ვერაიით წარმოდგენილი ეს მითი. აგრეთვე ძველი ხეთური ლიტერატურის ნიმუში, დაკავშირებულია „ფურულის“ დღესასწაულთან, რომელიც იმართებოდა ყოველწლიურად ამინდის ღვთაების საპატივცემულოდ. ლურსმული ტექსტი: KBo III 7; KUB XII 66, KUB XVII 5.6; E. Laroche, textes mythologiques hittite en transcription; ქართული თარგმანი: „არმაღანი“, 1982.

ასე ამბობდა ქელდა, ნერჩელი ტაროსის ღმერთის ქურუმები: ცის ჰეჰა-ქუხილის ღვთაების დღესასწაულის, ფურულის, საქმეთ ასე ყვებიან:

დაე, ქვეყანა განმტკიცდეს და დღეგრძელ იყოს! დაე, ქვეყანა შეუვალ იყოს! და თუ გაძლიერებული და მორკმული იქნება, ფურულის დღესასწაულს იხეიმებს!

როდესაც ტაროსის ღმერთი და ილუიანქა ქალაქ ქისქილუსში ერთუროს შეებნენ, გველუშაპმა ტაროსის ღმერთი დაამარცხა.

ტაროსის ღმერთი შეევედრა დანარჩენ ღმერთებს: მფარველობა გამიწიეთ. შეწევნა მარგეთ და ქალღმერთი ინარაც სადღესასწაულოდ განმზადოსო.

ინარამ ყველაფერი უბვად მოამზადა: ღვინო უძირო კოკით, სასმელი ტუჩგანოერი სურით, საღვთო სასმელი ფართო ქურჭლით და კოკები პირთამდე საესე. თვითონ ინარა ქალაქ ციგარასას წაეიდა და ზოკვადეთაგანი ხუფასია მოინახულა. ასე უთბრა ქალღმერთმა ინარამ: „ხუფასია, ქეშმარიტად ამა და ამ საქმეს ვაპირებ და დამეხმარეო!“. მიუგო ხუფასიამ: „როდესაც თანაგეყოფი და. საწადელს მივალწეე დაგეხმარებო“. მაშინ მიუწვა ქალღმერთი ინარა ხუფასიას.

შემდგომ წაიყვანა იგი ინარამ და დამალა. თვითონ მოიკაზმა და ილუიანქა შინ მოიპატიეა. ქეშმარიტად, ზეიმს ვაპირებ და ნადომდ ნეწვიეო!

გველუშაპი თავის შვილებთან ერთად მოვიდა და ისერეს და სვეს უზომოდ. მთელი დოქი გამოცალეს და დათვრნენ ისე, რომ სორონი ვედარ ჩაეიდნენ. ხუფასია სამალავიდან გამოვიდა და ილუიანქა თოკით შეკრა.

ტაროსის ღვთაება ციდან ჩამობრძანდა და გველუშაპი და მისი შვილები განგმირა, ყველა ღმერთის თანადგომით და დახმარებით.

ქალღმერთმა ინარამ თარუქას ქვეყანაში, მალალ კლდეზე, სახლი აიშენა, ხუფასია იქ დასვა და უბრძანა: „როდესაც მინდვრად წავალ, სარკმელში არ გაიხედო! თუ გაიხედავ, იცოდე, შენს ცოლსა და შვილებს დაინახავო“.

ოცმა დღემ რომ განვლო, კაცმა სარკმელი გამოალო და ცოლ-შვილი დაინახა.

როცა ინარა მინდვრიდან დაბრუნდა, ხუფასიამ ვედრება დაუწყო — „შინ გამიშვიო!“ განრისხებულმა ინარამ ასე მიუგო: „ველარასოდეს მოესწრები სარკმლის გაღებას“. მოკლა იგი და დაწვა სახლთან ერთად. ტაროსის ღმერთმა კი წვიმა აწვიმა და ნახანძრალი დაალტო. ხუფასია ნაცარტუტად იქცა.

ქალღმერთი ინარა ქისქილუსს დაბრუნდა... ამ დროიდან ვზეიმობთ ფურულის დღესასწაულს.

ქალღმერთმა ინარამ მდინარეები უფრო წყალუბვი გახადა და როდესაც ქალაქ ნერიქაზე წვიმამ იწვიმა, ნერიქადან კვერთხის

გვერდებზეა აფუებული პური¹ წაიღო. ცალინეს მთისთვის წვიმა მოითხოვა და პური წაიღო.

* * *

გველუშაპმა დაამარცხა კეკა-ქუხილის ღვთაება, გულღვიძლი ამოართვა და თვალები დასთხარა.

ტაროსის ღვთაებამ შურისძიება გადაწყვიტა და ცოლად ღარიბი კაცის ასული მოიყვანა. ქალმა ყრმა შვა. ყრმა რომ მოიწიფა, მამამ მას გველუშაპის ასული შერთო ცოლად.

ტაროსის ღვთაება ვაყს უბრძანებს: „შენი მეუღლის სახლში რომ მიხვალ, ჩემი გულ-ღვიძლი და თვალები სთხოვეო!“

ვაყი წავიდა და მამის გულ-ღვიძლი სთხოვა, ქალის მშობლებმა არ დაუჟავეს. შემდგომ თვალები სთხოვა და გამოუტანეს. შვილმა ისინი მამას მოართვა და ასე დაიბრუნა ტაროსის ღვთაებამ გულ-ღვიძლი და თვალები.

როდესაც ტაროსის ღმერთმა უწინდებური იერი დაიბრუნა, ზღვის ნაპირზე გველუშაპთან საბრძოლველად გაემართა. ტაროსის ღვთაება შეებრძოლა და სძლია გველუშაპს; ტაროსის ღვთაების ძე გველუშაპს ახლდა თან და ცაში მამას შეჰლაღადა: „მე ნუ დამზოგავო!“⁵ ტაროსის ღვთაებამ იულიანქასა და ღვიძლ შვილს დღე მოუსწრაფა.

1 იულიანქა ადრე გაგებული იყო როგორც გველუშაპის საკუთარი სახელი. ილიანქა ნიშნავს „გველუშაპს, გველს“.

2 გველუშაპთან ბრძოლის შიტი დაკავშირებულია ქ. ნერიქასთან (იმავე ნერიქთან). ხეთურ რიტუალებში ქ. ნერიქა (ნერიქი) ხშირად გვხვდება და იგი ყოველთვის დაკავშირებულია კეკა-ქუხილის ღვთაებასთან.

3 „აფუებული პური“ ცხოვრების განახლების ნიშანია.

4 ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ორივე ვერსიაში ღმერთი გველუშაპზე მოკვდავის, ადამიანის წყალობით იმარჯვებს. პირველ ვარიანტში ესაა ხუფასია, რომელსაც სთხოვს დახმარებას ინარა. მეორე ვერსიაში კი შურისძიებისათვის ამინდის ღმერთს ღარიბი კაცის (ე. ი. მოკვდავის) შვილი მოჰყავს ცოლად და შურისძიების იარაღად ხდის საკუთარ შვილს — ღმერთისა და ადამიანის ძეს.

5 ამინდის ღმერთს გველუშაპზე გამარჯვება კეკა-ქუხილის საშუალებით შეუძლია მხოლოდ, ეს იცის მისმა ვაყმა და ამიტომაც სთხოვს მამას, ნუ დამზოგავო.

ბ) თელიფინუ და ოპიანის ასული

მითი მიძღვნილია ნაყოფიერების ღვთაება თელიფინუსადმი. ლურსმული ტექსტი: KUB XVII 60; E. Laroche, Textes mythologiques hittite en transcription; ქართული თარგმანი: „არმლანი“, 1982.

ოდესლაც ოკეანე¹ განურისხდა ცას, დედამიწას, ადამიანებს და მზის ციური ღმერთთ² წაიყვანა თან, სიღრმეში.

დედამიწაზე უბედურებამ დაისადგურა, მაგრამ ოკეანეს ვერვინ სძლია. მაშინ სთხოვა ტაროსის ღვთაებამ თელიფინუსს, საყვარელ შვილს:

წადი, ო, თელიფინუ, მიუხდი უკეანეს და ციური მზე ზღვას გამოსტაცე.

თელიფინუ წავიდა ოკეანესთან; შიშმა სძლია ოკეანეს, მიათხოვა თავისი ასული და უთუ. მზის ღვთაებაც, გამოაყოლა.

თელიფინუმ მზის ღვთაება და ოკეანის ასული წამოიყვანა და თავის მამას, ამინდის ღვთაებას მიჰგვარა.

ოკეანემ ამინდის ღვთაებას მოციქული გამოუგზავნა: თელიფინუმ, შეილმა შენმა, ჩემი ასული ითხოვა ცოლად, სამაგიეროს რით მიზღავო? ამინდის ღვთაება დედამეტოს დაეთათბირა: „შებე, ოკეანემ მდინარე მოციქულად გამომიგზავნა, ურვადსა მთხოვს. მიეცემ სამაგიეროსო“. მაშინ დედა-ღმერთმა უპასუხა ჰექა-ქუხილის ღვთაებას: „მიეც ურვადი, რაკი მისი ასული რძლად დაისვი“ და მისცა თარუმ ოკეანეს მისი კუთვნილი ათასი-ათასი ხარი და ათასი ცხვარი.

¹ ტექსტშია დიდი ზღვა.

² მზის კვეშირი ოკეანესთან თუ ზღვასთან მზისადმი მიძღვნილ ჰიმნებშიც გვხვდება.

დ) თელიფინუსა მითი

„მითი თელიფინუს შესახებ“ ყველაზე მნიშვნელოვანი, ერცელი და კარგად შემონახულია „გაქჩრალ“ ღვთაებათა შესახებ არსებულ ხეთურ მითებ: შორის. განეუთვნება ძველ ხეთურ სამეფოს პერიოდს. ლუკსული ტექსტი: KUB XII 10, KUB XXXIII 2; E. Laroche, Textes mythologiques hittite en transcription; ქართული თარგმანი: „არმაღანი“, 1982.

თელიფინუ განრისხდა. გონდაკარგული (მარჯვენა) წულას მარცხენა ფეხზე იცვამდა და მარცხენას მარჯვენაზე... იგი წავიდა...

სარკმელები გაიმჟვარტლა, კვამლმა მოიცივა სახლი. კერაში ნალერდალი ჩაქრა, ღმერთებს ტაძრებში სული შეეხუთათ, ბაკში ცხვრები გაიგუდნენ, გომურში საქონელი გამოიხრჩო, ცხვარმა უარყო თავისი ბატყანი, ძროხამ ხბოზე თქვა უარი.

თელიფინუ წავიდა¹. მარცვლეული, ზრდა, სიმძლავრე ყანისა, მდელისი თუ ტევრისა თან გაიყოლა. წავიდა თელიფინუ და ტევრს შეეფარა. დაღლილობა მოერია თელიფინუს და მოხდა ასე: ქერი და ხორბალი აღარ ხარობდა, საქონელი, ცხვარი თუ ადამიანები ველარ მრავლდებოდნენ. მიდგომილნიც კი ველარ შობდნენ.

მთები დახმა. ხეებს კვირტები აღარ გამოჰქონდა. საძოვრები გადაიხრუკა, წყაროები დაშრა და დედამიწაზე შიმშილი დამკვიდრდა. ადამიანები და ღმერთები შიმშილით იღუპებოან. მზის ღვთაებამ, დიდმა უთუმ, ნადიმი გამართა და ერთი ათასი ღმერთი² ისტუმრა. ჰამეს და ვერ დაძღნენ, სვეს და წყურვილი ვერ მოიკლეს.

მაშინ გაიბსენა ტაროსის ღვთაებამ თელიფინუ. საკუთარი ვაჟი: თელიფინუ, შვილი ჩემი, აქ აღარაა. განრისხებულა და ყოველი სიკეთე თან წაუღია. ღმერთები, დიდი თუ მცირენი, თელიფინუს ძებნას შეუდგნენ;

ძღვეამოსილმა ღმერთებმა მთები დაჩხრიკეს. მაგრამ ვერ ნახეს, მდინარეები დაძებნეს, წმინდა ადგილნი მოიხილეს და ვერსად პოვეს.

და, აჰა, უთუმ ფრთამალი არწივი გაგზავნა: „წადი და მაღალი მთები დალახე, ლურჯი ტალღები დალახეო!“ გაფრინდა არწივი, დაულახა მაღალი მთები, მდინარეები დალახა და მანც ვერ პოვა. უთუს ამბავი მოუტანა — თელიფინუ. ღმერთი ძლიერი ვერ ვიპოვეო. ტაროსის ღმერთი ნინთუს ეუბნება: „რა ვიღონოთ? შიმშილით სული აღმოგვხვდებაო“. დიდმა ქალბატონმა, ნინთუმ მიუგო: „იღონე რამე, ტაროსის ღვთაებავ. წადი და თელიფინუ შენ თავად მოძებნეო“.

ტაროსის ღმერთი თელიფინუს ძებნას შეუდგა. მივიდა მისი ქალაქის კარიბჭესთან და ვერ შეძლო კარის გაღება. გატუნა საყეტი. მაგრამ თელიფინუს კვალს ვერ მიაგნო. იქვე ჩამოჯდა დამაშვრალი მოსასვენებლად. დიდმა ქალბატონმა, დედა-ღვთაებამ. ფუტკარი იხმოჰ: „წადი, შენ მოძებნე თელიფინუ და როცა იპოვი, ფეხებსა და ხელებზე ნესტარი უჩხვლიტე და წამოაყენე: აიღე ცვილი და თვალები და ხელები გაუწმინდე. გაწმინდე თავად და აქ მომგვარეო!“.

ტაროსის ღმერთმა ჰკითხა დიდ ქალბატონს: დიდი თუ მცირე ღმერთები მას ეძიებდნენ და ვერსად პოვეს: შეძლებს კია ფუტკარი პოვნას? ფრთები პატარა აქვს, თავადაც უძლურია ან ღმერთები კი მის გამარჯვებას მოითმენენ?

ტაროსის ღვთაებას მიუგო დიდმა ქალბატონმა: გაუნვი, წაუა და იპოვისო!

ფუტკარი გაფრინდა. თელიფინუს ძებნას შეუდგა: გადალახა მაღალი მთები, დაჩხრიკა ღრმა ხეობები, წყალთა სიღრმენი. ანჯარა წყარონი. შიგნეულში თაფლი გაუთავდა და ქალაქ ლიხციანას წარაფებში თელიფინუს კიდევ მიაკვლია. ნესტარით დაჩხვლიტა მისი ხელ-ფეხი და წამოაყენა. აიღო ცვილი და თვალები და ფეხები გაუწმინდა.

მაშინ თქვა თელიფინუმ: განრისხებული აქ მოვედი დაასვენებლად, მძინარე. რად გამადვიძე. გამძვინვარებულს სიტყვა ვით შემომბედლო?

თელიფინუს რისხვა ემატებოდა: მორაკრაკე ნაკადულები შეაჩერა და მდინარეებს მიმართულება შეუცვალა, ნაპირებზე გადმოადინა. სარკმლები დაღწა, სახლები დააქცია, ხალხი დაღუპა, საქონელი და ცხვარი აწოწყვიტა.

და თქვეს ღმერთებმა: ვუხმოთ ადამიანს!⁴ დააბრუნებინოს ხათარას წყარო ამუნას მთაზე! არწივი მოფრინდეს და აამოძრავოს იგი! დაე, ადამიანებმა აღძრან სამოქმედოდ! არწივის ფრთებმა აღძრას სამოქმედოდ.

(რ ი ტ უ ა ლ ი)

აი, სასმელი, დაე. თელიფინუ, შენ გული და სული გაგიგრილოს! დაე, მეფისადმი კეთილგანწყობა დაგიბრუნოს! შეხე, აქ დევს გულის დამაცხრობელი მალამო! დაე, გული მოგინახოს!

აი, სასმელი, შენი გულგვამი რომ მოაქციოს! შეხე, ნაყოფი დევს, თვალი გაგიხაროს!

აჰა, აქ ლეღვი დევს და როგორც ლეღვია ტკბილი, ო, თელიფინუ, გული შენი ასევე დატკბეს! როგორც სავსეა ზეთისხილი, ხოლო ყურძენი — ღვინით, სიკეთით ივსებოდეს, შენი სული და გული, თელიფინუ! აჰა, მალამო, თელიფინუს გული დაუამოს! როგორც ალაო და ლუდის საფუარი შეზავდებიან, შენი გულიც, თელიფინუ, კაცთა მოდგმის საქმეთ დაეზავოს! როგორც წმინდაა ხორბალი სპელტა⁵, თელიფინუს სულიც ასევე წმინდა იყოს!

როგორც თაფლია ტკბილი, კარაქი — ლბილი, თელიფინუს სულიც ასევე ტკბილი და ლბილი იყოს!

შეხედე, თელიფინუს გზებს ძვირფასი ზეთი ვაკუურე! შენც, ო, თელიფინუ, ზეთით დანამულ გზაზე იარე! სახაიასა და ხაფურაის⁶ ტყეებმა გული გადაგიშალონ! როგორც ლერწამია ჩარიგებული, შენც, თელიფინუ, ასევე მოწესრიგდი!

თელიფინუ სწრაფად წავიდა. ჰექდა და ქუბდა, და ბნელით მოცულ დედამიწას ელვა აპობდა.

დაინახა თელიფინუ ქალღვთაებამ ქამრუსეფამ და არწივის უხმო. არწივის ფრთამ თელიფინუ მოაბრუნა, ღვარძლი მოაშორა, რისხვა და ბოროტება მოაშორა, საშმაგე დაუტხრო.

ქამრუსეფა ღმერთებს ეუბნება: „მოდით ღმერთებო, იხილეთ! ქალღვთაება ხაფანთალი უთუს ცხვრებს აძოვებს! გამოარჩიეთ ამ ფარიდან თორმეტი ყოჩი და მე თელიფინუს შევულოცავ. ავიღებ ფრთას და მიმოვფანტავ იმ ათას თვალს, სავერძე ბატკნებს რომ ამოვაცალე. მე თელიფინუსთვის ყველგან დავანთებ ცეცხლს. თელიფინუს გვამს ავი გამოვარიდე, ბოროტება გამოვარიდე, ღვარძლი გამო-

ვარიდე, მრისხანება გამოვარიდე, სიშმაგე გამოვარიდე, ავგულობა გამოვარიდე.

თელიფინუ როცა მძვინვარებდა, მისი სული და გული მინაელული მუგუზალივით ხრჩოლავდა და როგორც ნაკოდალი იწვის, თელიფინუს გულისწყრომა, რისხვა, ავგულობა, მძვინვარება ასევე დაიწვას.

როგორც ალაოა გამოფიტული და მინდორში არ მიაქვთ იგი და თესლად არ ხმარობენ, პურს არ აცხობენ, ბელელში არ ინახავენ, დაე, თელიფინუს რისხვა, ავგულობა, მძვინვარება ასევე უნაყოფო იყოს!

როდესაც თელიფინუ მძვინვარებდა, მისი გული მოგიზგიზე ცეცხლს ჰყავდა და როგორც ცეცხლი დაშრება, ასევე დაშრეს თელიფინუს რისხვაც, გულისწყრომაც და ავგულობაც.

თელიფინუ! რისხვა განირიდე, გულისწყრომა დაიცხრე, სიშმაგე დაუტევე!

და ისევე, როგორც ღარში წყალი აღმა არ წავა, თელიფინუს რისხვა, გულის წყრომა, მძვინვარება ნუ მოგვიბრუნდება!

ღმერთები ხათალფეშნას? ხის ქვეშ შეიკრიბნენ. ყველა ღმერთი აქ იყო: ხაფაია, იშთაია, ბედისწერის ღმერთი, ნინთუ ძლიერი, მარცვლეულის მფარველი ღვთაება, მიათანციფა, თელიფინუ, მეუფე ზფარველი ხაფანთალი.

მე, ადამიანმა. თელიფინუს სხეულს ბოროტება განვარიდე, რისხვა განვარიდე, წყრომა განვარიდე. ავგულობა განვარიდე, სიშმაგე განვარიდე, მის ენას სიავე მოვაშორე, ბოროტება მოვაშორე.

შენც თელიფინუს რისხვა, წყრომა, ავგულობა, სიბოროტე დააცხრე! როდესაც ტაროსის ღმერთი მრისხანებს, მის მრისხანებას ტაროსის ღმერთის მსახური აკაეებს! მღულარე ქვავს გადმოდენისგან კოვზი აკაეებს. ამგვარადვე შეაკავოს ადამიანის სიტყვებმა თელიფინუს რისხვა, წყრომა და ავგულობა.

თელიფინუს რისხვა, წყრომა, ავგულობა, სიშმაგე განშორდეს! სახლი მისი დატოვოს, დგამი დატოვოს, საარკმელი დატოვოს, წირთხლი დატოვოს, ზღურბლი დაუტევეს, კუტი კარი დატოვოს, ჭიშკარი დატოვოს! მეფის გზა დატოვოს. აყვავებულ მინდორში, ბალსა და ტყეში არ დაემკვიდროს! დედამიწის მზის ღმერთის გზით იაროს!

კარისკაცმა შვიდი კარი გააღო, შვიდი კარის საკეტი გააღო. ქვემოთ, ბნელ მიწაზე ქვაბი დგას. ხუფი სპილენძისა აქვს, ყურნი — რკინისა, რაც მასში ჩაეა, ის კვლავ ზევით აღარ ამოვა, იქვე ჩარჩება, ჩაიღუბება.

თელიფინუს რისხვა, წყრომა, სიშმაგე, ავგულობა შიგ დაინთქეს და ზემოთ არ ამობრუნდეს!“.

თელიფინუ დაბრუნდა და იწყო ზრუნვა ქვეყნიერებაზე.

ბოლმა დაუტევა სარკმელი, კვამლმა დაუტევა სახლი; ლერითათვის სამსხვერპლოები დაიდგა, კერა დაუტევა მხრჩოლავმა მეგუზალმა, თელიფინუმ ბაკი ცხვრებით გაავსო, ბოსელში საქონელი შერეკა.

მშობელი შვილზე ზრუნავს, ცხვარი — ბატყანზე, ძროხა — ხბოზე.

თელიფინუ მეფე-დედოფალზე, მათ მომავალ ცხოვრებასა და სიცოცხლეზე ზრუნავს.

თელიფინუზე კი მეფე ფიქრობდა.

თელიფინუს წინ მარადმწვანე ხე ეია აღიმართა. ამ ხეზე ცხვრის საწმისი კიდია, იგი ცხვრის პოხიერების საწინდარია, მარცვლელის სიუხვის, ნადირთ სიუხვის, ღვინის სიუხვის; დღეგრძელობის და გამრავლების, იგი მოასწავებს ცხვრის სიცოცხლეს, ზრდა-სიმრავლეს სიმსუქნეს; მაშინ თელიფინუ მეფეს ცხვრის ტყავს მიართმევს და ყველა სიკეთეს უხვად უბოძებს.

1 ამ მითში ნაყოფიერების ღვთაება კი არ კვდება, არამედ იმალება და მისი დამალვაც იმავე შედეგს იწვევს, რასაც ნაყოფიერების ღვთაების სიკვდილი.

2 „ათასი ღმერთი“ გულისხმობს ყველა ხეთურ ღმერთს.

3 ამავე მოტივის მქონე სხვა მითებშიც ფურტყარი გვევლინება მხსნელად.

4 ამ შეზღვევაშიც მოკვდავის დახმარება აღმოჩნდა საჭირო.

5 სპელტა — ღორბლის ჭიში.

6 ძვირფასი ქიშის ხეები.

7 წმინდა ხე.

ე) მზის საბალოგალი

ხეთურ ენაზე მზის რამდენიმე საგალობელი გვაქვს. ქვემოთყვანილი ტექსტი ეკლავება მზის ღმერთს იშთანუს. ლურსმულო ტექსტი: KUB XXXI: XXXVI. უცწარმოადგენს ქანთეცილოს ლაციის პარალელურ ტექსტს და განეკუთვნება ქანთეცილოს პერიოდს. H. Güterbock, The Composition of Hittite Prayers to the Sun, Chicago.

სამართლიანო, უფალო ჩემო და განმგებლო! მეუფეე ცისა და მიწის! ქვეყანას მართავ და სიმამაცეს ძალას შთაბერავ. სამართლიანო! მზის ღვთაებაე, მარად მოწყალეო, მარად ლოცულობ შენ! ღმერთო მოწყალეო, სახიერო, რარიგ მოწყალე ხარ, ო. სჯულიერო!

მარტოდენ მართალს აღამაღლებ, შენ, მზეო სახიერო. დედღმერთის ნინგალის ძეო. მიაღწიე სიმწიფეს სრულქმნილს, ლაგვარდისა წვერი შენი. შეხე, შენს წინ მორთხმულა კაცი — მონა შენი და ასე ამბობს:

ჩიქ, სადაც მიწა და ცაა, სხივნათელი, მზეო, შენ ხარ მხოლოდ! გმირო დიდებულო, მზეო სახიერო, შენ აწესრიგებ ჩვენს ქვეყანას, დედა-ღმერთის, ნინგალის ძეო! მეუფევე, გმირო, სახიერო, შენ ერთი ბრწყინავ ღვთაებათა შორის!

უფლებით დიდით შემოსილი ხარ. მეფეო სამართლიანო, მამამთავარო ბნელი ქვეყნისა.

მზის ღმერთო დიდებულო! მამა-ენლილმა შენ ჩაგაბარა ოთხივე მხარე ქვეყნისა. სამართალს განსჯი, დალლა არ უწყვი, მართლმსაჯულო დაუქანცავო! ღვთაებათ შორის მხოლოდ შენ ხარ ტაბტის ღირსო გმირი, მზე სახიერი! შენ დააწესებ ღმერთათვის წესებს.

გადასულ ღმერთთაც მხოლოდ შენ ერთი დაუსაზღვრავ წილს. ციური კოშკის კარი ღიაა მხოლოდ შენთვის.

გამოდინარ ცის სიმრველიდან. ბრწყინვალევე, მარტოოდენ შენ! ცათა მეუფენი შენს წინაშე თავებს იდრეკენ და მიწის ღმერთნიც შენ გმონებენ, თუ სიტყვას ეტყვი, ჰოი, მზეო. ღმერთნი მუხლმოდრეკით ლოცულობენ შენზე. მფარველობ ობლებს, როგორც ღვიძლი დამისაგებელს შენ ერთს მიაგებ ობოლთ. ტვირთმძიმეთ!

თუ გამთენიას, მზეო. ცად აღმალღებები, ზემო ქვეყნებს აცისკროვნებ, ქვემო ქვეყნებს აცისკროვნებ, ქვეყანას სრულად აცისკროვნებ. შენ ჩვენს ზემოთ ხარ. მზეო. სამართალსა ქმნი ძალსა თუ ღორზე, ტყის ნადირზე. უტყვსა სჯი ცხოველს. ბოროტის მქნელსა და ღვარძლიანს ღირს სასჯელს მიუზღავ, მზეო. ადამიანს. მონას შენსა იცავ. მზეო. პურსა და ლუდს შენს სამსხვიერპლოზე მარად შემოგწირავს ის. მზეო. შენი მორჩილი მონა — ადამიანი დაიცავ შენ!

მაგ შენი ეტლის ოთხივე ცხენსა კაცმა, მონამ შენმა. მარცვალთ დაუყარა. თუკი ცხენები მარცვალს წეკავენ. ეს შენს სიცოცხლეს მოასწავებს! ჰოი, მზეო, გესმის?! ადამიანი — მონა შენი ავბობს სიტყვას შენს სადიდებლად. მას სურს გაიგოს შენი ნათქვამიც. გმირო დიდებულო, მზეო სახიერო. შენ შენი ეტლით მიმოივლი დედამწის ოთხივე კიდეს. შენს მარცხნივ დაქრიან შიშნი, შენს მარჯვნივ დაქრის საფრთხე.

შენს მარჯვნივ დაქრის ბუნებ: — შენი მეეტლე და მართალი მრჩეველი. შენს მარცხნივ დაქრის მიწარუ. შემწვე მართალი და მსახური შენი. ცას შემოივლი, სრულად. ჰე, მზეო!

3) ღმერთთა თაობების შესახებ

წინამდებარე ხეთური ეპოსი წარმოადგენს ზეობიერი მითის გადამუშავებას. საუბარია იმაზე, თუ რა თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს ღმერთები კაში მეფობის დროს, ონოპასტიკონი აშკარად ხუროტელა. ლერსელი ტექსტი: KUB

ისმინონ ღმერთებმა, ცად რომ სუფევენ და რომელნიც ქვე-სკნელს არიან. ისმინონ ძლევამოსილმა ღმერთებმა ნარამ, ნაფსარამ, მინქიმ და ამმუნქიმ. ისმინონ ამმეცალუმ და ძველდღეთა ღმერთებმა, მამალღმერთებმა და დედალღმერთებმა. ისმინოს ანუმ, ანთუმ და ისხარამ. მამალღმერთებმა და დედალღმერთებმა.

ისმინონ ენლილმა, ნინლილმა და ყველამ, ვინც მიჩნეულა იმ-თავითვე ძლევამოსილ და ძლიერ ღმერთად. ოდესღაც იყო მეუფე ცათა, ერქვა ალალუ; და როცა ალალუ ტახტზე იჯდა, ძლიერი ანუ, ღვთაებათა შორის პირველი, მისი მწვედ იყო. თავდახრით იღგა მის ფერხთით და საკუთარი ხელით აწვდიდა სასმისს.

ცხრა წელი იმეფა ალალუმ ცაზე, და როცა მეცხრე წელი დადგა, ანუმ ომი გამოუცხადა ალალუს და სძლია კიდევ. ალალუ გაექცა მას და შორეულ ქვესკნელში ჩავიდა და ვიღრე ანუ ძლევამოსილი მეუ-ფებდა, უკვე ქუმარბი აწვდიდა საკმელს. თავდახრით იღგა იმის ფერ-ხთით და საკუთარი ხელით აწვდიდა სასმისს.

ცხრა წელს იმეფა ანუმ ზეცაში და როცა დადგა მეცხრე წელი, ქუმარბი შეებრძოლა ანუს. ქუმარბი, ალალუს შთამომავალი, ცაში შეებრძოლა. ანუს აღარ ძალედვა გაძლება ქუმარბის მზერისა, ანუ ქუ-მარბის ხელიდან დაუსხლტა; ანუ ქუმარბის გაექცა და ჩიტის მსგავ-სად, ცაში აფრინდა. მიეწია მაინც ქუმარბი, ფერხთ მოეკიდა და თრე-ვით ციდან ჩამოიყვანა.

გამეტებით უკბინა მუხლზე და ჩაიღვარა ქუმარბის. გვამში ანუს თესლი და როცა თესლი დაითესა ქუმარბის ტანში, როცა ქუმარბიმ შთანთქა ანუს მამრი ძალა, გამხიარულდა ქუმარბი და გაიცინა. ანუ მიუბრუნდა ქუმარბის და ასე უთხრა:

„მიზეზი შენი სიხარულისა ჩემში სუფევეს, რადგანაც შთანთქე შენ მამრი ძალა ჩემი არსების. ნუ მხიარულობ შენი შიგანით, რადგან შენში შთავთესე მე მძიმე ტვირთი! ჯერ ერთი ის, რომ მე გააქვინთე ტაროსის ღმერთის სიდიადით, მეორეც, შთავისახე შენ სხეულში არან-ცახა, მძლავრი მდინარე, რომლის ატანას შენ ვერ შეძლებ. გარდა ამისა, მე შთავისახე შენ სხეულში სულდიდი ღვთაება, თასმისუ. სამი უძლიერესი ღმერთი შთავისახე სხეულში! ასე რომ, წახვალ და შენს სიცოცხლეს ქვებზე თავის რტყმით დაასრულებ“.

ანუმ შეწყვიტა საუბარი, ცად ამალდა და მიიმალა. მაშინ ქუ-მარბიმ ამოარწყია ყველაფერი, რაც გულზე ადგა. და მის წინ აღიმარ-თა მთა ქანცურა. ღმერთთა დიდი საბრძანებელი.

ბლიერ დაზიანებული ტექსტის ფრაგმენტი ქუზარბის ციკლს ეკუთვნის. ლურ-სველი ტექსტი: KUB XXXIII 109—94; E. Laroche. Textes mythologiques...

... ოკეანეს ღვინით სავსე ყანწი მიართვეს და იწყო ოკეანემ საუბარი, მიმართა ქუმარბის: ჭეშმარიტად, მე ასე ვამბობ, ღვთაებათა მშობელო ქუმარბი. შვიდი დღე გავიდეს. შენ მტეწვიე. მოგათხოვებ ასულს ჩენსას, ღვთაებათა მშობელო ქუმარბი. მოგათხოვებ ასულს ჩემსას სერთათსურეხის. სიმაღლით სამი უტევეანია, სიგანით ერთი უტევეანია, ხის წვენივით ტკბილია იგი.

ქუმარბიმ სერთათსურეხი რომ იხილა, მოიხიბლა ფრიად ქუმარბი და იმ ღამით თანაეყო მას.

ოკეანეს ურვადს უგზავნის ქუმარბი.

III. გვიანხეთური სამეფოები

§ 1. ხეთური და მოგვიანო ხანის იეროგლიფურ-ლუვიური ტიპსტიები

იეროგლიფურ-ლუვიური ენითა და დამწერლობით შესრულებული წერილობითი ძეგლების უმრავლესობა მცირე აზიასა და ჩრდილოეთ სირიაშია აღმოჩენილი. სადღეისოდ ამ ეპიგრაფიკული ძეგლების გავრცელების არეალის ჩრდილოეთი საზღვარი ალაჟა-ჰუიუქთან გადის, აღმოსავლეთი — ჰინესთან, ზემო მესოპოტამიაში, ხოლო სამხრეთი — ჰამათზე, სირიაში. ცალკეული ძეგლები აღმოჩენილია სიპილოსში, ყარაბელში (ეგეოსის ზღვასთან. დღევ. იზმირის მახლობლად), კვიპროსზე, ირანში და სხვაგან. ამჟამად მკვლევართათვის 300-ზე მეტი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერაა ცნობილი. 800-ს აღემატება საბეჭდავებზე მოთავსებული იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების რიცხვი.

უძველესი წარწერები, საბეჭდავებზე რომაა დადასტურებული, ძვ. წ. XVI საუკუნეს განეკუთვნებიან (ასე თარიღდება, კერძოდ, თელიფინუს თანამედროვეს ისფუთახსუს ცნობილი საბეჭდავი კილიკიიდან). ხეთების ახალი სამეფოს დროისათვის იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა ლიკაონიის, კილიკიისა და ჩრდილოეთ სირიის ტერიტორიაზეც ვრცელდება. აყვავებას განიცდის იგი გვიანხეთურ ხანაში. ძვ. წ. X საუკუნე ამ ხნის დასაწყისადაა მიჩნეული, ხოლო ძვ. წ. VIII ს. 20-იანი წლები — დასასრულად. ძვ. წ. X—IX სს. იგი სწრაფად ვრცელდება მუშქების ქვეყნის, თაბალის, თუხანის, ქუეს, მელიდის, ქუმუხის, გურგუმის, ქარხემიშის და სხვა გვიანხეთური ხანის სამთავროთა ტერიტორიაზე, რაც კარგად დასტურდება ყიზილბალზე. ყარადალზე. ბურუნქაიაში, კაისერიში, ბორში, ანდავალში, ყარათე-

ფეხე, ელბისტან-მალატიაში, ბოიბეიპინარსა და ჯერაბლუსში აღმოჩენილი, ძვ. წ. X—VIII საუკუნეებით დათარიღებული წარწერებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა (აღრე მას უწოდებდნენ „იეროგლიფურ ხეთურს“) თავდაპირველად საკულტო ზასიათისა იყო. იგი მონუმენტურ რელიგიურ დამწერლობას წარმოადგენდა, საკანცელარო ლურსმულისაგან განსხვავებით. გვიანხეთურ ხანაში ეს დამწერლობა სეკულარიზაციას განიცდის. ჩნდება სააღმშენებლო და მიძღვნილი წარწერები, ქარხეშიში (ჩრდილოეთ სირიაში) იწერება ისტორიული შინაარსის ტექსტები, ტყვიის ფირფიტებზე სრულდება საქმიანი მიმოწერა.

ხეთების დროინდელმა იეროგლიფური წარწერების ერთმა ნაწილმა საბეჭდავების (უკეთ, ანაბეჭდების) საშუალებით მოაღწია ჩვენამდე. ამ წარწერების ერთი ჯგუფი ორენოვანია. ისინი ძირითადად ხეთი მეფეების (ან მმართველი წრეების წარმომადგენელთა) სახელებს, ტიტულატურებსა და გენეალოგიებს გადმოგვცემენ. ამგვარი საბეჭდავები მრავლადაა აღმოჩენილი ბოლაჯქოიში, ტარსუსში და უგართში. ხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები დადასტურებულა აგრეთვე ხეთი მეფეების კლდეში ნაკვეთ რელიეფებზეც, სადაც მეფეების გამოსახულებები და მსხვერპლშეწირვის სცენებია აღბეჭდილი. იაზილიქიას ცნობილ რელიეფებზე იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები ღვთაებათა გამოსახულებებს ერთვის. ემირგაზში იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა ქვის საკურთხეველზე შესრულებული რიტუალური ტექსტებისთვისაა გამოყენებული და სხვა.

იეროგლიფურ-ლუვიური ენა ლურსმული ლუვიურის ახლო მონათესავეა. ძველი ეპოქის ეს ორი ენა გვიანდელ A და B ლიკიურთან და მთელ რიგ სხვა ენებთან (პისიდიურთან, ლიკაონურთან, სიდეტურთან) ერთად ინდოევროპული ენების ანატოლიურ (ხეთურ-ლუვიური) ჯგუფის ლუვიურ ქვეჯგუფს ქმნის.

იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტების ქართული თარგმანები პირველად ქვეყნდება. ყველა ტექსტი თარგმნა ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე მ.

ესარგებლობით იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტების შექმდეი პუბლიკაციები: Gelb I. Hittite Hieroglyphic Monuments.—Chicago, 1936; Laroche E. L'inscription hittite D'Alep.—Syria, t. XXXIII. Paris, 1956; Hawkins J. D. A Hieroglyphic Hittite Inscription from Porsuk. AnSt, 1969, XIX; Alp S. Eine Neue Hieroglyphenhetilische Inschrift Der Gruppe Kizildag-Karadag aus der Nähe von Aksaray und Die Früher Publizierten Inshriften Derselben Gruppe.—AnSt, 1974, XXIV; Hawkins I. D. The Negatives in Hieroglyphic Luwian. AnSt, 1975, XXV. Meriggi P. Manuale Die Eteo Geroglifico. Parte II: Testi-2^a E 3^a Serie, Roma, 1975; Parte II, Tavole 2^a E 3^a Serie, Roma, 1975; Winter I. On the Problems of Karatepe. The Reliefs and their Context—AnSt, 1979, XXIX. Hawkins

ა ლ ე პ ო I

სამეცნიერო ლიტერატურაში ალუპო I-ის თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. პ. გიუტერბოკის თანახმად, ეს წარწერა ძვ. წ. XIV ს. II ნახევარში უნდა იყოს შექმნილი. პ. ბოსერტის აზრით, იგი ძვ. წ. 1250 წელზე იდრეული არ უნდა იყოს. ე. ლაროში ალუპო I-ს ძვ. წ. 1300 წ. ათარიღებს, წარწერა გაკეთებულია ბაზალტის ქვაზე, რომელიც შუა საუკუნეებში მეჩეთის მშენებლობის დროს გამოუყენებიათ. ალუპო I ბუსტროფედონის ნიმუშს წარმოადგენს.

ეს ღვთის საბლი (ტაძარი) ხეფათ-სარუმასი თალმი-სარუმამ, ალუპოს მეფემ, დიდი ქურუმის თელიფინუსი შვილმა, ააშენა [...].

ხ ა თ უ ს ა V

წარწერა აღმოჩენილია ნიშანთაში. ტექსტი ნაწილობრივ დაზიანებულია. იგი ხეთების მეფის სუფილულიუმას გენეალოგიას გადმოგვცემს.

მე ვარ დიდი მეფე, ლაბარნა. სუფილულიუმა, ლაბარნა, დიდი მეფე, ხათუსას ქვეყნის მეფე, გმირი, თუთხალიას, დიდი მეფისა და გმირის, ხათუსას მეფის შვილი, ხათუსილის, დიდი მეფისა და გმირის შვილიშვილი [...].

ხ ა თ უ ს ა III

წარწერა ქვის სტელაზე ამოკვეთილი. ინახება ანკარას ხეთურ მუზეუმში. იგი ბუსტროფედონის ნიმუშს წარმოადგენს. ვეამენობს ხეთების ახალი სამეფოს უკანასკნელი მეფის თუთხალია IV-ის გენეალოგიას და ტიტულატურას.

დიდი მეფე ლაბარნა. თუთხალია, დიდი მეფე, ხათუსილის. დიდი მეფისა და გმირის შვილი [...]-ის. დიდი მეფისა და გმირის შვილიშვილი [...] დიდი მეფის [... შთამომავალი?].

ს ი რ კ ე ლ ი

წარწერა კლდეზე ამოკვეთილი. იგი ხეთების მეფე მევათალის გენეალოგიას წარმოადგენს.

მევათალი, დიდი მეფე, გმირი, დიდი მეფისა და გმირის მურსილის [შვილი].

ყიზილდაღის, ყარადაღისა და ბურუნქაიას წარწერები

გვიანებული ხანის ყველაზე ადრეული იეროგლიფურ-ლევური წარწერები აღმოჩენილია მდ. ყიზილ-ირმაკის შუა დინების სამხრეთით, კონიადან აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით, ყიზილდაღზე, ყარადაღზე და ბურუნქაიასთან. ეს წარწერები იეროგლიფურ-ლევური წერილობითი ძეგლების ერთ ლოკალურ ჯგუფს ქმნიან. აქედან ხუთი აღმოჩენილია ყიზილდაღზე, ორი — ყიზილდაღის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 15 კმ-ის მოშორებით მდებარე ყარადაღის მწვერვალზე ოდესღაც არსებული ძველი ციტადელის კედლებზე და ერთი — მანასინთან ახლომდებარე ბურუნქაიას ნანგრევებში, ქვის დიდ ლოდზე.

აღნიშნული წერილობითი ძეგლები ნუშქების ქვეყნის მეფის, ხართაფუს სახელითაა შედგენილი. წარწერები ძვ. წ. IX საუკუნის 90-იანი წლებით თარიღდება.

ყიზილ-დაღი I

დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე.

ყიზილ-დაღი II

თარხუნთი², მზე, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე.

ყიზილ-დაღი III

თარხუნთი, მზე, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე, დიდი მეფისა და გმირის, მურსილის შვილი.

ყიზილ-დაღი IV

მზე. ქვეყანა 213-ის სიკეთისათვის? ღვთაება ... თარხუნთი ცისა ... გმირი, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე, თარხუნთის საყვარელი (კაცი), დიდი მეფისა და გმირის, მურსილის შვილი. ის, რომელიც მუსქების³ ქვეყანაში, ის, რომელიც მხარეში არის ... ქვეყანა ... რომელმაც ქალაქები განაახლა?...

ყიზილ-დაღი V

... დიდი მეფე...

ბურუნქაია

დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე.

ქარხემიშის თარვანასის (ბრძანებლის) იარიროსის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები ძვ. წ. VIII საუკუნის 60—40-იანი წლებით თარიღდება.

მე ვარ იარიროსი⁴, მბრძანებელი, მზე, კაცი... დასავლეთსა და აღმოსავლეთში განდიდებული, კაცი ღვთაებათა მიერ შეყვარებული. ჩემი სამართლიანობის (ამბავი) თარბუნთი⁵ და მზის ღვთაებამ ცას ამცნეს. ჩემი სახელი ღვთაებებმა უცხოეთში გაიტანეს. მე განმადიდეს ეგვიპტეში, მე განმადიდეს ბაბილონში, მე განმადიდეს მიზიელეების⁶, მუსქებისა⁷ და სირიელების⁷ ქალაქებში. ყოველ მეფეს მსახური. (ელჩი?) (გავუგზავნე) კეთილდღეობისათვის.

ყ ა რ ა თ ე ფ ე

აზითავათას ბილინგვა, რომელიც 1946—1947 წწ. ჰ. ბოსერტმა აღმოაჩინა მნიშვნელობით ბექისტუნისა ან როზეტის წარწერებს შეიძლება მხოლოდ შევეუღაროთ. წარწერები იეროგლიფურ-ლუვიურ და ფინიკიურ ენებზეა შედგენილი. ისინი ყარათეფზე (კილიკიაში) ოდესღაც არსებული სასახლის ნანგრევებშია აღმოჩენილი. წარწერები უკეთებითაა ლოკებისა და სფინქსების ქვის ქანდაკებებზე, ორთოსტატებზე. ჰ. ბოსერტმა იმთავითვე დაადგინა ფინიკიური და იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების იდენტურობა. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერები ქანდაკებებზე და ორთოსტატებზე ერთი და იგივე ტექსტის ორ ვერსიას წარმოადგენენ, იმ განსხვავებით, რომ ორთოსტატების ტექსტი უფრო სრულია და, როგორც ჩანს, გვიანდელიც. აზითავათას წარწერები ძვ. წ. IX საუკუნის ბოლო მეოთხედით თარიღდება.

მე აზითავათა⁸ ვარ, მზით კურთბეული კაცი, თარბუნთის მსახური, (ის), რომელიც ავარიქუმ, დანუნელთა⁹ მეფემ დააწინაურა. თარბუნთიმ დანუნელთა დედად და მამად მომავლინა. და მე განვაგრცე ადანას (= თანამ. ადანას) ველის მიწები აღმოსავლეთისა და დასავლეთის (მიმართულებით). და ჩემი აქ ყოფნის ყამა დანუნელთა ქვეყანაში სუფევდა ყოველგვარი კეთილდღეობა, ბარაჯა და დოვლათი. და გავავსე დანუნელთა ბედლები. და მივეუმატე ცხენს ცხენი. და მივეუმატე ლაშქარს ლაშქარი. და მივეუმატე ფარს ფარი. ყოველივე ეს თარბუნთისა და სხვა ღვთაებათა წყალობით გავაკეთე. და დავამბე თეოლაჯერებულნი და ბოროტნი, ქვეყანაში რომ იყვნენ. გავაძევე ისინი ქვეყნიდან. და სახლი ჩემი მბრძანებლობისა სიკეთისათვის დავაარბე... ჩემი სამართლიანობის, სიბრძნისა და სიკეთის გამო ყოველმა მეფემ თავის მამად მადიარა. და ავაშენე შეუვალი ციხე-სიმაგრეები (ქვეყნის) საზღვრებზე. კაცი ბოროტნი, ყაჩაღნი, რომლებიც არ მსახურობდნენ მოფსოსის სახლს, მე, აზითავათამ, ჩემს ფერხთ ქვეშ მოვაქციე და ავაშენე იმ მხარეებში ციხე-სიმაგრეები, რათა დანუნელებს მშვიდობიანად

უცხოვრათ. და ვძლიე ციხე-სიმაგრეები დასაველეთში, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ ჩემს წინაპარ მეფეებს. და მე, აზითავათამ, დავანგრეე ისინი და აღვგავე პირისაგან მიწისა. იქ მცხოვრებნი (ჩემი ქვეყნის) აღმოსავლეთ საზღვართან დავასახლე, ხოლო მათი ადგილები დანუნელებს მივუჩინე საცხოვრებლად. და განვაგრეე დანუნას ქვეყნის საზღვრები მზის ამოსვლის მხარიდან მზის ჩასვლის მხარემდე. და ის ადგილები, რომლებიც წინათ შიშს გვრიდნენ (მგზავრებს), სადაც მამაკაცი ერიდებოდა სიარულს, ქალისთვისაც აღარ წარმოადგენდა რაიმე საფრთხეს. ჩემს დროს აქ კეთილდღეობა, სიუხვე და ფუფუნება სუფევდა. და მშვიდობიანად ცხოვრობდა დანუნელთა ქვეყანა და ადანას ველი. და ავაშენე მე ეს ქალაქი და დავარქვი მას „აზითავათას ქალაქი“... და დავაწესე მათ (ღვთაებათა) პატივსაცემად მსხვერპლშეწირვა: ყოველწლიურად... ხარის შეწირვა, და პურის მოსავლის ალების ყამს — ცხვრისა, და ყურძნის მოსავლის ალების ყამს — (ყვლავ) ცხვრისა. ...და თუ ვინმე მეფეთაგან, ან კაცთაგან... შემდეგ განაცხადებს: „მე ამოვშლი აზითავათას სახელს ან ჰიშკრებზე და ზედ ჩემს სახელს დავაწერ“, ან თუ ანგარებას გამოიჩინს ამ ციხე-სიმაგრეების მიმართ და ჰიშკრებს ლოდებს გამოაცლის, ან შემდეგ განაცხადებს: „მე ჰიშკრებს ჩემს საკუთრებად ვაცხადებ და ზედ ჩემს სახელს დავაწერ“, ან თუ ჰიშკრების თაღებიდან ლოდს ამოიღებს, ან მავნებლობას ჩაიდენს და ბოროტი განზრახვით დაანგრევს ამ ჰიშკრებს, თარბუნთი ცისა მზე ცისა, და ყველა ღვთაება დაამბობს მას, მეფე იქნება იგი, თუ კაცი. აზითავათას სახელი, მსგავსად მზისა და მთვარის სახელებისა, მარადიულია უკუნითი უკუნისამდე.

პ ო რ ს უ ქ ი

წარწერა ამოკვეთილია კირქვის ბლოკზე. აღმოჩენილია 1962 წ. ზეიგი-ჰუიუქზე, ღღევ. პორსუქთან (ქ. ულუქიშლას მახლობლად). წარწერა VIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

მე ფარაჰპარასი, ატისის ვაჟი, ნუნასის შვილიშვილი ვარ. ჩემს მიმართ ღვთაება სარმა, ჩემი ბრძანებელი... კეთილგანწყობილი იყო. და ჩემს მიმართ მეფეები (ასევე) კეთილგანწყობილნი იყვნენ. და ჩემს მიმართ მასაურჰასისი, მეფე, კეთილგანწყობილი იყო. მე არმიის სარდალი ვიყავი.

ბ ა ბ ი ლ ო ნ ი

ბაბილონში ჯერჯერობით იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობის სამად სამი ნიმუშია აღმოჩენილი. ერთი ქვის სტელაზეა შესრულებული და ორი — ფილებ-

ზე. წარწერები VIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ვარაუდობენ, რომ წარწერაინი ფიალები ბაბილონში სამხედრო ნადავლთან ერთადაა მოხვედრილი.

ეს ფიალა მითიასმა შეასრულა თარხუნთისათვის.

ეს ფიალა რუვანთიამ შეასრულა ალექოს თარხუნთისათვის.

თ ე ლ - ა ხ მ ა რ I

თელ-ახმარის სტელები (I—II) გვიანხეთური ხანის ტილ-ბარსიფის მეფის ეკუთვნის. ისინი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ამ გვიანხეთური სამეფო-სამთავროს პოლიტიკური ისტორიისათვის.

მე ვარ ... ქვეყნის მპყრობელი. ხაფათილასის შვილიშვილი, არია-ხინასის, თარვანასის, შვილი. მე... შვილი. ციურ თარხუნთის... კეთილღეთაება კუფარმას, მათილას (?), თესუფს და ხარანელ მთვარის ღეთაებას და ქუფაფას ... ვუყვარვარ. მათ მიბოძეს მამისეული ხელისუფლება... როდესაც (ჩემი პაპის) მამა მეფე იყო, იგი თავის (ქვეყანას) განაგებდა. მეფობდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში. მაგრამ, როდესაც იგი ანას ქვეყანაში გარდაიცვალა, ჩემმა მამამ, რომელსაც მისი 20 lalis-9 არაფრად აგდებდა (იმის გამო, რომ იგი ბავშვი იყო). ძალაუფლება ძალით მოიპოვა. ამის შემდგომ მისი ვაჟი ჰამიფტასი აჯანყდა (?) მე პაპის მამის ძალაუფლების... მან მე თავისი სახლის ბატონად გამზადა, საკუთარ ძმებზე წინ დამაყენა, ყოველი კაცი დამიმორჩილა. მაგრამ. როდესაც ის[იც] გარდაიცვალა, მისმა ვაჟმა ჩემს წინააღმდეგ ბოროტება განიზრახა... მაშინ (აღვაპყრე) ხელები ციური თარხუნთის [წინაშე] და მივმართე მას შემდეგი სიტყვებით: „...ვაყები... [და] მე თვით ვაქციე პიეროდულად [თარხუნთისა] ჩემი მტრის ქალიშვილს“. ციურმა თარხუნთიმ ისმინა [ჩემი თხოვნა] — დავიმორჩილე მტერი, გავანადგურე იგი, მისი ვაჟები..., მისი ქალიშვილი პიეროდულად ვაქციე“.

ა ლ ე პ ო II

იეროკლიფურ-ლუვიური წარწერა ქვის სტელაზეა იმოკვეთილი. სტელაზე გამო-სახულია წეროსანი ღეთაება, რომელსაც ხელში ელვის კონა უკავია, ზოლო თავს ფრთოსანი მჭის დისკო უმშვენებს. ჯ. პოფკინსი ალექო II-ს თელ-ახმარ I-თან ერთად განიბილავს და საესებით სამართლიანად თვლის, რომ ისინი ერთიმეორეს აესებენ. იმავე მკვლევრის ვარაუდით, ალექო II-ის ავტორი — არპასი — თელ-ახმარის წარწერაში მოხსენიებული ჰამიფტასის ძმა იყო.

მე ვარ არპასი, საპატიო მსახური თარხუნთისა. ციური თარხუნთი და ხარანელი მთვარის ღეთაება ჩემს წინ [მიბიჭებენ]... ჩემი მეუფე და ძმა ... ჩემთვის. ეს ღეთაებები ჩემი მეფობის თანამგზავრები იქნენ-

ბიან ... მე თვით აღვმართე მზის ღვთაების გამოსახულება. მე არ ... ჩემი ძმა ჰამიადტასი. მე დავაწესე სახელი მისი თარხუნთის [დასმარებთი]... მაგრამ, თუ ოდესმე ვინმე მოისურვებს [ამ გამოსახულების] წაღებას, თარხუნთი და ხარანელი მთვარის ღვთაება დასწყევლიან მას! მისთვის არც ციდან ჩამოვა (სიკეთე?) და არც მიწიდან ამოვა ... თუ კი ვინმე მოისურვებს შეეცილოს ჩემს ძმას კეთილი გულით მიძღვნილ ჩემს საჩუქარში(?), გინდ იყოს ამ კაცის მამა, გინდ..., მათ წინააღმდეგ ღვთაებები განრისხდებიან, მათ სახელს სამარადისოდ აღმოფხვრიან. ხარანელი მთვარის ღვთაება... ფერფლად აქცევს (მათ). მაგრამ თუკი ვინმე ამ ღვთაების მიმართ ბოროტებით აღივსება, ან თუკი ვინმე აზპასის სახელს ამოშლის, კუპაა და ეა... დასჯიან (?) მას.

1 იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში საკუთარი სახელი „თელიფინუ“ ჯერჯერობით მხოლოდ ალექსო I-შია დამოწმებული. ლოგოგრამა, რომელიც „თელიფინუს“ აღნიშნავს, ხის გამოსახულებას წარმოადგენს. გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომლის თანახმადაც, თელიფინუს სახელის აღმნიშვნელი ხის ნახატი განხილულ იქნება მარადმწვანე, ხის ეიას გამოსახულებად. ცნობილია, რომ ამ ხეს განსაკუთრებული ადგილი უკავია ხეთურ მითში ნაყოფიერების ღვთაება თელიფინუს შესახებ და მთელ რიგ ხეთურ რიტუალებში.

2 თარხუნთი, მძლეველი, გმირი, ლუვიური პანოეონის მთავარი ღვთაება. შუმერული იშქურის, სემიტური ადადის, ხურიული თემუბრს მსგავსად, იგი ამინდის ღვთაებას წარმოადგენდა, დაკავშირებული იყო რა სიუხვის მომტან წყლებთან და ნაყოფიერებასთან. თარხუნთის გენეტიკურად უკავშირდებიან კილიკური Troko, ლიჭური Irq, ეტრუსკული Tarchon-ი.

3 მუსქების ქვეყანას (ვარიანტი მუშქების ქვეყანას) მდ. ყიზილ-ირმაკის შუა დინების სამხრეთით მდებარე მხარეში სარგონ II-ის (ძვ. წ. 722—705 წწ.) დროინდელი ასურული წერილობითი წყაროებში იცნობენ და ქარხემიშის მეფის იარიისის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერაც.

4 იარიისის, ძველი წაითხვა — არარასი.

5 სპეციალისტთა უმრავლესობა ამ ტერმინს დასავლეთ მცირე აზიაში მცხოვრები მიხიელების სახელად მიიჩნევს.

6 მუსქების (იგივე მუშქების) სახელწოდებას, როგორც წესი, ან ქართველური ტომების მოსხების სახელწოდებას უკავშირებენ (ბ. პროზნი, რ. ბარნეტი, ე. ლაროში, პ. მერიჯი), ან ფრიგიელების (ჯ. პოკინსი). გამოჩაქისის ამ მხრივ ი. დიაკონოვი წარმოადგენს, რომელიც ქარხემიშის იეროგლიფურ წარწერაში მოხსენიებულ „მუსქას“ პარტოსომხების სახელად თვლის.

7 პ. პროზნის ვარაუდით, ტერმინი „სირიელები“ აღნიშნავდა „ლუვიას“ („არცაას“). რ. ბარნეტი და მ. რიმშაიდიჩი ამ სახელწოდებას „ლიდიელების“ აღმნიშვნელ სახელთან აიგივებდნენ. პ. მერიჯი თვლიდა, რომ იარიისის წარწერაში სირიელების ქალაქზეა საუბარი. ი. დიაკონოვის აზრით, „სირიელები“ იდენტურია „ასურელებისა“. ჩვენ პ. მერიჯის თვალსაზრისს ვიზიარებთ.

8 აზითავათას სახელს ძველადმოსავლური სხვა წერილობითი ძეგლები არ იცნობენ. ამ საკუთარ სახელს საკმაოდ მყარი ხეთურ-ლუვიური ეტიმოლოგია ექვბნება. იეროგლიფურ-ლუვიურში „აზი“ სიყვარულს ნიშნავს, ხოლო „თივათი“ — მზის

ღვთაების სახელწოდებას წარმოადგენს. აქედან გამოვლინარე. „აღიფათა“ ნიშნავს „მზის ღვთაების საყვარელ კაცს“, ან „მზის ღვთაების შეყვარებულს“.

9 დანუნელთა და დანუნას ქვეყნის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ერთნი ფიქრობენ, რომ ყარათეფეს წარწერების „დანუნა“ გაიგივებულ უნდა იქნეს თელ-ელ-ამარხას არქივის ერთ-ერთ წერილში მოხსენიებულ „დანუნასთან“. მეორენი დანუნელებს ეგვიპტის ფარაონის რამსეს IV-ის წარწერების ძიი ხალხად მიიჩნევენ. ენსაფეხი თვლიან, რომ დანუნელების სახელწოდება კვიპროსის აღმნიშვნელ „იათ(დ)ანანა“ ტერმინს უკავშირდება. მეოთხენი აიგივებენ მათ ბერძნ. „დანაელებთან“.

§ 2. ხეთები ბიბლიაში

ხეთები იხსენიებიან ბიბლიის ძველი აღთქმის წიგნებშიც — ძველი ებრაული ლიტერატურის ამ კრებულში. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველგან საქმე ეხება ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდილოეთ სირიასა და მცირე აზიის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, ე. წ. „გვიანდელ ხეთებს“, გვიანი ხეთური სახელმწიფოების მცხოვრებლებს.

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები ძველი აღთქმის წიგნებიდან, სადაც იხსენიებიან ხეთები („ქეტების“ ფორმით), ამოღებულია ბიბლიის ე. წ. „მცხეთური ხელნაწერიდან“, რომლის პუბლიკაცია ეკუთვნის ელ. დოჩანაშვილის. ახალი ქართულის ნორმების მიხედვით ეს ნაწყვეტები გამართულია მის მიერვე.

ფრაგმენტებისათვის მეორე სჯულის (2 სჯ.) იოს ნავეს (ის-ნ.) მსაჯულთა (მსჯ.) წიგნებიდან იხ. მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1981. ფრაგმენტებისათვის მეორე ნეშტთა (2 ნშტ.) პირველი ეზრას (I ეზრ.), მესამე ეზრას (III ეზრ.), მეორე ნეშტთა (2 ნშტ.) წიგნებიდან იხ. მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1982, ხოლო ფრაგმენტებისათვის იერემიას წინასწარმეტყველების (იერ.) და ეზიკიელის წიგნებიდან იხ. მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1985.

როდესაც შეგიყვანს შენ უფალი ღმერთი შენი იმ მიწაზე, რომელშიც შეხვალ, რომ იქ დაემკვიდრო, და გააძევებს დიდსა და მართალ ტომს შენგან — ქეტელს, გურგესეველს, ამორეველს, ქანანელს, ფერეზელს, ეველს და იობოსელს, შვიდ ტომს შენზე ძლიერსა და დიდს (მრავალრიცხოვანს).

2 სჯ. 7:1

უდაბნო და წინა ლიბანე, დიდ მდინარემდე, მდინარე ეფფრატამდე და მთელი მიწა ქეტელებისა ვიდრე ზღვის დასასრულამდე და მზის დასავლამდე იქნება თქვენი საზღვრები.

ის. ნ. 1:4

ამით გაიგებთ. რომ ღმერთი ცხოველი არს ჩვენ შორის და მოს-
პობს და მოგაცილებთ თქვენ ქანანელებს, ქეტელებს, ეველებს, ფერე-
ზელებს, გერგესეველებს და იებოსელებს.

ის. 5. 3:10

როდესაც ისმინა ეს ამორეველთა ყველა მეფემ, რომლებიც იყვნენ
იორდანეს იქით და რომლებიც იყვნენ მთებსა და ველებზე და რომ-
ლებიც იყვნენ დიდი ზღვის მთელ სანაპიროზე და რომლებიც იყვნენ
წინალიბანესთან ახლოს, ქეტელები, ამორეველები, გერგესეველები,
ქანანელები, ფერეზელები და ეველები და იებოსელები შეიკრიბნენ
ერთად საბრძოლველად ისოსა და ისრაელის წინააღმდეგ.

ის. 5. 9: 1—2

და როდესაც ესმა ეს იაბინს, მეფეს ასურისას, გაუგზავნა იობაბს,
მარადონის მეფეს და მეფეს სუმერონისას და მეფეს აქიფისას და
მეფეს დიდი სიდონისა მთიანეთში, და რაბათად, რომელიც იყო
ქენერეთის პირისპირ, და ველზე და ნაფედორდ და ზღვის სანაპი-
როზე და ქანანელებს, რომლებიც ცხოვრობდნენ აღმოსავლეთით და
ზღვის სანაპიროსკენ და ამორეველებს და ქეტელებს და ფერეზე-
ლებს და იებოსელებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მთაზე და ევე-
ლებს, რომლებიც ცხოვრობდნენ აერმონთან და მასეფასთან. და გა-
მოვიდნენ ისინი (საბრძოლველად) და მასთან ერთად მათი მეფეები
აურაკხელნი, როგორც კვიშა, აგრეთვე გამოიყვანეს დიდი სიმრავ-
ლით ცხენები და ეტლები. და შეიკრიბნენ ყველა ეს მეფეები და მი-
ვიდნენ ერთბაშად და დაბანაკდნენ მერომის წყლებთან ისრაელთან
საბრძოლველად.

ის. 6. 11: 1—5

და ეს ამორეველი მეფეები, რომლებიც გაანადგურა ისომ და ისრა-
ელის ძეებმა იორდანეს იქით მზარეს ბაალგადის ზღვასთან, ლიბანის
ველზე ალუგის მთამდე, რომელიც გადაკიმულია სერიამდე — მისცა
იგი ისომ ისრაელის ტომებს მათ სამკვიდრებლად მათი დანაყოფების
მიხედვით. მთებსა და ველებზე და არაშიამში და ესედოთს და უდაბ-
ნოში და ნაგებში ქეტელი და ამორეველი და ქანანელი და ფერეზელი
და ეველი და იებოსელი.

ის. 6. 12: 7—8

აღდგა ბალაკ, ზეფორის ძე, მოაბის მეფე და შეებრძოლა ისრაელს.
და გაგზავნა დასაძახებლად ბალამის, ბეორის ძისა, თქვენ დასაწყევ-
244

ლად. და არ მოინდომა უფალმა ღმერთმა შენმა შენი დაღუპვა და გაკურთხა თქვენ და გიხსნა თქვენ მათი ხელისაგან და მოგცა ისინი. გადმოხვედით იორდანეზე და მოხვედით იერიქოდ. და შეგებრძოლა აერიქოს მკვიდრი: ამორეველი და ფერეზელი და ქანანელი და ქეტელი და გერგესეველი და ეველი და იებოსელი. და უფალმა მოგცა თქვენ ისინი ხელთ.

ის. 6. 24: 9—11

აი. ეს ტომები, რომლებიც დატოვა უფალმა. რომ მათი საშუალებით გამოეცადა ისრაელის ძეები. ყველა ისინი, რომელთაც არ ეცოდნენ ქანანელთა ყველა ომი, მხოლოდ იმისათვის, რომ ისწავლონ ბრძოლა ისრაელის ძეთა შემდგომმა ტომებმა, რომელთაც წინათ არ ეცოდნენ იგი. უცხოთესლთა ეს ხუთი სამთავრო და ყველა ქანანელი, სიდონელი და ეველი და რომლებიც დამკვიდრებული იყვნენ ლიბანზე, აერომონის მთიდან ვიდრე ლაბკმათამდე. და იყვნენ დატოვებულნი, რომ გამოცადონ მათი საშუალებით ისრაელი. და რომ გაიგონ. ისმინეს თუ არა მცნებანი უფლისანი. რომელიც ამცნო მათ მამებს მოსეს საშუალებით. და ისრაელის ძეები დაემკვიდრნენ ქანანელის. ქეტელის, ამორეველის, ფერეზელის, ეველის, იებოსელის და გერგესეველს შორის. და მათ ასულებს ირთავდნენ ცოლად და თავის ასულებს მათ ძეებს ცოლად აძლევდნენ, და ემსახურებოდნენ მათ ღმერთებს. და ისრაელის ძეებმა ბოროტი ქმნეს უფლის წინაშე და დაივიწყეს უფალი ღმერთი მათი და ემსახურებოდნენ ბაალსა და სერტყებს.

მსჯ. 3: 1—7

და მოვიდნენ ყველა ქეტელები და ფერეზელნი და მასთან ერთად ექვსასი კაცი, რომლებიც მოვიდნენ გეთიდან. და მოვიდნენ ფეხით მოსიარულენი მეფის წინაშე. მაშინ უთხრა მეფემ ეთთის გეთელსა: რისთვის მოხვედი ჩვენთან? დაბრუნდი იქვე და იყავ მეფესთან, რადგან შენ უცხო კაცი ხარ, რომელიც წამოხვედი გეთიდან და მოხვედი ჩვენთან.

II მფ. 15: 18—19

და მოვიდნენ გალადს და ქვეყანასა ქეტელთასა და კადესსა. და მოვიდნენ დანამდე და მოვიდნენ სიდონიას.

და მოდიოდა ეტლები ეგვიპტიდან ერთი ეტლი ასი სასწორის ვერცხლისა და ცხენი ერთი ორმოცდაათი სასწორის ვერცხლისა, ეგრევე ყველა ქეტალი მეფეებს და ასურასტანის მეფეებს [მიუტანდნენ].

III მფ. 10—29.

სოლომონ მეფე იყო დედათმოყვარე და მოიყვანა მრავალი ცოლი უცხოტომთაგან და ფარაოს ასული და მოაბელები და ამანიტელები და ილუმელები და ასურასტანიდან და ქეტელები და ამორეველები.

III, მფ. 11:1

ღმერთმა მოასმენინა ასურთა ბანაკს ეტლების ხმაური და ცხენების კიხვინი და ხმაური მრავალრიცხოვანი ჯარისა (ერისა) და თქვეს ერთმანეთში: აი, დაიქირავა ისრაელის მეფემ ჩვენ წინააღმდეგ მეფე ქეტელებისა და მეფე ეგვიპტელთა.

IV. მფ. 7:6

მადიამის ძეები: გეფარ და ენოქ და ოფერ და აბიდანდა ელად. ესენი ყველანი არიან ქეტურის ძეები.

1 ნშტ. 1:33

და შეაგროვა სოლომონმა ეტლები და მხედრები. და ჰქონდა მას ათასოთხასი ეტლი და ჰყავდა 12 ათასი მხედარი. და დატოვა ისინი ეტლების ქალაქებში და ჯარი ჰყავდა მეფეს იერუსალემში. და მეფემ დადო ვერცხლი და ოქრო იერუსალემში, როგორც ქვიშა და ნაძვი ლიბანისა. და ჰურიასტანში როგორც მინდვრის ლედესულელი (თუთა). და სოლომონისთვის ცხენები მოჰყავდათ ეგვიპტიდან მეფის ვაჟებს სასყიდლით. მიდიოდნენ, ყიდულობდნენ და მოჰქონდათ ეგვიპტიდან ერთი ეტლი ექვსას ვერცხლად და ცხენი მოჰყავდათ ორმოცდაათ ვერცხლად. და ამგვარად ქეტელების ყველა მეფისათვის და ასურელების მეფეთათვის მოჰქონდათ თავიანთი ხელით.

2 ნშტ. 1:14—17

და მოვიდა სოლომონ ემათსობაკს და გაამაგრა იგი და ააშენა თოდომოსი უდაბნოში და ყველა ძნელად ასაშენებელი ქალაქი. რომლებიც ააშენა ემათს. ააშენა ზემო ბეთრონი და ქვემო ბეთრონი, ქალაქები გამაგრებულნი ზღუდით, კარით და ბოქლომით. და ბაალა და ყოველი ქალაქი გამაგრებული და ყველა ქალაქი ეტლებისა და ქალაქები ცხენებისა როგორც უნდოდა სოლომონს თავისი სურვილის მიხედვით

ამენებდა იერუსალიმში. ლიბანესა და მთელ თავის სამეფოში. და მთელი ხალხი, რომლებიც გადარჩნენ ქეტელთა, ამორეველთა, ფერეზელთა, ეველთა და იებუსელთაგან არ იყვნენ ისრაელის ძეთაგანი. და მათი ძეები, რომლებიც მათ შემდეგ იყვნენ დარჩენილნი ქეეყანაზე, რომლებიც არ მოსპეს ისრაელის ძეებმა, მოიყვანა ისინი სოლომონმა აქამდე მოხარკედ.

2 ნშტ. 8:3—8

ყველაფერ, ამის შესრულების შემდეგ მოვიდნენ ჩემთან ის მთავრები და მითხრეს: არ გამოიყუო ისრაელის ხალხი და მღვდლები და ლევიტელნი იმ ხალხს, რომლებიც განშორებულ არიან მათგან — იმ ქანანელებს, ქეტელებს, ფერეზელებს, იებუსელებს, ამონელებს, მოაბელებს, ეგვიპტელებს და ამორეველებს.

I ეზრ. 9:1

როდესაც დამთავრდა ეს ყველაფერი. მოვიდნენ ჩემთან ნახპეტნი და ისრაელის ძეების მთავარნი და თქვეს: არ მოვიდნენ ისრაელის ტომების ძეები და მათი მთავრები, მღვდლები და ლევიტელნი და შეერივნენ წარმართებს და უცხოთესლთ და ყველა უცხოთესლთა სიბილწეს: ქანანელების, ქეტელების, ფერიზელების, იებოსელების, მოაბელების, ამორეველების, ეგვიპტელების და იდუმელების:—რადგან შეიბილწნენ იმათ ასულებთან თვითონ და მათი ძეები და შეერია მათი წმინდა თესლი უცხოთესლთა და წარმართთა თესლს და უწესოდ მოიქცნენ მთავარნი და დიდ-დიდნი თვითონ. რადგან იყვნენ წამომწყებნი ამ საძაგელი შერევისა.

III. ეზრ. 8:69—71

ამისთვის მე კიდევ გავსამართლდები თქვენთან — ამბობს უფალი — და თქვენი ძეების ძეებთან განვისჯებივე (გავსამართლდები). ახლა წადით ქეტიიმის კუნძულებზე და იხილეთ. და მიავლინეთ კიდარში და გაიგეთ კარგად თუ იყო რაიმე ამის მსგავსი? თუ შეცვალეს წარმართებმა მათი ღმერთები, თუმცა არც არიან ისინი ღმერთები? ხოლო ჩემმა ხალხმა (კრებულმა) გაცვალა თავისი დიდება, რითაც არაფერი შეემატა.

იერ. 2: 9—11

და იტყვი: ასე ეტყვის (ადონაი) უფალი იერუსალემს: შენი ძირი და წარმოშობა შენი ქანაანის ქვეყნიდან არის, მაშა შენი ამორეველია და დედა ქეტელი.


უზკ. 16:3

შენ ხარ შენი დედის ასული, რომელმაც მოიშურა თავისი ქმარი და შვილები; და და ხარ შენი დებისა, რომელთაც მოიშორეს თავისი ქმრები და შვილები, თქვენი დედა ქეტტელია და მამა თქვენი — ამორეველი.

ეზკ. 16:45

ნაძვი ლიბანიდან მიიღე შენ. ლიბანიდან მიღებული იქმნა კვიპროსისაგან დაპობილი ფიცარი შენი ნავეების ანძებისათვის. ბასანიდან მოიტანეს ხე ნიჩბების გასაყეთებლად, შენი ტაძრები ააშენეს სპილოს ძვლისაგან, სახლები ქეტტიემის ქალაქთა ხისაგან.

ეზკ. 27:5,6.



კარი მართხი

ხური-მითანის სამეფო

ხურიტული სამყარო განეკუთვნება ერთ-ერთ უძველეს ცივილიზაციას კაცობრიობის ისტორიაში. ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომები ბინადრობდნენ ჩრდილო შუამდინარეთის ვრცელ ტერიტორიაზე. ხურიტებმა შექმნეს მეტად თვითმყოფადი და მდიდარი არქეოლოგიური კულტურა, რომელიც ახლოს დგას ცნობილ „მტკვარ-არაქსის“ კულტურასთან. ხურიტულმა კულტურამ დიდი გავლენა იქონია ძველი წინა აზიის ხალხების კულტურასა. რელიგიასა, მითოლოგიასა და ლიტერატურაზე და. მაშასადამე, უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო კულტურის ფორმირების პროცესში. ხურიტები ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში მოიხსენებიან ზემოთ აღნიშნულ სამეურნეო ხასიათის ტექსტებში. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ხურიტებმა შექმნეს მითანის სამეფო, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს და გავლენიან სახელმწიფოდ ითვლებოდა ეგვიპტის, ასურეთისა და ხეთების სამეფოების გვერდით. მითანის მეფეებს მკიდრო დიპლომატიურ-პოლიტიკური ურთიერთობა აკავშირებდა ეგვიპტესთან. მითანის მეფე ეგვიპტის ფარაონს ძმას უწოდებს და მის თანატოლად უჭირავს თავი. ძვ. წ. I ათასწლეულიდან მითანის სამეფო წყვეტს თავის არსებობას.

ხურიტული ენა ენათესავენა ურარტულს. მისი სტრუქტურა ტიპოლოგიურად ბევრ საერთოს ამაღლავნებს ქართულურ (კერძოდ ქართულ) და კავკასიურ ენებთან.

ხურიტულენოვანი ძეგლები, აღმოჩენილი ელ-ამარნას, რას-შარას, ნუზის, ალაახის, ბოლაზ-ქოის არქივებში, შინაარსობლივად მეტად მრავალფეროვანია. შემონახულია სააღმშენებლო წარწერა ურქეშიდან, მითანის მეფის თუშრაათას წყრილი, თარგმნითი, რამდე-ნიმე ენოვანი ლექსიკონები, საკულტო, მითოლოგიური და ლიტერა-

ტურული შინაარსის ფრაგმენტები, ბოლახ-ქოსის არქივიდან, მარის რელიგიური ხასიათის ტექსტები: ლოცვები და სხვ. მეტად საინტერესოა რას-შამრა-უგარიტში აღმოჩენილი ხურიტული რიტუალური საგალობლის ტექსტი, რომელსაც მუსიკალური ნიშნები ახლავს. ჩვენამდე მოაღწია ხურიტული ლიტერატურის ცალკეულმა ფრაგმენტებმა: ჰინენებმა, გილგამეშის ეპოსის ნაწყვეტებმა, მითებმა. ბოლახ-ქოსის არქივში ხეთურ ვერსიებში შემონახულია ხურიტული ლიტერატურის მრავალი ნიმუში: „სიმღერა ულიქუმზე“, „სიმღერა ქუმარბიზე“, „სიმღერა მონადირე ქესიზე“, „ამბავი გუფარანცახისა“, „ზღაპარი აფუსი და მისი ორი ვაჟისა“, „პოემა ზეცაში მეფობისა“ და სხვა. ორიგინალურ ხურიტულ ლიტერატურაში აშკარად ჩანს ხურიტული მითოლოგიის მსგავსება კავკასიურ მითოლოგიასთან.

§ I. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები (თარგმან. ნ. ნოზაძემ)

ა) საშინაოლო წარწერა ურუმიდან

უძველესი ხურიტული ტექსტი. განეკუთვნება ძვ. წ. ილ. XXIII—XXI სს. წარწერა ამოკეთილია თეთრ ქვან, რომელსაც სპილენძის ლომი ეყრდნობა. ძველი ხურიტული ენის ნიმუში (A. Parrot, J. Nougayrol, Un document de fondation hurrite, RA 42, 1948. 1—20; „არმალი“, 1982).

თიშათალმა, ქალ-ქურუმმა ურქეშისა. აღუშენა ღმერთ ფირიგ-გალს ტაძარი ესე. ლუბადაგა¹ დაე ფარავდეს ღვთაების ტაძარს! ვინც მას დაანგრევს, დაანგრიოს ის ლუბადაგამ! ვედრებას მისას ნუ ისმენს ანი²! ვინც მას დაამზობს, წყეულიმც იყოს ათიათასჯერ, ათიათასჯერ ნინ-ნაგარის³, შიმიგეს⁴ და თეშუფისაგან!

1 ლუბადაგა — ღვთაება.

2 ანი — უფროსი თაობის ღმერთი ხურიტულ პანთეონში. ცის ღმერთი (მუმერული ან „ცა“, ბაბილონური ანუ, ბერძნული ურანო). ხურიტული მითოლოგიის მიხედვით ოთხი თაობის ღმერთები შეენაცლენ ერთმანეთს. ამ ოთხეულის პირველი ძირითადი ღმერთი იყო ალალუ. იგი დაამხო ანმა და ჩაავდო ქვესკნელში. ანი შეცვალა ქუმარბიმ. ქუმარბისაგან განდევნილი ანი ზეცაში აიჭრა. მეოთხე თაობის ღმერთია ფეშუფი, ქუმარბის შვილი.

3 ნინ-ნაგარი — ღვთაება.

4 შიმიგე — მზის ღმერთი, მზე.

ბ) შინაწერი წერილი

1887 წელს, ელ-ამარნაში, ეგვიპტის ფარაონის — „მწველებელი მეფის“ ამენჰოტეპ IV-ის (ეხნატონის) — რეზიდენციაში წარმოებუ-

ლი გათხრების დროს აღმოჩნდა თიხის ფირფიტები ლუკსმული და-
 მწერლობით, ეს იყო ამენპოტეპ III-ის და ამენპოტეპ IV-ის სახელ-
 მწიფო არქივის ნაწილი. მრავალ სხვა კორესპონდენციას შორის (ეგ-
 ვიპტის ფარაონები მიმოწერას აწარმოებდნენ სირია-პალესტინის ქა-
 ლაქი-სახელმწიფოების მმართველებთან). არქივში იყო მითანის მეფის
 თუშრათას წერილები ამენპოტეპ III-სთან. ამენპოტეპ IV-სთან და
 ამენპოტეპ III-ის ქეროვთან დედოფალ ტეიესთან. აქვე ნახეს მითა-
 ნის მეფის ასულის თადუ-ხეფას მზითვის სია და ამენპოტეპ IV-ისათ-
 თვის გაგზავნილი საჩუქრის სია. წერილები შედგენილი იყო მაშინდე-
 ლი აღმოსავლეთის საერთაშორისო დიპლომატიურ ენაზე — აქადურ-
 ზე. მხოლოდ ერთი წერილი იყო დაწერილი მეცნიერთათვის მანამდე
 უცნობ ენაზე. ბუნებრივია, ივარაუდეს, რომ ეს იყო მითანის მეფის
 მშობლიური ენა. ამიტომ ენას მითანური. ხოლო წერილს მითანური
 წერილი უწოდეს. აქადური და მითანური წერილების შინაარსი და-
 ახლოებით ერთნაირია. ამდენად, აქადური წერილები გვეხმარება მი-
 თანური წერილის შინაარსის გაგებასა და ტექსტის დადგენაში. წე-
 რილებიდან ირკვევა, რომ ეგვიპტის ფარაონები ნათესაურ კავშირ-
 ში იყვნენ მითანის სამეფო კართან. ეგვიპტური წყაროები ჯერ კიდევ
 ამენპოტეპ I-ის დროიდან მოიხსენებენ მითანის სამეფოს. ცნობილია
 თუთმოს I-ის, თუთმოს II-ის და ამენპოტეპ II-ის ბრძოლები მითა-
 ნის სამეფოს წინააღმდეგ. მხოლოდ მათი მომდევნო ფარაონების მე-
 ფობის პერიოდში მოხდა დაზავება. რაც განამტკიცა ამ ორი სამეფო
 საგვარეულოს დამოყვრებამ. მითანის მეფემ არათათამამ თავისი ქალი-
 შვილი თუთმოს IV-ს მიათხოვა. არათათამას ძისა და მემკვიდრის შუ-
 თარნა II-ის დროსაც გრძელდება კეთილშეზობლური ურთიერთობა
 ეგვიპტესა და მითანის სამეფოს შორის. შუთარნა II-ის ასული გი-
 ლუ-ხეფა ეგვიპტის დედოფალი ხდება. ხოლო თვით თუშრათას ქა-
 ლიშვილს თადუ-ხეფას ამენპოტეპ III-ზე ათხოვებენ. თუშრათა. ამენ-
 პოტეპ III-ის სიმამრი და „ძმა“. თავის სიძეს უგზავნის განმკურნე-
 ბელი ძალის მქონე ნინევიის იშთარის ქანდაკებას. რასაც შედეგად
 მოსდევს სხეული ფარაონის გამოჯანმრთელება. წერილებში თუშრა-
 თა მოითხოვს იშთარის ქანდაკების დაბრუნებას: „იშთარი ჩემი
 ღმერთია. იგი ჩემი ძმის ღმერთი არ არის. ჩემმა ძმამ მას პატივი
 უნდა მიაგოს და უკან დააბრუნოს იგი. დიახ, იგი უკან დაბრუნდეს!“
 ეგვიპტის ფარაონი ამენპოტეპ III (წერილებში მას თუშრათა ნიმშუ-
 რიად მოიხსენიებს) შეჰპირებია მითანის მეფეს ორი ოქროს ქანდა-
 კების გამოგზავნას. მაგრამ აღარ გამოუგზავნია. აი, ამ დანაპირების
 შესრულებას სთხოვს იგი ამენპოტეპ IV-ს (წერილებში — ნაფუ-
 რია) და დედამისს ტეიეს. წერილებიდან ჩანს, რომ მითანის მეფე
 ეხმარება ეგვიპტის ფარაონს მტრების მოგერიებაში. სამაგიეროდ,

თუშრათა სთავის „თავის ძმას“ გამოუგზავნოს ოქრო, რობეღლიც, მისი აზრით, ეგვიპტეში ქვიშასავით უნდადაა. თუშრათა ეგვიპტის ფარაონს სიყვარულსა და ერთგულებას სთავაზობს და მისგანაც სამაგვიეროს მოითხოვს. მოგვყავს ცალკეული ფრაგმენტები მითანური წერილიდან.

მითანის მეფის თუშრათას წერილი ეგვიპტის ფარაონ ამენხოტეპ III-ისადმი. ჭვ. წ. XV ს. (J. Friedrich, Kleinasiatische Sprachdenkmäler, Berlin, 1932; „არმალინი“, 1982).

ნიმფურიას, ეგვიპტის მეფეს, ძმას ჩემსას, სიძეს ჩემსას, რომელიც მე მიყვარს და რომელსაც მე ვუყვარვარ. თუშრათა მეფე მითანისა, სიმამრი შენი, რომელსაც შენ უყვარხარ, ძმა შენი. მშვიდობა შენდა! სიძეს ჩვენსას სალამი! ძეთა შენთა, დიდებულებს შენსას, ცხენებს შენსას. ეტლებს შენსას. მეომრებს შენსას, ქვეყანას შენსას და ყველაფერს, რაც შენ გეკუთვნის, დიდი სალამი!...

როგორც ახლა მე ჩემს ძმას ვუყვარვარ და როგორც ახლა მე ჩემი ძმა მიყვარს, ისევე შეგვიყვარონ ჩვენ ორივე თეშუფმა. შუშუქამ, ამონმა, შიმიგემ, ეაშარრიმ — ყველა ჩვენმა ღმერთმა გულთ ძლიერ. ძლიერ შეგვიყვარონ სამარადისოდ! მრავალყამიერ გავიზაროთ ძალიან დიდი სიხარულით. როგორც ჩვენ გვსურდეს. კეთილი საქმეები ერთმანეთისათვის ორივემ ძალიან, ძალიან სწრაფად გავაკეთოთ. კელიამ, ჩემმა ელჩმა ეს სიტყვები მიიხრა: „შენმა ძმამ ნიმფურია, ეგვიპტის ქვეყნის მეფემ, დიდი საჩუქარი გააკეთა. ჭალაქი იხიფეს, შიმიგეს ჭალაქს მიიტანა და თავის ღმერთს, თავის მამას შიმიგეს მიუძღვნა“...

რაც რამ შესაწირავი ჩემმა ძმამ შიმიგეს, თავის ღმერთს. თავის მამას შესწირა. შიმიგე მიჰმადლებს ჩემს ძმას ყველაფერს. რაც მას გულთ სწადია...

კელია, ჩემი ელჩი და მანე, შენი ელჩი გავგზავნე და მივიღნენ ჩემს ძმასთან...

გავიგე, კელია და მანე მოსულან... ახლა ჩემს ძმას სიტყვას ვეტყვი და ჩემმა ძმამ ისმინოს. ჭეშმარიტად, მანე, ჩემი ძმის ელჩი, მოვიდა ... და აი, მზითვეი ნამდვილად გამოგვგზავნე... რაც შეიხება ჩემი ძმისაგან გამოგზავნილ მოსაკითხს, იმის თაობაზე მის მომტანს, ჩემი ძმის ელჩს, მანეს გამოვკითხე... თუ ჩემი ძმა ძღვნად ოქროს გამოგიგზავნის, ეს მე გულთ გამიხარდება...

მამაჩემის ასულია ჩემი და. და არის დაფა — (≡ ფირფიტა) მზითვის წიგნი. ეს ერთი დაფა. მერე კიდევ პაპაჩემის ასულია მამიდაჩემი და არის ერთი დაფა კიდევ — მზითვის წიგნი; ესეც მცორე დაფა. წაიკითხოს ჩემმა ძმამ თითოეული მათგანი და მოისმინოს, ჩემის

მწრიდან არის კიდევ ერთი დაფა — ჩემს მიერ ბოძებული მზითვის წიგნი. წაიკითხოს ჩემმა ძმამ და მოისმინოს არის თუ არა მზითვერი დიდი, არის თუ არა კარგი; არის თუ არა ჩემი ძმის მოსაწონი...

რაც პაპაჩემმა არათამამ მამაშენს უძღვნა, მე იმაზე ათჯერ მეტი გამოგიგზავნე და რაც მამაჩემმა შენთვის გააკეთა, მე ის გაათმავე...

მერე კიდევ, მინდა ჩემს ძმას სიტყვა ვუთხრა: ავის მოლაპარაკე ბევრი დადის და დიდი მეუფის წინაშე ბოროტს სიტყვებს ამბობს. მოქმელმა მაუწყა ჩემს ძმაზე. მან მითხრა და მეც უმალ გავიგონე, რომ ჩემმა ძმამ კვლავ გააკეთა... მიწის მუშას გაუკეთა, დიდ მომთაბარეს კი — არა. ეს რომ გავიგონე. ძალიან გამიხარდა. ჩემი ძმა რომ ასე არ მოქცეულიყო, ჩემთვის ფრიად სამწუხარო იქნებოდა...

... და ჭეშმარიტად, ჩემს ძმას ბოროტ სიტყვებს გამუდმებით ეუბნება. პოდა. თუ ჩემს ძმას ვინმე ეტყვის ჩემზე და ჩემს ქვეყანაზე, ჩემი ძმა იმ სიტყვებს ნუ ირწმუნებს, თუ მათ კელია და მანე არ ეტყვიან: ის კი, რასაც კელია და მანე მოუთხრობენ ჩემზე და ჩემს ქვეყანაზე. ნამდვილია და სწორი და ჩემმა ძმამ ის მოისმინოს. ხოლო თუ ვინმე ამის მსგავს რამეს მეტყვის ჩემს ძმაზე და მის ქვეყანაზე, მე არ მოვუსმენ. თუ კელია და მანე არ მიამბობენ. ის კი, რასაც კელია და მანე მაუწყებენ. ჭეშმარიტა და სწორი და მეც მოვისმენ. ახლა რაც ჩემმა ძმამ მითხრა, რომ ნებადა. მე ათმაგად მეტი გავაკეთე და ჩემი ძმის გული უბრალო სიტყვებითაც კი არ დამიმწუხრებია. ისეთი ქალი მივეცი ცოლად, მის გულს რომ გაეხარდებ. ახლა. მანე ჩემი ძმის ელჩი კელია. ართეშუფი და ასალი — ჩემი ელჩები, რომლებიც მე დავადგინე, ჩემს ძმასთან სასწრაფოდ გავგზავნე და ჩემი ძმა მათ ნახავს. ჩემი ძმაც ნუ დააყოვნებს ჩემს ელჩებს, ნუ მაწყენინებს, დააჩქაროს და მალე გამოგზავნოს, რომ დროზე მოვიდნენ და პასუხის სიტყვა მომიტანონ, რათა მოვისმინო და ჩემი ძმის კარგად ყოფნით გავიხარო. თუ ჩემი ძმა ბრძანებს. შენ რატომღა დაავვიანე ჩემი ელჩებო. მე ვუპასუხებ: არა. მე ისინი არ შემეფერხებია. ჩემი ძმის ცოლის მზითვის გამოისობით მოხდა ეს და ჩემი ძმა ნახავს მას (მზითვეს). ჩემი ძმის ცოლის მზითვერი მივა და კმაყოფილი დარჩება. ჩემი ელჩები კი ჩემმა ძმამ დააჩქაროს, გამოგზავნოს, რომ მოვიდნენ და მანეც გამოაყოლოს. რომ ჩემს ელჩებთან ერთად მოვიდეს. სხვას ნურავის გამოგზავნის ელჩად, მანე გამოგზავნოს. მანეს ნაცვლად თუ სხვას გამოგზავნის, მე ეს არ მსურს. ეს იცოდეს ჩემმა ძმამ და მანე გამოგზავნოს. ჭეშმარიტად. როგორც აღამიანს მზე უყვარს, ასე გვიყვარდეს ერთმანეთი ჩვენ ორივეს.

§ 2. სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული უინაარსის ტექსტები

(თარგმნა ე. ასტაიშვილმა)

დოკუმენტები ნუზი-არაფხას არქივებიდან

ხურციული საზოგადოების ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წერილობით წყაროს წარმოადგენს ნუზი-არაფხას არქივების ლურსმული ფირფიტები. არაფხას სამეფო მდებარეობდა მდ. ტიგროსის აღმოსავლეთით და ასურეთის სამხრეთით. იგი მითანის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და ამ უკანასკნელის დასუსტების შემდეგ დაპყრობილი იქნა ასურეთის იმპერიის მიერ.

არაფხას სამეფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საკულტო ცენტრს წარმოადგენდა ქ. ნუზი (თანამ. იორგან-თეფე). სწორედ აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა მდიდარი სატაძრო, სასახლის და საოჯახო არქივები, რომლებიც ქრონოლოგიურად განეკუთვნებიან ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარს და მოიცავენ არაფხას მოსახლეობის 5—6 თაობის ცხოვრებას. ისტორიული არაფხას სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლურსმული ფირფიტების საერთო რაოდენობა 4000 აღწევს. ისინი დაწერილია აქადურ ენაზე და განიცდის ხურიტული ენის დიდ ზეგავლენას.

ნუზი-არაფხას არქივების ლურსმული წერილობითი წყაროები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ხურიტული არაფხას სამეფოს სოციალური სტრუქტურა. წარმოდგენა ვიქონიოთ სასახლის და სატაძრო მეურნეობებზე, დიდი პატრიარქალური თემების ცხოვრებაზე, მიწათმფლობელობის ფორმებზე, სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემაზე.

1. ხალცუხლუს I საჩივრები. ხალცუხლუ უჩივის მოხალეს.

JEN 370

ტექსტი თარგმნილია გამოცემადან: Ghiera E., Joint Expedition with the Iraq Museum at Nuzi, I—V, Paris—Philadelphia, 1927—1934.

თარმითილა, შურქითილას ძე, წარღვა მსაჯულთა წინაშე წყლის მეთვალყურის — თარმიას — წინააღმდეგ ბრალდებით. თარმითილამ თქვა: „რაც შეეხება პატარა არხს, რომლის გათხრაც მეფემ მიბრძანა, — მეფემ მითხრა: „გათხარე პატარა არხი, რათა წყლებმა ქა-

ლაქ ნუზიში იდინონ². და მაშინ მე ვუთხარი თარშიას: „გაგზავნე-
 მაცნე (ხალხის შესაკრებად). დაე, წავიდნენ, ამოთხარონ პატარა არხი
 და დაე, წყლებმა იდინონ ქალაქ ნუზიში, მეფის ბრძანების შესაბამი-
 სად. მაგრამ მათ არ გაუთხრიათ პატარა არხი; რის გამოც (მეფის მო-
 ხელეებმა) მე წამართვეს ხარი და წაიყვანეს სასახლეში“. მსაჯულებმა
 ჰკითხეს თარშიას. თარშიამ თქვა: „ეს მართალია, თარშითილა მე
 მელაპარაკა ისე, როგორც მან (აქ) თქვა. და მე მივეცი განკარგულე-
 ბა მაცნე ხერის“. მსაჯულებმა ჰკითხეს ხერის, ხერიმ უპასუხა: „თარ-
 შიას ჩემთვის არაფერი უთქვამს“. მსაჯულებმა მიმართეს თარშიას:
 „მოიყვანე შენი მოწმენი“. თარშიამ თქვა: „მე მოწმეები არა მყავს“.
 ხერიმ და თარშიამ მოილაპარაკეს და თქვეს: „რაც შეეხება სასახლე-
 ში წაყვანილ თარშითილას ხარს, ჩვენ მივცემთ თარშითილას ისეთსა-
 ვე ხარს, როგორი ხარიც მას ჰყავდა“. შემდგომ თარშია და ხერი შე-
 თანხმდნენ მსაჯულებთან და ამ შეთანხმების თანახმად, თარშითილამ
 (სარჩელი) მოიგო. მსაჯულებმა თარშიას და ხერის უბრძანეს, რათა
 მათ მისცენ თარშითილას (მისთვის წართმეული და მეფის სასახლეში
 წაყვანილი) ხარის სამაგიერო ხარი.

მწერლის ბეჭედი. მოწმეები: ფათეშუბ ფურასას ძე, ხუთიშიმი-
 კა შეშუიას ძე, ზილიბაბუ ხუიას ძე, ავბაღუგე კაქის ძე, შენბე ხუიას
 ძე.

ბ) ხ ა ლ ც უ ხ ლ უ უ ჩ ი ვ ი ს მ წ ყ ე მ ს ს

JEN 341

ტექსტი თარგმნილია გამოცემიდან: Zaccagnini C., The Rural Land-
 scape of the Land of Arrape, Roma, 1979.

თეხიბთილა, ფუხიშენის ძე წარდგა მსაჯულთა სასამართლოს წი-
 ნაშე სარჩელით, თავისი ნახირის მწყემსის თაია ვარდ-ახეშუს ძის
 წინააღმდეგ, რომელმაც დაასახიჩრა (თეხიბთილას) ხარი. თაიამ ამგვა-
 რად (თქვა): „ეს სხვა ხარი იყო², რომელმაც დაასახიჩრა საძოვარზე
 (თეხიბთილას) ხარი“. მსაჯულებმა უთხრეს თაიას: „მოიყვანე შენი
 მოწმენი, (რომლებიც დაამტკიცებენ), რომ ის სხვა ხარი იყო, რომელ-
 მაც დაასახიჩრა (თეხიბთილას ხარი)“. თაიამ ამგვარად (თქვა): „მე
 მოწმეები არა მყავს“. მსაჯულებმა ასე (თქვეს): „რადგან ეს შენ ხარ,
 ვინც დაასახიჩრა ხარი, (მის) სანაცვლოდ შენ (თეხიბთილას) უნდა
 მისცე (სხვა ხარი)“. თეხიბთილამ მოიგო სარჩელი და თაიას (მსაჯუ-
 ლებმა) დააკისრეს თეხიბთილასთვის ერთი ხარის (მცემი).

მოწმე შაქარაგდი ართირვეს ძის ბეჭედი, მოწმე ნინუათალ არი-
 ბაბუს ძის ბეჭედი, მოწმე თანიმუშა იმბილიშუს ძის ბეჭედი, მოწმე

ნაიშერი კახუთას ძის ბექედი. (დაწერილია) მწერალ ითხაბისეს ხელით.

2. შიხათფლოგალთა საჩივრები

HSS 5.42

ტექსტი თარგმნილა გამოცემიდან: Zaccagnini G., The Rural...

აგაბშენი, ზიგეს ძე წარდგა მსაჯულთა სასამართლოს წინაშე სარჩელით აქაფუ. ხაშიბაბუს ძის წინააღმდეგ. უთხაბთაე, ზიგეს ძის მინდვრის თაობაზე. აგაბშენიმ საძოვარზე გარეკა ხარები და ვირები. აქაფუმ (კი) ცემა აგაბშენი ჯოხით და წაართვა (მას) ხარები და ვირები. ითხაბუ ნინუათალის ძე, ხანაა შეშეეს ძე, შექარუ დუფშოქას ძე, ნუქია შურიშას ძე, ულუია ფალიას ძე: აგაბშენის (ეს) 5 მოწმე წარდგა მსაჯულთა სასამართლოს წინაშე. მათ ამგვარად (თქვეს): „აქაფუმ ცემა აგაბშენი და მიისაკუთრა მისი ხარები [და ვირები]“. მსაჯულებმა უთხრეს აქაფუს: „დაიფიცე მოწმეთა <წინაშე>!“ აქაფუმ მსაჯულებს უთხრა: „მე ვცემე აგაბშენი“: (თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად) ფიცის დადებაზე აქაფუმ უარი განაცხადა. აგაბშენიმ მოიგო სარჩელი. მსაჯულებმა აქაფუს დააკისრეს აგაბშენისათვის 30 (სიკლი) ვერცხლის (გადახდა). ბოლო უთხაბთაეს მინდვრისათვის (მიყენებული) ზარალის ასანაზღაურებლად მისთვის 1 იმერუ 7 შათუ მარცვლის გადახდა. 30 (სიკლი) ვერცხლი არის 1 ხარის, 1 ვირის და 10 ცხვრის (ფასი).

მოწმე ფაა ფუითაეს ძის ბექედი, მოწმე ირილიშუ ბადშარის ძის ბექედი, მოწმე არქუ ითხიშთას ძის ბექედი, მოწმე ნინრიას ბექედი. მოწმე ართეშე ეკამეშუს ძის ბექედი. (დაწერილია) მწერალ ენლამუშალის ხელით.

ZA 48.2

დოკუმენტი ეხება შართია, ნირფიას ძის, ეხლითეშუბ, [...] ძის, ვანთიშენი, ხაშიბთილას ძის და აგაბთუქე, ქულახუფრის ძის (მიერ დადებულ) ორმხრივ შეთანხმებას ფუითაე ვულუს ძესთან. ამგვარად (თქვა) ამ ოთხმა კაცმა: ჩვენ ჩვენს ცხვარს ვაძოვებთ ფუითაეს თუფახსურახეპ მინდორზე. ახლა ჩვენ შევთანხმდით მასზედ, რომ შემოვიღობოთ ეს მინდორი. (და ჩვენ ავაგებთ) 46 უშ კედელს მის (მინდვრის) სიგრძეზე (გასწვრივ). კედელი აღმოსავლეთით [და] დასავლეთით [...]. ეს ოთხი კაცი შემოღობავს (მინდორს) ფუითაესთვის. ის, ვინც დაარღვევს შეთანხმებას, გადაიხდის 1 ძროხას.

ძოწმე მუშრითეშუბი ითბიშთას ძე, მოწმე ვურუთა ქურანუს ძე, მოწმე ზუნა არიფევარის ძე. მოწმე უთაბთაე დურას ძე, მოწმე ემუქა — მწერალი.

მწერალ ემუქას ბეჭედი, მუშრითეშუბის ბეჭედი, ვურუთას ბეჭედი, ზუნას ბეჭედი.

TCL 9. 12

ფუითაე ვულუს ძე წარდგა მსაჯულთა სასამართლოს წინაშე სარჩელით შართია ნირფიას ძის, ეხლითეშუბ [...] ძის და ვანთიშენი ხაშიბთილას ძის წინააღმდეგ. ფუითაემ ამგვარად (თქვა): „ამ ხალხმა (თავისი ცხვარი) აძოვა ჩემს მინდორზე: (რომელიც მდებარეობს) უქნიფავეს ღიმთუში⁴. ჩემი მინდვრის თაობაზე ეს ხალხი შემითანხმდა მე და დაწერა საბუთი, (რომელშიც ამგვარ პირობას დებდნენ): „ვინც მათ შორის დაარღვევდა შეთანხმებას, გადაიხდიდა 1 ძროხას“. და ახლა ამ ხალხს არ შემოუღობია ჩემი მინდორი, მაგრამ (ამავე დროს) ისინი აძოვებდნენ (თავიანთ ცხვარს ჩემს მინდორზე). „მსაჯულებმა ჰკითხეს ამ ხალხს. მათ ამგვარად (თქვეს): „ეს მართალია! ჩვენ ვაძოვებდით (ცხვარს) ფუითაეს მინდორში. და ჩვენ ამ მინდვრის შესახებ (ამგვარად) შევეუთანხმდით ფუითაეს. ჩვენ აღუუთქვამდით (მას) მინდვრის შემოღობვას, მაგრამ არ შემოგვიღობავს იგი“. მსაჯულებმა მოისმინეს შეთანხმების ფირფიტის (შინაარსი): „ის. ვინც დაარღვევს შეთანხმებას, გადაიხდის 1 ძროხას“. ფუითაემ ზოიგო სარჩელი. მსაჯულებმა დააკისრეს შართიას, ეხლითეშუბსა და ვანთიშენის ფუითაესთვის 4 წლის ძროხის მიცემა. და ეს ხალხი...

(დაწერილია მწერალ) აგია მულიბშის ძის ხელით.

JEN 124

ამგვარად (ამბობს) მადთეშუბი, ხილფიშუხის ძე: „(ფფიცავ), რომ ქურფაზახმა. ხილფიშუხის ძემ, თამართაე, ნაქიფუს ძის კუთვნილი 8 ცხვარი წაიყვანა თუფქითილა ხილფიშუხის ძის კუთვნილი ბაღის ნაკვეთიდან და მოათავსა ისინი თავის ნაკვეთში“. ამგვარად (თქვა) ქურფაზახმა: „(ფფიცავ), რომ მე არ წამიყვანია თამართაეს კუთვნილი 8 ცხვარი თუფქითილას ბაღის ნაკვეთიდან და არ მომითავსებია ისინი ჩემს ნაკვეთში. პირიქით, (ფფიცავ), რომ ისინი (ბალახის) მოსაძოვად მოვიდნენ ჩემს ნაკვეთში და მე დავიპირე ისინი“.

ამგვარი განცხადებების გამო ორივე მხარე უნდა წავიდეს მდინარეზე⁵.

ნათესაობა ართიას ძის ბეკელი, ფუხიშენი ბამანას ძის ბეკელი, თაუქი ხანიქუიას ძის ბეკელი, არიკამარი აქაფშეს ძის ბეკელი, შათუმართი ენიშთაეს ძის ბეკელი. (დაწერილია) მწერალ შერშიას ხელით.

JEN 653

ენამათი, თეხიბთილას ძე წარდგა მსაჯულთა წინაშე სარჩელით (ქალაქ) უნაფშევეს სახნავი მიწებიდან 6 ავეხარუ მინდვრის თაობაზე. ენამათიმ ამგვარად (თქვა): „უკვე სამი წელია, რაც შურუფეიამ, ხაშიას ძემ მიიტაცა ჩემი 6 ავეხარუ მინდორი. მან დაანგრია (გამყოფი) მიწა და (ეს) 6 ავეხარუ მინდორი მიიერთა, როგორც თავისი მინდვრის ნაწილი“. მსაჯულებმა შურუფეიასთან გააგაზვნეს ორი მანზადუხლუნ — ბურბია იგიას ძე და იგია თაქუშქის ძე და ქალაქ უნაფშევეს მმართველი ხანიუ. მსაჯულებმა ხანიუს ამგვარად (უთხრეს): „შეკრიბე ქალაქ უნაფშევეს ხალხი და ნება მიეცი მანზადუხლუნებს გამოიძახონ შურუფეია“. ამგვარად (მოახსენეს მსაჯულებს) მანზადუხლუნებმა და ქალაქის თავმა ხანიუმ: „ჩვენ გამოვიძახეთ შურუფეია (და) ამგვარად (თქვა) შურუფეიამ: „მე მივიტაცე ენამათის 6 ავეხარუ მინდვრის (სანიშნე) მიწა; მე დავანგრე (ეს) მიწა, მაგრამ მე უარს არ ვამბობ (ამ მინდორზე)“. მსაჯულებმა მეორეჯერ გააგაზვნეს შურუფეიას (სასამართლოში მოსაწვევად) ზილიფქუშუხ არიქაულის ძე და ხაშიბთილათიას ძე. მანზადუხლუნებმა ამგვარად (თქვეს): „მაცნე ენიშთაე, ურუქათალის ძე დადგა (ქალაქის მმართველი) ხანიუს განკარგულებაში, ჩვენ გავაგაზვენთ ქალაქ უნაფშევეს 10 კაცი შურუფეიას გამოსაძახებლად. ამგვარად (თქვა) შურუფეიამ: „მე მივიტაცე ენამათის 6 ავეხარუ მინდვრის (სანიშნე) მიწა; მე დავანგრე (ეს) მიწა“, მაგრამ მან (დაამატა): „მე უარს არ ვამბობ (ამ მინდორზე). მოახსენეთ მსაჯულებს, რომ მე ავანაზდაურებ ზარალს“. მესამედ გააგაზვნეს მსაჯულებმა შურუფეიას სასამართლოში გამოსაძახებლად ენამათი ალთეშუბის ძე და ხანათუ ნაიშერის ძე. მათ (მსაჯულებს) მოახსენეს ისე, როგორც წინა მანზადუხლუნებმა, და მათ იგივე თქვეს. იმის გამო, რომ შურუფეიამ უარი განაცხადა სასამართლოში გამოცხადებაზე, ენამათიმ მოიგო სარჩელი. მსაჯულებმა შურუფეიას დააკისრეს (რათა მან მისცეს) ენამათის 1 იმერუ 2 ავეხარუ მინდორი და ყოველ მინდორზე (მოწვეული მოსავალიდან) 18 იმერუ მარცვალი და 18 კონა ნამჭა. 6 ავეხარუ მინდვრის (3 წლით გამოყენების) ფასი.

ფუითაეს, თამქარათას ძის ბეჭედი, იბნიშთარის. რიშადღეეს ძის ბეჭედი. (დაწერილია) მწერალ აფას ხელით. თაა ფუნის ძის ბეჭედი.

JEN 321

ტექსტი თარგმნილია გამოცემიდან: Jankowska N. B., Communal Self-Government and the King of the State of Arraphe, JESHO, v. XII, 1969.

ქელთეშუბმა. ხუდიას ძემ მსაჯულთა სასამართლოს წინაშე აღ-
ძრა სარჩელი ვანდარი უგუიას ძის წინააღმდეგ. ამგვარად (თქვა)
ქელთეშუბმა: „ჩემი დ ი მ თ უ, (რომელიც იწოდება) ქისუქის (დ ი მ-
თ უ ს სახელით), რომელიც მდებარეობს [მდინარის] მეორე მხარეს,
ჩემს მინდვრებთან ერთად. ვანდარიმ (ძალით) მიისაკუთრა. რის გამოც
მე აღვძარი სარჩელი მეფესთან... და მათ (?) მისწერეს შ ა ქ ი ნ
მ ა თ ი? ხუდიბაბუს და ამგვარად (უთხრეს): „მდინარის მარცხენა და
მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქისუქის დ ი მ თ უ ს (კუთვნილ დასახლე-
ბაში მცხოვრებ მოსახლეობას) ჰკითხე და უკან გამოავზავე (მათი)
პასუხი“.

ხუდიბაბუ შ ა ქ ი ნ მ ა თ ი მ გამოჰკითა დასახლებების (მცხოვ-
რებლებს) (და) მათი სიტყვები ჩაწერა ფირფიტაზე. ამავე ფირფიტაზე
იქნა დასმული დასახლებებში მცხოვრები ხალხის (უხუცესთა) სახე-
ლობითი ბეჭდები .

მსაჯულებმა მიმართეს ვანდარის და ვანდარიმ ამგვარად (თქვა):
„ქისუქის დ ი მ თ უ თავისი კუთვნილი მინდვრებით ჩემმა მამებმა (მა-
მა-პაპამ) მიისაკუთრეს, და მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ის ჩემს
მფლობელობაში გადავიდა. მინდვრის და დ ი მ თ უ ს თაობაზე მე ვას-
რულებ ი ლ ქ უ ს⁸ გადასახადს“.

ამის შემდეგ ქელთეშუბმა მსაჯულებს წარუდგინა დასახლებათა
ფირფიტა, რომელიც მიღებული იყო შ ა ქ ი ნ მ ა თ ი ხუდიბაბუსაგან
და წაიკითხა (იგი): „ამგვარად (თქვა) ქურის (დასახლების) ხალხმა,
ამგვარად (თქვა) ვულდუგურიას (დასახლების) ხალხმა, ამგვარად (თქვა)
ერიზას (დასახლების) ხალხმა, ამგვარად (თქვა) ქულუთეს (დასახლე-
ბის) ხალხმა, ამგვარად (თქვა) შიმერუნის (დასახლების) ხალხმა, ამგვა-
რად (თქვა) ედეშენის (დასახლების) ხალხმა, ამგვარად (თქვა) აშურის
(დასახლების) ხალხმა, (ამგვარად თქვა) თილუ შ ა ქ ა ქ ე ს (დასახლების)
ხალხმა. (ამგვარად თქვა) ბაშლუნის (დასახლების) ხალხმა. ყველამ —
მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე განლაგებული ქისუქის დ ი მ-
თ უ ს 9 დასახლების (მოსახლეობამ): „ქისუქის დ ი მ თ უ ს (მოსახ-
ლეობა) ერთად არის(?) მბოლოდ ქისუქის მინდვრების (დასახლებე-
ბის მოსახლეობასთან) და ჩვენ არ ვცნობთ ვანდარის“.

მსაჯულებმა უთხრეს ვანდარის: „აი, 9 დასახლება (9 დასახლები მოსახლეობა), რომელიც ქელთეშებს ცნობს (თავის მმართველად) და ახლა შენ მოიყვანე ხალხი, რომლებიც გცნობენ შენ“. ვანდარიმ (თქვა): „მე ვერ მოვიყვან ხალხს, რომლებიც მე მცნობენ (მმართველად)“.

შ ა ქ ი ნ მ ა თ ი ხუდიბაბუს მიერ მსაჯულთა წინაშე წაკითხული ფირფიტის (შინაარსის) შესაბამისად, 9 დასახლების (მოსახლეობამ) ქელთეშები აღიარა (თავის მმართველად). ხუდიბაბუს და 9 დასახლების მცხოვრებთა (უხუცესთა) ბეკდები დასმული იყო ფირფიტაზე, მაგრამ არაინ ცნო ვანდარი.

ფირფიტის შინაარსის შესაბამისად მსაჯულებმა გამოიტანეს განაჩენი, (რომლის თანახმად) ქელთეშებმა მოიგო სარჩელი: ქისუქის დ ი მ თ უ თავისი მინდვრებით, (რომლებიც განლაგებულია) ედშენის დასახლების (კუთვნილი) მიწის ზევით, ერიზას დასახლების (კუთვნილი) მიწის მიჯნის ჩრდილოეთით. ულუიას დასახლების (კუთვნილი მიწის) მიჯნის ზევით, მიეკუთვნება ქელთეშებს.

(დაწერილია) მწერალ ურხითეშების ხელით.

უხუცესი მოწმეები: ბედაშურა, — სუქალუ; აგია. — სუქალუ: არიბაბუ თეხიბაბუს ძე, ნირთეშუბ ფუითაეს ძე, შურგითილა აგიბთაშენის ძე, ვაბრითაე თარმითეშუბის ძე, ხუთანი თარმითილას ძე, თეხიბთილა ხაშუარის ძე, დურართეშუბ ებლითეშუბის ძე. შართეშუბ თაითაეს ძე, ზილიბაბუ შურგუმარის ძე, არნუნდი, — მწერალი, ენამუშა ქანაბუს ძე, შართეშუბ უთხაბთაეს ძე, ხუდიბაბუ თარმითილას ძე, მუშეთია ფილნამშეს ძე.

3. თიღენუთუშ⁹ შინაარსის ტექსტები

Istanbul Arkeoloji Muzeleri, № 1

რექსტი თარგმნილია გამოცემიდან: Brinkman J. A., Donbaz V., A Nuzi-type t^{t} idennulu tablet involving real estate, Oriens Antiquus (Roma) 16, 1977.

შებელთეშებმა, შადუმართის ძემ, მიიღო ღვთაება ნერგალის ქურუმი ქალის, ვიშვირინქის კუთვნილი ორჯერ გაპარსული ცხვარი და 4 მ ი ნ ა მატყლი. ამის საზღაურად შეხელთეშებმა ვიშვირინქის ორი წლის ვადით და თ ი დ ე ნ უ თ უ ს პირობით მისცა 8 ა ვ ე ხ ა რ უ მინდორი უთხუშეს ოლქის მიდამოებში: (მინდორი), შეხელთეშების მინდვრის ზევით, ნინუათალის მინდვრის სამხრეთით (და) შეხელთეშების მინდვრის ჩრდილოეთით. ორი წლის გასვლის შემდეგ, შეხელთეშები, ამ ფირფიტაზე (დაწერილი). შეთან-

ბმების თანახმად, ვიშვირინქის დაუბრუნებს ფულს და (უკან) დაიბრუნებს თავის მინდორს. უკეთუ ეს მინდორი სასამართლო სარჩელის ობიექტია¹⁰, შეხელთეშუბი (ვალდებულება) გაარკვიოს (სარჩელი) და (მხოლოდ ამის შემდეგ) გადასცეს მინდორი ვიშვირინქის. უკეთუ მინდორი მოხსულია, მაშინ (მოსავლის აღებამდე შეხელთეშუბი) მას უკან არ დაიბრუნებს. (ფირფიტა) დაიწერა ქალაქ ქურუხანის ვალაენის კომკართან, მისი შინაარსის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ. (შეთანხმების შედგენას) დაესწრნენ: აგიბშენი შაუთეს ძე, ევარიდულა უდილუს ძე, ნაითეშუბ ბუდიბაბუს ძე, დურართე უდილუს ძე, უნაბთეშუბ უდილუს ძე. ამ სუთმა კაცმა გაზომა მინდორი და გადასცა ფული (შეხელთეშუბს). (მწერლის ბეკედი, მოწმეთა ბეკედები).

HSS 9. 103

თარგმანი შესრულებულია გამოცემიდან: Jankowska N. B., Communal...

იბაშიილუს. ხანიუს ძის ფირფიტა თ ი დ ე ნ უ თ უ ს თაობაზე.

ქიბიას დ ი მ თ უ ს მიწიდან. 1 ი მ ე რ უ (მიწა) ფურასას მიწის ზევით. მუგრიას მიწის ქვევით, შეხელთეშუბის მიწის სამბრეთით, იმავე იბაშიილუს მიწის ჩრდილოეთით, 3 წლის ვადით და თ ი დ ე ნ უ თ უ ს (პირობით), გადაეცემა ილანუს. თაუგეს ძეს. სამაგეოროდ, იმავე თ ი დ ე ნ უ თ უ ს სახით. იბაშიილუს გადაეცემა: 1 ხელი, 14 წყრთა სიგარძისა და 4 წყრთა სიგანის მალალბარისხოვანი სამოსელი (ნაჭერი). სამოსის (ნაჭრის) ღირებულებაა 5 მ ი ნ ა და 50 ს უ: (ასევე, მას გადაეცემა) 2 მ ი ნ ა მალალბარისხოვანი მატყლი და 2 მ ი ნ ა კალა. 3 წლის შემდეგ ნაჭერს, მატყლს და კალას იბაშიილუ ილანუს დაუბრუნებს და უკან მიიღებს თავის მიწას. მინდვრის საზღვრები მან (იბაშიილუმ) უნდა დაიკვას: თუ მიწა დიდია, მათ ის არ უნდა ჩამოკრან: თუ მიწა ჩამოკრილი იქნება. ის (ილანუ) მას არ აიღებს. უკეთუ მიწის შესახებ სარჩელია აღძრული, იბაშიილუმ უნდა გაარკვიოს და (მხოლოდ ამის შემდეგ) გადასცეს ილანუს. ამ მინდვრის შუაგულში მდებარე ქ ა შ ქ ა მიწა¹¹ მათ არ უნდა აიღონ. უკეთუ რომელიმე მათგანი ამ 3 წლის განმავლობაში დაარღვევს შეთანხმებას, (მაშინ იგი ჯარიმის სახით) გადაიხდის 1 სალ ბარს. იბაშიილუს განცხადება უხუცესთა წინაშე: მან შემდეგი თქვა: „1 ხელი სამოსი, 2 მ ი ნ ა მატყლი და 2 მ ი ნ ა კალა მე მივიღე ილანუსაგან და მე გადავუხადე (ძივეცი ილანუს მინდორი)“.

(უხუცესთა ბეკედები).

JEN 418

ტექსტი თარგმნოლა: J a n k o w s k a N. B., Communal...

ითბაბუს. ფუხიშენის ძის და ქაინის, ქუნათუს ძის მიერ თეხიბ-თილა ფუხიშენის ძის შვილად აყვანის დოკუმენტი.

ქალაქ აბენას ოლქში მდებარე შულშიას დ ი მ თ უ ს მიწიდან 2 ი მ ე რ უ მიწა მათ მისცეს თეხიბთილას, როგორც მისი წილი. და თეხიბთილამ ითბაბუსა და ქაინის საჩუქრის სახით მისცა 6 ი მ ე რ უ მარცვალი.

უკეთუ მიწაზე აღძრულია სასამართლო სარჩელი, ითბაბუ და ქაინი ვალდებული არიან გააარკვიონ და (მხოლოდ ამის შემდეგ) გადასცენ (მიწა) თეხიბთილას. უკეთუ ითბაბუ და ქაინი დაარღვევენ პირობას, მაშინ ისინი თეხიბთილას მისცემენ 2 მინა ოქროს.

~ (აბენას ოლქის უხუცესთა ბექლები; მწერალ თაიას ბექელი).

JEN 333

შუგრითილა თეხიბთილას ძე წარდგა მსაჯულთა სასამართლოს წინაშე თაია რიმუშარის ძის წინააღმდეგ ბრალდებით. და ამგვარად (თქვა) შუგრითილამ: „მამაჩემი თეხიბთილა, ქაინი ქუნათუს ძემ (და) ითბაბუ ფუხიშენის ძემ იშვილეს და (მისცეს მას სამემკვიდრეო წილად) 2 ი მ ე რ უ მიწა შულშიას დ ი მ თ უ ს (მიწებიდან). მაგრამ თაიამ აღძრა საქმე სასამართლოში, დაიფიცა მეფის სახელით და განმდევნა მე ამ მიწიდან“. თაიამ ამგვარად უპასუხა: „მე არა ვარ წილის მფლობელი და არც მიწის მფლობელი და (მე) არავინ არა ვარ (მე ამ საქმეში გარეშე პირი ვარ). ეს ის ქალი იყო, ხანათე. შანხარის ცოლი. (მან) დამიძახა და ამგვარად მითხრა: „წადი (სასამართლოში). ბრალდასდევ შუგრითილას, დაიფიცე მეფის სახელით და განდევნე (შუგრითილა) მიწიდან“. მსაჯულებმა ჰკითხეს ხანათეს და ამგვარად თქვეს: „შენ გაავზავნე თაია შუგრითილას წინააღმდეგ ბრძანებით. რათა (მას) დაეფიცა მეფის სახელით?“ ხანათემ ამგვარად უპასუხა: „მე გავვზავნე ის (ხანათე) შუგრითილასთან და ამგვარად ვუთხარი: უჩიველე შუგრითილას, დაიფიცე მეფის სახელით და განდევნე იგი მინდვრიდან“. მსაჯულებმა გაუშვეს თაია და (მან) მიატოვა სასამართლო. მსაჯულებმა უთხრეს ხანათეს: „დაიცავი შენი სარჩელი შუგრითილას წინააღმდეგ“. ხანათემ ამგვარად თქვა: „ჩემმა ქმარმა მე მომცა მიწა. რომელზედაც დავსახლდი“. მსაჯულებმა წაიკითხეს ხანათეს საბუთები და, ვინაიდან მიწა, (რომელიც) შანხარიმ (თავის ცოლს) მისცა

დასასახლებლად: ქავინის და ითხაბუს სახელები. რომლებმაც იშვი-
ლეს თეზიბთილა, ხანათეს საბუთებში არ იყო მოხსენიებული. და (ეს
არის ის) განცხადება. რომელიც ხანათემ გააკეთა: „ქავინი მოკვდა მა-
ნამ, სანამ შანხარი მოაწყობდა თავის დასახლებას და ამ მიწას მე
მომცემდა“. მოწმებმა: იფშახალე შულშის ძემ. თეზიბაბუ ითხაბუს
ძემ, ხანიუიამ და ეგეგემ — ართეშუბის შვილებმა. არიბაბუ მალიას
ძემ თქვეს მსაჯულთა წინაშე: „მინდორი ეკუთვნოდა ქუნათუს, და
ქავინი (იყო) ქუნათუს უფროსი ვაჟი, და ქავინი (იყო) მისი (ქუნათუს)
მომღევნო (ვაჟი)“. და, ვინაიდან, მინდორი, რომელიც არ იყო შან-
ხარის საკუთრება, (მან) მისცა დასასახლებლად თავის ცოლს, და,
(ვინაიდან), ქავინის და ითხაბუს სახელები არ იყო მოხსენიებული მის
(ხანათეს) საბუთებში. მსაჯულებმა ხანათესათვის მაცნეს სამჯერ გა-
მოაცხადებინეს ქალაქის კიშკართან სასამართლო საქმის შესახებ
(მინდვრის თაობაზე): და ეს მინდორი გადაეცა შუგრითლას. და, ვი-
ნაიდან შუგრითლას წინააღმდეგ ხანათემ დაიფიცა მეფის სახელით.
მსაჯულებმა მას, (ხანათეს, დააკისრეს, რათა მან) მისცეს შუგრითი-
ლას ხარი.

თეზიბთილამ. ითხაბუს ძემ თქვა: „2 ი მ ე რ უ მინდორი მამაჩემმა
ითხაბუმ და ქავინი [ქუნათუს] ძემ მისცეს თეზიბთილას და იშვილეს
(იგი)“. მსაჯულებმა ჰკითხეს მოწმებს: „ვიინ (დაისაკუთრა) ქავინის
მფლობელობა? (და) ვინ მიისაკუთრა მისი მინდვრები?“ მოწმებმა
(ამგვარად) უპასუხეს: „არიბაბუმ (დაისაკუთრა) ქავინის მფლობელო-
ბა. (და) ეს მან მიისაკუთრა მისი მინდვრები“. მსაჯულებმა უთბრეს
არიბაბუს და თეზიბაბუს: „წადით. გაათავისუფლეთ 2 ი მ ე რ უ მინ-
დორი და მიეცით ის (მინდორი) შუგრითილას“. მათ გაათავისუფლეს
მინდორი და მისცეს (იგი) შუგრითილას.

მოწმეები: არიბაბუს ბეჰედი. ზუიას ბეჰედი. ქავს ბეჰედი. ითირ-
ვეს ბეჰედი. შუგრითილა თეზიბთილას ძის ბეჰედი. არიქანარი დულ-
ფიშენის ძის ბეჰედი. არშალიმ აბუიას ძის ბეჰედი. ზილიბაბუ არშა-
ლიმის ძის ბეჰედი. დაწერილია მწერალ უთაილურაბუს ხელით.

JEN 390

ტექსტი თარგმნილია გამოცემიდან: Jankowska N. B., Provisioning of
the Cult in Arrapha (anzannu. „votive“. JEN 390). Festschrift Lubor Matous,
Herausgegeben von Hruska B.—Komoroszy G., I., Budapest, 1978.

ენამათი თეზიბთილას ძე და ქავინი ხულუქას ძე წარდგნენ მსა-
ჯულთა წინაშე. და ენამათიმ მსაჯულთა წინაშე ამგვარად თქვა: „3
ი მ ე რ უ მინდორი, რომელიც ქავინიმ მისცა მამაჩემს და 2 ი მ ე რ უ
მინდორი, რომელიც მისცა (მამაჩემს) ქავინის ძმა ფარხენარიმ. სულ.

ორი დოკუმენტის შესაბამისად, მათ (მამაჩემს) მისცეს 5 იმერუ მინდორი“. მსაჯულებმა ენამათის მოთხოვეს დოკუმენტები. ენამათიმ მსაჯულებს წარუდგინა დოკუმენტები და მათ ისინი წაიკითხეს: 5 იმერუ მინდორი და ასევე 5 მინა ვერცხლი და 5 მინა ოქრო, (რომელიც გარიგების დარღვევის შემთხვევაში უნდა გადაეხადათ), დოკუმენტებში იყო მოხსენიებული. მსაჯულებმა ჰკითხეს ქავინის. ქავინიმ ამგვარად თქვა: „მინდვრები ენამათიმ მიიტაცა“. მსაჯულებმა ამგვარად (ჰკითხეს): „შენ წარმოადგინე საბუთი ენამათის (მიერ) 5 იმერუ მინდვრის (მიტაცების) შესახებ?“ ქავინიმ ამგვარად (უპასუხა): „დიახ!“ მსაჯულებმა გაგზავნეს მანჯადუხლუ და უთხრეს (მას): „წადი და გაზომე მინდვრები: მინდორი, რომელიც დი მთუ ფირშანის გზების სამხრეთით, ფუზიშენის არხების ნაპირზე და ბორცვების გზის ჩრდილოეთით მდებარეობს“; და (ეს ნიშნავს). რომ (ქავინიმ) 5 ავეხარუ მინდორი [ჩამოქრა]. მსაჯულებმა ჰკითხეს: „რატომ ჩამოქერი შენი მინდვრის ნაწილი?“ ქავინიმ მსაჯულთა წინაშე თქვა: „ჩემი მინდვრები ანჯანუა!¹³ ხანაიამ, მუქას ძემ და ჩემმა შვილებმა ისინი მიისაკუთრეს. ქავინი ხანაიას ძმა არის, თქვა მან, (ქავინიმ) და (ამგვარად), ჩვენ (ეს მინდვრები მათ) დაუთმეთ“. მსაჯულებმა უთხრეს ქავინის: „უკეთუ ქავინი ხანაიასთან ერთად შეხლუს თვემდე¹⁴ დატოვებს მინდორს¹⁵, სასამართლო არ შედგება“. მსაჯულებმა უთხრეს ქავინის: „უკეთუ შენ შეხლუს ღღესასწაულზე, მარცვლის ბედელში (შენახვის დროს), მარცვლისა 5 ავეხარუ მინდვრიდან. აღ-ილანიში¹⁶ არ იქნები. მაშინ შენო სახლიდან ენამათის მისცემ 5 მინა ვერცხლს და 5 მინა ოქროს, როგორც ეს (დოკუმენტში) არის დაწერილი“.

5. ადმინისტრაციული შინაარსის დოკუმენტები

ა) ქალაქის მმართველის მოვალეობანი

HSS 15. I

ტექსტი თარგმნილია გამოცემიდან: Harvard Semitic Series, v. XV., Cambridge. 1950

ამგვარად უბრძანებს მეფე ქალაქ თაშუხვეს მმართველს: „ყოველი ქალაქის მმართველი ვალდებულია იცავდეს თავის ქალაქს და მის მიმდებარე ტერიტორიას. უკეთუ ქალაქის (მიმდებარე) ტერიტორიაზე დგას მიტოვებული კოშკი. ქალაქის მმართველმა იგი უნდა დაიცვას. დაე, მისი ქალაქის ტერიტორიაზე ნუ მოხდება მძარცველობა. დაე, ნუ იქნებიან იქ მტრები, რომლებიც კლავენ და (ნაძარ-

ცვი) მიაქვთ. უკეთუ ქალაქის ტერიტორიაზე მოხდება ძარცვა. ან გამოჩნდებიან მტრები, რომლებიც (ქალაქის მცხოვრებლებს) მოკლავენ, ან გაძარცვავენ, ქალაქის მმართველი პასუხს აგებს. უკეთუ არაფხას სამეფოს (ქვეშევრდომი) ლტოლვილი თავის ქალაქს მიატოვებს და სხვა ქვეყანაში გაიქცევა, თუ ამგვარი გამოჩნდება. ქალაქის მმართველი პასუხს აგებს. უკეთუ (საგამგებლო) ქალაქის მიდამოებში აღმოჩნდება მიტოვებული კოშკი, ქალაქის მმართველი პასუხს აგებს.

შ ა ქ ი ნ მ ა თ ი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ყოველი კოშკის უფროსს დაუარიგოს ფირფიტა, და აი, რა უბრძანოს მათ: უკეთუ კოშკში აღმოჩნდება ისეთი (აღამიანი), რომელიც გამოდის საძარცვავად. ან აღმოჩნდებიან მტრები, რომლებიც კლავენ და (ნადავლი) მიაქვთ. მაშინ კოშკის უფროსს ბრალი დაედება დანაშაულში და (მას) მე კოშკს ჩამოვართმევ. თქვენ (ქალაქის მმართველი) უნდა მოხვიდეთ და თქვენ უნდა თქვათ: ამ კაცს (კოშკის უფროსს) მეფის განკარგულება არ დაურღვევია და მტრები [] და, უკეთუ გამოჩნდება (ვინმე. რომელიც) ამ განკარგულებას დაარღვევს, თქვენ უნდა შეიპყროთ იგი, დაე, სსახლეში მომგვარონ იგი“.

არაფხას სამეფოს მეფის, მუშთეიას, ბეკედო..

ბ) მეფის წერილი სათემოთვით მმართველობის უფროსისადმი

HSS 13. 36

ამგვარად უბრძანებს მეფე აგიბთაშენის. ენამათის შვილს: „უკეთუ გამოგზავნიან ხაშიმარუს¹⁷, მაშინ აგიბთაშენი ვალდებულია გამოიყვანოს 3 კაცი. ლულუბეელთა¹⁸ ქვეყანაში ისინი გააცილებენ (მას) და მან, (აგიბთაშენიმ) უნდა დაიცვას იგი (ხაშიმარუ); და შემდეგ უკან დააბრუნოს. აგიბთაშენიმ სამჯერ უნდა წაიყვანოს 3 კაცი (ხალცუ) აზუხინადან¹⁹, სადაც ისინი ცხოვრობენ და გაემგზავროს ხაშიმარუსთან ერთად. და, უკეთუ ხაშიმარუს არაფხას ქვეყანაში, ან ლულუბეელების ქვეყანაში მოკლავენ. ან იგი დაიკარგება, მაშინ აგიბთაშენი ორდალიას არ მიმართავს და იგი მოკვდება“.

აგიბთაშენის. ენამათის ძის ბეკედი²⁰.

გ) მეფე უბრძანებს ხალცუხლუს

JEN 551

ტექსტი თარგმნილია გამოცემიდან: J a n k o w s k a N. B.. Life of the Military Elite in Arraphe, Studies on the Civilization and Culture of Nuzi and

ეს ბრძანება მიეცა თარმითილას: „ყველამ, ვინც ბინადრობს შენი ოლქის სასახლის სახლებში, 10 ქალის საფასურად უნდა მოიტანოს 1 ახლადდაკლული ხარი და 3 ახლადდაკლული ცხვარი. ახლადდაკლული ხარის ძვლები მათ უნდა მოიტანონ ალ-ილანიში. უკეთუ [ხარის] ხორცის ნაწილი ლაქიანი (იქნება), ამოსჭერი. [საქონლის და ცხვრის] დაკვლის დღეს (ხორცის დარჩენილ ნაწილს) ისინი მოიტანენ სასახლეში. გაპარსული ცხვრის [ტყავებს], ხარის ტყავებს და ხორცს ხალაი გადაიხდის ილქუს გადასახადის სახით. მოსახლეობას შეუძლია გაყიდოს ის (ხორცი) და (მიღებული ფული) მოიტანოს სასახლეში.

დ) მეფის ბრძანება სამხედრო მოხელისადმი

HSS 14. 14

ტექსტი თარგმნილია გამოცემიდან: J a n k o w s k a N. B.. Communal...

ამგვარად უბრძანებს მეფე ათისთავ შართეშუბს: „(ჩემს მიერ წარმოგზავნილ) ს უ ქ ა ლ უ ს (=გზირს) და ქურუმს ნება მიეცი კარგი ცხენებით ერთად წავიდნენ. და გაგზავნე (წერილი) ქალაქ ზიზაში ხუღიბაბუსთან, მაშინ ხუღიბაბუ გაგზავნის (წერილს) ქალაქ აბენაში. მაშინ ისინი (სუქალუ და ქურუმი) თავიანთ მფლობელობაში აიღებენ იმ მიწას, რომელიც მათ წინ არის და მაცნე წავა დი მ თ უ ნ ა ვ ი ა შ ი. მაგრამ, (ვინაიდან) მაღალი წყალი ჯერ კიდევ არ არის წესრიგში მოყვანილი, გაგზავნე წერილი და ნება მიეცი რამდენიმე დი მ თ უ ს ჩ ა ა ტ ა რ ო ნ (საირიგაციო სამუშაოები წყლის წესრიგში) მოსაყვანად. და შენი საკუთარი ძალებით (ამალით) გააკეთე ისე, რომ ს უ ქ ა ლ უ და ქურუმი მივიდნენ ქალაქ აბენაში. ქალაქ აბენას მოსახლეობას ამგვარად უთხარი: ესენი (ს უ ქ ა ლ უ და ქურუმი) გარკვეულ ხანს აქ დაინიშნებიან (თანამდებობებზე). კაცები (ქურუმი და ს უ ქ ა ლ უ) შენ ხელთ არიან. დიაცავი ისინი. იმ შემთხვევაში (თუ) ქალაქ აბენას დესპანი შენ დაგიჭერს (მხარს), შენ თავს არ მოგკვეთენ, მაგრამ მაღალი წყალი წესრიგში არ არის მოყვანილი“.

1 ხ ა ლ ც უ ხ ლ ე — ხ ა ლ ც უ ს (ოლქის) მმართველი.

2 ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა მ ე ო რ ე ხ ა რ ი.

3 ა დ გ ი ლ ი ს სახელწოდება.

4 კ ო შ ე უ რ ი ტ ი პ ი ს ს ი მ ა გ რ ე. ამ შემთხვევაში იგულისხმება გვაროვნული თენას სამფლობელო ტერიტორია.

5 ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა ო რ დ ა ლ ი ა.

- 6 „ასაქართლო მოხელე.“
 7 შაქინ მათი — „ქვეყნის მიერ ხელდასხული“, — სათემო თვითმმართველობის უფროსი.
 8 საკუთრივ ტერმინის მნიშვნელობა უცნობია.
 9 საჯაბლო კრედიტი.
 10 ვინმე გამოთქვამს პრეტენზიას მის მფლობელობაზე.
 11 მიწა, რომელიც ეკუთვნის საზოგადოდ თემს, ან მისი უხუცესის საკუთრებას წარმოადგენს.
 12 შეილად აყვანა.
 13 „დაპირებული“ — ე. ი. მიწას შეპირდნენ სხვას.
 14 მკათათვე.
 15 მისცემს მინდორს მომჩივანს.
 16 „ღმერთების ქალაქი“ — არაფხას სამეფოს სახელმწიფო და რელიგიური ცენტრი.
 17 ასირტი დიპლომატი (პ. ლევი).
 18 ზაგროსის მთიანეთის გადაღმა მცხოვრები მომთაბარე ტომები.
 19 არაფხას ჩრ.-აღმ. მდებარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი, რომელიც კრებულა ლუღუბეელთა ქვეყნისაყენ მიმავალ გზას.
 20 არაფხას ჩრ.-აღმ. მდებარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლტიკების შესრულებას.

§ 3. რელიგიური შინაარსის ტექსტები

(თარგმნა ნ. ნოზაძემ)

ა) ეთიოპ-რელიგიური ხასიათის სენტენცია, აქადურ-ხურიტული ბილინგვა რას-შამრადან (J. Neugayrol, *Tablette bilingue Accado-Hourrite, Le Palais Royal d'Ugarit III, 1955. 311—313; არმაღანი., 1982*).

თუ შენ აიღებ ღმერთისაგან აკრძალული ვერცხლის საგანძურს, გეშინოდეს ღვთის რისხვისა და გადაიჩინე სხეული შენი! მას, ვინც ქუშუხს (მთვარის ღვთაებას) იფიცება, მემკვიდრე ყველა განეტევება და ვერასოდეს ცოლი მისი ველარ შობს შვილებს! ოდეს არ იცის (ცოდვა თვისი), ადამიანი მისწრაფვის თავის ღმერთისკენ. ცოდვის თვისის უმეცარია და ისწრაფვის თავის ღმერთისკენ. მისკენ მიილტვის.. ქუშუხისაყენ ხელაპყრობილი. (მას ელის) სასჯელი. მაგრამ იგი უმეცარია (თავისი ცოდვის) და მიილტვის თავის ღმერთისკენ.

ბ) კიმნი ელისადმი

კიმნი წარმოითქმოდა ხურიტულ-ხეთორი რიტუალების შესრულების დროს. რიტუალები სხვადასხვა დანიშნულების იყო: ქალღმერთ ხეფას ტახტის კურთხევა, მსხვერპლის შეწირვა და სხვა. კიმნები იწყება ფრაზით: „ნელსურნელება აღველინება“. რომელსაც მოსდევს ღვთაების სახელი და საკუთრივ კიმნის ტე-

ქსტი. ჰიმნების ბოლოშია ფრაზა: „ნელსურნელებისა და წყლის მეშვეობით შენი სული სუფევდეს სიმშვიდეში“. ჰიმნი იწყებოდა ქურუმის მიერ კედარის ტოტის დაწვის დროს მაგიურ კურკალში (E. Laroche, Textes hourrites en cunéiformes alphabétiques, Ugaritica V, Paris, 1968, 510; არმალინი, 1984).

ნელსურნელება აღევლინება (ჰოი) ელ! ელ ცისიერო. ელ მიწიერო! ზემო ღმერთებთან ერთად ამალღებულხარ, ჰოი. ელ, და ქვემო ღმერთებთან ერთად ამალღებულხარ, (ჰოი) ღმერთო, რომელიც მოდიხარ. ელ, რომელიც მოდიხარ, ელ, მეფევე, ტახტისაკენ... რომელიც მოდიხარ, ელ, რომელიც მთიანეთის ხარ... აჰა, ელი! აჰა, ქუშუხი³. აჰა, ქუმარბი⁴, აჰა, ელლილი⁵... ელ-აღთქმისა, ელ-განმკითხველი... იყავნ მშვიდად (ჰოი), ელ, სული შენი სიმშვიდით ნეტარებდეს! ჰოი, მეუფევე, ნელსურნელება... შენ მიიძღენი, და ამიტომ კეთილდღეობა და... შენ მოგვაამაღლე!

1 ელი — ერთ-ერთი მთავარი ღმერთი უგარიტიდან (ხურიტული ქუმარბი, ბაბილონური ელლილი, შუმერული ენლილი, ბერძნული კრონოსი).

2 ხეფათი — ხურიტული ქალღმერთი, თეშუფის მეუღლე. უპირველესი ქალღმერთი ხურიტულ პანთეონში.

3 ქუშუხი — მთავრის ღმერთი, მთვარე (ბაბილონური სინი)..

4 ქუმარბი — მესამე ღმერთი ღმერთთა ოთხეულიდან. იწოდება ღმერთების მამად. ხურიტულ-ხეთური შიფების გმირი. (შუმერული ენლილი, ბაბილონური ელლილი, უგარიტული ელი, ბერძნული კრონოსი).

5 ელლილი — შუმერული ენლილი — ჰაერის ღმერთი. „ღმერთთა მამა“, „ცისა და მიწის მეფე“, „ყველა ქვეყნის მეფე“.



კარი მახუთა

ურარტუს სამეფო

ურარტული წყაროები

ყველაზე ადრეული წარწერები, შედგენილი ურარტულ ენაზე, განეკუთვნება ძვ. წ. IX ს. ბოლოს. ხოლო ყველაზე გვიანდელი — ძვ. წ. VI ს. დასაწყისს. ლურსმული დამწერლობა, რომლითაც არის ნაწერი ეს წარწერები, ურარტელებმა მეზობელი ასურელებისაგან შეითვისეს. თუმცა გარკვეულად გაამარტივეს იგი (გამოყენებულია ნიშნების ნაკლები ოდენობა). არის მცირეოდენი განსხვავებები ნიშნების მოხაზულობაშიც. წარწერები ურარტუში გაკეთებულია ძირითადად ქვაზე — ამოკვეთილია კლდეებზე, საამშენებლო ქვებზე. ქვის სტელებზე და სხვა. არის წარწერები სხვა მასალაზეც — ბრინჯაოს ნივთებზე, თიხის ფირფიტებზე. წარწერებს შორის დიდი უმრავლესობა ამა თუ იმ მეფის სახელითაა შედგენილი. ამათ შორის არის: 1. საომარ გამარჯვებათა მაუწყებელი წარწერები, 2. ციხე-სიმაგრეების, საკულტო და სხვა ობიექტების მშენებლობის, არხების გაყვანის, ბაღ-ვენახების გაშენების და სხვა ამგვარის მაუწყებელი წარწერები და 3. საკულტო შინაარსის — მსხვერპლის შეწირვის და სხვა ამგვარის შესახებ ინფორმაციის შემცველი წარწერები. ყველა ისინი, ცნობილი 1970 წლამდე, გამოქვეყნებულია (ტრანსკრიფციითა და თარგმნით) ან მიმოხილულია გ. მელიქიშვილის პუბლიკაციაში: Г. А. Меликишвили, „Урартские клинообразные надписи, Москва, 1960 (ქვემოთ გამოკლებთ: УКН), აგრეთვე მის გაგრძელებაში: „Урартские клинообразные надписи: Открытия и публикации 1954—1970 гг.“ (ქურნალში „Вестник Древней Истории“, 1971, № 3, 4). თიხის ფირფიტებზე მოღწეული ურარტული ტექსტები, რომლებიც ოფიციალურ მიმოწერას ან სხვა დოკუმენტებს წარმოადგენს, გამოქვეყნებულია წიგნში: И. М. Дьяконов, Урартские письма и документы, Москва—Ленинград, 1963.

ქვემოთ მოგვაქვს ორიგინალის ენიდან ქართულად შესრულებული თარგმანები, რომელიც გ. მელიქიშვილს ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის შენიშვნები, რომლებიც მოტანილ ტექსტებს თან ერთვის.

წარწერებთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მკითხველმა შეიძლება ნახოს გ. მელიქიშვილს ზემოხსენებულ გამოცემაში.

1. მუშაების იფუჟინისა და მენუას წარწერა (ძვ. წ. IX ს. დასასრული)

YKH 27

მზერ-კაუსის საკულტო შინაარსის წარწერა კლდეში გამოკრილი ნიშის კედელზე ქალ. ვანის (თურქეთში) მახლობლად.

ღვთაება ხალდის, მეუფეს, იშფუინი სარდურის ძემ (და) მენუა-იშფუინის ძემ ეს ჰიშკარი აუგეს (და) გამოსცეს ბრძანება: ...ღვთაება ხალდის, ღვთაება თეიშებასი, ღვთაება შივიინის, ყველა ღვთაებათა. 6 ციკანი ღვთაება ხალდის მსხვერპლად დაეკლას, 17 ხარი და 34 ცხვარი ღვთაება ხალდის (სამსხვერპლოდ); ღვთაება თეიშებას — 6 ხარი (და) 12 ცხვარი, ღვთაება შივიინის — 4 ხარი და 8 ცხვარი, ღვთაება ხუტუინის — 2 ხარი (და) 4 ცხვარი, ღვთაება ტურანის — ხარი (და) 2 ცხვარი. ღვთაება უას — 2 ხარი (და) 4 ცხვარი, ღვთაება ნალაინის — 2 ხარი (და) 4 ცხვარი, ღვთაება შებიითუს — 2 ხარი (და) 4 ცხვარი. ღვთაება არსიმელას — 2 ხარი (და) 4 ცხვარი, ღვთაება ანაფშას — ხარი და 2 ცხვარი, ღვთაება დიდუაინის — ხარი და 2 ცხვარი, ღვთაება შელარდის (მთვარის ღვთაებას) — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ხალდის იარაღს — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ათბინის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება კუერას — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ელიფრის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება თარაინის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ადარუთას — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ირმუშინის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაებას. რომელსაც... — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ალაფთუშინის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ერინას — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება შინირის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება უნიინას — ხარი და 2 ცხვარი, ღვთაება აირანის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ზუზუმარუს — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ხარას — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება არაზას — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ზი[უ]კუნის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ურას — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება არციბედინის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება არნის — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ხალდის iniriāše-ს ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ხალდის სიდიადეს — ხარი (და) 2 ცხვარი, ღვთაება ხალდის.

diruše-ს—ხარი (და) 2 ცხვარი, ლეთაება ხალდის მხედრობას—2 ხარი (და) 4 ცხვარი, ლეთაება თეიშებას მხედრობას — 2 ხარი (და) 4 ცხვარი, artu'ar (a)sauē' — ლეთაებას — 2 ხარი (და) 34 ცხვარი. ქალაქ არდინის ლეთაებას — ხარი (და) 2 ცხვარი, ქალაქ კუმენუს ლეთაებას — ხარი (და) 2 ცხვარი, ქალაქ ტუშვანის ლეთაებას — ხარი და 2 ცხვარი, ლეთაება ხალდის ქალაქის ლმერთებს — ხარი (და) 2 ცხვარი, ქალაქ არცუნიუინის² ლმერთებს — ხარი (და) 2 ცხვარი, ლეთაება ხალდის daše-ს ხარი (და) 2 ცხვარი, ლეთაება შუბას— ხარი (და) 2 ცხვარი, ლეთაება ხალდის ჭიშკარს — ხარი (და) 2 ცხვარი, ქალაქ ერიდიას² ლეთაება თეიშებას ჭიშკარს — ხარი (და) 2 ცხვარი, ქალაქ უიშინის ლეთაება შივინის ჭიშკარს — ხარი (და) 2 ცხვარი, ლეთაება ელიას — ხარი და 2 ცხვარი, ლეთაება ხალდის მოწყალეებს — ხარი (და) 2 ცხვარი. ლეთაება ხალდის ძლიერებს — ხარი (და) 2 ცხვარი, ლეთაება ხალდის susi-ს³ ლმერთებს — ხარი (და) 2 ცხვარი, ლეთაება თალაფურას — ხარი და 2 ცხვარი, ლეთაება კილიბანის — ხარი (და) 2 ცხვარი, ქვეყანათა ლმერთს — ხარი (და) 2 ცხვარი, მთების (?) ლმერთს — ხარი (და) 2 ცხვარი, ტბების ლმერთს — ხარი (და) 2 ცხვარი, მსბერპლად შეწირვათა ლმერთს — 2 ხარი (და) 14 ცხვარი, ... — 2 ხარი (და) 14 ცხვარი, ყველა ლმერთებს — 4 ხარი (და) 18 ცხვარი, ლეთაება ხალდის პირუტყვს — 4 ცხვარი, ქალაქ ნიში[ი]ნის ლეთაება uainaue-ს—2 ცხვარი, მთებს — 10 ცხვარი .

ქალღმერთ არუბა[ი]ნის — ძროხა (და) ცხვარი, ქალღმერთ ზუბას — ძროხა (და) ცხვარი, ქალღმერთ ტუშფუყას—ძროხა (და) ცხვარი, ქალღმერთ აუის — ძროხა და ცხვარი, ქალღმერთ აუის — ძროხა, ქალღმერთ აიას — ძროხა, ქალღმერთ სარდის—ძროხა, ქალღმერთ ცინუიარდის — 2 ცხვარი, ქალღმერთ იფხარის — 2 ცხვარი, ქალღმერთ ბარციას — ცხვარი, ქალღმერთ სილიას — ცხვარი, ქალღმერთ არას — ცხვარი, ქალღმერთ ადიას — ცხვარი, ქალღმერთ უიას — ცხვარი, ქალღმერთ ainaue-ს — 4 ცხვარი, ქალღმერთ არდის — 2 ცხვარი, ქალღმერთ inuanaue-ს -- 17 ცხვარი.

ლეთაება ხალდის მხრით (და) ყველა (სხვა) ლმერთის მხრით დაეიყოს სიცოცხლე იშფუინი სარდურის ძისათვის (და) მენუა იშფუინის ძისათვის.

იშფუინი სარდურის ძე ამბობს: მენუა იშფუინის ძემ... აგრეთვე ყველა ლმერთი 3 ხარი და 30 ცხვარი... იშფუინი სარდურის ძემ (და) მენუა იშფუინის ძემ ვენახის გაშენება (?) ბრძანეს. ლეთაება ხალდისათვის აგრეთვე ბაღის გაშენება (?) ბრძანეს მათ. (აქამდე) არაფერი ყოფილა (აქ) აშენებული. იშფუინი სარდურის ძემ (და) მენუა იშფუი-

ნის ქემ ციხე-სიმაგრის (?) აგება (?) ბრძანეს (და) ბრძანება გამო-
სცეს: როდესაც ხეები... ღვთაება ხალდის მსხვერპლად შეეწიროს 3
ცხვარი. (ხოლო) 3 ცხვარი — ყველა (დანარჩენ) ღმერთს; როდესაც
ვენახი... ღვთაება ხალდის მსხვერპლად შეეწიროს 3 ცხვარი, (ხოლო)
3 ცხვარი — ყველა (დანარჩენ) ღმერთს. ღვინო...

(ტექსტი მეორდება ორჯერ).

1 აქ ჩვენს წინაშე ალბათ არა საკუთარი, არამედ ზოგადი სახელია.

2 ტექსტის გამეორებისას: ირღია.

3 susi — ურარტულთა საკულტო ნაგებობების ერთ-ერთი სახეობა.

2. მეფე მენუას წარწერები (ძვ. წ. IX ს. დასასრული და VIII ს. დასაწყისი)

УКН, 36

აპოკეოლი: დღევანდელ იაზილიტაში (სოფელი ჰასან-კალასა და დელი-
ბაბას შორის, ქალაქ არზრუმის რაიონში). წარწერა კლდეზე. მოგვიტბრობს დია-
უხიზე (ქართ. ტაო) მენუას ლაშქრობის შესახებ.

ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით (?) დია-
უხის, ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალ-
დის იარაღი (?) ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა
(სალაშქროდ) მენუა იშფუინის ძე; წინ უძღოდა (?) (მას) ღვთაება ხალ-
დი. მენუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სა-
მეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი. ციხე-სიმაგრეე-
ბი (დავანგრეე?). მივედი შეშეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუა(მდე). ქა-
ლაქი უტუხაი... მენუა ამბობს: უტუფურში, მეფე დიაუხისა, მოვი-
და ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დავმხო; მე (მას) მოწყალედ
მოვექეცი, შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით. მომცა მან
ოქრო (და) ვერცხლი, მომცა ხარკი. ის ტყვეები (?). (რომლებიც)
ღაბრუნდნენ (მასთან)?, დამიბრუნა მან მთლიანად. მენუა ამბობს: ... 2
მეფე მე იქიდან მოვაცილე: ბალთულხის ქვეყნის (მეფე) (და) ქალაქ
ხალდირიულხის ქვეყნის (მეფე). გამაგრებული ციტადელები, (რომ-
ლებიც კი იყო იმ) ქვეყანაში, მე იქიდან მოვგლიჯე. მენუა ამბობს:
ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გაა-
კეთებინებს, სხვა ვინც იტყვის: „მე გავაკეთე (ყველაფერი ეს)“, დაე
მოსპონ ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ, (ყვე-
ლა) ღმერთმა იგი მზის ქვეშ...

1 შეიძლება შეცდომითაა გამოტოვებული.

2 ლაპარაკია, ალბათ, ურარტელების დიაუხიელი ტყვე-მონების შესახებ, რომ-
ლებიც ურარტუდან თავის ქვეყანაში გაქცეულან.

3 სტრ. 19—23-ს უთარგმნელად ვტოვებთ.

კლდეზე ამოკვეთილი წარწერა არღამედის მახლობლად მდებარე კატეპანცის ცხენ-სამაგრეში კლდეზე, ძველი არხის კალაპორტის გვერდით.

ღვთაება ხალდის სიძლიერით მენუა იშფუინის ძემ ეს არხი გაიყვანა. „მენუას არხი“ — (არის) სახელი (მისი).

ღვთაება ხალდის სიდიადით მენუა მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის ქვეყნისა¹, მმართველი ტუშუა-ქალაქის².

მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც (მას) გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, სხვა ვინც იტყვის: „მე გავიყვანე ეს არხი“, მოსპონ ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივი-ნიმ, (ყველა) ღმერთმა იგი მზის ქვეშ³.

¹ ბიანილი — ურარტუს ადგილობრივი სახელია. „ურარტუს“ ამ ქვეყანას მუზობლები — ასურელები — უწოდებდნენ.

² ტუშუა — ურარტუს დედაქალაქი იყო (დღევანდელი ქ. ვანი თურქეთში).

³ ე. ი. დედამიწაზე, „პირისაგან მიწისა“.

3. არბრშთი I მენუას ძის წარწერები (ძვ. წ. VIII ს. პირველი ნახევარი)

მატიანე

УКН, 127—128

ვანის კლდის დასავლეთ მხარეზე, ე. წ. „ხორბორის კლდეზე“, ამოკვეთილია არგიშთი I-ის უზარმაზარი, რამდენიმე სვეტად დაყოფილი წარწერა, რომელიც ამ მეფის მატიანეს წარმოადგენს (წარწერა № 127), მატიანეს მეორე ეგზემპლარს წარმოადგენს ვანში, სურბ საჰაკის ეკლესიაში ნაპოვნი წარწერები ორ ქვაზე (ერთი სტელის ორი ნაწილი) (წარწერა № 128). ამ ორი ძეგლის ტექსტების შეპირისპირებით ხერხდება მატიანეს საერთო სტრუქტურის აღდგენა და მისი ტექსტის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება. ეს საკითხი დეტალური ძიების საგნადაა ქცეული. ჩვენს „Наири-Урарту“-ში. (თბილისი, 1954). გვ. 205 შმდ. ქვემოთ მატიანეს ტექსტი მოცემულია იმ თანმიმდევრობით, რომლის დადგენამდეც ჩვენ მივდივართ ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში¹.

1. შესავალი (VXH, 128, A 3, 1—16)

ღვთაება ხალდის, მეუფეს, ეს წარწერა არგიშთი მენუას ძემ აღუმართა (?). ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მეფე მეფეთა, ტუშფა — ქალაქის მმართველი.

არგიშთი ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც (მას) გასტებს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, ეტყვის (რა): „წადი (და) მოსპე (იგი)!“, სხვა ვინც იტყვის: „მე (ყოველივე ეს) გავაკეთე“, დაე მოსპონ ღვთაება ხალდის, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ, (ყველა) ღმერთმა (თვით) იგი (და მისი) ოჯახი (?) მზის ქვეშ...

2. მეფობის I წელი (786 წ. ჩ. ერამდე?)

(VXH, 128, A 3, 16—28)

... ღვთაება ხალდის სიძლიერით, ღვთაება ხალდის ბრძანებით, როდესაც ხალდის არგიშთი მენუას ძეს მეფობა უბოძა. ავიდა იგი მამრსეულ ტახტზე. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი ტუშფა-ქალაქის. არგიშთი ამბობს: [] უნინი აჯანყდა. ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?) სძლია მან ქვეყანა...¹, დაამხო (იგი) არგიშთის წინაშე. ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია ღვთაება ხალდის...

3. ხარვეზი

(მეფობის პირველი წლის ამბების გაგრძელება და მეორე წლის ამბების დასაწყისი)

4. მეფობის II (?) წელი (785 წ. ჩ. ერამდე?)

ა) ვანის კლდეზე წარწერის ვერსია (ამბების ნაწილი—დასასრული) (VXH, 127, I, 2—16).

... არგიშთი ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის (იმის შესახებ), რაც მე მეუფის სიდიადით მსურდა (?) (მომემოქმედა). იმავე წელს მე კვლავ (?) შეეკრიბე მეომრები (და) გავემართე (სალაშქროდ) დიაუების (ქვეყნის) წინააღმდეგ. დიაუების მეფე მეფედ დავსვი. დავიპყარი შერიაზის ქვეყანა, ქალაქები დავწვი, ციხე-სიმაგრეები დავანგრეე; მივედი (?) ქალაქ ფუთემდე... მარცხნივ — ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ შევიწყალე მე თარიუნის ქვეყანა. გავემართე (სალაშქროდ) ზაბახაეს ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი მე ქვეყანა ზაბახაე. მივედი (?) ქალაქ უზინაბითარანამდე, სირიშუთარას ქვეყანამდე, მთიან ქვეყანამდე. მარ-

ჯნევ იგანის ქვეყნის ქალაქი მაკალთუნი მე შევიწყალე. გავემართე ერიახის ქვეყანაზე, წავედი (სალაშქროდ) აფუნის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ქალაქი ურბიეუნი, უიტერუხის (ტომის) სამეფო ქალაქი. 19.255 ყრმა, 10.140 მეომარი ცოცხლად, 23.280 დედაკაცი, სულ 52.675 ადამიანი (ამ) წელს, ერთნი გაველიტე, სხვები ცოცხალი წავიყვანე. 1104 ცხენი გავდენე მე, (აგრეთვე) 35.015 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ასიათას... ერთიათას 829 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი მე ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

ბ) სურბ საჰაის ეკლესიის სტელზე წარწერის ვერსია (ამ წლის ამბების ნაწილი) (ՄԿԽ, 128 B 1)

... მივედი (?) ბიას ქვეყანამდე... ხუშანის ქვეყანა[მდე]. გავემართე მე (სალაშქროდ) დიდის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ; ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადაეწვი. წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში. წავედი მე ქვეყნის კართით (?) აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ. 105 ციხე-სიმაგრე მე დავანგრე, 453 ქალაქი (კი) დავწვი. სამი ქვეყანა მე იქიდან მოვგლიჯე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: ქვეყანა კადა, ქვეყანა აშკალაში, ქალაქ შაშილუს ქვეყანა. 15 (?) ათას 181 ყრმა, 2734 მამაკაცი. 10 (?) ათას 604 დედაკაცი, 4426 ცხენი, 10 (?) ათას 478 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 73.770 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (მე წავიყვანე). 4 მეფე მე დავასაქურისე (?) — შაშქის, არდარაქიხის, ბალთულხის (და) კაბილუხის მეფეები: (ჩემი) ოლქის მმართველები მე ადგილზე (=იქ) დავსვი. დიაუხის მეფე მე დავიმორჩილე, შევიწყალე (იგი) ხარკის (გადახდის) პირობით. (აი) რანაირი ხარკი მისცა არგიშთის დიაუხიელმა: 41 მინა სუფთა (?) ოქრო, 37 მინა ვერცხლი...³ ათი ათასი მინა სპილენძი, 1000 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათი ათასი სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. (აი) როგორი ხარკი... დიაუხიზე მე დავდე, რათა მას (ეს ხარკი) ეძლია ყოველწლიურად... მინა სუფთა (?) ოქრო, 10.000 მინა სპილენძი... ხარები, 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი...

ღვთაება ხალდი გავმართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?) სძლია მან ეთიუნის ქვეყანას, დაამხო (იგი) არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) ძლიერია. ღვთაება ხალდის სიძლიერით გავმართა (სალაშქროდ) არგიშთი მენუას ძე. წინ უძლოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი. არგიშთი ამბობს: ის მეფენი, (რომელნიც) დიაუხიელ (მეფის) საშველად მოვიდნენ — მე (მათი) განადგურება აღვასრულე. (ამ) წელს დავიპყარი მე ლუშას ქვეყანა, ქათარზას

ქვეყანა, ერიახის ქვეყანა, გულუთახის ქვეყანა, დავიპყარი უიტერუხის ქვეყანა. მივედი (?) აფუნის ქვეყანამდე. ლუშას ქვეყნის მეფე მე დავასპურისე (?) (ხოლო) იგას ქვეყნის (მეფე) — დავიმორჩილე, დავტოვე თავის ადგილზე, ხარკი (მეფე) არგიშთის მან მისცა...

5. მეფობის III (?) წელი (784 წ. ჩ. ერამდე)
(YKH, 127, I, 17—11, 4)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან აბილიანების ქვეყანას, ანიშთირგაეს ქვეყანას, კუარზანი-სა⁴ (და) ულთუზას⁴ ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით გაემართა (სალაშქროდ) არგიშთი მენუას ძე. წინ უძლოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი.

არგიშთი ამბობს: დავიპყარი მე ეთიუნის ქვეყანა, მივედი (?) მე... ქვეყანამდე, უღური-ეთიუხიმდე. კაცები (და) ქალები (იქიდან) გამოვდენე.

არგიშთი ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს. ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის (იმის შესახებ), რაც მე მინდოდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა). იმავე წელს გავემართე მე (სალაშქროდ) ქვეყანა უმელუ []ზე, დავიპყარი ურიანის ქვეყანა, ტეირტუბის ქვეყანა, დავიპყარი მურუზუ⁴... ციტადელი (?) კლდეზე (?), გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი; კაცები (და) ქალები (იქიდან) მე გამოვრეკე. დავიპყარი ქალაქი უბარუგილდუნი, სამეფო ქალაქი... მივედი (?) ქუ []რუფირას (?) ქვეყანამდე. თარრა []ს ქვეყანამდე. გავემართე (სალაშქროდ) ქალაქ... წინააღმდეგ... კაცები (და) ქალები (იქიდან) გამოვრეკე, დავიპყარი ირქიუნის ქვეყანა...; მივედი (?) ...მდე. გავემართე მე (სალაშქროდ) ართარმუ- []ს ქვეყანაზე.. ბრძოლით⁵ მე უკუვაგდე (ისინი)⁶.. ქალაქები...⁷ მივედი... მდე...მდე, ვ (?)... 11 ათას... ქალები, სულ 20.279 კაცი (ამ) წელს ზოგი გაველიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. 1280...⁸ ცხენი მე გავრეკე, (ავრეთვე)...⁹ სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 126 ათას...¹⁰ სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე. არგიშთი, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, ტუშფა-ქალაქს მმართველი.

6. მეფობის VI (?) წელი (783 წ. ჩ. ერამდე)
(YKH, 127, II, 5—24)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?). სძლია მან ხათეს ქვეყანას, სძლია (მეფე) ხილარუადას ქვეყანას, და-
276

მხო ისინი არაგვისის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით არაგვისი მენუას ძე ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს! (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა). ისმინეს (ჩემი ვედრება) ღმერთებმა.

არაგვისი მენუას ძე ამბობს; წინ უძლოდი (?) ღვთაება ხალდი (მეომრებს?). გავემართე მე (სალაშქროდ) ხათის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ნირიბას ქვეყნის ველი (?). ქვეყანა... ქალაქი [] ურმანი, გამაგრებული, ბრძოლით დავიპყარი მე. ქალაქი [] ადანი, სამეფო ქალაქი, დავიპყარი.

ღვთაება ხალდის სიდიადით გავემართე მე (სალაშქროდ) ხათის ქვეყანაზე; თუათების (ტომის) ქვეყანა მარჯვნივ მე შევიწყალე, მარცხნივ — ქალაქი მელიტეა. მივედი (?) ქალაქ ფითეირამდე... siri-ს ქვეშ თასი (?) meliaini მდინარე. ქვეყანა მარშუანი. ქვეყანა კა[] ანი. კაცები (და) ქალები მე (იქიდან) წავიყვანე. ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დავწვი. 2539 ყრმა, 8698 ცოცხალი მამაკაცი მე წავიყვანე, 18047 დედაკაცი, სულ 29.284 ადამიანი (ამ) წელს, ზოგი გაველიტე, ზოგიც — ცოცხალი წავიყვანე...¹¹ ცხენი, 17.962 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მე გაუდენე, (აგრეთვე) 2...¹² სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არაგვისი მენუას ძე ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

7. მე ფობის V (?) წელი (782 წ. ჩ. ერამდე?)

(YKH, 127, II, 25—50; ნაწილობრივ: YKH, 128, A 2)

ღვთაება ხალდი გავემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან ეთიუნის ქვეყანას, სძლია ქალაქ კიხუნის ქვეყანას, დაამხო (ისინი) არაგვისის წინაშე, ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით გავემართა (სალაშქროდ) არაგვისი მენუას ძე: წინ უძლოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი. არაგვისი ამბობს: დავიპყარი მე ქალაქ კიხუნის ქვეყანა, ტბის ნაპირას (?) მყოფი (?), მივედი (?) ქალაქ ალიშთუმდე; კაცები (და) ქალები (იქიდან) გამოვრეკე მე.

ღვთაება ხალდის ბრძანებით არაგვისი მენუას ძე ამბობს: ქალაქი ირფუნი მე აღვმართე ბიანილის ქვეყნის ძლიერებისა (და) მტრული ქვეყნის დასათრგუნავად (?). მიწა უკაცრიელი (?) იყო (და) არაფერი არ იყო იქ (წინათ) აგებული. ძლევა მოსილი საქმენი მოვიმოქმედე მე იქ ხათესა (და) ცუფანის ქვეყნის 6 (?) ათას 600 მეომარი მე იქ დავსახლე.

ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე ამბობს: შევევ-
დრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება
შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე
მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა). მისმინეს მე ღმერთებ-
მა. იმავე წელს გავემართე მე (სალაშქროდ) უბურდას ქვეყნის წი-
ნაალმდეგ. ის [] ლუბურანის, უბურდალხის ქვეყნის მეფის, ქვეყანა
მე დავიპყარი. ქალაქი ირღუა, სამეფო ქალაქი, დავიპყარი მე. ქვეყანა
უიშუწინი..., კაცები (და) ქალები იქიდან წამოვიყვანე. გავე-
მართე (სალაშქროდ) ხახის ქვეყნის წინაალმდეგ, ციხე-სიმაგრეები და-
ვანგრე, ქალაქები დავწვი, ქალაქები [] ხაუ [] ზუნის მოსახლეობა
მე (აგრეთვე) დავწვი, 8648 ყრმა, 2655 ცოცხალი მამაკაცი, 8497 დედა-
კაცი. სულ 19.790 ადამიანი ამ (წელს) ერთნი გავვლიტე, სხვები ცოც-
ხლად წავიყვანე. 232 ცხენი, 13 ათას 803 სული მსხვილფეხა რქოსანი
პირუტყვი მე გავრეკე, (აგრეთვე) 11.626 (?) სული წვრილფეხა რქო-
სანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს სა-
ქმენი აღვასრულე.

8. მე ფობის VI (?) წელი (781 წ. ჩ. ე რ ა მ დ ე)
(YKH, 127, II, 51—111, 19)

ღვთაება ხალდი გავმართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?).
სძლია ნან ასურეთის ლაშქარს, სძლია არსიტანის ქვეყანას, დაამბო
ისინი არგიშთის წინაშე.

არგიშთი მენუას ძე ამბობს: ასურეთის ლაშქარში ჩემი ქვეყანა
... მე შევკრიბე მეომრები. შევევდრე (?) მე ღვთაება ხალდის.
მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის
(ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდი-
ადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა. არგიშთი ამბობს: ღვთა-
ება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია.

ღვთაება ხალდის სიდიადით... დადის წინაშე. ქვეყანა კულაშინი,
მთიანი ქვეყანა... 20 ათასი... 11 ათას 439 ყრმა მე იქ გავვლიტე.

მეომრები მე შევკრიბე (და) წავიყვანე ჩემი ქვეყნიდან. იმავე
წელს გავემართე მე (სალაშქროდ) ქალაქ მენაბშუნის წინაალმდეგ. ქა-
ლაქ დუკამას წინაალმდეგ; დავიპყარი მე ქალაქი..., ქვეყნის სამეფო
ქალაქი; დავიპყარი მე... ბუშთუს ქვეყნის ქალაქი შარარა...

გავემართე მე (სალაშქროდ) ქალაქ ბაბილუს ქვეყნის წინაალ-
მდეგ... ბარუათას ქვეყნის წინაალმდეგ, ბარშუას ქვეყნის წინაალმდეგ.
ბარშუას ქვეყანა მე გავაჩანაგე, ქალაქები დავწვი... ხუთი (?) ათას
(ან: ასი (?))... 40 ადამიანი (ამ) წელს, ზოგი გავვლიტე, ზოგიც
ცოცხალი წავიყვანე... ცხენები... 9(?) ას 87 სული მსხვილფეხა რქო-

სანი პირუტყვი... 5... სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

9. მე ფობის VII: (?) წელი (780 წ. ჩ. ერამდე?)

(YKH, 127, III, 20—45)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან ასურეთის ლაშქარს, სძლია ბუშთუს ქვეყანას, თარიუნის ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი ამბობს: ციხე-სიმაგრეები მე ავაგე, შურიშლინის ქვეყანა მე გავებდნიერე (?) ასურეთის ლაშქარს ჩემი ქვეყანა..., შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა. არგიშთი მენუას ძე ამბობს: ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით მხედართმთავრები (?) მე გავაგზავნე სალაშქროდ (?); უკუვაგლე მე ასურეთი, ვქმენი ნუ... ჩემი ქვეყნიდან დადა, მხედართმთავარი (?)...

იმავე წელს გავემართე (სალაშქროდ)... ქვეყნის წინააღმდეგ... ქვეყნის წინააღმდეგ. არხის ქვეყნის წინააღმდეგ. კაცები (და) ქალები, ძალები..., სამეფო ქალაქისა (და) 60 (სხვა) ქალაქის მე დავატყვევე (?). გავემართე მე (სალაშქროდ) ბუშთუს ქვეყნის წინააღმდეგ... დავიპყარი ქალაქი აბურხანი. ქალაქი [...]გინი, ქალაქი კადუქანიუნი, ქვეყანა... მე დავიპყარი. არგიშთი ამბობს: მივედი (?) მანას ქვეყანამდე, სთიან ქვეყანამდე. 18.827 ადამიანი (ამ) წელს ზოგი გავკლიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. (აგრეთვე წავიყვანე) 606 ცხენი, 184 აქლემი, 6257 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 32.203 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი მენუას ძე ამბობს: ღვთაება ხალდისთვის ეს საქმენი მე ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

10. მე ფობის VIII (?) წელი (779 წ. ჩ. ერამდე?)

(YKH, 127, III, 46—IV, 13)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?) სძლია მან იანის ქვეყანას, სძლია მანას ქვეყანას, ბუშთუს ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი ამბობს:... მე მეოპრები შევეკრიბე. შევედრე (?) ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა. არგიშთი მენუას ძე ამბობს:

ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარალი(?) — ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით გავემართე მე (სალაშქროდ) იანის ქვეყნის წინააღმდეგ; ქვეყანა მე დავიპყარი, ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დავწვი. ქალაქი ერატელე (და) მეორე ქალაქი ერატელე მე დავიპყარი. კაცები (და) ქალები მე იქიდან გავრეკე...

იმავე წელს გავემართე მე (სალაშქროდ) მანას ქვეყნის წინააღმდეგ... ბუშთუს ქვეყანა მდინარე თურა []¹⁴. ციტადელი (?) გამაგრებული, ბრძოლით დავიპყარი, კაცები (და) ქალები მე იქიდან წავიყვანე... მივედი (?)... მდე. 18243 ადამიანი (ამ) წელს. ზოგი გავეღიბე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. (აგრეთვე წავიყვანე) შეიდას ოთხმოცდაათი...¹⁵ ცხენი, 100 აქლემი, 22529 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 36830 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

11. მე ფობის IX (?) წელი (778 წ. ჩ. ე რ ა მ დ ე)

(YKH, 127, IV, 14—41—ნაწილობრივ: YKH, 128, B 2, 1—13)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარალით(?), სძლია მან მანას ქვეყანას, სძლია ირქიუნის ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის. ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა): მისმინეს მე ღმერთებმა. არგიშთი მენუას ძე ამბობს: ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარალი (?) — ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით გავემართე მე (სალაშქროდ) მანას ქვეყნის წინააღმდეგ: დავიპყარი ირქიუნის ქვეყანა, მივედი (?) ასურეთის მთებამდე (?). 6481¹⁶ ადამიანი (ამ) წელს, ზოგი გავეღიბე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. (აგრეთვე წავიყვანე) 286 ცხენი, 2251 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 8205 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

12. მე ფობის X (?) წელი (777 წ. ჩ. ე რ ა მ დ ე?)

(YKH, 127, IV, 42—66—YKH, 128, 14—36)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარალით (?) სძლია მან მანას ქვეყანას, სძლია ბუშთუს ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთი მენუას ძის¹⁷ წინაშე.

ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა(?)

მეუფის სიდიადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა არგიშთი მენუას ძე ამბობს: ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარალი (?) — ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით გავემართე მე (სალაშქროდ) ბუშთუს ქვეყნის წინააღმდეგ. დავიპყარი აშკიას ქვეყნის ველი (?). შათირარაგანი, უგიშთინის ქვეყნის მარჯვენე, მე შევიწყალე, მარცხნივ — ქვეყანა უშინი. მივედი (?) ალატიეს ქვეყანამდე, მთიან ქვეყანამდე, ქვეყანას მე ცეცხლი წაუჟიდე, ქალაქები დავანგრეე, კაცები (და) ქალები იქიდან მე გავრეკე. 7873 ადამიანი (ამ) წელს, ზოგი გავვლიტე, ზოგიც ცოცხალი წავეყვანე; 2 (?) ას 90 (?) ცხენი მე გავრეკე, (აგრეთვე) 101 აქლემი, 4909 სული მსხვილფეხა (და) 19.550 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

13. მე ფობის XI (?) წელი (776 წ. ჩ. ერამდე)
(YKH, 127, IV, 67—V, 10-ნაწილობრივ YKH, 128, B 2, 37—43)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარალით (?), სძლია მან მანას ქვეყნის ლაშქარი (და) დაამხო (იგი) არგიშთი მენუას ძის¹⁷ წინაშე. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე ამბობს: არგიშთიხინილი მე ავაგე, მდინარიდან (?) აზას ქვეყანას არხი გავუყვანე.

შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის. ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა. არგიშთი ამბობს:... ლაშქარში რაზმი (?)... მოვიდა მანას ქვეყანა. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი ამბობს: ... მე უკუვაგდე; ციხე-სიმაგრე მე დავიპყარი: ადგილზე (?)... ქვეყანა გავაჩანაგე, ქალაქები დავწვი, 3270 ადამიანი — ზოგი გავვლიტე (და) ზოგიც ცოცხალი წავეყვანე. 170 ცხენი მე გავრეკე. (აგრეთვე) 62 აქლემი, 2411 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ექვსი ათას ასორმოცი...¹⁸ სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

14. მე ფობის XII (?) წელი (775 წ. ჩ. ერამდე)
(YKH, 127, V, 11—32)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარალით (?), სძლია მან ტუარაციინის ქვეყნის ველი (?) გურკუს ქვეყანამდე, სძლია მან მანას ქვეყნის ლაშქარს, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდიმ მე ზომიძღვნა (?) ხუსუსუხი-ცა და ბრძოლა... მდინარიდან¹⁹ მე არხი გავყვანე, სიუხვე (?) შეუქმენი (ჩემს)

სამეფოს (?). არგიშთი მენუას ძე ამბობს: შევევდარე (?) მე ღვთაება ხალდის. მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს იმის შესახებ, რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა. მეომრები მე შევეკრიბე (და) გავემართე (სალაშქროდ) მანას ქვეყნის წინააღმდეგ. (ეს) ქვეყანა მე გავაჩანაგე, ქალაქები დაეწვი. მივედი (?) ბუშთუს ქვეყნის ქალაქ უხიქამდე; კაცები (და) ქალები იქიდან მე გამოვრეკე; 13979 ადამიანი (ამ) წელს — ზოგი გავქლიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. 308 ცხენი მე გავრეკე. (აგრეთვე) 8 ათას...²⁰ ას 21 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 32538 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი მე ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

15. მეფობის XIII (?) წელი (774 წ. ჩ. ერამდე)

(YKH, 127, V, 33—69)

ღვთაება ხალდი გავემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან მანას ქვეყანას, სძლია ეთიუნის ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) მანას ქვეყნის წინააღმდეგ. ქვეყანა მე გავაჩანაგე, ქალაქები დაეწვი, ქალაქი შიმერიზადირი, სამეფო ქალაქი, გამაგრებული, ბრძოლით ავიღე: კაცები (და) ქალები იქიდან მე გავრეკე.

არგიშთი ამბობს: გავიგე ეთიუნის ქვეყნიდან (?) ქალაქ არდინის ღვთაება (კერპი) მოუტაციათ. იმავე წელს მე კვლავ (?) შევეკრიბე ლაშქარი (და) შევევდარე (?) ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა მეუფის სიდიადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა. გავემართე მე (სალაშქროდ) ეთიუნის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ერიანის ქვეყანა და ქათარზას ქვეყანა, მივედი (?) იშკიგულუს ქვეყნამდე; კაცები (და) ქალები (იქიდან) მე წავიყვანე ბიანილის ქვეყანაში.

არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდის სიდიადით გავემართე მე (სალაშქროდ) უიტერუხის ქვეყნის წინააღმდეგ. დავიპყარი უიტერუხის ქვეყანა: ქვეყანა გავაჩანაგე, ქალაქები დაეწვი... ქალაქი ამეგუ[] (?)... ქვეყანა უიტერუხი... მე დავდგი წარწერა... სამეფო (?)... დაბრუნებისას (?)... ქვეშ (?) ზოგი გავქლიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. ათას ორას...²¹ ცხენი, 29504 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 60 ათას...²² სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი მე გავრეკე. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის. ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

16. მეფობის XIV (?) წელი (773 წ. ჩ. ერამდე?)
(YKH, 127, V, 70—VI, 20, ნაწილობრივ: YKH, 128, A 4, 13—26)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან თარიუნის ქვეყანას, მთიან ქვეყანას, სძლია მან []²³, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე, ღვთაება ხალდი ძლიერია.

ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) თარიუნის ქვეყნის წინააღმდეგ: 11 გამაგრებული ციტადელი ბრძოლით ავიღე; ღვთაება ხალდის... იქ... არგიშთი მენუას ძე ამბობს: ღვთაება ხალდომ მომიძღვნა (?) მე ხუთუხი-ცა და ბრძოლაც. მრავალი ნაგებობა, ციხე-სიმაგრე მე დავწვი, დავანგრე. წარწერა მე იქ დავდგი: კაცები (და) ქალები მე იქიდან წამოვიყვანე. არგიშთი ამბობს: იმავე წელს მესამეჯერ (?) შევკრიბე მე მეომრები (და) შევედრე (?) ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ). რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა... გავემართე (სალაშქროდ) ურმეს ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ურმეს ქვეყანა: (ეს) ქვეყანა მე გავაჩანაგე. მიუედი (?)... ქვეყანამდე. ქალაქები დავწვი, კაცები (და) ქალები წავიყვანე ბიანილის ქვეყანაში: სულ 24 (?) ათას 813 ადამიანი (ამ) წელს — ზოგი გავკლიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. (აგრეთვე წავიყვანე) 25 ცხენი...²⁴ ათას 744 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 46 825 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი მენუას ძე ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი ამბობს: როდესაც მე მეფე გავხდი (?), (სამეფო), რომელიც მე ღვთაება ხალდომ მომცა, uī aldinie 7566 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 51.878 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ეს მე ყოველწლიურად...

17. მეფობის XV (?) წელი (772 წ. ჩ. ერამდე?)
(ფრაგმენტი: YKH, 127, VII)

ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე ამბობს... „ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?)...

18. ვანის კლდის თხუთმეტწლიანი მატიანის
დასასრული
(YKH, 127, VIII)

არგიშთი მენუას ძე ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც (მას) გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, ეტყვის (რა): „წალი

(და) მოსპე (წარწერა)!“, ვინც რასმეს ამ ადგილიდან წაიღებს (და) სადმე დამალავს (?), დაე მოსპონ ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ, (ყველა) ღმერთმა (თვით) იგი, (მისი) ოჯახი (?), მისი შთამომავლობის შთამომავლობა მზის ქვეშ...

19. ხ ა რ ვ ე ზ ი

(მეფობის XV—XVI—XVII — XVIII წლები?—772—771—770—769 წწ. ჩ. ერამდე)

20. მე ფ ო ბ ი ს (XIX?) წ ე ლ ი (768 წ. ჩ. ე რ ა მ დ ე ?)

(YKH, 128, A 1)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?). სძლია მან უტუფურშის, დიაუხის ქვეყნის (მეფეს), სძლია მან აბნულუანის²⁵ ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე, ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია.

ღვთაება ხალდის სიღიადით გაემართა (სალაშქროდ) არგიშთი მენუას ძე. არგიშთი ამბობს: დიაუხის (ქვეყანა) კვლავ (?) აჯანყდა; მეომრები მე შევკრიბე (და) გავემართე დიაუხის წინააღმდეგ, გამოცხადდა (?) ჩემს წინაშე ომით...

არგიშთი ამბობს: შევევდრე (?) მე ღვთაება ხალდის. მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანიჩლის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ, რაც მე მსურდა (?) მომემოქმედა) მეუფის სიღიადით...

21. ხ ა რ ვ ე ზ ი

(მეფობის XX—XXI—XXII—XXIII წლები? — 767—766—765—764 წლები ჩ. ერამდე?)

1 ქვეყნის სახელი არ შემოინახა.

2 ალბათ: „სიძლიერით“ ან „სიღიადით“.

3 მითითება რაოდენობაზე დაზიანებულია.

4 სატომო სახელწოდება.

5 ლაპარაკია იმაზე, რომ მტრის ლაშქარი მოვიდა ბრძოლით, საბრძოლველად.

6 იგულისხმება მტრის მეომრები.

7 იქნებოდა: „დაეწვი“.

8 ერთეულების რაოდენობა არაა მოღწეული.

9 რაოდენობა არ შემოინახა.

10 რაოდენობა (ასეულების?, ერთეულების?) არ შემოინახა.

11 რაოდენობაზე მითითება არ შემოინახა.

12 რაოდენობაზე მითითება შემოინახა ნაწილობრივ.

13 ათასეულთა რაოდენობა არ შემოინახა.

14 შესაძლებელია მდ. თურნატი (თანამ. დიალა).

15 ერთეულების რაოდენობა არ შემოინახა.

16 ასეა YKH 128 B 2-ში; YKH 127, IV-ში: 6471.

17. არგიშთის მამის სიხელი არის მხოლოდ YKH 127, IV-ში.
18. ერთეულების რაოდენობა არ შემოინახა.
- 19 ტექსტშია: dainalalini — მღინარის გარკვეული სახეობის სახელწოდება უნდა იყოს.
- 20 ასეულებს რაოდენობა არ შემოინახა.
- 21 ათეულებისა და ერთეულების რაოდენობა არ შემოინახა.
- 22 წერილზეა პირუტყვის ოდენობა შემოინახა მხოლოდ ნაწილობრივ.
- 23 დაპყრობილი ქვეყნის დასახელება, ალბათ, შეცდომით გამოტოვებულია.
- 24 ათასეულების რაოდენობა არ შემოინახა.
- 25 როგორც ჩანს, სატომო სახელი უნდა იყოს.

YKH, 138.

წარწერა ქვაზე, ნაპოვნია 1950 წ. არინ-ბერდის გორაკზე (ერევნის განაპირას). მოგვიტორობს აქ ქალაქის (ციხე-სიმაგრის) აშენების შესახებ.

ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძემ ეს დიდებული (?), ციხე-სიმაგრე ააგო, დაუდგინა (მას) სახელად ქალაქი ირფუნი, (ააგო იგი) ბიანილის ქვეყნის ძლიერებისა (და) მტრული ქვეყნის დასათრგუნავად (?). არგიშთი ამბობს: მიწა უკაცრიელი (?) იყო; ვქმენ მე იქ დიდებული საქმეები.

ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი ტუშფა-ქალაქის.

YKH, 145

ორსტრიქონიანი წარწერა ბრინჯაოს ფარზე. ნაპოვნია 1950 წ. გათხრების დროს კარშირ-ბლურის გორაკზე (ქ. ერევნის ტერიტორიაზე).

არგიშთი მენუას ძის საიარალოსი(ა) ეს ფარი. არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი ტუშფა-ქალაქის.

ღვთაება ხალდის, მეუფეს, ეს ფარი არგიშთი მენუას ძემ ქალაქ ირფუნიში მიუძღვნა. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი. მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი ტუშფა-ქალაქის.

4. სარდური II არგონთის ძის წარწერები

(ძვ. წ. VIII ს. შუახანები და მეორე ნახევარი)

მ ა ტ ი ა ნ ე

(YKH. 155—156)

ვანის კლდის ჩრდილოეთ ფერდობზე ხაზინე-კაპუსის (დასავლეთი ნიშა) ნიშის გათხრების დროს რუსეთის მეცნ. აკადემიის არქეო-

ლოგიურმა ექსპედიციამ 1916 წ. აღმოაჩინა დიდი სტელა, რომელზედაც მოთავსებული იყო ოთხივე მხარეზე სარდური II-ის მატიანეს ტექსტი. მატიანეს ეკუთვნოდა აგრეთვე წარწერები სტელის პოსტამენტის წინა მხარეზე, ნიშის აღმოსავლეთ კედელზე და ნიშის სამხრეთ კედელზე. ყველა ეს წარწერა გაერთიანებული გვაქვს № 115-ის ქვეშ (A, B, C, D, E, F, G). სარდურის მატიანის ტექსტს შეიცავს აგრეთვე წარწერები ვანში სურბ-პოლოსის ეკლესიაში ნაპოვნ ორ ქვაზე (№ 156). ამ ორი ძეგლის ტექსტების შეპირისპირებით ხერხდება მატიანეს საერთო სტრუქტურის აღდგენა და მისი ტექსტის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება. ეს საკითხი დეტალური ძიების საგნადაა ქცეული ჩვენს „Наука-Урарту“-ში (თბილისი, 1954), გვ. 211—214. ქვემოთ მატიანის ტექსტი მოცემულია იმ თანმიმდევრობით, რომელსაც ჩვენ ვადგენთ ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში.

1. შესავალი

(YKH, 156, A II+A I, 1—24)

ღვთაება ხალდის, მეუფეს. ეს წარწერა სარდური არგიშთის ძემ აღუმართა (?). ღვთაება ხალდის სიდიადით სარდური არგიშთის ძემ, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე სამყაროსი, მეფე ბაინილის ქვეყნისა, მეფე მეფეთა. მმართველი ტუშფა-ქალაქის.

სარდური ამბობს: გავეცი მე ბრძანება... ერთი ცხვარი შეეწიროს ღვთაება ხალდის. ერთი ცხვარი — (მეფე) სარდურის ღვთაებას.

სარდური ამბობს: ვინც ამ წარწერას გადაადგებს, ვინც (მას) დაშლავს, ვინც ამ წარწერას გატეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, ეტყვის (რა): „წადი (და) მოსპე (წარწერა)!“, სხვა ვინც ეტყვის „მე გავაკეთე (ყველაფერი ეს)“, დაე მოსპონ ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ, (ყველა) ღმერთმა (თვით) იგი (და მისი) ოჯახი (?).. მზის ქვეშ...

2. სარდური II-ის მეფობის პირველი წლები

(მეფობის დასაწყისიდან ჩ. ერამდე 750 (?) წლამდე)

ა) მეფობის პირველი წელი (764 წ. ჩ. ერამდე?) მეფობის პირველი წლის ამბობს YKH, 156 A II+A I, 25—31-ის მიხედვით

სარდური არგიშთის ძე ამბობს: როდესაც ღვთაება ხალდიმ მომცა მე მეფობა (და) მე დაჯიქეი მამისეულ სამეფო ადგილზე. ხალდიმ მომიძღვნა მე. huṣutuḫi-ც, ბრძოლაც (და) ipšuše-ც.

ღვთაება ხალდის ძლიერებით იმავე წელს... მეომრები...

ღვთაება ხალდის სიდიადით სარდური არგიშთის ძე ამბობს: როდესაც ღვთაება ხალდომ მე მეფობა მომცა (და) მე დავჯექი მამისეულ სამეფო ადგილზე, მოსართმეველი (?) ini isiuše (ზედმეტი?). (მთელი) სამეფოდან (?) (სამეფოსათვის?) მე მოვსპე; 92 საომარი ეტლი, 3600 საჯდომი ცხენი, 352.011 მეომარი — ცბუნოსანი თუ ფეხოსანი; ეს მოსართმეველი (?) მე ლაშქრისათვის (?) (ლაშქრიდან) მოვსპე. რაც იყო isiuše (ზედმეტი?)—მე უკუვაგდე. 121 ადამიანი, 10.408 ცხენი, 132 ჯორი, 12321 ძროხა, 9036 ხარი, სულ 21.357 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (და) 35.467 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, 2114 საბრძოლო იარაღი, 1332 მშვილდისარი. 47.970 ისარი, 1022133 ქაფი ქერი, 111 აკარკი ღვინო, 86 აკარკი (და) 7 ტირუსი mankali ზეთი, 7079 მინა სპრლენძი, 336 მინა ururdi — ხალხისათვის (?) (ururdi — ხალხიდან (?)) მე მოვსპე.

სარდური არგიშთის ძე, მეფე ძლიერი. მეფე დიდი, მეფე სამყაროსი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მეფე მეფეთა, მმართველი ტუშვაქალაქის.

ბ) ხ ა რ ვ ე ზ ი

ა) YKH, 156 B I.

... ღვთაება ხალდი... შევიწყალე მე (რგი ხარკის გადახდის პირობით)... სარდური... იქიდან... მე (იგი) დავიმორჩილე... შევევდრე (?) მე ღვთაება ხალდის, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის. ქვეყნის (ყველა) ღმერთს. ღვთაება ხალდის სიდიადით... გამიხსნეს. მათ (ღმერთებმა) გზა.. ქალაქი ტუმშიქი... ხალდი... იმავე დღეს ვავემართე მე (სალაშქროდ)... მარცხნივ ქალაქი... მარჯვნივ — ქვეყანა... ქალაქამდე... 50 საომარი ეტლი მე ხელთ ვიგდე... 39 ციხე-სიმაგრე... ომით... ქალაქი სასინი... ბრძოლაში მე დავიპყარი... კაცები (და) ქალები მე იქიდან წავიყვანე... ციხე-სიმაგრე დავწვი, დავანგრე... სარდური ამბობს:... ქალაქი მეღიტეა... ნოვიდა... მეფე ქალაქ მეღიტეასი... ძირს დავმხო, ... შევიწყალე მე რგი ხარკის (გადახდის) პირობით...

დ) ხ ა რ ვ ე ზ ი

ა) YKH, 156 C

წაველი (?) მე... უკუვაგდე... zašubi... მღე დავიპყარი მე ქალაქი (?)... ali bad[i], ის წავიდა (?) zašubi ქვეყანა რიხიზა, ქვეყანა... ქალაქი ხურა... ომით მოვიდა (?)... დავიპყარი მე ქალაქი ბი... ქვეყანა... მე დავწვი, დავანგრე, ბაშატენი მე დავასაქურისე (?). საქონლის (?) ჯოგი (?) მე იქიდან წამოვიყვანე, კაცები (და) ქალები

გამოვრეკე. დავდგი იქ წარწერა. 12610 ყრმა მე წავიყვანე, (აგრეთვე) 1829 ცოცხალი მამაკაცი, 7751 დედაკაცი, სულ 22190 ადამიანი — ზოგი გაველიტე. ზოგიც ცოცხალი გავრეკე, (აგრეთვე გავრეკე) 352 ცხენი, 5747 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 19062 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. (ყველაფერი) ეს წილად ხვდა მეფეს, ხოლო რაც მეომრებმა წაიყვანეს, ის ცალკე წაიყვანეს...

ვ) ხ ა რ ვ ე ზ ი

ზ) YKH, 156 D I + D II

(ამბები, მომხდარი 753 ან 752 წ. ჩ. ერამდე?)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან მურინუს, უელიქუხის ქვეყნის მეფეს, სძლია ცინალობის ლუეხუხის ტომიდან, ქალაქ თულიხუს ქვეყნის მეფეს, სძლია მან აშურნირარი ადადინირარის ძეს, ასურეთის მეფეს, სძლია არმეს ქვეყანას, სძლია ქალაქ ნიხირიანის, ქვეყნის სამეფო ქალაქს, დაამხო ისინი სარდური არგიშთის ძის წინაშე. ხალდი ძლიერია, ღვთაება ხალდის იარაღი ? — ძლიერია გაემართა (სალაშქროდ) სარდური არგიშთის ძე.

სარდური ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) უელიქუხის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი მე (ეს) ქვეყანა მთლიანად, ერთი დღის განმავლობაში ხელთ ვიგდე მე (იგი). ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დავწვი. ქალაქი [] რიუნი, სამეფო ქალაქი...

ი) ხ ა რ ვ ე ზ ი

ვ) YKH, 155 A

(751 ან 750 წ. ჩ. ერამდე?)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან მანას ქვეყანას, დაამხო (იგი) სარდური არგიშთის ძის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ? — ძლიერია. გაემართა (სალაშქროდ) სარდური არგიშთის ძე. სარდური ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) ბაბილუს ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ბაბილუს ქვეყანა; მივედი (?) ბარუათას ქვეყნამდე. ღვთაება ხალდის სიდიადით სარდური ამბობს: დავიპყარი მე 3 გამაგრებული ციტადელი. ბრძოლაში მე (ისინი) დავიპყარი. 23 ქალაქი ერთი დღის განმავლობაში ხელთ ვიგდე, ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები იქიდან გამოვრეკე. 8135 ყრმა წამოვიყვანე, (აგრეთვე) 25.000 დედაკაცი (და) 6000 მეომარი; 2500 ცხენი მე გამოვრეკე, (აგრეთვე) 12.300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 32100 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. (ყველაფერი) ეს წილად ხვდა მეფეს, ხოლო რაც მეომრებმა ხელთ იგდეს, ხელთ იგდეს ცალკე, როდესაც (დაპყრობილ) ქვეყანას მე ვტოვებდი (?).

იმავე წელს მეორეჯერ (?) გავემართე მე (სალაშქროდ) ეთიუნის ქვეყნის წინააღმდეგ, ლიკის ქვეყნის წინააღმდეგ. ქალაქი ედია, სამეფო ქალაქი აბიანის (ტომის მმართველისა), გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი. ქალაქი ირუია, სამეფო ქალაქი ირქუას (ტომის მმართველისა), გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი, ქალაქი ირდუა, სამეფო ქალაქი უეირდას (ტომის მმართველისა), გამაგრებული, ბრძოლაში. მე დავიპყარი. ქალაქი ფუინიალნი მე დავიმონე, შვეიწყალე (იგი) ხარკის (გადახდის) პირობით, სარდურისათვის ხარკის მოსაცემად. ეს ოთხი ციხე-სიმაგრე ქვეყანაში მე დავიპყარი, კაცები (და) ქალები იქიდან გამოვრეკე. 3500 ყრმა, 15(?) ათასი დედაკაცი, 4.000 მეომარი გამოვრეკე. 8525 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გამოვრეკე, 18.000 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი გამოვრეკე.

იმავე წელს მესამეჯერ (?) გავემართე მე (სალაშქროდ) ურმეს ქვეყნის წინააღმდეგ; 11 ციხე-სიმაგრე მე დავიპყარი (და) დავანგრე, კაცები (და) ქალები იქიდან გამოვრეკე. 1100 ყრმა წამოვიყვანე. (აგრეთვე) 6500 დედაკაცი, 2000 მეომარი, 2538 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 8000 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. სარდური არგიშთის ძე ამბობს: (აი) როგორი ვაჟკაცობა ჩავიდინე მე სამ ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში: სულ 12735 ყრმა წამოვიყვანე, 46600 დედაკაცი გამოვრეკე, 12000 მეომარი გამოვრეკე, 2500 ცხენი გამოვრეკე, 23.335 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (და) 58.100 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში სარდური არგიშთის ძემ აღასრულა.

3. სარდური II-ის მეფობის მეორე ნახევარის ამბები

(პერიოდი 750/748 და 740/739 წლებს შორის ჩვენს ერამდე?)

*) YKH, 155 C, 1-18

(არაუადრეს 750 და არაუგვიანეს 748 წლისა ჩ. ერამდე)

(მცირე ხარვეზი)... გავემართე (სალაშქროდ) კულხას ქვეყნის წინააღმდეგ, ღვთაება ხალდის სიდიადით ხაზანი, ხუშალხის ქვეყნის მეფე (მისი). ხალხი(თურთ) მე იქიდან წამოვიყვანე ტყვედ, გამოვრეკე (და) დავასახლე ჩემს ქვეყანაში. სარდური ამბობს: იმავე წელს (ჩემი) ჯარები გავემართენ (სალაშქროდ) აბილიანის ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდის სიდიადით ერთი დღის განმავლობაში ქვეყანა მე ხელთ ვიგდე. ციხე-სიმაგრეები დავანგრე, ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები იქიდან გამოვრეკე. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის (აი) როგორი ვაჟკაცობა მე იქ ჩავიდინე. ერთი (?) ათას 890 ყრმა მე წავიყვანე, 3496 მამაკაცი

ცოცხლად, 6 (?) ათას 408 ღედაკაცი მე გავრეკე, სულ 9904 ადამიანი — ზოგი გაველიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. 65 ცხენი მე გავრეკე, (აგრეთვე)...! ათას 90 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 10.897 სული წერილფეხა რქოსანი პირუტყვი. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

ბ) VKH, 155, C, 19—48

(არაუადრეს 749 და არაუგვიანეს 747 წ. ჩ. ერამდე)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან ერიახის ქვეყნის მეფეს, სძლია აბილიანიხის ქვეყანას, დაამხო ისინი სარდური არგიშთის ძის წინაშე, ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით გაემართა (სალაშქროდ) სარდური არგიშთის ძე. სარდური ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) ერიახის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ერიახის ქვეყანა, ერთი დღის განმავლობაში მე (იგი) ხელთ ვიგდეფარული საწყობები (?), რომლებიც შექმნეს მამამ და პაპამ, და სადაც სიმდიდრე (?) იყო (შეკრებილი), რათა არასდროს (ურარტუს) შეფეებს (იგი) ხელთ არ ეგდოთ, ღვთაება ხალდის სამეუფო ბრძანებით მე ას (?) ორმოცდაათი ფარული საწყობი დავიპყარი; ტყვედ წავიყვანე კაცები (და) ქალები; საქონლის (?) ჯოგი (?) მე იქიდან წავიყვანე. ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეკე ბიანილის ქვეყანაში.

სარდური ამბობს: დაბრუნებისას გავემართე მე (სალაშქროდ) აბილიანიხის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქები დავწვი (და) ქვეყანა გავაჩანაგე. მოვიდა მურინი, აბილიანიხის (მეფე), მოჰხვია (ხელები) სარდურის ფეხებს, ძირს დაემხო, მე (მას) მოწყალედ მოვექეცი (?), დავსვი (იგი) თავის ადგილზე, შევიწყალე (იგი) ხარკის (გადახდის) პირობით. სარდური არგიშთის ძე ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს ვაკეცობა იქ ჩავიდინე: 7150 ადამიანი (ამ) წელს — ზოგი გაველიტე, ზოგიც ცოცხლები წავიყვანე; 500 ცხენი მე გავრეკე, (აგრეთვე) 8560 სული მსხვილფეხა (და) 25170 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. (ყველაფერი) ეს წილად ხვდა მეფეს, ხოლო რაც მეომრებმა ხელთ იგდეს, გაირეკეს ისინი ცალკე, როდესაც (დაპყრობილ) ქვეყანას მე ვტოვებდი (?). სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

გ) VKH, 155, C, 49—55

(არაუადრეს 748 წ. და არაუგვიანეს 745 წ. ჩ. ერამდე)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან რაშუინის, რუიშინის ქვეყნის მეფეს, სძლია დიუცინი

იგანიელის, ეთიუბის ქვეყნის მეფეს, დაამხო ისინი სარდური არგიშთის ძის წინაშე. სარდური ამბობს:...

დ) YKH, 155, E, 1—35

(არაუადრეს 747 წ. და არაუგვიანეს 745 წ. ჩ. ერამდე)

(მცირე ხარვეზი)... იქ (არ) ყოფილა (?). სარდური არგიშთის ქვე ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (მომემოქმედა) მეუფის სილიადით მტრულ ქვეყნებში; მისმინეს მე ღმერთებმა, გამისწესეს მე მათ გზა. მე წავედო; გავემართე მე (სალაშქროდ) ფულუადის ქვეყნის წინააღმდეგ. მოვიდა (მტრის ლაშქარი) ჩემს წინააღმდეგ ომით; უკუვაგდე მე იგი, მივსდიე (?) ქალაქ ლიბლიუნიმდე. ქალაქი ლიბლიუნი, სამეფო ქალაქი, გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი. წარწერა მე იქ დავდგი. ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები იქიდან გამოვრეკე. ციხე-სიმაგრეები იქ ავაგე ბიანილის ქვეყნის ძლიერებისა (და) მტრული ქვეყნის დასათრგუნავად (?). (დაპყრობილი) ქვეყანა ჩემს ქვეყანას შევეურთე.

სარდური ამბობს: იმავე წელს მესამეჯერ (?) გავემართე მე (სალაშქროდ) ერიახის ქვეყნის წინააღმდეგ. ქვეყანა დავიპყარი. ქალაქები დავწვი (და) დავანგრეე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეკე ბიანილის ქვეყანაში. ციხე-სიმაგრეები მე იქ ავაგე, (ეს) ქვეყანა ჩემს ქვეყანას შევეურთე. ღვთაება ხალდის სილიადით სარდური ამბობს: (აი) როგორი ვაჟკაცობა ჩავიღინე მე იქ: 6436 ყრმა იქიდან წავიყვანე, 15.553 დედაკაცი გამოვრეკე, სულ 21.989 ადამიანი — ზოგი გავქლიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე, 1613 ცხენი, 115 აქლემი, 16529 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მე გამოვრეკე, 37.685 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი მე გამოვრეკე. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

ე) YKH, 155, E, 36—57

(არაუადრეს 746 წ. და არაუგვიანეს 744 წ. ჩ. ერამდე?)

ღვთაება ხალდი გავემართა (სალაშქროდ) თავისი იარადით (?), სძლია მან კუმახახალის ქვეყანას, დაამხო იგი სარდური არგიშთის ძის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარადი (?) ძლიერია, გავემართა (სალაშქროდ) სარდური არგიშთის ძე. სარდური ამბობს: ქუშთაშფილი, კუმახახალის ქვეყნის მეფე, დამუკიდებელი (?) იყო, (ურარტუს?) არც ერთი მეფე იქ არ მისულიყო (?). სარდური არგიშთის ძე ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება

თუკლებას, ღვთაება შივინის. ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) (მომემოქმედა) მეუფის სიდიადით მტრულ ქვეყნებში; მისმინეს ეს ღმერთებმა, გამიხსნეს მათ მე გზა. მე წავედი. გავემართე (სალაშქროდ) კუმახახალის ქვეყნის წინააღმდეგ. ქალაქი უითა, სამეფო ქალაქი, გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი. ქალაქი ხალფა, სამეფო ქალაქი, ტბის (პირა ადგილას მყოფი), მე დავიპყარი. ქალაქი ფარალანის, სამეფო ქალაქს, მე დავეუფლე (?). გამოვსადდა³ ჩემს წინაშე, ძირს დაემხო, წამოვაყენე მე; მომცა მან მე ხარკი: 40 მინა სუფთა (?) ოქრო, 800 მინა ვერცხლი, 3000 (ცალი) ტანსაცმელი, 2000 სპილენძის ფარი, 1535 სპილენძის თასი...

ზ) YKH, 155, B. 1—58

(არაუადრეს 745 და არაუგვიანეს 743/742 წწ. ჩ. ერამდე?)

... (მცირე ხარვეზი). ღვთაება ხალდი გავმართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან ქვეყანა... დაამხო იგი სარდური არგიშთის ძის წინაშე: ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია. გავმართა (სალაშქროდ) სარდური არგიშთის ძე. სარდური ამბობს: წავედი, გავემართე მე (სალაშქროდ) მანას ქვეყნის წინააღმდეგ, ქვეყანა დავიპყარი, ქალაქები დაწვეი (და) დავანგრეე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეე მე ბიანილის ქვეყანაში. ქალაქი დარბანის ციტადელი, გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი, მეფის ნაცვლები მე იქ დავტოვე, (ეს) ქვეყანა ჩემს ქვეყანას შევუერთე.

... იმავე წელს მესამეჯერ (?) გავგზავნე მე მეომრები ერიახის ქვეყნის წინააღმდეგ. დაიპყრეს მათ (ეს) ქვეყანა, ქალაქები დაწვეს (და) დაანგრეეს, ქვეყანა გააჩანაგეს, კაცები (და) ქალები მათ გამოორეკეს ბიანილის ქვეყანაში.

ღვთაება ხალდის სიდიადით სარდური ამბობს: (აი) როგორი ევაკატობა ჩავიძინე მე იქ: 3225 ყრმა იქიდან წამოვიყვანე, (აგრეთვე) 4928 დედაკაცი, სულ 8153 ადამიანი — ზოგი გაველიტე, ზოგიც ეოცხალი წამოვიყვანე, (აგრეთვე წამოვიყვანე) 412 ცხენი, 6665 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 25.735 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, სარდური არგიშთის ძე ამბობს: ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი მე ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

სარდური არგიშთის ძე ამბობს:...

ი) YKH, 155, D, 1—44

(არაუადრეს 744 და არაუგვიანეს 742/741 წწ. ჩ. ერამდე?)

... (მცირე ხარვეზი)... სარდური ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) კულხას ქვეყნის წინააღმდეგ, ქვეყანა მე...⁴, ქალაქი ილდა-

მუშა, სამეფო ქალაქი...⁵, კულხახლის ქვეყნის მეფისა, გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიბყარი. (მისი) მოსახლეობა დაეწვი, მეფის ნაცვალი კულხას ქვეყნისა, რომელიც იყო იქ, მე მოვაკლევინე. რკინის ბეჭედი მოვამზადე, წარწერა დაედგი ქალაქ ილდამუშაში: ციხესიმაგრეები, ქალაქები დაეწვი (და) დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეკე.

სარდური ამბობს: იმავე წელს მესამეჯერ (?) გავემართე მე (სალაშქროდ) უტირუხის ქვეყნის წინააღმდეგ. 3 ოლქის მმართველი მოხმობილ იქნა (?), 3 ადგილას მე ვილაშქრე. ღვთაება ხალდის სიდიადით ქვეყანას მე ალყა შემოვარტყი. ერთი დღის განმავლობაში მე (იგი) ხელთ ვიგდე. ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები (იქიდან) გამოვრეკე. ქალაქ ურაიანის ციხე-სიმაგრე მე ავაგე, მიწის ნაცვალი მე იქ დავტოვე (?), უტირუხის ქვეყნის მეთვალყურე, (?) მე იქ დავსვი.

სარდური ამბობს (აი) როგორი ვაჟკაცობა ჩავიდინე მე: 8100 ყრმა წავიყვანე, 9110 დედაკაცი გამოვრეკე, სულ 17200 ადამიანი — ზოგი გავჟლიტე, ზოგიც ცოცხალი წამოვიყვანე. 1500 ცხენი გამოვრეკე, (აგრეთვე) 17.300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 31.600 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი დღის განმავლობაში აღვასრულე.

კ) YKH, 155, D, 45—53

(არაუადრეს 743/742 და არაუგვიანეს 741/740 წწ. ჩ. ერაზდე?)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან ოთხ მეფეს უედური-ეთიუნის ქვეყანაში: არკუციუნის მეფე, კამანივის მეფე, ლუერუნივის მეფე...

ღ) YKH, 155, F

(არაუადრეს 742/741 და არაუგვიანეს 740/739 წწ. ჩ. ერაზდე)

ღვთაება ხალდის სიძლიერით სარდური არგიშთის ძე ამბობს:... მე შეეკრიბე მეომრები; შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) (მომემოქმედა) მეუფის სიდიადით მტრულ ქვეყანაში; მისმინეს მე ღმერთებმა. სარდური ამბობს: წავედი მე ეთიუნის ქვეყნის წინააღმდეგ. როდესაც (?) მე მივემართებოდი (?) ეთიუნის ქვეყნისაკენ, მარჯვნივ — ქვეყანა ერიახი მე შევიწყალე, მარცხნივ — ქვეყანა კურიანი. გავემართე მე (სალაშქროდ) იგანის ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი გაემართა (სა-

ლაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან კაფურიჩის, იგანის ქვეყნის მეფეს, ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) — ძლიერია. გავმართა (სალაშქროდ) სარდური. სარდური ამბობს: 35 ციხე-სიმაგრე (და) 200 ქალაქი ერთი დღის განმავლობაში მე ხელთ ვიგდე. ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები მე იქიდან წავიყვანე ბიანილის ქვეყანაში.

სარდური ამბობს: იმავე ლაშქრობისას გავემართე მე ფუზუნისა ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ალკანიას წინააღმდეგ. ქალაქ ცუდალას წინააღმდეგ. ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე.

დაბრუნებისას გავემართე მე ერიახის ქვეყნის წინააღმდეგ; ქალაქები დავწვი, კაცები (და) ქალები იქიდან წამოვიყვანე, იქიდან შემოვბრუნდი (და) გავემართე იშთელუანის ქვეყნის წინააღმდეგ, კადიანის ქვეყნის წინააღმდეგ. აფუნის ქვეყნის წინააღმდეგ, აბილიანის წინააღმდეგ. სარდური ამბობს: ლაშქარი მე გავუშვი (?), არც ერთი ოლქის მართველი არ ყოფილა მოხმობილი (?) (და) (მბოლოდ) ერთი რაზმით (?) გავემართე მე (სალაშქროდ) უელიქუნის ქვეყნის წინააღმდეგ. დავიპყარი უელიქუნის ქვეყანა; 22 ციტადელი, გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი, ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე. კაცები (და) ქალები გავრეკე ბიანილის ქვეყანაში. სარდური ამბობს: მოვიდა ჩემს წინაშე ნიღინი, უელიქუნის ქვეყნის მეფე, ძირს დავმხო; მე იგი მონად ვიქციე, შვეიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით, სარდურისათვის ხარკის მოსაცემად.

სარდური ამბობს: იმავე წელს მესამეჯერ (?) გავემართე მე (სალაშქროდ) არკუეინის ქვეყნის წინააღმდეგ, ვძლიე მე არკუეინის ქვეყანას, ადახუნის ქვეყანას, ლუიფრუნის ქვეყანას, ეშუმას ქვეყანას, კანვივის ქვეყანას, კუალბანის ქვეყანას, უხუნის ქვეყანას, თერიანის ქვეყანას; 20 ციტადელი. გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი, 120 ქალაქი ერთი დღის განმავლობაში ხელთ ვიგდე: ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები იქიდან წამოვიყვანე.

სარდური ამბობს: (ის) ბალხი, რომელიც (ჩემი) იარაღის (?) წინაშე (შიშით) გაიქცა (?) (და) დაიკავა (?) უშქიანის მთა (?) და ბამნის მთა (?), მე (მათ) ალყა შემოვარტყი (?) (და) გავეკლიტე. სხვები (?) (ცი), რომლებიც გაიქცნენ, ღვთაება თეიშებამ დაწვა. სარდური ამბობს: ცალკე კაცები (და) ქალები შემოვრებს მივეცი. სარდური ამბობს: (აი) როგორი ვაჟკაცობა მე იქ ჩავედინე: 10.000 ყრმა წამოვიყვანე, 4600 მამაკაცი ცოცხლად წამოვიყვანე, (აგრეთვე) 23.200 დედაკაცი, სულ 37.800 ადამიანი — ზოგი გავკლიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე, (აგრეთვე წავიყვანე) 3500 ცხენი, 40.353 სული მსხვილ-

ფება რქოსანი პირუტყვი (და) 214.700 სული წვრილფება რქოსანი პირუტყვი. სარდური ამბობს: ღეთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

1 ათასეულების რაოდენობა არ შემოინახა.

2 „მამამ და პაპამ“ — ე. ი. ალბათ (ერიახის ქვეყნის მოსახლეობის) „წინაპრებმა“.

3 იგულისხმება, ალბათ, ქუშთაშფილი, კემახა[ლხი]ს მეფე, რომელიც იხსენიება ზემოთ.

4 ალბათ: „ღაიიპყარი“ ანდა „გაეაჩანაგე“.

5 შემოინახა კულხას ქვეყნის მეფის სახელის მხოლოდ დაბოლოება: „მა“.

6 ერთი მეფის მოხსენიება გამოტოვებულია, ანდა ზემოთ შეცდომით „სამის“ ნაცვლად „ოთხი“ დგას.

კარგი მკითხველი

კველი ირანი

საქართველოს კველი სპარსული ლურსმული წარწერები

საქართველოს ლურსმული წარწერების აღმოჩენას და ამოკითხვას, როგორც ცნობილია, ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ირანული თუ ინდოევროპული ენათმეცნიერების განვითარებისათვის. ძველი სპარსული წარწერები წარმოადგენენ ფასდაუდებელ ისტორიულ წყაროს. ისინი მათში აღწერილი ისტორიული მოვლენების თანადროული, ზუსტად დათარიღებული დოკუმენტებია, რომლებიც ჩვენამდე ხელუხლებლად, პირვანდელი სახით არის მოღწეული. ისინი აშუქებენ ირანისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიას პირველი ათასწლეულის შუაწლებში. აქ ისტორიკოსი იპოვის მასალას საქმენიდთა იმპერიის წარმოქმნის შესახებ მმართველი დინასტიის წარმოშობისა და სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ისტორიისათვის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია წარწერებში დაცული ცნობები საქმენიდთა იმპერიაში შემავალი ქვეყნების შესახებ. ხოლო ირანისტებსა და ინდოევროპული ენების მკვლევართ ხელთა აქვთ შეურყვნელი ტექსტი, თავისუფალი ყოველგვარი გვიანდელი ჩანართებისაგან, ერთ-ერთ უძველეს ინდოევროპულ ენაზე, რომელიც ხეთური დოკუმენტების აღმოჩენამდე ყველაზე ძველ დათარიღებულ ინდოევროპულ ძეგლებად ითვლებოდნენ. მაგრამ ამ წარწერების მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწურება. ძველ სპარსულ ტექსტებზე დართულმა პარალელურმა თარგმანებმა ელამურ და აქადურ ენებზე, რომელთა გაშიფვრა შესაძლებელი გახდა სპარსული ტექსტის ამოკითხვის შემდგომ, მეცნიერებაში გზა გაუხსნა ისტორიული დოკუმენტების უზარმაზარ არქივებს ასურულსა და ბაბილონურ ენებზე, რომელთაც გააშუქეს ისტორიული ცხოვრება წინა აზიის ტერიტორიაზე სამი ათასი წლის მანძილზე ჩვენს ერამდე.

წარწერათა ენა უბრალო და მარტივია, გადატვირთული ტიტულატურისა და ღვთაებათადმი მიმართვების ერთგვაროვანი ფორმულებით. თავისი ხასიათის მიხედვით ამ ენას არ ჰქონდა ძველი და მყარი ლიტერატურული ტრადიცია. მისი სინტაქსის ზოგი თავისებურება კი აიხსნება არამეულის გავლენით, რომელიც დიდ როლს ასრულებდა აქემენიდთა საქმიან ცხოვრებაში. რიგი თანამედროვე მკვლევარი (ი. ფრიდრიხი, ვ. კენიგი, მ. მოინი) შესაძლებლად თვლის ძველ სპარსულ წარწერებში რითმისა და მეტრის არსებობას, რასაც ყველა არ იზიარებს. მაგრამ „ურწმუნობს“, როგორც ჩანს, ავიწყლებათ ის გარემოება, რომ პოეზიისათვის მთავარია არა მარტო ლიტერატურული, არამედ ფოლკლორული ტრადიცია, რომელიც ძველ ირანელებს და მათ შორის სპარსელებსაც, საკმაოდ მდიდარი ჰქონდათ. მეორეც, ის გამეორებანი, რაც პროზაულ ტექსტში მომაბეზრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, ლექსში შესაძლებელია მხატვრულ საშუალებად იქნეს გაგებული, და რაც მთავარია, ლექსს განსაკუთრებით რელიგიური დანიშნულებისას, უწყერლობო ენებში დიდი პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა, როგორც ადვილად დასამაზისოვრებელ საშუალებას. რიგველისა და ავესტის თაობიდან თაობაში გადაცემის ხანგრძლივი ტრადიცია ამას აშკარად გვიჩვენებს. ჩვენი აზრით, ამის თვალსაჩინო საბუთი უნდა იყოს აგრეთვე ქართულად ლექსად გადმოღების სიადვილე ორიგინალის ტექსტთან სიახლოვის დაურღვევლად.

თარგმანები შესრულებულია რ. კენტის მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით. იხ. Roland G. Kent, *Old Persian, New Haven—Connecticut, 1950.*

§ I. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები

დარიუს I-ის მრაველი წარწერა ბაჰისტუნის კლდეზე

ამ ძეგლს მისი შინაარსის, მოცულობის, შესრულების ფორმისა და უფროც მისი ბედის გამოისობით „წარწერათა დედოფალს“ უწოდებენ.

აქემენიანთა (550—330 წ. წ-მდე) ძველსპარსული წარწერები, შემორჩენილი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა საგნებზე, მოიცავს ეპოქას არიარმანს მეფობიდან ართაქსერქსე III-ის მეფობის ჩათვლით. მათ შორის დარიუს I-ის, დიდად წოდებულის (521—486), წინამდებარე წარწერა ყველაზე ვრცელი და დიდმნიშვნელოვანია; იგი ხასიათდება მხატვრული ღირსებებითაც. ეს წარწერა ასახავს დარიუსის ტახტზე ასვლის პოლიტიკურ სიტუაციასა და იმპერიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს. მეფისგან პირველ პირში მოთხოვნილი ისტორიული ქრონიკების ძველსპარსული ტექსტი ლურსმული დამწერლობით ამოკვეთილია ძველ საქარავნო გზაზე აღმართულ ბეჰისტუნის კლდეზე (ბეჰისტუნი—ძ. სპ. „ბაგა-სტანა“ ღმერთების სამყოფელი). პირველად ეს ძეგლი გამოაქვეყნა პ. კ. რაულინსონმა, გაშიფრა ძირითადად გ. გროტეფენდმა. ძველსპარსულ ტექსტს ახლავს პარალელური ტექსტები ელამურსა და აქადურზე; თანხლებულია კარგად შემორჩენილი ბარელიეფებით. არსებობს ამ ძეგლის სხვადასხვაგვარი თარგმანები ევროპულსა და რუსულ

ს ვ ე ტ ი I

მე ვარ დარააფავაჰ¹, დიდი მეფე, მეფე მეფეთა, მეფე პარსისა², მეფე ქვეყანათა, ვიშტასპას ძე. არშამას შვილიშვილი, ჰახამანიანი³. ამბობს მეფე დარააფავაჰ: მამაჩემი იყო ვიშტასპა, ვიშტასპას მამა იყო არშამა, არშამას მამა — არიოარამნა, არიოარამნას მამა — ჩიშპი⁴. ჩიშპის მამა იყო ჰახამანი. ამბობს მეფე დარააფავაჰ: ამიტომაც გვიწოდებენ ჩვენ ჰახამანიანთ. ოდითგანვე ვართ ჩვენ კეთილშობილნი. დასაბამიდან მეფობდა გვარი ჩვენი. ამბობს მეფე დარააფავაჰ: ჩვენი საგვარეულოდან რვას უმეფია ჩემამდე. მე მეცხრე ვარ. ცხრანი კი განვიყოფებით ორ სამეფო შტოდ⁵. ამბობს მეფე დარააფავაჰ: აჰურამაზდას⁶ ნებით მე ხელმწიფე ვარ. აჰურამაზდამ მე მიბოძა სამეფო. ამბობს მეფე დარააფავაჰ: აი, ქვეყნები, რომელიც მერგო აჰურამაზდას ნებით; რომელთა ზედაც ხელმწიფე ვიყავ: პარსა, უვჯა⁷, ბაბირუ⁸, ასურა⁹, არაბაა¹⁰, ზღვისპირეთი, მულრაა¹¹, სპარდა¹², მაუნა¹³, მადა¹⁴, არმინა¹⁵, კატპატუკა¹⁶, პართავა¹⁷, ზრანკა¹⁸, პარაიავა¹⁹, უვარამი²⁰, ბახტრი²¹, სუგუდა²², განდარა²³, საკა²⁴, თატაგუ²⁵, პარაჰუვატი²⁶, მაკა²⁷. სულ ოცდასამი ქვეყანა. ამბობს მეფე დარააფავაჰ: ეს ქვეყნები, რომელიც წილად მზვდა აჰურამაზდას ნებით, მე მმონებდნენ, ჩემთვის ხარკი მოჰქონდათ, და რასაც ვუბრძანებდი ღამითა თუ დღისით, იმას ასრულებდნენ. ამბობს მეფე დარააფავაჰ: ვინც კი ამ ქვეყნებში ღირსეული ვინმე იყო, შესაფერ პატივს ვანიჭებდი. ხოლო ავისმოქმედს მივაგებდი მისაგებელს. აჰურამაზდას ნებით ეს ქვეყნები მისდევდნენ ჩემს სჯულს, და რაც ჩემგან ებრძანებოდათ, მას აღასრულებდნენ. ამბობს მეფე დარააფავაჰ: აჰურამაზდამ ეს სამეფო მე მიბოძა. აჰურამაზდა მეოხ მეყო, რათა ამ სამეფოს დაეუფლებოდი. ნებითა აჰურამაზდასი მე ვმეუფებ ამ სამფლობელოში.

ამბობს მეფე დარააფავაჰ: აი, რა აღვასრულე მას შემდეგ, რაც მეფე გავხდი. კამბუჯიამა²⁸ სახელად, კურუს²⁹ ძე, ჩვენი გვარისა, იჯდა აქ მეფედ. იმ კამბუჯიამას ჯმა ჰყავდა, დედითაც და მამითაც ერთი, სახელად ბარდიამა³⁰. შემდგომ კამბუჯიამ იმ ბარდიამ მოკლა. ხოლო როცა კამბუჯიამ მოკლა ბარდიამ, ხალხმა არაფერი იცოდა ბარდიამს მოკვლის შესახებ. და წარემართა ამის შემდეგ კამბუჯიამ მულრაამას. კამბუჯიამს მულრაამაში გამგზავრების ყამს ძლეულ იქნა ერთი ბოროტისაგან და იმრავლა ქვეყნად სიავემ. პარსაშიც, მიღთა შორის და სხვა ქვეყნებშიც. ამბობს მეფე დარააფავაჰ: შემდგომ იყო ერთი კაცი, მოგვი, სახელად გაუმატა — აჯანყდა ის პაიშიამა ჰუეადაში³¹, არაკადრიდ წოდებული მთიდან. ვიამხნას თვის³² 14 დღე

იყო გასული, როს წამოვიდა იგი ჭანყით. ხალხს ასე ატყუებდა: „მე ბარდიმა ვარ, კურუს ძე, კამბუჯიძის ძმაო“. და შემდეგ აღდგა ერი მრავალი, განუდგა კამბუჯიძის და მას მიემხრო; სპარსნიც, ძიდნიც და სხვა ქვეყნებიც. დაიპყრო მან სამეფო. გარმაპადას თვის³³ 9 დღე იყო გასული, როცა იგი სამეფოს დაეუფლა. ხოლო შემდეგ კამბუჯიძე მოკვდა თავისი სიკვდილით³⁴.

ამბობს მეფე დარააფავაჰუ: ეს სამეფო, გაუმატა მოგვის მიერ კამბუჯიძისგან მიტაცებული, — ეს სამეფო ოდითგანვე ჩვენს გვარს ეკუთვნოდა. და შემდგომ წარტაცა ის გაუმატა მოგვმა კამბუჯიძისა. პარსაც, მადაც და სხვა ქვეყნებიც. დაიპყვირა ისინი თავის საკუთრებად და დაჭდა ბელმწიფედ. ამბობს მეფე დარააფავაჰუ: არაეინ იყო არც სპარსეთში, არც მიღეთში, არცა ჩვენი გვარისა ვინმე, ვინც იმ გაუმატა მოგვს სამეფოს წაართმევდა. ერს მისი სასტიკი შიში ჰქონდა, — არ ამოეწყვიტა მრავალნი, ვინც ადრე ბარდიმას იცნობდა. იმ ხალხს კი იმიტომ დაახოცივინებდა, ვაითუ შემიცნონ, რომ არ ვარ მე ბარდიმა, ძე კურუსიო. ვერაეინ ბედავდა, ეთქვა რამე გაუმატაზე, ვიდრე მე არ გამოვჩნდი. და შემდეგ შევევლრე აპურამაზდას და შემეწია აპურამაზდა. ბაგაადის³⁵ თვის ათი დღე იყო გასული, როცა მცირედი ხალხით ის გაუმატა მოგვიც მოკვალი და მისი მთავარი მიმდევარი თავკაცნიც. სიკააპუვატიდ რქმეულ ციხეში, ნისამას³⁶ მხარეს, მიდთა ქვეყანაში, დაეხოცე ისინი. წავართვი მას სამეფო. აპურამაზდას ნებით ხელმწიფე გავხდი. აპურამაზდამ მე მიბოძა სამეფო.

ამბობს მეფე დარააფავაჰუ: სამეფო, ჩვენი გვარისაგან მიტაცებული, მე დავიბრუნე და აღვადგინე ძველებურ სახით. კვლავ აღვაშენე წმინდა სალოცავები, გაუმატა მოგვის მიერ დაქცეული. მე მივეუძღვენი კვლავ ხალხს მისი ქონება: საძოვრები³⁷, ჯოგები საქონელთა, ხვასტაგი, სახლ-კარი და სახლეულნი და საცხოვრებელნი, რაც წაერთმია გაუმატა მოგვს. მე ერი დავაყენე ადგილსა თვისსა სპარსეთშიც, მიღეთშიც და სხვა ქვეყნებშიც. როგორც იყო დასაბამიდან, ისე დავუბრუნე კვლავ ძველ ვითარებას ყოველივე მიტაცებული. ნებითა აპურამაზდასი აღვასრულე ეს საქმენი: ვიბრძოლე მანამ, ვიდრე გვარი ჩვენი სამეფო არ აღვადგინე ფუძესა თვისსა, როგორც იყო ოდითგანვე. ვეცადე აპურამაზდას ნებით, რომ გაუმატა მოგვს ჩვენი სამეფო ტახტი აღარ წარეტაცებინა.

ამბობს მეფე დარააფავაჰუ: აი, რა აღვასრულე მე მას მერე, რაც ვავმეფდი. ამბობს მეფე დარააფავაჰუ: ჩემგან გაუმატა მოგვის მოკვლის შემდეგ აჯანყდა უეჭაში ერთი კაცი, სახელად ათრინა, უპადარმას ძე. ასე განუცხადა მან უეჭელებს: მე ვარ ბელმწიფე უეჭაშიო! და განმიდგა ერი უეჭელთა და მიემხრო ათრინას. გამეფდა იგი უე-

ჯაში. ხოლო ერთი კაცი ბაბირუელი, ნადინტაბაირა სახელად, აინაირას ძე — ის აღდგა ბაბირუში. ხალხს ასე ატყუებდა: „მე ნაბუკუდრაჩარა³⁸ ვარ, ნაბუნაიტას³⁹ ძე!“. ამის შემდეგ ერი ბაბირუელთა სრულად იმ ნადინტაბაირასკენ მიიქცა. და აჯანყდა ბაბირუც. დაიპყრო მან სამეფო ბაბირუელთა.

ამბობს მეფე დარაავეაჰუ: ამის შემდეგ გავემართე უეჭელთა ქვეყანაში. ის ათრინა შეკრული მომგვარეს და დავსაჯე იგი სიკვდილით. ამბობს მეფე დარაავეაჰუ: შემდგომად ამისა მივაშურე ბაბირუს, იმ ნადინტაბაირას წინააღმდეგ, თავს რომ ნაბუკუდრაჩარად აცხადებდა. ნადინტაბაირას ხალხს ტიგრა⁴⁰ ეპყრათ და იქ იყვნენ დაბანაკებულნი. მდინარე კი სანაოსნოდ აღიდებელიყო⁴¹. ხოლო მე ნაწილი ჩემი ჯარისა ნავტიკებზე დავსხი, ზოგნი აქლემებზე ავაშხედრე, სხვები კი ცხენებით გავიყვანე. და შემეწია აპურამაზდა. აპურამაზდას ნებსით გადავლახეთ ტიგრა. იქ კი იმ ნადინტაბაირას ჯარი დავხოცე მრავლად. ათრიადიდას თვის⁴² 26 დღე იყო გასული, როცა ბრძოლა გადავიხადეთ. ამბობს მეფე დარაავეაჰუ: ამ ამბების შემდეგ გავეშურე ბაბირუსკენ. ჯერ არ მიმელწია ბაბირუმდე, რომ ქალაქ ზაზანაში, უფრატუს⁴³ პირას, წამოვიდა ჯარით ის ნადინტაბაირა, თვითმარქვია ნაბუკუდრაჩარა, ჩემთან საბრძოლველად. და გადავიხადეთ ომი. მეოხ მეყო აპურამაზდა. აპურამაზდას ნებსით იმ ნადინტაბაირას ჯარი შევმუსრე ფრიად, ხოლო სხვანი კი მდინარეში გადაეშვნენ და წარიღო ისინი წყალმა. ანამკას თვის⁴⁴ ორი დღე იყო გასული, როს აღესრულა ეს ბრძოლა ჩვენგან.

ს ვ ე ტ ი II,

ამბობს მეფე დარაავეაჰუ: შემდეგ ნადინტაბაირა მცირე მხედრებითურთ ილტვოდა და ბაბირუს მიმართა. მეც პირი ვქენ ბაბირუსკენ. აპურამაზდას ნებით ბაბირუც დავიპყარ და ნადინტაბაირაც შევიპყარ. შემდეგ ის ნადინტაბაირა ბაბირუში სიკვდილით დავსაჯე. ამბობს მეფე დარაავეაჰუ: ბაბირუს ჩემი ყოფნის ჟამს განდგომილ იქნენ ჩემგან ეს ქვეყნები: პარსა, უვჯა, მადა, ასურა, მულრაჰა, პართავა, მარგუ⁴⁵, თატაგუ, საკა. ამბობს მეფე დარაავეაჰუ: იყო პარსაში, ქალაქში, რომელსაც ერქვა კუგანაკა, ერთი ვინმე კაცი, სახელი მისი მარტიია. ძე ჩინჩიხრასი. ის ამიჯანყდა უვჯაში. ხალხს ასე უთხრა: მე იმანი ვარ, უვჯას მეფეო! ამბობს მეფე დარაავეაჰუ: იმხანად მე ვიდექ უვჯას სიახლოვეს. ამიტომაც უეჭელთ ჩემი შიში მიეცათ. შეიპყრეს ის მარტიია, მეთაურად რომ ჰყავდათ, და მოკლეს. ამბობს მეფე დარაავეაჰუ: ერთი კაცი, რომელსაც ერქვა ფრავარტი, მიდთა ტომისა — ის აღმიდგა მადაში. ხალხს ასე აუწყა: „მე ხშათრიტა⁴⁶ ვარ, ჰუვახშტრას⁴⁷ მოდგმისა!“. და განმიდგა მიდეთის

სამეფო სასახლის სპა და მიიქცა იმ ფრავარტიკაქენ. და დაჯდა იგი ხელმწიფედ მადაში. ამბობს მეფე დარაჰავაჰუ: ჯარი სპარსთა და ჯარი მიდთა, რომელიც თან მახლდა, ფრიად მცირე იყო. შემდეგ კი გავგზავნე წინ ლაშქარი, ხოლო მეთაურად დავუყენე მას ჩემი მონა, სპარსი, სახელად ვიდარნა. ვუთხარ მათ ასე: „წადით, მიდთა ის ერი, რომელიც მე არ მცნობს, დახოცეთ!“. და წარუძღვა ლაშქარს ის ვიდარნა. მადას რომ მიადწია, შეება მიდებს მადაში, ქალაქ მარუსთან. ხოლო ვინც მიდთა შორის მეთაური თავკაცები იყვნენ, იმ დროს იქ არ იმყოფებოდნენ. აპურამაზდა შემეწია. აპურამაზდას ნებისით ჩემმა ლაშქარმა აჯანყებულთა ჯარი დაარბია. ანამაკას თვის ოცდამეშვიდე დღე გასულიყო, როცა მოხდა ეს ბრძოლა. შემდგომ ჩემი ლაშქარი მელიოდა მადაში, ადგილას, რომელსაც უწოდებდნენ კამპანდას, ვიდრემდე მადას მივალწევდი.

ამბობს მეფე დარაჰავაჰუ: ერთი არმინელი. სახელად დადარში, ჩემი მონა, არმინას წარგვზავნე და ასე ვუბრძანე: „წადი, ის აჯანყებული ზალხი, მე რომ არ მცნობს, დაარბიე!“. და წავიდა დადარში. არმინას რომ მიადწია, შეიკრიბნენ ამბოხებულნი, და დაიძრნენ დადარშისთან შესაბმელად. და გადაიხადეს ბრძოლა ზუზამად წოდებულ დაბასთან არმინაში. მეოხ მეყო აპურამაზდა. აპურამაზდას ნებისით ჩემმა სპამ შეამბოხეთა ჯარს მუსრი გაავლო. თურავაპარას თვის⁴⁸ რვა დღე იყო გასული, როდესაც ბრძოლა გადაიხადეს. ამბობს მეფე დარაჰავაჰუ: მეორედ კვლავ შეიკრიბნენ აჯანყებულნი და წამოვიდნენ დადარშისთან საომრად. და მოხდა ბრძოლა ტიგრას ციხესთან, არმინაში. და კვლავაც შემეწია აპურამაზდა. აპურამაზდას ნებისით ჩემმა ლაშქარმა შეამბოხეთა ჯარი მრავლად გაწყვიტა. თურავაპარას თვის 18 დღე იყო გასული, როცა აღსრულდა ეს ბრძოლა. ამბობს მეფე დარაჰავაჰუ: კვლავაც მესამედ შეერთდნენ შეამბოხენი და გამოემართნენ დადარშისთან საბრძოლველად. და შეერკინენ ერთმანეთს არმინაში, უმამას ციხესთან. მეოხ მეყო აპურამაზდა. აპურამაზდას ნებისით ჩემმა სპამ აჯანყებულთა ჯარი გაეჟლიტა. თაიგარჩის თვის⁴⁹ მეცხრე დღე იყო გასული, როს აღსრულდა ეს ომი. ამის შემდეგ დადარში დამელიოდა მე არმინაში, ვიდრე მივიდოდი მიდთა ქვეყანამდე.

ამბობს მეფე დარაჰავაჰუ: შემდეგ ჩემი მონა. ტომით პარსელი, სახელად ვაჰუმისა, მივავლინე არმინას და ასე ვუბრძანე: „წადი, იმ აჯანყებულთა ჯარს, რომელიც არ მცნობს მე, მუსრი გაავლე!“. და გაეშურა ვაჰუმისა. არმინას რომ მიადწია, ამბოხებულნი შეერთდნენ და დაიძრნენ ვაჰუმისასთან შესაბმელად. იზალად რქმეულ სამყოფელს, ასურაში, გადაჰხდათ ბრძოლა. აპურამაზდამ მე მეოხება გამიწია. აპურამაზდას ნებისით ჩემმა ლაშქარმა ის ამბოხებული ჯარი

დიდად დაამარცხა. ანამაკას თვის 15 დღე იყო გასული, როცა მათ ეს ბრძოლა გადაიხადეს. ამბობს მეფე დარააგვაჰუ: მეორედ შეკრბნენ მეამბოხენი და წამოვიდნენ ვაჰუმისასთან საომრად. არმინაში, ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა აუტიმარა, შეერკინენ ერთმანეთს. და მომცა მეოხება აჰურამაზღამ. აჰურამაზღას ნებსით ჩემმა ლაშქარმა ამბოხებულთა სპა ამოწყვიტა. თურავაჰარას თვე მიწურული იყო, როს აღასრულეს ეს ომი. და დამელოდა შემდეგ ვაჰუმისა არმინაში, ვიდრემდის მადას მივაწვედი. ამბობს მეფე დარააგვაჰუ: ამ ამბების დასრულების შემდეგ გამოვეშურე ბაბირუდან და ვისწრაფოდი მიდთა ქვეყნისაკენ. და მადას ჩემი მიღწევისას მიდთა ერთი ქალაქიდან, რომელსაც ერქვა კუნდურუ, ის ფრავარტი, თავი მიდთა მეფედ რომ გამოაცხადა, დაიძრა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად. და გადავიხადეთ ომი. აჰურამაზღამ მე შეწენა მომცა. აჰურამაზღას ნებსით ფრავარტის ჯარი შევემუსრე. აღუქანაიშას თვის⁵⁰ 25 დღე იყო გასული, როცა ბრძოლა გადავიხადეთ. ამბობს მეფე დარააგვაჰუ: ამის შემდეგ ის ფრავარტი მცირეოდენი მხედრებითურთ ლტოლვილ იქნა და მადას მიმართა, რაგას მხარეს⁵¹. ხოლო მე ჯარი გავგზავნე და დავადევნე ფრავარტის კვალდაკვალ. და მომგვარეს იგი შებორკილი. და მოვკვეთე მას ცხვირი, ყური, და ენაც მოვაჭერ, ხოლო ცალი თვალი ამოვთხარე. და ასე დაბმული მყავდა ჩემი სასახლის კარზე და მთელი ხალხი ხედავდა მას. ამის შემდეგ ჰამგმატანაში⁵² იგი ძელზე გავსვი. ხოლო მისი უწინარესი მიმდევარი მეთაურები ჰამგმატანას ციხე-სიმაგრეში გამოვკიდეს⁵³.

ამბობს მეფე დარააგვაჰუ: ერთმა კაცმა, სახელად ჩითრანტახმამ, ასაგარტელმა, ამიტეხა შფოთი. ერს ასე განუცხადა: მე ვარ მეფე ასაგარტაში⁵⁴, ჰუევანშტრას მოდგმისაო! ამის შემდეგ სპარსთა და მიდთა ლაშქარი დაეძარი. ტახმასპადა სახელად, მიდი, ჩემი მონა, დაუყენე მას საარღლად. ვუბრძანე მათ ასე: „წადით, მეამბოხეთა ჯარი, რომელიც არ მცნობს, გაელიტეთ!“. და წარუძღვა ტახმასპადა ლაშქარს და ომი გადაიხადა ჩითრანტახმასთან. აჰურამაზღამ მეოხება მიწყალობა. აჰურამაზღას ნებსით ჩემმა ლაშქარმა ის ჯარი აჯანყებულთა გაანადგურა. ხოლო ჩითრანტახმა შეკრული მოიყვანეს ჩემ წინაშე და მოვკვეთე მას ცხვირიც, ყურიც და ცალი თვალი ამოვთხარე. შებორკილი იმყოფებოდა ჩემი სასახლის კარზე და მთელი ხალხი ხედავდა მას. ამის შემდეგ არბაირაში⁵⁵ გავსვი იგი ძელზე. ამბობს მეფე დარააგვაჰუ: ესაა, რაც აღვასრულე მადაში.

ამბობს მეფე დარააგვაჰუ: პართავა და ვარკანა⁵⁶ განმიდგნენ, — ფრავარტის ხალხად ცნეს თავი. ვიშტასპა, მამაჩემი, პართავაში იმყოფებოდა. სპამ ზურგი შეაქცია მას და აუჯანყდა. ამის შემდეგ ვიშტასპა გაემართა იმ რაზმის თანხლებით, რომელიც მისი ერთგუ-

ლი დარჩენილიყო, და პართავაში, ვიშაუზატიდ წოდებულ ქალაქთან შეერკინა პართებს. აპურამაზდა მეოხ მეყო. აპურამაზდას ნებსით ვიშტასპამ შეთქმულთა ჯარი ამოელიტა. ვიძახნას თვის 22 დღე მიწურულიყო, როცა აღსრულდა ეს ბრძოლა.

ს ვ ე ტ ი III

ამბობს მეფე დარააგვაჰუ: მერე მე სპარსთა სპა გავუგზავნე ვიშტასპას რაგადან. როცა ეს სპა ვიშტასპასთან მივიდა, თან გაიყოლა იგი ვიშტასპამ და წავიდა. ქალაქ პატიგრაბანასთან, პართავაში, შეებრძოლა მეამბოხეებს. აპურამაზდამ შეწევნა მომცა, აპურამაზდას ნებსით ვიშტასპამ იმ აჯანყებულთა ჯარი დაარბია. გარმაპადას თვის პირველი დღე იყო გასული, როდესაც მათ ბრძოლა გადაიხადეს. ამბობს მეფე დარააგვაჰუ: ამის შემდეგ ის ქვეყანა ჩემი გახდა. ეს აღვასრულე მე პართავაში.

ამბობს მეფე დარააგვაჰუ: სამეფო, მარგულ სახელდებული, მოიკვა შფოთმა ჩემს წინააღმდეგ. ერთი კაცი, ფრადად წოდებული, მარგუელი, გაიხადეს მეთაურად და წარგვზავნე მასთან შესაბამელად ჩემი მონა, რომელსაც ერქვა დადარში, ტომით სპარსი, მთავარი ბახტრისა. და ვუბრძანე მას ასე: „წადი, ის ჯარი გაანადგურე, რომელიც მე არ მცნობს!“ და გაეშურა დადარში ლაშქრით, მარგუელებთან ბრძოლა გადაიხადა. შემეწია აპურამაზდა. აპურამაზდას ნებსით ჩემმა ლაშქარმა აჯანყებულთა ის ჯარი გაელიტა ათრიადიძას თვის 23 დღე იყო გასული, მათ რომ იომეს. ამბობს მეფე დარააგვაჰუ: და გახდა ის ქვეყანა ამის შემდეგ ჩემი. ეს გავაკეთე მე ბახტრისი.

ამბობს მეფე დარააგვაჰუ: ერთ კაცს, რომელსაც ეძახდნენ ვაჰმაზდატას, ეპყრა ტარავად წოდებული ქალაქი, მაუტიმად სახელდებულ სამყოფელში, პარსაში. და ატეხა მან მეორედ შფოთი სპარსთა შორის. ერს ასე განუტყხადა: „მე ბარდიმა ვარ, კურუს ვაჟი!“—ო. და მიიქცა იმ ვაჰმაზდატასკენ სპარსთა სამეფო სასახლის სპა. წინდაწინვე აადადან⁵⁷ მოსული, — ჩემგან პირი იბრუნა და ის ვაჰმაზდატა აღიარა. განელმწიფდა ის პარსაში. ამბობს მეფე დარააგვაჰუ: მაშინ წარგვზავნე სპანი სპარსთა და მიდთა, რომელიც თან მყავდა, და ვუსარდლე მათ ჩემი მონა, სპარსი, რომელსაც ერქვა ართავარდიმა, ხოლო დარჩენილი, სპარსთაგანე შემდგარი სპა გამომყვა მადაში. შემდგომ ართავარდიმა თავისი ლაშქრითურთ პარსას გზას დაადგა. როს მიადწია სპარსთა ქვეყანას, — რახად წოდებულ ქალაქს, — იქ ის ვაჰმაზდატა, ბარდიმად თვითრქმეული, გამოეშურა ჯარით ართავარდიმასთან საომრად. და შეერკინენ ერთურთს. აპურამაზდა შემეწია. აპურამაზდას ნებსით ჩემმა ლაშქარმა იმ ვა-

ჰაზნადატას ჯარი შემუსრა. თურავაჰარას თვის 12 დღე იყო გასული, ბოლო ბრძოლა გადაიხადეს. ამბობს მეფე დარააჰვაჰუ: შემდგომად ამისა, ის ვაჰაზნადატა მცირეოდენი მხედრებითურთ ლტოლვილ იქნა და გაიქცა ჯარშიაჰუვადაში და წარმომართა იქიდან ჯარი და წამოვიდა კვლავაც ართავარდიმასთან შესარკინებლად. პარგად სახელდებულ მთასთან შეებრძოლნენ ერთმანეთს. აჰურამაზდა მეოხ მეყო. აჰურამაზდას ნებსით ის ჯარი ვაჰაზნადატასი ჩემი ლაშქრისგან ძლეულ იქნა. გარმაჰადას თვის 5 დღე იყო გასული, როს მათ ომი გადაიხადეს. ხოლო ის ვაჰაზნადატა შეიპყრეს და ასევე მისი თანამზრახველი თავაკებიც დაატყვევეს. ამბობს მეფე დარააჰვაჰუ: ამის შემდეგ მე ის ვაჰაზნადატაც და მისი მიმდევარი მეთაურნიც ქალაქ უვადაიჩაჰაში, პარსაში, ძელზე გავსვი. ამბობს მეფე დარააჰვაჰუ: ესაა ჩემი საქმენი პარსაში.

ამბობს მეფე დარააჰვაჰუ: ხოლო იმ ვაჰაზნადატას, ბარდიჰა რომ დაირქვა. წარემართა ჯარები პარაჰუვატიში, რომლის განმგებელიც იყო ჩემი მონა, პარსელი, მისი სახელი ვივანა. და დაუყენა იმ ჯარებს მხედართმთავრად ერთი კაცი და დაარჩია ასე: „წადით, ვივანა მოკალით! და გაწყვიტეთ სპა, რომელიც დარააჰვაჰუს მეფედ ცნობს!“. და დაიძრნენ ის ჯარები, ვაჰაზნადატასგან წარგზავნილნი, ვივანას წინააღმდეგ საომრად. და იყო ერთი სიმაგრე, რომელსაც ეწოდებოდა კაიშაკანი, — იქ შეერკინენ ერთურთს. აჰურამაზდა მე მეოხ მეყო. აჰურამაზდას ნებსით ჩემმა სპამ იმ მემამოხეთა ჯარები გაანადგურა. ანამაკას თვის 13 დღე იყო გასული, როდესაც აღსრულდა მათი ბრძოლა. ამბობს მეფე დარააჰვაჰუ: ამის შემდეგ შეთქმულნი შეკრბნენ და გამოეშურნენ ვივანასთან შესაბმელად და შეებრძოლნენ მას განდუტავად წოდებულ ადგილას. კვლავაც შემეწია აჰურამაზდა. აჰურამაზდას ნებსით ჩემმა სპამ იმ აჯანყებულთა ჯარს მუსრი გაავლო. 7 დღე გასულიყო ვივანას თვისა, როდესაც მათ ბრძოლა გადაიხადეს. ამბობს მეფე დარააჰვაჰუ: შემდეგ ის კაცი, — ვაჰაზნადატასგან ვივანასთან საომრად წარგზავნილი ჯარების მხედართმთავარი. ილტვოდა მცირე მხედრებით და პარაჰუვატიში, არშადას ციხეს შეაფარა თავი. მაგრამ ვივანა დაედევნა მას ჯარით, იქ ის ტყვედ ჩაიგდო და ვინც კი იყო მისი უწინარესი მიმდევარი თავკაცი, ისინიც ტყვედქმნა და ყველანი დახოცა. ამბობს მეფე დარააჰვაჰუ: დამემორჩილა ამის შემდეგ ის ქვეყანა. ეს არის ჩემი ნამოქმედარი პარაჰუვატის.

ამბობს მეფე დარააჰვაჰუ: პარსას და მადას ჩემი ყოფნისას მეორედ აჯანყდა ბაბირუ ჩემს წინააღმდეგ. ერთი კაცი, მისი სახელი არხა, არმინელი, ჰალდიტას ძე — ამიჯანყდა ბაბირუში. აღმიდგა იგი სამყოფელს, რომელსაც ეძახდნენ დუბალას, და ატყუებდა ხალხს

ასე: მე ვარ ნაბუკუდრაჩარა, ნაბუნიტას ვაჟიო! და უარყო მამინ ბაბირუს ერმა და მიემხრო იგი არხას. და დაიპყრო მან ბაბირუ და დაჯდა ბაბირუელთა მეფედ. ამბობს მეფე დარადავაჰუ: შემდგომად ამისა წარგმართე სპანი ბაბირუს. ვინდაფარნა სახელად, პარსელი, ჩემი მონა, ვუსარდლე იმ სპას და განუცხადე ასე: „წადით, ბაბირუელთა ის ჯარი, მე რომ არ მალიარებს — შემუსრეთ!“. და გაემართა ვინდაფარნა ჯარით ბაბირუს. აპურამაზდამ შეწევნა მომცა. აპურამაზდას ნებსით ვინდაფარნამ ბაბირუელნი დაარბია და ტყვედ წამოიყვანა. ვარკაზანას^მ თვის 22 დღე მიწურულიყო, როს ვინდაფარნამ ის არხა, ნაბუკუდრაჩარად თვითწოდებული, და მისი თანამდგომი თავკაცნი შეიპყრო და ტყვედქმნა. ამის შემდეგ დავადგინე — გავეც ბრძანება და ის არხა და ვინც კი მას უპირველესი თანამზრახველი მეთაურნი ჰყავდა, — ყველანი ბაბირუში ძელზე გაესვათ.

ს ე ე ტ ი IV

ამბობს მეფე დარადავაჰუ: ესაა, რაც მოვიმოქმედე ბაბირუს. ამბობს მეფე დარადავაჰუ: აი, ეს აღსრულდა ჩემგან ნებითა აპურამაზდასი ერთსა და იმავე წელიწადს, მას შემდეგ, რაც მეფედ დავჯექ. ცხრამეტი ბრძოლა გადავიხადე. აპურამაზდას ნებით მოვიგე ისინი. ცხრა მეფე დავატყვევე: ერთი—გაუმბატა სახელად, მოგვი. მან იცრუა — ასე თქვა: „მე ბარდიმა ვარ, ძე კურუსი!“-ო. მან პარსა ააჯანყა; ერთი — სახელად ათრინა, უჯელი, — იგი ცრუობდა და ასე ამბობდა: მე ვარ ხელმწიფე უჯაშიო! მან უჯა ამიჯანყა; ერთი ნადინტაბაირა. სახელად, ბაბირუელი. ისიც სიცრუეს ამბობდა: მე ნაბუკუდრაჩარა ვარ, ნაბუნიტას ძეო!. მან ბაბირუ ააშფოთა; ერთიც — რომელსაც ერქვა მარტიმა, სპარსთა ტომისა. ისიც ტყუოდა და ამბობდა: მე იმანი ვარ, მეფე უჯასიო!. მანაც უჯა აამბოხა; ერთი — მისი სახელი ფრავარტი, მიდი. მან იცრუა და თქვა: „მე ხშათრიტა ვარ, ჰუვახშტრას გვარისა!“. მისით ამბობებულ იქნა მადა; ერთი ვინმე—მას უწოდებდნენ ჩითრანტახმას, — ასაგარტელი. იცრუა მანაც და განაცხადა ასე: „მე ვარ მეფე ასაგარტაში, ჰუვახშტრას მოდგმისა!“ ამიჯანყა მანაც ასაგარტა; ერთი, სახელი მისი ფრადა, მარგუელი, ის ტყუილს ამბობდა: მე მარგუს მეფე ვარო; მან მარგუ ამიჯანყა; ერთი, — მას ერქვა ვაჰაზდატა, პარსელი, იგი ტყუოდა — ასე თქვა: მე ვარ ბარდიმა, კურუს ძეო!. და განმიდგა მისით პარსა; ერთიც — არხად წოდებული, ტომით არმინელი, ისიც ცრუობდა — ასე აცხადებდა: ნაბუკუდრაჩარა ვარ,

ვაჟი ნაბუნაიტასიო!. აჯანყდა მისით ბაბირუ. ამბობს მეფე დარა-
აგავაჟუ: აი, ეს ცხრა მეფე შევიპყარ ამ ბრძოლებში.

ამბობს მეფე დარააგავაჟუ: ეს აჯანყებული ქვეყნები სიცრუემ
ააშფოთა, რადგან ეს კაცი ერს ატყუებდნენ. შემდეგ კი აპურამა-
ზღამ ისინი ჩემს ხელთ მოაქცია და მეც მოვექეც მათ ჩემი სურვი-
ლისამებრ.

ამბობს მეფე დარააგავაჟუ: ჰოა შენ, რომელიც მომავალში მეუ-
ფედ დაჯდები, მოიზღუდე თავი შენი მტკიცედ სიცრუისაგან! კაცს,
სიცრუის მთქმელს, მიაგო უნდა მისაგებელი, თუკი შენი ზრახვები
ასეთი იქნება: „დაე, იდგეს სამეფო ჩემი მყარად!“.

ამბობს მეფე დარააგავაჟუ: ეს ყოველივე, რაც აღსრულებულ
იქნა ჩემგან, აპურამაზღამ ნებით ერთ წელიწადში აღესრულა. ჰოა
შენ, რომელიც მომავალ ჟამს ამ წარწერას აღმოიკითხავ, ირწმუნე
ჩემი საქმენი და ნუ მიმითვლი მათ სიცრუედ! ამბობს მეფე დარაა-
გავაჟუ: მსწრაფლ ზეშევაქევე პირსას ჩემსას აპურამაზღამ და ვფი-
ცავ, რომ ჰეშმარიტებაა და არა სიცრუე ჩემი ყოველი ნამოღვაწე-
რი, აღსრულებული ჩემგან ერთი წლის მიწურვამდე. ამბობს მეფე
დარააგავაჟუ: აპურამაზღამ ნებით, სხვაც ბევრია ჩემი ნამოქმედარი,
რაც არ აღწერილა ამ წარწერაში. არ აღწერილა კი იმის გამო, რომ
ვინც მომავალში ამ წარწერას ამოიკითხავს, ვაითუ მრავლად ეჩვენოს
ჩემი საქმენი და არ ირწმუნოს — სიცრუე ეგონოს. ამბობს მეფე
დარააგავაჟუ: ვისაც კი ამ დრომდე აქ უმეფია, მათ ყველას ერთად
არ უმოქმედიათ იმდენი, რაოდენიც მე აპურამაზღამ ნებით ერთ
წელიწადში მოვიმოქმედე. ამბობს მეფე დარააგავაჟუ: ახლა კი ირ-
წმუნე შენ, რაც აღმისრულებია და ნუ დაუმაღავ ხალხს! თუ ამ
ნათქვამს არ დამალავ, და ერს აუწყებ, შემწედ გექმნეს შენ აპუ-
რამაზღამ და იმრავლოს შენმა გვარმა და დღეგრძელიც იყავ! ამ-
ბობს მეფე დარააგავაჟუ: ხოლო თუ დამალავ ამ ამბებს, ხალხს არ
მოუთხრობ, მკვლელ გექმნეს შენ აპურამაზღამ! და არა იყოს გვარი
შენი! ამბობს მეფე დარააგავაჟუ: ეს ყოველივე, ქმნილი ჩემგან ერთ
წელიწადში, აპურამაზღამ ნებით აღვასრულე. აპურამაზღამ მომცა
მეოხება და სხვა ღვთაებათაც, რომელნიც სუფევენ. ამბობს მეფე
დარააგავაჟუ: იმიტომ მეოხ მეყო აპურამაზღამ და შემეწიენ სხვა
ღმერთებიც, რომელნიც სუფევენ, რომ ავისმზრახველი არა ვყოფილ-
ვარ, არც ცრუ, არც ბოროტი ვყოფილვარ, არც მე თავად, არც სხვა
ვინმე ჩემი გვარისა. დასაბამიდანვე სამართალს მივსდევდი; არც
გლახაკისთვის, არც შემძლეს მიმართ ავი არ ჩამიდენია. სასახლეს
ერთაგან ჩემს თანამზრახველთ, ჩემი სამეფო კარისთვის მოღვაწეთ.
ღირსეულ ჯილდოს ვუძღვნიდი, ხოლო ავისმქმნელთ სასტიკად ვსჯი-
დი. ამბობს მეფე დარააგავაჟუ: შენ, რომელიც იმეფებ მყოფადს:

ჟამსა, ნუ დაიფარავ სიცრუის მიმდევარ კაცს, არამედ მიუზღე მას სახლაური!

ამბობს მეფე დარაძევაჲ: ჰოჲ, შენ, რომელიც შემდგომსა ჟამს იხილავ ამ წარწერას, ჩემგან ამოკრიღს, და ამ ტვიფრებს აღმოიხილავ, — ნუ წარყვნი მათ! არამედ ვიდრემდე ძალა შეგწევდეს, ძლისაებრ შენისა მცველ ექმენ!

ბრძანებს მეფე დარაძევაჲ: თუ ამ წარწერას და ამ კვეთილ ხატთა იხილავ და არ წარყვნი მათ, — არამედ ვიდრო იარსებებს შენი მოდგმა, გადასცემ შთამომავლობას შენსას, დაე, იყოს შენი მფარველი აპურამაზდა, და გვარი გიმრავლოს, და იდღეგრძელე მრავალ ჟამს, და რასაც მოიმოქმედებ, — დე, მოგმადლოს აპურამაზდამ მისი წარმატებით აღსრულება!

ბრძანებს მეფე დარაძევაჲ: ხოლო თუ ამ წარწერას და ამ ქანდაკებს ნახავ და წარყვნი მათ, და ვიდრე იქნება შენი მოდგმა, არ დაიცავ მათ — აპურამაზდა მკვლელ გექმნეს შენ! და ნუ იქნებიან გვარი შენი, და რა საქმესაც იღვაწებ, ის შენ აპურამაზდამ დაგიქციოს სრულად!

აცხადებს მეფე დარაძევაჲ: აი კაცნი, მაინც აქ მყოფნი, ოდეს მე გაუმატა მოგვი მოვკალი, თავს რომ ბარდიმას უწოდებდა, — კაცნი, ჩემი თანამებრძოლნი და ერთგული თანამდგომნი: ვინდაფარნა სახელად, ვადასპარას ძე, სპარსი; უტანა სახელად. თუხრას ძე, სპარსი; გაუბარუვა სახელად, მარდუნიმას ძე, სპარსი; ვიღარანა სახელად, ბაგაბიგნას ძე, სპარსი; ბაგაბუხშა სახელად. დატუვაჰმას ძე, სპარსი; არდუმანი სახელად, ვაპაუკას ძე, სპარსი. ამბობს მეფე დარაძევაჲ: ჰოჲ შენ, რომელიც მყოფადსა ჟამს იბელმწიფებ, ამ პირთა ჩამომავალთ ჯეროვანი წყალობა მიანიჭე!

ამბობს მეფე დარაძევაჲ: ნებითა აპურამაზდასი ეს წარწერა ჯერ სხვადასხვაგვარად იქნა ჩემგან შესრულებული. ამასთანავე შეითხზა არიულ ენაზე⁵⁹ და გადაიწერა ტყავზე; გარდა ამისა, ერთ ამბად მოთხრობილი, ერთიანად აღიბეჭდა და აღმოიკვეთა კლდეზე⁶⁰; ხოლო თხზულება მე წამიკითხეს. ამის შემდეგ კი მე ეს წერილი დავაგზავნე ყველა ქვეყანაში. და მოიწონა ის სრულად ყოველმა ერმა.

ს ე ე ტ ი V

ამბობს მეფე დარაძევაჲ: აი, რა აღვასრულე მესამე წელიწადს ჩემი გამეფების შემდეგ. ატყდა ამბოხება უკველთა ქვეყანაში. ვინმე კაცი, რომელსაც ეძახდნენ ატამაიტას, უუკველი, — მთავარყვეს და შემდეგ წარვგზავნე უუკვას ლაშქარი. ხოლო სარდლად დავუყენე მათ ერთი კაცი, გაუბარუვად წოდებული, სპარსი, ჩემი მონა. და

ჯეშურა გაუბარუვა უვჯელთა დასალაშქრავად. და ომი გადაიხადა უვჯელებთან. შემდეგ გაუბარუვამ დაარბია უვჯელნი და გააცამტვერა. ხოლო ვინც მათი ბელადი იყო, ტყვედ ჩაიგდო და მე მომგვარა. და ყველანი დავხოცე. და შემდგომად ამისა დამემორჩილა ის ქვეყანა.

ამბობს მეფე დარააფავაჰუ: ის უვჯელნი ურჯულონი იყვნენ და აპურამაზდას არ ეთაყვანებოდნენ. ხოლო მე აპურამაზდას თაყვანი ვეცე: აპურამაზდას ნებისაებრ, როგორც მსურდა, ისე მოვეპყარ იმ ვრს.

ამბობს მეფე დარააფავაჰუ: ვინც სცემს თაყვამს აპურამაზდას ძალისაებრ მისისა, ცოცხალი — ბედნიერებას და მკვდარიც — ნეტარებას ეწევა.

ამბობს მეფე დარააფავაჰუ: ხოლო ამის შემდეგ გავილაშქრე მე საკებზე — საკებზე, რომელნიც წვეტიან ქულებს ატარებენ⁶¹. რომ მივალწიე ზღვის ნაპირს⁶², ჩემი ლაშქრიანად ზღვა ტივებით გადაელახე. შემდეგ საკნი ძლიერ შევმუსრე, ზოგიც დავატყვევე. ისინი შებორკილნი მომგვარეს და დაფხოცე. მათი მბრძანებელი კი, რომელსაც სკუნხას უწოდებდნენ, შეიპყრეს და ტყვედქმნილი მოიყვანეს ჩემს წინაშე; და სხვა კაცს მივეც იქ მთავრობა — ჩემი წადილესამებრ. და იქცა ამის შემდეგ ის ქვეყანა ჩემს საკუთრებად. ამბობს მეფე დარააფავაჰუ: ის საკები ურჯულონი იყვნენ და არ ეთაყვანებოდნენ აპურამაზდას. მე ვეცი თაყვანი აპურამაზდას. აპურამაზდას ნებსით, მე მოვეპყარ მათ ჩემი სურვილისამებრ.

ამბობს მეფე დარააფავაჰუ: ვინც თაყვანს სცემს აპურამაზდას, როგორც ძალედვას, — დიამც, პოვებს იგი ღვინის სიცოცხლეში და ნეტარი იქნება სიკვდილის შემდეგაც.

1 დარააფავაჰუ — დარიოსის სახელის ძველსპარსული ფორმა (დარიოსი — ბერძნული ფორმა); ბიბლიური ქართული ტრადიციით — დარეპი. ასევე ძველსპარსული ფორმებითა წარმოდგენილი თარგმანში ყველა სხვა საკუთარი სახელი.

2 პარსა — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ერთეული ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შემდგომ ფარსი, და ქართული ისტორიული ტრადიციით — სპარსეთი. პარსის მცხოვრებთა აღსანიშნავად აქ გამოყენებულია ქართული ბიბლალურა ტრადიციიდან მომდინარე ფორმა „სპარსნი“ (შდრ. აგრეთვე „მიდნი“).

3 ჰახამანიანი, ჰახამანი — აქამანიანი ანუ აქემენიდი; დინასტიის სახელწოდება. მომდინარეობს პიროვნების სახელიდან, რომელმაც მისცა დასაბამი აქამანიანთა გვარს — ძველსპარსული ფორმით „ჰახამანი“ (იხ. ქვემოთ).

4 ჩიშპი — ბერძნ. თეისპე.

5 ძვ. სპ. „დუვიტაპარანამ“ ორგვარად გაიგება: ა) ერთმანეთის მიყოლებით ანუ უწყვეტად, თანმიმდევრულად და ბ) ორ ფრთად ანუ შტოდ. ბუქსტუნის წარწრის შინაარსის და დარიოსის პოზიციების ლოგიკური შეფასების შედეგად, აგრეთვე აქამანიანთა გენეალოგიური სქემის გათვალისწინებით, ჩვენ შეღწევიანობით უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია. მასვე უპყერს მხარს ლინგვისტური ანალიზიც.

6 აპურამაზდა — ძველი ირანული რელიგიის უზენაესი ღვთაება; შემქმნელი ღმერთი; განასახიერებს გონიერულ, ნათელსა და კეთილ საწყისს. იგი დუალისტურ მიმართებაშია ბოროტ საწყისთან — აპრამანუსთან (აპრიმანთან), მაგრამ მასზე უფრო ძლიერია. დუალისტურ სისტემას განეკუთვნება სიმათლისა და სიკრუის დაპირისპირებაც, რომელსაც ვხვდებით ბექისტუნის წარწერაში. აპურამაზდას უკავშირდება, როგორც ფიქრობენ, ქართული არმაზიც.

7 უჯა — ელაში; უჯელი — ელაშელი, ელაშტელი; ელაშტი. (ჩამოთვლილ ქვეყნებში თანმიმდევრულად გამოყოფენ რამდენიმე გეოგრაფიულ ჯგუფს მიმართულებით — საკუთრივ სპარსეთისაგან: დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ).

8 ბაბირუ — ბაბილონი; ბაბირული — ბაბილონელი.

9 ასურა — ასურეთი, ასირია.

10 არაბაჰა — არაბეთი (არაბეთის ნახევარკუნძული).

11 მუდრაჰა — ეგვიპტე (მდრ. ძვ. ქართ. „მისრეთი“).

12 სპარდა — ლიდია.

13 მაუნა — იონია.

14 მადა — მიდია, ქართული ტრადიციით აგრეთვე მიდეთი, ხოლო მისი მცხოვრებნი — მიდი, მიდნი (მიდია სპარსეთის ძველი ჩრდილოდასავლელი პეტოქე იყო).

15 არმინა — არმენია.

16 კატპატუა — კაპადოკია.

17 პართავა — პართია, მისი მცხოვრებნი — პართნი.

18 ზრანკა — დრანგიანა.

19 ჰარაივა — არია, აქამანიანთა იმპერიის პროვინცია. იგივე არიანა, იგივე ჰერათი, შესაძლოა.

20 უვარანში — ხორეზმი ანუ ძვ. ქართ. ხვარანში.

21 ბახტრი — ბაქტრია.

22 სუგუდა — სუგდა — სოლდი.

23 განდარა — იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია.

24 საკა — სკეითთა ტომების საერთო ეთნიკური და მათი გავრცელების ტერიტორიული სახელწოდება.

25 თატავუ — თატავიანა.

26 ჰარაპუვატი — არახოზია, ინდ. სარასვატი. პროვინცია ინდოეთში, საზღვარზე. ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე.

27 მაკა — დაუდგენელი პროვინცია შემდეგი ვარიანტებით: ყელაზე მიღებული — პროვინცია აფრიკაში; იგივე მექრანი ირანში.

28 კამბუჯია — კამბიჯის სახელის ძველსპარსული ფორმა (კამბიზ II).

29 კურუ — კიროსის სახელის ძველსპარსული ფორმა (კიროს II, ლიდი).

30 ბარდიჰა — ბერძნ. სმერდისი (კამბიზ II-ის ძმა).

31 პაიშიაპუვადა — რალაც ადგილი პარსაში, უკავშირებენ პასარგადას (პერსეპოლისის) სახელწოდებასაც.

32 ვიასხნას თვე — ძველსპარსული კალენდრის მხედვეთ — მეოთხედი თვე; შეესაბამება თებერვალ-მარტს (ახალი წელი იწყება მარტის 21-ე რიცხვებში).

33 გარმაპადა — მეოთხე თვე, შესაბამება ივნისს-ივლისს.

34 გამოთქმის „უეამარშიუშ ამარიჰატა“ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას: ა) „თავი მოიკლა“; ბ) ზოგადად „თავისგან სიკვდილი“, „თავისი სიკვდილი“ (ბუნებრივი სიკვდილი). მეორე ვარიანტს მეტი მომხრე ჰყავს ბოლო ხანებში. მთავარი კი ორივე შემთხვევაში უნდა იყოს დარიოსისგან იმის ხაზგასმვა, რომ კამბიზი არ მოუკლავთ, განსხვავებით ბარდიჰასგან, და მას, დარიოსს, არ მიუძღვის არავითარი ბრალი მის სიკვდილში (ანუ არ არის უზურპატორი).

53 ბაგადადი — მეშვიდე თვე, სექტემბერ-ოქტომბერი.

36 ნისაჰა — რაიონი მიდიაში, მერუსა და ბაღს შუა; შდრ. ნისა აშხაბად-თან.

37 ეტიმოლოგიური ძიებისა და ისტორიულ-სოციალური ანალიზის საფუძველზე ე. აბაევმა ბოლო ხანს გამოთქვა მოსაზრება, რომ „აბიჩარიშ“ არ ნიშნავს „სამოვარს“, არამედ ქონებას, სახსრებს, საშუალებას, იარაღს (შდრ. ქართ. აბჯარი). ე. აბაევის აზრით, „ქონების დაბრუნება“ ძირითადად უნდა ეხებოდეს მსხვილ მონათმფლობელებს, რომელთა უფლებებიც გაუმატა მოგვმა შეზღუდი წერილ მიწათმოქმედთა და მწარმოებელთა საპირისპიროდ. ჩვენს თარგმანში დაცულია „დაბრუნებული ქონების“ აღმნიშვნელ სიტყვათა ყველა შესაძლო, სავადაოდ მნიშვნელობა, — ასე ვთქვათ, ჩამოთვლის სრული, მაქსიმალური სია.

33 ნაბუჯუდ-რაჩარა — ბაბილონის ცნობილი მეფის ნაბუჯოდონოსორის ძველ-სპარსული ფორმა.

39 ნაბუნაიტა — ნაბონიდე (ბაბილონის მეფის სახელი).

40 ტიგრა — მდინარე ტიგროსი.

41 ბოლომდე დადგენილი არ არის „აბიშ ნაია“, მაგრამ კონტექსტის. ლოგიკური ანალიზით საქმე სწორედ სანაოსნო ვითარებას უნდა ეხებოდეს (სხვანაირად — „ფეხით გაუეღს“, „ნაით გადასალახავს“).

42 ათრიხადიია — მეცხრე თვე, ნოემბერ-დეკემბერი.

43 უფრატუ — მდინარე ეფრატი.

44 ანამაქას თვე — მეათე თვის სახელწოდება, შეესაბამება დეკემბერ-იანვარს.

45 მარგუ — მარგიანა. ძველი მერეი, ახლანდელი მარა — ქალაქი თურქმენეთში.

46 ხშოთრიტა — მიდიის მეფის სახელის მეორე ნაწილის ძველსპარსული ფორმა (პერძნ. თრაორტე — ქშოთრიტა).

47 ჰუეახშტრა — აგრეთვე მიდიის მეფის სახელის მეორე ნაწილი ძველსპარსული ფორმით (პერძნ. კიაქსარე — უეაქშტრა).

48 თერაჰაპარას თვე — მეორე თვე, აპრილი — მაისი.

49 თაიგარჩას თვე — მესამე თვე — მაისი — ივნისი.

50 ადექანაიშა — პირველი თვე, მარტი — აპრილი.

51 რაგა — რაიონი მიდიაში.

52 ჰენგატანა — ირანის (მიდიის) ძველი დედაქალაქის სახელწოდების ძველსპარსული ფორმა — ეგბატანა, დღევანდელი ჰამადანი.

53 „განოკიდე“ — იგულისხმება მემამბოხეთა შემდეგი დასჯა: მოკვლის შემდეგ მათი სხეულების ჩალით დატენვა და ძელზე გამოსმა ან ჩამოკიდება.

54 ასაგარტა — ასაგარტია.

55 არბაირა — არბელა, ქალაქი მაშინდელ ასურეთში. არობელა.

56 ვარკანა — პირკანია, რაიონი კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით.

57 ჰადა — დაუდგენელი ადგილი, შესაძლოა ენშენი (Anshan).

58 ვარკანანას თვე — მეცხრე თვის სახელწოდება, ოქტომბერ — ნოემბერი.

59 არიული ენა — არიული ენები — ინდოირანული ენების საერთო სახელწოდება. აქ: ძველი სპარსული — აქემენიდების ერთ-ერთი სახელმწიფო და სპარსთა საღაპარაკო ენა. სახელმწიფო ენები იყო აგრეთვე ელამური და აქადური (ბაბილონური). სამივე ენა იყენებდა ლურსმულ დამწერლობას.

60 წარწერის ეს მონაკვეთი შეიცავს რიგ გაურკვეველ ან უცნობ სიტყვასა და გამოთქმას. წინამდებარე ევრისია ზოგ დეტალში მთარგმნელისეულია, და ემყარება წარწერის მთელი შინაარსის ლოგიკურ-კონტექსტუალურ ანალიზს და თვით წარწერის შესრულების ფორმას, აგრეთვე, — კულტურულ-ისტორიული

ვითარების გათვალისწინებას იმპერიაში. მაგ., სიტყვა „სხვადასხვაგვარად“, ან „სხვაგვარად“, ჩვენი აზრით, უნდა გულისხმობდეს „სხვადასხვა ენებს“ მრავალენოვანი კონგლომერატისა; „ათაპაეაჟა“ — „ერთიანი მონათხრობი“; „აღბეკლეა“ — უნდა ნიშნავდეს „კლდეზე ამოკვეთას“, მაგრამ შესაძლოა აგრეთვე იყოს „ბეკლის დასმა“ თიხის ფირფიტაზე შესრულებულ წერილზე, და სხვა ასეთი.

61 ძველ ირანულ სამყაროში იცნობდნენ საკების ანუ სკეითების ტომთა ოთხ სახეობას თე-თაისი სახელწოდებით: ზოგს უწოდებდნენ „წვეტიანქულიანებს“, ზოგს — „პაუმასხარაშეელებს“ (პაუმა — ინდ., სომა — ინდოევროპელთა, არიელთა უფველესი რიტუალური მითრობელა მცენარეული სასმელი; ბოტანიკური იდენტიფიკაცია დაზუსტებული არ არის; ფიქრობენ, ერთი სოკოა). იყვნენ კიდევ „ზღვისიქითი“ და „სოლდისიქითი“ საკები.

62 „ზღვა“ — ძვ. სპ. „ღარია“ ზღვასაც აღნიშნავს და მდინარესაც. აქ ივარაუდება საკუთრივ მდ. სირ-ღარია (მდრ. აგრეთვე ამუ-ღარია).

ბ) ღარიონის წარწერა სუზის სასახლის აბანოს ზამო

წარწერა აღმოაჩინა 1930 წ. ფრანგულმა ექსპედიციამ შვილის მეთაურობით, იგი მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული და თარგმნილი ევროპის მრავალ ენაზე უდიდესი სპეციალისტების მიერ (უნვალა, კონიგი, კენტი, აბაევი). სუზას სასახლის წარწერა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია აქემენიდების ლერსმულ წარწერათა შორის, როგორც თავისი კულტურულ-ისტორიული, ისე ლინგვისტური ღირებულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველის ლექსიკა, რომელმაც შემოგვიანახა ძველი სპარსული სახელწოდებები მატერიალური კულტურის საგანთა და სააღმშენებლო მასალათა აღმნიშვნელი სახელების სახით. აქემენიდთა სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესასწავლად ფრიად საინტერესო მასალას გვაძლევს აგრეთვე ჩამოთვლა იმ ხალხებისა, რომლებიც გამოიყენებოდნენ სამუშაო ძალად სასახლის მშენებლობის დროს. თარგმანა მ. ანდრონიკაშვილმა.

დიდ არს უფალი აპურამაზდა, ზეცა მაღალი რომელმან შექმნა, რომელმან შექმნა მიწაცა ესე, რომელმაც შექმნა კაცი მოკვდავი, რომელმან კაცსა მიაგო ლენა, ვინც მეფედ დასვა დარაჰაევაჟუ ერთი მეფედ მრავალთა ზედა ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად. მე ვარ მეუფე დარაჰაევაჟუ მეფე დიადი, მეფე მეფეთა, მაქვს მეუფება მე ამა მიწის ვიშტასპას ძესა აქამანიანს, იტყვის მეუფე დარაჰაევაჟუ აპურამაზდამ ღმერთმა მთავარმა შექმნა და დამსვა ხელმწიფედ მანვე. მიბოძა მანვე სამეფო ესე. მისავე ნებით მე დავეუფლე მხარეს ცხენკეთილს და ერკეთილსა. მამა ვიშტასპა და პაპა ჩემი არშამაც, ორივე ცოცხლები იყვნენ როს ამ მიწაზე აპურამაზდამ ხელმწიფედ ჩემი დასმა ინება.

აპურამაზდამ მიბოძა ყველა, ცხენი და კაცი ამ ვრცელ მიწაზე, მან დამსვა მეფედ ქვეყნისა ამის. მე შემეწვია აპურამაზდა და რაც მიბრძანა ის აღვასრულე, მოვიმოქმედე მარჯვენივით ჩემით. თუ რამ ვისაქმე მე სასიკეთო, აურამაზდას ნებით ყოველი.

სრა სახლი ესე ავაგე სუზას, შორით მოვიღე სამკაულები. ღრმად გაითხარა ამისთვის მიწა, სანამ ქვის ფენას არ მივალწიეთ. თხრილში

ჩავეყარე ქვიშა სიმაღლით — ზოგან ოცი წყრთა, ზოგან ორმოცი, და ამ ქვიშაზე სრა აღვაშენე.

საქმე თხრილსა და ქვიშის ჩაყრის და გამოყვანის აღიზის ამის, მოიძოქმედეს ბაბილონელთა, ხე იგი ნაძვის, ლიბანს, რომ მთაა იქიდან იქმნა ჩამოტანილი.

ბაბილონამდე მოზიდეს ასურთ, ბაბილონიდან, ვიდრე სუზამდე ხალხმა კარკამ და იონიელთა, მაკა⁷ განდართ მოტანილ იქმნა ამასთანავე, ქერმანის ქვეყნით, ქვა კაპუეტი², სიკაბარუდა³, რომელიც აქ არს მოხმარებული მოტანილია სოლდისა ქვეყნით, ოქროს მოქმედნი — ოქრომქედენი — მიდელნი იყვნენ და ეგვიპტელნი და იშმალუზე⁴ მომუშავენი, ლიდით იყვნენ და ეგვიპტითა. აგურს იქმოდნენ ბაბილონელნი, მიდიელებმა მოხტეს ციხე და კაცი ეგვიპტით გამოყვანილთა. იტყვის მეუფე დარადავაპუ მრავალი საქმე შესანიშნავი სუზას სრულყოფად ნაბრძანებ იყო, აღსრულდა კიდევ შესანიშნავად, მე დამითაროს აპურამზადამ და მამა იგი ჩემი ვიშტასპა, და ეს ქვეყანა საუფლო ჩემი.

7 მაკა — მშენებლობაში გამოსაყენებელი ხის სახელი გაურკვეველი მნიშვნელობისა (შესაძლებელია მუხა ან ძელქვა).

2 ქვა კაპოეტი (ძველი სპარსული კაპაუტაკა) — ლურჯი ქვა, ლავეარდი.

3 სიკაბარუდა — ძვირფასი ქვის სახელწოდება. (შესაძლოა ფაზარი ან გველის ქვა, ზოგი მკვლევარის აზრით კი — ფირუხი).

4 იშმალუ — გაურკვეველი მნიშვნელობის ტერმინი, შესაძლებელია მოხაიკა ან ინკრუსტაცია.

ბ) დარიოსის წარწერები ნახშ-ი რუსტამიდან (დარ. ნა და დარ. ნაბ)

პერსეპოლისის ნანგრევებიდან ჩრდილოეთით, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ნახშ-ი რუსტამის სახელით ცნობილ ადგილას, კლდეში გამოკვეთილია თაღები, რომლებიც აქემენიდი მეფეების საფლავებში შესასვლელს წარმოადგენენ. დარიოს პირველის საფლავის შესასვლელ თაღში, მის რელიეფურ გამოსახულებასთან, ამოკვეთილია ორი სამოცსტრიქონიანი ძველი სპარსული წარწერა ე. წ. დარ. ნ. ა. და დარ. ნ. ბ. პირველ მათგანში ჩამოვლილია 30 გეოგრაფიული და ეთნიკური სახელი დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხისა, რომელთა რელიეფური გამოსახულებანი ტიპური სახის ნაკეთებითა და ნაციონალური ჩაცმულობით, საშუალებას აძლევს მკვლევართ უწოდონ ამ რელიეფს თავისებური ეთნოლოგიური მუზეუმი. ამას გარდა, წარწერაში ასახულია ის განსაკუთრებული როლი და პრივილეგიური მდგომარეობა, რომელიც სპარსელებს, როგორც აქემენილთა მშობლიურ ტომს, მიეკუთვნებოდა მათ იმპერიაში.

მეორე წარწერაში (დარ. ნაბ) გადმოცემულია, დარიოს პირველის პირით, აქემენიდების რელიგიური მრწამსი და და მათი სახელმწიფოს მართვის ეთიკური-მორალური პრინციპების ძირითადი ხასიათი. (წარწერები თარგმნა მ. ანდრონიკაშვილმა).

დიდ არს უფალი აპურამაზა, რომელმან შექმნა ეს დედამიწა, რომელმან შექმნა ის ცა მაღალი, რომელმან შექმნა კაცი მოკვდავი, რომელმან ლხენა შეუქმნა კაცსა, ვინც მეფედ დასვა დარაჯავაპუ ერთი ხელმწიფედ მრავალთა ზედა, ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად.

მე ვარ მეუფე დარაჯავაპუ, მეუფე დიდი, მეფე მეფეთა, მეფე ქვეყნების მოდგმა მრავალის, მაქვს ხელმწიფება ამ ვრცელი მიწის ვიშტასპას ძესა აქამანიანს, თავად სპარსი და ძეი სპარსისა, ვარ არიელი არიელთ მოდგმის, აცხადებს მეფე დარაჯავაპუ აურამაზას ნებით დავიპყარ მე ეს ქვეყნები სპარსეთის გარდა, მე მათ ვეუფლე და ვყავ მოხარკედ, აღასრულებდნენ ბრძანებას ჩემსას და მიჰყვებოდნენ კანონსა ჩემსა: მიდია, უეჯა¹ და ჰარაივა², პართი და ბახტრი³, სოლდნი⁴, ხვარაზმი⁵, ჰარაუეატი⁶, თატაგუ⁷, ზრანკა⁸, განდარა⁹, სკვითნი ჰაუმეგარა¹⁰, ჰინდო და სკვითნიც ქულწვეტიანნი¹¹, მულრაია¹², ასურბაბილონი და არაბეთი, არმინა, სპარდა¹³ და კატპატუკა, მაჯანნი¹⁴, სკვითნი ზღვის იქითელნი¹⁵, სკულრა¹⁶, მაჯანნი ფარის მპყრობელნი¹⁷, პუნტი¹⁸, ქუშია¹⁹, მაჩია²⁰, კარკა²¹.

აცხადებს მეფე დარაჯავაპუ ოდეს იხილა აპურამაზადამ აღბორგებული ქვეყნები ესე, მან ხელმწიფება მე მომანიჭა და მე გამხადა მათზედა მეფედ. აპურამაზადას ნებით. ყოველთა მე მივეუჩინე ადგილი თვისი, რასაც ვეტყოდი მას ასრულებდნენ და მოქმედებდნენ ნებით სებრ ჩემის.

თუ მოგეჩვენოს მრავლად ქვეყნები, რომელთაც ფლობდა დარაჯავაპუ იხილე ხატი მათი, რომელთაც ეს ტახტი ჩემი მოაქვთ, ჩემს ქვეშე, და ოდეს ნახავ შეიცნობ მაშინ, სადამდე გასწვდა შუბი სპარსისა და სპარსეთიდან რა სიშორეზე მტრებს ამარცხებდნენ ომებში სპარსნი.

აცხადებს მეფე დარაჯავაპუ: ნამოქმედარი ესე ყოველი აპურა ზამდას ნებით აღსრულდა აპურაზამდა მე შემეწია, რამთა მექმნა საქმენი ესე. დე დამიფაროს აპურამაზადამ უწმინდურისა მისგან ყოვლისა, და სახლიც ჩემი და ეს ქვეყანა, ამას ვენუკვი აპურამაზდას აპურამაზადამ მომმადლის ესე. კაცნო მოკვდნო, მაზდას ბრძანებას, ნუ უწმინდურ ჰყოფთ, ნუ გაამრუდებთ, და ნუ მიდრკებით გზიდან მართლისა.

1: უეჯა — ელაში, ხუზისტანი.

2: ჰარაივა — არეია.

3: ბახტრი — ბაქტრია.

- 4 სუგუდა — სოლდი, სოგდიანა.
- 5 უეარაზმი — ხვარაზმი.
- 6 პარაუვატი — სარასევატი (არახოზია).
- 7 თატაგუშ — სატტავილია.
- 8 ზჩანკა — დრანგიანა.
- 8 გაღარა — განდაპარა (აიგივებენ ყანდაპართან ავღანისტანში).
- 10 საკა ჰაუმაეარგა — უმისმუამელი სკვითები.
- 11 საკა ტიგრაახაულა — წვეტიანქუდიანი სკვითები.
- 12 მულრაია — მისრეთი, ეგვიპტე.
- 13 სპარდა — ლილია.
- 14 იაუნა — იონია, საბერძნეთი.
- 15 საკა პარადრაია — ზღვისიქითელი სკვითები.
- 16 სკულრა — თრაკია და მაკედონია.
- 17 იაუნა ტაკაბარა — ფაროსანი იონიელები.
- 18 პუტაია — ლიბიელები.
- 19 ქუშია — ეთიოპები.
- 20 მაჩია — მექრანელები.
- 21 კარკა — კარიელები ან კოლხები?

ფ) დარიოსის წარწერა მეფაშული ზღვისა და ნილოსის შემაერთებელი არხის შესახებ

აქემენიდთა სააღმშენებლო წარწერების რიცხვს ეკუთვნის დარიოსის წარწერა მეფაშული ზღვისა და ნილოსის შემაერთებელი არხის გაყვანის შესახებ, რომელიც აღმოჩენილი იყო სუეცის არხის რეგიონში. მასში მოთხრობილია დარიოსის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შესახებ. არხი, რომელზედაც ლაპარაკია წარწერაში, არსებობდა ჯერ კიდევ 1500 წ. ჩვენს ერამდე ეგვიპტის დედოფალ ხატშეთსუტის დროს და შემდგომ გაუქმდა, უფრო გვიანდელმა ფარაონებმა სცადეს მისი აღდგენა, მაგრამ ჰეროდოტეს ცნობით, საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. ამრიგად, დარიოსს პირველმა განაგრძო ეგვიპტის ფარაონების მიერ დაწყებული საქმე და დაასრულა იგი. თარგმანა მ. ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა.

დიდ არს უფალი აპურამაზდა¹, რომელმან ზეცა შექმნა მაღალი, რომელმან შექმნა ძირს დედამიწა, რომელმან შექმნა კაცი მოკვდავი რომელმან შევება შეუქმნა კაცთა, ვინც მეფედ დასევა დარადავაჰუ. ვინცა უბოძა დარადავაჰუს მეფობა ვრცელის სამეფოს ამის ცხენკეთილისა და ერკეთილის².

ვარ მეფე დიდი დარადავაჰუ მეფე მეფეთა და ქვეყანათა მეფე მხარეთა მოდგმა-მრავალთა, საუფლოდ მიწა შორს გავრცობილი მაქვს ვიშტასპას ძე აქამანიანს. იტყვის მეუფე დარადავაჰუ: სპარსი სპარსეთით მისრეთს ვეუფლე. მე დავადგინე არხის გაყვანა მდინარით, რომელ დის ეგვიპტეში და ეწოდების, რომელს პირავა, ზღვამდე სპარსეთით მომავლისა³. და გაითხარა როდესაც არხი, ისე ვითარცა ეს მე ვუბრძანე, იწყეს ხომალდთა ცურვა ამ არხით ეგვიპტით სპარსეთს ჩემი ნებისებრ.

1 აპურამაზდა — ირანული რელიგიის ზოროასტრიზმის უზენაესი ღვთაება, ცისა და სინათლის უფალი.

2 იგულისხმება სპარსეთი.

3 იგულისხმება მეწამული და არაბეთის ზღვები.

მ) ძმარძსა დევეთსაწინააღმდეგო წარწერა

წარწერა აღმოჩენილია 1935 წელს პერსეპოლისის გათხრების დროს ჩიკაგოს უნივერსიტეტის ექსპედიციის მიერ. პირველად გამოქვეყნდა 1936 წ. ტექსტის უდიდესი მნიშვნელობა იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ეს ერთადერთი წარწერაა, სადაც წარმოდგენილია პირდაპირი მითითება აქემენიდების რელიგიური ღონისძიებების შესახებ და სადაც მათი ზოროასტრიზმი აშკარად არის გამოხატული.

მასშივე პირველად არის გამოვლენილი ახალი ეთნიკური ტერმინები — დაჰა და აკაუფაჩია — „მთიელნი“, ნაწარმოები სიტყვიდან „აკაუფა“, „მთა“.

წარწერაში მოთხრობილია აგრეთვე აქანეების ჩაქრობის შესახებ ერთ-ერთ დაპყრობილ პროვინციაში და იქ, აკურამაზდას და არტას კულტის დაფუძნების შესახებ. ამ პროვინციაში წინათ თაყვანს სცემდნენ ე. წ. დავებს — დევებს, ძველ არიულ ნატურალისტურ ღვთაებებს. თარგმან. მ. ანდრონიკაშვილმა.

დიდ არს უფალი აპურამაზდა, რომელმა შექმნა ძირს დედამიწა, რომელმან შექმნა ზეცა მაღალი, რომელმან შექმნა კაცი მოკვდავი, რომელმან დასვა მეფედ ხშაარშა, ერთი მეუფედ მრავალთა ზედა, ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად.

მე ვარ ხშაარშა მეფე დიდი, მეფე მეფეთა და ქვეყანათა, მეფე მხარეთა მოდგმა-მრავალთა, მეფე ამ მიწის შორს გავრცობილის, დარაჰავაჰუ მეფის მემკვიდრე. შთამომავალი ჰახამანისა². სპარსის შობილი, თავადაც სპარსი და არიელი არეილთ მოდგმის. გამოაცხადებს ხშაარშა მეფე ურამაზდას ნებით არს ესე ქვეყნები, სადაც ვიყავი მეფედ, რომელთაც ვფლობდი, სპარსეთის გარდა. რომელთაც ბაჟი მოჰქონდათ ჩემთან იქმოდენ, რასაც მე ვუბრძანებდი და მიჰყვებოდნენ კანონსა ჩემსა: მიღია, უეჯა³, ჰარაუფვატი, არმინა⁴, ზრანკა⁵, პართავა⁶, ბაქტრი, სოლდი, ხვარაზმი და ჰარაივა⁷, შემდეგ ასურნი და ბაბილონი, სატაგიდია — თატაუ⁸ სპარდა⁹, და მეგვიპტელნი მისრეთის მხარეს: ჰავანნი ესე ზღვათა მფლობელნი, და ჰავანნი ზღვის იქითელნი, მაჩიას ხალხი¹⁰ და არაბეთი, განდარა, ჰინდი და კატაბატუკა¹¹, დაჰეზი¹², სკვითნი ჰაუმეარგა, და ის სკვეთებიც ქულწვეტიანნი, სკულრა, მთიელნი — აკაუფაჩია¹³, პუტია, კარჷ¹⁴ და აბაშეთი კვლად. აცხადებს ხშაარშა მეფე, ოდეს ვავმეფდი ამ ქვეყნებს შორის, რომელიც ზევით არს დაწერილი სუფევდა შფოთი და მღელვარება, მე შემეწია აპურამაზდა, აპურამაზდას ნებითა შევძელ დამოშმინება ამბოხის მათის და დაყენება თავის ადგილას.

ამ ქვეყნებს შორის იყვნენ, რომელნიც უწინ დევებსა¹⁴ თაყვანსა სცემდნენ. აპურამაზდას ნებითა შემდგომ, საკერპოები დავამხე მათი,

გამოვაცხადე, რომ ამის შემდეგ დევებისათვის აღარ ეწირათ და სადაც უწინ სწირავდნენ დევებს, მე იქ ვალოცე აპურამაზდა და მასთან ერთად არტა¹⁵ ბრანზმანი¹⁶ და სხვათა ბევრი ბოროტადქმნილი მე მოვაცე ისევ კეთილად. ესე ყოველი მე აღვასრულე. აპურამაზდას ნებთა ოდენ, მე მეოხე მეყო აპურამაზდა, რათა სრულ მექნა საქმენი ესე, შენ ვინც შემდგომში — იფიქრებ ასე. ვიყო ბედნიერ სანამ ცოცხალ ვარ. და რომ მოკვდები ვიყო ნეტარი. აურამაზდას იწამე სჯული, თაყვან ეც მაზდას და არტანს ბრანზმანს. კაცი, რომელიც სჯულს აღიარებს აურამაზდას მიერ დადგენილს, ეთაყვანება აპურამაზდას და მასთან ერთად არტასა ბრანზმანს, ის სიცოცხლეში ღებენას ეწევა და ნეტარებას სიკვდილის შემდგომ.

იტყვის ხშამარშა ზელმწიფე დიდი, დე. დამიფაროს აპურამაზდამ უწმინდურისა მისგან ყოვლისა, ეს სახლი ჩემი და ეს ქვეყანაც. აპურამაზდას ვთხოვ ამ წყალობას მომადლოს ესე აპურამაზდამ...

1. ხ შ ა ი ა რ შ ა — ქსერქსე I დარიოსის ძე აქემენილი.

2. ჰ ა ხ ა მ ა ნ ი — აქამენი, აქემენიდა ღინასტიის დამაარსებელი.

3. უ ე ჭ ა (უვაჭა) — ელამი, ხუზისტანი.

4. ა რ შ ი ნ ა — არშენია, ურარტუ.

5. ზ რ ა ნ კ ა — დრანგიანა, საკასტანი — სეისტანი.

6. პ ა რ თ ა ვ ა — პართია.

7. ჰ ა რ ა ი ვ ა — არგია, ჰერათი.

8. თ ა ტ ა გ უ — სატაგიდია თანამედროვე ავღანეთის ცენტრალური ნაწილი.

9. ს პ ა რ დ ა — ლიდია.

10. მ ა ჩ ი ა — სადაურობის სახელ მაკა-დან „მექრანი“, ირანის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით.

11. კ ა პ ა დ ო კ ი ა.

12. აღმოსავლურ ირანულ-სკვითური ტომი.

13. მთიელნი, კოპისტანელნი.

14. შდრ. ვედური ღმვა.

15. განსახიერება ცისა, სინათლისა და ცეცხლისა.

16. „ციური“ (საქრალური მნიშვნელობით).

მ) ძმარძმას ზარამზანის წარწერა

(თარგმნა მ. ანდრონიკაშვილმა)

დიდ არს უფალი აპურამაზდა, რომელმან შექმნა ეს დედამიწა რომელმან შექმნა ის ცა მაღალი, რომელმან შექმნა კაცი მოკვდავი, რომელმან კაცსა სიკეთე აგო, რომელმან მეფედ დასვა ხშამარშა, ერთი მეუფედ მრავალთა ზედა, ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად.

მე ვარ ხშამარშა, მეუფე დიდი, მეფე მეფეთა და ქვეყანათა, მეფე მხარეთა მოდგმა-მრავალთა, მეფე ფრიადის მიწისა ამის, ვრცელის,

შორამდე გადაჭიმულის დარაჯავაჰუ მეფის შემკვიდრე შთაწომავალი პახამანსა.

გამოაცხადებს ხშაარშა მეფე, დარაჯავაჰუ მამაა ჩემი, დარაჯავაჰუს მამა ვიშტასპა, ერქვა არშამა ვიშტასპას მამასა. ესე ვიშტასპა და თვით არშამაც, ორივე ჭერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ, ოდეს ინება აპურამაზდამ დარიოსისა, მამისა ჩემის, ამა მიწაზე მეუფედ დასმა. მეფობას თვისსა საქმე მრავლი სრულ ჰყო კეთილად დარაჯავაჰუმ.

აცხადებს კვალად ხშაარში მეფე დარაჯავაჰუს მეფესა სხვანიც ჰყავდა შვილები, მრავლად, ჩემს გარდა, ასე ისურვა აპურამაზდამ, რომ მამას ჩემსა დარაჯავაჰუს თავის შემდგომად უპირატესად მე მივეჩნიე.

მისი ტახტიდან ჩამოსვლის შემდგომ, აპურამაზდამ ნებითა თვისით, მამისა ტახტზე დამსვა ხელმწიფედ. ოდეს გავმეფდი, მრავალი საქმე სრულ ვყავ კეთილად და დავიცავე ქმნილი მამისა.

ის, რაც მე სრულვყავ და ისიც, რაცა მე დაუშატე მამისა საქმეს. ნამოქმედარი ესე ყოველი, აპურამაზდას ნებით აღსრულდა და იტყვის კვალად ხშაარშა მეფე: მე დამიფაროს აპურამაზდამ, ჩემსა სამეფოს და ჩემსა საქმეს აპურამაზდა ექმნეს მეოხად.

§ 2. რელიგიური შინაარსის ტექსტები

ავესტა

ავესტა ზოროასტრული რელიგიური ტექსტების კრებულია. იგი ძველი ირანული სიტყვიერების უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მისი ცალკეული ნაწილების შექმნა შეიძლება მივაკუთვნოთ მეორე ათასწლეულს ჩვენს ერამდე. ავესტაში შემონახულია შუა აზიისა და შისი მიმდებარე ტერიტორიების უძველესი მოსახლეობის და მისი კულტურულ-ისტორიული ცხოვრების შესახებ მრავალი ცნობა (რელიგიის, მითოლოგიის, საგმირო ეპოსის შესახებ). ამავე დროს, ირანული მოდგმის ხალხებისათვის იგი უძველესი ენობრივი ძეგლია. ავესტა მრავალფეროვანი ნაწარმოებია და მისი ნაწილები არაერთგვაროვანია ენის, დროისა და შექმნის ადგილის თვალსაზრისით. ჩვენამდე მოღწეულია მისი პირვანდელი ტექსტის მხოლოდ ნაწილი, დაახლოებით მეოთხედი, რომლის ჩაწერა და საბოლოოდ რედაქცია სასანიდების ეპოქაში დასრულდა. გვიანდელი ხელნაწერებით ჩვენამდე მოღწეული ავესტა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. იასნა (ლოცვა), რომელიც ძირითადად ლიტურგიკულ ტექსტებს შეიცავს და რომელიც მსხვერპლშეწირვის რიტუალის დროს სრულდებოდა; 2. ვისპრედ (ავსტურთა ვისპო რატავო — „ყველა მსაჯული“, ყველა ღვთა-

ება); 3. ვენდიდადი ანუ ვიდევდატი (ავესტური ვი დაევო დატა) — „დივეების საწინააღმდეგო კანონი“, რომელიც ყველაზე სრული სახითაა ჩვენამდე მოღწეული; 4. იაშტა (თაყვანისცემა), შინაარსის მიხედვით ავესტის უძველესი ნაწილი, რომელშიც აისახა ზოროატრამდელი ირანის არიულ-ირანული რელიგიური წარმოდგენები; 5. ე. წ. მცირე ავესტა ძირითადი ლოცვებისა და მათი ფრაგმენტების კრებული.

წარმოდგენილი თარგმანები შესრულებულია პ. რაიპელტის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებიდან, იხ. H. Reichelt, Awestisches Elementarbuch, Heidelberg 1909; და მისივე Avesta reader, texts, notes, glossary and index, Strassburg, 1911. ტექსტები თარგმნა მ. ანდრონიკაშვილმა.

ჰიმნი ჰომას (დაშტა IX)

ჰომასადმი მიძღვნილი ჰიმნი ავესტის მაშტის რიგით IX ქებაა, სპარსულ ტრადიციაში ცნობილია ჰომამაშტის სახელწოდებით. სახელწოდება ჰომას ქვეშ ავესტაში იგულისხმება როგორც მცენარე, რომლისაგანაც ინდოელები და ირანელები წურავდნენ წვენს სამსხვერპლო სასმელის დასამზადებლად და რძეში და წყალში გაზავებულს სწირავდნენ ღმერთებს, ისე თვით სასმელი და მისი სული პერსონიფიცირებული და წარმოდგენილი ღვთაების სახით. მოკემულ ჰიმნში წარმოდგენილია, დიალოგის სახით, გასაუბრება ზარათუშტრასა და ღვთაება ჰომას შორის, რომელიც მას გამოეცხადა სამსხვერპლო სასმელის წურვის დროს. ღვთაება კითხულობს მწურველის ვინაობას, ხოლო ზარათუშტრა თავის წარდგენის შემდეგ თვითონ ეკითხება ჰომას იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ მისი მწურველები — პირველი და შემდგომნი, ზორციელ ადამიანთა მოდგმიდან. პასუხად ღვთაება ჩამოთვლის ირანული ეპოსის ცნობილ გმირებს და მათ საქმეებს საგმიროთა. ჰიმნი მთავრდება სპიტამა ზარათუშტრას მიერ ჰომას ქებითა და ლოცვა-ვედრებით.

წურვის ყამს ეწვია ჰომამ სპიტამას! — ცეცხლის მგზებელსა და გათების მგალობელს, ჰკითხა, ზარათუშტრა, ზორციელთ ქვეყნიდან ვინ იყო ჩემი, — ჰომას — მწურველი განათლებისათვის სულისათვისისა?

მიუგო, მე გახლდი, ჰომავ, სპიტამა,
ეს მე, ზარათუშტრა, ვიყავ, დურაოშა.
შენ მე გამოგწურე შესმად, აშაველო,
და მით მოვევლინე მოკვდავთა მაცხოვრად.

და ჰქუა ზარათუშტრამ: „დიდება ჰომას“ ვინ იყო, ჰომავ, კაცთაგან პირველი. ზორციელთ მოდგმიდან, ვინც შენ გამოგწურა, რა ბედი ეწია? რა ნიჭი ებოძა?

მიუგო ჰომამ ასე, აშაველმა: ვივაჰვანტი⁴ იყო მოკვდავი პირველი ზორციელთ ქვეყნიდან, ვინც მე გამომწურა, ის ბედი ეწია, ის ნიჭი ებოძა ვაჟი შეეძინა — აამა-ნშაეტა⁵, აამა-ბრწყინვალე, ჯოგებმრავალი,

უბედნიერესი შობილთა შორის, რომელმაც შეუქმნა საუფლო უხრ-
წნელი კაცსა და საქონელს, წყალსა და ბენარეს, ურიცხვი საზრდოდ
და უღვევი სასმელად.

და ოდეს მეფობდა ეს მამა-ხშაეტა, არ იყო სიცხე და არ იყო
სიცივე, არ იყო სიბერე, არ იყო სიკვდილი, არცა მძვინვარება შექმნი-
ლი დევთაგან. თხუთმეტწლიანების იერით ვიდოდა ერთად მამაშვილი,
ამათგან ყოველი, სანამ მეუფება მამას, ჯომრავალის, ძისა ვივაჰვან-
ტის, სუფევდა ამქვეყნად.

ვინ იყო მეორე კაცთაგან, ჰომამ, ხორციელთ ქვეყნიდან, ვინც შენ
გამოგწურა? რა ბედი ეწია? რა ნიჭი ებოძა.

მიუგო ჰომამ ასე, დურაოშამ; მოკვდავი მეორე, ვინც მე გამომ-
წურა ხორციელთ ქვეყნიდან, ეს იყო ათიან⁶. ის ბედი ეწია, ის ნიჭი
ებოძა, ვაჟი შეეძინა — მხნე-თრაეტაონა⁷.

მან მოკლა სამთავა ურჩხული დაჰაქა⁸ სამხაზა, ექვსთვალა,
ათასხერხიანი, ის უძლიერესი დრუგთაგან ყოველთა, და უსაძაგლესი
დაევათ შორის. ვინც კი შეუქმნია აპრიძანს აწვევლთ და ძეთა ხორ-
ციელთ დასაღუპავად.

ვინ იყო, ჰომავ, მესამე მოკვდავი, ხორციელთ მოდგმიდან, ვინც
შენ გამოგწურა, რა ბედი ეწია? რა ნიჭი ებოძა?

მესამე მწურველი ჩემი თრიტა⁹ იყო. ხორციელთ მოდგმიდან, სა-
მანის გვარისა. ის ბედი ეწია, ის ნიჭი ებოძა. ძენი შეეძინა, მამაცი
ორი, მხნე ურვახშაია¹⁰ და გმირი კარსასპა¹¹.

პირმშო სჯულის მცოდნე და კანონმდებელი, მრწემი კი თმა-
გრუზა, გმირი კვერთხოსანი. რომელმაც მოკლა ურჩხული სრვარა¹²
რქიანი, მშთანთქმელი ცხენთა და კაცთა, ყვითელი, საზარი, შხამისა
მფრქვეველი, გველი გოლიათი, შუბისა სიმადლე, რომლისა ზურგზე
რვალისა ქვაბით კარსასპამ შეადლით სადილი ადულა. რის დასცხა,
ურჩხულს გადასკდა ხეთიქი. ნაღული ირგვლივ გადმოანთხია, შემ-
კრთალი კარსასპა განზე გააბტუნა.

ვინ იყო მეოთხე მოკვდავი, ჰომავ. ხორციელთ ქვეყნიდან, ვინც
შენ გამოგწურა, რა ბედი ეწია? რა ნიჭი ებოძა?

პოურუმასპა¹³ იყო მწურველი მეოთხე ძეი ხორციელი აწვევლთ
ქვეყნიდან. ის ბედი ეწია, ის ნიჭი ებოძა, მის სახლში სპიტამა იშვა
ზარათუშტრა, აპურას ერთგული, დევების მოძულე.

განთქმული ყოველგან არიელთ მზარეში, აჰუნა ვაირაას¹⁴ ლოც-
ვათა წარმთქმელი ხმით, აღზევებულთ ზედიზედ ოთხგზის.

შენ, ყველა დევების ქვესკნელში ჩამძვრენი, ვინც კაცის იერით
მიწაზე დაძრწოდა, შენ, უძლიერესი, შენ, უმამაცესი, ყველაზე მკვირ-
ცბლი, ყველაზე სწრაფი. და ძლევა მოსილი სულიერთ შორის.

და ასე ღალადყო მამინ ზარათუმტრამ: დიდება ჰომას, ჰომას მშვენიერს. კეთილად ქმნილსა და მართლიად შობილს, მას, მაღლის მომცემსა, სხეულის მკურნალს, მას, ძლევამოსილსა, სიკეთით საგსეს, მას ოქროს ფერსა და ფესვებდაგრეხილს.

ჩამოდი ფეროქროვ, აღგვაფროვანე, ძირს ჩამობრძანდი, ძლევამოსილო, ჩვენო მკურნალო, მამრთელბელო, და მომნიჭებელო ყველა წარმატების. სიმტკიცის მზრდელო ყოველსა არსში, დამათრობელო ყოვლით შემკულო, ვინც ყოველ სულდგმულს უბოძებ შევბას. განდევნი მტრობას, მძლეო დრუგისა.

ვინცა სძლეე ძვინვას ყველა მოძულეთა: დევთა და მოკვდაეთა, ჯადო-ფერიათა, სიძულვილს კავისა და კარაპანთასა, მგლისა ოთხფერხისა და მტრისა ლაშქრისა, ცრუ მაცთუნებლისა და მაწანწალისა.

წყალობას პირველს გნუევე, დურაოშა, ჰომავ, ნათელო — ყოფნასა უკეთესს, სურვილთა მეუფევე — მეორედ სიმრთელეს, ნიჭად მესამედ კი ძალსა სასიცოცხლოს, ცხოვრებას ხანგრძლივს გვედრი; აშაველო.

ნიჭსა მას ჰეოთხეს გვედრი, დურაოშა — ყოფნას ამ მიწაზე მადლარს და კმაყოფილს, ძლევას მძვინვარების დრუგთაგან¹⁵ შექმნილს, მეხუთე წყალობას გნუევე, დურაოშა,

მტერთა დამარცხებას, სიმარჯვეს ბრძოლაში, ძლევას მძვინვარების დრუგთაგან შექმნილს.

მეექვსეს ნიჭსა მას გნუევე, დურაოშა,
შევიცნო მპარავი, მგელს შევხვდე ფბიზელი,
ჟმალ მე შევნიშნო, ვიდრე შემნიშნავდნენ.

ეტლზე მდგომარე მეომართა წარუმართებდე,
ძალს უბოძემდე მამაცთ მტერთა დამარცხებისა,
მშობელთ ბედნიერ შეილოსნობას მიანიჭებდე,
მისცემდე ძეთა, მართლმორწმუნე შთამომავლობას.
ჰომავ, მას ვინც ნებით თვისით ესწრაფვის სიბრძნეს,
მიანიჭებდე სიწმინდეს და აღფროვანებას.

ასულთა დიდხანს დაშთენილთა ქმრის მოლოდინში
სასურველს მათთვის გონიერსა მისცემდე უფალს.

შეეწოდე შენ კარსანის¹⁶ უფლებაყირილს,
მეფობის მსურველს, მომჩივანსა და ასე მეტყველს:
ამიერიდან აღარა მყავს მოძღვრად ქურუმი,
ვინც მასწავლიდა წარმატების მიღწევას ქვეყნად,
იგი ყოველსა წარმატებას ღუპავს და თრგუნავს.

დიდება შენდა, მძლე ჰომავ თავისუფალო,
დიდება შენდა, გამგებელო მართალი სიტყვის,
დიდება შენდა, ვინცა მართალს სიტყვას ენდობა!

მოგიძღვნა მაზღამ შენ სარტყელი ვარსკვლავშემკული,
სულთანხელავი — მაზღამასნელთ¹ სჯული კეთილი.

შეირტყი იგი, შეიმოსე, მთისებრ მაღალს,
ვისაც გიპყრია კვერთხად მანთრა¹⁸ წმინდათაწმინდა.

უფალო სახლის და სოფლისა, თემის და ქვეყნის,
შენ ხარ, ჰაომა, უწმინდესი ცოდნის უფალიც,
მძლესა და ძლიერს შენ მოგიხმობ მარად, ნათელო,
გიწოდებ მხსნელად, რათა კმა ჰყო სხეული ჩემი.

გვაშორე ძვინვა მოძულეთა მქუხარ-მგრგვინავთა,
სახლში და სოფლად, თემში მყოფთა, თუ ქვეყანაზე,
შენ მავნე იგი უვნებელ ჰყავ, დააქერ ყურნი,
უმოკლე ხელი გამოწვდილი ჩვენდა სავენებლად...

ნურც ფეხით გასთელს, ნურც საქონელს გააქვლევიებს,
თვალს ნუ დაადგამს ნურცა მიწას და ნურცა პირუტყვს,
ნუ ავნებს ხვასტაგს, და სხეულსაც ნუ ავნებს ჩვენსას.

ურჩხულსა ყვითელს, საზარელს, მშხამავს,

მავნეს აშაველთ სხეულისათვის ზაირი-გაუნა¹⁹. ჩაეც ლახვარი!

ყაჩაღსა თავხედს, სისხლის მღვრელს, სასტიკს, მავნეს აშაველთ
სხეულისათვის ზაირი-გაუნა, ჩაეც ლახვარი. ქურუმს ურწმუნოს,
მკვლელს, სიტყვის გამტეხს, მავნეს აშაველთ სხეულისათვის, ზაირი-
გაუნა, ჩაეც ლახვარი!

ღიაცსა მზაკვარს, ღრუბლებში მფრინავს, მავნეს აშაველთ სხეუ-
ლისათვის, ზაირი-გაუნა, ჩაეც ლახვარი!

1 სპიტამა — ზართუშტრას გვარსახელი.

2 ღურაოშა — „სიკვდილის ამშორებელი“ ჰაომა: მუდმივი ეპითეტი.

3 აშაველი — მართალი, მართლმორწმუნე.

4 ვივაჰვანტი — საყუთარი სახელი მამა-ხშაეცას (ჩიმშედის) მამისა.

5 მამა-ხშაეცა — „ბრწყინვალე მამა“ — ავესტის მითალოგით მეფე არიულთ
ოქროს ხანისა, როდესაც ადამიანები ჭანმრთელნი, უბერებელნი და უკვდავნი იყვ-
ნენ.

6 ათვია — თრაეტაონას მამის სახელი („შანაჰეს“ აბთინი).

7 თრაეტაონა — ფერიდუნი (ქართ. ფრიდონი), გველ დაპაყას მკვლელი.

8 დაჰაკა — ურჩხულის სახელი („შანაჰეს“ — ზოჰაკი).

9 თრიტა სამანის გვარისა — გმირების — ურავაშაიას და კარსასპის — მამა.

10 ურავაშაია — „რჭულის მცოდნე და კანონმდებელი“ — კარსასპას უფრო-
სი ძმა.

11 კარსასპა — ურჩხული სრვარას მკვლელი („შანაჰეს“ — გერშასპი).

12 სრვარა — ურჩხულის სახელი.

13 პოურუშასპა — ზართუშტრას მამის სახელი.

14 აჰუნა ვაირა — ზორთასტრელთა უწმინდესი ღოცვა.

15 დრუგი — ცრუ, ბოროტი, ურჭულთ.

16 კარსანი — ერთ-ერთი მეფის სახელი.

17 მაზღამასნელი — მაზღას მოძღვრების მიმდევარი, ზორთასტრელი.

18 მანთრა — მაგიური, ღვთაებრივი სიტყვა, ლოცვა.

19 ზაირი-გაუნა — ოქროსფერი, ჰაომას ეპითეტი.

ტიშტრამასალმი (მაშტა VIII, 13—34)

ჰომნი მიძღვნილი ტიშტრამასალმი წარმოადგენს ავესტის ძირითადი და თავისი შინაარსით უძველესი ნაწილის — ჯაშტას — ერთ-ერთი ქებაის, რომელიც ეძღვნება ღვთაების სახით წარმოდგენილ ვარსკვლავს სირიუსს. ტიშტრამაშტი, როგორც მას საშუალო სპარსულად ეწოდება, რიგით მერვეა. მისი ძირითადი ფუნქციაა წვიმის მოყვანა. იგი ებრძვის და ამარცხებს გვალვის დემონს აპაოშას მითიურ ვორუკაშას ზღვასთან. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ებრძვიან ცხენების სახით — ტიშტრამა გამოდის თეთრი ოქროსლაგამიანი ცხენის იერით, ხოლო დევი აპაოშა ქვეყანი ჭავლაგის სახით. სასტიკი ბრძოლის შემდეგ, აპურამაზდას ლოცვების შედეგად, მინიჭებული ძალით, ტიშტრამა იმარჯვებს და ზღვს უწყობს სანატრელი წვიმის მოსვლას.

პირველსა ათ ღამეს¹, ჰომი ზარათუშტრა, ტიშტრამა გამოცხადდა მნათობი ბრწყინვალე, მსრბოლი თხუთმეტი წლის ქაბუყის იერით. თვალუბსხივოსანი, ნათელი, მაღალი, ვით გმირი მძლეთამძლე და უნარიანი.

იმ ხნისა, როდესაც პირველად მამაცი ძალაში შევა და სარტყელს შემოიჭერს, იმ ხნისა, როდესაც ვაჟკაცი პირველად მიადწევს სიმწიფეს სრულწლოვანებისა.

მან გამოაცხადა და ასე იკითხა: აქ ვინ შემომწირავს სამსხვერპლო სასმელს რძიანს, ჰაომიანს, კარგად შეზავებულს? აქ ვის მივანიჭებ სიმრავლეს მამაცთა, ვუბოძებ ქონებას, დოვლათს და სიმდიდრეს? ვის სულს გაანათლებს აშა-ვაჰიშტა² ხორციელთ ქვეყნიდან, მლოცველთა შორის?

მეორე ათ ღამეს, ჰომი; ზარათუშტრა, ტიშტრამა გამოცხადდა ბრწყინვალე სხეულით, ოქროსრქებიანი ხარისა იერით.

ეკლავ გამოაცხადა ასე და იკითხა:

აქ ვინ შემომწირავს სამსხვერპლო სასმელს?

რძიანს, ჰაომიანს, კარგად შეზავებულს,

მე ვის მივანიჭებ ხვასტაგს და საძოვრებს?

ვინ სულს გაანათლებს აშა-ვაჰიშტა ხორციელთ ქვეყნიდან, მლოცველთა შორის?

მესამე ათ ღამეს, ჰომი, ზარათუშტრა, ტიშტრამა მოევლინა ბრწყინვალე სხეულით, ოქროსყურიანი, ოქროსლაგამიანი თეთრი, მშვენიერი ცხენისა იერით.

მან გამოაცხადა ასე და იკითხა:

აქ ვინ შემომწირავს სამსხვერპლო სასმელს —

რძიანს, პომიანს, კარგად შეზავებულს?
აქ ვის მივანიჭებ ქონებას, სიმდიდრეს,
ჯოგსა და საძოვარს და რემას ჰუნეთა?
აწ, ვის გაანათლებს აშა-ვაპიტა
ხორციელთ ქვეყნიდან, მლოცველთა შორის?

შემდგომად ამისა, პორ, ზარათუშტრა, ტიშტრაა დიდებული
ბრწყინვალე სხეულით მიუახლოვდა ზღვასა ვორუ-კაშას⁴ ოქროს ყუ-
რიანი, ოქროს ლაგამიანი თეთრი, მშვენიერი ცხენისა იერით.

აქ მას წინ აღუდგა დევი აპაოშა, შავი და დამწვარი ჯაგლავის სა-
ხით, ყურებქეციანი, ფაფარქეციანი და კულქეციანი, შიშისა მომ-
გვრელი.

შეებნენ ცხენები, მცემელნი ტორებით და ერკინებოდნენ ვრთმა-
ნეთს სასტიკად, ბრწყინვალე ტიშტრაა და დევი აპაოშა იბრძოდნენ,
სპიტამავ, სამ დღეს და სამ ღამეს.

ტიშტრასა ბრწყინვალეს სძლია აპაოშამ. დევი მოტრია დიდ-
ბულ მნათობს, დაატოვებინა მას ზღვა ვორუ-კაშა, და იგი ისევ დიდ-
გზაზე განდევნა. მწუხარედ მოთქვამდა ტიშტრაა სხივოსანი, ასე შეს-
ჩიოდა აპურა მაზდას: ვაიმე, ვაება წყალსა და მცენარეს, ვაება სჯულ-
სა მას მაზდაიასნელთა!

არა მყავს არავინ მე ჩემთვის მლოცველი,
მსხვერპლის შემწირველი. როგორც სხვა მაზატებს,
ვინცა ჩემს სახელზე ლოცვებს იგალობებს.

თუ ვინმე კაცთაგან მე სახელდებულად
ლოცვებს მიგალობებს და მსხვერპლს შემომწირავს,
ვითა სხვა მაზატებს, მეც სახელდებულად
მომიძღვნის ქებათა და შესაწირავსაც,

ეს მე მომანიჭებს ათი ცხენის ძალას. ათი აქლემისა და ათი ხა-
რისა, ძალას ათი მთისა და ათი მდინარის დიდის, უხვწყლიანის. ვარ-
გის სანაოსნოდ.

მე, მაზდა-აპურა⁵, ტიშტრასა დიდებულს,
ბრწყინვალეს, მოგიძღვნი ლოცვას სახელდებულს,

მე შენ მოგანიჭებ ათი ცხენის ძალას, ათი აქლემისა და ათი ხა-
რისა, ძალას ათი მთისა და ათი მდინარის, დიდის, უხვწყლიანის, ვარ-
გის სანაოსნოდ.

და კვლავ დაუბრუნდა, პოი. ზარათუშტრავ,
ზღვასა ვორუ-კაშას ტიშტრაა დიდებული,

ოქროსყურიანი, ოქროსლაგამიანი თეთრი, მშვენიერი ცხენისა
იერით.

კვლავ წინ გადაუდგა დევი აპაოშა შავი და დამწვარი ჭაგლაგის სახით, ყურებქეციანი, ფაფარქეციანი, და კულქეციანი, შიშისა მომგვრელი. ისევ შეებნენ ერთმანეთს. ტორებით ერთუტოს შეერკინენ ცხენები სასტიკად, ტიშტრმა ბრწყინვალე და დევი აპაოშა იბრძოდნენ, სპიტამავ, შუადლის ეამად.

აწ მას მოერია ტიშტრმა დიდებული ვორუ-კაშას ზღვიდან განდევნა ისევ, გააგდო იგი დიდ. ფართო გზაზე. და გახარებულმა მიმართა მაზდას:

ნეტარ მე, აპურა, ნეტარ, წყალს, მცენარეს,
ნეტარ მას, რწმენასაც მაზდაიასნელთა!

იღინონ წყალთა მათ დაუბრკოლებლივ მსხვილმარცვლიანი ჰყონ ყანები ჩვენი, წვრილთესლიანი ჰყონ მათ ეს საძოვრები ხორციელთ ქვეყნისა, სამარადეამოდ.

ისევ წამოვიდა ბრწყინვალე ტიშტრმა, ზღვას მას ვორუ-კაშას მიმართა კვლავაც.

ოქროსყურიანი, ოქროსლაგამიანი თეთრი, მშვენიერი ცხენისა იერით.

ზღვა მიიქცა-მოიქცა, ზღვა აღელ-დაღელდა,
აღდგა, აბობოქრდა, აქანდა, დაქანდა,

შეიძრნენ შუანი ზღვისა ვორუ-კაშას, აღბორგდა, აზვირთდა წიალი მისი.

და ოდეს განშორდა, პოი, ზარათუშტრავ,
ტიშტრმა დიდებული ზღვასა ვორუ-კაშას,
აღმოხდა, სპიტამა, ზღვისა წიალიდან
მნათობი ბრწყინვალე სატაეეასა⁸.

მაშინ ჰინდავადან⁷ ნისლი წამოვიდა, მთიდან, აღმართულის ზღვისა შუაგულში.

როს წამოემართა ეს ნისლი, სპიტამავ,
აშაველთ მოდგმისთვის, ღრუბლისა მშობელი,
დაჰბერეს ქარებმა, ჰაომა ფრაშმისაც⁹,
სახლ-კარის დამცველსა გზაზედა მიმავალს.

და მაზდას შექმნილმა ძლიერმა ქარმა ღრუბელი დაძრა და სეტყვა დაუშინა ციდან საცხოვრებელ შვიდივე მხარეს.

და წყალთა პირმშომ აჰამ ნაპატმა⁹ ყველას მიუჩინა ბინა თავისი: ძეთა ხორციელთა, ქარსაც წყლის მომცემსა და წმინდა აშაველ ფრავეშიებსაც¹⁰.

⁷ ბირველსა ათ ღამეს — იგულისხმება ზოროსტრული კალენდრის 30-დღიანი თვის პირველი მესამედი (ათლიური), როდესაც ტიშტრია ქაბუკის სახით ცხადდება.

ასევე უნდა გავიგოთ გამოთქმები მეორე ათ ლაშქარს და მესამე ათ ლაშქარს ე. ი. მეორე და მესამე ათლიურში თვისა.

2 მცენარე ჰაომასაგან გამოწურულ სამსხვერპლო სასმელს ზორასტრელები რძითა და წყლით ახვეებენ.

3 აშა-ვაპიტრა — ერთ-ერთი უკეთესი სულთაგანი, პერსონიფიცირებული ასტრაქცია „საუქეთესო სამართალი“, მართლწესრიგი, რომელიც მსოფლიოს მოიცავს.

4 ვორუ-კაშა — მითოლოგიური ზღვის სახელი.

5 მაზდა აპურა — ბრძენი უფალი ირანელთა უზენაესი ღვთაება აპურამაზდა, რომლის სახელი ავესტაში ასეთი შებრუნებული წყობითაც იხმარება.

6 სატაევასა — ვარსკვლავის სახელი, რომელიც ტომარას ეხმარება წვიმის გამოწვევაში. სიტყვასიტყვით ასქიმიანი ან ასსხვიანი.

7 ჰინდავა — მხარისა და შთის სახელი (შესაძლოა ინდოეთი ან ჰინდუეში).

8 ღვთაება ჰაომას ეპითეტი.

9 „წყალთა პირმო“ (ღვთაება).

10 „(მართალი, წმინდა) გაღმერთებულ მკვდართა სულები“.

გათაი (მანანა 29)

გათები განეკუთვნება ავესტის იმ ნაწილს, რომელიც მასხას სახელით არის ცნობილი. იგი დაწერილია რიგვედის ლექსთწყობის მსგავსი საღებავი საზომებით. ირანული ტრადიციით მათი ავტორობა მიეწერება თვით მქადაგებულ ზარათუშტრას, რის გამოც იგი ავესტის უწმინდეს ნაწილად ითვლება. გათების ენა მეტად არქაულია და აღმოსავლურ-ირანულ დიალექტურ არეალს განეკუთვნება. 29-ე გათაში გადმოცემულია საუბარი, რომელიც ზეციურ ძალთა საუფლოში მიმდინარეობს. მისი მონაწილენი არიან: ხარის სული ანუ პირველსახე, აშა, ვოჰუშანა, აპურამაზდა და თვით მქადაგებელი ზარათუშტრა. ხარის სული უჩივის. აღამიანს საქონლისადმი უღიერად მოპყრობის გამო და ითხოვს შემწეობას კეთილი მეურვის დანიშვნის სახით. ღვთაებანი მიუთითებენ აპურამაზდაზე, რომელსაც შეუძლია ამ საკითხის გადაწყვეტა. მაზდას აზრით, საქონელი შექმნილია კაცთათვის საზრდოდ. ბოლოს ვოჰუშანა (კეთილი აზრი) აუწყებს, რომ ღვთაებათა განაჯარგულებით საქონლის მომვლელად ინიშნება ზარათუშტრა, რომელიც შეუქმნის საქონელს სიმშვიდეს და უსაფრთხოებას.

თქვენ შემოგჩვივთ ხარის სული³, ვინ მშობა?, ვისთვის?
დამჩაგრა ძვინვამ, სისასტიკემ, ძალმომრეობამ,

მწედ თქვენ მოგიხმობთ, თქვენ გენუკვით, კეთილ მეურვეს.

ზროხის გამჩინმა ჰკითხა აშას⁴: ვინა მწყისის ხვასტაგს?

საზრდელის გარდა ვინ მიაგებს გულითად ზრუნვას.

ვინა გსურთ მხსნელად შმათაგან და დრუგიანთა?

მიუგო აშამ არ მეგულვის კაცთაგან მხსნელი,

არ ესმის მოკვდავს ვით მოეპყრას პირუტყვის კეთილად.

(ხარის სული) — ვუხმობ ზეარსთა, უზენაესს, უკეთეს მისმენს.⁵

(აშა) — მაზდამან უწყის ყოველივე ზრახვანი გულის —

დევთა და კაცთა, რაც უქმნიათ და რასაც იქმენ,

დე, მან განსაჯოს, დაე, ეგოს ნებისებრ მისის.

ვედრებად გიწვდით ხელებს ჩვენსას და გვსურის ესე,
სულსა ჩემსა და მაკე ფურის, ვენუკვით მაზდას,
იხსნიდეს მართალს, დრუგელთაგან, საქონლის მზრდელსა.
აპურამაზნადამ ბრძანა ბრძენმა, წესისა მცოდნემ
არა არს შენდა ღვთითა მსაჯულ და არცა უფალ,
რამეთუ შეგქმნა შემომქმედმან ზესტაგის მზრდელთად.
სიპოხისათვის შექმნეს სიტყვა აპურამ, აშამ,
და საზრდოს მსურველთ მიუჩინეს სძეი საზრდელად.

ხარ-ფურის სულები: კაცთაგან მხსნელად, ვოჰუმანა⁵, ვინ გვყავს
ორივეს?

ცნობილ არს აქა ზარათუშტრა, ზარახვათა ჩვენთა
და აშას მცნებათ კაცთა მიმართ მაუწყებელი,
სიტკბო სიტყვისა მიმადლებულ ექმნეს სპიტამას.

აღმოხდა ოხვრა სულს ხარისას, მეურვედ გვყავდეს
კაცი უძლური, როს მბრძანებელს მიემართავთ ძლიერს?
ოდეს იქნება შეგვეწიონ უფროის ხეასტაგს.

ზარათუშტრა; აპოი, აპურავ, ვოჰუმანა, აშა მომმადლეთ
ძალი და ნება, რათა შევექმნა სიკეთე მშვიდი,
ჭილგეწიფების პირველს, მაზდავ, სრულყოფა ამის.

სადაც არს აშა, ვოჰუმანა და მეუფება.

მიმიღეთ თქვენთან, დასაცავად იღუმალ მცნების,
პოი, აპურა, მზად ვარ თქვენდა სამსახურისთვის.

1. გათა — ავესტის უძველესი ნაწილი, რომლის შექმნა მიეწერება თვით ზარათუშტრას, სიტყვისიტყვით — ვალობა, პიში.

2. მასნა ავესტის ნაწილი, რომელშიც შედიან გათები, სიტყვისიტყვით — „ლო-
ვია“.

3. ხარის სული — პერსონიფიკაცია ხარის პირველ სახისა, საქონლის მცველი.

4. იგულისხმება მაზატა (ღვთაება).

5. „კეთილი აზრი“ (ღვთაება).

ბათა (მასნა 30)

ამ გათაში მქადაგებელი მიმართავს მსმენელებს და სთხოვს ორი ურთიერთსა-
წინააღმდეგო სარწმუნოებიდან ერთ-ერთის არჩევას. უკეთესია ის, რომელსაც კე-
თილი საწყისი აქვს. ეს არის აშას (სიმართლის) სამფლობელო, რომლის მიზანია
სიმართლის, სიკეთის და სიცოცხლის დამკვიდრება ამ ქვეყნად. ბრძენის ვაღია მისი
არჩევა, უგუნურნი კი აირჩევენ დრუგას (სიცრუის, ბოროტების) რწმუნას და მის
საუფლოს, რომელიც დასაღუპავად არის განწირული. ვინც კეთილ სარწმუნოებას
აღიარებს, მას კეთილი მიეგება ღვთაებათა აშას, ვოჰუმანას და მაზდას ხელით,
ზოლო დრუგის მომხრენი მასთან ერთად დაიღუპებიან.

აწ მსურს ვაუწყო მსმენელთ, ბრძენთა გულისხმაყოფად,
აპურას ქებად, სავედრებლად ვოპუმანასი,
ნეტარებისთვის ნათელსამყოფი აშას მხილველთა.

განმარტეთ სმენად სასმენელნი, განბრკეთ გონებით,
კაცად კაცადმან აღირჩიოს თავისად ერთი,
ორი რწმენიდან, საბოლოოდ ჩვენთვის სრულქმნილის.

სული მარჩბივად პირველქმნილი, ვითა ზმანება,
კეთილ და ბოროტ იქმნა აზრით, სიტყვით და საქმით,
წყვილიდან ერთი, აირჩიონ ბრძენთა და უგუნრთ.

ამ სულთა პირველ შეხვედრისას მიიღეს წესად,
ერთმან სიცოცხლე და მეორემ მოსპობა მისი
და ექმნეთ ბოლო ცრუს ავი და მართალს — კეთილი.

დრუგის მიმდევართ ამჯობინეს ცრუ და ბოროტი,
მართალს მიემხრო სული წმინდა სხივშემოსილი,
ვინცა სიკეთით კმა ჰყოფს მაზდას — აპურას ბრძენსა.

გარნა დაევით არჩევანი მცდარი გამოდგა,
ცდუნება ავი მათ ეახლათ, ვიდრე განსჯიდნენ,
მიემხრნენ ეშმას, რათა წარყენან ერთად სიცოცხლე.

დარჩნენ კეთილთან ვოპუმანა, ხშათრა და აშა,
არმატიმ სხეულს მისცა ხანი და გამძლეობა,
ჟამსა განკითხვის მათ ლითონში მეტი შეხვდებათ.

როს მიეგებათ მათ სასჯელი ავი საქმისთვის,
მას მისცემს, მაზდა, ვოპუმანა შენს სასუფეველს,
დრუგს, საბოლოოდ, ვინცა აშას ჩაუგდებს ხელთა.

ჩვენც გვეოფდეთ ღირსად კაცობისა სოფლისა ამის,
ჩამოდით ჩვენთან, მაზდავ, აშა, ძალნო ციურნო,
შემოკრბენ აზრნი, სადაც კიდევ დრტვინავს გონება.

დრუგთა საუფლოს დაუდგება წარწყმედის ჟამი,
მიხვდება აღთქმულს, ვინც კეთილსა მოიხევექს სახელს,
მიიღებს ნანატრს ვოპუმანას და აშას ხელით.

თუ მაზდას მცნებას გულისხმაყოფთ მოკვდავნო კაცნო,
შესახებ ჰირის და შეებისა — საენოდ დრუგელთა,
აშაველთ სარგოდ — იყოს კეთილ მყოფადი თქვენი.

1: აპურა — ღვთაება აპურამაზდა.

2 სული მარჩბივად პირველქმნილი — მინიშნებაა იმაზე, რომ ზორასტრელთა
რწმენით აპურამაზდა ცის და სინათლის უფალი და ქვესკნელისა და სიბნელის შეუ-
ფე აპრიმანი ტყუილი ძმები იყვნენ და შემდეგ მოხდა მათი დაშორება და სამყაროს
-ორად გაყოფა — კეთილად და ბოროტად.

3 დაევა — ბოროტი სული, დემონი.

4 ხმათრა — აპერამაზდას მომხრე ერთ-ერთი ღვთაების სახელი „ხმათრა ვა-
ირია“.

5 მათ ლითონში მეტი შეხვედრათ — მღვლარე ლითონი, რომელშიც გაიელის
ყველა სიკვდილის შემდეგ, რომელშიც ბოროტი იტანჯება, ხოლო კეთილს სიამოვნებას
გვრის.

6 დრუგი — სიკრუე, ბოროტება პერსონიფიცირებული, აშას (სიმართლის)
საპირისპირო ბოროტი ძალა.

7 დრუგელი — დრუგის მიმღევარი, ცოდვილი.

8 აშაველი — აშას მიმღევარი, მართალი.

3. ბერძნული წყაროების ცნობები ძველი ირანის ისტორიის შესახებ

(წ. III-ის §§ 67, 68, 70, 71, 76, 77, 79, 80, 81, 82, 90—96; თარგმნა
თ. ყაუხჩიშვილმა, წ. II-ის §§ 88, 89, 97 თარგმნა მ. ი ნ ა ძ ე მ)

პეროდოტი

პეროდოტეს (ძვ. წ. 484—430 წწ.) ნაშრომში („ისტორია“) და-
ცულია მრავალი ცნობა ირანის სამეფოსა და მასთან ურთიერთობა-
ში მყოფი ახლო აღმოსავლეთის ხალხების შესახებ. ამ ნაშრომიდან
ნათლად ჩანს, რომ მისი ავტორი დიდ ინტერესს იჩენდა ირანის სამე-
ფოს პოლიტიკური წყობის, ისტორიის, სპარსელთა რელიგიის, ყოფა-
ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების მიმართ. ბევრი დეტალი, რომელიც
შემორჩა პეროდოტეს ცნობებს ძვ. წ. VII—V სს. ირანის სამეფოს ის-
ტორიისა და პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ, გვარწმუნებს, რომ
ავტორს უსარგებლია საკმაოდ სანდო ზეპირი ინფორმაციით და უტ-
ყუარი წერილობითი წყაროებით. ისტორიის მამა კარგად იცნობდა
ირანის საზოგადოების ცხოვრებას დარიოს I-ის აღზევების წინა ხანა-
ში, მის გამეფებას და პოლიტიკურ საქმიანობას, ინტრიგებს ირანის სა-
მეფო კარზე დარიოსის გარდაცვალების შემდეგ და სხვა. ამიტომ
ზოგიერთი უზუსტობისა და ფოლკლორული გადახრების მიუხედავად,
პეროდოტეს ზემოაღნიშნულ ცნობებს, როგორც წყაროს, ფასდაუდებ-
ელი მნიშვნელობა აქვს ძვ. წ. VII—V სს. ირანისა და მისი პოლი-
ტიკური გავლენის ქვეშ მყოფ ხალხთა ისტორიის შესასწავლად.

1. პოლიტიკური გადატრიალებები ირანში ძვ. წ. VI ს. შიორი ნახმვარში

პეროდოტეს ცნობათა შორის ირანის სახელმწიფოს შესახებ, რო-
გორც საისტორიო წყარო, განსაკუთრებით საყურადღებოა გადმოცემა,
რომელშიც მოთხრობილია შიდიელი მოგვების მიერ სპარსეთის ტახ-
ტის ხელში ჩაგდების, შიდი სპარსელი დიდგვაროვნის მიერ მოგვე-
ბის ძალაუფლების დამნობისა და ამის მომდევნო ამბები. პეროდო-

ტეს თანახმად, მოგვთა შეთქმულების გახსნის შემდეგ ამ შეიღმა სპარსელმა წარჩინებულმა (მათ შორის იყო დარიოს ჰისტასპესის ძე), თათბირი გამართა, რომელზედაც სამმა თავკაცმა — დარიოსმა, მეგაბიძოსმა და ოტანესმა — წარმოთქვა სიტყვა იმის შესახებ, თუ რომელი პოლიტიკური წყობა მიიჩნდა მომავალში ირანის სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმად. ამათგან ერთ-ერთი უპირატესობას აძლევდა ხალხის მმართველობას, მეორე — მცირეთა მმართველობას, ხოლო მესამე — დარიოსი — მონარქიას.

როგორც ფიქრობენ, ამ სამი წარჩინებულის სიტყვებში აირეკლა ირანის ზედაფენაში არსებული სამი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელთაგან საბოლოოდ გამარჯვება წილად ხვდა არისტოკრატიული ზედაფენის წარმომადგენლის დარიოს I-ის შინაპოლიტიკურ ორიენტაციას — ერთპიროვნულ მმართველობას. ჰეროდოტეს მიერ შემონახული ეს საისტორიო ტრადიცია ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრის ირანში მომხდარი პოლიტიკური გადატრიალებების შესახებ იმით იმსახურებს საგანგებო ინტერესს, რომ აქ გადმოცემული ფაქტები დასტურდება დარიოს I-ის წარწერებითაც. სახელდობრ, ჰეროდოტეს მონათხრობი. თითქმის ყველა არსებით მომენტში, შეესაბამება ბეჰისტუნის წარწერაში დატულ ცნობებს თეითმარქვია მოგვის (გაუმბათს) შეთქმულების შესახებ. შენიშნულია ისიც, რომ ჰეროდოტეს მიერ გადმოცემული შვიდი წარჩინებული სპარსელის სახელებიდან ექვსი ზედმიწევნით ემთხვევა ბეჰისტუნის წარწერაში მოხსენიებული მოგვის წინააღმდეგ გამოსულ დიდგვაროვანთა სახელებს, ხოლო სამი მათგანის მიერ წარმოთქმული სიტყვების ისტორიული რეალობა, სხვა მონაცემებთან ერთად, მტკიცდება მათი შედარებით დარიოს I-ის სამარხის ე. წ. ნახში-ი-რუსტამის-წარწერასთან, რომლის დიდი ნაწილი დარიოსის ერთპიროვნული მმართველობის აპოლოგიას წარმოადგენს (იხ. В. В. Струве, Геродот и политические течения в персии эпохи Дария I.—ВДИ, 1948, № 3, с. 12—36).

[„ისტორიის“ წ. III, § 60—66 ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ სპარსეთის მეფის კამბისესის (კიროსის ძის) ეგვიპტეში ყოფნის დროს მის წინააღმდეგ ამბობდა ორი ძმა, მოგვები; მათ შორის ერთ-ერთი კამბისესმა დატოვა თავისი სასახლის მზრუნველად. მოგვებმა განიზრახეს სამეფო ხელისუფლების ხელში ჩაგდება. ერთი ძმა შესახედავად ძალიან ჰგავდა კამბისესის ძმას სმერდისს (კიროსის ძეს), რომელიც თვით კამბისესმა მოაყვლევინა. სახელიც ამ მოგვს იგივე ერქვა, სმერდისი, აჰ, ეს კაცი დაჟდა ირანის სამეფო ტახტზე და თავი კიროსის ძედ გამოაცხადა. როგორც კი ეგვიპტეში მყოფმა კამბისესმა ეს ამბავი შეიტყო, იგი უშალ ირანს გაემგზავრა. მაგრამ გზაში გარდაიცვალა, ამან უფრო განამტკიცა მოგვების ძალაუფლება].

შემდეგ ჰეროდოტე განაგრძნობს*:

* ჩვენს მიერ გამოყენებული ბერძნული ტექსტის გამოცემებისა და თ. ყაუხჩი-შვილის მიერ შესრულებული ქართული თარგმანის შესახებ იხ. ზემოთ.

III, 67... „ხოლო კამბისესი რომ დაიღუპა, მოგვი უშიშრად მეფობდა იმ 7 თვეს, რომელიც კამბისესს დააკლდა მეფობის 8 წლის შესრულებამდე. ამ ხნის განმავლობაში (მოგვმა) ყველა თავის ქვეშევრდომს ბევრი კარგი საქმე გაუკეთა, ისე რომ, მისმა სიკვდილმა ყველა აზიელი დიდად დაამწუხრა, გარდა თვითონ სპარსელებსა. მოგვმა ხომ ყველა ხალხს, ვისაც კი მართავდა, დაუგზავნა კაცები და შეუთვალა, რომ ისინი თავისუფალნი არიან სამხედრო სამსახურისა და ხარკისაგან სამი წლის განმავლობაში“.

III, 68. „მან ეს გამოაცხადა მაშინვე, როგორც კი ძალაუფლება იგდო ხელთ, ხოლო მერვე თვეზე მისი ამბავი ამნაირად გამოჰქლავნდა: ოტანესი იყო ფარნასპესის შვილი, წარმოშობითა და შეძლებით ერთი პირველი სპარსელთაგანი. ამ ოტანესს პირველს შეეპარა ექვი იმაში, რომ მოგვი კიროსის ძე სმერდისი კი არ არის, არამედ ვილაცა სხვაა. ეს იმის მიხედვით დასკვნა, რომ მეფე არასოდეს გამოდიოდა ციხე-სიმაგრეიდან და წარჩინებულ სპარსელთაგან არავის უძახდა თავისთან...“.

III, 70. „ხოლო ოტანესმა მიიყვანა ასპათინესი და გობრიესი, წარჩინებული სპარსელები, რომელთაც ის განსაკუთრებით ენდობოდა და უამბო მათ მთელი ეს ამბავი. მათ თვითონაც ჰქონდათ ექვი, რომ ასეა საქმე და ოტანესის მოტანილი ამბავი დაიჭერეს. მათ გადაწყვიტეს, რომ თითოეული მათგანი შეიამბანაგებს ერთ სპარსელს, ვისაც ის განსაკუთრებით ენდობა. ოტანესმა შემოიყვანა ინტაფერნესი, გობრიესმა — მეგაბიძოსი, ხოლო ასპათინესმა — ჰიდარნესი, ისინი რომ ექვსნი გახდნენ, სუსაში სპარსეთიდან მივიდა დარიოსი, ჰისტასპესის ძე; მისი მამა ხომ სპარსეთში მეფისნაცვალი იყო. როდესაც ის მივიდა, ამ ექვსმა სპარსელმა გადაწყვიტა, დარიოსიც შეეამბანაგებინათ“.

III, 71. „ესენი შვიდნი რომ იყვნენ, შეიკრიბნენ, ერთმანეთს სიტყვა მისცეს და ერთგულება შეჰფიცეს“...

III, 76. „ხოლო შვიდმა სპარსელმა, რომლებმაც გადაწყვიტეს მაშინვე დასხმოდნენ თავს მოგვებს და ეს საქმე არ გადაედოთ, ილოცეს ღმერთები და გამოვიდნენ“...

[როდესაც იმ ციხე-სიმაგრის კარიბჭეს მიადგნენ, სადაც მოგვები იმყოფებოდნენ] III, 77... „მოხდა ისე როგორც დარიოსი მოელოდა: დარაჯები მოწინებით შეხვდნენ სპარსელ წარჩინებულებს, მათგან არაფერ საეჭვოს არ მოელოდნენ, გაატარეს ღვთაებრივი შთაგონებით და არავის უკითხავს არაფერი. შემდეგ, როდესაც შევიდნენ ეზოში, შეხვდნენ საჭურისებს, რომელთაც (მეფესთან) ცნობების მიტანა ევალებოდათ. საჭურისები შეეკითხნენ სპარსელებს, რისთვის მოსულხართო, ისინი თან ამათ ეკითხებოდნენ და თან კარისმცვე-

ლებს ემუქრებოდნენ, რად გაატარეთ სპარსელებიო. როდესაც ამ შვიდმა მოინდომა წინ წასვლა, საჭურისებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. სპარსელებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში, იძიეს სატყვეები, საჭურისები, რომლებიც უძალიანდებოდნენ, ადგილზე დაკლეს და თვითონ სირბილით შეცვივდნენ მამაკაცთა დარბაზში“.

III, 79. „მოგვები დაბოცეს და თავები დააქრეს, ხოლო თავიანთი დაჭრილები იქვე დატოვეს... ხოლო ხუთი მათგანი, ხელში მოგვების თავებით, გარეთ გამოვარდნენ, ყვირილი და ხმაური ატეხეს. სხვა სპარსელებს დაუძახეს, უამბეს, რაც მოხდა და თავები უჩვენეს. ამასთანავე კლავდნენ ყველა მოგვს, ვისაც კი გადაეყრებოდნენ“...4.

III, 80. „როდესაც შფოთიანობა დაცხრა და ხუთ დღეზე მეტი გავიდა, მოგვების წინააღმდეგ ამბოხებულმა სპარსელებმა ითათბირეს სახელმწიფოებრივი საქმეების შესახებ. მათ მიერ წარმოთქმული სიტყვების მიმართ ზოგიერთი ელინი უნდობლობას იჩენს, მაგრამ ეს სიტყვები მართლა წარმოთქვეს. ოტანესმა გამოაცხადა სახელმწიფოს მართვაში ყველა სპარსელი უნდა მონაწილეობდესო. მან თქვა... „ჩემი აზრით, უნდა მოვსპოთ ერთმმართველობა და გავაძლიეროთ ხალხის მმართველობა. რადგან სიმრავლე ყოვლისშემძლეა“.

III, 81. „ხოლო მეგაბიძოსმა ბრძანა, მცირეთა მმართველობას მიეწოდოთო. მან თქვა: „რაც ოტანესმა ილაპარაკა ტირანიის მოსპობის შესახებ, მეც იმასვე ვიტყვი; ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ძალაუფლება ხალხს გადაეცეს, აქ ის თავის სწორ აზრს ასცდა, რადგან არაფერია უფრო უკუთუნი და თავნება, ვიდრე უსრგებლო ბრბო. ...ვისაც სპარსელებისათვის ბოროტება უნდა, იმათ შემოგვთავაზონ მათი (ხალხის — მ. ო.) მმართველობა, ჩვენ კი ამოვარჩევთ საუკეთესო ადამიანთა ჯგუფს და მათ გადავცემთ ძალაუფლებას. ჩვენ თვითონაც მათ შორის ვიქნებით“...

III, 82. „შესამედ დარიოსმა წარმოთქვა სიტყვა. მან თქვა. — ... „ერთი ღირსეული კაცის მმართველობაზე უკეთესი არაფერი შეიძლება იყოს, რადგან კარგი აზრების გამოყენებით ის უნაკლოდ უპატრონებს ხალხს“...

[ამ შვიდ წარჩინებულ სპარსელთაგან საბოლოოდ ირანის სამეფოს სათავეში ჩაუდგა დარიოს ჰისტასპესის ძე].

III, 88. „ასე მიიღო დარიოს ჰისტასპესის ძემ მეფობა და აზიასში ყველა (ხალხი), გარდა არაბებისა, მისი ქვეშევრდომი იყო. (აზიის) ეს ხალხები ჭერ კიროსმა დაიმორჩილა და შემდეგ კამბისესმა. ხოლო არაბები არასოდეს დაუმონებიათ სპარსელებს, ისინი სპარსელთა მეგობრები გახდნენ მას შემდეგ, რაც კამბისესი გაატარეს ეგვიპტისაკენ, რადგან არაბთა ნებადაურთველად სპარსელები ეგვიპტეში ვერ შევიდოდნენ“.

ირანის მიერ დამორჩილებულ ქვეყნებში მტკიცე მმართველობის შემოღებას ჰეროდოტე დარიოს I-ს მიაწერს, რაც სავსებით დასტურდება ეპიგრაფიკული ძეგლებითაც. ჰეროდოტეს თანახმად, დარიოსის მიერ დაწესებულ სისტემას საფუძვლად ედო მთელი იმპერიის დაყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად — სატრაპიებად. ისტორიის მამა ასახელებს ოც სატრაპიას, მათ შემადგენლობაში შემავალ ირანის სახელმწიფო მმართველობის ქვეშ გაერთიანებულ მრავალრიცხოვან ხალხს და მათზე დაწესებული ხარკის რაოდენობას. ამ ცნობების შედარება დარიოს I-ის სამარხის (ე. წ. ნახში-რუსტამის-ნ) წარწერასთან, რომელშიც მოცემულია აგრეთვე დარიოსის მიერ დამორჩილებული ქვეყნების აღწერილობა, მოწმობს რომ სატრაპიათა ის ნუსხა, რომელიც ჰეროდოტეს აქვს დაცული, გამოირჩევა დიდი სიზუსტით და სისრულითაც. აღნიშნული გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ჰეროდოტეს ეს ცნობები მომდინარეობს სპარსული ოფიციალური, დოკუმენტური მონაცემებიდან, რომლებითაც ავტორს უსარგებლია იონიური წერილობითი წყაროების მეშვეობით.

ჰეროდოტეს ამ აღწერილობაში დაცულია ძვირფასი ცნობები არა მხოლოდ ირანის სახელმწიფო მმართველობის, არამედ ახლო აღმოსავლეთის ხალხების განსახლების საზღვრების, ირანთან მათი ურთიერთდამოკიდებულების, მათი პოლიტიკური წყობის, ეკონომიკური მდგომარეობისა და სხვათა შესახებ.

საოცარი სიზუსტით და დიდი მეცნიერული ღირებულებით გამოირჩევა ის ცნობებიც, რომლებშიც აღწერილია არაბების, ეგვიპტის მეზობლად მოსახლე ეთიოპელების, ასევე კოლხებისა და მათ ჩრდილოეთით, კავკასიის ქედამდე მცხოვრები ტომების ურთიერთობა ირანთან ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარსა და ძვ. წ. V ს. პირველ ნახევარში. ცნობებიდან ირკვევა, რომ ახლო აღმოსავლეთისა და შავიზღვისპირეთის იმ ხალხებს შორის, რომელთაც შეეხო ირანის პოლიტიკური ბატონობა, მხოლოდ კოლხები (მათ ჩრდილოეთ მეზობლებთან ერთად), ეთიოპელები და არაბები არ იყვნენ შეყვანილი სატრაპიებში და მეხარკეთა სიებში. ჰეროდოტეს თანახმად, მათ თავის ნებით აღიარეს აქემენიდთა ძალაუფლება და ნებაყოფლობით დაიწესეს მათთვის საჩუქრების მიტანა. აღნიშნულმა ხალხებმაც არც იმ საყოველთაო აჯანყებაში მიიღეს მონაწილეობა, რომელმაც დარიოსის მეფობის პირველივე წლებიდან მოიკვა ირანის თითქმის მთელი იმპერია. ასეთ ვითარებაში კოლხების, არაბებისა და ეთიოპელების

მშვიდობიანი და ნებაყოფლობითი დამოკიდებულება სპარსელთა მიმართ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებდა და დარიოსის მიერ განიხილებოდა როგორც მეგობრობა, — მოკავშირობა (იხ. В. В. Струве, Датировка Бехистунской надписи. — ВДИ, 1952, № 1, с. 42). მოკავშირობა კი, თავის მხრივ, ამ ხალხს უქმნიდა გარკვეულ პრივილეგიურ, შეღავათიან პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს სტატუსი განაპირობებდა მათი გადასახადის სახეობასაც (ძღვენი და არა ხარკი).

გადასახადების და საგამგეო ერთეულების დაწესების დროს ირანის სამეფო ხელისუფლება ითვალისწინებდა როგორც მის მორჩილებაში მყოფი ხალხების პოლიტიკურ მდგომარეობას და მათ დამოკიდებულებას სპარსელებისადმი, ისე მათ რიცხოვნობივ და ეთნიკურ შემადგენლობას, მათი განსახლების საზღვრებს, მათ ეკონომიკურ შესაძლებლობას (ბუნებრივ რესურსებს და სხვ.).

ჰეროდოტე მოგვითხრობს:

III, 89... (დარიოსმა) „სპარსელთა (საბრძანებელი) დაჰყო 20 საგამგებლოდ, რომლებსაც თვითონ სპარსელები უწოდებენ სატრაპიებს⁸. საგამგებლოებად რომ დაჰყო და სათავეში გამგებლები დაუყენა, დააწესა ხარკი ცალკეული ხალხის მიხედვით⁷. ამ ცალკეულ ხალხს მიაწერა მათი მეზობლებიც. ხოლო ამათზე უფრო მოშორებით (მცხოვრებნი) ზოგი ერთ ხალხთან გაანაწილა, ზოგიც — მეორესთან. საგამგებლოების მიხედვით ყოველწლიური ხარკის გადახდა მან ასე განსაზღვრა: ისინი, ვისაც ხარკი ვერცხლით უნდა გადაეხადათ, იხდიდნენ ბაბილონური ტალანტის საზომით, ხოლო ოქროთი (გადაამბდელნი) ევბეური საზომით იხდიდნენ⁸. ბაბილონური ტალანტი უდრის 78 ევბეურ მნას. კიროსისა და შემდეგ კამბიზისის მეფობის დროს არაერთი განსაზღვრული გადასახადი არ ყოფილა დაწესებული. მაშინ მეფეებისათვის საჩუქრები მიჰქონდათ (ქვეშევრდომებს)⁹. ხარკის დადგენისა და სხვა მისი მსგავსი ღონისძიებების შემოღებისათვის სპარსელები დარიოსს მეწვრილმანეს უწოდებდნენ, კამბიზესს — უფალს, კიროსს კი — მამას. ეს იმიტომ, რომ დარიოსი ყოველგვარ საქმეში გამორჩენას ეძებდა, კამბიზისი მკაცრი იყო და უყურადღებო, კიროსი კეთილი და ყოველმხრივ მათზე მზრუნველი.

III, 90. იონიელების, აზიელი მაგნესიელების, ეოლიელების, კარიელების, ლიკიელების, მილიებისა და პამფილიელებისაგან (რადგან ყველა ამათ ერთად ჰქონდათ ხარკი დაწესებული) შემოდიოდა 400 ტალანტი ვერცხლი. ეს იყო დარიოსის მიერ დაწესებული პირველი სატრაპია¹⁰. მისიელების, ლიდიელების, ლასონიების, კაბალიელებისა და ჰიტენეელებისაგან (შემოდიოდა) 500 ტალანტი. ესაა მეორე სატრაპია. ჰელესპონტის მცხოვრებთაგან, რომლებიც სახლობენ ამ ზღვის

შესასვლელის მარჯვენა მხარეს, ფრიგიელებისა და თრაკიელებისაგან, რომლებიც აზიაში არიან, პაფლაგონელებისა, მარიანდინებისა და სირიელთაგან 360 ტალანტი იყო გადასახადი. ესაა მესამე სატრაპია¹¹. კილიკიელთაგან მოდიოდა 360 თეთრი ცხენი (წლის ყოველ დღეზე თითო ივარაუდებოდა) და 500 ტალანტი ვერცხლი. აქიდან 140 ტალანტი იხარჯებოდა კილიკიის ქვეყნის დამცველ ცხენოსანთა რაზმის შესანახავად, ხოლო 360 ტალანტი მისდიოდა დარიოსს. ესაა მეოთხე სატრაპია.

III. 91. ქალაქ პოსიდემონიდან (რომელიც ამფილოქოს ამფირეოსის ძემ ააშენა კილიკიისა და სირიის საზღვარზე) ვიდრე ეგვიპტემდე, გარდა არაბთა ნაწილისა (რადგან ეს დაუხარკავი იყო), ხარკის სახით შემოდოდა 350 ტალანტი. ამ სატრაპიაში შედის მთელი ფინიკია, პალესტინად წოდებული სირია და კიპროსი. ესაა მეხუთე სატრაპია¹². ეგვიპტიდან, ეგვიპტის მეზობელ ლიბიელთა ქვეყნიდან. კირენედან და ბარკედან (რადგან ესენიც ეგვიპტის სატრაპიაში ირიცხებოდნენ) დარიოსი ღებულობდა 700 ტალანტს, გარდა იმ ფულისა, რომელიც შემოდოდა მოაზისის ტბიდან იქ მოპოვებული თევზის წყალობით. ამ ფულისა და კიდევ პურის გარდა შემოდოდა 700 ტალანტი¹³. 120.000 საწყაო პური ხომ ხმარდება იმ სპარსელებს, რომელნიც ცხოვრობენ მემფისში თეთრ ციხეში და მათ დაქირავებულ ჯარს. ესაა მეექვსე სატრაპია¹⁴. სატაგიდები, განდარიები, დადიკები და აპარიტები, ერთსა და იმავე სატრაპიაში გაერთიანებულნი. იხდიდნენ 170 ტალანტს. ესაა მეშვიდე სატრაპია¹⁵. სუსელთაგან და კისიელთა დანარჩენი მხარიდან შემოდის 300 ტალანტი. ესაა მერვე სატრაპია¹⁶.

III, 92. ბაბილონიდან და დანარჩენი ასირიიდან დარიოსს შემოდოდა 1000 ტალანტი ვერცხლი და 500 დასაჭორისებული ყრმა. ესაა მეცხრე სატრაპია¹⁷. ავბატანელთაგან და დანარჩენი მიდიიდან, პარიკანიელთაგან და ორთოკორიზანტთაგან — 450 ტალანტი. ესაა მათე სატრაპია¹⁸. კასპიები, პავსიკები, პანტიმათები და დარეიტები, რომლებიც ერთად იყვნენ დახარკულნი, იხდიდნენ 200 ტალანტს. ესაა მეთერთმეტე სატრაპია¹⁹. ბაქტრიელთაგან (და...) ვიდრე ეგლეებამდე 360 ტალანტი იყო გადასახადი. ეს იყო მეთორმეტე სატრაპია²⁰.

III, 93. პაქტიიკედან, არმენიელთაგან და მის მეზობლად მცხოვრებთაგან ვიდრე ექსინის პონტომდე, დარიოსს 400 ტალანტი მიდიოდა. ესაა მეცამეტე სატრაპია²¹. საგარტიების, სარანგიების, თამანელების, უტიების, მიკებისა და მათგან, რომლებიც ცხოვრობენ მეწამული ზღვის კუნძულებზე... ყველა ამათგან ხარკი იყო 600 ტალანტი, ესაა მეთოთხმეტე სატრაპია²². საკები და კასპიები²³ 250 ტალანტს იხდიდნენ, ესაა მეთხუთმეტე სატრაპია²⁴. პართები, ხორასმელები,

სოკლები და არიები იხდიდნენ სამას ტალანტს. ესაა მეთექვსმეტე სატრაპია²⁵.

III, 94. პარიკანიები და აზიელი ეთიოპელები იხდიდნენ 400 ტალანტს. ეს მეჩვიდმეტე სატრაპიაა²⁶. მათინენბს²⁷, სასპეარებსა²⁸ და ალაროდიელებს²⁹ შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი. ესაა მეთვრამეტე სატრაპია. მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინოაკები და მარები³⁰ იხდიდნენ 300 ტალანტს. ეს იყო მეოცე სატრაპია.

III, 95. ბაბილონური ფული ეგბეურ ტალანტებზე რომ გადავიყვანოთ, 9880 ტალანტი იქნება, ხოლო ოქრო ვერცხლზე ცამეტჯერ მეტად რომ ვიანგარიშოთ, გამოვა რომ ოქროს ქვიშა 4680 ეგბეური ტალანტის ღირებულებისაა. ამრიგად, ყველაფერს რომ თავი მოვუყაროთ, დარიოსი ყოველწლიურად 14.560 ეგბეურ ტალანტს ღებულობდა ხარკად, ხოლო ამის გარდა, რაც წვრილმანი შემოსავალი იყო, იმაზე არც კი ვლაპარაკობ³¹.

III, 96. ეს იყო ხარკი, რასაც იღებდა დარიოსი აზიიდან და ლიბიის მცირე ნაწილიდან. მაგრამ გავიდა დრო და ხარკი შემოვიდა აგრეთვე კუნძულებიდან და იმ ხალხისაგან, რომელიც ცხოვრობდა ევროპაში თესალიამდე. ამ ხარკს მეფე საგანძურში ასე ინახავდა: აღნობდნენ და ასხამდნენ თიბის ქვეევრებში, ავსებდნენ კურკელს და შემდეგ შემოაქვდიდნენ მას თიხას. როდესაც კი დასჭირდებოდა ფული, ჩამოატეხინებდა იმდენს. რამდენიც ესაქროებოდა.

III, 97. აი. ესენი იყვნენ დარიოსის მიერ დაწესებული საგამგებლოები და მათზე დაკისრებული ხარკი. მხოლოდ სპარსეთის ქვეყანა არ მომიხსენებია დახარკულთა შორის, რადგანაც სპარსელებით დასახლებული ქვეყანა თავისუფალია ხარკისაგან³². შემდეგ ხალხებს ხარკი არ ჰქონდათ დაწესებული, მაგრამ საჩუქრებო კი მიჰქონდათ. ესენი არიან ის ეთიოპელები, რომლებიც ეგვიპტის მეზობლად სახლობენ და რომლებიც კამბისესმა დაიმორჩილა მაშინ, დღევანდელ ეთიოპელებზე³³ რომ ილაშქრა... (და ისინი) ვინც წმინდა ნისეს გარშემო ცხოვრობენ და უწყობენ დღესასწაულს დიონისეს... ერთნიც დამორჩენიცი ყოველ მესამე წელს იხდიდნენ და ჩვენ დრომდე იხდიან ორ ქოინიქს ბუნებრივ ოქროს, 200 ძირ შავ ხეს, ხუთ ეთიოპელ ყრმას და სპილოს 20 დიდ ეშვს. კოლხებმაც ნებაყოფლობით დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსელთა ძალაუფლება, ხოლო კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი აქვთ საზრუნავი სპარსელთა მიმართ). ამათ საჩუქრები დაიწესეს და ეს გრძელდება ჩვენს დრომდე³⁴, რომ ყოველ მეხუთე წელს გადაიხადონ 100 ყრმა და 100 ქალწული. არაბები 1000 ტალანტ გუნდრუკს იხდიდნენ

ყოველწლიურად. ესაა საჩუქრები „რომელსაც ლებულობს მეფე (სატრაპიებიდან შემოსულ) ხარკს გარდა“.

1 ბეჰისტუნის წარწერაში უზურპატორი მოგვი იწოდება გაუმატად, ხოლო კამბისის ძმა ბარდიად.

2 კამბისის გარდაცვალა ძვ. წ. 522 წ.

3 კრუსმერდისის (ანუ გაუმეტას) მიერ გადასახადებისა და სამხედრო სამსახურის გაუქმება 3 წლით იმის მაჩვენებელია, რომ კიროსისა და კამბისის დროს ეს მოვალეობანი მძიმე ტვირთად აწვა ირანის ქვეყნებში ხალხებს. გაუმეტესი მოგვის მიერ მიღებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა ამ ხალხებში არსებული უკმაყოფილების დაცხრომას და მათი ერთგულების მოპოვებას.

4 შვიდი სპარსელი დიდგვაროვანის მიერ მოგვთა ხოცვა მოხდა ჩრდილო-აღმოსავლეთ სპარსეთში (მიდის ციხე-სიმაგრე სიკაიაეთში) და არა სუსაში, როგორც ამას ვაღმოგვეცემს ჰეროდოტე. ეს ისტორიული ფაქტი ზუსტად თარიღდება ძვ. წ. 522 წლის 29 სექტემბრით.

5 არაბებში აქ იგულისხმებიან ნაბატეველთა სამეფოს არაბები. სირიის უღამნოს არაბები აღრე იყვნენ დამორჩილებული სპარსელთა მიერ.

6 დარიოსის მიერ დაწყებული ეს რეფორმები მიმართული იყო ცენტრალური ხელისუფლების მაქსიმალური გაძლიერებისაკენ, მაგრამ საგამგებლო ერთეულების ჩამოყალიბება ერთდროულად არ მომხდარა, ჰეროდოტე დაწვრილებით აგვიწერს თითოეულ სატრაპიაში შემავალ ხალხთა სიას. სატრაპიათა ჩამოთვლისას იგი ზოგჯერ ასახელებს ისეთ ხალხებს, რომელნიც დარიოსის წარწერებში საერთოდ არ იხსენიებიან (ასეთებია — კამფილიელები, მისიელები, ფრიგიელები, პაფლაგონიელები და სხვ.).

7 ჰეროდოტეს ამ ცნობებში კარგად აისახა ის ფაქტი, რომ ირანის სახელმწიფოს სატრაპიებად დაყოფა უმთავრესად ფისკალურ მიზნებს ისახავდა. ისტორიის მამა სატრაპიების ჩამოთვლისას ყველგან აღნიშნავს მათში შემავალ ხალხებზე დაწესებული ხარკის რაოდენობას. დადგენილია, რომ, როგორც ხარკის გადამხდელთა შემადგენლობა, ისე მისი ხასიათი და მოცულობა დროთა განმავლობაში დიდსა და მრავალნაირ ცვლილებას განიცდიდა.

8 ჰეროდოტეს მიერ ხარკის რაოდენობის ვერცხლით ან ოქროთი აღრიცხვა არ ნიშნავს იმას, რომ ხარკის გადახდა ყოველთვის ვერცხლის მონეტებით, ან საერთოდ ძვირფასი ლითონით ხდებოდა.

9 საჩუქრებში, რომლებიც კიროსისა და კამბისის დროს ევალებოდათ ირანის ქვეყნებში ხალხებს, იგულისხმება ერთდროული ასაკრებები და არა ადმინისტრაციული აპარატის მიერ მტკიცედ განსაზღვრული, ყოველწლიურად გადასახდელი ხარკი, რაც, ჰეროდოტეს თანახმად, პირველად მხოლოდ დარიოს I-ის დროს იქნა შემოღებული.

10 მეორე ანის სანაპიროს სატრაპია ბერძნული ქალაქებით.

11 ლიდის ადრინდელი ჩრდილოეთი პროვინციები ჰელესპონტიდან მდ. პალისის შესართავამდე.

12 თანამ. ლიბანი, სირია და პალესტინა.

13 გარდა ეგვიპტისა, ხარგის ოახისი და თანამ. ბენგაზიდან დაწყებული სანაპირო ზოლი.

14 მეფისში ჯერ კიდევ ამასისის მეფობამდე იყვნენ დასახლებული იონიელი და კარიელი დაქირავებული მეომრები.

15 პეფარის ოლქი და თანამ. ავღანეთის სამხრეთი ნაწილი.

16 ძველი ელამი სუსასთან ერთად.

- 17 თანამ. ურაცი.
- 18 ვ. ი. 'ტრუვეს ახრით, „პარიკანის“ მაგიერ აქ უნდა იკითხებოდეს „პარიკანია“ ან „ზარკანია“. ეს სატრაპია მოიცავდა ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთს.
- 19 თანამ. აზერაბიჯანი გილანის ჩათვლით.
- 20 თანამ. ჩრდილო ავღანეთა ზემო ამუდარიის ველის ჩათვლით.
- 21 თანამ. ერზერუმსა და ტრაპეზუნტს შორის მცხოვრები ტომები.
- 22 თანამ. ისფახან-ხანუმ-ი, ხილმენდის ხაზსა და სპარსეთის ყურის სანაპიროს შორის (ორმუსის სრუტემდე) მოსახლე ხალხები.
- 23 კასპიები აქ უკვე მეორედ მოიხსენიებთან (იხ. § 92).
- 24 კასპიის ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე მომთაბარე ტომები.
- 25 თანამ. სირდარიის დაბლობსა და ქერირუდის ველს შორის მდებარე ტერიტორია (ავღანეთში).
- 26 სპარსეთის სანაპირო ზოლი ორმუსის სრუტიდან ყარაჩის ოლქსა და თანამ. ბელუჯისტანამდე. პარიკანება და აზელი ეთიოპელები ირანელთა მიერ შევიწროებული დრავიდული მოსახლეობის ნაშთები იყვნენ.
- 27 მტიენებს ეკირათ თანამ. ჩორუმ-ზილე-ტოკატას სამხრეთით და დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი.
- 28 სასპეარები მოსახლეობდნენ თანამ. მდ. ქოროხის გაყოლებით.
- 29 ალაროდები ცხოვრობდნენ თანამ. ვანის, ურმიისა და სევანის ტბებს შორის.
- 30 მოსხების განსახლებას აღვილი ისაზღვრება თანამ. ტოკატ-კარახისარ-გიუმ-უშხანის რაიონში, ტიბარენებს ეკირათ თანამ. ორდუდან პონტოს მთებამდე მდებარე რეგიონი. მაკრონები, მოსინოაკები და მარები სახლობდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე თანამ. იასუნ-ბურნუდან ქ. ტრაპეზუნტამდე.
- 31 ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ჰეროდოტეს მიერ მოყვანილი ეს ციფრები ძალზე გადაჭარბებულია.
- 32 პერსიის მოსახლეობა დარიოსის დროს თავისუფალი იყო არა მხოლოდ გადასახადისაგან, არამედ სამშენებლო და სატრანსპორტო საბუჯარო სამუშაოებისაგან. სპარსელებისაგან შედგებოდა ასევე ირანის სახელმწიფო აპარატი და ჯარის პრივილეგირებული ნაწილი.
- 33 იგულისხმება ეთიოპიის სამეფოს ჩრდილოეთი ნაწილი ნუბიაში (თანამ. ასუანიდან ხალფამდე).
- 34 „ეს გრძელდება ჩვენს დრომდე“ ე. ი. ძვ. წ. V ს. შეახანებამდე.
3. ჰეროდოტე საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს აგრეთვე სპარსელთა ზნე-ჩვეულებების, სახელდობრ, ჭაბუკთა აღზრდის შესახებ. ეს ცნობები ისტორიის მამისათვის უნდა მიეწოდებინათ სპარსელი წარჩინებული გვარების ჩამომავალთ, რომელნიც ათენში ცხოვრობდნენ. ჰეროდოტეს აღნიშნული ცნობების შედარება დარიოს I-ის ნახშ-ი-რუსტამის-ნ წარწერასთან მოწმობს, რომ ბერძენი ავტორის ამ გადმოცემებში აისახა ძვ. წ. VI—V სს-ის სპარსელთა საზოგადოებაში ჭაბუკების აღზრდის ნორმები.

I, 136. „ბრძოლაში მამაცობის შემდეგ უდიდეს ვაჟაკობად ითვლება ბევრი შვილის გაჩენა. მას, ვინც ყველაზე მეტ შვილს გააჩენს, მეფე საჩუქრებს უგზავნის ყოველწლიურად, რადგან მიაჩნიათ, რომ მრავალრიცხოვნება ძალა არის. ბავშვებს 5 წლიდან 20-მდე მხოლოდ სამ რასმე ასწავლიან: ცხენოსნობას, მშვილდოსნობას და სიმართლის ლაპარაკს. ვიდრე ბავშვი არ გახდება 5 წლის, თვალით არ ანახებენ მამას, მას ქალებში აქვს ადგილი. ეს იმიტომაა, რომ თუ ბავშვი მოკვდა პატარაობაში, ამ ამბავმა მამას მწუხარება არ მიაყენოს“.

კარი მშენიღ

კველი ინდოეთი

ქველი ინდოეთის ისტორიის ამსახველი წმინდა ისტორიული ხასიათის ტექსტები ინდოეთში არასდროს არ შექმნილა. ამიტომაცაა, რომ ქველი ინდოეთის ისტორიის შესწავლისას მკვლევრები მიმართავენ ისეთი ხასიათის წყაროებს, როგორცაა ისტორიულ-ლიტერატურული, კერძოდ, რელიგიური და ეპიკური. სამართლებრივი და სხვა სახის ნაწარმოებები. ესენია ვედური და სანსკრიტული ლიტერატურა, ქველი ინდური ეპოსი და სხვ.

არიული ინდოეთის ისტორიული განვითარების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვედურ ლიტერატურას (შეიქმნა დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში). ვედათაგან ალაანიშნავია რიგვედა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქველი ინდური კულტურის განვითარებაზე. მისი ძირითადი ნაწილი ეხება ინდური საზოგადოების აღრეულ პერიოდს. ვედურ ლიტერატურას განეკუთვნება აგრეთვე მოგვიანო ხანის რელიგიურ-ფილოსოფიური კომენტარები — ბრაჰმანები, არანიაკები და უპანიშადები.

სანსკრიტული ლიტერატურა მოიცავს მბატკრული და მეცნიერული ლიტერატურის მრავალფეროვან ჟანრებს — უდიდეს ეპიკურ პოემებს, ზღაპართა და იგავ-არაკთა კრებულებს, პოეტიკურ და გრამატიკულ ტრაქტატებს, პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვა სახის თხზულებებს.

ქველი ინდოეთის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიდ ეპიკურ პოემებს — მაჰაბჰარატასა და რამაიანას (ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი). პირველ ნაწარმოებში მოთხრობილია ორი უახლოესი სამეფო გვარის მტრობაზე, ხოლო მეორე პოემა ეძღვნება ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს. (მ. ანდრონიკაშვილი).

თ ა ვ ი VI

მანუს კანონები — ძველი ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლიტერატურული ძეგლი და ამავე დროს ისტორიული წყაროა. ინდური ტრადიციით ძეგლი მიეწერება ადამიანთა მოღვაწის მამამთავარს მანუს. კანონების ეს კრებული, რომელსაც ინდოეთში ზეპირი ტრადიციით გადმოცემული მორალური შეგონებები დაედო საფუძვლად და რომლის პირველ გრაფიკულ ჩანაწერებს ვარაუდობენ ჩვ. წ.-მდე II — ჩვ. წ.-ით II საუკუნეებს შორის, წარმოადგენს არა სახელმწიფოში მოქმედ კანონებს, არამედ ე. წ. მორალურ-ეთიკურ, ზნეობრივ შეგონებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ცხოვრების ნორმებს, წესს, კანონს, სანსკრიტულ ღაპარმას, რაზეც მიუთითებს ამ კანონების სანსკრიტული სახელწოდება „მანავედჰარ-მაშასტრა“ — მანუს კანონების წიგნი. წინამდებარე თარგმანი წარმოადგენს მანუს კანონების VI თავის პირველ ქართულ თარგმანს. იგი გაკეთებულია სანსკრიტულ ტექსტიდან, რომელიც მოცემულია მილერისა და კნაუერის სანსკრიტულ სახელმძღვანელოში (პეტერბურგი, 1891 წ.) (თარგმნა ე. ალექსიძემ).

§ 1. სნატაკა, ორჯერ დაბადებული, სახლის პატრონი, წესისა და ადათის მცველი, დასახლდეს ახლა ტყეში, ვნებადამცხრალი.

§ 2. სახლის პატრონი შეამჩნევს რა ნაოჭებსა და თეთრ თმას თავის თავზე, და ეყოლებათ შვილები მის შვილებს, წავიდეს ტყეში.

§ 3. დატოვოს სოფლის სანოვაგე! და საოჯახო ნივთები, წავიდეს ტყეში ცოლთან ერთად, ან დაუტოვოს ის მოსწრებულ შვილებს.

§ 4. თან წაიყოლოს საღვთო ცეცხლი, და სხვა ნივთები, რაც საჭიროა მსხვერპლშეწირვისათვის, გაერიდოს სოფელს და იცხოვროს ტყეში ვნებადამცხრალმა.

§ 5. იქ სწიროს მსხვერპლი წესის მიხედვით, განდევილთა წმინდა საკვებით, მწვანელივით, ძირეულითა და ხის ნაყოფით.

§ 6. ტანთ შეიმოსოს ტყავი ცხოველის ან ჯვალო რამე, განიბანოს დაღამებისას და გათენებისას, მუდამ ატაროს ნაწნავი, მოუშვას წვერი, თმები და ფრჩხილები.

§ 7. თავის ულუფა, რა გინდ მცირე, უწილადოს მათხოვარს, რამდენიც შეუძლია, სცეს პატივი აზრამის სტუმარს წყლით, ძირეულითა და ხის ნაყოფით.

§ 8. ხამს გაშუღმებით სწავლობდეს ვედებს, მორჩილი, კეთილ-მოსურნე, ყურადღებიანი, უბაროდეს მიცემა და უქირდეს აღება, მოზიარე ყველა ცოცხალი არსის.

§ 9. ხამს შეასრულოს აგნიპოტრა⁴ წესის მიხედვით სამ საღვთო ცეცხლზე, ყოველი ახალი მთვარის დღეს და სავსე მთვარისაჲ სა-თანადოდ.

§ 10. შესწიროს მსხვერპლი ვარსკვლავებს, პირველი ნაყოფით ყოველი ოთხი თვის დასაწყისში და აგრეთვე მორიგეობით ზამთრის და ზაფხულის მზის მობრუნების დღეს.

§ 11. ხამს მსხვერპლის წირვა წესის მიხედვით გაზაფხულისა და შემოდგომის წმინდა საკვებით განდევილთა⁵, თავისი ხელით მოკრეფილით, და აგრეთვე სამსხვერპლო კვერებით და მოხარშული ბრინჯით.

§ 12. და როს შესწირავს ღმერთებს ამ ტყის წმინდა საღვთო საკვებს, აილოს თავისთვის ნარჩენი და აგრეთვე მარილი. თავისი მოტანილი.

§ 13. შეუძლია იკვებოს მიწისა და წყლის მცენარეულით, ყვავილებით, ძირებითა და ნაყოფით წმინდა ხიდან. აგრეთვე ამ ნაყოფიდან გამოხდილი მცენარეული ზეთით.

§ 14. ერიდოს თაფლს და ხორცეულს, სოკოს. რომელიც მიწაზე იზრდება, ბჰუსტრინას, შიგრუჟასა და შლეშმატიკას ნაყოფს.

§ 15. აშვაიუჯას⁶ თვეში მიატოვოს განდევილთა საკვები, ადრე მოკრეფილი, ძველი სამოსი, მწვანილელი, ძირები და ნაყოფი.

§ 16. არა ხამს მოხნული მიწიდან ამოზრდილი. თუნდაც გადაგდებული, და არც სოფელში გაზრდილი ყვავილებისა და ნაყოფის ჰამა — თუნდაც იტანჯებოდეს (შემშლით).

§ 17. ჰამოს საკვები, მომზადებული ცეცხლზე, ან მომწიფებული თავისით; მარცვალი უნდა დაინაყოს ქვით, ან დაიღუპოს კბილებით ქვასანაყის მაგიერ.

§ 18. შეუძლია გარეცხოს ყოველდღიურად ჰურჰელი, ან მოიმარაგოს ერთი თვით, ან ექვსი თვით, ან ერთი წლით.

§ 19. შეუძლია დანაყრდეს ღამით, ან დღისით, რამდენიც შეუძლია, მეოთხე ან მერვე დროს საკვების მიღებისა⁷.

§ 20. ან იცხოვროს თვის ნათელ და ბნელ ნახევარში მთვარის მონანიების წესების მიხედვით⁸, ანდა ნახევარმთვარის ორ ბოლო დღეს ჰამოს მხოლოდ ქერის შეკამანდი, ერთ ჯერზე მომზადებული.

§ 21. ან იარსებოს მხოლოდ ყვავილებით. ძირებითა და ნაყოფით, თავისით მომწიფებულით და ჩამოვარდნილით, ვაიკანასას⁹ მოძღვრების დაცვით.

§ 22. ეგდოს მიწაზე, ან იდგას ფეხის წვერებზე მთელი დღის განმავლობაში, გაატაროს დრო ფეხზე ან დაწოლილმა, განიბანოს დილით, შუადღისას და საღამოთი.

§ 23. ზაფხულში ხუთი ცეცხლის მცხუნვარებამ დაწვას¹⁰, წვიმობის უამრავი გაატაროს ღრუბლების ქვეშ, ზამთარი სველი სამოსით და თანდათანობით გაადიდოს ასკეტური შემართების სიმკაცრე.

§ 24. განბანით დღეში სამჯერ ასიამოვნოს წინაპრები და ღმერთები და სულ უფრო და უფრო მეტი ასკეტური თავგანწირვით გამოიშროს ტანი თვისი.

§ 25. შეუშეას თავის თავში საღვთო ცეცხლი წესების მიხედვით¹¹, ძირეულითა და ნაყოფით დაკმაყოფილებული. იყოს განდეგილი ცეცხლისა და ჭერის გარეშე.

§ 26. არ იზრუნოს სიამოვნებაზე, იყოს სუფთა, ჰქონდეს მიწა საწოლად და არ იფიქროს თავშესაფარზე, ექნეს სადგომად ხის ფესვები.

§ 27. იმათხოვროს იმდენი, რაც ეყოფა თავის სარჩენად ბრაჰმანებისა და სხვა ორჯერდაბადებულ სახლის მფლობელთაგან, რომლებიც ცხოვრობენ ტყეში.

§ 28. ან სოფლიდან მოტანილი საკმელი მიირთვას მისასხამით, ხელით ან ნაფოტით. ტყეში მცხოვრებს შეუძლია აივსოს პირი რვაჯერ.

§ 29. ბრაჰმანმა, ტყეში დასახლებულმა, შეასრულოს ეს და კიდევ სხვა აღთქმები. შეგონებები ატმანთან¹² შერწყმის მისაღწევად, რაც მოთხრობილია უპანიშადებში.

§ 30. შესრულებული რიშების, ბრაჰმანებისა და სახლის მფლობელთა მიერ საღვთო ცოდნის გადიდებისა და ასკეტური თავგანწირვისა და სხეულის განწმენდისათვის.

§ 31. ანდა ჩრდილო-აღმოსავლეთით¹³ წასულმა, იაროს სულ წინ, სანამ დაეცემოდეს. იკვებებოდეს რა მხოლოდ წყლითა და ჰაერით.

§ 32. ბრაჰმანი, განთავისუფლებული სხეულისაგან ერთ-ერთი ამ თავგანწირვით, დიდებულ რიშით რომ ახასიათებთ, თავისუფალი დარდისა და შიშისაგან, გაითქვამს სახელს ბრაჰმის სამყოფელში.

§ 33. ასეთი ყოფით ცხოვრების მესამედს რომ გაატარებს, დარჩენილი მეოთხედი იხეტიალოს, გაწყვიტოს რა ყველა ამქვეყნიური კავშირი.

§ 34. აშრამიდან აშრამაში მოხეტიალე, მსხვერპლისმწირავი, დამცხრალი ვნებებით, მათხოვრობით დაუძღურებული ასკეტი ცბონდება სიკვდილის შემდეგ.

§ 35. სამი ვალის გადახდის შემდეგ ხამს მიმართოს ფიქრი საბო-

ლოო განთავისუფლებიან. ხსნის მაძიებელი, თუ ვალს არ გადაიხდის, ქვესკნელში შთაინთქმება.

§ 36. მხოლოდ ვედების რიგიანი შესწავლით, დპარმის მიხედვით ვაეების გაზრდით და გულმოდგინედ მსხვერპლის შეწირვით შეუძლია მიმართოს ფიქრი ხსნისაკენ.

§ 37. ორჯერ დაბადებული, მოსურნე ხსნისა, თუ არ ისწავლის ვედებს, არ დატოვებს შთამომავლობას და არ შესწირავს მსხვერპლს — შთაინთქმება ქვესკნელში.

§ 38. შესწირავს რა მსხვერპლს პრაჯაპატის, რომლისთვისაც გაიღებს მთელ ქონებას, შთაისახავს თავის თავში ცეცხლს¹⁴, ბრაჰმანს შეუძლია წავიდეს სახლიდან სახეტილოდ.

§ 39. ვედების მიმღევარს, ვინც არ მიაყენებს ზიანს ცოცხალ არსებას. წავა სახლიდან სახეტილოდ, მიეზღვება გასხივოსნებული სამყაროები.

§ 40. რამეთუ ორჯერდაბადებულისაგან ცოცხალ არსებათათვის არ არსებობს მცირედი საშიშროებაც კი, მისთვის, სხეულისაგან განთავისუფლებულისათვის, არსაიდან არ არის მოსალოდნელი საშიშროება.

§ 41. სახლიდან გამოსული, განდევილი, აღკურვილი განწმენდის იარაღებით, დაე, ეხეტებოდეს გულგრილი დაგროვილი, სურვილების აღმძვრელი ნივთებისადმი.

§ 42. წარმატების მისაღწევად ხამს იხეტილოს მარტომ, თანამგზავრთა გარეშე: იმის შეცნობით, რომ წარმატება მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. მიადწევს და არასოდეს იქნება მისგან მიტოვებული.

§ 43. არ უნდა ჰქონდეს ცეცხლი და ბინა. იაროს სოფელში საკვებისათვის, ხმის ამოუღებლად, გულგრილი ყველაფრის მიმართ, მტკიცე განზრახვით, დაძაბული გონებით.

§ 44. თიხის ჯამი, ხის ფესვები, ძონძები, განმარტოება და თანაბარი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ, — აი, ნიშანი განთავისუფლებისა.

§ 45. არ ისურვოს სიკვდილი, არ ისურვოს სიცოცხლე; დაელოდოს ეამს, როგორც მსახური საზღაურს.

§ 46. ფეხის გადადგმისას, მზერით მოასუფთაოს ადგილი¹⁵, შესვას წყალი სუფთა მიტკალში გადაწურული, წარმოთქვას სიტყვა: ქეშმარიტებით შემოწმებული, საქმე — ფიქრით განწმენდილი.

§ 47. მშვიდად აიტანოს ლანძღვა-გინება, არ შეიზიზღოს არავინ და არავის შეებრძოლოს ამ სხეულის გამო.

§ 48. განრისხებულს რისხვით ნუ უპასუხებს, დაწყევლილი ლოცავდეს და ქორებს ნუ გაიმეორებს¹⁶.

§ 49. პოვებდეს სიამოვნებას მხოლოდ მასში, რაც შეეხება ატმანს, გულგრილი, თავშეკავებული მიწიერი გრძნობებისაგან, სამუდამო ნეტარებისაკენ მისწრაფებული, ეხეტებოდეს ამ ქვეყანად სულ მარტოდმარტო.

§ 50. არასოდეს არა ხამს მოწყალების გამოძალვა საზარელი ამბებისა და წინასწარმეტყველების ახსნით, არც ხელზე მარჩილობითა და ვარსკვლავებზე წაქითხვით, და არც შასტრების დარიგებითა და შეგონებებით.

§ 51. არა ხამს მათხოვრობა სახლთან, რომელშიც ცხოვრობენ განდევნილები, ბრაჰმანები, ჩიტები, ძაღლები, ან სხვა მათხოვრები.

§ 52. თმამოკეცილმა, ფრჩხილებისა და წვერის გარეშე, მათხოვრის ჯამით, ჯონითა და დოქით, იხეტილოს მუდამ შორჩილმა და არ მიაყენოს ზიანი ცოცხალ არსებას.

§ 53. იყოს კურკელი მისი არა რკინისა და უზადო, გარეცხოს ის წყლით, როგორც ჩამასა, მსხვერპლშეწირვის დროს.

§ 54. სასმისი გოგრის, ზის ჯამიან თიხისა და წნული მანუმ, შთამომავალმა თვითმყოფადისა, გამოაცხადა ასკეტის სასმისებად.

§ 55. მათხოვრობა ხამს მხოლოდ ერთხელ, და არა მეტჯერ, რადგან ასკეტი, მიჩვეული მათხოვრობას, მიეჩვევა ამქვეყნიურ სიამოვნებას.

§ 56. ასკეტმა უნდა იმათხოვროს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღარ არის ბოლი, მიტოვებულია საცეცხლური, ჩამქრალია ნაღვერდალი, დანაყრებულია ხალხი, და ჯამებში ნასუფთრალია დაარჩენილი.

§ 57. ნუ ინაღვლებს; თუ არ უწყალობებენ, და წყალობაც ნუ გაახარებს. დაკმაყოფილდეს მხოლოდ საარსებო საშუალებით და უარყოს სხვა საოჯახო ნივთები.

§ 58. ხამს მუდამ თავი არიდოს მოწყალებას, რომელიც პატივისცემით არის მორთმეული, ასკეტი, თუნდაც განთავისუფლებული ამქვეყნიური კავშირებისაგან, იბორკება ამგვარი გასაკითხით.

§ 59. მცირე საკვებით, განმარტოებით დგომითა და ჯდომით, ხამს დაოკება გრძნობებისა, რომლებიც მიმართულია ამქვეყნიური სიამოვნებისაკენ.

§ 60. გრძნობათა დაოკებით, სიყვარულისა და სიძულვილის გაბათილებით, თავშეკავებით ცოცხალ არსთათვის ზიანის მიყენებისგან — ის ეშადაება უკვდავებისთვის.

§ 61. დაე, იფიქროს ადამიანთა გარდასახვებზე, რომლებიც ცოდვიან საქმეთა საზღაურია, ჯოჯობებზე და ტანჯვაზე იამას¹⁷ სამყოფელში.

§ 62. მეგობრებთან დაშორებაზე და ასევე მტრებთან ერთად ყოფნაზე, სიბერისგან დაუძღურებაზე და დასნეულებაზე.

§ 63. სულის სხეულთან გაყრაზე და მის ხელახალ დაბადებაზე ჩანასახად, მის გარდასახვებზე ათი ათას მილიონობით საშოში.

§ 64. სასჯელზე, რომელსაც მოუტანს სხეულს ადპარმა¹⁸ და საუკუნო ნეტარებაზე, რომელსაც მოუტანს დპარმისკენ გამიზნული საქმე.

§ 65. დაე, ფიქროს რელიგიური განკვრეტის საშუალებით უმაღლესი ატმანის დახვეწილ არსზე და მის ყოფნაზე მაღალ და მდებალ სხეულებში.

§ 66. მოხატულმა¹⁹ კი ხამს შეასრულოს დპარმა ცხოვრების ყველა მონაკვეთში. თანაბრად მოუქცეს ყველა ცოცხალ არსებას; ნიშანი — დპარმის საბუთი არაა.

§ 67. თუმც კი კატაკას²⁰ ნაყოფი წმენდს წყალს, მხოლოდ მისი სახელის ხსენებით წყალი არ გაიწმინდება.

§ 68. ცოცხალ არსთა დაცვისათვის ხამს მუდამ, დღითა და ღამით, სიარულისას დააკვირდე დედამიწას, მაწინაც კი, როცა სხეული იტანჯება.

§ 69. ასკეტი, რომელიც შეცნობილად ღუბავს დღითა და ღამით ცოცხალ არსებათ, მათი ცოდვისგან განწმენდისათვის, განბანვისას ექვსჯერ უნდა იკავებდეს სუნთქვას.

§ 70. სამჯერ შეკავება სუნთქვისა ბრაჰმანისათვის, შესრულებული წესის მიხედვით, წმინდა სიტყვებისა და „ომ“ მარცვლის²¹ წარმოთქმის თანხლებით ხამს ჩაითვალოს უმაღლეს მონანიებად.

§ 71. რადგან ისე, ვით გავარჯარებულ მადანში იწვის მინარევი, სუნთქვის შეკავებისას იწვის ცოდვები გრძნობებისა.

§ 72. სუნთქვის შეკავებით იწვის მანკიერება, გულისხმიერებით — ცოდვა, განრიდებით — კავშირები გარე სამყაროსთან, ფიქრით — თვისებები, უმაღლესი არსებისათვის შეუფერებელი.

§ 73. ფიქრით შეიცნოს გაუნათლებელთათვის ძნელად მისაწვდომი თავისი სულის გარდასახვა სხვადასხვა ჯურის არსებებში.

§ 74. სათანადო შემეცნებით დაჯილდოებული არ იყოს შებოჭილი საქმეებით²²; ხოლო შემეცნებას მოკლებული საწუთროს წრიულ ტრიალს²³ დაემორჩილოს.

§ 75. ზიანის არ მიყენებით. გრძნობათა დამოუკიდებლობით, ევლური წეს-ჩვეულებებით, ასკეტური აღთქმების მკაცრი შესრულებით — აქვე მიაღწიოს იმ მდგომარეობას.

§ 76. ვისი საყრდენიც — ძვლებია, ძარღვებით შეკრული, ხორციითა და სისხლით ავსებული, კანით დაფარული, ავსუნიანი, სავსე შარდითა და განავლით.

§ 77. სიბერისა და დარდისაკენ მიდრეკილი, ტანჯული ადგილ-სამყოფელი ავადმყოფობებისა, სავსე შავბნელი ვნებებით და წარ-მავალი, — ეს სხეული ხამს მიატოვოს.

§ 78. ის, ვინც მიატოვებს ამ სხეულს, გაინთავისუფლებს თავს ამქვეყნიური უბედურებისაგან, მსგავსად იმისა, როგორც ხე გაერი-ყება მდინარის ნაპირს, ან ჩიტი ხეს.

§ 79. დაუტოვებს რა ნაყოფს კეთილი საქმეებისა მეგობრებს, ხოლო ბოროტისას — მტრებს, ფიქრის დაუხეჯების გზით მიაღწევს ის საუკუნო ბრაჰმას.

§ 80. და მაშინ, როდესაც სულიერი მდგომარეობით იქნება ის გულგრილი ყველა ნივთის მიმართ, მაშინ მიაღწევს სამუდამო ბედ-ნიერებას სიკვდილის შემდეგ და ამ ქვეყანაშიც.

§ 81. ასეთი განდგომით თანდათანობით ყველა ამქვეყნიური ჩვევიდან, განთავისუფლებული ყოველგვარი გაორებისაგან²⁴, ის იმ-ყოფება ბრაჰმაში.

§ 82. ყველაფერი ის, რაც ითქვა. დაფუძნებულია გონზე, რად-გან ვერაჲინ, ვინც ვერ შეიცნობს ატჰანს, ვერ იგემებს ნაყოფს წეს-ჩვეულებებისა.

§ 83. ხამს მუდამ იმეორებდეს ვედურ ტექსტს, რომელიც ეხება მსხვერპლშეწირვას²⁵, ღმერთებს²⁶, ატჰანს და გადმოცემულია ვედან-ტაში²⁷.

§ 84. ეს არის — თავშესაფარი უმეცართათვის, და აგრეთვე მცოდნეთათვის, ცის მაძიებელთათვის. მარადისობის მაძიებელთა-თვის.

§ 85. ორჯერდაბადებული, რომელიც ამ წესით ეწევა მათხოვ-რულ ცხოვრებას, განთავისუფლებული ამ ქვეყნის ცოდვებისაგან, მიაღწევს უმაღლეს ბრაჰმას.

§ 86. ამგვარად, თქვენთვის მოცემულია დჰარმა — ვნებადამ-ცხრალი ასკეტებისათვის, ისმინეთ ახლა ცხოვრების წესი მათთვის, ვინც უარყო ვედა²⁸.

§ 87. შეგირდს, სახლისმფლობელს, განდევილსა და ასკეტს, ამ ოთხს ცალ-ცალკე აქვს ერთი საწყისი — აშრამა სახლის მფლობე-ლისა²⁹.

§ 88. ყველა მათ, ერთიმეორის მიყოლებით, შასტრების მიხედ-ვით მიჰყავთ ბრაჰმანი, რომელიც იქცევა წესების დაცვით უმაღლე-სი მიზნისაკენ.

§ 89. მათგან ვედების წესების მიხედვით და საღვთო გადმოცე-მით, მთავარია სახლისმფლობელი, რადგანაც ის ინახავს დანარჩენ სამს.

§ 90. ისე, როგორც ყველა მდინარე ეძებს თავშესაფარს ოკეანეში, აშრამის ყველა ზინადარი პოულობს თავშესაფარს სახლის მფლობელთან.

§ 91. ორჯერდაბადებულები, რომლებიც იმყოფებიან ოთხ აშრამაში, მუდამ გულმოდგინედ უნდა ასრულებდნენ ათნიშნა ღპარმას.

§ 92. სიმტკიცე. შემწყნარებლობა, მორჩილება, არმტაცებლობა, სიწმინდე, გრძნობათა დაოკება, გონიერება, ვედების ცოდნა, სამართლიანობა და უშფოთველობა — ქმნიან ღპარმას, რომელსაც გააჩნია ათი ნიშანი.

§ 83. ბრაჰმანები, რომლებიც სწავლობენ ათნიშნა ღპარმას. და შეისწავლიან რა — ასრულებენ მას, მიაღწევენ უმაღლეს ღპარმას.

§ 94. ორჯერდაბადებული, რომელიც ასრულებს გულმოდგინედ ღპარმას ათი ნიშნით, შეისწავლის, როგორც წესია, ვედანტას, ვალებისაგან თავისუფალი, შეიძლება გახდეს სანიასინი.

§ 95. მიატოვებს რა ყველა საქმეს, გამოისყიდის ჩადენილ ცოდვებს, თავდაპირილს, ვედების კითხვით, შეუძლია იცხოვროს ბედნიერად შვილთან.

§ 96. ასე, მიატოვებს რა ყველა საქმეს, თავდადებული მხოლოდ თავისი საქმისადმი, სურვილებისგან განთავისუფლებული. განდევნობით ცოდვების განომყიდველი, — მიაღწევს ის უმაღლეს მიზანს.

§ 97. ამგვარად. მოცემულია თქვენთვის ოთხი ნაწილისაგან შემდგარი ღპარმა ბრაჰმანისა, წმინდათაწმინდა, სიკვდილის შემდეგ უბრწუნელი სამარადისო ნაყოფის მომცემი.

აწ კი ისმინეთ მეფეთა ღპარმა.

ასეა მანუს ღპარმა შასტრაში, ბჰიგუს გადმოცემულში, მეექვსე თავი.

- 1 სოფლის სანოვავე — იგულისხმება მიწის დამუშავებით მიღებული საკვები.
- 2 ცოლთან ერთად — იგულისხმება ცოლის თანხმობით.
- 3 აშრამა — განდევლის საცხოვრებელი ადგილი, განდევილობა; ერთ-ერთი საფეხური ბრაჰმანობის გზაზე. ასეთი საფეხური ოთხია: მოწაფეობა, ოქანში ცხოვრება, განდევილობა და მოხეტიალე მათხოვრობა.
- 4 აგნიპოტრა — მსხვერპლის შეწირვა ცეცხლზე; საღვთო სამსხვერპლო ცეცხლი.
- 5 გაზათხულისა და შემოდგომის წმინდა საკვები განდევილობა — საგაზათხულო და საშემოდგომო მოსაელის ველური ბრინჯი.
- 6 აშვაიუჯა — აშვიანების თვე (სექტემბერ-ოქტომბერი).
- 7 ინდოეთში საზოგადოდ მიღებული იყო საკვების მიღება დღეში ორჯერ — დილით და საღამოთი. აქ ლაჰარაკია მარხვის სხვადასხვა ვადებზე: ერთდღიან, ორდღიან ან ოთხდღიან მარხვაზე.
- 8 მთვარის მონანიება — მარხვის ერთ-ერთი სახეობა, რომლის დროსაც საკვების ჩაოღენობა იცელება იმის მიხედვით, იმატებს თუ იკლებს მთვარე.

9 ვაკანანასა — განდევილთა ცხოვრების წესების ავტორი ინდური ტრადიციით.

10 ხუთი ცეცხლის მკვნივარება — იგულისხმება ოთხი ცეცხლი, მიმართული ქვეყნის ოთხივე მხარეს და მეხუთე — მზე—ზევიდან.

11 თაში ცეცხლის შეშვება — იგულისხმება ნალევრდალის ჩაყლაპვა სამსხვერპლო ცეცხლიდან.

12 ატმანი — სული, უმალესი სული, არსი, საკუთარი „მე“.

13 ჩრდილო-აღმოსავლეთში — ტრადიციით იგულისხმება უძლეველი ქვეყანა.

14 იგულისხმება ნალევრდალის ჩაყლაპვა სამსხვერპლო ცეცხლიდან.

15 იგულისხმება ინდუისტური წესი — ადევნოს თვალი, რათა არ გაქვლიტოს ფეხით რაიმე ცოცხალი არსება.

16 აქ ნუ დააინტერესებს სოფლის ამბები.

17 იამა — სიკვდილის ღმერთი.

18 აღპარმა — ღპარმის, წმინდა წესის საწინააღმდეგო.

19 მოხატული ნიშნით, რომელიც მიუთითებს მისი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპს, ან რომელიმე რელიგიურ სექტას.

20 კატაკას ნაყოფი — ითვლებოდა, რომ ამ მცენარის თესლი წმინდაეს წყალს, და ამიტომ წყლის ქურჭელს შიგნიდანაც კატაკას დანაყილ თელს უსვამდნენ.

21 „ომ“ — საღვთო მარცვალი, რომლითაც იწყება ყველა ინდუისტური სალოცავი ჰიმნი.

22 აქ იგულისხმება განთავისუფლება კარმისაგან (წინარე ცხოვრებებში ჩადენილი ცოდვების საზღაური).

23 საწუთროს წრიული ტრიალი — იგულისხმება სიცოცხლისა და სიკვდილის მარადიული მონაცვლეობა.

24 გაორება — წინააღმდეგობათა მუდმივი ციკლი ინდურ აზროვნებაში.

25 ვედური ტექსტი, რომელიც ეხება მსხვერპლშეწირვას, ბრაჰმანები.

26 ღმერთებს — მანტრები, ვედების სალექსო ტექსტები.

27 ატმანს, — ვედანტაში გადმოცემული, უპანიშადები, ვედური ლიტერატურის რელიგიურ-ფილოსოფიური ნაწილი.

28 იგულისხმება ბრაჰმანები, რომლებმაც უარყვეს ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ არ წასულან ტყეში განდევილად, არამედ ცხოვრობენ საკუთარ სახლში თავის შვილებთან ერთად.

29 ითვლება, რომ სახლის მფლობელის აშრამა ყველაზე საპატიოა, და ამიტომ ადამიანს შეუძლია იცხოვროს საკუთარ სახლში, თავის შვილებთან, განდგომილი ამქვეყნიურ ცხოვრებას.

§ 2. რელიგიური შინაარსის ტექსტები

რიგვედა

რიგვედა ინდური კულტურის უძველესი ძეგლია, იგი თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოთი და პირველი ათასწლეულის დასაწყისით. მისი სახელწოდება ნიშნავს ჰიმნთა ცოდნას. იგი წარმოადგენს ძველი ინდური ღვთაებებისადმი მიძღვნილ კრებულს ჰიმნებისა, რომლებიც მსხვერპლშეწი-

რვის დროს სრულდებოდა. ეს ძველი უნიკალური წყაროა სხვადასხვა ხასიათის ცნობებისათვის. რიგვედის ჩვენებათა გარეშე წარმოდგენელია არა მარტო ინდური და ინდოევროპული კულტურის ისტორია, არამედ წინა აზიის ცივილიზაციათა ისტორიაც. რიგვედა ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებია ძველი ინდოევროპული ტრადიციისა; იგი ნიმუშია ე. წ. იერატიულ-საკულტო პოეზიის მაღალი სტილისა, რომლის ხასიათი ვლინდება აგრეთვე ჰომეროსის პოემებსა და ძველ გერმანიკულ ედა-ში (ძველი ინდური ენის შესწავლასთან დაკავშირებულია, როგორც ვიცით, ჩამოყალიბება ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკისა, ხოლო ვედური მითოლოგიის გათვალისწინებას ფუძემდებელი მნიშვნელობა ჰქონდა შედარებითი მითოლოგიის შექმნისათვის). რიგვედა შეიქმნა არიელების ინდოეთში მოსვლის შემდგომ. არიელები იბრძოდნენ ცხენებზემშენი საომარი ეტლებით და მათი მთავარი ღვთაება იყო ომის ღმერთი ინდრა (რიგვედაში ხშირად არის საუბარი არიელთა მიერ დასათა დაპყრობაზე, რომელთაც ისინი უწოდებდნენ დაბლებს, უცხვიროებს. უღმერთობესა და უცნაურ ენაზე მოლაპარაკეთ). არიელების შემოსვლას ინდოეთში ჩვეულებრივ უკავშირებდნენ მოქენჯოდაროსა და პარაპაში აღმოჩენილი ცივილიზაციების დაღუპვას. ამასთანავე არიებმა შეითვისეს მათი მაღალი ცივილიზაციის ზოგი მიღწევა და მათ შორის მითოლოგიური წარმოდგენები, რომელიც ვედებში აისახა. რიგვედა ვედათა შორის პირველია, იგი ეყრდნობა ადგილობრივ ტრადიციას ე. წ. შრუტის — „გაგონილს“, ის რაც ღვთაებრივი გამოცხადების საშუალებით აღიქმება (ღმერთი ამ ცოდნას იძლევა ჩვენებათა მეოხებით, რომელთა მიღება ნათელხილვით დაჭილდობულ ღვთიურ ბრძენთა და მომღერალთ, ე. წ. რიში-ებს, ძალუძთ. შრუტის ტრადიციას უპირისპირდება ტრადიცია სმრიტისა „გახსენება“, ე. ი. ცოდნა, რომელიც გადაიკემა ბსოვნით და მიეწერება სხვადასხვა ავტორიტეტულ პიროვნებებს. არსებობს ოთხი ვედა: რიგვედა ანუ ლექსთა ვედა, მაჯურევედა ანუ სამსხვერპლო ფორმულათა ვედა, სამავედა — ჰანგთა ვედა და ათარვავედა — შელოცვა-წყევლათა მაგიური ფორმულების ვედა).

რიგვედაში 1028 ჰიმნია. იგი იყოფა 10 მანდალად ანუ ციკლად. ზუსტი თარიღი ვედების კოდიფიკაციისა ცნობილი არ არის (დიდი ხნის განმავლობაში ჰიმნთა გარკვეული ჯგუფები დაცული იყო ქურუმთა წრეში მომღერალ მგოსანთა, ე. წ. რიშითა გვარებში და თაობიდან თაობაში ზეპირი გზით გადაეცემოდა). რიგვედას წერილობითი ტრადიცია არ გააჩნია, ორი ათასი წლის განმავლობაში ეს უზარმაზარი კრებული ვრცელდებოდა ზეპირად, ლექსები დაისწავ-

ლებოდნენ აბსოლუტური სიზუსტით, წარმოთქმისა და რიტმის ყველა ნიუანსის დაცვით. სწორედ ამის წყალობით არსებობს მხოლოდ ერთი ტექსტი, რომელსაც არა აქვს სხვადასხვა წაკითხვა.

პირველი ცნობა, რიგვედის ჩაწერის შესახებ ქაშირში, ეკუთვნის XI საუკუნის ავტორს — ბირუნის, მაგრამ ჩაწერის შემდგომაც, რიგვედა ზეპირად გადაიკემოდა და ამის მიზეზი ის არის, რომ ძველ მნღოეთში ლიტერატურა და მეცნიერება, პირველ რიგში, ბრაჰმანის სიტყვაა და არა ხელნაწერი. ჩვენ დროსაც კი, როგორც ათასი წლის წინათ, პანდიტები თავის მოწაფეებს რიგვედასა და სხვა წმინდა წიგნებს მხოლოდ ზეპირად ასწავლიან და მრავალი ქურუმი სრულიად ზუსტად გადმოსცემს რიგვედის ლექსებს, ან სხვა ვედებს მსხვერპლ-შეწირვის დროს, თუმცე ხშირად მათი შინაარსი არ ესმის.

რიგვედის გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული უძველესი კულტურის, რელიგიისა და მითოლოგიის შესასწავლადაც. თარგმანი შესრულებულია თეოდორ აუფრებტის მიერ გამოცემული ვედების ტექსტიდან (ბერლინი, 1955 წ.).

ჰიმნი აგნის (მანდალა 2,1)!

აგნი — რიგვედის პანთეონის ერთ-ერთი ცენტრალური ღვთაებაა, რომელსაც ორასი ჰიმნი ეძღვნება, იგია ღმერთი ცეცხლისა, ოჯახური კერისა, სამსხვერპლო კოცონისა. აგნი განეკუთვნება ინდოირანული ერთიანობის პერიოდს, მისი კულტი დადასტურებულია ავესტიაშიც, თუმცე იქ ის სხვა სახელით არის ცნობილი. შესამძებელია მიჩნეულ იქნეს საერთო ინდოევროპულ კულტადაც. რიგვედისათვის ყველაზე არსებითია აგნის რიტუალური ასპექტი — სამსხვერპლო ცეცხლი, რომელშიც ასხურებენ სამსხვერპლო სასმელს და რომელსაც თავისი აღის ენებით იგი ღმერთებთან მიაქვს. აგნის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, იყოს შუამავალი ღმერთებსა და ადამიანებს შორის, ე. ი. შეასრულოს ღვთაებრივი ქურუმის როლი. მისი მითოლოგიური ასპექტი რიტუალურთან შედარებით უფრო სუსტია. თარგმანა მ. ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა.

შენ დღისა შექთან იშვები აგნი, შენ ზუქმფინარე, შვებით
მბრწყინავი,

შენ წყალთა შიგან, შენ ქვათა შიგან, შენ ტყეთა შიგან იშვები
აგნი.

შენ ხეთა შიგან გამობრწყინდები, შენ გამოკრთები მცენარეთ
შიგან,

შენ მბრძანებელი კაცთა მოდგმისა იშვები წმინდა, ბრწყინვალე
აგნი.

შენ ჰოტარისა¹, შენ ჰოტარისა², ჟამსა განსაზღვრულს გაქვს
სამსახური,
გაქვს სამსახური შენ ნეშტარისა³, შენ ხარ აგნიდჰი⁴ ღვთის
მოსავისთვის,

შენ პარაშტარის⁵ გაქვს სამსახური, შენ აღჭვარიულ⁶ ბრძანდები
ხოლმე,
შენ ბრაჰმანი⁷ ხარ და გამგებელი, სახლისუფალი საყრდრისა
ჩვენის.

შენ ხარი ინდრა⁸ ბრძანდები აგნი, ღმერთი მძლეველი არსის
ყოველის,
შენა ხარ ვიშნუ⁹ თაყვანის ღირსი, ფართო ნაბიჯით ქვეყნის
მლაზავი,

შენა ხარ ბრაჰმა¹⁰ უნჯის მშოვნელი, შენ ხარ ღვთაება
ბრაჰმანასპატი¹¹,

სიკეთეს ყოველს შენ ანაწილებ, და პურამდჰისაც¹² შენ ხარ
მზღებელი.

შენა ხარ აგნი მეუფე ჩვენი, ვარუნა¹³ — მტკიცე აღთქმის
მიმცემი,

მიტრას¹⁴ გინმობენ სასწაულმოქმედს, როს მოგმართავენ
მსასოებელნი.

ხარ არამანი¹⁵ ღმერთი კეთილი, ვისაც ვედრებით მივინდოთ
უნდა,

შენ ანშაცა¹⁶ ხარ წყალობაუბვი, მსხვერპლშემწირველთა
შემბრალე ღმერთი.

შენ ტვაშტარი¹⁷ ხარ. მლოცველთ წენტათვის მშვენიერ ძეთა
მიმნოქებელი,

ქალნი ღვთიურნი, მოყვასნი შენნი, თავს გველებიან
მეგობარმრავალს,

ვით მერემაკე ჰუნემრავალი. ბედაურ ცხენთა არიგებ ზვასტაგს,

შენ მამაცური ძალი ხარ, აგნი. სიკეთით სავსე, კეთილმყოფელი.

შენა ხარ რუდრა¹⁸ — ასურა¹⁹, აგნი, ხარ დიდებული სული-
ციური,

ძალსა ცხოველსა განაგებ რსე. ვით მარტუათა²⁰ განაგებს გუნდი,

შენ, ზე აღავლენ მეწაპულ ქარებს, მოგვაქვს კურთხევა ოჯახურ
კერის,

შენ პუშანი²¹ ხარ და თავით შენით, ხარ მომლოცველთა შენთა
მფარველი.

შენ მათ ანიჭებ ქონებას, აგნი, ვინც შენ ერთგულად
გემსახურება,

შენ სავიტარი²² ბრძანდები, აგნი, მასავით უხვად გასცემ საუნჯეს,

მეუფევე კაცთა, შენა ხარ ბჰავა²³, მისებრ სვიანი, სიკეთით სავსე,

შენ ხარ დამცველი სახლისა მათის, ვინც შენ კეთილად
გეთაყვანება.

თავს გველუპიან სახლში შენ ისე, ვით გვიარის უფროსს
გვიარის წევრები,
ვითა მეუფეს ადვილ საპოვნელს, ვითა მბრძანებელს
ახლომყოფს მათსა
პირმშვენიერო, ბრძანებას შენსას ემორჩილება არსი ყოველი,
წინააღმომას უღგებხარ მტკიცედ, უძლებ ათასთა, ასთა და
ათთა.

შენთან, ო, აგნი, როგორც მამასთან, მოდიან კაცნი,
სურვილს განდობენ,
მსხვერპლის შეწირვით ტანგაბრწყინებულს, შენ გენუკვიან და
გთხოვენ ძმობას.

და შენ კი აგნი მოთაყვანეთა შენთა ექმნები ძედა და შვილად,
უღგებხარ მხარში ვით მეგობარი, და ფათერაქსა ააცდენ ყოველს.

შენა ხარ რიბჰუ²⁴, ხარ ახლობელი, შენ სათაყვანოდ და
ლოცვად აგნი,

შენ გამგებელი ხარ საბოძვართა, ჭამადი უხვი ხელთ არის შენთა.
აენტე, აგნი, ამობრიალდი, და აღფრთოვანდი გაცემად ნიჰთა,

შენ გაუსინჯე ჩვენს საკურთხს გემო, და გაიჟღინთე შესაწირავით.

შენ ხარ ადიტი²⁵, მსხვერპლის მწირველთა შენა ხარ აგნი
ჰოტრა²⁶, ბჰარატი²⁷,

შენ ჯაძლიერებს ქების სიმღერა, შენთვის მოძღვნილი
მლოცველთა მიერ.

შენ ბედისათვის იდა ხარ, აგნი, ვინც გაატარა ასი ზამთარი.

შენ ხარ სიკეთის უფალი, აგნი, მტერთა მომსვრელი, ხარ
სარასვატი.

შენა ხარ, აგნი, კეთილნაზარდი, შენა ხარ ძალი უზეშთაესი,
იგ სასურველი ელვა და ფერი ყველა მშვენიებას ერთბაშად
აჩენს.

შენა ხარ, აგნი, აღზევებული, ნიჰი მაღალი, მჩენელი გზათა,
შენა ხარ, აგნი, უხვი სიმდიდრე, გავრცელებული კიდითი კიდე.

შენ ადიტიებს განეკუთვნები, შენა ხარ, აგნი, ნაყოფი მათი,
თავისი პირით შეგქმნეს შორს მკვრეტო, გშობეს წმინდათა
თავისი ენით.

შენ მოგხვებიან მფლობელნი ნიჰთა, მსხვერპლმეწირვაზე
შენთან მოდიან,

მსხვერპლად სხურებულს აგემებ ღმერთებს, შენში პოვებენ
შეწირულ საკურთხს:

ყველა უკვდავი შენშია, აგნი, რომელთა ვერვინ ვერ
ეცრუება,

პირითა შენით უღებენ გემოს მათთვის სხურებულ
სამსხვერპლო სასმელს.

და მეოხებით შენით მოკვდავნიც სიტკბითი შესმენ სასმელსა
თვისას.

შენ მცენარეთა ხარ ნაშიერი, აგნი, ნაშობი მათი ხარ წინადა.

მათი მსგავსი ხარ ღიდებით, აგნი, და სიმდიდრითაჲ მათ
გატლები.

მშვენებით შენით კეთილშობილო, აღმატები კიდევაც
ლქერთებს.

როს ღიდებული ეგ შენი ძალა აქ გაიშლება სივრცითა სრულით,
გასცდება საზღვარს მიწის და ცისა, გადავა ორივე სამყაროს
იქით.

მსხვერპლის მწირველთა, ვინც უხვად აძლევს მომარაგალთ
ჯილდოდ ზროხათა ჯილდებს,

უბოძებს აგნი მშვენიერ ცხენებს, უძღვნის მათ ისე, ვით
სამკაულებს.

გვაწიე ბედსა ჩვენც და ისინიც და მოგვანიჭე მადლი, ო. აგნი,
რათა ღაღადვყოთ ჩვენც ბმითა მადლით, ვიყოთ ძლიერნი
სამსხვერპლოს ჩვენსა.

1 პოტარი I — მთავარი ქურუმის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი, სიტყვა-
სიტყვით მსხურებელი.

2 პოტარი — ქურუმი, რომელიც სომას წვეს წმენდს, სიტყვისიტყვით —
„განმწმუნდელი“.

3 ნეშტარი — ქურუმი, რომელსაც მსხვერპლშეწირვაზე მიჰყავს შემწირვე-
ლის ცოლი — „მიმყვანი“.

4 აგნიდჰი — ცეცხლის დაშნთები ქურუმი.

5 პრაშატარი — პოტარის პირველი თანამეძვე ე. წ. „ღამომღვრელი“.

6 აღჰვარიუ — ერთ-ერთი ქურუმი.

7 ბრაჰმანი — წმინდა ჰიმნების შემსრულებელი მსხვერპლშეწირვის დროს.

8 ინდრა — უზენაესი ღვთაება ქვეა-ქუხილისა და ომის ღმერთი.

9 ვიშნუ — რიგვედაში ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი ღმერთი, რომლის
მთავარი ნიშანია სამი ნაბიჯით სამყაროს გავლა.

10 ბრაჰმა — ღმერთი შემოქმედი, შემქმნელი არსთა.

11 ბრაჰმანასპატი — ლოცვისა და მსხვერპლშეწირვის მფარველი ღმერთი.

12 პურამდჰი — ღმერთი, რომელიც წარმოკვიდგება, როგორც პერსონიფიკა-
ცია სიუხვისა, სისრულისა და სურვილთა აღსრულებისა, სიტყვისიტყვით „მბოძე-
ბელი“.

13 ვარუნა — ღმერთი სიმართლისა, — მორალური კანონისა.

14 შიტრა — სოლარული ღვთაება, ღმერთი თანხმობისა და სათნოებისა კაცთა
შორის.

15 არამანი — ღმერთი სიკეთის მომცემი და ქორწინების მფარველი.

16 ანშა — ღმერთი, რომლის ფუნქციები საეხებით ნათელი არ არის, სიტყვა-
სიტყვით „წილი, ხვედრი“.

- 17 ტვამტარი — ღმერთი შემოქმედი, ოსტატი.
 18 რუღრა — ქარიშხლის ღმერთი.
 19 ასურა — „სიციოცხლის ან სისიციოცხო ძალის მქონე, „ძალი ცხოველი“, რიგვედაში ეპითეტად იხმარება. როგორც ღმერთების, ისე ღმერთების მიმართ.
 20 მარუტები — ქარიშხლის ღვთაებათა კლასი, რომელიც ელინდება ელვა-ქუხილს, ქარისა და წვიმის სახით.
 21 პუშანი — აღორძინების, აყვავების ღვთაება.
 22 საიტიარი — ღმერთი, რომელიც წარმოადგენს მზის ცხოველმყოფელი უნარის პერსონიფიკაციას.
 23 ბჰავა-ღმერთი, რომლის სახელი დაკავშირებულია სიკეთისა და მადლის განაწილებასთან, ბოძებასთან.
 24 რიბჰუ — ნახევარღმერთთა კლასი — ხელმარჩვე ოსტატები, რომლებსაც მოაქვთ ნაყოფიერება და სიმდიდრე.
 25 ღმერთქალი, დაკავშირებული კოსმოლოგიასთან.
 26 მოწოდების ქალღმერთი.
 27 მერტველებისა და გალობის ქალღმერთი.

ჰიმნი სურისას (მანდალა 1,50)

ჰიმნი ეძღვნება სურისას, მზის ღმერთს, ღვთაებას, რომელიც რიგვედაში ყველაზე კონკრეტულად განასახიერებს მზეს (შეადარეთ საიტიარი, რომელიც აგნის ციური ფორმაა). მას რიგვედაში ათი ჰიმნი ეძღვნება, მაგრამ ყველგან არ ჩანს ნათლად, საქმე მზეს ეხება, თუ მის პერსონიფიკაციას, ღვთაება სურისას, რომელიც ნაკლებად ანტროპომორფულია. იგი ღმერთია, ყოვლის მხედველი თვალია, პირველ რიგში, მიტრა-ეარუნასი. თავის ნათელს ის ყველას თანაბრად უნაწილებს. სურისას სხივებს წარმოსახვენ შეიდი ტაიქის სახით, რომელთაც მისი ერთი მიჰყავთ. სურია აკაებს ზეცას და იწოდება ბურჯად ზეცისა. იგი დაკავშირებულია ე. წ. მადლუვიდასთან, თაფლით შხამსაწინააღმდეგო თერაპიასთან; თავისი სხივებით იგი განდევნის სიბნელესა და სნეულებათ. ხშირად სურია წარმოდგენილია ფრინველის ან მფრინავი ზღარბის სახით (თარგმანა მ. ან დ რ ო ნ ი კ ა შ ე ი ლ მ ა)

მოაბრძანებენ სხივები მზესა, ყოვლისა მცნობელს¹ ღმერთსა ქურისას, რომელიც მოდის ჭერეტად ყოველთა.

და ქურდებივით ეპარებიან ცით ვარსკვლავები ღამესთან ერთად, ყოვლისა მხედველს, მზესა სურისას.

შორით მოჩანან კაცთათვის მზისა სასწაულები — სხივები მისი, მოელვარენი ცეცხლისა მსგავსად.

შენ ყველას სწორად მოეფინები, ნათელმყოფელო მზეო — სურია, და თეთრად სიერცეს შენ ასხივოსნებ.

ღმერთთა მოდგმისკენ ხარ მიქცეული, კაცთა მოდგმისკენ შემობრუნდები, მზა ხარ სამზერად ყოველთა მიმართ.

შენ ის თვალი ხარ, რომლითაც წმინდა ვარუნა განჭკრეტს საქქმეებს კაცთა², ღმერთი, რომლისთვის ხარ სახედველი.

გაივლი ფართოს სიერცესა ცისას, და გაუსწორებ დღეებს ღამეთა, მიმოიხილავ არსებას ყოველს.

გყავს შვიდი რაში ეტლში შებმული და მოგაქროლებს, მზეოსურია, ცეცხლის თმინასა, შორითა მხედველს.

შვიდს ტაიქს აბამს ეტლში სურია³, წმინდა სისხლისას, ეტლთა ასულებს, და მოაქროლებს ნებით შებმულთა.

ოდეს ვიზილავთ ნათელს უმაღლესს, მზესა აღმომხდარს უკუნეთიდან, სურიას, ღმერთსა ღვთაებათ შორის, მივალწვეთ ჩვენცა შექს უზენაესს.

ო, სათაყვანოვ მეგობარით, აღმხდომო ცასა უზეშთაესსა, მომისპე, მზეო, გულისა სენი, სიყვითლე ჩემი გაანადგურე.

თუთიყუშს დარჩეს სიყვითლე ჩემი მას დავუტოვებთ — ჩიტს როპანაქას, ჰარიდრაეებმა წაიღონ იგი⁴, სიყვითლეს ჩვენსას გადაეცემთ მათა.

ჰე, ადიტია⁵ აღმოჩნდა უკვე, და აღმობრწყინდა ძალით ყოვლითურთ, ხელს ნუ ჩაუგდებ მოძულეს ჩვენს თავს და მტრები ჩვენი ხელთ ჩვენ მოგვეცი⁶.

1 ყოვლის მცნობელი აგნის მუღმივი ეპითეტია, მაგრამ აქ სურიას მიძართ არის ნახმარი.

2 ვარუნას თვალი — მზე, სურია, ვედური მითოლოგიით ვარუნას თვალია, რომლითაც ის განჭვრეტს კაცთა საქმეებს და განსჯის ცოდვილთ.

3 შვიდი ტაიქი — „ეტლთა ასულნი“, მზის სხივები, რომელთაც სურიას ეტლი მოჰყავთ.

4 ჰარიდრაეა და როპანაქა — ყვითელი ფერის ფრინველთა სახელებია.

5 ადიტა — ადიტის შთამომავალი, სურია, ვარუნა, მიტრა და ზოგერთთ სხვა ღმერთები ღმერთქალი ადიტის შვილებად ითვლებიან, ადიტი ნიშნავს უსაზღვროებას, დაუსაბამოს.

6 ძირითადი ნაწილი ჰიმნისა წარმოადგენს ღვთაება სურიას შექებას (სტროფ. 1—10), უქანასკნელი სტროფები კი (11—13) შულოცვაა, სადაც მაქებარნი მათ შესთხოვენ განკურნებას გულის სენისა და სიყვითლისაგან და მტრთაგან მოუხელთებლობას.

ინდრას (მანდალა 1,32)

ჰიმნი ეძღვნება ინდრას, ღმერთთა მთავარს, ელვა-ქუხილის ღმერთს, რომელიც სამხედრო ძალასაც განასახიერებს და გვევლინება რაველის ყველაზე პოპულარულ პერსონაჟად. რიგვედაში მისადმი მიძღვნილია 250 ჰიმნი. ინდრას ხელთუპყრია ელვა-ქეჰის იარაღი გურუნი (ვაჟრა), რომლითაც ის ანადგურებს მრავალრიცხოვან მტრებს — დემონებს, ისინი განასახიერებენ ადამიანისადმი მტრულად განწყობილ პუნების ძალებს (მაგ., გვალვას) და აგრეთვე არიელთა მტრებს, არაარიელ ტომებს. ინდრა ჩადის მრავალრიცხოვან საგმირო საქმეებს, მარტების — ქარიშხლისა და საადრო ღრუბლების ღვთაებათა — თანხლებითა და შეზარბოშებული სომას წყენით. მისი მთავარი გმირობაა დემონი ვრიტრას მოკლა, რომელმაც გადაკეტა მდინარეთა დინება. ინდრას ეს გმირობა კოსმოგონიურ ახსნას იღებს, რომელიც ვრიტრას მოკვლით ინდრამ ჩაიღინა, მან გარდაქმნა მსოფლიო და დაამყარა მასში წესრიგი. ინდრას ეპითეტებია: ბრძენი, უხვი, ვრიტრას მკვლელი, მამაცი და სხვა. მას ევედრე-

ზიან გამარჯვებას, დიდებას, იმის მოგებას და ა. შ. (თარგმანი მ. ანდრონიკაშვილისა).

ინდრას გმირობა მსურს განვადიდო, პირველი საქმე გურზოსანისა¹, ვით მოკლა გველი, გაუშვა წყლები და გაარღვია წიაღნი მათათა.

მოსრა ურჩხული მთას მოთარეშე, ტვაშტარის² მიერ გათლილი გურზით, და ისწრაფვიან ზღვისაკენ წყლები, როგორც ფურები თავის ხბობებთან.

ვით დაეწაფა ხარივით სომას³, ორგზის გაწურულს, ტრიკადრუკაზე⁴, უხვმას ხელთ გურზი, ვითარ იტაცა, სცა გველთა პირმშოს და მოაკვდინა.

ინდრავ. როს მოჰკალ პირმშო ურჩხულთა⁵, შენ ყველა გრძნეულს აჯობე გრძნებით, მზე საჩინო ჰყავ, ცა და ცისკარი და არ ვინ იყო მეტოქე შენი.

უმხრო, ურჩხული ურჩხულთა შორის დაამხო ინდრამ დიდებულ გურზით, ვითა ხის ღერო ტოტჩამოთლილი, მიწას განართხო წამს გველუშაპი.

მან ვითა მთერალმა ავმა მებრძოლმა, აწვია გმირი სომაშესმული⁷, მტერმა აბჯარი ამაოდ სცადა, ცხვირჩამტერეული ძირს დასცა ინდრამ.

კვლავ, უხელფეხოც, ებრძოდა ინდრას, მაგრამ კეთაში მოარტყა გურზი და მხდალი ვრიტრა⁸, ხარობის მდგომი, განართხა მიწას ტანგაგლეჯილი.

დაგდებულ ვრიტრას, ვით მოჰრილ ღერწამს, ევლება მანუს მჩქეფარე წყლები, და შემოჰქვეელი დინების მათის, ამხვია, ღლეს ის იმათი ფერხით.

უკვე სულს ლაფაეს ვრიტრას მშობელიც, სცა სასიკვდილო ლახვარი ინდრამ, ქვევით შეილია, ზემოდან დედა, წევს დანუ⁹ ისე, ვით ხბოსთან ძროხა.

ჰავლთა ჩქერებით დაუდრგომელით, დაფარულია ვრიტრას სხეული, სასირცხოს მისას განბანენ წყლები, უკუნმა დანთქა მაგჰავას¹⁰ მტერი.

დასათ ცოლები¹¹ — გველის ტყვე წყლები, იდგნენ ვით ფურნი, პანის მპყრობილნი¹², გზა გასასვლელი მათი, დახშული, გაუხსნა ინდრამ ურჩხულის მოკვლით.

შენ ცხენის ძუად იქეცი მაშინ, როს გცეს კბილებში, ღმერთო და გმირო, სომაშესმული ეუფლე ძროხებს, და შეიდ ნაკადად ადინე წყლები.

მას ვერ უშველა ელვამ და ქეჰამ, ვერცა ატეხამ სეტყვის და წვიმის, ოდეს შეიბნენ ინდრა და გველი მაგჰავამ სძლია სამარადუამოდ.

ვინ მოგეჩვენა შურისმგებელად? მკვლელს გულში ვისი ადგი-
ძაა შიში? როს გადაეულე ოთხმოცდაცხრამეტს ნაკადს, დამფრთხა-
ლი არწივის დარად.

ინდრა მეუფე უძრავ-მოდრავის, რქიანთ და ურქოთ. ხელგურზო-
სანი. ვითა ხელმწიფე განაგებს ხალხებს, ვით ბორბლის სალტე გარს
ერტყმის ჭალებს.

- 1 გურზოსანი — ინდრას ერთ-ერთი ეპითეტი (ვაჟრაპაია).
- 2 ტვაშტარი — შემოქმედი, ერთ-ერთი ღვთაების სახელი.
- 3 სომა — საკულტო სასმელი და ღვთაება.
- 4 ტრიკადარუკა — ღვთაება სომასადმი მიძღვნილი დღესასწაული.
- 5 უხვი — ინდრას ერთ-ერთი ეპითეტი.
- 6 პირმშო ურჩხულთა — ურჩხული ვრიტრას ეპითეტი.
- 7 გმირი სომაშესმული — ინდრა ცნობილია, როგორც სამსხვერპლო მათრობე-
ლა სასმელის სომას მოყვარული და უზომოდ მსმელი.
- 8 ვრიტრა — სიტყვასიტყვით „ჩამკეტი“ — ვინც წყალთა დინება გადაკეტა.
ხარობის მდომი — ვინც ხარობა ე. ი. ინდრობა მოინდომა.
- 9 დანუ — ღმერთ ვრიტრას დედა.
- 10 მაგაკაე — ინდრას ეპითეტი.
- 11 დასათა ცოლები — წყლები. რომლებიც ვრიტრამ დაატყვევა.
- 12 პანის ძროხები — ღმერთ პანის მიერ დატყვევებული და გამოქვაბულში
დაწყვედული ფურები, რომლებიც ინდრამ გაათავისუფლა.

ჰიმნი უშასს (მანდალა 1,124)

უშასი განთიადის ღვთაებაა, ცისკრის ვარსკვლავი. უშასი წარმოდგენილია
ბრწყინვალე სამოსით შემოსილი, მშვენიერი ქალწულის სახით, იგი მზის ამოსვლამ-
დე გამოდის აღისფერცხენებზელი მოვლვარე ეტლით, აღებს სიბუნელის ბჳეთ და
აღვიძებს მძინარეთ. უშასთან დაკავშირებულია ციურ მოვლენათა გარკვეული რე-
გულარობა, იგი ცხოვრობს მყარ მთაზე, ზრუნავს გზებზე, მფარველობს მომღერ-
ლებს; ცის ასულია. ღმერთთა დედაა და ძროხათა გამჩენი. უშასი წარმოადგენს რი-
გველის პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ სახეს, მისადმი მიძღვნილ ჰიმნებს
ახაიათებს საკმაოდ მარტივი ენა, სიუხვე ეპითეტებისა და პოეტურობა.

წარმოდგენა პერსონიფიკირებულ ცისკრის ვარსკვლავზე დამახასიათებელი ნი-
შნების რიგით ცნობილი იყო სხვა ინდოევროპული ხალხებისათვისაც. შდრ. ბერძნუ-
ლი ეოს, ლათინური ავრორა და სხვა. თუ გავითვალისწინებთ ეტიმოლოგიურ კავ-
შირს, უშას — ეოს — აერორა შესაძლებელია აღდგეს სათანადო ინდოევროპული
მითოლოგემა მთიებისა (თარგმნა მ. ანდრონიკაშვილმა).

ცეცხლის გზებისას¹ გამოაშუქა უშასმა, ტუორცნა სხივნი სუ-
რიამ², და სავიტარმა³ აღძრა სულდგმულნი, უჩინა საქმე ოთხფერხთ
და ორფერხთ.

აღმსრულებელმა აღტყმის ღვთიურის, დამაქცეველმა მანუს
მოდგმისა⁴, წარმავალთ შორის უკანასკნელმა, უპირველესმა მომა-
ვალთ შორის⁵, მთიებმა ისევ გამოანათა.

კვლავ გამობრწყინდა აღმოსავლეთით, ასული ცისა⁹ სხივშემოსილი, გზითა მართლითა რიგზე მავალი, გეზის ყოველის წინასწარ მცნობი.

გახსნა გულშეკრდი ვითა დიაცმა, და საჩინო ჰყო მშვენება თვისი, ვით ბუზმა მძინართ გამღვიძებელმა, უწინარესმა კვლავ მოსულთ შორის.

აღმოსავლეთით უკუნის ბნელის ზრობის გამჩენმა⁷ გაშალა დრო-მა⁸, მოიცვა სივრცე სიგრძით და განით, და აღმოავსო წიაღი მშობლის⁹.

მოჩანს პირველი მრავალთა შორის და არ ეკრძაღვის არც თვისს, არც უტხოს,

კეკლუცობს ბრწყინვით უზადო ტანის, არ ემალება არც დიდს, არც მცირეს.

ვით უძმო¹⁰ ასულს მამაცთ წინაშე, საუნჯისათვის საჯაროდ მროკველს¹¹, ვით მორთულ დიაცს, ქმრისა მოსურნეს უშასს შიშველი მოუჩანს შეკრდი.

დამ გზა დაუთმო თავის დას უფროსს, მასაც შორდება ვით კვლავ მოსასვლელს, აელვებულა მზისა სხივებით, ვითა საცხებლით სიძვის დიაცი.

დღესა მრავალსა დათაგან თვისთა, წინამავალსა უკან მიჰყეება, დე, ვითარ უწინ, ცისკრის ვარსკვლავნი, აწცა სიკეთით გამოგვიბრწყინდნენ.

გამოათხზილუ მბოძებელნი, უშასო უხვო. იძინონ ძილი უღვიძარი ძუნწთა და ძვირთა,

უხვთა ხეასტაგი აღუბრწყინე, უხვად გამცემო,
უნჯი ეც მქებელს, მალვიძარო, დიდსულოვანო,

აღმობრწყინდება აღმოსავლით ასული ნორჩი,
ყევარსა თვისსა აღისფერთა ფურთა შემბმელი¹²,
ააფრიალებს ალამს თვისსა, იელვებს წამით,
აღაგზნებს ცეცხლსა საყუდართა და სახლთა ჩვენთა.

რაწამს იელვე, მყის აფრინდნენ ჩიტები ბუდით,
და კაცნიც მყისვე წარბდენ ჰამად, ჰამადის თვისის,
სახლეთლათვის შენ მდიდარი მოგაქვს საუნჯე;
უშასო, ღმერთო, უბოძებდე მლოცველთა მენთა.

ლოცვები ჩემი ქებად თქვენდა, ქებისა ღირსნი,
გექმნეთ სიმაგრედ, ო, მთიებნო, კეთილმყოფელნო,
შეწივნით თქვენით, ღვთაებანო, გვსურს მივალწით
ჩვენ მეთათსეს და მეთასეს ნიჰსა და ჯილდოს.

¹ ცეცხლის გზებისას — (ვედ. ამიდაჰნეაგნაუ) გათენებისას, როცა კერაზე ცეცხლს ანთებენ.

- 2 სურია — მზის ღმერთი, რომელსაც უშასი გზას უხსნის.
- 3 სავიტარი — მზის ღმერთის (მისი ცხოველყოფილი ძალის) პერსონაჟი-
ცია.
- 4 მანუს მოდგმა — მანუს, პირველი ადამიანის, შთამომავლობა.
- 5 უპირველესმა კვლავ მოსულთ შორის — პირველი კონკრეტული მთიები, რომელსაც მიმართავს პოეტი და საუკეთესოდ აცხადებს ერთმანეთის შეპყვლულ ცი-
კრის ვარსკვლავთა მწკრივში (ინდური მითოლოგიით არსებობს ერთმანეთის კორი-
გობით მცვლელი მთიებთა წყება).
- 6 ასული ცისა — უშასის მუდმივი ეპითეტი.
- 7 ზროხის გაჩენი — (გავამ ჩანირი) — უშასის ეპითეტი.
- 8 დროშა ან ალაში — უშასის მუდმივი ატრიბუტი. ვედური წარმოდგენით მზის
ამოსვლა არის გამოჩენა მშვენიერი ღმერთქალი უშასისა, რომელიც შლის თავის
ღროშას (კეტუ-ს).
- 9 და ამოავსო წიაღი მშობლის, ე. ი. მამა ზეცისა და დედამიწის.
- 10 უძმო ასული — (ინდ. აბჰრატეა) — ვისაც არა ჰყავს დამცველი მამაკაც-
თა შემოტყვისაგან.
- 11 საჭაროდ პროკველი — არენაზე, სცენაზე გამოსული.
- 12 ალისფერი ფურების შებმა — მთიების სხივებით ღრუბელთა წითლად შე-
ღებვა.

პიშნი ცასა და მიწას (მანდალა 6,70)

ვედური მითოლოგიის მიხედვით ცა და მიწა თავდაპირველად განუყოფელი იყვნენ. მათი გათიშვა და ცალ-ცალკე განმტკიცება მიეწერება ღმერთებს — ინ-
დრასა და ვარუნას, ამასთან ზეცა წარმოვიდგება როგორც მამრობითი, ხოლო მიწა,
როგორც მდედრობითი საწყისი. მამა — ზეცა და დედა-მიწა ცოლქმრული წყვილია.
რიგვედაში ხშირად ზეცა წარმოსახულია ხარის ან ულავის სახით.

გალმერთება მამა-ზეცისა და დედა-მიწის, რომლებიც ყოველი ცოცხალი მშო-
ბლებად წარმოიდგინებიან, განუკეთებია ინდოეპრობული ერთიანობის ეპოქას,
როგორც ამას მოწმობს ბერძ. დეუს პატერ, ლათინური და სხვა. მი-
თოლოგიური გათიშვა თავდაპირველად შერწყმული, ცისა და მიწისა მრავალ ტიპო-
ლოგიურ პარალელს პოეებს აგრეთვე სხვადასხვა მოდგმის ხალხების მითოლო-
გიურ წარმოდგენებში. თარგმნა მ. ანდრონიკაშვილიმ.

სიპობით სავსე, არსთა შორის სრულქმნილო წყვილო,
ფართო გაშლილო, თაფლმწითოლოვარე, კარგად შემქმელო,
ზეცავ და მიწავ, გათიშულნო ვარუნას წესით¹,
უბერებელნო და მდიდარნო თესლითა თქვენით.

უშრეტნო, უხვად მჩქეფარენო და უხვრძიანნო,
უხვად, მომცემნო სიპობისა; წმინდანო აღთქმით,
ამ სამყაროში ორივე ქვეყნის გაქეთ მეუფება,
გვაპყურეთ თესლი მანუს² მიერ დამკვიდრებული.

მოკვდავი იგი, ვინც მართალი გზისთვის გადიდებთ
აღწევდეს მიზანს, ო, საყრდენო ორივე ქვეყნისა;
ხამს აღორძინდეს თესლი თქვენი მის ნაშიერში,
და ერთი აღთქმის მიმდევართა სხვადასხვა არსში.

დაფარავს ცმელი მალლა ზეცას, ძირს დედამიწას,
ცმელით შემკულთა, ცმელით მაძღართ, ცმელით გამოზრდილთ,
დიდთა და ვრცელთა, ვინცა ჰოტარს³ პირველად ირჩევს,
მათ მოუხმობენ შორსმკვრეტელნი, მაღლის მძებნელნი.

გვასხუროს თაფლით ცამ და მიწამ. გვასხუროს ჩვენცა.
თაფლით გაყლენთილთ თაფლმწითოლვარეთ, თაფლით

მოქმედთა,
ვინც ღმერთებს მსხვერპლად დოვლათსა და ხვასტაგს შესწირავს,
ჩვენთვის დიდება, სიმამაცე, ნადავლი მოაქვს.

ცამა და მიწამ განაევრცელონ საზრდელი ჩვენი,
დედამ და მამამ ყოვლისმცოდნეთ კეთილმყოფელთა,
ორი ქვეყანა მარად უხვი, ყოვლად კეთილი
ჩვენც მოგვიტანდეს წარმატებას, ნადავლს, სიმდიდრეს.

1 ვარუნას წესით — კოსმიური რიგის (კანონის) მიხედვით, რომლის დამკველად ვარუნა გვევლინება.

2 მანუ — მითიური პირველი ადამიანი, რომელმაც პირველად ალაგზნო ცეცხლი და დააწესა მსხვერპლშეწირვა.

3 ჰოტარი — მთავარი ქურუმი.

აკშას მოთამაშე (მანდალა 10,34)

რიგვედის ჰიმნი „აკშას მოთამაშე“ თავისი მხატვრული ღირებულების გამო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარულია. იგი განეკუთვნება ე. წ. შელოცვების სახით წარმოდგენილ ჰიმნების წყებას, რომლებიც ძირითადად X მანდალაში გვხვდებიან. მას საფუძვლად უდევს მაგიური შელოცვა—აკშათა—სათამაშო კოქების (კაქლების) წინააღმდეგ, რომელსაც აქვს რიგვედისათვის უჩვეულო ბალანდ-მონოლოგის ფორმა.

ცნობილია, რომ კოქებით (კაქლებით) აზარტული თამაში ძალიან გავრცელებული იყო ძველ ინდოეთში, ამ თამაშს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინდურ ეპოსშიც (მაჰაბჰარატასა და რამაიანაში), მაგრამ თვით ტექნიკა ამ თამაშისა მთლად ნათელი და გარკვეული არ არის. ჰიმნში გადმოცემულია, ასე ვთქვათ, ლირიკული აღსარება-მონანიება უიღბლო მოაქშისა, რომელსაც თამაშში ბედი არ სწყალობს. ჩამოთვლილია მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც მას გადახდება. მისი მსხნელია მხოლოდ ღმერთი სავიტარის კეთილი რჩევა დაუბრუნდეს ოჯახს, ხვნათესავს. თვით სათამაშო კოქები — აქშები — დახასიათებულია როგორც საზარელი მაგიური სტიქია, რომელიც, ტანჯავს და აწამებს თავის მსხვერპლთ.

სალექსო საზომია ე. წ. ტრიშტუბჰ-ი ოთხი თერთმეტმარცვლიანი სალექსო სტროქონით სტროფში. თარგმან. მ. ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა.

შე ისე მათრობს ვიბჰიდაკას დიდებულ ხეზე
საყურებად დაკიდებულ კაქლების ცქერას¹,

ქარი რომ არხვეს და ჩხრიალით ღარში² ჩამოყრის,
თითქოს შემესვას თვითონ სომა მუჭავატური³.

არ მიწყრებოდა, არ მლანძღავდა ჩემი მეუღლე,
ჩემს მეგობრებსაც ეპყრობოდა ალერსიანად,
ერთი ზედმეტი კაკლისათვის გაეწირე იგი,
ერთგული ცოლი ვანაცვალე ჭირეულ აკშას.

შევძული სიდედრს, ხელს მკრავს ცოლი, აკშას მოყვარეს,
არა ჰყავს ჭირში მეოხი და თანამგრძნობელი,
გასაყიდადაც აღარ ვარგა ის ამის შემდეგ,
როგორც ბებერმა ბედაურმა ფასი დაკარგა.

სხვა იკრავს გულში მის მეუღლეს, ვინც დაემონა
ლარში მხტომ აკშებს, მოიძულეს დედ-მამამ, ძმებმა,
„— ჩვენ მას არ ვიცნობთ“ — განდგომილნი მისგან ამბობენ,
— „ო, მოგვაშორეთ, შეჰკარით და წაიყვანეთ-ო“.

როგორც გადავწყვეტ — „ამას იქით არ ვითამაშებ“
და ჩამოვრჩები მიმავალთა მეგობართ ჩემთა,
ჩამესმის ყურში წაბლისფერთა აკშათ ჩხრიალი
და ვით მიჯნური პაემანზე მათკენ ვიჩქარო.

იმედიანად სათამაშოდ მიღის მოაკშე
და თავს ამხნეებს რომ მოიგებს დღეს უეჭველად,
მაგრამ აკშები უმტყუნებენ, უწყალო ბედი
მეტოქეს მისას აჯილდოებს ბედნიერ სელებით.

ო, ეს აკშანი ეკლიანნი, კაუჭიანნი,
მოთამაშეთა დამტანჯველნი, დამმონებელნი,
თაფლცხებულივით მიმზიდველნი, მოგებულს ჯილდოს
უკან ართმევენ, ისე როგორც ბავშვი ნაჩუქარს.

სამჯერ ერგასი არის რიცხვი აკშათა ლაშქრის,
ვითა საეიტარს აქვთ კანონი გარდაუვალი,
ძლიერთა ამა ქვეყნისათა ქედს არ უბრიან,
მრისხანე მეფეც მათ წინაშე თავს ხრის მორჩილად.

ჩრხილით ქვემოთ მიგორავენ თუ ზევით ხტიან,
თვით უხელონი ხელიანებს იმორჩილებენ,
ლარში ჩაყრილი უხილავი ცის ნაპერწყკლები
გულებს დასწვავენ და თვითონ კი, ცივნი რჩებიან.

მიტოვებული მწარედ გმინავს მოაკშეს ცოლი,
შვილსა დაკარგულს დატანჯული დაეძებს დედა,
და ის კი ვალში ჩავარდნილი დაძრწის უმწეოდ,
ვინ იცის ვის კარს მიადგება ფულისთვის ღამით.

ქალის ნახვაზე მოთამაშე იწვის, იდაგვის,
სხვის ცოლს შენატრის, სხვისა სახლ-კარს და სხვისა კერას,
თვისი რაშები, წაბლისფერნი დილით შეკაზმა
და შუალამით საცოდავად ცეცხლთან დაეცა.

ვინ მეთაურობს დიდებულსა მაგ თქვენსა ლაშქარს,
ვინ არს მეუფე თქვენი გუნდის უპირველესი?
ჩემი ხელების ათივე თითს მისკენ გავიწვდი⁵
და დავიფიცებ — „არ დაეზოგავ სიმდიდრეს ჩემსას“.

მოეფი აკმას, მოხან მიწა, ნუ ითამაშებ,
დატკბი დოვლათით, დააფასე სიკეთე მისი,
აგერ ძროხები, აგერ ცოლი, მეუღლე შენი,
ამას გაუწყებს სავიტარი ჩვენი უფალი.

ო, დაგვიმოყვრდი, შეგვიბრალეთ და შეგვეწიეთ,
აგვხსენით ხიბლი, საზარელი ეგ თქვენი ჯადო,
დააცხრეთ ჩვენთვის თქვენი მტრობა და მძვინვარება,
აწ სხვა გაებას წაბლისფერთა გრძნეულ ბადეში.

ჰიმნის პირველი ნაწილი წარმოადგენს თვით მოთამაშის მონოლოგს, სადაც აღწერილია აკმათა, ე. ი. სათამაშო კაცლების, მაგიური მომხიბლაობა (სტროფი 1). ამას მოსდევს გადმოცემა ცოლთან და ნათესაებთან კავშირის გაწყვეტისა (სტროფ. I, II, III), ჩივილი უძლურებაზე აკმათა წინაშე (სტროფ. IV) და აკმების ვერაგობაზე, რომლებიც მხოლოდ წააგებინებენ; კაცლები წარმოდგენილია, როგორც მტანჯველი, საზარელი სტიქია (სტროფი. VII—IX), აზარტულად აკმას მოთამაშის უბედურებასა და უმწეობაზე (X), შემდეგ საუბარია იმ კაცთა ოჯახურ ბედნიერებაზე, რომლებიც აშკას არ თამაშობენ (XI). შემდეგ მოსდევს სტროფი ღვთაება სავიტარის რჩევით და ბოლოს ვედრება აკმებისადმი, რათა ახსნან ჯადო და დაუმოყვარდნენ მოთამაშეს.

1 მოქანავე კაკლები ს თ რ თ ო ლ ვ ა — ივულისხმება წაბლის მსგავსი ყავისფერი ნაყოფი ვიბპიდაკას ხისა, რომელიც შედარებულია მოქანავე საყურებთან.

2 ლ ა რ ი — (ინდ. ირინე) პირობითი აღნიშვნაა იმ კურკლისა ან ადგილისა, რომელშიც აკმებს ყრიან და ახტუნებენ.

3 ს ო მ ა მ უ ჯ ა ე ა ტ უ რ ი — მუჯავატი საუკეთესო სომას მცენარით განთქმული მთის სახელია.

4 ე რ თ ი ზ ე დ მ ე ტ ი კ ა კ ლ ი ს ა ს თ ე ი ს — თამაშის მოგება იმ შემთხვევაში ითვლებოდა, თუ მოგებული კაცლების რიცხვი ოთხზე იყოფოდა, „ზედმეტი“ კაკალი კი, წაგებას ნიშნავდა.

5 მ ე ა რ დ ა ე ზ ო გ ა ვ ს ი მ დ ი დ რ ე ს ჩ ე მ ს ა ს — ე. ი. ა რ დ ა გ ი კ ე რ თ (ინდ. ნა დჰანა რუნადაი), შელოცეის ფორმულა — „ალარა მაქვს არავითარი ქონება სათამაშოდ“. ამ დროს მოთამაშე იწვდის თითებს (სტროფ. XII).

ჰიმნი ვიშნუს (განმალა 1,154)

ვიშნუს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს ინდურ ღვთაებათა პანთეონში. წარმომობით იგი ადგილობრივი არაარბული ღვთაებათაგანია. მისი სახელია, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უნდა ნიშნავდეს „ყოვლის მომცველს, ყოველი მხრით გავრცობილს“. მისი დამახასიათებელი კონსმოლოგიური მოქმედებაა სამი ნაბიჯით მთელი სამყაროს გავლა და ვაზომვა, აგრეთვე სამყაროს საზღვრების დადგენა, მისი დანაწევრება და სივრცის ამოვსება. განსაკუთრებით ხაზგასმულია მისი უმაღლესი ნაბიჯის „ზენა კვალის“ მნიშვნელობა, რომელიც ხალხისთვის

დაფარულია და ზეცაში იმყოფება. ეს ნიშანი ვიშნუსი მას მკვეთრად განასხვავებს
ვედური პანთეონის ყველა დანარჩენი ღმერთებისაგან. გარდა ამისა, ის დაკავშირ-
ებულია სიუხვესთან, ნაყოფიერებასთან და მამაკურ ძალასთან (შეადარეთ უფრო
გვიანდელი ეროტიკული კულტები, დაკავშირებული ვიშნუიზმთან). ამასთან, ვიშ-
ნუ ხალხის დამცველი და კეთილისმყოფელი ღმერთია.

ტრადიციის თანახმად ვიშნუ სოლარული ღვთაებაა და განასახელებს ისიც
წრიულ მოძრაობას, რაც მტკიცდება მთელი რიგი აღწერილობებში: „საგ, ვი-
შნუს მოჭრილი თავი, რომელიც მზედ გადაიქცა“.

ბრაჰმანთა მითოლოგიაში ვიშნუ ხდება ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა-
და მას შემდეგ ჩვენს დრომდე ინდუიზმში მითოლოგიაში პირველხარისხის რიგს
ასრულებს. თარგმანა მ. ან დ რ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა.

მსურს განვადიდო ვიშნუს გმირობა, რომელმაც ქვეყნის
სივრცე გაზომა,
ზენა სამყოფი ვინც განამტკიცა¹ ფართოდ მავალმა, ნაბიჯით
სამით-
შევაქებ ვიშნუს გმირულსა ძალას, მხეცებრ სავიშის, სთებში
მოსახლის²,
ვის თავის ფართო ნაბიჯებს შორის მიუქცევია არსი ყოველი-
აღწევდეს ვიშნუს მგზნებარე ქება, ხარს ფართოდ მავალს
და მკვიდრსა მთების,
ვინც სამყოფელი შორს გავრცობილი მარტომ გაზომა ნაბიჯით
სამით.

თაფლით სავსეა სამივე კვალი დამატკობელი,
დაუძლეველის,
მას ერთს უჭირავს სამივე სოფელი ზეცა და მიწა, ყოველი არსი.
მსურს მივაშურო სანატრელ სადგურს³, ადვილს ღვთის
ერთგულ მანაცთა ტკობის
და მოყვარეთა, ფართოდ მავალის — ვიშნუს ზენა კვალს,
თაფლისა წყაროს.
გვინდა გეწვიოთ თქვენს სამყოფელში, უშმაგო ხარათა,
მრავალრქიანთა,
სითაც ნათელი გამობრწყინდება — კვალი ხარისა ფართოდ
მავალის.

¹ ვიშნუსადმი მიძღვნილ ჰიმნებში სიტყვათა თამაშის სახით ხშირად მეორდებ-
და მისი სახელის თავიკიდური მარცვალი, რომელიც თავისთავად ზმნისწინს წარ-
მოადგენს. ზენა სამყოფი ან ზენა კვალი, რომელშიც ვიშნუ, ინ-
დრა და სხვა ღმერთები ტკბებიან, იგი ბრწყინავს და ელავს და მოკვლავთათვის
მიუღწეველია.

სამი ნაბიჯით მავალი ვიშნუს მუდმივი ეპითეტია (ვიჩაყრა მანას
ტრედჰა). ისე, როგორც ფართოდ მავალი.

² „მხეცებრ სავიშში“, „მთებში მოსახლე“ — ეპითეტები, რომლებიც ვიშნუსა და
ინდრას მიმართ იხმარება.

3 „სანატრელი საღვურა“ — ივლისისმება ვიწუნს მესამე ნაბიჯი (პრიაპა თო).
4 მ რ ა გ ა ლ რ კ ი ა ნ ს ე უ მ მა გო ხარები-ვარსკვლავები.

სამიტარს (4,53)

ჰიმნი ეძღვნება ღვთაება საეიტარს, რომლის სახელი სიტყვასიტყვით ნიშნავს — გამჩენს, „ღამბადებელს“. საეიტარი აგნის — ცეცხლის — ზეციური ფორმაა. იგი მთლიანად ოქროსია (თმა, თვალეზი, ხელეზი, ენა, სამოსელი, ეტლი და ცხენეზი). ზრწყინავს იგი და თაეისი კანონით განაგებს სამყაროს, ყველა ქმნილება ემორჩილება მის აღთქმას (ე. წ. ვრატას). ის ძალიან ახლოა მზის ღვთაება სურისათან, რომელსაც ზოგჯერ ენაცვლება კიდევ. ზოგიერთ ჰიმნში იგი წარმოდგენილია სურის მამად. საეიტარი მზის ცხოველმყოფელ ძალას განასახიერებს. ინდური ტრადიციის მიხედვით იგი ამომავალი და ჩამავალი მზეა. საეიტარი ადგილობრივ ინდურ ნიდაგზე აღმოცენებული ღვთაებაა. ჰიმნის სალექსო საზომია ე. წ. ჯაგატა, რომლის სტროფი ოთხი თორმეტმარცვლიანი სტრიქონისგან ანუ პალასაგან შედგება. თარგმნა მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა.

საეიტარია ღმერთთა შორის ჩვენი რჩეული,
ბრძენსა ასურას! ჩვენ მივიჩნევთ სანატრელ უნჯად,
მადლი რომლითაც მოთაყვანედ მფარველობს იგი.
ჩვენც მოგვეფინოს, ჩვენც გეწყალობდეს ღამით ყოველით.
ბურჯი ზეცისა და მეუფე ყოველი არსის,
შორითმხედველი, შემოსილი ოქროს სამოსით,
ვინც ყოვლისმომცველ მზერით განფენს სივრცეს და აესებს,
მადლის გამჩენი საეიტარი, ღირსია ქების.

აღავსო თვისი სივრცეები ცისა და მიწის,
მსჯავრითა თვისით ხმობს და განსჯის მეუფე იგი,
განართხა მკლავნი, რომ სოფელი აამოძრაოს,
დააცხროს ღამით და კვალადვე გამოაცოცხლოს.

ო, არ ტყუედეზა საეიტარი, არსთა ყოველთა,
ოდეს გაჰყურებს, იცავს წმინდად აღთქმასა თვისას,
ის ხელსა თვისსა გაუწოდებს ყველა არსებას
და მართავს დიდ გზას, ის აღთქმითა მტკიცედ დამცველი.

საეიტარია ვინც დიდებით მოიცავს თვისით,
სამს ჰაერისას, სამს ზეცისას, სამ ნათელ სივრცეს,
სამ ზეცას დასძრავს და სამ მიწას აამოძრავებს,
დე, დაგვიფაროს, ჩვენც აღთქმითა თავისით სამით.

მადლი მადლითა ვისაც მოაქვს და ვინც გვამწვიდებს,
ვინცა განაგებს ორივესა — მდგარსაც და მჯდარსაც,
საეიტარი არს ღმერთი იგი, მან დაიფაროს

სახლები ჩვენი, სამგზის მხსნელმა გასაჰირითა.

მობრძანდეს ღმერთი და ღროუღად გვიმრავლოს სახლი,
მოგვემდეს მოღმას, საეიტარი სიმტკიცედ ჩვენდა,

შთაგვინერგავდეს დღით და ღამით ძალს სასიცოცხლოს.
გაგვამდიდრებდე ნაშეირით, გაგვამძლავრებდეს.

1 ასურა — სახელი, რომელიც რიგვედაში მთელი რიგი ღმერთებისა და დემონების აღსანიშნავად იხმარება, ავესტაში კი მისი შესაბამისი ფორმა ასურა მხოლოდ ღმერთს — უფალს — აღნიშნავს (შდრ. აკურ ი მაზდა „ბრძენი უფალი“).

2 მჭდარი და მდგარი — ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება.

მიტრასადმი (მანდალა 3, 59)

სპეციალურად მიტრასადმი მიძღვნილი, რიგვერდაში მხოლოდ ეს ერთადერთი ჰიმნი: ჩვეულებრივ, მას ეარუნასთან ერთად მიმართავენ, მაგრამ ეარუნასაგან იგი განსხვავდება სოციალური ნიშნებით: იგი თანხმობას ამყარებს როგორც ღმერთსა და ადამიანს შორის, ისე ადამიანთა საზოგადოებაში. მიტრას სახელი გვხვდება ფიცისა და ხელშეკრულებათა ტექსტებში. ზოგიერთ მთვანში იგი უპირისპირდება ეარუნას, როგორც კეთილი — არაკეთილს, ახლობელი — შორეულს, მზისეული — მთვარისეულს (დღისეული — ღამისეულს), ცეცხლთან დაკავშირებული — წყალთან დაკავშირებულს, კოლექტიური — ინდივიდუალურს, იურიდიკული — მაგიურს.

მიტრას სახე საოცრად გავრცელებულია დროში და სივრცეში, მას აქვს უნარი შეეთვისოს სრულიად განსხვავებულ რელიგიურ სისტემებს. ძირაწელ შიშოლოგიაში მიტრა ცნობილია როგორც მზესთან დაკავშირებული ღვთაების განსახიერება (მზე მისი თვალია), თუმცა იქაც მისი სოციალური ფუნქცია ნათლად არის გამოხატული. ამ ჰიმნის დამახასიათებელია მიტრას სახელის განხმორება ყოველ ტაეპში მაგიური მნიშვნელობით, პირველი ტაეპის ყოველი სტრიქონი კი მიტრათი იწყება. ეს ჰიმნი, როგორც მთელი მე-3 მანდალა, მიეწერება პოეტ ვიშვამიტრას. თარგმან. მ. ანდრონიკაშვილი.

მიტრა თანხმობას ამყარებს ხალხში, მიტრას ეყრდნობა
მიწაც და ზეცაც,
მიტრას მკვრეტელსა თვალმოუხუქავს, ხამს პოხიერთ
შევწიროთ მსხვერპლი.

შენ წარუმართე მიტრა, მოკვდავს მზას მსხვერპლისათვის,
ვინც გეთაყვანოს, ადიტის ძეგ ალთქმითა თვისით,
უსპოლველ ჰყოფდე და უმარცხოს ოხითა შენით,
ნუმც მიეწევა ფათერაკი, ახლოთ და შორით.

უავადონი, მოლხენილნი, სხურებით მთვრალნი,
მუხლგამართულნი ამ მიწაზე ფართოდ გაშლილზე,
ადიტის ძენო, ჰგიებთ, ალთქმის აღმსრულებელნი,
გვწყალობდეთ მიტრა, მოგვეფინოს, დე, მადლი თქვენი.

არს ესე მიტრა თაყვანის ღირსი, მეფე მოწყალე,
კეთილმმართველი,
ნუმც მოგვაკლდება წყალობა მისი.

ადიტმას დიდსა ვეახლოთ ლოცვით, ხალხთა შემკრებელს, მკე-
ბელთ მოწყალეს მიტრას, არნახულ სასწაულს ქვეყნად, ვუსხუროთ
ცეცხლში სასურვეო მსხვერპლი.

მიტრა ბრწყინვალე, ხალხის მეოხი, არის მეუფე დიდების ღირსი,
მისი შეწევნით ხელთ ვიგდებთ ნადავლს.

ზენით ზეცისა აღზევდა მიტრა, აღზევდა მიწით დიდება მისი,
მისი დიადის, ყოვლის მომცველის.

დანებდა მიტრას ხუთივე ხალხი¹; მიტრასა შემწეს ძალითა თვი-
სით, რომელსაც მოჰყავს ყველა ღმერთები.

მიტრა არს ღმერთთა და ადუთა² შორის, მეოხი კაცის, ბარჰის³
დამფენის, შეუქმნის კაცთა ნანატრსა ლხენას.

¹ „დანებდა მიტრას ხუთივე ხალხი“ — იგულისხმება არიული ტომები.

² ადუ — სახელი მითიური პერსონაჟისა, ინდრას მომხრისა, აფს შთამომავალი ე. წ. ადუა განასახიერებენ სასიცოცხლო ძალას.

³ ბარჰი — რიტუალური, ღმერთებისათვის დასაფენი თევზა, „ბარჰის დამფენი“ — მსხვერპლის მწირველნი.

ჰიმნი ვარუნას (მანდალა 5, 85)

ვარუნა რიგვედის პანთეონის ერთ-ერთი უდიდესი ღვთაებაა, ინდრასთან ერთად. მხოლოდ მას მიემართება ეპითეტი სამრაჯ — „ყოვლისმპყრობელი“. იგი მთელი სამყაროს მეფეა, განეკუთვნება ე. წ. ადითიებს და ყველაზე მკიდროდ დაკავშირებულია მიტრასთან. ვარუნა მფლობელია ჯადოსნური ძალის, ე. წ. მაჰა-სი და დაკავშირებული წყლის სტიქიასთან. იგი განასახიერებს მართლწესრიგს (ე. წ. რტა — არტა) და მართლმსაჯულებას. იგი მკაცრი მსაჯულია ადამიანთა ქცევისა და განსაკუთრებით უღმობელია ფიცის გამტეხთა მიმართ (ფიცის დროს უნდა შეიხონ წყალს, მიტრასთან კი ცეცხლს). მისადმი მიძღვნილი ჰიმნები მიეწერება პოეტ-წინასწარმეტყველ ვასიშთას. იგი მას მიმართავს, როგორც მსაჯულს, რომ მან აპატიოს ჩადენილი ცოდვა. 1—6 სტროფებში პოეტი განადიდებს ვარუნას მითურ მთქმედებას კოსმოგონიურ სფეროში, რომლებიც წარმოდგენილია როგორც სასწაულმოქმედი ძალის (მაიას) გამოვლენა. ჰიმნის ბოლო სტროფებში შოცხებულია თხოვნა, აპატიოს უნებურად ჩადენილი დანაშაული. თარგმანა მ. ანდრონიკაშვილმა.

სამრაჯს! სახელოვანს ყოვლისა მპყრობელს, ლოცვასა წმინდას
აღუვლენ ვარუნას,
ვინც მიწა გაკვეთა და მზეს გაუშალა, ვითარ შამიტარმა²

ზეარაკის ტყავი.
ვინც ხეთა შორის ჰაერი განფინა, ძღვევა სცა ჰუნეთ, ფურებს
რძე უბოძა,
გულს აზრი შთადო და წყალს აგნი ჩასახა, მზე დასვა ზეცაზე და
კლდეზე სომა.

ვინც წყალი კასრით ძირგამოხვრეტილი, ისხურა ზეცას,
ეთერს და ქვეყანას,
რომლითაც ღმერთი — სამყაროს მეუფე, მორწყავს დედამიწას
ვით წვიმა ჯეჯილს¹.
მორწყავს მთელ სამყაროს, ცასა და მიწას და როს მოისურვებს
ვარუნა მოწველას⁴,
დაიფარებიან ღრუბლებით მთები და დაუდგეარნი აღვირს
მიუშვებენ⁵.

მსურს მე ღირსეულად ყოველსა სულდგმულს ვამცნო ასურას
დიდი სასწაული⁶.
ეთერში მყოფმა ვარუნამ⁷ მზის თვალით, მთელი დედამიწა თუ
როგორ გაზომა,
შთაგონებული ღვთაების სასწაულს, ვერვინ დაიჩემებს და
ვერვინ ხელყოფს,
ნიაღვრად მდინარე მჩქეფარე წყლები, იმ ერთ ოკეანეს ვერ
ამოავსებენ.
თუ არაამიას⁸ და მიტრიას⁹ ვუმტყუნეთ — მეგობარს გულითაღს
და ძმასა ერთგულს,
ან თუ ვავენთ რამე უცხოთა ჩვენთვის, ცოდვანი ჩვენნი
შეგვინდე, ვარუნა.
თუ ვით მოთამაშეთ, ვიცრუეთ თამაშში, ჩვენდა უნებურად ან
თუნდაც ნებით,
შემოქერილი გვიფოლხე, გვილხინე, გესურს კელაე სათნო
გეყოთ, დიდო ვარუნა.

1 სამრაჯ — სიტყვასიტყვით ყოვლის მპყრობელი (თვითმპყრობელი), ძირითადად ვარუნას და ინდრას მიმართ იხმარება. ზოგჯერ, იშვიათად აგნის მიმართაც.

2 შამიტარი — ქურუმთა კლასის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი, რომელთაც ევალებათ სამსხვერპლო ცხოველის დაკლა, გატყავება და დაპრა.

3 მიუთითებს წვიმის მოყვანის უნარზე.

4 „როცა მოისურვებს ვარუნა მოწველას“ (ღუგღამ ვარუნამ ვაშტი აღ იტ) — ე. ი., როცა ვარუნას სურს ხალხმა ლოცვებით წვიმა მოსთხოვოს⁵.

5 დაუდგეარნი აღვირს მიუშვებენ — იგულისხმება მარუტები, ქარიშხლის ღმერთები, რომლებიც ათხელბენ საადრო ღრუბლებს.

6 სასწაული (სასწაულმოქმედება შაა) — რიგვედის ერთ-ერთი ამბივალენტური (საპირისპირო მნიშვნელობის მქონე) სიტყვა, — ღმერთების მიმართ იგი — სასწაულმოქმედი ძალა გარდასახვისა, დემონთა მიმართ — ვნება, სიცრუე, ვერაგობა.

7 შინიშნება ვარუნას კავშირზე კოსმიურ წყლებთან, რომლებიც ერთი ოკეანის სახით მოიციევენ მიწას და ზეცას.

8 არაამია — არიამანისავით სტუმართმოყვარე.

9 მიტრია — მიტრასავით ერთგული, კეთილგანწყობილი.

ჰიმნი ეძღვნება პურუშას („აკაცი“, „ადამიანი“), კოსმიურ გოლიათს, რომლისაგანაც, ინდური ტრადიციით, წარმოიშვა სამყარო.

სამყაროს წარმოშობა აქ უკავშირდება არა ღმერთებს, არამედ პურუშას, რომლის სხეულის ნაწილებიდანაც შეიქმნა სამყარო. სხეულის ნაწილებიდან სამყაროს შექმნა, როგორც მსხვერპლშეწირვის რიტუალის ერთ-ერთი გამოვლინება, ცნობილია აგრეთვე მრავალი ქვეყნის მითოლოგიაში (ძვ. ბერძნული, ირანული, სლავური და სხვ.).

საინტერესოა ამ ჰიმნში კასტების წარმოშობის აღწერა. ეს არის პირველი ხსენება კასტებისა ძველ ინდურ წყაროებში. თარგმნა ე. ალექსიძემ.

პურუშა — ათჯერ ასთავიანი, ათასთვალა და ათასფეხება,
ყოველი მხრიდან ფარავს ქვეყანას და ათი თითით აღემატება.

რადგან პურუშა — თვით სამყაროა, რომელიც იყო, და რაც იქნება,

თვით უკვდავებაც მან დაიმონა, გაუმადლარმა, და ვერ ივსება.

ასეთი არის მისი ბუნება, უფრო ძლიერი, ვიდრე პურუშა,
მეოთხედად ის — ყველა არსშია, სამ მეოთხედად — უკვდავი ცაში.

სამ მეოთხედით — ზეა პურუშა. მეოთხედი კი აქ დაეფუძნა.
ხოლო აქედან — ყველგან გავრცელდა — სხვისა მკამელსა და არამკამელში!

და მისგან იშვა — დედა ვირაჯი, ვირაჯისაგან — პურუშა მამა.
დაბადებული — გადაიზარდა დედამიწაზე — წინ და უკანაც.

და როს ღმერთებმა მსხვერპლშეწირვის ქამს მსხვერპლად
პურუშა გამოიმეტეს,
მას გაზაფხული — სამსხვერპლო ერბოდ, ზაფხული შეშად, და
საზორველად

შემოდგომის დღე — ერთად დაუდგნენ.

სამსხვერპლო თივას წამოაგორეს დაბადებული დასაბამითგან
ღმერთთაგან მსხვერპლად გამეტებული, ის სადპიებმა² და რიში-
ბრძენთა.

და ამ მსხვერპლისგან, სრულად აღთქმულის, მათ შეაგროვეს
სამსხვერპლო ერბო³,

და ჩამოაღნეს ცაში მცხოვრებნი და ბინადარი ტყისა და სოფლის.

და ამ მსხვერპლისგან, სრულად აღთქმულის, იშვა ლოცვა და
საგალობლები,

პირველი ლექსი, ზომა და წყობა, და რჯულის სიტყვაც პირველი
იშვა⁴.

იმ სამსხვერპლოდან — ცხენები იშვა, და ცხოველები —
ორწყება კბილით.

იშვა ხარები, თხები და ცხვრები, ყველა ესენი — ამ

მსხვერპლით იშვა-
როცა პურუშა დაანაწევრეს, რამდენ ნაწილად, ასოდ აქციეს?
რა არის პირი მისი, ხელები? რა ეწოდება მის თეძოს, ფეხებს?
პურუშას პირი — ბრაჰმანად იქცა, ხელები — რაჯანიებად
თეძო და მენჯი — ვაიშიებედ, ფეხებისაგან — შუღრები იშვა⁵.
მისი სულისგან — მთოვარე იშვა, თვალებისაგან — მზე
ანობრწყინდა
ბაგეებისგან — ინდრა და აგნი, სუნთქვისაგან კი — ქარები იშვა-
ციური სივრცე — კიპისგან იშვა, თავისგან ზეცა; ფეხისგან —
მიწა,

და მხარეები ქვეყნის — ყურთაგან, ეს შეიქმნა — ქვეყნიერება.

მის კოცონს შვიდი ბოძი ეყენა, სამჯერ შვიდი კი კოცონში
ენტონ⁶,
ოდეს ღმერთებმა მსხვერპლშეწირვის ეამს; ის, ვით ზვარაკი,
კოცონს მიაბეს.

მსხვერპლი შესწირეს ღმერთებმა ამ მსხვერპლს, ასეთი იყო
თავდაპირველად
აქ მსხვერპლშეწირვა; და გაეშურნენ შემდეგ ღმერთები ზეცას,
სად წინათ იყო სამყოფი საღპია ღმერთთა.

1 იგულისხმება ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება.

2 საღპია — ღმერთების ერთ-ერთი ოჯახი რიგვედამი.

3 სამსხვერპლო ერბო დამთავებული რძის (მანწენის) და ერბოს ნარევი, გავრ-
ცელებული სასმელი სამსხვერპლო რიტუალში, გვხვდება დღესაც ინდურ ტრადი-
ციაში.

4 აქ ჩამოთვლილია უკვე სამი ვედას შემადგენელი ნაწილები: ჰიმნები —
რიგვედა; ლექსები, სიმღერები — სამავედა და რიტუალური ფორმულა — ია-
ჯურვედა.

5 აქ ჩამოთვლილია კასტები და მოცემულია უკვე მათი სახელები: ბრაჰმანა, რა-
ჯანია, ვაიშია, შუღრა.

6 რიტხები „შვილი“, და „სამი“ — მაგიური რიტხებია რიგვედაში.

ჰიმნი ვიშვაკარმანს (მანდალა 10, 81)

ჰიმნი ვიშვაკარმანს („ყოველის შემქმნელს“) — ეძღვნება სამყაროს წარმო-
შობას. ჰიმნი დასმულია კითხვები, თუ როდის, როგორ და ვის მიერ წარმოიშვა
სამყარო. სამყაროს შექმნა აქ აღწერილია, როგორც მსხვერპლშეწირვის რიტუა-
ლი, რომლის დროსაც ვიშვაკარმანს მსხვერპლად მოაქვს თავისი თავი. თარგმნა-
ე. ალექსიძე მ.

მშობელი ჩვენი, აქ დამკვიდრდა ვითა ქურუმში,
რომელსაც მოაქვს მსხვერპლად მთელი ქვეყნიერება,

ბელს და სიმდიდრეს ის ეძიებს ლოცვა-ვედრებით
და თაობიდან თაობაში ასე გადადის.

რა იყო მაშინ, რა წერტილი, რისი საყრდენი?
რისი საწყისი? ან როგორი იყო ის ძალა
რომლისაგანაც, ვიშვაკარმან, სულთამნილაგო,
ჰქმნიდი რა მიწას, ზეცა პოვე შენს სადიდებლად.

აქვს ყველგან თვალი ყოვლის შემქმნელს და სახე ყველგან,
ხელები ყველგან და ფეხებიც ყველგან გართხმული
და შემოიკრებს ფრთათა თვისთა ქვეშე ყოველთა
ცისა და მიწის „შემოქმედი“, „ის ერთი“, „ღმერთი“.

ის რა ტყე იყო საოცარი, ან რა ხე იყო,
რისგანაც მაშინ გამოჩარხეს მიწა და ზეცა?
თქვენ, ვისაც შეგწევთ ძალა ფიქრის, აბა, იფიქრეთ,
რას ეყრდნობოდა, ამ ქვეყანას როს ამაგრებდა?

სახება შენი, მაღალი და უფრო მდაბალიც,
და შუათანაც, ვიშვაკარმან, ყოვლის შემქმნელო,
გვინდა შევიცნოთ, შეგვეწიე, მსხვერპლშეწირვისას,
და ტანი შენი, თვითმყოფადო, ეგ მშვენიერი,
მსხვერპლად შენს თავსვე შემოსწირე, შემოიმატე.

ო, ვიშვაკარმან, შესაწირით ძალას რომ იკრებ,
მსხვერპლად მიიღე, შეიწირე ეს ცა და მიწაც!
თავგზა დაებნეთ გარეშემო ყველა სხვა ხალხებს,
ჩვენ გვყავდე შენ აქ შემწედ, უხვო, მსხვერპლშემოწირვის!

სიტყვათა მფლობელს, ვიშვაკარმანს, აზრის გამხედნავს.
დღეს აქ მოუხმობთ. შეჯიბრისას, რომ შეგვეწიოს,
დაე, იხაროს, როს მოესმას ჩვენი კიყინა,
კეთილის მდომედა, დაე, ჩვენთვის სიკეთე თესოს!

ჰიმნი ვიშვაკარმანს (მანდალა 10, 82)

ჰიმნი ეძღვნება ვიშვაკარმანს, სამყაროს შემქმნელს. სამყაროს შექმნა აქ აღ-
წერილია, როგორც სამსხვერპლო რიტუალი, ვიშვაკარმანი ქმნის სამყაროს სამ-
სხვერპლო ერბოდან, სამყაროს საწყისად კი მიჩნეულია რაღაც ერთი ჩანასახი
კოსმიურ წყლებში, რომლის არსი ამოუცნობია. თარგმან ე. ალექსიძე მ.

მამამ თვალისა, ვისი აზრიც თვალია სიბრძნის,
გლუვი, სამსხვერპლო ერბოსაგან შექმნა სამყარო,
და მაშინ, როცა ის გამყარდა აღმოსავლეთით,
გავრცელდა თურმე ცა და მიწა იმის გარშემო.

ვიშვაკარმანი — ბრძენია და აღესილი ღონით,
აღმშენებელი, უმაღლესი არის სახემა.
და მსურველები ერთად ყოფნის იქ ნეტარებენ,
სადაც ამბობენ, არის ერთი, შვიდ რიშის მიღმა!

მამა ჩვენი, და მშობელი, არსთა შემქმნელი,
ვინ უწყის ყველა არსება და მდგომარეობა.
ვინც ერთადერთი აძლევს სახელს თავად ღმერთებსაც,
მასთან მიღიან საკითხავად სხვა არსებანიც.

მსხვერპლის შეწირვით მოიპოვეს მისთვის სიმდიდრე,
ჩვენ წინაპრებმა, ვითარ გუნდმა იმ მომღერლების,
რომელთაც შექმნეს ეს ორივე ქვეყანა ვრცელი,
როს დაიწმინდა ბნელი სივრცე გათენებისას.

მაშ, რა არსებობს ამ ცის მიღმა, ამ მიწის მიღმა,
ღმერთების მიღმა და ასურთა, ეშმათა მიღმაც, —
რა ჩანასახი ის პირველი მიიღეს წყლებმა,
სად იყვნენ ერთად ამის მოწმე ყველა ღმერთები?

ის აღიქვესო ჩანასახად უპირველესად,
როს შეიყარნენ ერთად ყველა ღმერთები მაშინ,
უშვის უბეზე ამოსული რაღაცა ერთი,
რომელზეც ყველა არსებანი დამკვიდრებულა.

მაგრამ ვერ პოვეს ეს ღვთაება უპირველესი.
რაღაცა სულ სხვა ჩამომდგარა მათ თვალთა შორის.
და შებინდულნი ნისლითა და ჩუმი ჩურჩულით,
დაძრწიან ჰიმნთა მგალობელნი, წამლებნი სულის².

1 შვიდი რიში, პირველი პოეტები ვედურ პანთეონში, რომლებიც თხზავდნენ
საგალობელს მსხვერპლშეწირვის რიტუალისათვის.

2 იგულისხმება ქურუმები, რომლებიც სწირავენ ღმერთებს ნისლიან
მსხვერპლს, არიან სიოცხლის წამლებნი და ამიტომ ვერ აგნებენ გზას უმაღლესი
ღვთაებისაკენ, დამბადებლისაკენ.

ჰიმნი ტაპას (მანდალა 10, 190)

ეს ჰიმნი სამყაროს წარმოშობას ეძღვნება, ინდური კომენტარი მას „წარ-
მოშობის აღწერას“ უწოდებს. ჰიმნი სამყაროს წარმოშობა დაკავშირებულია
კოსმიურ წყლებში, რომლის არსი ამოუცნობია. თარგმნა ე. ალექსიძემ.

წესი რჯულისა და წესრიგი უზენაესი,
აალებული გეენიდან, ტაპასს რომ ჰქვიათ,

დაბადებულან; ღამე ბნელიც აქედან არის
და ოკეანეც ამ უკუნში აზვირთებულა.

აზვირთებულმა ოკეანემ შვა წიალიდან
დაწესებული წელიწადი, და მისი დრონი,
დღისა და ღამის მარადისი მონაცვლეობა,
რაც აბამხამებს და რაც არაა, მეუფემ ყოვლის.

შვა მზე ბრწყინვალე და მთოვარე შუქმიბინდული,
ერთიმეორის მიყოლებით ყოვლის შემქმნელმა,
ვითარ წინარე ცხოვრებებში? ეს წესად იყო.
ღღეცა და მიწაც, და ეს სივრცეც და შუქი ბოლოს.

1 იგულისხმება ყველა ცოცხალი არსება.

2 „როგორც წინათ“ — წინარე ცხოვრებებში, იგულისხმება სამყაროს არსებობის მარადიული ციკლი.

ჰიმნი უცნობ ღვთაებას (მანძალა 10, 121)

ეს ჰიმნი ინდური ტრადიციით ეძღვნება უცნობ ღმერთს, კას-, („ვინა“), და ეძიებს იმ უპირველეს ღვთაებას, რომელმაც შექმნა ეს სამყარო თავდაპირველად.

ჰიმნი სვამს ამ კითხვებს და პასუხობს, რომ ის იყოო ჭერ „ოქროს ჩანასახი“ ღიდ წულებში, და მსხვერპლშეწირვის შედეგად მისგან გაჩნდაო მთელი სამყარო. თარგმნა ე. ა ლე ქ ს ი ძ ე შ.

ჭერ, ვითა ოქროს ჩანასახი! ის წარმოიშვა,
წარმოშობილი გახდა მერე მეუფე შექმნის,
იქცა საყრდენად, შეეყუდა მიწას და ზეცას,
ღმერთი რომელი, ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

ვინ აძლევს ძალას, და პირველი ვინ ქმნის სიცოცხლეს,
ან ვის ბრძანებას მორჩილებენ ყველა ღმერთები,
ვის ჰყავს აჩრდილად უკვდავება და ვის — სიკვდილი, —
ღმერთი რომელი, ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

ვინ არს მეუფე ერთადერთი ძლევამოსილი
სიცოცხლის, სუნთქვის და ამ ქვეყნის მიძინებულის,
ვინ არს მფლობელი ორფეხათა და ოთხფეხ არსთაც,
ღმერთი რომელი, ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

ვისი ძალითაც თოვლიანი აწვდილა მთები,
ვისით არსებობს ოკეანეც რასასთან ერთად,
ვისი ხელებიც მხარეები არის ქვეყნისა,
ღმერთი რომელი, ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

ვინ გაამაგრა ეს უსაზღვრო ცაცა და მიწაც,
ვინ დაამკვიდრა მზე-მნათობი, ცის კაბადონი,
ვინ ზომავს ცაში სივრცეს უღვეს და აწესრიგებს,
ღმერთი რომელი. ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

ვის შეპყურებდნენ სასოებით და ჩუმი თრთოლვით,
ორივე ჭარი, გამოსული მისი შეწვენით,
ვისით ანათებს ეს მზე ჩვენი ამომავალი,
ღმერთი რომელი, ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

და როცა მოწყდნენ, გადმოვიდნენ მაღლიდან წყლები,
თან წამოლექეს, შეისრუტეს, ვით ჩანასახი
თავის წიაღში ირგვლივ ყველა, წარმოშვეს აგნი,
იქ იშვა ისიც, ვით ცხოველი ძალა ღმერთების,
ღმერთი რომელი, ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

ვინც მედიდურად, თვალს მოავლებს მთლიანად ამ
წყლებს,
დაკშას³ ჩამსახველთ, დამბადებელთ პირველი მსხვერპლის,
ვინც ერთადერთი იყო ღმერთი ყველა ღმერთების,
ღმერთი რომელი, ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

ნუ მოგვაყენებს ჩვენ აქ ზიანს, ვინც შექმნა მიწა;
ვინც შექმნა ზეცა, ვისი წესიც კეშმარტია,
შექმნა მაღალი, მოლივლივე, ნათელი წყლები,
ღმერთი რომელი, ვინ ვადიდოთ ჩვენ მსხვერპლშეწირვით?

ო, პრაჯაპატი!⁴ ვერაუინ სხვა გარდა შენისა
ვერ შესწვდა ყველა ამ არსებას თავისი ძალით.
დაე, აღსრულდეს ყველა ჩვენი სურვილი, აღთქმა,
რომელიც დღეს აქ ჩვენ ჩავითქვეთ მსხვერპლშეწირვისაჲ,
დაე, გავხდეთ ჩვენ მფლობელები დიდძალი განძის!

1 ოქროს ჩანასახი, კოსმიური კერცხი, რომლისაგანაც, ინდუისტური ტრადიციით, იშვა სამყარო.

3 ოკენე რასასთან ერთად — კოსმიური წყლები და მითური მდინარე რასა, რომელიც ვედების თანახმად გარს ერტყა მიწასა და ზეცას და ჰყოფდა ადამიანების ადგილსამყოფელს დემონებისაგან.

3 დაკშა — შექმნელი; მამრობითი საწყისი, მდედრობითი საწყისის — აღი-ტის — საპირისპირო.

4 პრაჯაპატი — სიტყუასიტყუით „შთამომავლობის მეუფე“.

ს ა რ ჩ ი ვ ი

წინასიტყვაობა (გ. გიორგაძე)

3

კ ა რ ი პ ი რ ე ლ ი

ძველი შუამდინარეთი

შესავალი (ყ. შარაშენიძე)	6
I. ისტორიული შინაარსის დოკუმენტები (ყ. შარაშენიძე)	8
II. იურიდიული შინაარსის დოკუმენტები (ზ. კიკნაძე, ყ. შარაშენიძე)	16
III. სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო-ადმინისტრაციული შინაარსის დოკუმენტები (ნ. შარტიროსოვა, ყ. შარაშენიძე)	52
IV. ლიტერატურულ-ჰითოლოგიური და რელიგიური შინაარსის ტექსტები (ზ. კიკნაძე)	68
V. შუა ასურული კანონები (ე. ასტახიშვილი)	75
VI. ბერძნული წყაროები ბაბილონის შესახებ (რ. რცხილაძე)	88
ჰეროდოტეს ისტორია; „ბაბილონის ლოგოსი“	88

კ ა რ ი მ ე ო რ ე

ძველი ეგვიპტე

შესავალი (მ. ხვედელიძე)	100
I. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები (მ. ხვედელიძე)	102
II. სოციალური შინაარსის ტექსტები (მ. ხვედელიძე)	118
III. რელიგიური შინაარსის ტექსტები (მ. ხვედელიძე)	128
IV. ლიტერატურული შინაარსის ტექსტები (მ. ხვედელიძე)	136
V. ჰეროდოტეს ცნობები ძველი ეგვიპტის შესახებ (თ. ყაუხჩიშვილი, მ. ინაძე)	150

კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

ძველი მცირე აზია

I. ცენტრალური მცირე აზია ხეთების სამეფოს წარმოქმნამდე (გ. გიორგაძე, პ. რამიშვილი, ი. ტატიშვილი)	156
II. ხეთების სამეფო (ძვ. წ. 1650—1200 წწ.)	177
§ 1 ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები (გ. გიორგაძე, ი. ტატიშვილი)	177
§ 2. სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი შინაარსის ტექსტები (გ. გიორგაძე)	210
§ 3. რელიგიური შინაარსის ტექსტები (ი. ტატიშვილი)	221

§ 4. მითოლოგიური და ლიტერატურული შინაარსის ტექსტები (ნ. ბენდუქიძე)	224
111. გვიანხეტური სამეფოები (ძვ. წ. X—VIII სს.)	235
§ 1. იეროგლიფურ-ლივიური ტექსტები (ნ. ხაზარაძე)	235
§ 2. ხეთები ბიზლიაში (ე. დონანაშვილი)	243

კ ა რ ი მ ე ო თ ხ ე

ხური-მითანის სამეფო

შესავალი (ნ. ნოზაძე)	249
§ 1. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები (ნ. ნოზაძე)	250
§ 2. სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული შინაარსის ტექსტები (ე. ასტანიშვილი)	254
§ 3. რელიგიური შინაარსის ტექსტები (ნ. ნოზაძე)	267

კ ა რ ი მ ე ხ უ თ ე

ურარტუს სამეფო

ურარტული წყაროები (გ. მელიქიშვილი)	269
------------------------------------	-----

კ ა რ ი მ ე ე ქ ე ს ე

ძველი ირანი

აქემენიდების ძველი სპარსული ლერსმული წარწერები	296
§ 1. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები (მ. ანდრონიკაშვილი, მ. სახოკია)	297
§ 2. რელიგიური შინაარსის ტექსტები (მ. ანდრონიკაშვილი)	317
§ 3. ბერძნული წყაროების ცნობები ძველი ირანის ისტორიის შესახებ (თ. ყაუხჩიშვილი, მ. ინაძე)	328

კ ა რ ი მ ე შ ვ ი დ ე

ძველი ინდოეთი

შესავალი (მ. ანდრონიკაშვილი)	339
§ 1. ინდური სამართლის ძეგლები (ე. ალექსიძე)	340
§ 2. რელიგიური შინაარსის ტექსტები (მ. ანდრონიკაშვილი, ე. ალექსიძე)	348